



მეთევვეთა

და

მეფუტეობა

შედგენილი
აპოლონ ჩულაძის მიერ



თავ. პ. მ. ლორთქიფანიძის
რედაქტორობით

ამ წიგნის დედანი დაჯილდოებულია ოქროს მედალით.





ფუტკარი

და

მეფუტკრეობა

მეცნიერი აპოლონ რულაბის მიერ


K 25.963
3

კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების თავმჯდომარის,
თავ. პლატონ მ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით

კავკასიის მეფუტკ. საზოგ. მეორე მარჯვ კამოფუნსზე
ამ წიგნის დედასა დაჯადოებულაა თქრის შედალით.



მე ვაქცინაცია



საგარეო-2000
სამსახური

XVI, 328 გვ. ი. ი. [თ. ი.]

„ნუგათ აზიან საწმინდელთ საქმისათვის
თავდადებულნი“.

„რთმელმაც აღწართოს თავისი ან სსყა-
თა წვილნი, იგი ალუაჭის წვილთა ჰმრდის
მიყვლინოს მას სსივი ნათლისა ჩემისა.
წყალთნა და ვუბთსყვა ჩემი იცოს მისთარა“.

ბ რ ჰ ა.

ჩემსა და მრავალთა უმწეოთა აღმსრდელს, ჰემ-
მარტო მძმულიძვილს, ეროვნების სიამაყეს, ჩვენში სს-
მეურნეო ცოდნის მასწარებელ მერცხალს, წინამძღვა-
რიანთ-კარის სსმეურნეო სკოლის დამაზრსებელსა და
მსრუნველს, მოსიყვარულე მამას,

ილია ივანეს-ძე წინამძღვარი იშვილს.

მოკრძალებით უბღენის ავტორი





საქართველოს ენობათმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ენობათმცოდნეობის
ინსტიტუტი

რედაქტორისაზანი.

„კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოებამ“ დაარსებისათანავე 1091 წელს, აღძრა საკითხი, რომ საზოგადოების მიერ ქართულ ენაზე გამოცემულიყო მეფუტკრეობის სახელმძღვანელო წიგნი. ასეთი წიგნის საჭიროებას ჩვენი საზოგადოება დიდხანია გრძნობდა, მაგრამ მისი აუცილებელი მოთხოვნა უფრო მწვავედ გამოჩნდა 1909 წელს, პირველად გამართულ მეფუტკრეობის ნაწარმოების გამოფენაზე. ხსენებულ გამოფენაზე მეფუტკრეობის წიგნი სხვა ენებზე ბევრი მოიპოვებოდა და იყიდებოდა, ქართულ წიგნს კი, თუმცა ბევრი თხოვლობდა, მაგრამ, სამწუხაროთ, მსურველს გულის ტკივილით ვისტუმრებდით. გამოფენის შემდეგ შემდგარ პირველ მორიგ კრებაზე დამსწრე საზოგადოების წევრებმა ერთხმად გამოსთქვეს სურვილი, რომ როგორმე საზოგადოებას ქართულ ენაზე გამოეცა მეფუტკრეობის სახელმძღვანელო წიგნი. საზოგადოების წევრების ასეთი ერთ-სულოვნება იშვიათი და კეთილშობილურია, რადგანაც საზოგადოების წევრების დიდი უმეტესობა სხვა ეროვნების არიან, მიუხედავთ ამისა, მათი სურვილი იმდენათ გულწრფელი და მხურვალე იყო, რომ იქ დამსწრე ამავე საზოგადოების წევრმა, კავკასიის სააბრეშუმო სადგურის გამგემ, ბ-ნმა პ. გ. ივანოვმა, გაითვალისწინა რა საზოგადოების სასარგებლო სურვილი და მისი (საზოგადოების) ნივთიერი მდგომარეობა, წიგნის გამოსაცემი ფული სადგურის სპეციალური თანხიდან აღუთქვა. მაღლიერმა საზოგადოებამ ბ-ნ ივანოვს გულითადი მადლობა შესწირა და მე მომანდო მომენახა ვინმე, რომელიც ქართულ ენაზე გადათარგმნიდა ბერტრანის „მეფუტკრეობის კალენდარს“. ეს წიგნი სააბრეშუმო სადგურის სრული ხარჯით ახლად გამო-

ცემული იყო სომხურ ენაზე, მოსალოდნელი იყო, რომ ქართულ გამოცემასაც ხელს შეუწყობდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. „მიწად მომწყობ და მიწად-მომქმედ მთავარ გამგის კავკასიის რწმუნებულმა“, უფრო საუმჯობესოთ სცნო წიგნის გამოსაცემი ფულები გადაეცა უდაბურ მულანოს ახალ-შენელებისათვის. იმედის გაცრუებამ წიგნის გამოცემა შეაჩერა. თვით ნორჩ საზოგადოებას გამოსაცემი თანხა არ ჰქონდა. ამას მოუსწრო საზოგადოების მიერ გამართულმა მეორე მორიგმა გამოფენამ, რომელზედაც ქართული წიგნის მოთხოვნილება კიდევ უფრო თვალსაჩინო შეიქნა, ასეთმა წიგნის საჭიროებამ საზოგადოებას უსახსრობის გამო დროებით გადადებული საქმე კვლავ გაახსენა. ამას, სხვათა შორის, ხელი შეუწყო ბ-ნ აპოლონ წულაძის მიერ გამოფენაზე საკონკურსოთ წარმოდგენილმა მეფუტკრეობის წიგნის დედანმა—„ფუტკარი და მეფუტკრეობა“. ეს ხელნაწერი საექსპერტო კომისიამ ოქროს მედლით დააჯილდოვა. ამრიგად, რაკი საზოგადოებას გამოსაცემათ პირდაპირ ქართველებისათვის დაწერილი დედანი დაურჩა, მისი გამოცემაც განიზრახა და აირჩია ქართული ენისა და მეფუტკრეობის მკოდნე პირნი და წიგნის გადასინჯვა მათ მიანდო. ბ-ნ წულაძის შრომა კომისიამ სასურველად სცნო გამოცემულიყო. საზოგადოებამაც ამ წიგნის გამოცემა საბოლოოდ გადასწყვიტა და წიგნის რედაქცია და გამოცემის ხელმძღვანელობა მე მომანდო.

ყოვლად სამღ. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდეს, თავ. დიმ. ერ. ჩოლოყაშვილის, სერ. ნიკ. ყაზახიშვილის და სხვათა ნივთიერი დახმარებით, წიგნი გამოიცა. მადლიერი გრძნობით აღსავსე კავ. მეფ. საზოგადოება თავის გულწრფელ მადლობას სწირავს ზემოთ მოხსენებულ პატივცემულ პირთ, რადგანაც მათ თავიანთი საზოგადო საქმის გულწრფელი, უანგარო სიყვარულით, ჩვენს ნორჩ საზოგადოებას ხელი შეუწყვეს ხალხში მომწიფებული მოთხოვნილება დაკმაყოფილებულიყო.

რაც შეეხება ამ წიგნს, იგი სწორეთ რომ თავის დროზე გამოდის, სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენში სასოფლო მეურნეობის პატივისცემა იღვიძებს, განსაკუთრებით კი გონივრული მეფუტკრეობა ტატით ფეხს იდგამს. ვიმედოვნებთ, რომ მეფუტკრეობის ახლად დამწყებს, ეს წიგნი პასუხს გასცემს ყველა იმ აუცილებელ კითხვებზე, რომელიც მას ამ საგნის შესახებ დაებადება. მასში, რამდენადაც მოსახერხებელია, წელიწადის დროს შესაღარად ჩამოთვლილი და განმარტებულია ყველა მუშაობა, რომელიც მეფუტკრეს შეხვდება ადრე გაზაფხულიდან მოკიდებული, მეორე წლის იმავე დრომდე. წიგნში შეკრებილია დღემდე ცნობილ მეფუტკრეების ფუტკართან წარმატებით ნაცადი საშუალებანი. მოყვანილია ყველა ის უბრალო საშუალება, რომლის ცდა ყველასთვის მოსახერხებელია და რომლითაც შეიძლება გონივრულად ფუტკრის მოვლა.

ამრიგად წიგნის მიზანია მსურველს გააცნოს: თვით ფუტკარი, კარგი დედა ფუტკარი და მისი ზოგადი მნიშვნელობა, საუკეთესო ფუტკრის ბინა, ამ ბინაში მისი მოვლა, შშრალისა და ხელოვნური ფიჭის ხმარა, ციბრუტას აუცილებლობა, საზამთროთ ფუტკრის დაბინავება და სხვა.

ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული ფუტკრის საშიშარ ავთამყოფობა-სიმყაყეს და უმთავრესად ყველგან ხაზგასმით აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მეფუტკრეს, მის მუყაითობას, ყოველივე საქმის თავის დროზე შეგნებით და სისწორით ასრულებას.

ერთი სიტყვით, ამ წიგნის მიზანია მეფუტკრეობის ახლად დამწყებს საქმე გაუადვილოს, მისცეს პირველი მკვიდრი საფუძველი, და თუ შიგ ბევრი წვრილმანი გამოტოვებულია, დაკვირვებული, გულ-მოდგინე მეფუტკრე თავისითაც ადვილათ შეივსებს.

ჩვენი გულითადი სურვილია ამ წიგნის წამკითხვემა ის აზრი გამოიტანოს, რომ მეფუტკრეობის ხელის მოკიდება სრუ-

ლიად ადვილი საქმე არ არის. მისი წარმატებით მოვლა თხოვლობს მეფუტკრისაგან გულ-მოდგინებას, მუყაითობას, სიფაქიზეს, **ფუტკრების სიყვარულს** და მათი ცხოვრებისა და მოვლის წინასწარ ცოდნას, დანარჩენს კი ყველაფერს დასძლევს **მოთმინება** და **გამოცდილება**. ვინც ამ წიგნიდან ასეთ საგულისხმიერო დასკვნას გამოიტანს, ის არც ამ წიგნის უმაღლური დარჩება. ხალხი ვინც საქმეს ზერელეთ შეხედავს, ყველაფერს არ გაქვრეტს, მოთმინება-ცოდნით არ აღიჭურვება, ის ხეირს ვერც თვითონ ნახავს და სასარგებლო მეფუტკრეობაზე სხვებსაც გულს გაუტეხს, რადგანაც ის დაწყებულ საქმეს ბოლომდე წარმატებით ვერ დააგვირგვინებს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ წიგნის გამოსვლას სიამოვნებით მიეგებებიან, არა მარტო ის პირნი, რომელთაც მისი უქონლობა პირადათ ჩემთვის მრავალჯერ შემოუჩივრიათ, არამედ ის პირნიც, რომლებიც აწი ფიქრობენ მეფუტკრეობის დაწყებას. თუმცა წინაღვე ვიცი ისიც, რომ ბევრი ქართველი, როცა ამ გვარიან მოზდილ წიგნს დაინახავს ჩვეულებრივი ქართველური უდარდელობით ჩაიცინებს და იტყვის: „რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ფუტკარსა და მეფუტკრეობას, რომ მის შესახებ მოუცლიათ და ამდენი უწერიათო!“ მაგრამ ჩვენ ეს არ გაგვაკვირვებს, რადგან ქართველები ავთმყოფობაც კარგად გვესმის: ქართველები მუდამ დიდს საქმეს ვეპოტინებით, მუდამ დიდ რამეზე ვოცნებობთ, მაგრამ დიდი საქმის გაკეთების არც უნარი გვაქვს და სხვა-და-სხვა დაბრკოლების მიზეზით, ვერც ვაკეთებთ. პატარას კი ვწუნობთ, ვთაკილობთ და შორს გაუბრბვართ. სჯობს ცხოვრებაზე ამგვარი ყალბი შეხედულება უარყვით, თორემ დღეს თუ ღარიბი ვართ, ხვალ ოცნების შემყურენი **სილატაკესაც** ველოდეთ. რაც შეეხება იმას, ვითომც მეფუტკრეობა მეურნეობის მცირე სარგებლიანი დარგი იყოს, ვინც ასე ფიქრობს, იმას უნდა მოვახსენოთ, რომ ამერიკაში, სადაც სულ მცირე საქმესაც თავგამოდებით ჰკიდებენ ხელს, იმ ამერიკაში, სადაც ყველაფერს

ანგაროშიანი, გამოსარჩენი თვალით ზომავენ, წარსულ წელს გარდა იმისა, რაც ადგილობრივ გასაღდა, 160 მილიონი მანეთის თაფლ-სანთელი საზღვარ-გარეთ გაზიდეს.

ჩვენი მშვენიერი კავკასია, მართალია ამერიკაზე ბევრად პატარაა, მაგრამ მეფუტკრეობისათვის მისი ბუნება ამერიკისას არ ჩამოუვარდება და ჩვენ რომ ამერიკელებივით ენერგიით და სწავლა-ცოდნით ვიყოთ აღჭურვილი, მაშინ ფუტკარი ხუთ მილიონს ხომ მაინც მოგვცემდა და ეს კი რამდენ სულს გაჭირვებიდან იხსნიდა. ჩემის აზრით ბევრად უკეთესი იქნება, თუ მცირეს არ ვითაკილებთ; მივმართოთ ჩვენს მშვენიერ, ყველაფრით შემკულ სამშობლოს და ფუტკარივით მხნეთ ყველა მისი გაფანტული უხვ სიმდიდრე გამოვსწოვოთ, და მის-სავე ასაყვავებლად შევადგინოთ ძლიერი ქონებრივი ძალა მთელი ერის საკეთილდღეოთ. ვინც ცხოვრებას ამნაირი საღი თვალით უყურებს და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებაც მისი ეკონომიური წარმატებით სწამს—ეს წიგნიც მხოლოდ მისთვის არის.

თავ. პლ. მ—ძე ლორთქიფანიძე.

სექტემბერი 15.

თფილისი.



ა ე ტ რ ი ს ა ლ ს ა რ ე ბ ა,

ის რასაც ოცი წლი განმავლობაში სათუთად ვოცნებობდი, ის რაც ამ ხნის განმავლობაში ჩემი გულითადი ნატვრა იყო ამისრულდა. წინამძღვარიანთ—კარის სასოფლო სამეურნეო სკოლის მესამე განყოფილების მოწაფე ვიყავი, როცა ცნობილ მეფუტკრე პროფ. ბუტლეროვის წიგნაკის „ფუტკრის“ თარგმნა დავიწყე მაგრამ ვერ შევიძელი. 1890 წელს ხსენებული სასწავლებელი დავასრულე, მას მერმედ მეფუტკრეობაზე ხელი არ ამიღია. გულწრფელად ვამბობ რომ ბევრი რამ მაკლდა. როგორც გამოუცდელს ბევრი მარცხიც მომსვლია. ბევრისაგან ღირსეული დაცინვაც განმიცდია, მაგრამ გული მაინც არ გავიტეხე. ფუტკრის სიყვარულით ყველაფერი ავიტანე. ხელმოკლეობისა და სხვა და სხვა ცხოვრების უკმაკური პირობების გამო დღემდე საკუთარი საფუტკრე ვერ გავიჩინე, მაგრამ ამ ოცი წლის განმავლობაში „სულს მაინც“ მოარული მეფუტკრეობით და სკების კეთებით „ვიპურებდი“. მეფუტკრეობით, გარდა კახეთისა, საქართველოს ყველა კუთხეში მიმეცადინია. ჩემს გამოცდილებას, დაკვირვებას, ხალხურ გადმოცემას, ადათს, ცრუ მორწმუნეობას, წიგნებ-ჟურნალებში შეხვედრილ ახალსა და ჩვენში გამოსადეგს ყველაფერს ერთად თავს ვუყრიდი, ვიწერდი წიგნში და „ავგაროზივით“ უფრთხილდებოდი; მრწამდა მე თუ არა სხვას ვინმეს მაინც გამოადგებოდა. მაგრამ ჩემი 15 წლის „ნაცოდვილენი“ ათას ცხრაას ხუთში, თავისუფლება მოკლებულს, უპატრონო კოლშვილის თავშესაფარ სახლთან. ერთად, ეს ჩემთვის დიდი განძიც გადამიბუგეს. უიმედობის ქიამ გულის ღრღნა დამიწყო, საოწარკვეთილება შემეპარა... მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ ამ სამიოდე წლის წინად თფილისში დაარსდა „კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოება“, რომლის წესდების გადაკითხვის შემ-



დევ იმედი ისევ განმიცხოველდა. დავრწმუნდი რომ, როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც მეფუტკრეობას მთარველი გასჩენია. საზოგადოების წესდებაში ამოვიკითხე, რომ საზოგადოებას მიზნათ დაუსახავს კავკასიაში მეფუტკრეობის აღორძინებას ხელი შეუწყოს, რისთვისაც ის სხვათა შორის ეცდება გამოსცეს მეფუტკრეობის სახელმძღვანელო წიგნები და სხვა. ამით წათამამებულმა ვიფიქრე შრომა შეძლებულა, თუ რამეს დავწერ და ნაწერი ყურადღების ღირსი იქნება ქირისუფალი ყავს, დამფასებელი ეშოვება. მტკიცედ გადავწყვიტე მეც მეცადა ჩემი ძალა, მეცადა ხალხის გასაგებ ენაზე მეფუტკრისათვის საჭირო წიგნის შედგენა და მსჯავრის დასადებათ წარმედგინა მეფუტ. საზოგადოებისთვის. ჩემდა საუბედუროთ, თუ უფრო საბედნიეროთ, სწორედ ამ დროს, (წასრულ ზაფხულს) ჩემი „წვერ მოტეხილი“ კალმის მიზეზით, როგორც „კრუ კორესპოდენტს“ სამი თვის „მონაწიება“ მომიხაჯეს. მეც ვისარგებლე შემთხვევით „ტყუილად ჯდომას, ტყუილად შრომა ვამჯობინე“. პირველად ვიფიქრე, რომელიმე მეფუტკრეობის სახელმძღვანელო წიგნი პირდაპირ გადმომეთარგმნა, მაგრამ როცა კარგად დაუკვირდი არც ერთი მათგანი ჩვენებურ ბუნებასა და ჰავაზე არ არის შედარებული, ყველაზე ახლო ბერტრანის „მეფუტკრეობის კალენდარი“ გამოგვადგება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს წიგნი ცოტა მოიძველებს, მისი დაწერის შემდეგ მეფუტკრეობას ბევრი რამ მოემატა. ამისათვის იქნება შევცდი მაგრამ გადმოთარგმნაზე ბევრით მეტი შრომა და დრო დაიხარჯა მაგრამ მაინც უმჯობესად ვცანი ყველა ცნობილი წყაროებით მესარგებლა, ჩვენებური ხასიათი მიმეცა და პირდაპირ შემედგინა. 40—50 სხვა და სხვა ტომის პატიმართ შორის, უსკამ—უმაგიდოთ შევუდექი შრომას, სრულს ორ თვე ნახევარს სხვა და სხვა წყაროებს ვქექდი და ამ წიგნის უმთავრესი ჩონჩხი ამ პირობებში დავასრულე. განთავისუფლების ერთი თვის შემდეგ გავკადნიერდი და ჩემი შრომა „საკონკურსოთ“ კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების მიერ

გამართულ გამოფენაზე წარვადგინე... წიგნი ოქროს მედლით დააჯილდოეს. მეფუტკრეთა საზოგადოებამ მისი გამოცემა გადასწყვიტა და რედაქტორობა სთხოვა თავის თავმჯდომარეს თავ. პლატონ მიხაილის-ძე ლორთქიფანიძეს.

„თქმა მართლისა ხესა შეიქს ხმელსა ნედლადა“ — სიმართლეს არაფერი სჯობია. დაე, ნურავინ იფიქრებს, რომ მე ამ შრომის ბოლომდე მიყვანა შემძლებოდა; ეს შრომა ავია, თუ კარგი, მეფუტკრეობის გატაცებული მოყვარულის, დიდათ პატრიცემული თავ. ლორთქიფანიძის არის. მე მხოლოდ დამრჩენია მისთვის უღრმესი მადლობის თქმა და მის წინაშე ბოდიშის მოხდა: მე რომ ისეთი ფაქიზი შრომა შემძლებოდა, რასაც ჩემგან ჩემი წიგნის რედაქტორი ითხოვდა, ეჭვი არ არის წიგნიც უკეთესი იქნებოდა.

ასეა თუ ისე, პირადათ მე ჩემი შრომით კმაყოფილი ვარ, მე რაც შეეძელ ჩემი მდგომარეობისა და ძალღონე — ცოდნის შესაფერად კიდევ ვეცადე. ვით ფუტკარი ყვავილიდან ყვავილზე მოუსვენრად გადადის, სათაფლო ნექტარს თავდავიწყებით ეძებს, არ სწამს კერძო საკუთრება, არ განიკთხავს ყვავილის პატრონს, ისე მეც, რამდენიც შემეძლო ყველა სახელმძღვანელო წიგნები და სხვა წყაროები გადავქექე, რაც ჩემის აზრით საჭირო და ჩვენებურ ბუნების შესაფერი იყო ყველას ცოტ-ცოტა წავართვი, რამდენადაც შეეძელ გავაჩვენებურე, რაც ვიცოდი ჩემი ჩავურთე და როგორც მესმოდა ისე თავთავის ალაგას დავალაგე. ამ ნაირად ჩემი, თუ სხვისი ქართველ მკითხველისთვის მიმირთმევი. საჭიროდ მიმაჩნია დავძინო, რომ რამდენადაც მე შემეძლო ვეცადე წიგნი მართო მშრალი, კერძოთ მეფუტკრეთათვის კი არ შემედგინა, არამედ სხვასაც წაკითხვა არ შეზარებოდა და წაკითხვის შემდეგ შეწყვარებოდა ფუტკარი და მეფუტკრეობა. ვეცადე არა მეფუტკრესაც, ბუნების მეტყველების მოყვარულსაც, შიგ მოყვანილი მცირე ცნობები გამოეტანა. მე ასე მგონია, რომ ჩვენ ქართველობას მშრალი, განყენებული კატეხიზმოს მაგვარი წიგნი არ

უყვარს. ამისათვის რამდენადაც გავახერხებ ისე რომ პირდაპირ საგნისთვის არ მეღალატა, წიგნს მივეცი მოთხრობის ხასიათი. ღრმად მწამს რა ენის სიტყვიზის დაცვა ყველა ერისათვის სავალდებულოა, რამდენადაც კი შემეძლო მეც ვეცაღებ.

ამასთან ვსთხოვ პატივცემულ მკითხველს მიიღოს სახეში ისიც რომ მე არ მყავდა არც სტილისტი და არც კორექტორი, თვით მე კი გულ წრფელად რომ ვალიარო, ქვემდებარეს შესმენილისაგან ძლივს ვარჩევ, სასვენ ნიშნების დასმა ხომ სულ არ ვიცი. მართალია ჩემი ასეთი აღსარება მე არ გამამართლებს, მაგრამ დანაშაულს კი შემომსუბუქებს. ჩემმა მკითხველმა ისიც უნდა მიიღოს სახეში რომ ეს წიგნი სიტყვა კა ზმული ნაწარმოები არ არის— სპეციალური წიგნია და მაშასადამე, ენის სიტყვიზის დაცვაც შედარებით ძნელი მოსახერხებელია.

რაც შეეხება ტერმინებს ამ მხრივ ხომ თქმაც ზედ მეტია. ყველამ იცის რომ ჩამორჩენილი ვართ. ან სულ არა გვაქვს ან და საქართველოს რამდენი პროვინციაა ტერმინიც, თუ მეტი არა, იმდენი მაინც არის. ამ სხვა და სხვაობაში მე ვეცადე ყველასათვის უფრო გასაგებისა და დანიშნულების ნამდვილი გამომხატველის არჩევა, ზოგი ტერმინი საკუთრად ჩვენ თვითონ შეგვექნა გამოსაგონი, არ წავგადგა ლექსიკონები.

დასასრულ გულ მხურვალეთ მივმართავთ ყველას, რაც შეცდომა შეგვეპარა საქმის სიყვარულის გულისათვის მიგვითითოს. გულწრფელ საღ შენიშვნას ყველასაგან დიდის მადლობით მივიღებთ და შემდეგისთვის მე, თუ არა სხვა მაინც ისარგებლებს.

ჩემს უღრმეს წრფელ მადლობას ვწირავ:

ა) თ. პ. მ. ლორთქიფანიძეს, რომელმაც გარდა ზემოთ მოხსენებული შრომისა არ დაზოგა არავითარი ხარჯი და რომლის თაოსნობით და უმთავრესი ხარჯის გაღებით ეს წიგნი დაიბეჭდა.

ბ) მადლობას ვწირავ მეფუტკრე მღ. მ. ალექსანდრე ჯალიაშვილს, რომელმაც ამ წიგნისთვის დაგვიწერა ფუტკრის აგებულობის აღწერა. (რომელიც ჩვენის რედაქციით იბეჭდება).

გ) უცხადებ მადლობას ყველა იმ პირთ, რომელთაც ჩემთვის ამ წიგნზე ერთი წლის მუშაობის დროს არ დაზოგეს, არც ნივთიერი და არც ზნეობრივი დახმარება; ასეთი პირები ბევრია და თავიანთ თავს ჩვენს მიუთითებლადაც იცნობენ.

აბ. წულაძე.

P, S. ეს წიგნი გვინდოდა გავვეყო სამ უმთავრეს ნაწილად: I ნაწილი თეორია, II პრაქტიკა და III-ში უნდა ყოფილიყო თავლის სამკურნალო მნიშვნელობა (მეცნიერების აზრით). მისი სხვა და სხვა სახით ხმარა, მისგან სხვა და სხვა სასმელების გაკეთება და მოკლე ბიოგრაფია (სურათებით), მეფუტკრეობის მოღვაწე პირთა. სამწუხაროთ, უსახსრობის გამო, ეს დასაბეჭდათ დამზადილი მესამე ნაწილი არ იბეჭდება.

ამ წიგნის შედგენის დროს უმთავრესათ ვხელმძღვანელობდით: ლანგსტროტ-დადანით, ბერტრანით, კუნახოვიჩით, დერნოვიტ. ლაიანს-ბონიეთი, იანიცკით, ბუტლეროვიტ, გორბაჩოვიტ, ლოგინოვიტ, სოლოვიოვიტ, ლუნკევიჩით, რუსულ პერიოდული მეფუტკრეობის ჟურნალებით და სხვა.

აბ. წულაძე.



ს ა რ რ ე ვ ი .

ბვერდი.

რქდაქტორისაგან	I
ავტორის აღსარება	VI
შესავალი (ხაწილი I)	1
საზოგადო წარმოდგენა ფუტკრების ოჯახზე	7
ფუტკრების აკებულების აღწერა, ანუ მკვლე ანატომიური გან- სილვა	8
შინაგანი აკებულება	14
სასქესო ორგანოები	16
სასუნთქო ორგანოები	19
სისხლის მოძრაობა	19
ფეჭა (სანთელი)	20
სანთლის თვისება	26
თაფლი	26
ჭეო. კაზარჭი (უვალიან მტკვარი)	29
დინდგილი	31
წული და მარილი	32
დედა ფუტკარი	33
როგორ იჩეკება ფუტკარი	41
ფუტკრების აღზრდა და მისი თვალსაჩინო ცხრილი	45
დედა ფუტკრის განყოფიერება	49
კვერცხის დება	52
სხვა და სხვა ხაირი დედა, ა, კაჭირუების დედა	54
ბ, სუტ დედა	56
მუშა ფუტკარი	59
მამალი ფუტკარი	66
ფუტკრების გრძნობა და გონიერება,	71
მხედველობა	71

XII

გემოვნება	72
უნსვა	73
შესება	74
სმენა	75
ფუტკრის გონიერება შრომაში	75
ფუტკრის საზოგადოებრივი ცხოვრება და მათი ზნე	80

ნაწილი II (პრაქტიკა)

ორიოდე სიტყვა მეფუტკრეთა საუურადღებოდ	85
საფუტკრე ადგილის შიდაშოს არჩევა	90
სად უნდა დაუდგათ სკები და როგორ მოვაწყოთ საფუტკრე	94
ფუტკრის შექმნა	97

(სიმყაყის გარეგნული ნიშნები, რა ნაირი სკა და რა ნაირი ოჯახი სჯობს შევიძინოთ. როგორ გამოვიცნოთ სიძლიერე).

რა დროს შევიძინოთ ფუტკარი	102
შექნილი სკების გადატანა	105
ფუტკრის ბინა წინადა და ესლა	108
ვინ მოიგონა ჩარჩოანი სკა	113
სხვა და სხვა უადის სკა?	116
როგორი უნდა იყოს კარგი სკა	117
დადან-ბლატის სკა	121
დადან-ბლატის სკის გაკეთება	123
დადან-ბლატის ჩარჩოს უშირატესობა	131
სკის შეღებვა	138
ფუტკრის ბინის გამოცვლა	141

(როგორ უნდა გვეჭიროს თავი ფუტკართან, ტანისამოსი, პირ-ბადე, საკომლე).

როგორ მოვერიდოთ ფუტკრის კბენას	146
რა დროს სჯობია ფუტკართან მუშაობა	147
როდის სჯობია ფუტკრის ჩარჩოან სკაში გადასმა	147
ფუტკრის გადაყვანა უბრალო სკიდან ჩარჩოან სკაში	148

(გადასმის საერთო წესი)

ფუტკრის გადასმა (იარაღები)	150
ფუტკრის გადასმა გეჟიდან ჩარჩოიან სკაში	157
ფუტკრის გადასმა სხვა და სხვა ძველებური სკებიდან ჩარჩო- იან სკაში	158
გადასმის სავალდებულო წესი	159
ფუტკრის გადასმა ჩარჩოიან სკიდან ჩარჩოიანში	160
ჩარჩოიანი სკების ხილვა	161

III

გაზაფხული

ფუტკრის მოვლა გაზაფხულიდან უხვ დალიანობამდე	164
სკების ხილვა გაზაფხულზე	166

(სკების გაწმენდა, ფსკერის (ძირის) გაწმენდა).

ხილვის შემდეგი საქმე	170
(ობოლი სკის მისწრება, სუსტ დედიანის მიშველება, ობოლი სკის დე- დის მიცემა, დედის გამოცვლა).	

უძლეური ოჯახების შეერთება (I საშუალება)	176
მეორე ხაირი საშუალება — ნაურული	177
სითბოს საჭიროება	178
საზრდო, მისი საჭიროება, მომზადება და მისი მიცემა	178
საკვები თაველის ფაფის მომზადება	180
(შაქრის ფაფა)	„
ფაფის მისაცემი ჭურჭელი	181
საკვების მიცემა	„
მშრალი და ხელაფხური ფიჭა	183
ხელაფხური ფიჭის შექმნა და მისი სინამდვილის გამოცნობა	184
ჩარჩოში ხელაფხური ფიჭის ჩაწებება	186

(სანიმუშოთ ფიჭის მიწებება და თვით ჩარჩოში ფიჭის ჩაწებება და
საჭირო იარაღები).

ბუდის გაფართოება — გაგანაიერება	190
---	-----

XIV

უხვ დაღიანობის შესახებდრი თადარიგი	192
გამოსარჩენი კვება	194

IV

ბუნებრივი ნაყარი (მართვი, ბარტვი)	197
ნამთაკარა ნაყარი	199
ნამქორედა ნაყარი (ნაბოლარა)	201
სხვა და სხვა შემთხვევა ურის დროს	204
იძულებითი ნაყარი (გაშარვა)	205
წინასწარი მზადება ნაყარის დასაბინავებლად (სხაყრე)	206
ნაყარის გამოსვლა	209
ნაყარის აკრეფა და დაბინავება	212
ნაყარის აკრეფის დროს და სხვა და სხვა შემთხვევა და სპეციალურ	216
დაბინავებულ ნაყარის ურის კლება	218
როგორ შევარჩიროთ ნაყარობა	219
ბუნებრივი ნაყარობის ნაკლი	221
ხელფუნური ნაყარი	223
როგორ გავაკეთოთ ხელფუნური ნაყარი	225

(გამოყოფა, განაწილება, შეკრება).

უჩარხო სკიდან ხელფუნური ნაყარის მიღება	230
სათადარიგო დედა	232
რომელ ოჯახს შეუძლია კარგი დედის აღზრდა	233
როგორ მივიღოთ სათადარიგო დედა	235
ხელფუნურად დედების გამოჩეკა	238
სხვა და სხვა ჯიშის ფუტკარი	241
დედა ფუტკარის ფოსტით გაგზავნა	245

V

ზაფხული, უხვი დაღიანობის დაწყება	248
როგორ გავიგოთ უხვი დაღიანობა	250
საკუჭნაოს გადაღება	251

(ჩარჩოების მომზადება და როდის გადავადგათ საკუქნაო).

საკუქნაოს გადადგმა და მისი მოვლა	253
დაღიანობის კათავუბა და საკუქნაოს აღება	255
სექციური შეურნება	258
სამეფო თაველი კრიბუტი	263
დაღის შეწვევა და მისი შედეგი	264
ქურდობა, მისი გაჩენის მიზეზი და მისი მოსასწაობი ზომები	265
თაფლის დაცლა ციბრუტით	269

(სარაქის დასაცლელად მომზადება, როგორ დავცალოთ სარაქი, ქურბ-ლებში ჩასხმა, შენახვა, ამჟავებელი თაფლი).

დაცლილი ფიჭის უკან დაბრუნება	274
თაფლის გაყიდვა	275
ყაღბი თაფლის გამოცნობა	275
მაწეინარი, მათრობელა თაფლი	276
მთა-ბარობა	277

VI

შემოდგომაზე სკების ხილვა	282
------------------------------------	-----

(საზამთრო მზადება)

ზამთრის მოლოდინი და სკების საზამთროდ გამზადება	284
საზამთროდ სკების მომზადება	287
სარჩოს დატოვება	288
როდის და როგორ გავამზადოთ სკები საზამთროთ	291
ჰაერის სჭირება	292
დაბინავებული სკის ყურის კლება	293
დაცლილი ფიჭის შენახვა	294
ფიჭის სხითვად გადაღობა	294


(მზით სანთლის საღებო, კუნანოვიჩის სანთ. საღებო მანქანა)

VII

ფუტკრების ჯვადმოფობა—სიმეყე	299
---------------------------------------	-----

(რა არის სიმყაყე, როგორ გამოვიცნოთ სიმყაყე, სიმყაყის თავიდან
აშორება, ექიმობა, როგორ უწამლოთ, შესაორთქლებელი მანქანა,
შეორთქლება, სკების გაწმენდა).

ფაღარათი	309
ფუტკრის შტრები	310
(ჩრჩილი, მელეღვია, ლაქო და სხვ.)	
თაფლფავანი მტენარები	316
მეფუტკრის კალენდარი	319
დასკვნა	324
მეფუტკრეობის ახლად დამწყებთა საგულისხმოდ	325
ხუთ ოჯახიანი საფუტკრის ხარჯთ აღრიცხვა	328





ფუტკარი და მეფუტკრობა

ნ ა წ ი ლ ი ვ ი რ ვ ე ლ ი .

თეორია.

I.

შ ე ს ა ვ ა ლ ი .

ბუზი სუყველა ბზუისო,
ფუტკართან ყველა სტყუისო.
სალხურა ანღაჭა.

მეფუტკრობას ჩვენში უხსოვარი დროიდან მისდევდნენ, ძველ დროს ის შეადგენდა მოხუც მამაკაცების ხელობას. მოხუცებულებიც დიდის რიდით, მოწიწებით და პატივისცემით უვლიდნენ ფუტკარს იმდენათ, რამდენათაც ესმოდათ მათ მოვლა. საფუტკრეში ფუსფუსი, ფუტკრის მოვლა, მათ თავიანთ სამღვთო ვალათ მიაჩნდათ; ძველთაგან გადმოცემული ხალხური გამოცანა:

„სახლი დავდგი ხისაო არა ნაფოტისაო,
შედიან და გამოდიან ანგელოზნი ღვთისაო;“

ნათლად აღნიშნავს, თუ როგორის ღვთიურის კრძალვით უცქეროდნენ ჩვენი წინაპრები ფუტკრებს, დიანაც რომ ფუტკარი იყო და არის უმაღლესი პატივისცემის ღირსი, რადგან—

„ის სულ სხვაა, სულ სხვა მუშა
და სხვა გვარად მოღვაწეო,
ზეცის მუშას ეძახიან,
არ არს მართო სამიწეო!..“

როგორც ხედავთ, ხალხის გულის საიდუმლოების სხარტულათ გამომხატველი მგოსანიც ფუტკრებს ზეცის მუშას ეძახის; პოეტიც პოეტურათ, მხატვრულათ უგალობს—ხალხურსავე საგალობელს და აღიარებს, რომ ფუტკარი ღვთის მწერია.

ამის შემდეგ რალასაკვირველია, თუ ჩვენი ძველი მეფუტკრეები ფუტკრებს უვლიდნენ დიდის სამღრთო მოწიწებით და ღირსეულათ აფასებდენ ამ „ღვთის ანგელოზებს“. საფუტკრეს ისინი საიდუმლოთ ინახავდნენ, იცოდნენ, ფუტკრის ლოცვა; წელიწადში ერთი დღე ფუტკრის ღმერთის სალოცავ დღეთ ჰქონდათ აღიარებული და სხ. ფუტკრები ყავდათ მყუდრო ადგილას, უცხო თვალს მოშორებული. გარეშე კაცის საქმეში ჩარევა, საფუტკრეში მისვლა, რისამე გამოკითხვა, მუშაობაზე დაკვირვება და სხვა ძლიერ ეჯავრებოდათ. ერთი სიტყვით, მეფუტკრე თავის ხელობას, თავის ცოდნა-გამოცდილებას გარეშეს ძლიერ იშვიათად გადასცემდა; მათი სურვილი იყო ფუტკრის მოვლა სხვას არ ესწავლა; ღრმათ მოხუცების შემდეგ თავის უფროს ვაჟს თუ მოიშველიებდა, სხვას არა. სხვათა შორის ეს იყო მიზეზი, რომ მეფუტკრეობა ძლიერ ნელა ვრცელდებოდა... ძველი მოხუცი მეფუტკრე თავის სინარბეს და უვიცობას სარჩულათ უდებდა ათასგვარ ცრუ მოარწმუნეობას და იმით იმართლებდა თავს; მას სწამდა ავი თვალი, უბედური კვიმატი ფეხი, ხელის გადაყოლა და სხვა.

სხვათა შორის ამ ჩვეულების მიზეზით აიხსნება ისიც, რომ ქართველ მეფუტკრეებს მეფუტკრეობაში არავითარი გაუმჯობესობა არ შეუტანიათ. მათი კარჩაკეტილობის მიზეზით არაფერ ახალს არ იძენდნენ—დღესაც უსწავლელი მეფუტკრე ისე უვლის ფუტკარს, როგორც უვლიდნენ მათი წინაპრები რამდენიმე ათეული საუკუნის წინ.

გარდა უბრალო მოხუც გლეხისა წინათ ფუტკრებს უვლიდნენ ღვთის მსახურნიც, მღვდლები და მონასტრის ბერები. ეს ხელობა მათთვის სწორედ რომ ზედ გამოჰკრილია, მაგრამ სამწუხაროთ დღეს სულიერი მამები ძლიერ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ „ღვთის ანგელოზების“ მოვლას. სულიერ მამებში მეფუტკრეობის მიმდევარი თითზე ჩამოსათვლელია, მაგრამ სიამოვნებით უნდა მოვიხსენიოთ, რომ მაგალითის მიმცემი ნასწავლი მეფუტკრეები მათშიაც მოიძებნება; დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგში მეტი აღმოჩნდება ამ ღვთისა და კაცის სასიამოვნო მწერის მოვლის შესწავლის მსურველი. დროც არის ჩვენმა სამღვდლოებამაც ისარგებლოს სხვისი მაგალითით. ფუტკართა ცხოვრების საფუძვლიანათ მცოდნე, ჩარჩოიანი სკის გამომგონი, მეფუტკრეთა მ.მათ მთავარი, **ლანგსტროტი** მღვდელი (პასტორი) იყო. რუსებსაც ყავს ბევრი გამოჩენილი მეფუტკრე სამღვდლო პირებიდგან, ბევრ მათგანს მეფუტკრეობის სახელმძღვანელო წიგნებიც კი აქვს შედგენილი. წარმოიდგინეთ რუსის სოფლელი მღვდელი, მამა უსპენსკი, პარიჟის აკადემიამ მეფუტკრეობის სახელმძღვანელო წიგნის შედგენისათვის თავის წევრათ შერაცხა.

როგორც აღვნიშნეთ ჩვენი წინაპრები ღვთის პატივისცემით უვლიდნენ ფუტკრებს, მაგრამ რაკი ფუტკართა ცხოვრება საფუძვლიანად არ იცოდნენ, არც ფუტკრის გონივრული მოვლა ესმოდათ; ძველებურ ადამისეულ გეჯებში, კოდებში და ბუკებში არც შესაძლებელი იყო ფუტკრის წესიერი მოვლა; ამისთვის იყო, რომ ძლიერ ხშირათ ამ „ღვთის ანგელოზებს“ თაფლის გულისთვის გასაქრობადაც (გასახელებლათ, დასავესებად) იმეტებდნენ.

ცხოვრების წინ-სვლამ, განათლების გავრცელებამ ყველაფერს იავეისი მადლიანი დალი დაასვა. ასე მოხდა ფუტკრის საქმეშიაც; ნასწავლმა კაცებმა ამ სასარგებლო მწერს თავისი ყურადღება მიაქციეს, ზოგმა დაწვრილებით შეისწავლა მისი აგებულება, ცხოვრება, ზნე-ხასიათი, შეიგნო მისი

მოთხოვნილება, საჭიროება და სხვა. ზოგი გულ მოდგინეთ შეუდგა ფუტკრების ბინის გაუმჯობესების საქმეს, ზოგმაც სხვა და სხვა ხელ-საწყო იარაღ-მანქანები მოიგონა და ამ რიგათ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში მეფუტკრეობა აყვავდა; გაადვილდა მისი მოვლადა თან გაადვილებულ მოვლასთან ერთად თუ მეტად არა, ერთი ოთხადიმატა ფუტკრის შემოსავალმაც. მოხუცებულ უსწავლელ გლეხებს ეს ხელობა ნასწავლებმა ჩამოართვეს, თუ წინათ ფუტკარს ტყაბუჭიანი, ქალამნებ გაცვეთილი, წვერ-მოშვებული გლეხი უვლიდა, დღეს ვხედავთ რომ პროფესორი არამც თუ არ თაკილობს ფუტკრის მოვლას, სასახელოდაც მიაჩნია ეს ხელობა.

პირველათ გონივრული მეფუტკრეობა ევროპაში და ამერიკაში დაიწყო. სხვებს არც რუსებო ჩამორჩნენ, მათაც შექმნეს მეფუტკრეობის მწერლობა, გამოსცეს სპეციალური მეფუტკრეობის ჟურნალები, დაარსეს მეფუტკრეთა საზოგადოება და მეფუტკრეობა აღორძინების, წინსვლის გზაზე დააყენეს. რუსეთს შემდეგ აქა იქ კავკასიაშიც მოჰკიდეს ხელი ფუტკრის გონივრულ მოვლას, მაგრამ ვაი ჩვენი ბრალი, ქართველებს აქაც სხვებმა გვაჯობეს. ჩვენ ჯერჯერობით კავკასიაშიც სხვა ერების მეფუტკრეობაზე დიდათ ჩამორჩენილი ვართ.

როგორც ყოველ დარგს მეურნეობა-მეცნიერებისას, ისე მეფუტკრეობასაც ყავს თავისი მოძღვრები, მასწავლებლები; ზოგი მათგანი პროფესორია, ზოგი ექიმი, ზოგი მღვდელი ზოგიც სამხედრო პირი, მასწავლებელი და სხვა. თუ წინათ მეფუტკრეობას მარტო მამა კაცები მისდევდნენ, დღეს ვხედავთ, რომ ქალებმაც მიჰყვეს ხელი. წარმოიდგინეთ, საზღვარგარეთ და რუსეთშიაც არიან ისეთი ქალები, რომლებმაც ისე კარგათ შეისწავლეს ფუტკრის მოვლა, რომ სახელმძღვანელო წიგნებიც კი შეადგინეს. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ დიდი უმეტესობა ცნობილი მეფუტკრე ქალებისა იმ წოდებას ეკუთვნიან, რომელიც წინათ განცხრომა-ფუფუნებაში ატარებდა დროს. ქალებს მამაკაცებზე ნაკლებათ არ შეუძ-

ლიათ ფუტკრის მოვლა—პირ იქით ბევრში ისინი მამაკაცებს კიდევ აჯობებენ და ამისთვის ფიზიკური ძალაც შესწევთ. ქალებს ყოველთვის შეუძლიათ და მეტი დროც აქვთ ფუტკრებს მუყაითად მოუარონ, მათ კაცებზე მეტათ უყვართ სიფაქიზე, წესიერება, ეხერხებათ ნაზი, სათუთი მზრუნველობა გამოიჩინონ, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ღირსებით უნდა იყოს შემკული მეფუტკრე—მაშასადამე, თუ ქალები სიზარმაცეს ვარს ყოფენ, კაცებზე უკეთესი მეფუტკრეები იქნებიან.

დამტკიცებულია, რომ ვინც ერთხელ დაიწყო მეფუტკრეობა, ძლიერ იშვიათად აიცრუებს მაზედ გულს. ძლიერ ბევრს იმდენზე გაიტაცებს, რომ თავდავიწყებით შეუყვარდება ფუტკარი. ერთი მეფუტკრე ამბობს: „კურთხეულ იყოს ის დღე, რა დღესაც მე მეფუტკრეობა დავიწყე!“ არც საკვირველა მეფუტკრეს მეფუტკრეობა შეუყვარდეს, საჭიროც არის, რადგან მხოლოდ იმას შეუძლია თავის და ფუტკრის სასარგებლოდ მოუაროს ფუტკარს, ვინც მას (ფუტკარს) გატაცებით შეიყვარებს. ჭეშმარიტებათ არის აღიარებული, რომ მეფუტკრეობა მეფუტკრისათვის ბევრით არის სასარგებლო; გარდა ნივთიერათ დაჯილდოებისა ესე იგი თაფლ-სანთელის მიცემისა ფუტკარს მის მომვლელებზე სხვა სასარგებლო გავლენაც აქვს: მუდამ სუფთა ჰაერზე ფუტკართან ყოფნა, საფუტკრის განსაკუთრებით საჯანმრთელო სუნი, თაფლის ჭამა, ფუტკრის კბენა—ყოველივე ეს ადამიანს აჯანსაღებს. მშრომელ ფუტკართა გუნდის ცქერა ადამიანსაც საშრომლათ აქეზებს, სულიერათ ატკობს, ახალისებს, აკეთილშობილებს.

ზემოთ მოხსენებულს დიდი სულიერი გავლენა ჰქონდა (და ყოველთვის ექნება) ახალ თაობაზე; ბავშვები დიდის ხალისით მისდევდნენ საფუტკრეში თავიანთ საყვარელ პაპას, ანუ ბაბუს. აკვირდებოდნენ ფუტკრების განუწყვეტლივ შრომას, წეს-რიგს სისუფთავეს და ყოველივე ეს უმანკო ბავშვის გონებაში აღიბეჭდებოდა და მომავალში სასურველათ მოქმედებდა.

ვინც ოდნავ კი არის დაკვირვებული, იცნობს მე-

ფუტკრეებს, ის უეჭველია დაგვეთანხმება, რომ მეფუტკრეების დიდი უმეტესობა ჯან მრთელებია, დიდხანს ცოცხლობენ, მშვიდობისა და შრომის მოყვარულებია. ყოველივე ზემოთ თქმული ვინც კარგათ გაითვალისწინა, დარწმუნებული ვარ დამეთანხმება, რომ ფუტკარი მართლა ღირსი ყოფილაგონივრული მოვლის, და რომ ეს შეეძლოთ, საჭიროა მისი ცხოვრების შესწავლა, სხვა ერს ნურც ჩვენ ჩამოვრჩებით და—თუმც გვიან, მაგრამ აწ მაინც ვეცადოთ გავიცნოთ ეს ყოველათ სასარგებლო მწერი, რადგან საგანი, რომლიდგანაც რაიმე სარგებლობას გამოვვლით, აუცილებლათ საჭიროებს ყოველ მხრივ შესწავლას.

მეფუტკრეობის და ფუტკართა ცხოვრების საფუძვლიანი მცოდნე პროფესორი ცესელსკი თავის უკვდავ მეფუტკრეობის წიგნში აი რას გვიჩვენებს:

„ადამიანო, გვირგვინო ყოველთა, ქმნილებათაო! გახსოვდეს რომ ზეციერმა შემოქმედმა შენ და შრომის მოყვარე ბეჯით ფუტკრებს არსებობის ერთ ნაირი უფლება მოგანიჭათ; ნუ დასჩაგრავ მათ და ნუ დახოც; არამედ, თუგსურს მოაშენო ისინი, ყველაზე უწინ საფუძვლიანათ გაეცანი მათ ცხოვრებას: შეისწავლე მათი ზნე-ჩვეულება, შეიგენ მათი მოთხოვნილება, რომ არ დარჩე ფუტკრებისათვის სისხლის მსმელი ჯალათი, არამედ მათი მეგობარი და კეთილის მყოფელი შენსავე სასარგებლოთ.“

სხვა ადგილას იგივე ცესელსკი გვასწავლის:

„ფუტკრების წყალობით ყოველად ღარიბ კაცს შეუძლია შეიძინოს ქონება, უკეთუ ფუტკრებს მოუვლის გონივრულათ და ბეჯითად. ფუტკრები ეს ერთად ერთი მუშაძალაა, რომელსაც დაუღალავათ ყოველის მხრიდგან მოაქვს საშოვარი, დღლა თავის პატრონისათვის. ფუტკრებისათვის არ არსებობს არავითარი სახელმწიფოს საზღვარი, არც თემური მიწის მფლობელობა, არც მებატონის კერძო საკუთრება—ის ღალას, საშოვარს, ყველგან ერთ ნაირი უფლებით აგროვებს

და, რაც უმთავრესია, აგროგებს ისეთ დაღას, რომელიც უმისოთ დაკარგული, მოუხმარელი იყო. აგროგებს რა სათაფლო ტკბილ წვენი სხვის კუთვნილ ყვავილებისაგან, ამით ის ეხმარება, ხეოს უწყობს ყვავილების განაყოფიერებას, ეშველება ნაყოფის გამოღებას, მაშასადამე ასჯერ მეტად აჯილდოებს ყვავილის პატრონს, ყვავილის ტკბილი წვენით სარგებლობისათვის“.

მეცნიერთა წყალობით დღეს მსურველს შეუძლია დაწვრილებით გაიგოს ფუტკრების ცხოვრება, მათი შინაგანი აგებულება, მართვა-გამგეობა, წეს-რიგი, აგრეთვე შეუძლია შეისწავლოს მათი გონივრული სახეირო მოვლაც.

საზოგადო წარმოდგენა ფუტკრების ოჯახზე.

ფუტკრები მწერთა ოჯახობას (კლასს) ეკუთვნიან, ცხოვრებენ ერთათ და შეადგენენ ერთ საზოგადოებას; რომელიმე წევრს ფუტკართა საზოგადოებისას ცალკე ცხოვრება არ შეუძლია; საზოგადოებას მოკლებული მხნე ფუტკარი ზაფხულის ოდნავ ნოტიო ღამესაც კი ვერ უქლებს. როგორც ძუძუ მწოვარა ბავში ვერ იცხოვრებს უოჯახოთ, უპატრონოთ, ისე ფუტკარიც კვდება საზოგადოებას მოთიშული.

ფუტკრები ცხოვრებენ ცალკე ოჯახათ, ერთი ოჯახი ერთ საზოგადოებას შეადგენს. ბინას, რომელსაც ადამიანები ფუტკრების საცხოვრებლათ აკეთებენ, ქვია სკა (ბუკი, ბიკვი, როფი, კოდი, გეჯა და სხვა). ერთ სკაში ცხოვრობს ერთი დამოუკიდებელი ოჯახი, საზოგადოება, მეორე სკის ოჯახთან მას საერთო არაფერი აქვს.

როცა ჩვენ ვამბობთ სკა, ოჯახი, მაშინ ჩვენ ვგულისხმობთ ფუტკართა კრებულს, საზოგადოებას, რომელსაც შეუძლია იარსებოს. იცხოვროს სხვის დაუხმარებლათ.

ფუტკრების საზოგადოებაში, ანუ როგორც შემდეგში ვიხმარებთ, ოჯახში არის ერთად ერთი დედა ფუტკარი, რამოდენი-

მე ათასეული მუშა*) (ლონიერ, ძალუმ, ოჯახში ასი ათასამდე მუშა ფუტკარი შეიძლება იყოს.)

გაზაფხულის გასულს და ზაფხულობით სკაში არის აგრეთვე რამოდენიმე ასეული მამალი ფუტკრები.

დედა ფუტკრის ერთად ერთი საქმეა კვერცხების დება და მით შთამომავლობის გამრავლება, აღორძინება; მუშა ფუტკრებს ევალება გამუდმებული შრომა და ოჯახის ყოველ გვარი საქმის ასრულება, მამლებს შეუძლია მხოლოდ უქორწინებელ დედა ფუტკართან შეუღლება, მისი დამამვლა, დაპეველა. სამივე ჯურის ფუტკრები ბუნებისაგან ისეა დაჯილდოებული, რომ შეუძლიათ აღასრულონ ბუნებისაგანვე დაკისრებული საზოგადო საქმე.

ფუტკრების აგებულების აღწერა, ანუ მოკლე ანატომიური განხილვა.

ფუტკარს, როგორც საზოგადოთ ყოველგვარ მწერს, არა აქვს ჩონჩხი, ე. ი. ერთმანეთთან დაკავშირებული ძვლები, რაზედაც აშენებულია ტანი ცხოველისა; ჩონჩხის მაგიერობას კი უწევს ეგრეთ წოდებული გარედკანი, რომელიც ზოგან სქელი და მაგარია; ზოგან კი — რბილი და მოქნილი.


ტანი ფუტკრისა შესდგება სამი უმთავრესი ნაწილისაგან: **თავისა, მკერდისა და მუცლისაგან.**

თავი. გარეგნული შეხედულობით ფუტკრის თავი ისეთი მოყვანილობისაა, როგორც გული სხვა ცხოველებისა და შეერთებულია მკერდთან მოკლე კისრით. მისი უმთავრესი ნაწილები არიან: **თვალეები, უღვაშები და პირი.**

თვალეები ფუტკარს ორგვარი აქვს: რთული და მარტივი. რთულს ეძახიან იმგვარ თვალებს, რომლებიც მრავა-

*) ხუთი ათასი მშვიერი ფუტკარი იწონის ერთ გირვანქას, მაძლარი კი ოლხი ათასი.

ლი, განუვითარებელი მარტივი თვალებისაგან შესდგებოდა. ასეთი თვალები ფუტკარს მხოლოდ ორი აქვს. მარტივი თვალი კი თითოეულ ფუტკარს სამ სამი აქვს და მო-




სურათი 1.—მუშა ფუტკარის თავი.

ა—მარტივი თვალი (სურათზე სამის ნაცვლათ ერთი მოსჩანს, რადგან დანარჩენი ორი ქოჩორზეა.) ბ—ბ—რთული თვალები. გ—გ—ულვაშები (ე, ე, ზ, ი, კ, ლ—პირი.) ე—ზედა ტუჩი. ე—ე—ყბები (ჩანები) ზ—ზ—ქვედა ტუჩი. ი—ი ქვედა ტუჩის ულვაშები. კ—ხოროთუმი, რომელიც თავდება კოვზუკათი—ლ.

თავსებულა თავზე საკუთხად. რთული თვალები-კი, შესამჩნევად უფრო მომსხონი არიან მარტივ თვალეზე და სხედან საფეთქლებთან. გამადიდებელის შუშის (მიკროსკოპის) საშუალებით ფუტკარის რთულ თვალეებში შეუნიშნავთ რამოდენიმე ათასი განუვითარებელი ექვს კუთხედი პაწია თვალეები. ასეთი თვალეები მამალ ფუტკარებს უფრო მეტი აქვთ, (13000-მდე) ვიდრე მუშებს და დედას. ამ რთული თვალეების არსებობით

უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ფუტკრები თითქმის ყოველ მხრივ ჰხედავენ.



სურ. 2.

მარცხნით სურათი წარმოადგენს ბევრად გადიდებულს, რამოდენიმე ნაწილს რთული თვალებისას, მარჯვნივ კი იგი რთული თვალი სიღრმეზე გაჭრილი.

ულვაშები ფუტკარს ზედ შუა სახეზედ ასხია. იგი მათრახს წააგავს და შესდგება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტარისა და შოლტისაგან. ბოლო ულვაშისა, ანუ შოლტი, შესდგება პატარა მრავალი მძივების მაგვარ რგოლებისაგან, რომლებიც მგრძნობიარე ბუსუსებით არიან შემოსილი. ამ რგოლების რიცხვი ყველა ფუტკარს ერთგვარი არა აქვს; მაგალითად მუშა ფუტკრის ულვაშის ბოლო შესდგება 11 რგოლისაგან, ხოლო დედისა და მამალი ფუტკრის კი 12 რგოლისაგან. დანიშნულება ულვაშისა ფუტკრის ცხოვრებაში ერთობ დიდია: იგი ასრულებს ყნოსვისა, შეხებისა და სმენის ორგანოთა დანიშნულებას. ულვაშ დაგლეჯილი ფუტკარი ყოვლად უვარგისი წევრია ფუტკართა ოჯახში, ვინაიდან იგი მოკლებულია სამს ზემოხსენებულ გრძნობას.

პირის ნაწილები დედას და მამალ ფუტკრებს უფრო ნაკლებ აქვთ განვითარებული, ვიდრე მუშას.

პირის ნაწილები არიან: ზედა ტუჩი ორის ყბით, (ჩანით) და ქვედა ტუჩი აგრეთვე ორი ყბით და ხორთუმი. ზედა ყბები, რომელნიც გარდვიარდმო მოძრაობენ, შედარებით უფრო მაგრები არიან და მათი საშუალებით ფუტკარი ღრღის, აპობს ჯერ ისევ გადაუშლელს ყვავილს, იღებს კვირტებიდან წებოს—დინდგლს, ეზიდება უფრო მძიმე საგნებს სკიდან, აკლის ზედაპირს გადაბეჭდილს ფიჭებს და სხვ ხორთუმი-კი უფრო ნაზია; იგი მილის მაგვარია და დაბოლოებულია პატარა კოვზუკათი—პატარა ენით, რომლის შემწეობითაც ფუტკარი სწუწის ყვავილიდან სიტკბოს, გადააქვს ხორთუმის მილში და იქიდან კიდევ—თვით სათაფლე ჩინჩახვში.

მკერდი ფუტკრისა ძლიერ მკიდროთ არის შემოსილი ბუსუსებით და შესდგება სამი ნაწილისაგან: **წინა-მკერდისა, შუა-მკერდისა და უკანა-მკერდისაგან.**


წინა-მკერდზე მოთავსებულია წინა ფეხები, შუა მკერდზე— შუა ფეხები და ფრთები, ხოლო უკანა მკერდზედ—უკანა ფეხები. შუა-მკერდი და უკანა მკერდი უფრო განვითარებულნი არიან, ვიდრე წინა, —ეს იმიტომ, რომ მათში მოთავსებულნი არიან მრავალი კუნთები, რომლებიც ამოძრავებენ ფეხებსა და ფრთებს

ფეხები ფუტკრისა, როგორაც მისი გარე-კანი და განსაკუთრებით, მთელი მკერდი, შესდგება რქა-მაგვარი ნივთიერებისაგან. იგინი მეტად კუნთოვანნი და მოძრავნი არიან. ფეხის ნაწილებია: ბარძაყი, ტაბუხის თავი, თქო, წვივი და თათი თავისი ოთხსახსროვანი ბოლოებით. ეს უკანასკნელი ბოლოვდება ორი პატარა ბრჭყალით, რომელთა შორის მოთავსებულია მუდამ სველი პატარა ბალიში; მისი შემწეობით ფუტკარს შეუძლია იაროს ისეთს მოლიპულ საგნებზე, როგორც არის მაგალითად შუშა და სხ.



ფუტკრის ფეხი შუშაზე.
ა—შუშა (მინა), ბ—ბალიში, გ—კანკი, ვ—ბუსუსები.

გარდა ამისა, უკანა ფეხების წვივებზე. გარეთა მხრივ, შეამჩნევთ ჯამ მაგვარ ამოღრუტუნულ ადგილებს, ირგვლივ ბუსუსებით შემოსილებს, რომლებსაც მეფუტკრეობაში უწოდებენ **გიდელას**, **კალათს**. ამით ფუტკარი ეზოდება ყვავილის მტვერს, დინდგილს და სხ. მეორე მხარეზე-კი (შიგნით) ატყვია ოქროს ფერი ბუსუსის გარდიგარდმო ზოლები, რომლებიც შველიან ფუტკარს ყვავილის მტვერის შეგროვებაში. ამ ნაწილებს—გიდელას და ბუსუსის ზოლებს—მოკლებულნი არიან დედა და მამალი ფუტკრები. სამაგიეროთ, უკანა ფეხები იმათ უფრო სქლად აქვთ შემოსილი ბუსუსებით. გარდა ამისა უკანა ფეხების წვივებზე, საცა ივინი თავდებიან, შეამჩნევთ კბილებიანს, ესრედ წოდებულს, **მაყაშს** (щипцы), შუა ფეხებ-



სურ. 3.

მეშა ფუტკრის უკანა ფეხები.


მარჯვნივ პირველი: **ბ**—ბარძაყი, **ტ**—ტაბუხის თავი, **თ**—თეძო, **წ**—წვივი, **ე**—თათის ბრჭყალები, **დ**—გიდელა.

შეაზედ დახატულია უკანა ფეხი იმ დროს, როცა ის დატვირთულია ყვავილის მტვერით (ჭეოთი).

მარცხნივ სურათი წარმოადგენს უკანა ფეხის შიგნითა მხარეს, რომელზედაც ატყვია ზოლები—**წ**.

ზედ—სადგისის მაგვარს **დეზს** (шпорецъ) და წინაფეხებზედ —მრგვალს სავარცხელს დეზითურთ. პირველს, ე. ი. მაყაშს, ფუტკარი ხმარობს მუცლიდგან სანთლის ასაძრობად, დეზს—გიდლიდან კაპარქის, ანუ ყვავილის მტვერის ამოსაღებად, ხოლო სავარცხელს—უღვაშების გასასუფთავებლად.

ფრთები ფუტკარს მეტად თხელი და გამჭვირვალე აქვს, რომლებშიაც უჯრა-უჯრად დაფანტულია მაგარი ძარღვები. დასვენების დროს უკანა ფეხები წინა ფრთებს ქვეშ აწყვია, ხოლო ფრენის დროს-კი შლის მათ და აბამს ორთავე მეზობელ ფრთებს ერთმანეთს წვრილ-წვრილ კბილების შემწვობით, რომლებიც მოთავსებულია უკანა ფრთების წინა პირზე. ამგვარად ოთხივე ფრთა შეადგენს თითქმის ერთ ფრთას და ჰაერს უფრო მედგარს წინააღმდეგობას უწევს ფრენის დროს.



სურ. 4.—ფუტკარის ფრთები.

ზევიდგან მოსჩანს დიდი ფრთა, ქვეით პატარა ფრთა, რომლის ზედა პირზე ატყვია გადსახამი პაწია კბილები. (მარჯვნივ (პროფილში) კბილებით გადაბმული ფრთებია)

მუცელი ფუტკარისა შესდგება ექვსი (მამლისა—შვიდი) ბუსუსიანი რგოლებისაგან, რომლებიც ისე არიან გადაქდობ-გადაბმულნი ერთი მეორეზე, რომ სუნთქვის დროს თავისუფლად მოძრაობენ ერთი მეორეში, რის გამოც თვითონ ფუტკარი ხან იკუმშება რეზინივით, ხან იძაფება. თვითეულს რგოლში, გარდა უკანასკნელისა, მოთავსებულია თითო წყვი-


ლი ქუქრუტანა, რომელთაც სასუნთქი ნაპრალები ეწოდება, რადგანაც იმათი შემწეობით სუნთქავს ფუტკარი. ასეთი ნაპრალები ფუტკარს 14 აქვს (მამალს—16)

გარდა ამისა, მუშა ფუტკრის მუცელზედ შემჩნეულია ერთ გვარი ნაპრალები—საიდანაც ჟონავს ქენჭი, ქონი, სანთელი. ასეთი ნაპრალები რიცხვით რვაა და მოთავსებულნი არიან უკანასკნელ ოთხ რგოლზე.

შინაგანი აგებულება.

სურათი მე 5 წარმოადგენს ფუტკრის შინაგან აგებულობას, რომელიც შესდგება: 1, კუჭისა, 2, სასქესო და 3, სასუნთქი ორგანოებისაგან.

1. კუჭის ნაწილები არიან: ზემოთ აწერილი ხორთუმი პაწია ენით, რომლითაც ფუტკარი სწუწნის ყვავილებიდან სიტკობს—თაფლს. აქედან საყლაპავის (დახედე 9) საშუალებით მას გადააქვს ყელიდან გოგრის (მწარეკვახის) მაგვარ ჩინჩახეში (დახედე 5-22) ეს უკანასკნელი უერთდება კუჭს (დახედე 20) და რომლის გახსნა-დახურვა ფუტკრის ნება-სურვილზე არის დამოკიდებული. იგი ყოველთვის დახურული აქვს ფუტკარს, როდესაც მინდვრათ გახურებულ მუშაობაშია; იმ დროს იგი სიხარბით ივსებს ჩინჩახეს, გამალებით მიჰქრის შინისკენ და, დაიცლის რა ფიჭის უჯრებში თაფლით დატვირთულ ჩინჩახეს, ხელ ახლა მიფრინავს ყვავილებისაკენ ახალი სარჩოს მოსატანათ. ასე მოქმედობს იგი შრომის დროს, ხოლო, როდესაც მას მოშვიდება, მაშინ იგი ხსნის კუჭის თავს და ჩინჩახვიდან ჩაუშვებს კუჭში იმდენს საზრდოს, რამდენიც საჭიროა მისთვის. შემდეგ ამ მანქანას ისევე ხურავს. ერთხელ გავსებული ჩინჩახვი ფუტკარს რამდენსამე დღეს ყოფნის, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ახალს ნაყარს, შიმშილის მხრივ არავითარი საფრთხე არ მოელოს, რადგანაც ყრის დროს ფუტკრები ძველ ბინაზედვე ხარბათ ივსებენ ჩინჩახეს თაფლით და შემდეგ დიდს სიფრთხილით იზოგვენ მას.



სურ. 5.

ფუტკრის შინაგანი ორგანოები (ავებულეზა)
(კოფენიკოვით.)

- 1—ულეაში; 2—რთული თვალი; 3—ტვინი; 4—4—სასუნთქი მილი;
5—მუცლის ნერვების კვანძი; 6—ნერვები; 7—გულის ნერვების კვანძი;
8—ნერვები; 9—საყლაპავი; 10—საფრენი ბუშტი; 11—სასუნთქი; 12—
წინა ფეხი; 13—შუა ფეხი; 14—უკანა ფეხი; 15—შხამის ბუშტი; 16—

თირკმელები ანუ „მალპიგის“- მილები. 17—უკანა ნაწლევების ჯირკვე-
ლი; 18 და 26—შხამის ჯირკველი (დიდი და პატარა); 19—ისარი; 20—
კუჭი, შუა ნაწლევი; 21—უკანალი (განავალის ნაწლევი) 22—ჩინჩახვი;
23—კუჭის თავი, 24—საკვერცხე; 25—მსხვილი ნაწლევი. (როგორც ხე-
დავთ ეს ნაწლევი კუჭის გაგრძელებაა, საჭიროების დროს ეს ნაწლევი
რეზინით იბერება, სატე (ВМЪСТИЛИЩЕ) იზრდება, რის წყალობითაც,
როცა ზამთრის განმავლობაში ფუტკარს გასაწმენდათ გარეთ გამოფრენა
არ შეუძლია, სიბინძურეს (განავალს) რამდენიმე თვის განმავლობაში აქ
ინახავს.)

კუჭი, ანუ მსხვილი ნაწლევები ხარშავს, ანაწილებს საჭ-
მელს და შემდეგ უვარგისი ნივთიერება გადმოაქვს **წვრილს**
ნაწლევებში (დახედე 25), საიდგანაც ფუტკარი განსაკუთ-
რებულის მილებით ყრის უკანა ტანით (დახედე 21) გარეთ.


გარდა ამისა კუჭისა და წვრილი ნაწლევების შესართავ-
თან თქვენ შენიშნავთ წვრილ-წვრილს გაბოჯლილს მილებს,
რომელსაც ეწოდება **მალპიგის მილები** (დახ. 16—16) იგი-
ნი ასრულებენ თირკმელების დანიშნულებას.

2. სასქესო ორგანოები.

ფუტკრის ოჯახი ორი სქესისაგან შესდგება. მამრისა და
მდედრისაგან. პირველს ეკუთნის მამალი ფუტკარი, ხოლო
მეორეს—დედა და მუშა ფუტკარი. ამ უკანასკნელთა სასქე-
სო ასოები თითქმის ერთსა და იმავე ნაწილებისაგან შესდგება,
მხოლოდ იმ განსხვავებით-კი, რომ მუშას იგინი უფრო განუ-
ვითარებელი აქვს, ვიდრე დედას. ამისათვის ჩვენ აქ ავწერთ
მხოლოდ დედა ფუტკრის სასქესო ორგანოებს.

მუცლის უკანა ნაწილში, მეორესა და მესამე რგოლებს
შუა, დედა ფუტკარს მოთავსებული აქვს ორი მსხალ მაგვარი
საკვერცხე (იხ. სურ. 5—26), საიდანაც გამოდის ორი წვრილი
მილი, **კვერცხების გამტარებელ** მილებად წოდებული (იხ.
სურ. 6). იგინი ერთვიან ერთმანეთს სქელ მილში, რომელიც
ბოლოვდება თვით **სასქესო ასოთი** საკვერცხე მილის შესარ-

თავთან მოთავსებულია სათესლე ბუშტი, რომელშიაც ინახება ის სითხე, (თესლი) რომელსაც დედა მიიღებს ხოლმე მამლისაგან დაპეველის დროს.



სურ. 6.

დედა ფუტკრის საკვერცხეები.

ზევით მსხალ-მაგვარ ბუშტებში უხვათ არის უთვალავი კვერცხები დედასა, რომლებიც, დასრულების შემდეგ ჩამოდიან საერთო მილში, მარჯვნივ საერთო მილში მოსჩანს მრგვალი ბუშტი ა, რომელშიაც დედა ინახავს მამალი ფუტკრის თესლს დაპეველის დროს მიღებულს.

K 25.963
3



სასქესო ორგანოებთან მჭიდროთ არის დაკავშირებული **ნესტარიც** (ისარი) (იხ. სურ. 7), რომლითაც ფუტკარი იფარავს თავის სარჩო-საბადებელს, თავს და მთელს ოჯახს.



სურ. 7.

მუშა ფუტკრის თავ-დასაცველი შხამიანი ისარი ანუ საწერტელი.

ა—შხამის ჯირკვლები, ანუ შხამის ნაწლევები, სადაც მზადდება შხამი.

ბ—შხამის სადინარი მილები.

გ—შხამის ბუშტი.

დ.—ისრის გარეშემო მგრძნობიარე ბუსუსები, რომლებითაც ფუტკარი კბენის წინ საკბენ ადგილს სინჯავს, თუ სად გასჭრის მისი ისარი.

ი—ი—ისარი, საწერტელი, („შაშარი“.)

კ—მუშა ფუტკრის ბოლო ისარ-გამოწვდილი, საკბენად გამზადილი.

ლ—დედა ფუტკრის ბოლო, გამოწვდილი მოკაუჭებული ისრით.

ნესტარი შესდგება ორის, მკიდროთ შეკავშირებულის, მილისაგან, რომელიც ბოლოვდება ისარ-მაგვარი კბილებით, რის გამოც, კბენის დროს კანში ადვილად ესობა ხალაო, რაკი ისარს ყანსაღის მსგავსათ რამოდენიმე კბილები აქვს უკან მოქცეული, ზევით ველარამოაქვს იგი ფუტკარს; სწყდება ნაწლევს და თვით ფუტკარიც სამუდამოთ ესაღმება წუთისოფელს.—ნესტარის ნაწილებს შეადგენენ: **შხამის ბუშტი** და **შხამის ნაწლევები**, რომლებიც ამზადებენ შხამს და თვით ნესტარი.

მამლის სასქესო იარაღს შეადგენს თვით სასქესო ასო, რომელიც შესდგება კაკლებისაგან და თესლის გადამცემ მილებისაგან

სასუნთქი ორგანოები.

ერთს ამ ორგანოთაგანზე ზემოთ უკვე გვქონდა ნათქვამი, როდესაც ავწერეთ ფუტკარის მუცელი. ჩვენ მაშინა ვთქვით, რომ თვითფელს რგოლზედ მოთავსებულია თითო წვრილი სასუნთქი ნაპრალი, რომლებითაც სუნთქავს ფუტკარი. (იხ. სურ. 5—11) ეს ქუქრუტანები უერთდებიან **სასუნთქე ბუშტებს**, რომლებიდანაც **სასუნთქე მილების** შემწეობით ჰაერი ნაწილდება მთელ სხეულში.


სისხლის მოძრაობა.

გულის და ფილტვების მაგიერობას, რომელთა საშუალებით იწმინდება და იგზავნება სხეულში ჩვენი სისხლი, ფუტკარს უწევს ზურგის, ანუ ხერხემლის მილი, რომლიდგანაც იქსაქსება ურიცხვ ჰაწია ძარღვებში. ფუტკარის სისხლს არავითარი მსგავსება არა აქვს ადამიანისა და საზოგადოთ, სხვა ცხოველების სისხლთან: იგი ფერათ გამქვირვალოა, წყალმაგვარია და შესდგება იმ სითხისგან, რომელსაც ითვისებს

საქმლისაგან ფუტკრის კუტი და გარდაქმნის ესრედ წოდებულ საკვებავ წვენად.

ფიქა (სანთელი).

როცა, ჩვენ სკას თავს ავხდით და შიგნით ჩაეხედავთ, რასაც შიგნით დაგინახავთ იმას ეწოდება ფუტკრის ბუდე. ბუდეში გარდა ფუტკრებისა, ჩვენ ვხედავთ სანთლის შენობებს— ფიქებს. ყველა ფიქა უჯრებათ არის დაყოფილი. თითოეული უჯრა საჭიროების დროს მოზარდი თაობის აკვანია, სხვა



სურ. 8.

ფიქის ნაჭერი:

- ა—წერილთვალა—სამუშე უჯრა, საკვერცხე.
- ბ—მსხვილთვალა—სამამლე უჯრა,
- ვ—უსწორმარწორო-, გადასამბელი“ უჯრა.

დროს კი ქურქელია, საუნჯეა, რაშიაც იუნჯებენ, ინახავენ თავიანთ საზრდოს. თითოეული უჯრა სწორ ექვს კუთხიანია—ასეთი უჯრები ჩარაზმულია, როგორც ფიქის ერთი მხრით,

ისე მეორე მხრითაც. მაშასადამე ფსკერი, საფუძველი ერთი აქვს. ფიქის სისქე მაგ. ნახევარი ვერშოკია ($1\frac{1}{8}$ დიუმი ან 22 მილიმეტრი). ამ რიგათ თითოეული უჯრის სიღრმე დაახლოებით მეოთხედი ვერშოკი იქნება. თითოეულ ფიქას ფუტკრები ერთი ერთმანეთზე აშორებენ, შუაზე რჩება ქუჩა, — ქუჩის სიგანეს სწორეთ იმდენს სტოვებენ, რომ ფუტკარს თამამათ შეუძლია ერთი ერთმანეთს გზა მისცეს, ერთი მეორეს თავისუფლათ გზა აუქციოს. ამისთვის საკმარისია მეოთხედი ვერშოკი.

როცა ფუტკრების ბუდეს გავსინჯავთ — ფიქებს კარგათ დავაკვირდებით დავინახავთ, რომ ყველა ფიქის უჯრები ერთი ზომის არ არის; ზოგი ფიქა წვრილ უჯრებიანია, ზოგი მსხვილი, ზოგი უჯრა მოყვანილობითაც განსხვავდება — ყველას თავისი დანიშნულება აქვს და იმის შესაძარათ არის გაკეთებული. წვრილ უჯრებიანი (წვრილ თვალა) სწორ ექვს კუთხიანი სამღმე კიეების აღსაზრდელ აკვნათ არის დანიშნული, ამისათვის ასეთ უჯრებს **სამუშე** უჯრებს ეძახიან.

ამათზე უფრო მსხვილ თვალას (ისიც სწორ ექვს კუთხებიანს) მამლებისათვის ამზადებენ და ასეთ უჯრებსაც **სამამლე** უჯრა ეწოდება. შეგხვდება უჯრები განსხვავებული მოყვანილობის, (ფორმის) რომელთაც ჩვეულებრივ ექვს კუთხეზე მეტი ან ნაკლები აქვს. ასეთ უჯრებს ეწოდება „**გადასამბელი**“ უჯრები. გადასამბელი იმიტომ ეწოდება, რომ ეს უსწორმასწორო უჯრები ხდება შემაერთებელ კავშირათ სამუშე და სამამლე უჯრების, რადგან უიმათოთ, თუ ზემოთ სამუშე უჯრა იყო დაწყებული, ქვემოთ სისწორით სამამლე არ წაშენდებოდა. გადასამბელი უჯრები აკვნათ, ახალთაობის აღსაზრდელათ არ გამოდგება, ჭურჭლათ, კი სამივე გვარის უჯრებს ხმარობენ. გარდა ზემოთ მოხსენებული უჯრებისა, ზოგჯერ ბუდეში შეგხვდება ძროხის ძუძუს მსგავსი უჯრა — ეს უჯრა მოყვანილობით, სიღრმით, სიზრქით და სისქით ყველაზე განსხვავებული, ყველაზე დიდია — ეს უჯრა არის დანიშნული დედა ფუტკრის

აღსაზრდელათ, ამიტომაც მისთვის **სადედე** უჯრა დაურქმევიათ. სადედე უჯრები ორ ადგილას შეგვხდება ფიქის კიდურზე და ფიქის შუაზე. როცა ასეთი უჯრა, კიდურზეა მიშენებული, როგორც შემდეგში გავიგებთ, ბუნებრივ დედა ფუტკრისთვის არის დანიშნული და მისთვის ჰუნებრივი, ჩვეულებრივი, სადედე უჯრა უწოდებიათ, ხოლო როცა შუაზე არის, სახელდახელოთ აშენებული „გაქვივრების დედის“ აღსაზრდელათ არის. საჭიროების მიხედვით, ასეთ უჯრას შეგვიძლია დავარქვათ „გაქვივრების სადედე უჯრა“.



სურ. 9.

ფიქის გვერდული ნაჭერი, რომელზედაც არის სამუშე, სამამლე და სადედე უჯრები: სადედე უჯრებია: ა, ბ, გ.

საჭირო არის გავიგოთ, რა მასალისაგან აშენებენ ფუტ-



სურ. 10.

ცალკე გამოჭრილი
სადედე უჯრა.

კრები ფიქას. ფიქის გადადნობის შემდეგ ვლებულობთ სანთელს. აქედან ცხადია, რომ ფიქებს აშენებენ სანთლისაგან, მაგრამ ახლა ეს ვიკითხოთ, სად იზოვნეს ეს სანთელი?

ზოგი იმ აზრის იყო, რომ ფუტკრები ფიქას აკეთებდნენ ქეოსაგან. მეცნიერმა გუბერმა დაამტკიცა, რომ მართალია ქეოს ფიქის გაკეთებაში მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ფიქის საშენ მასალათ მინც გამოუსადეგარია, მან დაამტკიცა, რომ ფიქა კეთდება სანთლისაგან — სანთელი კი ისეთივე ორგანიული ნივთიერებაა, როგორც ქონი, როგორც ოფლი, (ქენჭი). სანთელი მუშავდება მუშა ფუტკრების სხეულში და ქონის ანუ ოფლის სახით გამოჟონავს გარეთ.

ზემო თავიდან ჩვენ ვიცით, რომ მუშა ფუტკრებს მუცელზე დაყვება სარტყელივით ზოლები. ასეთ ზოლებში რვა ადგილას არის სანთლის გამოსაჟონი ნაპრალი. როცა ფუტკრები მაძლრათ იკვებებიან, ნოყიერი, მაძლარი კვებისა და



სურ. 11.

მუშა ფუტკრის ზოლებიანი მუცელი, რომელზედაც ქვედა ოთხ სახსრებს შორის თეთრათ ატყვია სანთლის ქერტლი

სიცხის გავლენით ხსენებულ ნაპრალიდან გამოჟონავს სანთლის შემადგენელი ქონი, რომელსაც მოხვდება თუ არა ჰაერი, შეიკვრება და მოგაგონებს ადამიანის თავის ქერტლს. ეს სანთლის ქერტლი, თუმცა ძლიერ მცირეა, მაგრამ თვალითაც შეგიძლიათ გაარჩიოთ, ოთხ უკანასკნელ მუცლის სახსრებს შორის. უკანა ფეხების შემწეობით ამ ქერტლს ფუტკრები სხეულიდან იშორებენ, იდებენ პირში, ალბობენ და ორთქლისა და

ნერწყვის შემწეობით ერთი ერთმანეთს უმატებენ და სწრაფათ აშენებენ ფიჭებს-

რამდენათაც ბუნების სიღბვე, ღალიანობა და სითბო ხელს უწყობს, ფუტკრების სხეულიდანაც, იმდენათ მეტი სანთლის ქონი გამოჟონავს. დასკვნა ადვილია: ფიჭის შენებისთვის საჭირო ყოფილა, ფუტკრებს იმაზე მეტი სარჩო ჰქონდეს რაც ჩვეულებრივ თავისა და ბარტყების საკვებათ ეყოფათ და ამავე დროს სკაში უნდა იყოს მომეტებული სითბო. მეცნიერი ბერლენჟის დაკვირვებით, ერთი გირვანქა სანთლის ანუ ფიჭის გასაკეთებლათ თუ ფუტკრებს ჰეოც ეშოვებათ საკვებ მასალათ მოუნდებოდათ 10—12 გირ. თაფლი.


ჰეო ფუტკარს ახალისებს, ამამაცებს და სასიცოცხლო ძალ-ღონეს მატებს.

სანთელს ფუტკრები ამზადებენ თაფლთან შედარებით ძლიერ ცოტას, თუ გინდ ძლიერ უხვი ღალიანობა იყოს. **ველსის** სიტყვით ძლიერ სკას საშვალლო რიცხვით შეუძლია მოგვცეს სამი გირ. სანთელი. სანთელი მათ ეხარჯებათ ფიჭების აშენებაზე, ბარტყიანი და თაფლიანი უჯრების გადასაბეჭდათ და თუ შემთხვევით საჭიროებაზე მეტი სანთელი გამოიმუშავეს განკებ, არასოდეს არ გადაყრიან, არამედ ჩარჩოზე ან სკის კედელზე მიაწებებენ და როცა საჭირო იქნება ისევ აიღებენ.

თუ ფუტკრებს ადრე, გაზაფხულზე სჭირიათ სანთელი უჯრების გასასწორებლათ ან ახალი ფიჭის ასაშენებლათ, მაშინ თუმცა უხალისოთ, მაგრამ მაინც ხმარობენ ძველ ფიჭას. ცხადია ძველი ფიჭისგან ნაშენი ისეთი ნათელი ფერის არ იქნება, როგორც ახალი მასალიდგან ნაშენი. სადღე უჯრას ყოველთვის ძველი ფიჭის სანთლისაგან აშენებენ.

ფიჭის შენება. ერთ ფუტკარს არასოდეს არ შეუძლია ააშენოს არამც თუ ფიჭის ნაჭერი, ერთი უჯრაც კი. ფიჭა ყოველთვის არის მუშა ფუტკრების შეერთებული, მუყაითი შრომის ნაყოფი. ფიჭის შენებას ყოველთვის ამჯობინებენ ზევიდან ქვევით, ე. ი. სკის ჰერიდან ფსკერისაკენ. შვეულივით (ზუზივით) სწორათ; ამშენებელი ფუტკრები ერთ-

მანეთს ფეხებით მოებლაუქებიან, ასე გეგონება მძივებივით აცმულანო—ამას იმისთვის შერებიან, რომ სანთლის ქერტლი ერთი მეორეს იოლათ გადასცენ და თან სითბოც მეტათ დაიკონ, სიცხე საჭიროა, როგორც სანთლის ქონის გამოსაქონავათ ისე ფიქების მოსალევენთად და ერთი ერთმანეთზე მისაწებებლათ. პირველათ ამშენებელი ფუტკრები განიმზადებენ ფიქის შუა კედელს ანუ უჯრების ფსკერს. ფსკერზე მერმეთ ამოყავთ საჭირო ზომის უჯრები. ზოგი მათგანი ფსკერს აშენებს, ზოგს ზედ უჯრები ამოყავს, ზოგი ნაშენს ასწორალამაზებს და სხვა.



სურ. 12

ფიქის ამშენებელი ფუტკრების გუნდი შრომის დროს

ფიქის შენება შეუძლიათ თავ-უკულმაც, ესე იგი, ქვეიდან ზევით, მაგრამ იშვიათი შემთხვევაა და მხოლოდ მაშინ მიმართვენ, ასეთ არა ბუნებრივ ფიქის შენებას როცა, მათ ბინა-ბუდეს რაიმე ნაკლი აქვს.

ყველა უჯრა ოდნავ აღმაცერათ ამოყავთ იმ მოსაზრებით, რომ თაფლი არ გადმოიღვაროს. ყველა დაბეპლული, კარგი ნაყოფიერი დედა ფუტკარი კვერცხის დებას ამჯობინებს წვრილ თვალა, სამუშე უჯრებში. მოხდება მაგალითი, როცა წვრილ თვალა უჯრა ნაკლებათ არის მუშა ფუტკრებს მოუწევთ სამამლე მსხვილ თვალა უჯრები სამუშეთ გახადონ, დააპატარაონ. მუშა ფუტკრებს კი ყოველთვის ურჩევნიათ სამამლე უჯრები ააშენონ, რადგან ნაკლები დრო და მასალა სჭირიათ, მაგრამ უხვათ კვერცხის მადებარი დედა ფუტკარი

თან დასდევს და ამით მუშებს აგრძობინებს დაუმზადონ სამუშე უჯრები. უხვი ლალიანობის დროს დედას და მუშებს შორის დიდი ჯიბრია; დედა ცდილობს, თავისუფალ უჯრაში კვერცხი ჩასდოს, მუშები ცდილობენ, საზრდო შეინახონ.

მაგრამ მუშა ფუტკრები თვალს აარიდებენ თუ არა დედას მაშინვე შეუდგებიან სამამლე უჯრის შენებას. ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ თუ სკაობოლია, უდედაა, მაშინ ფუტკრები მხოლოდ სამამლე უჯრებს აშენებენ.

ს ა ნ თ ლ ი ს თ ვ ი ს ე ბ ა .

სანთელი არის ცხიმოვანი(ქონ მაგვარი)ნივთიერება, 0⁰ ის მაგრდება და იმტვრევა მომეტებულ სითბოში (25⁰ ცელსით) რბილდება, იქნება და იღვენთება, 66⁰ კი დნება, სითხეთ იქცევა, 80⁰ აღულდება, 300⁰ კი, უკვე ორთქლია. წმინდა სანთელს გემო არ აქვს, უკომლოდ იწვის და ეთერში (ეფირ) სავსებით იხსნება და რაღაც განსხვავებული, ფრიად სასიამოვნო სუნით აქვს. ახლათ გაკეთებული ფიჭა თეთრია, სკაში რამოდენიმე ხნის შემდეგ სკის თბილი ჰაერის გავლენით, შეყვითლდება, რამოდენიმე წლის ბარტყობის შემდეგ კიდევ გაშავდება. რამდენათ ფიჭა ახალია, იმდენათ მეტს და კარგი ღირსების სანთელს მოგვცემს.

წმინდა სანთელი შეიცავს 82⁰/₁₀₀ ნახშირბადს,

13⁰/₁₀₀ წყალბადს

და 5⁰/₁₀₀ მჟავბადს.

თ ა ფ ლ ი .

ძრიელ ბევრს თაფლის შესახებ შემცდარი წარმოდგენა აქვს, ზოგი ფიქრობს ვითომც თაფლს ფუტკრები ამზადებდნენ

იმ მასალისაგან, რომელიც მუშა ფუტკრებს ფეხებით მოაქვთ, ესე იგი ქეოსაგან. ზოგი კი დარწმუნებულია, ფუტკრებს საქმელის მონელების შემდეგ კუქში შეუმზადდება თაფლი და ამ მონელებულს თაფლის სახით სხეულის უკანა ნაწილიდან ასხამს უჯრებში. ჩვენს ხალხს, რომ ეს ასე სწამს, დასა მტკიცებლათ ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა ფუტკრების შესახებ ხალხური გამოცანა, მაგრამ სამწუხაროთ ეს გამოცანა მეტის მეტათ ტლანქია, მოუხეშავია და ყურისთვის არ არის სასიამოვნო.

ცხადია მეცნიერებამ ერთი აზრიც და მეორეც დაარღვია და დაამტკიცა, რომ თაფლი არის ყვავილის ტკბილი წვენი ანუ უტხო საერთო მიღებული სიტყვით, რომ ვსთქვათ ნექტარი. ხსენებულ ნექტარს მოქნილი ენის, ხორთუმის, წყალობით ყვავილის გულიდან ამოსწუწნიან, გაივსებენ ჩინჩახვს და იქ ნექტარი გადამუშავდება (ნერწყვის გავლენით) და ამ ტკბილ წვენს იმავე გზით, რა გზითაც ჩინჩახვში შეაგროვეს უჯრებში ჩაასხმენ. ამ რიგათ ყვავილების ნექტარს ჩინჩახვში გადამუშავებულს თაფლათ და ფუტკრების მიერ პირის ნაწილიდგან, უჯრებში ჩასხმულს ვეძახით თაფლს.

თაფლის ღირსება და მისი რაოდენობა, სავსებით დამოკიდებულია ყვავილის ნექტარის ღირსებაზე; არის ისეთი ყვავილი, რომელიც იძლევა ნაზ და სურნელოვან თაფლს, არის ისეთი, რომელიც გვაძლევს შედარებით მდარეს. თაფლის ფერიც ყვავილის თვისებაზედ არის დამოკიდებული ზოგნი ფიქრობენ ვითომც შავ თაფლს ბებერი, ძველი ფუტკრები ამზადებდნენ, თეთრს კი ახალგაზრდები, ეს აზრი სიმართლეს სავსებით მოკლებულია, რადგანაც თაფლს უმეტესათ ახალგაზრდა ფუტკრები ამზადებენ. ყველა ყვავილი ერთნაირი გულუხვობით არ უმასპინძლდება სტუმარ, ლალის ამკრეფ ფუტკრებს; ზოგი ყვავილი უხვათ იძლევა სათაფლო ნექტარს, ზოგი კი ძუნწობს. არც ის შეიძლება ვთქვათ, რომ ერთი და იგივე ყვავილი ყოველ წელიწადს ერთნაირი სიუხ-

ვით ან სიძუნწით გაისტუმრებს მის სტუმარს. ბუნებას, დარსა და აედარს ყვავილზედაც დიდი გავლენა აქვს; გვალვის დროს ყვავილებს ნექტარი ნაკლებათ აქვს, მაგრამ თუ გვალვას ზომიერი წვიმა მოყვა მეორე მესამე დღეს თაფლობა მატულობს—ყვავილის კუქში მეტი ნექტარი მუშავდება. მეტადრე თბილი ღამეების შემდეგ. ცივი, ქარიანი ამინდი თაფლობის ხელის შემშლელია. საზოგადოთ ყვავილი მეტ სათაფლო ნექტარს იძლევა იმ დროს, როცა მზათ არის თავისებური უმანკო ქორწინება გადიხადოს—ესე იგი მეცნიერული, აგრონომიული ენით, რომ ვსთქვათ, როცა ყვავილი **გასანაყოფიერებლათ** მზათ, არის.

თაფლს ფუტკრები, გარდა ყვავილების ნექტარისა, აგროვებენ თაფლის ნამისაგან. თაფლის ნამს (მანანას) პოულობენ მცენარეების ფოთლებს და ყლორტებზე. ეს ტკბილი ნამი უმთავრესათ იცის ზაფხულის სიცხის შემდეგ—ფოთოლს წებოსავით ეკვრის. სათაფლო ნამი ყველაზე მეტათ იცის: ცაცხვმა, ალვის ხემ, მუხამ, თხილმა, ნეკერჩხალმა, ყოლომ, კოწახურმა და სხვამ, საზოგადოთ ხეხილებმა.

ნამის თაფლი, თხელია და ნექტარის ნამდვილ თაფლს ღირსებით ძრიელ ჩამოუფარდება. მეტადრე ძრიელ ცუდია შემოდგომის. ფუტკრებს თუ ზამთრის საგზლათ დაურჩათ ფაღარათს უჩენს. საზოგადოთ თაფლის ნამს ფუტკრები მაშინ ეტანებიან როცა ბუნებაში ნამდვილი ნექტარი ან სულ არ იშოვება ან ძრიელ ნაკლებათ არის.

თაფლს ფუტკრები უჯრებში სადაც შეხვდებათ, უწესრიგოთ კი არ ასხამენ, არამედ აგროვებენ ფიჭის თავში და, როცა საჭიროა ბარტყებთან ახლოს. (უხვი ღალიანობის დროს წესრიგს არ დაგიდევენ, ოღონდ კი ბუნების სიმდიდრე არ დაკარგონ და თაფლს საცა ეადვილებათ იქ ასხამენ, დროებით—შემდეგ საჭირო ადგილას გადაქეთ.) ფუტკრების ცხოვრების დამკვირვებლებს შეუნიშნავთ, რომ ღალიდგან დაბრუნებულ მუშა ფუტკარს, სკის საფრენტან თაფლი გადაუცია

მაზედ ახალგაზდა ფუტკრისთვის და თვითონ ისევ ღალისთვის გაბრუნებულა.

ახალი თაფლი თხელია, შიგ წყალი ურევია, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ, სითბოსა და ჰაერის გავლენით თაფლში წყალი ამოშრება, ამოორთქლავს. თაფლი შესანახათ მხოლოდ წყალის ამოშრობის შემდეგ ვარგა (წყლიანი თაფლი ამჟავდება)—ფუტკრებიც აცლიან და როცა წყალი მოშორდება, თაფლი „დამწიფდება“ მხოლოდ შემდეგ გადაბეჭდვენ—თავიანთ სარჩო—საუნჯეს დაკრძაღვენ. ამისთვის ისინი თაფლით სავსე უჯრებს სანთლის სიფრიფანა თავს გაუკეთებენ. გადაბეჭდილ თაფლით სავსე ფიჭებს **სარაჭი** ეწოდება.

მეცნიერებისაგან გამოანგარიშებულია, რომერთი უჯრის გასავსებად საჭიროა 5—6 მუშა ფუტკრის ტვირთი. ერთ გირვანქა თაფლს სჭირია 6600 ტვირთზე მეტი.

ღონიერ ოჯახს უხვი ღალიანობის დროს შეუძლია დღეში შეაგროვოს 10 გირ. თაფლი. ყოფილა მაგალითი, რომ 20 და მეტიც შეუგროვებიათ.

ქეო. (კაპარქი,—ყვავილის მტვერი).

გარდა თაფლისა თავიანთ საკვებათ, საზრდოთ, ფუტკრები აგროვებენ ქეოს. ქეო ყვავილის მტვერია. ქეო ფუტკრებისათვის, მეტადრე ბარტყებისათვის, ისეთივე აუცილებელი საზრდოა, როგორც ადამიანთათვის პურეული. ქეოში მეტი ურევია ისეთი ქიმიური ნივთიერება, (მაგ. აზოტი) რაც თაფლში ნაკლებათ არის და მაშასადამე ბარტყების საზრდოთ აუცილებელია. მოზრდილ ფუტკრებსაც ესაჭიროება ქეო საკვებათ, მეტადრე ფიჭის შენების დროს, მაგრამ მათთვის მარტო ქეო უთაფლოთ არ ვარგა. ძველ შენაგროვებ ქეოს ყოველთვის ახალს ამჯობინებენ, მაგრამ გაქივრების დროს ძველითაც იოლათ მიდიან, თუ ქეო ობ მოკიდებული და დამჟავებული არ არის.

ქეოს ფუტკრები აგროვებენ სხვა და სხვა ყვავილებისაგან

და უმეტეს შემთხვევაში ინახვენ წვრილ თვალა (სამუშე) ფიქის უჯრებში. ზოგჯერ ზევით თაფლს მოასხმენ და თავს ისე გადაუბეჭდავენ, როგორც სარაქს. ასეთ ჭეოს ისინი შემოდგომაზე ინახვენ საგაზაფხულოთ. ჭეო ფერით სხვა და სხვა ნაირია, ეს არის დამოკიდებული თვით ყვავილზე, თუ რომელი ფერის ყვავილით ისარგებლეს. ჭეო უგემურია, გემლატია, თაფლში თუ გაერია უკარგავს გემოვნებას, სურნელებას და ფერს.



სურ. 13.

ჭეოთი დატვირთული ფუტკარი. ა—ა.

დაკვირვებამ დაამტკიცა, რომ ადრე გაზაფხულზე, რაკი ფუტკრებმა ვერ იშოვნეს ბუნებრივი ყვავილის მტვერი ჭეოსათვის, წისკვილის ფქვილით ისარგებლეს. ამისთვის არის, რომ ბევრი მეფუტკრე, როცა ხედავს, რომ ფუტკრები ჭეოს ვერ შოულობენ აძლევს ფქვილს, ქერისას, პურისას, მუხუდოსას და სხვა.

კავკასიაში საბედნიეროთ ისეთი სიუხვეა ადრე გაზაფხულზე ჭეოს მომცემი ყვავილების, რომ არ მგონი ვინმეს დასჭირდეს ფქვილის მიცემა, ამას ხელს უწყობს ჩვენი სამხრეთის სითბო. ვის არ უნახავს ჩვენში მაგალითად თებერვალში და ზოგჯერ იანვარშიაც თხილი აყვავებული — თხილი, ძეწნა, შინდი და სხვა მცენარეების ყვავილები ჭეოს უხვათ იძლევიან. ჭეოს გადაია მუშა ფუტკრები ურევინ წყალს და ცოტაოდენ თაფლს, თავიანთ კუჭში შეამზადებენ რძე მაგვარ სითხეს და ამ სითხით კვე-

ბენ ბარტყებს. იმ ქიას, რომელიც მომავალ დედა ფუტკრათ არის-
ალსაზრდელი განსაკუთრებით აზიზათ კვებენ; ქეოში მეტ თაფლს
ურევენ. ქეოს მუშა ფუტკრები აგროვებენ უკანა ფეხების წყა-
ლობით, რომელიც განსაკუთრებით ამისთვის არის მოწყობი-
ლი. ახლათ შეგროვილი ქეო ძართლა მტვერის მაგვარია, მი-
სი სკაში მოტანა შეუძლებელია, მაგრამ ოსტატ ფუტკრებს
უკანა ფეხებიდან ეს მტვერი სხვა ფეხების დახმარებით გადა-
აქვთ პირთან და იქ ნერწყვის შემწეობით ასორსოლებენ და
როცა საჭირო სიმაგრეს და სიმრგვალეს მისცემენ, იმავე გზით
ისევ უკანა ფეხებზე აბრუნებენ და იქ ათავსებენ გიდელაში. რო-
ცა გიდელას გაიყვებენ შემოახვევენ ფეხის ბუსუს და ერთი ნამ-
ცეცის დაუკარგავათ მოაქვთ სკაში. ქეოს შემგროვებელი ფუტ-
კარი ერთ და იმავე დროს თაფლსაც აგროვებს, ასე რომ
შეიძლება ერთი და იგივე ფუტკარი თაფლითაც და ქეოთიც
იყოს დატვირთული. ერთ გზობაზე ფუტკრები მხოლოდ ერთი
ჯურის ყვავილის მტვერს აგროვებენ.

დ ი ნ დ გ ი ლ ი

დინდგილს მუშა ფუტკრები აგროვებენ ხის ყლორტე-
ბსა და კვირტებზე, ყველაზე მეტათ შოულობენ ალვის
ხეზე, მურყანზე (თხმელა), ძეწნა-ტირიფზე, წაბლზე და სხვა და
სხვა ხეებზე და ბალახებზე. არ სარგებლობენ ხიწვიან ხის
ძინთით, რადგან მეტის მეტათ ეკვრის და სიცხეშიც აღრე
იკრემლება. (იღვენთება.) დინდგილი ფეხებით მოაქვთ ისე,
როგორც ქეო, მაგრამ არასოდეს უჯრებში არ ინახვენ, არა-
მედ პირდაპირ ხმარობენ. დინდგილს ხმარობენ ისე როგორც
წებოს ქურქუტანების დასაგლესათ და ხანდახან დაუბატიე-
ბელი სტუმრების კუბოთაც. დინდგილს უსვამენ ახალ აშენე-
ბულ უჯრებს, რის წყალობითაც უჯრას ემატება სიმაგრე და
სილამაზე.

დინდგილის შეგროვება ფუტკრებს უფრო ეხერხებათ შუა

დღის სიციხის დროს. დინდგილს ცხარე სუნი აქვს, ცეცხლზე ძრიელ ადვილათ იწვის და ძრიელ სასიამოვნო სუბუქ სუნს აყენებს. უთუოთ სკაში დინდგილს დეზინფექციური (ჰაერის გამასუფთავებელი) მნიშვნელობაც აქვს. დინდგილი მაგარი სხეულია, ზამთრის სიცივეში იმტვრევა, ზაფხულის სითბოში კი იღვენება.

დინდგილს საოჯახო მნიშვნელობაც აქვს, რაზედაც შემდეგში ვისაუბრებთ.

წყალი და მარილი.

წყალი ფუტკრებისათვის აუცილებელია, რადგან წყალში ხსნიან გამაგრებულ, ჩაშაქრულ საზრდოთ სახმარ თაფლს, წყლის შემწეობით ამზადებენ ჭიებისათვის ქეოსა და თაფლისაგან რძე მაგვარ სითხეს.

იტალიიდან, როცა პირველათ ფუტკრიანი სკები ამერიკაში გაგზავნეს, დარწმუნდნენ, რომ უწყლობას ფუტკრები დიდხანს უძლებენ, მაგრამ რაკი წყალი აუცილებელი საჭიროა, თუ სხვა დროს არა, ჭიების აღსაზრდელათ მაინც, ამისთვის გონიერი მეფუტკრე კარგს იზამს, თუ საფუტკრეში დაუდგამს წყალს. წყალს ფუტკრები უჯრებში არ ინახვენ, არამედ მოტანისთანავე ხარჯავენ.

მეცნიერების აზრით ფუტკრებს მარილიც ძლიერ უყვართ. მარილს (საზოგადოათ სიმლაშეს) ეს სუფთა მწერები ძრიელ უსუფთაო ადგილას ეძებენ, თუ მეფუტკრე წყალს მარილს გაურევს ისე, რომ წყალი მლაშე დარჩეს, ძლიერ კარგია. მარილი ბარტყებს ექვივრებათ თუ თვით ფუტკრებს, ეს ჯერ არ არის დამტკიცებული.





II.

წინანდელი სა-უბრით ჩვენ ვეცადეთ მკითხველთათვის გაგვეცნო ფუტკარი, მისი შინაგან-გარეგანი აგებულება, საზრდო და სხვა. ახლა საქროა გავიცნოთ თვით ფუტკრებიც, მათში კი ყველაზე საპატიო ადგილი უჭირავს **დედა ფუტკარს**.

დედა ფუტკარი.

წინათ, როცა ჯერ კიდევ ფუტკრების ცხოვრება მეცნიერებას არ ჰქონდა შესწავლილი, ნასწავლს და უსწავლს ყველას ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ფუტკრების ოჯახობასაც ყავს ერთი მეფე, რომლის ბრძანებას ემორჩილებიან ყველა დანარჩენი წევრები. „ქილილა და დამანაში“, რომელიც ქრისტეს წინათ არის დაწერილი და ეკუთვნის იმ დროში განათლებულ არაბეთის მწერლობას, ვკითხულობთ:

„მაგათაც (ფუტკრების ოჯახობასაც,) ერთი ხემწიფე ჰყავთ, ყოველი კაცი თავის ენით სახელს ეძახიან, ტანათ მათზე მოდიდოა, მათ ყოველთა ერთობილად მის უფროსობისა და მორჩილებისა ბრძანებაზედ თავი დაუდებიათ. მას ხემწიფესა ოთხ-კუთხე ცვილის ტახტი დაუდგამს, მას ზედა ბრძანდება: სახლთ-უხუცესი, ვეზირი, მეკარე, დარაჯი, ლაშქარი, გამგე, ყოველი რიგი მოხელე განწყობილი ჰყავან“...

როცა მწერლობას დედა ფუტკარი ასე ხემწიფე—მეფეთ ყავდა წარმოდგენილი, ადვილი გასაგებია ხალხს, რომელიც

ირველივე სულ ბატონობა—მეფობას ხედავდა, დედის მეფობა უფრო მეტათ, უფრო გაზვიადებულათ მიაჩნდა. ყველას სჯეროდა, რომ დედა ფუტკარი მხოლოთ და მხოლოთ მეფე იყო აღქურვილი ყოველივე ძალა უფლებით,—რომელსაც შეეძლო, თუ მოისურვებდა, შემოკლდე, წესრიგის დამრღვევი ფუტკარი დაესაჯა, შეეძლო „შეაზედაც განეკვეთა“.


თუ როგორ მრავლობდა ფუტკარი, ვინ იყო მათი დედა, ამაზე ხალხს და ძველ მწერლობას ცრუ წარმოდგენა ჰქონდა; სჯეროდათ, რომ ფუტკარი, როგორც წმინდა მწერი სკაში ღვთის განგებით მრავლდებოდა. ჩვენში, ზოგიერთ კუთხეში ეხლაც სჯერათ, რომ ფუტკრები მრავლდებიან იმ ყვავილის მტვერისაგან, რომლებიც მუშა ფუტკრებს უკანა ფეხებით მოაქვთ სკაში, ესე იგი მათი აზრით ქეოსაგან იჩეკება ფუტკარი.

ასეთი ყალბი წარმოდგენა გაგრძელდა 1609 წლამდე. ამ წელს კი ინგლისელი მეფუტკრე ბუტლერი წაესწრო, რომ „მეფე“ კვერცხებს სდებდა. შემდეგ გოლანდიელმა მეფუტკრეების ცხოვრების დაუღალავმა მკვლევარმა სვამერდამმა დედა ფუტკრის ანატომიური განხილვით დაამტკიცა, რომ ეს „მეფე“ მდედრობითი სქესის არის. ამის შემდეგ სხვა მეცნიერების დაკვირვებითაც ცხადი შეიქნა, რომ ფუტკრებს არავითარი მბრძანებელი მეფე, ან დედოფალი არ ყავს—და ფუტკრებიც არავის განკარგულებას არ ემორჩილებიან, აქვთ ერთხელვე გაწესრიგებული შრომა და ყველა იმას აკეთებს რის გაკეთებაც მას ბუნებისაგან დაჯილდოებული ნიჭის წყალობით შეუძლია. დღესაც ძველი ჩვეულების თანახმათ,

დედა ფუტკარს ზოგი მეფეს ეძახის, ზოგი დედოფალს უწოდებს, მაგრამ ყველაზე უბრიანი სახელი დედაა, ჩვენი ხალხიც ასე უწოდებს და ნამდვილიც არის; ის არის მთელი ოჯახის ქეშმარიტი დედა. დედოფალს მხოლოთ იმით გავს, რომ შვილების გაზრდაზე, არც ერთი და არც მეორე თავს არ იტკივებს, სხვის ანაბარათ სტოვებს. სანამდი დედა ფუტკარს დედობა შეუძლია, მანამდე მართალია სკაში მეფის და

დედოფლის უპირატესობით სარგებლობს, მაგრამ, როცა მას არ შეეძლება დედობა, ესე იგი არ შეეძლება კვერცხების დება, მაშინ არამც თუ დედოფლის უპირატესობას, არამედ უბრალო დედის პატივის ცემასაც კარგავს და როგორც საზოგადოებისთვის გამოუსადეგარი წევრი სიკვდილით ან განდევნით დაისჯება.

წესიერ სკაში დედა ფუტკარი ერთად ერთია, (ძლიერ იშვიათად, მაგრამ შეიძლება ადრე გაზაფხულზე, დროებით ერთ სკაში ორი დედა შეგვხვდეს.) მის ნაყოფიერებაზე არის დამყარებული ოჯახის ბედნიერება. დედა ფუტკარი რამდენ მეტ კვერცხს სდებს და წესიერათ, იმდენათ სკა ძლიერია.



სურ. 14.

დედა ფუტკარი გადიდებული.



სურ. 15.

დედა ფუტკარი თითქმის ნამდვილი სიდიდის.

როგორც სურათზე აკვირდებით შეხედულობით სხვები-საგან ძრიელ ადვილი გასარჩევია; ფერათ მწიფე წაბლის ფერია, ბზინავს, ბოლო მწვეტიანია, ფრთები ტანთან შედარებით მოკლე აქვს. მედიდური, გოროზი, ამპარტანული, ლალი შეხედულობის არის; თავი ისევ უჭერია თიაქოს გრძნობდეს თავის სხვაზე უპირატესობას. ასულეცი, (ღუშა ფუტკარებიც) ძრიელ ერიდებიან; გზას აძლევენ, თავს ევლებიან, ელოლიავენ. ერთი სიტყვით დედა

ფუტკარს სკაში იშვიათი მორიდება და პატივის-ცემა აქვს; ის არის ყველასთვის საყვარელი, „ვით მარგალიტი ობოლი ხელი ხელ საგოგმანები“, ყველა ცდილობს ასიამოვნოს და მით დაუმტკიცოს თავისი უსაზღვრო სიყვარული. არც საკვირველია, ფუტკრებს უყვარდეს სიცოცხლის მომნიჭებელი, „შთამომავლობის ამალორძინებელი დედა.

თურამდენათ აფასებენ მუშა ფუტკრები დედას და რამდენათ სკისთვის ის ძვირფასი არსებაა, ამას გავიგებთ მაშინ, თუ სკას წავართმევთ. დედას როცა მისი ასულები ობლობაში დარწმუნდებიან, ერთი წიოკი შეექნებათ, საერთო მწუხარებას ეძლევიან, ხელს იღებენ მუშაობაზე, ერთი ფიჭიდგან მეორეზე გადადიან, ერთი კუთხიდგან მეორე კუთხეში ფუსფუსებენ, ბევრი გარეთაც გამოდის, თავ-განწირვით ეძებს საყვარელ არსებას. ამოა ძებნის შემდეგ სასაწარკვეთილ კენესის მაგვარ გულსაკლავ ბზუილს იწყებენ. სამგლოვიარო ხმა დიდხანს გაისმის. სავსებით მოგვაგონებს გულ-მოკლულ მწუხარე ჭირისუფალისაგან საყვარელ მიცვალებულის ცხედარზე მოთქმა გოდება-ტირილს. მსმენელს ნამდვილი, ხმა შეწყობილი მწყობრი „სულთათანა-განუსვენეს“ გალობის კილო მოაგონდება.

გამოცდილი, დაკვირვებული მფუტკრე ამ სამგლოვიარო ბზუილს, სულ ადვილათ გაარჩევს მხიარული შრომის ბზუილისაგან, ისე, როგორც ქეშმარიტი დედა გაარჩევს კარგათ მყოფი შვალის ნხიარულ ტიკტიკს ავათმყოფი ყრმის კენესისაგან.

ობლათ დაშთენილი ფუტკრების გოდება მაშინ უფრო საგრძნობელია, თუ სკა იმ დროზე დაობლდა, როცა სკაში არ მოიპოვება არც სამუშე კვერცხი და არც ჭია—ესე იგი იმ დროს, როცა მათ არ აქვთ არავითარი საშვალეობა აღზარდონ დედა. ნათქვამის დასახასიათებლათ მოვიყვანოთ ერთი მოთხრობა **ლანგსტროტისა**.

„გახურებული მუშაობის დროს ერთი ძლიერი სკა გადადგეს ახალ ადგილას, მის ნაცვლათ დადგეს იმავე სკის მსგავსი

ახალი ცარიელი სკა. ფუტკრები როცა ჩვეულებრივ ძველ ბინაზე დაბრუნდნენ და სკაში ვერ ჰპოვეს ვერც საყვარელი დედა და ვერც მათი ნაჭირნახულები, ძრიელ შემფოთდნენ, მათი მდგომარეობა გულის შემზარავი და შესაბრალისი იყო. მათ კენესა-გოდებას ვინც მიუხვდებოდა, ცრემლი მოერეოდა. საღამოზე ფუტკრებს სკაში მისცეს ფიჭის ნაჭერი, რომელშიაც იყო სამუშე ფუტკრის კვერცხები. ეს სასიხარულო ამბავი ერთმა ფუტკარმა მეორეს გადასცა; მწუხარე ფუტკრები ხელათ გამხიარულდნენ, სამგლოვიარო ბზუილი მხიარულზე შეცვალეს, ახლა ფუტკრებს ობლობის აღარ ემინოდათ, რადგან მათ შეეძლოთ სამაგიერო დედა აღეზარდათ.“

ასე დიდ მნიშვნელოვანია სკის კეთილ დღეობისათვის დედა: უმისოთ სკა გავს ხეს რომელსაც, თუ ფესვები მიწიდან საზრდოს არ მიაწვდის, ადრე გახმება. თუ სკაში დედა კვერცხს არ სდებს და მით მშრომელ მუშა ფუტკრებს არ ამრავლებს, სკა დღითი დღე დასუსტდება და ბოლოს სულ გაქრება (დაივსება.), რადგანაც მუშა ფუტკრები, ყოველ დღიურ შრომა-ჯაფით მოქანცულები, თან და თან აკლდებიან—იხოცებიან და რაკი მაგიერს არვინ აჩენს—ოჯახი აუცილებელ გაქრობა-გადაშენების გზას ადგება. დედა ფუტკარი სკისთვის სიცოცხლის წყაროა.

დედა ფუტკრის ერთად ერთი საქმე კვერცხის დებაა და როცა კვერცხს სდებს, მაშინ ის ერთი ორათმეტ პატივში ყავთ; როცა რამოდენიმე ასეულ კვერცხს დასდებს, ისვენებს, ცოტას შეიქაჩანებს, ამ დროს მუშა ფუტკრები გარს ეხვევიან, ეაღერებიან, უღვაშებით ელაშენებიან, უჭიკინებენ, საუკეთესო თაფლს სთავაზობენ. ნაყოფიერი, უხვათ კვერცხის მადებარი დედა, ფუტკრებისაგან მეტად შეყვარებულია, ვიდრე ნაყოფიერებას მოკლებული, ან სრულიათ უნაყოფო, დაუპეკლავი. საზოგადოთ ძველ დედა ფუტკრებს მეტს პატივს სცემენ, ვიდრე ახალგაზრდას.


პირველათ ზამთრის მიწურულში (გასულს) და გაზაფხუ-

ლის დამდეგს დედა კვერცხებს ნაკლებათ სდებს, სწორეთ იმდენს, რომ მუშა ფუტკრებმა შეიძლონ მათი სიცივისაგან დაფარვა, კვება და აღზრდა. რამდენად ბუნება იღვიძებს, სითბო მატულობს, სათაფლო მცენარეები აყვავდება, ამის შესაძარათ დედაც კვერცხის დებას თან და თან უმატებს. კარგს ნაყოფიერს, შესაფერი ასაკის დედას, თუ პირობები ხელს უწყობს, ერთი დღე — დამის განმავლობაში შეუძლია სამიათასამდე კვერცხი დასდოს (ზოგჯერ კი ამ რიცხვსაც გადააქარბებს.) თუ სკის კეთილდღეობა ხელს არ უწყობს, რაგინდ ნაყოფიერი იყოს ან სულ არ სდებს, ან ცოტას, სკის ძალღონის შესაფერათ.

პირველათ ის სდებს მხოლოდ სამუშე ფუტკრის კვერცხებს, და ამით მუშათა ძალით აღონიერებს სკას; სითბო-ღალიანობის მომატების შემდეგ კი სამამლე კვერცხებსაც დასდებს.


კარგი დედა ის არის, რომელიც თავის დროზე ბევრ კვერცხებს სდებს, და კვერცხის დების დროს იცავს სრულს წესრიგს; სდებს თითო საკვერცხეში თითოს, რიგზე, როგორც ფიჭის ერთი მხრით, ისე მეორე მხრითაც. უვარგისი დედა კი კვერცხებს ხშირათ უწესრიგათ სდებს, შეიძლება ერთ საკვერცხეში ორი და ხან მეტი კვერცხი ჩასდვას, ¹⁾ სამამლე კვერცხებს ქარბათ სდებს, ეს შეიძლება დედას მოუვიდეს ან მოხუცებით ან დასახიჩრებით. საზოგადოთ პირველ სამ წელიწადს დედა კარგ დედათ ითვლება, შემდეგ კვერცხის დებას უკლებს. კარგი დედა შეხედულობითაც საღია, მოზრდილია, ხშირათ დედის სიკარგე მისი გარეგნული შეხედულობათ არ გამოიცნობა, როგორც „ხე ხილისგან, ნაყოფისაგან გამოიცნობის“, ისე დედის სიკარგეც მისი ნაყოფით დაფასდება. სურ. 16 და 17 ცხადათ გვიჩვენებს ნაყოფიერი, წესიერათ, კვერცხის მადებარი დედა ფუტკრის ნაშრომის ნიმუშს. სურ. 18 კი მოსჩანს ნაყოფიერება მოკლებულ ცუდი დედის ნაშრომის შედეგი.

¹⁾ შეიძლება ერთ საკვერცხეში, რამოდენიმე კვერცხი ძლიერ კარ-



სურ. 16.


ეს არის ფიქვის ნაჭერის სურათი რომელის ყველა სამუშე უჯრები სავსეა კვერცხებით და კიებით. ამ სურათზე ნათლათ სჩანს **კარგი დედის ნაყოფიერება და წესიერება.**



სურ. 17

ეს სურათიც წარმოადგენს იმავე **კარგი დედის** ღირსების შედეგს მაშინ, როცა სამუშე კიები პარკუჭათ არის, ხელეპირეთ თავ-გადაბეჭდილი.

დედა ფუტკარსაც აქვს შხამიანი ისარი, მაგრამ აღამიანს არ კბენს—დედა მხოლოდ მაშინ იკბინება, მაშინ მომართავს შხამიან ნესტარს, როცა საკმე აქვს თავის ტოლთან, ესე იგი როცა ორ მეტოქე დედებს შორის იმართება სამკვდროსასიცოცხლო ომი. დედა ფუტკრის ისარი მოკაუჭებულია. (იხ. სურ. 7—ზ).



სურ. 18.

ეს სურათი თვალსაჩინოთ ხატავს ცული დედის მიერ აქა-იქ გაფანტულ სამუშე პარკუჭებს.

გმა დედამაც ჩასდვას, მხოლოდ მაშინ, როცა საკვერცხე უჯრებში ადგილს ვერ იშოვნის და დედა ფუტკარი კი კვერცხებით მეტისმეტათ საგსეა.

როგორ იჩეკება ფუტკარი.

როგორც ზემოთ ვაკვრით მოვიხსენიეთ, ყველა ფიჭა დაყოფილია ექვს კუთხიან სწორ უჯრებათ, თითოეული უჯრა, საჭიროების დროს არის, ბარტყების აკვანი; უჯრა უმთავრესათ ორ გვარია: წვრილ თვალეზიანი მუშა ფუტკრებისთვის არის, ფართე და ღრმა კი მამლებისთვის.— თვით დედის უჯრა კი არც ერთს არ გავს. ის მიკეთებულია გარდა იშვიათ შემთხვევისა ფიჭის გვერდზე ან ბოლოზე, მას აკეთებენ მხოლოდ იმ დროს, როცა უნდათ ახალი დედა აღზარდონ, და ამ უჯრის დანიშნულება, მხოლოდ სადედე ჭიის აკვნობაა და მეტი არაფერი. ერთხელ გაკეთებული სადედე უჯრა მხოლოდ ერთი დედის აღსაზრდელათ გამოდგება, მერმეთ მას მუშა ფუტკრები ძრიელ ხშირათ ანგრევენ და მასალას სხვა რამეზე ხპარობენ. როცა ეს უჯრა დასრულებულია საეცებით გავს ძროხის ძუძუს, ან თითა ყურძნის მარცვალს. სხვა უჯრებზე ღრმაც არის და გახიერიც.



სურ. 19.

ცალკე გამოჭრილი სადედე უჯრა.

ზამთრის განსვენების შემდეგ დედა კვერცხის დებას შეუდგება, ზამთრის უკანასკნელ დღეებში, როცა ზუნება უკვე

სითბოსკენ გადიხრება, ესე იგი როცა „ზამთარს წაუხდება ჭირნახული“, და „ზურმუხტის ტახტზე ჯდება გაზაფხული“. კვერცხის დების დაწყება შეთანხმებულია ბუნების გამოღვიძებისთან.

კვერცხის დების მოახლოების წინ მუშა ფუტკრები დედას დაუწყებენ განსაკუთრებით უხვად კვებას. მაძლარი, ნაყიერი, საკმლის გამო დედას მოემატება ენერგია, მუცელი



სურ. 20.

დედა ფუტკარი კვეცხს სდებს.

ორსულივით წამოებერება და კვერცხის სადებათაც მზათ არის. კვერცხის დადების წინ ის ჩაყოფს თავს საკვერცხეში და როცა კარგათ დარწმუნდება, საკვერცხე უჯრა მუშა ფუტკრების მიერ წინა წინ კარგათ არის გაწმენდილი, ჩაყოფს საკვერცხეში ბოლოს, უკანა ფეხებით მაგრათ მოებლაუჭება მახლობელ უჯრას და თითოეულ საკვერცხეში ჩასდებს თითო—თითო კვერცხს.

ამ რიგათ დინჯათ ერთი საკვერცხიდან მეორე საკვერცხეზე გადადის, რიგზე, როგორც ფიქის ერთი მხრით ისე მეორე მხრითაც.

კვერცხი არის მოთეთრო, პაწია, ოდნავ გამქვირვალე. დედას შეუძლია დასდოს ორ გვარი **დამამლული და დაუმამლავი**, (დაპებლული და დაუპებლავი) კვერცხი, პირველს სდებს სამუშე ვიწრო თვალებიან უჯრებში, მეორეს კი მსხვილ თვალებიანში. პირველში ჩადებილი კვერცხებიდგან გამოიჩეკება დედლები (მუშა და დედა) მეორედგან კი მამლე-

ბი. თუ როგორ ახერხებს ასეთ ოსტატურ საქმეს, ამას მერმეთ გავიგებთ. დედა ფუტკარი კი სქესით იგივეა, რაც მუშა, სამუშე კვერცხისაგანაც იჩეკება, მხოლოდ ფართე უჯრა და განსაკუთრებითი უხვი კვება აძლევს უპირატესობას იყოს ტან დასრულებული და სხეულ განვითარებული ვიდრე მისი მსგავსი დობილი მუშა.



სურ. 21.

ფიჭის გვერდული ნაბერი, რომელზედაც არის ბუნებრივი დედის უჯრები. ზემოთ **ა**. ახლათ დაწყებული უჯრის ჯამია. **ბ**—დედა უკვე მშვიდობით გამოძვრალა, **გ**—ჯერ კიდევ დაბეჭდილია, „მწიფე სადედე“ უჯრაა, რომლისაგანაც შემდეგში უნდა გამოვიდეს დედა. **დ**—ში სადედე პარკუბა ან მოუკლავთ ან თავისით მომკვდარა, მკვდარი მუშა ფუტკრებს გამოუთრევიათ. გვერდიდან ნახვრეტი მისთვის ემჩნევა. (მშვიდობით გაჩენილი დედის უჯრის თავი ყოველთვის ისე სწორათ იქნება ამოჭრილი როგორც არის **ა**.)

როგორც მოგახსენეთ, სადღედ უჯრა სხვა უჯრას არ გავს და როცა მთლიან დასრულებულია დედის შიგ კვერცხს ჩადებაც არ შეუძლია, და რომც შეეძლოს არც ჩადებს, რადგან ალღოს (ინსტიქტის) მეოხებით მან კარგათ იცის, რომ აქედგან გამოიჩეკება მისი მეტოქე, მაგრამ ოსტატი მუშა ფუტკრები, როცა მათ სურთ ახალი დედა გაიჩინონ ხრიკს მიმართავენ; პირველათ გააკეთებენ მარტო სადღედს საკვერცხის ძირს, ფსკერს, რომელსაც მთლიან მუხის რკოს გავს, (რაშიც რკოა მოთავსებული) (იხ. სურ. 21 — 6.) დედა ფუტკარი ასეთ საკვერცხის ჯამში, როცა კვერცხს ჩასდებს, შემდეგ მუშა ფუტკრები ჭიის ზრდასთან ერთად საკვერცხესაც თან და თან სიმაღლეს, და სიფართოვეს უმატებენ.

(ზოგიერთი მეცნიერის აზრით, როცა ფუტკრები გადასწყვეტენ აღზარდონ დედა, გაამზადებენ სადღედ უჯრას და სამუშე საკვერცხიდგან გადააქვთ კვერცხი.)

როცა ზემოთ აწერილ საკვერცხე უჯრის ფსკერზე დედა კვერცხს დასდებს, იმ კვერცხისაგან მესამე დღეს გამოიჩეკება პაწილუკა ჭია. სადღედ ჭრას მუშა ფუტკრები განსაკუთრებით პატივით ეპყრობიან, ფუფუნებაში ყავთ. გარშემო მუდამ ბევრი გადია ფუტკრები ახვევია და უხვათ აძლევენ საუკეთესო ღირსებრს საკმელს. სადღედ უჯრას თუ დააკვირდებით, უხვათ შენიშნავთ ჭიის გარშემო რძე მაგვარ თეთრ სითხეს; ეს სითხე ჭიის საკვებია ჭეოსა და თაფლისაგან შემზადებული. — ასეთი სითხე სხვა ჭიებთანაც არის, მაგრამ ისე უხვათ და ისეთი ღირსების არა, როგორც მომავალ ქალბატონთან. სადღედ ჭიაც სარგებლობს თავის მდგომარეობით, უხვათ მიირთმევს საკმელს, რის წყალობითაც სხვებზე ნახევარი დღით ადრე ათავებს ჭიობის ხანას, ე.ი. ხუთ დღე ნახევარში ასრულებს ზრდას, მეექვსე დღეს ის უკვე კარგა მოზრდილი ბუნჩულა ჭიაა. ჭიის ზრდასთან ერთად მუშა ფუტკრები საკვერცხეს სიმაღლეს უმატებენ მეექვსე დღეს კი თავს მთლიან გადაუბეჭვენ. ამის შემდეგ მომავალი დედა იქცევა პარკუჭათ. მისი პარკუჭათ ყოფნა

გრძელდება რვა დღე ნახევარს, ამ ხნის განმავლობაში ის თავის განსასვენებელში გადახალისდება, სრულით იცვლის თავის პირველ სახეს, უშნო და უღაზათო ჭია იქცევა კოხტა ლამაზ ფუტკრათ. საკვერცხე უჯრის სახურავის, ქუდს, შიგნიდან მრგვლათ ამოჭრის და ამოძვრება ზევით. კვერცხის დადებიდან 17 დღე და ლამეა საკიროს, რომ კვერცხიდან სადღე ფუტკარი გამოვიდეს. ახლათ გამოჩეკილი დედა ადვილი საცნობია იმდენზე არ ბზინავს და ისე მოყვითანო არ არის როგორც ძველი კვერცხის მადებარი, მუცელიც მოკლე და პატარა აქვს.

კვერცხიდან მუშა და მამალიც მესამე დღეს იჩეკება. ჭიარაც მუშა და მამალი ფუტკარი რჩებაც ექვსი დღე ლამე. შემდეგ მუშა ფუტკრები თავს გადაბეჭდავენ, გადახურავენ. სამუშე ფუტკრების უჯრის სახურავი ხელეპირეთ სწორია. პარკუჭათ მუშა ფუტკრის ჭია რჩება თერმეტი დღე და ლამე, შემდეგ იქცევა ფუტკრათ ამოხვრეტს სახურავს და ამოძვრება ზევით ბლარტი ფუტკარი, რომელიც შემოსილია ოდნავ მოთეთრო ბუსუსებით. ამ რიგათ მუშა ფუტკარს ეჭივრება ოცი დღე და ლამე, რომ კვერცხი ფუტკრათ იქცეს. სამამლე ფუტკარი პარკუჭათ არის თუთხმეტი დღე და ლამე ამ სახით კვერცხის დადებიდან მამალ ფუტკარს ოცდამთხი დღე და ლამე უნდება, რომ ფუტკრათ გარდიქმნას

სამამლე პარკუჭას თავები სწორეთ არ არის გადაბეჭდილი — აქა იქ ამოზურცულია, გეგონება ტიკინის პაწია ქუდები ხურავთო. სამამლე ჭიებს მეტი კვება სჭირდებათ, რადგან სამუშე ჭიებზე დიდებიც არიან და ღორ — მუცელებიც ბრძანდებიან.

ფუტკრების აღზრდა და მისი თვალსაჩინო ცხრილი.

საზოგადოთ ყველა მწერი განიცდის ორ გვარ აღზრდას, სრულს და ნაკრულს. მწერის სრული აღზრდა (ანუ განვითარება)

ასეთია: კვერცხიდან გამოიჩეკება ჭია, რამოდენიმე დღის კვების შემდეგ ჭია გადიქცევა პარკუჭათ (ჭუპრი), რომელიც თავის აკვანში, რამოდენიმე ხანს სრულიათ უმოძრაოთ არის; (პარკუჭის ასეთ ყოფას „განსვენების ხანა“ ეწოდება) შემდეგ



სურ. 22


ეს სურათი გვიჩვენებს სამუშე და სამამლე კვერცხს, ჭიას და მის განვითარებას ცხრა დღის განმავლობაში ე. ი. გადაბეჭვამდე.

გადახალისდება, სრულიათ კარგავს თავის პირველ სახეს და გარდიქმნება მწერათ.

სამივე ჯურის ფუტკარი ეკუთვნის იმ მწერთა ჯგუფს, რომელნიც განიცდიან დასრულებულ აღზრდას, ე. ი. ყველა ფუტკარი პირველათ კვერცხათ არის, მერმედ ჭიათ, შემდეგ პარკუჭათ — უკანასკნელათ კი მწერათ. როგორც მოგახსენეთ სამივე ჯურის ფუტკრები კვერცხისაგან მესამე დღეს იჩეკებიან, ჭიათ კი ზოგი მეტ ხანს რჩება, ზოგი ნაკლებს, როცა ჭიობის ხანა თავდება ფუტკრები საკვერცხეს თავს გადახურვენ, სანთლის სიფრიფანა სახურავით, მაგრამ რადგან მარტო სანთელით, რომ გადახურონ ჰაერის დენას დაახშობს, ჰაერი კი სუციერი არსებისათვის აუცილებელია, ამისათვის სახურავის სანთელს ჰეოს ურევენ.

დაბეჭდილი ჭია, აბრეშუმის ჭიის მსგავსათ გაეხვევა პარკში, მერმედ მას თან და თანობით უვითარდება სხეულის ნაწილები, გამოუჩნდება და ეზრდება ფრთები, ფეხები და სხ. აღზრდის დროს რაკი სხეული ეზრდება თავის კანში ვერ ეტევა ის ოთხჯერ იცვლის პერანგს, ანუ როგორც ხალხი ამბობს „ამოდის კანიდან“. გამონაცვალ პერანგს (ანუ კანს) სტოვებს თა-

ვის აკვან—უჯრაში, იქვე სტოვებს აგრეთვე იმ საკმელის ნაწილს, რომელიც კიისთვის მოუწელებელი იყო. რის მიზე-



სურ. 23.

ამ სურათზე ვხედავთ (პროფილში) სამივე ჯგურის ფუტკრების აღზრდას; მარცხნივ ზევით სამი დღე კვერცხალ, ცხრა დღე თაგ-ლია, გადაუბეჭდავი ბარტყებია, (კიობის ხანა.) თერთმეტი დღეს კი გადაბეჭდილი. (პარკუქობა) მეოცდარტ დღეზე კი ფუტკარი ჩნდება. (აკლია მამლების სამი დღე).

ქვეით ბ—გვიჩვენებს მეცხრე დღეზე გადაბეჭდილ სადღე უჯრას. ბ—ნიშნავს თაგ-ამოჭრილ სადღეს, რომელიც მოასწავებს დედის მშვილობით „გადარჩენას“, მე 18-ტე დღეზე.

(საკიროების დროს სადღე უჯრებს მუშა ფუტკრები რამოდენიმეს აკეთებენ იმ წინასწარ ანგარიშით, რომ ვაი თუ ერთიდან გამომჩეკილი არ ივარგა, მეორე ან მესამე გამოდგებაო, ოღონდ კი კარგი დედა აღზარდონ და მისთვის არას დაზოგვენ.)

ზითაც ფიქვა რამოდენიმე აკვნობის შემდეგ შავდება და სიზრქესაც კლებულობს.

ფუტკართა აღზრდის თვალსაჩინო შედარებითი ცხრილი.

	დღე და ღამე		
	დღეა ფ.	მუშა ფ.	მამალი
კვერცხად არის	3	3	3
ქიად—	5 ¹ / ₂	6	6
ამრიგათ თავლია მდგომარეობაში .	8 ¹ / ₂	9	9
პარკუჭად—(თავ გადახურული) . .	8 ¹ / ₂	11	15
ფუტკრად (მწერად) იქცევა კვერცხის დადებიდან	17	20	24
ყოვლად საუკეთესო ან ცუდი, დამაბრკოლებელი პირობების მიხედვით ეს დრო შეიძლება ასე შეიცვალოს	16-22	19-26	24-28

შენიშვნა: ხელის შემშლელ პირობათ შეიძლება — მოულოდნელი სიცივე, და ცუდი კვება.





დედა ფუტკრის განაყოფიერება.

ახლად გამოჩეკილი, ახალგაზრდა დედა ფუტკარი ხუთი-ექვსი დღის შემდეგ გამოფრინდება სკიდან საქორწინოდ—გასანაყოფიერებლად, დასაპებლავად. საქორწინო დღე უნდა იყოს მზიანი, ნათელი, წყნარი და თფილი. აუარება ახუნტრუცებული, მაძლარი კვებისაგან გალაღებულა, ეშხში შესული მამლები, რომლებიც სხვათა შორის ყნოსვითაც გაიგებენ ამ მათთვის სასიხარულო ამბავს, გამოყვებიან. დედა ფუტკარი მსწრაფლი კეკლუცი ფრენით ცის სივრცეში მიიჟარება. ხშირათ საქორწინოდ ძლიერ შორს მიდის. გამოფრენის წინ ის იმახსოვრებს თავის ბინას, რომ „ჯვარის წერის“ შემდეგ იქვე დაბრუნდეს, თორემ თუ სხვა სკაში შევიდა, ჩამწარდება დედოფლობა, საქორწინო ქეიფის მაგიერ მოჰკლავენ.

სამეფოს მაძებარი დედა თავ-დავიწყებით მიფრინავს, მას მისდევენ მხიარული მაყრულით მამლები: ყველა ცდილობს დედას დაეწიოს და მოხიბლოს თავის სიმარდით, მაგრამ ის სრულებით არ ჩქარის, ხუმრობა ხომ არ არის, მთელ მის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ უწევს დედოფლობა და

ახლაც ხომ უვარგის, პირველ შეხვედრილ მამალს არ აირჩევს. თესლთა არჩევას აქ დიდი მნიშვნელობა აქვს. უამრავი (უთვალავი) შთამომავლობის მამა ღირსი უნდა იყოს მამობის; შვილებიც, რომ მას დაემსგავსოს, ის უნდა იყოს მარდი, ღონიერი და ჯან-სალი. ყოველივე ამის გამოცნობა კი შეიძლება ერთმანეთთან გაჯიბრების შემდეგ; აქ მამლების ნამდვილი „დოლი“ იმართება, გამარჯვებულს საჩუქრათ დედოფალი რჩება.

„დოლში“ მონაწილეობას გარეშე სკის, უცხო ოჯახის მამლებიც ღებულობს და ეს დიდათ სასურველია, მამალი ფუტკარი დედა ფუტკარზე ნათესაობით, რაც დაშორებულს იქნება, მით უკეთესია-მით უფრო სისხლი ახლდება.

ეს რომ ასე არ იყოს და თესლთა არჩევას მომავალი თაობისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდეს, ქორწინება შიგსკაში შესრულდებოდა, მაგრამ ჯერ ერთი, რომ მამალს ისე არ შეუძლია შეასრულოს განაყოფიერების პროცესი-აქტი, თუ ფრენაში არ გაიბერა და მეორეთ და უმთავრესათ სკაში იქნებ მეფობა უვარგის, ჩათლახ მამალს რგებოდა და ეს სასურველი არ იქნებოდა, რადგან „დედა ნახე, მამა ნახე — შვილი ისე გამოიხე-ს“ ბრძნულ ანდაზას აქაც თავისი ადგილი აქვს.

დედა ცის სივრცეში გამალებით მიფრინავს, მისდევნენ მამლებიც, რამოდენიმე ასობით, მაგრამ თან და თან მამლების გუნდი მცირდება, სუსტები უკან ჩამორჩნენ, დედას მხოლოდ რამოდენიმე ათეული მისდევს — დედა კიდევ ინახება და არ ჩქარის... მიფრინავს და აჰა, როცა ერთი ორიოდეს მეტი უკვე „შემოიცივითა“, მოქანცა და მიატოვა რჩეულთან, გამარჯვებულთან ის იქორწინებს, იქვე ჰაერშივე შეუკავშირდება მას და განაყოფიერების შემდეგ სკაში ბრუნდება. ¹⁾

¹⁾ აქ სწორეთ ისეთივე შეუღლება ხდება, რასაც დარვინი „ბუნებრივ შერჩევას“ უწოდებს.

ამ დროს, რომ კარგათ დააკვირდეთ, მან უკანა ნაწილით რაღაცა მოიტანა— ეს არის მამლის სასქესო ასო, რომელიც მისმა სატრფომ შეატოვა და თვითონ სული განუტევა.

მოხდება შემთხვევა, რომ დედა პირველ გამოფრენაზე არ დაიპვლება, გამოფრინდება მეორე, მესამე ჯერაც... თუ ისეთი ცუდი ტაროსი დაიჭირა, რომ დედა რამოდენიმე კვირის (40 დღემდე) განმავლობაში გარეთ ვერ გამოფრინდა, ფრენის უნარი სრულიად ეკარგება; თავს ანებებს გარეთ გამოფრენას და დაუპვლავად იწყებს კვერცხის დებას, მაგრამ მის მიერ დადებული კვერცხიდან, როგორც მამლისაგან გაუნაყოფიერებელისაგან, იჩეკება მარტო მამლები. შეიძლება ასეთივე ბედი ცწვიოს იმ დედას, რომელიც ადრე გაზაფხულზე გამოიჩეკა და საქმროთ მამალი ვერ იშოვნა. ასეთი შემთხვევა თუმცა ძლიერ იშვიათია, მაგრამ არის კი. სკისთვის ასეთი ქალწული, დაუმამლავი დედა გამოსადეგი არ არის—სარგებლობის მაგიერ ზარალი მოაქვს, რადგან მშრომელ მუშა ფუტკართა მაგიერ მუქთა ხორა მამლებს ამრავლებს. (ზოგჯერ მოხდება, დამამლული დედაც პირველ რამდენიმე დღეს მარტო სამამლე კვერცხებს სდებს, მაგრამ ეგ წარმავალია—დიდხანს არ გასტანს და მეფუტკრეს ნუ შეაშინებს.)

განაყოფიერებული დედა სკაში დაბრუნებული, სამი დღის შემდეგ იწყებს კვერცხის დებას. პირველათ სდებს ძლიერ ცოტას, მერმეთ თანდათან უმატებს. პირველ წელიწადს იმდენი კვერცხის დება არ შეუძლია, რამდენიც მეორეს და მესამეს. პირველს ხანებში ახალგაზრდა დედას წესიერ კვერცხის დება უჭირს, მაგრამ მერმე თან და თან ეჩვევა.

ერთხელ დაპვლული დედა მეორეთ არასოდეს არ იპვლება: მთელ მის სიცოცხლეში ერთი დამამლა ყოფნის, ერთხელ მამალთან კავშირის დაჭერთაც ნაყოფიერია. არც სკიდან გარეთ გამოდის, თუ ნაყარს-მართვს არ გამოყვა.

სიცოცხლე კი დედას შეუძლია 4—5 წელიწადიც, მაგრამ სკისთვის სამი წლის უხნესი აღარ არის კარგი, რადგან

ხანში შესვლის შემდეგ ნაყოფიერ კვერცხის დებას ძლიერ უკლებს.

ზემოთ ნათქვამიდან ყველა მუშა-მეფუტკრემ გულის ფიცარზე უნდა დაიქდიოს: ეცადოს და სკაშიარ იყოლიოს სამი წლის უხნესი დედა და სრულებით ერიდოს უნაყოფო, დაუშამოავ დედას.

კვერცხის დება.

ყველა განაყოფიერებულ დედას შეუძლია ორ ნაირი კვერცხის დება: — **განაყოფიერებულის** და **გაუნაყოფიერებელის**; ხალხური ენით რომ მოგახსენოთ, დაპებლილი და დაუპებლავის ანუ დამამლულის და დაუშამლავის. განაყოფიერებული კვერცხიდან იჩეკება მუშა ფუტკარი და თვით დედაც. გაუნაყოფიერებელიდან კი მამალი. თუ როდის, რომელი კვერცხი დასდვას ეს თვით დედის საქმეა, მის ნება-სურვილზე ჰკივია.

როგორ ახერხებს უბრალო მწერი ასეთ საოცარ საქმეს, (რომელიც ჯერ მეცნიერებს ვერ გაუხერხებია, თუმცა კი ბევრი შეეცადა) ამის შესახებ ჯერ-ჯერობით ორგვარი მეცნიერული აზრია. პირველი მოსაზრება ასეთია: ზემოთ ჩვენ გვქონდა აწერილი დედა ფუტკრის საკვერცხე (იხილე სურ. 6), ამ საკვერცხის მიღების შესართავს ქვემოთ მოთავსებულია პატარა სათესლე ბუშტი. ვიცით, რომ დედა მთელ მის სიცოცხლეში აქ ინახავს იმ თესლს, რომელიც მან მიიღო მამლისაგან განაყოფიერების დროს. პირველი აზრის დამკველები ამბობენ, რომ როცა დედა კვერცხს სდებს, თუ სურს დასდვას ნაყოფიერი ანუ სამუშე კვერცხები, მაშინ ის თავის კვერცხს, თესლის გადაძვემ მილით გამოატარებს ისე, რომ როცა დაუაწლოვდება მამლის თესლით სავსე ბუშტს, დედის კვერცხი შეეხება მამლის თესლს, რომლის მარტო ოდენ წაკა-

რება და შესველება საკმარისი ხდება კვერცი განაყოფიერდეს და მერმეთ მისგან დედალი ფუტკარი გამოიჩეკოს.

როცა დედას სურს დასდვას სამამლე, გაუნაყოფიერებელი კვერცი, მაშინ სამამლე თესლის ბუშტს არ წააკარებს, ესე იგი დედა თავის კვერცხს მამლის თესლით არ შეასველებს, არ გაანაყოფიერებს და ამგვარი კვერცხისაგან მხოლოდ მამალი იჩეკება.

მეორე აზრის დამცველი მეცნიერები ამბობენ, რომ რაკი დედა ფუტკარი კვერცხის დების დროს ფეხებით მახლობელ უჯრის კიდევს მოებლაუქება, ამ დროს მისი სხეული უჯრაზე გადალაჯებულია. ამის მიხედვით, როცა ის კვერცხის სადებათ, ვიწრო თვალიან სამუშე უჯრებს გადააჯდება, ფეხები მოვიწროებული დაურჩება, რასაც გავლენა აქვს მთელ სხეულზე; ფეხის მოვიწროვებით მთელი სხეულიც ვიწროვდება, აწვება მუცელს და სათესლე ბუშტს დასწურავს. მაშასადამე, როცა სამუშე უჯრაში კვერცხს სდებს—ზემოთ თქმულის გავლენით, მამლის თესლის ბუშტიც იწურება და მისგან გამოდის თესლი და ხვდება ზემოდან ჩამოსულ დედის კვერცხს, რის შემდეგ ის ნაყოფიერდება.

წინააღმდეგ, როცა დედა ფართო თვალეზიან სამამლე უჯრაზე კვერცხის სადებათ გადააჯდება, მაშინ მთელი მისი სხეული შედარებით უფრო თავისუფალია, მუცელი ვიწროთ არ არის, თესლის ბუშტს არაფერი არ აწვება და მისგან მამალის თესლის დენას არ იწვევს. ამ მოსაზრებით სამამლე უჯრებში კვერცხის დების დროს დედა მარტო თავის კვერცხებს სდებს—მამლის თესლის შეუხებლათ და გაუნაყოფიერებლათ.

— ცხადი და დამტკიცებული კი ის არის, რომ განაყოფიერებულ, ნაყოფიერება დაუკარგავ დედას შეუძლია ორ გვარი კვერცი დასდვას.

ნაყოფიერება დაკარგულს ვეძახით ისეთ დედას, რომელსაც მოხუცების ან დასახიჩრების მიზეზით გამოელევა მამლი-

საგან მიღებული თესლი, რის შემდეგ მას აღარ შეეძლება დასდვას სამუშეო, განაყოფიერებული კვერცხი; არამედ სდებს მარტო სამამლე კვერცხებს. როგორც სამამლე უჯრებში, ისე სამუშეოშიც ცხადია ამრავლებს მარტო მცონარე მამლებს.

ასეთი დედა მუშა ფუტკრებსაც არ უყვარს და თუ საშუალება დაურჩათ, მოჰკლავენ და მაგიერს აღზრდიან. მეფუტკრეც ფხიზლათ უნდა იყოს, სკას დროზე მიეშველოს და უვარგისი დედა გამოუცვალოს.

სხვა და სხვანაირი დედა. ✓

ა.

გაქივრების დედა.


წინანდელი საუბრით ჩვენ გავიგეთ, თუ როგორ იჩეკებიან ბუნებრივ პირობებში სამივე ჯურის ფუტკრები. დაწვრილებით ვისაუბრეთ დედა ფუტკრის შესახებ, მაგრამ ყოველივე აქამდე თქმული შეგხებოდა მხოლოდ ბუნებრივ, ჩვეულებრივ დედა ფუტკარს, მაგრამ გარდა ბუნებრივი დედისა კი სკაში შეიძლება გაჩნდეს გაქივრების დედაც.

გაქივრების დედა იმიტომ უწოდებიან, რომ ასეთ დედას ფუტკრები გაქივრების დროს აღმოზრდიან, სწორეთ იმ დროს, როცა ფუტკრებს დედა სჭირიათ, მაგრამ არ აქვთ საშუალება ბუნებრივ პირობებში აღზარდონ მათი ცხოვრების ავან-ჩავანი, მათი გაქივრების ტალკვესი.

გაქივრების დედის აღზრდას ფუტკრები შეუღდებიან ობლო ბის დროს, იმ დროს, როცა დედა დაეკარგათ, მაგრამ ბუდეში დატოვა სამუშეო კვერცხი (ან 2—3 დღის ქია.) ამ დროს დაობლება ფუტკრებს ცხადია დაადონებს, მაგრამ სასოს კი არ წარუკვეთს. ობლობას მხნეთ შეხვდებიან, რადგან მათ საშუალება

აქვთ მაგიერი დედა გაიჩინონ. როგორც მოგახსენეთ, სამუშე და სადედე კვერცხი ერთი და იგივეა—ორივედან დედალი ფუტკრები იჩეკებიან.

დედას ჩვეულებრივი მუშისაგან ანსხვავებს მხოლოთ აღზრდა და აკვანი. მაშასადამე რაკი ფუტკრებს ობლობის დროს უმთავრესი, ესე იგი სამუშე კვერცხი (ან ჭია)ეშოვებათ, დანარჩენი მათ ხელთ არის. აირჩევენ რამოდენიმე კვერცხს და მათ გარშემო მოშლიან 2—3 უჯრას და ნაცვლად ააშე-



სურ. 24.

ფუტის ზემო ნაწილში უცხო ასო „M“-სთან თეთრათ ატყვია რამოდენიმე მოშლილი უჯრა, და ახლათ დაწყებული გაჭირვების სადედე უჯრა. უჯრის შვაზე მოსჩანს რკალივით მოხრილი თეთრი, სხვებზე მოზრდილი ჭია. ეს ჭია მომავალ „გაჭირვების დედათ“ არის აღსაზრდელი.

ნებენ ჩვეულებრივ, სადედე; უჯრებს უჯრებში გაუნძრევლათ მოექცევა არჩეული კვერცხები. გამოჩეკილ ჭიებს ნამდვილი დედის მზრუნველობით და პატივით უვლიან და ამ სახით გამოიყვანებენ დედებს, და რომელი მათგანიც უკეთესი.

იქნება და ადრე გამოიჩეკება, საბოლოო დედობაც მას რჩება.

გაქვივრების სადღე უჯრას აკეთებენ ფიქის შუა გულზე და არა კიდურზე. საზოგადოთ იქ, სადაც შესაფერი კვერცხი ან ჭია ეშოვებათ და მავლაც უფრო ეადვილებათ.

გაქვივრების დედის განაყოფიერება ისევე ხდება, როგორც ბუნებრივის.

გაქვივრების დედა ბუნებრივ დედაზე ტანათ მომცროა, მეტადრე თუ ის ჭიისაგან არის აღზრდილი და არა კვერცხისაგან, მაგრამ ნაყოფიერებით ბუნებრივს იშვიათად ჩამორჩება.

სამუშე კვერცხისაგან გაქვივრების დედის აღზრდა ამტკიცებს, რომ სამუშე და სადღე კვერცხი ერთი და იგივეა, მხოლოთ სათუთი აღზრდა და შემდეგი მდგომარეობა ანსხვავებს ამ ორ დებს ერთი ერთმანეთისაგან.

მეფუტკრე თუ თავის სკებს ფხიზლათ ადევნებს თვალყურს და დაობლებულ სკას ნახავს, თუ მათ სამუშე კვერცხები აქვთ, არხეინათ იქნება; მეტადრე მაშინ, თუ სკაში ფუტკრების რიცხვი საკმაოა და თან თუ ახალ გამოსული გაქვივრების დედა საქმროთ შამალს იშოვნის. მაგრამ სულ სხვაა თუ სკას სამუშე კვერცხი არ მოეპოვება, მაშინ მეფუტკრე დაუყოვნებლივ აძლევს არჩეულ სკიდან ფიქას სამუშე კვერცხებით, ან მწიფე სადღედს. თუ მეფუტკრემ დროზე არ მიხედა ინანებს, რადგან უდედო სკას გამოუჩნდება არა მკითხე მეტიჩარა, სუტ დედა, რომელიც სკისთვის დამლუპველია.

ბ.

სუტ დედა.

სულ სხვა მდგომარეობაში ვარდებიან საწყალი, ობოლი ფუტკრები იმ დროს, როცა მათ არ აქვთ საშვალეა აღზარდონ გაქვივრების დედა. სიცოცხლის განგრძობის სურვილი ყველა სულდემულს აქვს თანდაყოლილი; რა ქნან ობოლმა ფუტკრე-

ბმა? როგორ დაახწიონ თავი ობლობას? ყოფნა არ ყოფნის სურვილი მუდამ ოსტატ ფუტკრებს ატყუებს და ნაცვლათ ნამდვილი დედისა, ავი დედინაცვლით კმაყოფილდებიან, რომელიც ისედაც ობლობით დასუსტებულ სკას ვარესათ ასუსტებს და დლითი დღე უფსკრულისაკენ მიაქანებს. ასეთი დედა ბრძანდება სუტ დედა.


ვინ არის ან საიდგან გაჩნდა ეს ქალბატონი? სუტ დედა გახლავს იგივე მუშა ფუტკარი, გუშინდელი მხევალი, დღეს კი გაქალბატონებული. ის არავის არ აურჩევია—მან თვით იკისრა ეს დიადი როლი. უდედობის დროს ერთ-ერთი მეტიჩარა მუშა ფუტკარი—კისრულობს დედის მაგიერობას. ეს არამკითხვე ეთხოვა ყოველგვარ მუშაობას, იწყებს ჩვეულებრივზე მეტ ჭამას, რის მიზეზითაც ტანი და ტანის სხეული ჩვეულებრივ მუშასთან შედარებით ოდნავ მეტი ეზრდება. რამოდენიმე დღის ფუფუნებისა და განცხრომის შემდეგ იწყებს კვერცხის დებას.

მაგრამ რადგანაც მინც ნამდვილ დედასთან შედარებით დაუსრულებელია და უმთავრესათ უბიწოა, ქალწულია, **გაუნაყოფიერებელია**, ე. ი. მამალთან არ ჰქონია სქესობრივი კავშირი, ამისათვის მას არასოდეს არ შეუძლია დასდვას სამუშე, განაყოფიერებული კვერცხი. სდებს მარტო სამამლე კვერცხებს, როგორც სამამლე უჯრებში, ისე სამუშეშიც და ამჩივით ნაცვლათ მუშათა ძალისა ოჯახს სძენს წვნიკ, ჯუჯა მუქთა-ხორა მამლებს. ამათ კვებას და აღზრდას ექვივება დიდი ხარჯი და ჯაფა, რის მიზეზითაც ოჯახი დლითა დღე სუსტდება და ბოლოს სულ ქრება.

ცხადია მეფუტკრე ფხიზლათ უნდა იყოს და სუტ დედა ადრე მოაშოროს. ამ შემთხვევაში ფუტკრების დანდობა არ შეიძლება—დავთარ დაკარგულ ობოლ ფუტკრებს ნამდვილ დედასავით შეუყვარდებათ ეს მათი დამლუბველი. სუტ დედის გაჩენა მეფუტკრის ბრალია.

მეფუტკრეს მართებს ბეჯითად ადევნოს სკებს თვალ-ყუ-

რი და ეცადოს არ გაუჩნდეს ეს ცრუ ტახტის მაძიებელი, თორემ „წამხდარსა საქმეს რას არგებს მერმეთ თითზედა კბენანი“. სუტ დედა იმდენზე ხიბლავს ობოლ ფუტკრებს, რომ მის ნაცვლათ ნამდვილ ნაყოფიერ დედასაც ძლიერ იშვიათად ღებულობენ.



სურ. 25

შუაზე დიდი მსხალ მაგვარი სურათი ბუნებრივი განაყოფიერებუ-
ლი დედის საკვერცხეებია. მარჯვნივ ორტოტა, სუტ-დედის საკვერც-
ხეებია; მარცხნივ კი უბრალო მუშა ფუტკრის ჩვეულებრივი საკვერც-
ხეებია. (სამივე სურათი გადიღებულია, მაგრამ მათი ერთმანეთის დაპირ-
დაპირებით შედარება საკმაოდ თვალ საჩინოა).

სუტ დედა სკაში შეიძლება ერთზე მეტიც იყოს, რაც მათ მავნებლობას მეტათ აზვიადებს.

შეხედულობით მისი გამოცნობა შეუძლებელია, ეს კი მათ განდევნის საქმეს აფერხებს. სუტ დედიაწობის ნიშანია: გაფანტულად ნადები კვერცხები, უმეტესათ ერთ უჯრაში ერთზე მეტი და ყველა უჯრის ქუდოსანი პარკუჭები.

მუშა ფუტკარი.

ტანათ მუშა ფუტკარი უმცროსია, როგორც დედაზე ისე მამალ ფუტკარზე. როგორც წინათაც აღვნიშნეთ, სქესით მუშა ფუტკარი მდედრობითი სქესის არის, იგივე დედაა, მხოლოდ სხეულ განუვითარებელი და ტან დაუსრულებელი. შინაგანი აგებულობაც სწორეთ იმ გვარივე აქვს, როგორც დედას; მაგ. როგორც ვიცით, საკვერცხეები მუშასაც აქვს, მაგრამ მუშა ფუტკარის საკვერცხეები განუვითარებელია იმდენზე, რომ მას არ შეუძლია განაყოფიერებული სამუშე კვერცხი დასდვას. გაუნაყოფიერებლათ, უმამლოთ შეილიერება ანუ „ქალწულებრივი შთასახვა“, როგორც დედას ისე მუშა ფუტკარსაც ეხერხება. (მოიგონეთ სუტ დედა და გაუნაყოფიერებელი დედა)



სურ. 26.

მუშა ფუტკარი გადიდებული.

მუშა ფუტკარი თითქმის ნამდვილი სიდიდის.

მუშა ფუტკარი დედასავით ნაზი აგებულობის არ არის,

მისი სხეული იმდენზე გამაგრებულია, რომ შეუძლია გასაოცარი შრომის ატანა.

მუშა ფუტკრები ოჯახის სრულ უფლებიანი „დიასახლისებია“, რომელთა განკარგულებას ემორჩილებიან, როგორც დედა ისე მამალი ფუტკრები. გარდა ოჯახის ყოველგვარი საქმის აღსრულებისა და მოგვარების, მათი საქმეა თვით ოჯახის გამრავლება, გაყოფა ანუ ნაყოფობა. (მართვობა).

დედა ფუტკარი თუ დედა ოჯახის, მშობელია მთელი ფუტკართა საზოგადოების, ბურჯია სკის, სიცოცხლის წყაროა ფუტკრების, და მით საპატიო, თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს, მუშა ფუტკარზე თამამათ ითქმის, რომ ის ყველაფერია —

-- მუშა ფუტკარი თვით ოჯახია!

მუშა ფუტკრის გამუდმებული შეერთებულ-შეთანხმებული შრომა-ჯაფის წიგნებით სულდგმულობს ოჯახი — მისით არის ყველაფერი.

რას აკეთებს მუშა ფუტკარი?

მუშა ფუტკარი აკეთებს ყველაფერს, რაც ოჯახს ეჭივრება, ის ასრულებს ყველაფერს, რაც საზოგადოებისათვის აუცილებელია. მუშა ფუტკრებს არ შეუძლია მხოლოდ განაყოფიერებული კვერცხი დასდვას და მით დედის მაგიერობა გასწიოს. მუშა ფუტკარს, სქესით დედალს არ შეუძლია დედის განაყოფიერებაში მამლის მეტოქეობა გასწიოს; დანარჩენი კი რასაც გაკეთებულს ვხედავთ და ან, რასაც გონების თვლით წარმოვიდგენთ, ფუტკართა კრებულისათვის აუცილებელს, ყველაფერი მუშა ფუტკარის ნამოქმედარია. მათი ოსტატური, მოხერხებული, მუყაითი შრომის ნაყოფია.

ხალხური ბრძნული ანდაზა, „ბუზი ბევრსა ბზუისო ფუტკართან ყველა ტყუისო“, რომელიც ჩვენ, ჩვენი შრომის დასაწყისშივე მკითხველთა საგულისხმოთ მოვიყვანეთ, მუშა ფუტკრების დამსახურებულ ღირსებას ხატავს. „შაბაშ“! მუშა ფუტკართან შედარებით. მართალია სხვა მწერიც ბზუის, მაგრამ მის წინაშე ყველა სტყუის. ის მშრომელებმა აღზარდეს,

მუდამ შრომაშია და შრომაშივე განუტევებს სულს. სხვებისაგან გასარჩევად, სწორედ რომ ყველა ერთი საპართლიანათ მუშას ეძახის. ის მართლაც რომ მუშაა. მისი მრწამსია: **შრომა, შრომა** და მხოლოდ **შრომა**. **შრომა** სიყრმიდან—სიკვდილამდე. ამოძვრება თუ არა თავის აკვან-უჯრიდან, ერთს კი მიაველ-მოავლებს თვალს იქით აქეთ, ერთს კი გადახედავს იმ ოჯახს, რომლის წევრათაც გაჩნდა, ერთს უკანასკნელათ აქმევენ გადას ფუტკრები და ისიც იმ დღიდანვე შეგბმის კეთილშობილურ შრომის უღელში. გაჩენის დღიდანვე იწყებს შრომას და განაგრძობს მანამდე, სანამ შეუძლია და ცოცხალია.

შრომის „ქუდ-ბედს“ რომ იტყვიან, მუშა ფუტკრებს აქვთ დაყოლილი.

ახლათ ამომძვრალი მუშა ფუტკრის ბარტყი, მოთეთრო ბუსუსებით არის შემოსილი. პირველ დღეს ძრიელ სუსტი და უსუსურია, მობუზულია, ტანათ პატარა გეჩვენება, იმდენზე სუსტია, რომ მისით ქამაც არ შეუძლია გადიები აქმევენ. მუცლის გამოდლობის შემდეგ ფუტკარი დასრულდება, იმდენზე მატულობს, გეგონება ორ დღეში გაზრდილანო. ღლაპი ფუტკარი რამოდენიმე ხანს იმავე ფიქაზე რჩება, სადაც იყო მისი უჯრა-აკვანი — შემდეგ, როცა არე მარეს მიხედ-მოხედავს, ნორჩი თვალი სინათლეს ეჩვევა, და უმთავრესათ, როცა პირველი ქმევისაგან მოლონიერდება, იწყებს საოჯახო საქმეს.

პირველი საქმე, რომელიც მას შეუძლია ეს არის მისივე უმცროსი დობილ-ძმობილების გადაი-ძიძაობა. გუშინ თუ მას სხვა უვლიდა, დღეს ის თავის ძიძას ანთავისუფლებს, ცვლის მორიგეობიდან. გარდა გადიობისა უვლის დედას და ფიქის შენებაშიაც იღებს მონაწილეობას.

ბლარტი ფუტკარი სკიდგან არ გამოდის ექვს-შვიდ დღემდე. მერმეთ შეარჩევს თფილ ნათელ დღეს და ნაშვადღევს თავის ტოლებთან ერთად გამოფრინდება გარეთ. პირველი მისი გამოფრენა ძრიელ ფრთხილია, შორს არ მიდის, თითქოს დაბნევის ეშინია, სკის გარეშემო დაფრინავს. მორიდებით კი არის, მაგრამ

სამაგიეროთ მხიარულობს—ცელქობს—ახლათ ნახულ ბუნებას შესტრფის და შეხარის. სასიამოვნო ხმით ბზუის—ასე იფიქრებ მღერისო—ამისთვის არის, რომ ჩვენ ხალხს ფუტკრის ასეთი გამოფრენისთვის „გამომღერა“ უწოდებია. ვისაც თავის თვალით უნახავს ახალ გაზრდა ფუტკრების გამოფრენა, მათი ცელქობა და მისი ყურით მოუსმენია მათი „სიმღერა“, ასე ეგონება თამაშობსო. მაგრამ ეს უბრალო თამაში არ არის. ასეთი გამოფრენით, რომელსაც ფუტკარი რამდენჯერმე იმეორებს ის ვარჯიშობს, სწავლობს ფრენას, ივითარებს და იმაგრებენ სხეულს, ეცნობა თავისი ბინის არე-მარეს,—რომ შემდეგში, როცა ღალისთვის წავა, შეუმცდარათ თავის სკაში დაბრუნდეს.

ახლათ ამომძვრალი ბლარტი, გაჩენის დღიდან რომ ვიანგარიშოთ, თოთხმეტ დღეს ანდომებს გადიობას და გამომღერას, მერმეთ კი იწყებს ნამდვილ ოსტატ მუშა ფუტკრობას; სკის გარეთ მიდის ღალისთვის. ამ რიგათ კვერცხის დადების დღიდან რომ ვიანგარიშოთ, სრულს ფუტკრათ ქვევამდე—გარეთ ღალისთვის წასვლამდე, მოუნდება ხუთი კვირა. (21 + 14 = 35). ამას ყველა მეფუტკრე ანგარიშს უნდა უწევდეს და მტკიცეთ ახსოვდეს.

მუშა ფუტკრებს ბევრ გვარი საქმე აქვთ, სკის შიგნით და სკის გარეთ: ბინის (სკის) ყოველ დღიური დასუფთავება, ფიჭის შენება, დედის კვება, უჯრების დაწმენდა, კვერცხის კრუხობა, ჭიის გადია—ძიძაობა, მ თთვის საკვების შემზადება და ქმევა, პარკუჭების თავის გადაბეჭვდა, ახლათ გაჩენილი ფუტკრის პირველი ქმევა, სადედის გაკეთება და დედის სათუთი აღზრდა. მამლების აღზრდა და რჩენა, სკაში ფრთების ქნევით ჰაერის გაახლება, სკის ქურჭუტანების დაგლესა და მით ბინის სიცივისაგან და მტრისაგან დაფარვა, სკის საფრენთან ერთგული მორიგეობითი დარაჯობა, მამლების თავის დროზე გაძევება, თაფლის იქით აქეთ გადაზიდვა, მისი ამოორთქვლა-დამწიფება, თაფლიანი უჯრების თავის გადა-

ბეჭვდა, მისი დაზოგვა, საზამთრო თავდარიგი და სხვა.

სკის გარეთ: ყველგან სათაფლო ნექტარის ძებნა, თაფლის შეგროვება, შინ მოტანა და უჯრებში ჩასხმა, ყვავილის მტვერის შეგროვება და ქეოთ ქცევა, დინდგილისა და წყლის მოტანა და სხვა. ერთი სიტყვით, მათი შრომა ძლიერ რთულია და დიდ ჯაფას თხოულობს.

გამუდმებული ჯაფა მშრომელ ფუტკრებს ძლიერ ადრე უსპობს სიცოცხლეს—ყველაზე უწინ მათ უზიანდებათ ფრთები, ტანზე სცილდებათ ბუსუსები. ასე დაზიანებული ფუტკარი თუ გინდ მისით არ მოკვდეს, შრომა მაინც არ შეუძლია. საზოგადოთ გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში გამოჩეკილი ფუტკარი 6—8 კვირას ცოცხლობს. ამის შემდეგ ან შრომით მოქანცულები იხოცებიან, ან მსხვერპლი ხდებიან ბუზი-ყლაპია ფრიველების, მუხანათი ობობას ქსელის, კრახანა—ბაზის, წყლის, კუდი ტაროსის და სხვა.

ამაზე მეტს სძლებენ ის ფუტკრები, რომლებიც შემოდგომაზე გამოიჩეკენ; ესენი, რაკი ზამთარში მოსვენებით უსაქმოდ არიან ცხრა თვემდეც ცოცხლობენ.

მოხუცი, შრომისაგან დაბერებული ფუტკარი, ადვილი საცნობია: ფრთები დაზიანებული აქვს, ტანი ბუსუსით აღარ აქვს შემოსილი, სხეული ოდნავ უბზინავს, მოშაო ფერი დაჰკრავს. ფუტკრების უმეტესობა სკის გარეთ, შრომაში გართული კვდება. კვდება ოჯახის კეთილ დღეობისთვის ბრძოლაში.

და თუ ოჯახში იგრძნო სიკვდილი, თუ შესძლო და მოახერხა მშობელ ოჯახს არ აწუხებს; თვითონ გამოდის გარეთ და კვდება სკის მოშორებით.

რომ ცხადათ წარმოვიდგინოთ ფუტკრების საქმიანობა, საჭიროა ვიცოდეთ გარდა ენერგიისა რამდენი ხარჯი სჭირია ბარტყების აღზრდას. ამისი ცოდნა ზედმეტი არავისთვის არ არის და მით უმეტეს ვალდებულია იცოდეს მრეწველმა მეფუტკრემ.

თუ რამდენი საკვები (თაფლი და ქეო) ეჭივრება ბარტყებს, ამკითხვი დიდათ დაინტერესდა ორი ფუტკართა ცხოვ-

რების მკვლევარი მეცნიერი ბერლესში და ცესელსკი. პირველი, ბერლესში ამ კიბხვის გადაქრას წარსული საუკუნის დასაწყისში შეუდგა, ცესელსკი კი ბევრით მერმე. დიდი ხნის ცდისა და გამოკვლევის შობდეგ ორივე მეცნიერის დასკვნა თითქმის ერთი და იგივე დარჩა:

4,000 სამუშე ბარტყის აღზრდას სჭირია თითქმის ერთი გირ. თავლი, ნახევარი გირვანქა ჭეო და ერთი გირვანქის მესამედი წყალი.

მთელი წლის განმავლობაში დედა სდებს ასიათასამდე კვერცხს, აქედგან ავილოთ საშვალლო რიცხვი, წარმოვიდგინოთ დედამ მარტო 70—75 ათასის მეტი არ დასდვა, თვით თქვენ გასაჯეთ თუ რამდენი საკვები, შრომა და ჯაფა ეჭვირებათ ფუტკრებს—თავიანთ დობილების აღზრდაზე. ნუ დაგავიწყდებათ ანგარიშში მიხვიდეთ ისიც, რომ სამამლე ბარტყებს ორი წილი საზრდო ეჭვირებათ. სხვებისათვის თავდადებული მუშა ფუტკრები ყველაფერს თვითონ ჰქმნის, მათ კი თავის ნამოქმედარის ყველაზე ნაკლები წილი ხვდება.

ოლონდ კი ბარტყები გამოზაზდონ და საზამთრო საზრდო დაიუნჯონ, არაფერს შეუშინდებიან; ახლო თუ ვერ იშოვნეს სათაფლო ნექტარი და ჭეო, უკიდურესი გაჭვირების დროს ძლიერ შორს მიდიან, ყველგან გაფაციცებით ეძებენ. დაკვირვებამ აღმოაჩინა, რომ ფუტკარს საათში 50 ვერსტის მანძილი შეუძლია გაიაროს ფრენით. აღმოაჩინეს ისიც, რომ ფუტკარი ღალის ძებნაში თავის ბინას 15 ვერსით მოშორებია და მერმეთ ისევ თავის ბინაზე დაბრუნებულა.

ასე შორს ღალის ძებნას ფუტკარი მხოლოთ უკიდურესი გაჭვირების დროს მიმართავს, გვალვისა ან ყვავილების მოწვის შემდეგ, საზოგადოთ მაშინ, როცა ღალის უკიდურესი სიძუნწეა. ჩვეულებრივ კი საზრდოს აგროვებს სკის 3—4 ვერსის ირვლივ. ცხადია, ყვავილი რაც ახლო ექნება, მით მეტს შეაგროვებს და საზრდოს ძებნას ფუტკართა რიცხვიც ნაკლები შეეწირება. ფიქრობენ, რომ დღეში ღალაზე მფრინავი ფუ-

ტკარი იქით აქეთ მიფრინ-მოფრინავს 10—12 საათამდე. რამდენადაც სითბო და წყნარი, უქარო ამინდი ხელს უწყობს, ფუტკარიც იმდენათ სწრაფათ დაფრინავს — მტერიც ნაკლებ ზიანს აძლევს. (ჩქარა ზფრინავს ვერ იქერს).

ერთი სიტყვით, რამდენადაც ახლოს ეცნობი მუშა ფუტკარის მრავალ ფეროვან საზოგადო საჭირო საქმის ასრულებას, რამდენადაც ახლოს ხარ მათ ცხოვრებასთან, იმდენათ ქედს იდრეკ ამ პაწია მწერის წინაშე, გინდა რომ მიბაძო და სხვებიც მოიწოდო მისაბაძად. ჩვენი დიდებული, შეფუტკრეთა უკვდავი მოძღვარი, **ლანგსტროტი** აი რას გვიჩვენებს:

„დადექით სკასთან და კარგათ დააკვირდით, თუ როგორის ხალისით და თავ დავიწყებით ეზიდებიან ეს მშრომლები თავიანთ მძიმე ტვირთს, ამხანაგებთან ერთად, როგორი თანხმობით და სიყვარულით შრომობენ. ამის შემდეგ კარგათ დაფიქრდით, გაქვთ თუ არა უფლება გაჩერდეთ უსაქმოთ მაშინ, როცა თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ საზოგადოების სასარგებლო საქმე. დეე, შრომაში გართული ფუტკრების ბზულიმა განაღვიძოს თქვენში კეთილი მისწრაფებანი და შეგაგონოთ თუ რა კარგი და სასიქადულოა თავის განწირვა და სულის განტყვევა საზოგადო საქმის აღსრულების დროს“.

ამერიკელი მოძღვრის დარიგებას არ შეგვიძლია არ დაუპირდაპიროთ აზიური მწერლობის აზრი მუშა ფუტკარის შესახებ: „ესე საკვირველი არს: ესრე ძნელი გესლი აქვსთ და ერთმანეთს არას ავნებენ, შაშარი უპყრიათ და სიტკბოსა მისცემენ, ესრე საშიშრათ მრისხანენი სიშშვიდით და სიწყნარით მოთავსდებიან და საყვარლად მეგობრობენ, და ჩვენ ადამიანნი და ჭკუის მყოფელნი ესოდენტა უგვანთა ვიქმთ და მრავალნი თვისთა ნათესავთა უმიზებოდ და შეუცოდებლად ავნებენ და რომელიმე სრულიად აღმოფხვრასაც ეცდებიან“. ¹⁾

1) ქილილა და დამანა გვერ. 21.

მამალი ფუტკარი.

(ონაფარი, მეწყლე)

როგორც სურათზე აკვირდებით, მამალი ფუტკარი მუშაზე დიდია. ზაფხულობით სკაში მათი რიცხვი რამოდენიმე ასეულია. ღონიერ, ნაყოფიერ დედიან სკაში კი ზამთარში ის, სულ არ არის. მისი პირდაპირი დანიშნულება, დედა ფუტკრის განაყოფიერება, ზაფხულში უკვე თავდება. შემდეგ კი, როგორც ხორც მეტი, საზოგადოებისთვის გამოუსადეგარი წევრი, საზოგადოებიდან განდევნილ და შიმშილით, სიკვდილით დაისჯება. ფუტკრები მეტის მეტი მომჭირნე დამზოგველი, ანგა-



მამალა ფუტკარი გადიდებული.



სურ. 27

მამალი ფუტკარი თითქმის ნამდვილი სიდიდის

რიშიანი ხალხია, მუქათა და უსარგებლოთ არავის კვებენ. ცოცხლათ მხოლოთ იმას სტოვებენ, ვინც მათი წარმოდგენით საზოგადოებისთვის თავის არსებობით რითიმე გამოსადეგია. დანარჩენებს კი შეუბრალებლათ ჟღეტენ ან შიმშილით ჰკლავენ. არამც თუ მამალი დაზოგონ, ჩვენ ვიცით, რომ მშობელ დედასაც კიარ ინდობენ, როცა ის საზოგადოებისთვის გამოუსადეგარი წევრი ხდება—იმასაც აძევებენ.

ასეთი ბედი მოვლით მამლებსაც—ბუნებას მამლები საშრომლათ არ შეუიარაღებია, მათ გარდა დედის განაყოფიე-

რებისა არაფერი საქმე არ შეუძლიათ. თავის დაცვა რა არის იმისი შნოც არა აქვთ, ბუნებას მათთვის ტანი და ახოვანება არ დაუშურებია, მაგრამ პაწია გესლიანი ისარი კი დაუნანებია. სამაგიეროთ სხვისი ნაჭირნახულევის მირთმევა მაღიანათ იციან. მათ მაღიანობას მუშა ფუტკრები მანამდე ითმენენ, სანამ კიდევ მოელიან მათგან, როგორც მამლებიდან სარგებლობას—მაგრამ, როცა დედას მამალი, როგორც მამალი აღარ ექივრება, მერმე მუშებიც აღმაცვრათ დაუწყებენ ცქერას. თუ ბუნებაში ამ დროს უხვი ღალიანობა არის, მამლებისთვის მუშა ფუტკრებს არ სცალიანთ, მაგრამ ღალიანობა იკლებს თუ არა, საწყალ მამლებსაც გარეთ ყრიან. რაკი მათ თავ-დასაცველი იარაღი არ აქვთ მათზე ბევრით პატარა ფუტკარი აღვილათ ერევა და კინწის კვრით გარეთ აგდებს.

ყური დაუგდოთ უცხოელ მეფუტკრე **ბუტლერს**: „მამალი ფუტკარი დიდი ფუტკარი არის, შხამიან ისარს მოკლებული, დროს ატარებს ტყუილათ ყოფნაში და ღორ-მუცელობაში. ის მუდამ ფართი-ფურთობს, დიდ საქმეში გეგონება გართული ნამდვილ კი მცონარეა. თავის ბოხი, რიხიანი ხმით და გაბერილი მუცლით სხვებისაგან განსხვავდება. სხვისი ნაშრომით ცხოვრობს, არაფერს არ აკეთებს, არც სკაში და არც სკის გარეთ, ჭამით კი ორის ოდენას მიირთმევს. თქვენ ვერ ნახავთ ისეთ მამალს, რომელსაც ჩინჩახვში რამოდენიმე წვეთი ტკბილი თაფლი არ ჰქონდეს. შუა ღლის დროს ის ღიდის რიხით დაფრინავს, ვითომც დიდ რამეს აკეთებდეს, ნამდვილ კი მადის გასაღვიძებლად სეირნობს“.

სხვა მეცნიერების აზრით მამლები გარეთ მარტო მადის გასაღვიძებლად არ დასეირნობენ, არამედ თავიანთი მეტის მეტი მახვილი ყნოსვით ეძებენ ქალწულ დედას გასანაყოფიერებლად.

საზოგადოდ მწერლობაც და ხალხიც, ვინც კი ფუტკართა ცხოვრებას ზერელე გასცნობია, მამალ ფუტკრებს მტრულის თვალთ უცქერის. ასეთი შეხედულება მთლათ სამართლიანი

არ არის. მართალია მამლებს შრომა არ შეუძლიათ, მაგრამ უმისოთ ოჯახს არსებობა მაინც არ შეუძლია. რამდენიც უნდა აგინო, ის მაინც ოჯახის მშობელი მამაა. რამდენათ ეს მამა ძლიერ, საღ ოჯახში იქნება აღზრდილი, მით უკეთესი მამა იქნება, მით უკეთესი, საღი და შრომის გამძლე და მოყვარე შვილები გამოიწევა. როგორც ვიცით, მემკვიდრეობას ფუტკართა ცხოვრებაშიც საბედისწერო მნიშვნელობა აქვს.

მამლების დასაცველათ შეიძლება ვთქვათ ისიც, რომ ამ მხიარულ „მუზიკანტების“ ბზუილს, მუდამ ფართი—ფურთს, სკის მუდამ ერთფეროვან მოსაწყენ ცხოვრებაში სიცოცხლე შეაქვს; მშრომელ ფუტკრებს, მათი ბოხის ხმით ბზუილი, რომელშიც ისმის „მაჰამე! მაჰამე!“ საშრომლათ ამა-მაცებს. ხუმრობა ხომ არ არის ამოდენა პირდაღებული „ვაჟბატონების“ კვება. მუშა ფუტკრებიც თავ-დავიწყებით შრომობენ, რომ არაფერი მიაკლონ ამ მათი საზოგადოებისთვის დროებით საჭირო ლაშქარს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მუშა ფუტკრებიც ალბათ გრძნობენ, რომ რამდენად მამალი საღი და კარგათ გამოკვებილი იქნება, მამლათ მით უკეთესია.

თავისი დანიშნულების ასრულება მამალს მხოლოდ ერთხელ შეხვდება და საწყალს მაშინაც სიცოცხლეთ უჯდება. შეასრულებს რა დედასთან სქესობრივ კავშირს—როგორც ამბობენ უნეტარესი სიამოვნებით გაბრუებული კვდება.

საკვირველია ბუნება. ფუტკართა ცხოვრებაში იდეალურ, საოცნებო „ცოლ-ქმრობის“ მაგალითს ვხედავთ; ქმარი კვდება—ქვრივიც რჩება პირველი ქმრის საუკუნოთ ერთგული: აქ რაღაც „ბარი—ბარობითი“ დამოკიდებულებაა მამალ—დედალს შორის.



სითბო-სიცივის გამძლეობა ფუტკრების მიერ.

(რეომიურის ტერმომეტრით.)

	სკის შიგნ.	სკის გარეთ
	გრადუსები	გრადუსები
ფუტკარი თფილ სისხლიანი მწერია — მისი სხეულის სითბო	+35	35
ფუტკარს შეუძლია გაუძლოს . . .	+4—44	4—44
(+4 ⁰ სითბოში ფუტკარი ცოცხალია, მაგრამ დამზრალია. თან და თანობითი გათბობით-თუ დამზრალი, რამოდენიმე საათის მეტი არ იყო, შეიძლება გამოცოცხლდეს. თუ სიცხე 44 ⁰ აღემატება ფუტკარი იხალება, ისიცხება და კვდება)		
სიცივისაგან იკრუნჩხება და მოძრაობა უჭირს	" "	5—6
თუ ფუტკარს ბარტყობის დროს უწყლობა აწუხებს, წყლისთვის გამოდის .	" "	7
გაზამთრების შემდეგ—პირველი საგაზაფხულო გასაწმენდი გამოსვლა (კუქის დაცლა)	" "	7
შემოდგომაზე გარეთ მუშა ფუტკარი გამოდის.	" "	8 "
გაქვივრებით საშრომლათ გამოდის თუ მზებზე.	10	

	სკის შიგნ. გრადუსები	სკის გარეთ გრადუსები
(თუ ჩრდილში იგივე სითბოა ხალისით მუშაობს.)		
გახურებული მუშაობისთვის საჭიროა	„ „	15—18
გაზამთრება შეუძლია სასტიკ ცინვაშიც	„ „	—30
(თუ ასეთი სუსხი ზედი-ზედ არ დაიჭირა და დრო გამოშვებით არის. სკა თფილად თუ არის მორთული, შიგ ფუტკარიც საკმაოა, სარჩოც აქვთ და მყუდროებას არაფინ ურღვევს.)		
საზამთრო სითბოთ საკმაოა	8—12	„ „
სიცივის შიშის მიზეზით დედა ფუტკვერცხის დებას არ იწყებს თუ ნაკლებია	8	
ბარტყის გამოსაჩეკათ სკაში საჭიროა	20—25	„ „
(თუ დედამ კვერცხები დასდო და სიცივემ უსწრო-გამოჩეკა ვერ გაახერხებს კვერცხებს მუშა ფუტკრები შესტამენ.)		
ფიქას აშენებენ	15—32	„ „
მამლები სასეირნოთ გამოდიან	„ „	15—31
დედა გასანაყოფიერებლად გამოდის	„ „	15—31
ნაყარს დედა გამოყვება	„ „	15—32

III.

ფუტკრების გრძნობა და გონიერება.

ბევრი ფიქრობს, ვითომც ფუტკარი იყოს გონიერებას მოკლებული, მის შრომას არ სჭირდებოდეს ჭკუა და წინასწარ მოსაზრება; ვითომც რასაც აკეთებს—აკეთებდეს მართა აღლოს მეოხებით, ზეპირად, გონება დაუტანებლივ, როგორც უბრალო რამ მანქანა. ბევრი ფიქრობს, რომ ფუტკარი გონიერი მწერი, და მის დასამტკიცებლად მოყავს მათი ცხოვრებიდან ბევრი მაგალითები და ამბობს, რომ ფუტკარს აქვს ბუნებისაგან მიმადლებული მიხვედრილობა, მომჭირნობა, მესხიერება და სხვა. საზოგადოდ დღეს აღიარებულია, რომ ფუტკარი არ არის მოკლებული ისეთსავე გრძნობას, როგორც ბუნების მეფე, ქმნილებათა ქმნილება ადამიანი, პირიქით ზოგიერთი გრძნობა ძლიერ განვითარებულიც აქვს. ფუტკარს აქვს ხუთივე გრძნობა.

მხედველობა.

მხედველობის ორგანოთ ცხადია ბუნებას მისთვის თვალი უბოძებია, მაგრამ როგორც ვიცით ფუტკარის თვალი ჩვენს თვალზე ბევრათ რთულია. თვალი ფუტკარს ხუთი აქვს; წყვილი რთული და სამი მარტივი. დანიშნულება რთულის და მარტივი თვალის სხვა და სხვა ნაირია. ზოგ მეცნიერის აზრით უბრალო თვალით ფუტკარი ახერხებს სკის სიბნელეში მუშაობას. რთულით კი ათვალის იერებს საგანს ყოველ მხრივ, იმახსოვრებს საგნის მდგომარეობას და ერთი მეორესთან დამოკიდებულებას. ამითი აიხსნება ფუტკრებისაგან მოკლე გზით შეუმცდარად დანიშნული ადგილის მიგნება.

აბა რალა საკვირველი იქნება ვისაც ასე კარგად განვი-
თარებული მხედველობის ორგანო აქვს მახვილი მხედველო-
ბაც ჰქონდეს. ამ ნიკის წყალობით ფუტკრები მშვენივრათ
არჩევენ ერთი ერთმანეთისგან სხვა და სხვა ფერს. მაგალითად,
წითელი ქალაღი რომ ავიღოთ და ზედ რამდენიმე წვეთი
თაფლი დავასხათ, თაფლს ფუტკრები თავიანთი ნაზი, მახვილი
ყნოსვით მალე მიავნებენ და დაიწყებენ თაფლის სკაში გადა-
ზიდვას. საცდელად, რომ ავიღოთ და თაფლი სხვა ფერის
ქალაღზე გადავიტანოთ მაგ. ლურჯზე და წითელი ქა-
ლაღიც იქვე დავტოვოთ, ფუტკრები პირველათ წი-
თელ ქალაღს ინახულებენ და დათვალიერების შემდეგ
გადავლენ ლურჯზე. ეს მაგალითი ამტკიცებს იმას, რომ მათ
მხედველობის წყალობით შეუძლიათ ფერის განსხვავება, მეხსი-
ერების მეოხებით კი დამახსოვნება. შენი მტერია, ამ ნიკს
რომ მოკლებული იყოს ფუტკარი, მაშინ მათ არ შეეძლებო-
დათ დაემახსოვნათ და მიეგნოთ თავიანთი ბინა. ამ ნიკთა
წყალობით ყოველთვის დიდებულათ იმახსოვნებენ იმ ოჯახს,
რომლის წევრები თვით არიან და დატვირთულნი იქავე ბრუნ-
დებიან, საიდანაც წავიდნენ.

გემოვნება.

ვინ იქნება და იტყვის, რომ ფუტკრები კარგი გე-
მოვნებიანი არ არიანო; ტბილეულობას ყველგან თავ-
დავიწყებით ეძებენ. როცა თაფლის სიმცირეა, ფუტკრებს
საკვებათ აძლევენ მოდულეზულ ფაფას, შეზავებულს წყლი-
სა და შაქრისაგან. 100 გირ. ფაფას რომ სამ გირ. მეტი
მარილი უყოთ, ფუტკრები შიმშილით ამოწყდებიან და ახლოს
არ გაეკარებიან. რისთვის? იმისთვის, რომ კარგი გემოვნები-
სანი არიან, და გემოვნებასთან ერთად საოცარი მახვილი
ყნოსვაც აქვთ...

გამოერევა ხშირათ ისეთ წელიწადი, რომ საკირო

შეიქნება ფუტკრების ხელოვნური კვება. თაფლს მერმედ კი ყველაზე უკეთესი საკვები შექარია. რუსეთის შექარი, მთავრობის ბაჟი რომ არ ედოს, ძლიერ იაფია. მეფუტკრეთა საზოგადოებამ აღძრა შეაზღვრობა მთავრობის წინაშე, ფუტკრების საჭიროებისთვის შექარის უბაჟოთ დათმობაზე. მთავრობამ მეფუტკრეთა თხოვნა შეიწყნარა, მაგრამ რადგან ზოგიერთმა ხარბმა გაიძვერამ ამით ვაჭრობა გააჩაღა და ფუტკრებისათვის იაფად ნაყიდი ძვირათ ყიდა, სხვა საჭიროებისათვის, ამისათვის მთავრობამ ვერ შესძლო სასტიკი კანტროლის გაწევა და ისევ აკრძალა. ძლიერ ბევრი შეეცადა შექარისთვის გაერია ნავთი ან სხვა რამე ისეთი ნივთიერება, რომელიც შექარს აღმძიანთათვის უვარგისად გახდიდა (ნავთის ან რამის შერევით) ხოლო ფუტკრებისთვის კი კარგი დარჩენილიყო—მაგრამ ჯერ ჯერობით ცდა ამაოთ ჩაიარა. თუ არ წმინდა შექარს, ფუტკარი არ წაეკარა.

თუ რომელ ორგანოს ხმარობს ფუტკარი გემოვნების გასარჩევათ, ეს ჯერ სავსებით მიგნებული არ არის, მაგრამ ცხადია, რომ ეს ორგანო პირში აქვთ.

ყ ნ ო ს ე ა.

ყნოსვა ფუტკრებს მშვენიერი აქვთ. საფუტკრის მახლობლათ, რომ დავაწვეთოთ რამდენიმე წვეთი თაფლი, თავიანთ მახვილის ყნოსვით ძლიერ მალე მიაგნებენ. ყნოსვითვე არჩევენ თავიანთ ამხანაგ-დობილებს, წვერებს ერთ და იმავე საზოგადოებისას სხვებისაგან. ფუტკრებს ძლიერ უყვართ სასიამოვნო სუნი. ძლიერ ეჯავრებათ ოფლისა, ხახვისა, არაყისა და სხვა ამ გვარების სუნი. მაშასადამე, ფუტკარს ვინც უფლის, თუ უნდა, რომ ფუტკარმა შეიყვაროს, ტანთ სუფთად უნდა ეცვას, ტანს ხშირად იბანდეს და მასთან არ უნდა იყოს ლოთი.

ფუტკრები სკასაც ძლიერ სუფთათ ინახავენ: ბუნებრივ მოთხოვნილებისათვის სკის გარედ, მოშორებით მიდიან. ვერ

ითმენენ ვერც უსუფთაობას და ვერც რაიმე ცუდს სუნს; მაგალითად, სკაში შეძერა თაფლისა და სანთლის მტერი — თაგუნა, იცოცხლე, ფუტკრები შხამიან ისრით მალე გაგუდვენ, მაგრამ მასი გარედ გამოტანა არ შეუძლიათ. ჯერ ცოცხალი თაგვის სუნი რა არის და მძორისა რალა სასიამოვნო იქნება. მეტი ჯანი არ არის, ძველ ეგვიპტელებივით, ვიდრე გაიხრწნებოდეს, უკეთებენ აკლდამას; ხელად დაფაცურდებიან; შეაგროვებენ დინდგილს და, როგორც კარგი ხუროთ-მოძღვრები, ყოველის მხრით შემოაგლესენ — ასე „მუმიასავით“ დაასამარებენ თაგუნას. დინდგილს ისეთი თვისება აქვს, რომ მასში ცუდი სუნი ვერ გაატანს.

მეორე მაგალითი. შეიძლება სკაში მოხვდეს ისეთი მწერი, როგორიც ხარბუხაა ან ფუტკრების მტერი დიდი ბაზი. ამათ აკლდამას არ უკეთებენ, დაეხვევიან და, რაც რბილი (ხორცის) ნაწილია, ნაწილ-ნაწილ გამოსწიწნიან და გარედ გადაჰყრიან; სკაში რჩება მარტო გამოხობორიკებული უხორცო კანი, რომელსაც აყროლება აღარ შეუძლია.

თუ რომელია ყნოსვის ორგანო, ჯერ არც ეგ იციან, მაგრამ როგორც ანატომიური განყოფილების აწერილობიდან ვიცით, ისურვია ფუტკრის პაწია ულვაშებში, — ეს იმიტაც აიხსნება, რომ ფუტკრებმა ულვაშების ქიკინით იციან სკაში შესვლის დროს უცხო ფუტკრის გამოცნობა.

შეხება

ფუტკრები არც შეხების ნიქს არიან მოკლებულნი. შეხების ორგანოც ალბად ულვაშებში ურევია, რადგან შეხებაც ულვაშებით იციან. ფიქრობენ აგრეთვე, რომ ის ბუსუსები, რომლითაც ფუტკრის სხეულია შემოსილი, უნდა იყოს მგრძობიარე და ასრულებდეს შეხების ორგანოს დანიშნულებას. ისიც დამტკიცებულია, რომ ულვაშ დაგლეჯილ ფუტკარს შრომა აღარ შეუძლია.

ს მ ე ნ ა

სმენაში ფუტკარი ქებულია. თვითონ ისინი ჰქმნიან სხვა და სხვა ხმას; გამოცდილ მეფუტკარეს იმათი ხმა მშვენივრად ესმის და იცის, რომელი ხმა რას ნიშნავს; მაგალითად, ფუტკარის ხმაზე მეფუტკარეს შეუძლია გაიგოს, ოჯახს დედა ფუტკარი ჰყავს თუ არა. ფუტკარი რა გუნებაზეა, მშვიდათ არის თუ გაჯავრებულია და საკბენად ემზადება. როცა ფუტკარს აღამიანი ან სხვა ვინმე გააჯავრებს, მაშინ ერთი ერთმანეთს ხმით ნიშანს აძლევენ და იწვევენ საერთო იერიშით თავდასაცველად. დედა ფუტკარის გალობა, მისი ტი, ტი, ტი! ან კვა, კვა, კვა! სხვებისაგან სულ ადვილი გასარჩევია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფუტკარის ხმა მათთვის ლაპარაკის მაგიერია.

როგორც სწავლულები ფიქრობენ, სმენის ორგანოც, ულვაშებში უნდა იყოს.

ფუტკარის გონიერება შრომაში.

თუ ფუტკარის ნაშრომს კარგათ დაუკვირდებით, დარწმუნდებით, რომ ფუტკარები საოცარ ოსტატურ ნიჭს იჩენენ შრომაში! უიარაღოთ აკეთებენ ისეთ საქმეებს, რაც ადამიანისთვის კარგის იარაღითაც კი მიუწოდებელია.

აკეთებენ უჯრებს; ეს უჯრები ექვს კუთხიანი, ყველა ერთიერთმანეთის სწორია, არც მეტი, არც ნაკლები; „დარიგებულია, ყოველთავე ცვილთაგან სახლი უნდა ააშენონ, რომე მათი ბანი და ერდო ერთმანეთზე მაღალ—მდაბალი არ იყოს, ერთი მეორეზე მეტ-ნაკლები არ მოხვდეს, არას ხელოვანს ოსტატს უკარაკინოთ და უსასწოროთ მისთანას გაკეთე-

ბა არ შეუძლია!“ („ქილილა და დამანა“ გვერ. 20). ფუტკარმა კარგად იცის, როდის რა ფიქვა გააკეთოს, რომელი უჯრა რომლისთვის არის დანიშნული და ამის კვალობაზე აძლევს უჯრას ფორმას და სიდიდეს. ამ დროს ფუტკარი იჩენს საოცარ დამზოგველობას: აკეთებს სწორედ იმას, რაც აუცილებელია. მუშა ფუტკარმა იცის, რომ თუ დედა აზიზად არ გაზარდა, ისე კარგი არ იქნება ოჯახისთვის, ამიტომ არ ზოგავს არაფერს; დედის უჯრას ანდომებენ სწორედ იმდენ სანთელს, რაც სრულიად საკმაო იქნებოდა ას ორმოც და ათ მუშა ფუტკრის უჯრისათვის.

ფიქვასა და ფიქვას შუა სწორედ იმდენ ადგილს სტოვებენ, რაც საკმაოა, რომ ორმა ფუტკარმა ერთმანეთს გზა მისცეს. როცა ყოველსავე ამას კარგად აკვირდები, ალტაცებაში მოდიხარ—გიკვირს ფუტკრების ხელოვნება და ოსტატობა, მოვწონს მათი მომჭირნეობა, სისუფთავე, წესიერება. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ფიქვებს აშენებენ უმეტეს ნაწილად ახალგაზრდა მუშები, რომლებიც ჯერ არ არიან საქმეში დიდათ დახელოვნებულნი და გამოცდილნი; ახალგაზრდებზე უფრო გამოცდილები და ხნიერები-კი მინდორში არიან და უფრო მძიმე საქმეს აკეთებენ. დაკვირვებამ დაამტკიცა, რომ ის მუშები, რომლებიც პირველად იწყებენ ფიქვის შენებას, ვერ აშენებენ შესაფერის სისწორით, მაგრამ რამდენსაც ეჩვევიან, თანდათან ხელოვნდებიან. ეს ამტკიცებს, რომ ისინი ისე კი არ მუშაობენ, როგორც უბრალო მანქანა, არამედ აქვთ გონიერება და ყოველსავე საქმეს აკეთებენ დაკვირვებით და შეგნებით. მოვიყვანოთ მაგალითები. (ღუნკევიჩით)

ფიქვა ჩამოვარდა და შემთხვევით შერჩა შუა ადგილას. თუ იქიდგან დაიძრებოდა, მოსალოდნელი იყო გაეფუჭებინა სხვა ფიქვები. რა ექნათ ფუტკრებს? როგორ აეცილებინათ თავიდან მოსალოდნელი უბედურება? მთელი მუშათა ჯარი შეუდგა გონიერ-ოსტატურ შრომას; დაიწყეს სკის იატაკიდან, ქვევიდან ზევით ფიქვის აგება და ეს ფიქვა ხელად შეუ-

ერთეს ჩამოვარდნილ ფიქსს; ამის შემდეგ შიში აღარ იყო, ფიქა ქვევით აღარ ჩამოვარდებოდა; მაგრამ მუშა ფუტკრები ამით არ დაკმაყოფილდნენ. საიდგანაც ფიქა ჩამოვარდა, ახლა იმ ადგილიდგან დაიწყეს ფიქის კეთება წესიერად, ე. ი. ზევიდან ქვევით და ამ რიგად შეუერთეს ჩამოვარდნილ ფიქსს, მაგრად მიაკოწიწეს. რაც ჩამოვარდნილ ფიქაში თავლი იყო ახალ ნაშენში გადაიტანეს და მით შეამსუბუქეს. რაკი ახლა აღარავითარი შიში აღარ იყო მისი ქვევით ჩამოვარდნისა, ქვევიდან შეყენებული ფიქა სრულიადაც მოაშორეს. გონიერმა ფუტკრებმა ეს ქვედა ფიქა მხოლოდ მისთვის გააკეთეს, რომ ზედა არ ჩამოვარდნილიყო და, რაკი საჭირო აღარ იყო, ადგნენ და უადგილო ადგილას დროებით გაკეთებული ისევ აიღეს.

იყო ასეთი შემთხვევა: საზოგადოდ ფიქები ცვივა სიცხე პაპანაქების დროს. ასეთის სიცხის დროს ერთი ფიქა ცოტათი დაიწია, ჩამოვარდნას ლამობდა. რაკი ეს შენიშნეს ფუტკრებმა, იმის შიშით, რომ სხვებიც არ ჩამოვარდნილიყო, ადგნენ და გაამაგრეს ქვეშიდგან სანთლის ბიჯგით (ბოძ-კეთით), როგორც შერყეული ფიქა, ისე სხვა დანარჩენიც.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი. ცნობილმა ფრანგმა მეფუტკრე **ბონიემ**, რომელიც თავ-გამოდებით იკვლევს ფუტკართა ცხოვრებას, მოახდინა შემდეგი ცდა.

პატივცემულმა მკვლევარმა ბალის ერთ კუთხეში მაგიდაზე დადვა ერთი ნატეხი შაქარი. ბონიეს განძრახვა იყო, გაეგოთ თუ როგორ ისარგებლებდა შაქრით ფუტკარი. ყველგან სიტკბოს დაულალავმა მაძებარმა ფუტკრებმა მალე მიაგნეს შაქარი. მეცნიერმა გამოსაცნობათ ფუტკრებს შეზავებული, უვნებელი წითელი ფხვნილი (პუდრი) მოაფუცკვია.

ფუტკრები დააჯდნენ შაქარს, მაგრამ თავიანთი სუსტი ყბით მაგარ შაქარს, ვერაფერი დააკლეს და ისევ სკაში დაბრუნდნენ. რამოდენიმე წუთის შემდეგ დანიშნული ფუტკრები ისევ მოფრინდნენ და თან მოიყვანეს ამხანაგები... ეს უკანასკნელები პირველათ მიფრინდნენ მახლობელი რუს პირათ და რა-

მდენიც შეეძლოთ ჩინჩახვით იმდენი წყალი მოიტანეს. წყლის წვეთები დაასხეს შაქარს. ეს ონი რამდენჯერმე გაიმეორეს— შაქარი იმდენზე გააღბეს, რომ შესძლეს მისი წვენით სარგებლობა და სკაში წაღება. ნდობა დამსახურებული მეცნიერის სიტყვით, ამ შრომის დროს ფუტკრებს **შრომა თავიანთ შორის გაუნაწილებიათ**: ზოგი რომ შაქარს წყლით ასველებდა, ზოგი შაქრის წვენს სწუწნიდა და სკაში მიჰქონდა.

იგივე მეცნიერი დაუკვირდა ფუტკრების შრომას მინდორში. ცდამ და უტყუარმა მაგალითმა დაარწმუნა მკვლევარი, რომ ლალის შეგროვების დროს ფუტკრების ერთი რიგი თუ სათაფლო ნექტარს აგროვებს, მეორე რიგი ქეოს. ცდის შედეგი ასეთია: ოთხი მუშა ფუტკარი რომ თავფლს აგროვებს ერთი ქეოს. (ბარტყობის ხანაში).

ეს მაგალითი ამტკიცებს, რომ მუშა ფუტკრებს შესძლებიათ **შრომის წესიერი განაწილება**.

* * *

სჩანს, ფუტკრებს ჰქონიათ ყველა ის გარეგანი ხუთივე გრძნობა, რაც ადამიანსა აქვს. ეს გრძნობანი იმდენად განვითარებულია, რამდენადაც მათი რთული ცხოვრებისთვის საკმარისია. რასაკვირველია, ეს გრძნობანი იმდენად განვითარებული არ არის, როგორც განვითარებული აქვს ბუნების მეფეს—ადამიანს, მაგრამ არც იმდენად ჩლუნგია, რომ უბრალო ალღო (ინსტიქტი) უწოდოთ.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან? დავიჯეროთ ფუტკრებმა არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ? სრულიადაც არა. მშვენივრად ესმოდათ, რას შვრებოდნენ; წინასწარ მოფიქრებულის გეგმით მოქმედობდნენ და, რაკი ეს გეგმა ჰკვიანური და გონივრული იყო, ამისათვის მოყვანილი და სხვა მრავალი მაგალითი ფუტკრების ცხოვრებისა ამტკიცებს, რომ ფუტკრებს იმდენზე ჰქონიათ განვითარებული

ცხოვრების და მასთან ბრძოლის აღლა; ისე ხელოვნურად, ოსტატურად და მოხერხებით აკეთებენ ოჯახის საჭირო რთულ საქმეს, რომ შეგვიძლიან ფუტკრებს უწოდოთ „გონიერი არსება“ ანუ გონიერი მწერი.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ დასკვნას ბევრი მეცნიერი ვარს ყოფს; მათი აზრით, ფუტკარი რომ გონიერი არსება იყოს, განვითარების მუდამ ერთ წერტილზე არ შეჩერდებოდა; პროგრესის, წინსვლის გზაზე სიარულს განაგრძობდა, ისე ივლიდა წინ, როგორც ადამიანი მიდის.

ფუტკრები წინ არ მიდიან, თავიანთ ცხოვრებაში ახალი, გაუმჯობესება არ შეაქვთ, ამისთვის გონიერ არსებას ვერ უწოდებთო. ერთი მხრით, რომ გავსკვრიტოთ ეს აზრი მართალია, მაგრამ მეორეს მხრით, განა არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ფუტკრები მიზან მიხწეულ გონიერ არსებათ? ჩემის აზრით ფუტკარი გონიერი არსებაა, რომელმაც მიახწია თავის სასურველ მიზანს, განავითარა თავისი ცხოვრება იმდენზე, რომ მას მეტი არ ეჭირვება, შეჩერდა სასურველ წერტილზე—გამოიმუშავა ცხოვრების პირობები, შექმნა ყოველივე საჭირო, დაიკმაყოფილა სურვილი და ერთხელვე დაწესებული წეს-რიგით მტკიცეთ, შეურყევლათ განაგრძობს თავის კმაყოფილ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ცხადი მხოლოდ ერთია, რომ მათ აკლიათ შემოქმედებითი ნიჭი და არა გონიერება.



ფუტკრების საზოგადოებრივი ცხოვრება და მათი ზნე.

(თეორული ნაწილის დასკვნა)

ამით ვათავებთ ჩვენი შრომის თეორიულ ნაწილს და გადავდივართ ფუტკრის პრაქტიკულ მოვლახე. ყველა ის, რაც ამ განყოფილებაში მოვათავსეთ ფუტკართა ცხოვრების შესახებ პრაქტიკას გზათ და ხიდათ უნდა გაედვას. უკეთუ ფუტკრების მოვლას წინ არ წანუმძღვარებთ თვით ფუტკრების ცხოვრებას, სავალდებულოდ არ გავიხდით ანგარიში გაუწიოთ მათ ზნე-ხასიათ-მოთხოვნილება-საჭიროებას; მტკიცეთ არ გვეცოდინება მათი საზიან-სასარგებლო, თუ მათ რთულს ცხოვრებას, მოვლას არ შეუფარდებთ, არ დაუპირდაპირებთ; დიდათ წავაგებთ, რადგან ფუტკრების ცხოვრების შეუსწავლელად და ამ ცხოვრების ფუტკრების მოვლაში გამოუყენებლად, არც ფუტკარი იხეირებს და არც მის ვითომდა მომვლელს შესძენს რამეს.

თეორია და პრაქტიკა ისეთი მტკიცე მეგობრებია, რომელთაც უერთიერმანეთოთ ცხოვრება არ შეუძლია. თეორია პრაქტიკის ლამპარია, პრაქტიკა—თეორიის გვირგვინია. ფუტკრის მომვლელს კი ორივე მისთვის სჭირია, რომ ფუტკარმა მას მეტი თაფლი მისცეს. ისიც ქეშმარიტებაა, რომ ვისაც ფუტკარი მეტ თაფლს აძლევს, მისი ფუტკარიც ბედნიერია, მზრუნველობით, სიყვარულით, განიერ-ულათ მოვლილია.

თეორიულ ნაწილში მოხსენებულ ფუტკრების ცხოვრებას თუ გავითვალისწინებთ და მათ ცხოვრებას გავაზოგადოებთ, შეგვიძლია გამოვიყვანოთ შემდეგი მოკლე საგულისხმეო რო დასკვნა.

აღამიანი, ქმნილებათა უმაღლესი გვირგვინი, თუ არ იუკადრისებს და კარგად გაითვალისწინებს ფუტკრების ცხოვრებას, ფუტკარი მას ბევრ რამ ცხოვრებაში გამოსადეგს მაგალითს მისცემს.

ფუტკრებმა ერთმანეთს შორის ერთ საუბარი არ იციან, მაგრამ მათ მშვენივრათ აქვთ განვითარებული სხვა და სხვა ხმა. ზოგიერთა მეფუტკრის ანგარიშით ფუტკარს ორმოცდა ათი სხვა და სხვა ნაირი ხმა აქვს, რომელთა შემწვობით ერთი ერთმანეთის გაეგებათ. გარდა ხმისა საჭირო რამეს ურთი-ერთს უღვაშების ქიცინითაც ახვედრებენ. სხვათა შორის ასე განვითარებული ნიჭის წყალობით აიხსნება ფუტკრების „კულტურონობა“, მათი რთული საქმის შეგნებულად აწყობა და ასრულება.

ფუტკრები მუდამ საზოგადოებრივ ცხოვრებას მისდევენ. ცალცალკე, გამოთიშვით ცხოვრება მათთვის წარმოუდგენელია. მათი საზოგადოების წევრთა რიცხვი შეიძლება იყოს 20—50 და ზოგ ოჯახში კი ასი ათასიც. მთელ ამ ჯარ-ჯამათს მხოლოდ ერთი დედა ყავს.

ერთი ოჯახის წევრები ერთი ერთმანეთში სრულის შეთანხმებით და თვისებით ცხოვრებენ. უცხო ფუტკარს, გარეშე საზოგადოების წევრს არასოდეს არ ღებულობენ თუ მათი საზოგადოებისათვის გამოსადეგი არ არის. უცხოს მაშინ ითვისებენ, თუ „ძღვნათ“ თან თაფლი ან ჭეო აქვს.

ფუტკრები მეტის მეტი დამზოგველი, მომჭირნეები არიან, მათი დამზოგველობა თითქმის პირდაპირ სიძუნწეა. მათ ნაამაგარ საზრდოს უცხო საგან ხომ თავგანწირვით იფარვენ, თვითონაც უკიდურესი ეკონომიით იზოგებენ. მოვიყვანოთ მათი დამზოგველობის უკიდურესი მაგალითი. ბარტყობის დროს თუ სკას მოულოდნელათ შიმშილობამ უსწრო, ამ დროს რაც სამამლე ქიები ყავთ უჯრიდან ამოათრევენ, სხეულიდან ტკბილ წვეს გამოსწოვენ და მამლებზე უფრო საჭირო სამუშე ქიებს აქმევენ. აქ გარდა დამზოგველობისა ნაშრომის ანგარიშით მოხმარის ნიქსაც ვხედავთ. ერთი შეხედვით ასე იფიქრებ, ეს ძუნწი მწერები კერძო საკუთრების თაყვანის მცემლებია, არავის არაფერს უწილადებს და ყველას სიმშობლით ამოსწყვეტსო. მაგრამ ეს ასე არ არის; ყრის

დროს, ნაყარი ფუტკარი გაივსებს მხოლოდ თავის პატარა ჩინჩახვს, რომელშიაც ბევრი—ორი სამი დღის საზრდო თაფლი ჩავიდეს, დანარჩენს კი თავის ნაჭირნახულევს, სახლკარბულდეს, თავის ნაშენ—დოვლათით მზამზარეულათ უტოვებს ძველ ბინაზე დარჩენილ თავის ახალგაზრდა დობილებს და მათ ნორჩ გადიებს. მათვე უტოვებს ახალგაზრდა დედას, რომელიც სკას ობლობის სუსხს არ აგრძნობინებს და რამოდენიმე დღის შემდეგ ნამდვილ დედის მაგიერობას გაუწევს. ძველი შრომაში გაწვრთნილი ფუტკრები კი თავიანთი ძველი ნაყოფიერი, გამოცდილი დედით ახალ მოსახლობას იწყებს. რა უწოდოთ ფუტკრების ასეთ კეთილშობილურ ადამიანთათვის წასაბამ მაგალითს თუ არ უმაღლესი გრძნობა სიყვარულის, თუ არ მოყვასთათვის თავდადება, ეს ნამჯვილი „ალტრუიზმია“, რომელიც მოყვასთა უანგარო სიყვარულს და თავ-განწირვას ნიშნავს.

მეშა ფუტკრების და დედის გასაოცარ შრომას რომ უყურებ, მათ მოჭირნეობას რომ კარგათ აკვირდები, გაეცნობი მათ ჭკვამახვილობას და შორს გამჭვრეტელობას, ალტაცებით უნდა სთქვა: ყველა ეს ღირსება ბუნებას მიტომ მიუმაღლებია ამ მწერთათვის, რომ მათ იცხოვრონ საზოგადოებრივი თანხმობით.

მისთვის შრომობენ თავ-განწირვით, რომ თითოეულის სიკოცხლე ზვარაკათ შეეწიროს საზოგადოების კეთილდღეობას. ყველაფერი საზოგადოებისათვის, არაფერი არა საზოგადოების გარეშე.

ერთი სიტყვით ფუტკრების ცხოვრებას როცა კარგად გასჭვრეტ და ჩვენს, ადამიანის ცხოვრებას შევადარებ, არ შეგიძლია ზოგიერთი მისი წესი და რიგი არ ინატრო. არ შეგიძლია ადამიანთა ცხოვრების მაგალითად არ შეიხარბო.

ნუ თუ ურიგო იქნება ფუტკარს მიჰბაძონ ჩვენმა დიასახლისებმაც. მეოჯახე დედაკაცს ფუტკრისაგან შეუძლია გადმოიღოს სხვათა შორის სისუფთავისა და დამზოგველობის მაგალითი.

ფუტკარი ისეთი „დიასახლისია“, რომელსაც თავის ოჯახი მუდამ დაკრიალებულ-დასუფთავებული აქვს. — ყველაფერი თავის დროზე აქვს გაკეთებული, ყველაფერი თავ-თავის ადგილას აქვს მზრუნველობით დაუნჯებული. მით უმეტეს უნდა მიჰბაძონ, რადგან ფუტკართა საზოგადოება, ეს ერთად ერთი საზოგადოებაა, რომელიც უმეტესათ მდებდრობითი სქესის წევრთაგან შესდგება. საზოგადოების მართვა—გამგეობა, შრომა—ჯაფა კი მხოლოდ მარტო დედალ მუშა ფუტკრებს აქვთ დაკისრებული.

ეს ერთად ერთი შეთანხმებული, გარმონიული კოოპერატიული ამხანაგობაა, რომელსაც განსაკუთრებით, სხვის დამოუკიდებლათ მხოლოდ დედათა სქესი განაგებს. აქ ნათლათ სჩანს მხოლოდ დედათა სქესის თაოსნობა, ოსტატური შრომა და დამოუკიდებელი ცხოვრება.

ფუტკრების ცხოვრება საოცნებო, უნაკლულო „კოლექტივიზმია“; (საზოგადოებრივი ცხოვრება) რომლის სრულ უფლებიანი წევრები, მხოლოდ და მხოლოდ მუშა ფუტკრებია, რომელთაც ეკუთვნის საზოგადოების ყოველგვარი საქმის ასრულება და თაოსნობა. როგორც ხედავთ, ფუტკართა საზოგადოება ეს ერთად ერთი საზოგადოება ყოფილა სადაც ყველაფერი საზოგადოების საქირ-ბოროტო თვით იმ მუშებს ეკუთვნის, რომლებიც ყველაფრის შემქმნელია. დღეს ყველასაგან ხალხის საკეთილდღეოთ აღიარებულია კოოპერატიული ამხანაგობის მოწყობა. ვისაც კი სურს მოაწყოს ის, ურჩევთ წესდებისათვის სხვა და სხვა წყაროებში ნუ იქექება; კოოპერატიული ამხანაგობის სრული წესდება ფუტკრისაგან გადმოიღოს. ვისაც კი სწადია ასეთი ამხანაგობის ნამდვილი მოქმედი წევრი იყოს, ის ვალდებულია სავსებით მიბაძოს მუშა ფუტკარს და თავის საზოგადოების ისეთი ერთგული წევრი იყოს, როგორც არის მუშა ფუტკარი თავისი ოჯახის.

მუშა ფუტკარმა არ იცის მუნათი, შური, მტრობა, დაყვედრება, უფლების მოყვარეობა, ვარი, რისამე დაწუნება, თავმოწონება, თვით მოყვარეობა, (ეგოიზმი) უქმათ ყოფნა, სიბილწე და სხვა

საზოგადოთ ყოველგვარი მწიკელი, რაც ადამიანის ღვთიურ სახეს ზნეობის ჩრდილს აყენებს, ფუტკარს განდევნილი აქვს. უქმათ და მცონარეთ მათ საზოგადოებაში არავინ არის. ყველა იმას აკეთებს, რის გაკეთებაც შეუძლია, რის გაკეთებაც საჭიროა—საზოგადოებისათვის. საზოგადოების წევრობის ნება მხოლოდ იმას აქვს, ვინც თავის არსებობით საზოგადოების არსებობისთვის საჭიროა. წარმოიდგინეთ, უკვე უვარგისათ გამხდარ წევრს თავისი ძველი „დამსახურებაც“ კი ვერ იხსნის განდევნისაგან. როგორც მუშა ფუტკარების ცხოვრების აწერილობიდან ვიცით, ძლიერ ხშირათ, ის მუშა ფუტკარი, რომელსაც შრომა აღარ შეუძლია და მაშასადამე, თავის ოჯახისთვის გამოსადეგი წევრი აღარ არის თავისით სტოვებს ოჯახს. ის არ არის ჩვეული სხვისი ნაშრომით ირჩინოს თავი. თავის დობილებს „დასაფლავებანდაც“ კი არ აწუხებს, დროს არავის უკარგავს. უსაყვედუროთ სტოვებს ყველაფერს, გამოდის გარეთ და სკის მოშორებით განუტევებს სულს. ყველაფერ ამას ფუტკარი აკეთებს საზოგადოების კეთილდღეობისათვის და არ სჭირია ვისიმე ბრძანება, დეზი და მათრახი.

შრომა გასაოცარი სისწორით და სინამდვილით აქვთ საჭიროების მიხედვით განაწილებული. შრომის განაწილების დროს ყველა უდრტვინველათ, უსაყვედუროთ და გატაცებით მხოლოდ იმას აკეთებს, რაც სწორეთ იმ დროს არის საჭირო, და ფუტკარიც ასაკის და სქესის შესაფერათ, ამ საქმის გასაკეთებლად არის ბუნებისაგან დაჯილდოებული.

ფუტკარების თავ-განწირული საზოგადოებრივი შრომა და მათი ცხოვრება ხმა მალლა ღალადებს, რომ ისინი მისდევენ დიად მცნებას: **ყველაფერი საზოგადოებისათვის, არაფერი საზოგადოების გარეშე. ყველა ერთი საზოგადოებისათვის—საზოგადოება კი ყველა მისი წევრის კეთილდღეობისათვის.**

„ვიყვარებოდეთ ურთი ერთ. არს, რათა ერთობითა აღვიარებდეთ“!..

ფუტკარი და მეფუტკრეობა



ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ა ე

პრაქტიკა.

I.

ორიოდე სიტყვა მეფუტკრეთა საყურადღებოდ.

ყველა სრული ჭკუის მქონე ადამიანი უმიზნოთ არაფერს საქმეს არ მოჰკიდებს ხელს. არც ერთი მეფუტკრე უმიზნოთ ფუტკარს არ გაიჩენს. ხალხისაგან გამიგონია: „ბები! წირპლიან თვალში იმიტომ გკოცნი, კვერი გამომიცხოო!“ მეფუტკრეც ასე ეუბნება ფუტკრებს: ფუტკრებო! მისთვის გივლით, მისთვის ვცოდვილობ, მისთვის ვკარგავ დროს, მისთვის ვეწევი ხარჯს, თუმც ხშირათ მკბენთ კიდევ, მაგრამ მაინც მისთვის მიყვარხართ, რომ თქვენც ამაგი დამიფასოთ, ხარჯი ამინახლაუროთ, და ლუკმა პური გამიჩინოთ, **თაფლი მომცეთ**. რა თქმა უნდა ფუტკარი მეფუტკრეს რამდენ მეტ თაფლს მისცემს, მეფუტკრისათვის მეტი სასიამოვნოა. მისი თავი და თავი მიზანიც ეს არის.

ყველა გონება გამჭრიახი ადამიანი მოხსიელსავით არ მოიქცევა, წისქვილის დაწყებამდე საწისქვილე წყალს იკითხავს. ყველა განძრახვას განსახორციელებელი საშუალება სჭირია.

მეფუტკრეც (უმთავრესათ მრეწველი) მეფუტკრეობის დაწყებამდე ყოველივე მომავალს ითვალისწინებს. მგზავრს საგზალი, ნუზლი სჭირია. ამბობენ: „დიდ ფაფას დიდი სულის

ბერვა უნდაო!“ ძლიერ კარგია ბევრი თაფლის მიღება, მაგრამ ამისათვის ბევრი პირობებია მტკიცეთ დასაცველი.

აი ეს პირობებიც:

1) ფუტკრების ქეშმარიტი სიყვარული, მისი ცხოვრებისა და მოვლის შესწავლა.

2) ჯან-სალი სადგამური ფუტკრის შექმნა.

3) სავარგისი, სათაფლე საფუტკრე მიდამოს არჩევა.

4) საუკეთესო მოხერხებული სკებისა და კარგი ხელსაწყო იარაღ-მანქანების შექმნა და წესიერი მოხმარა.

5) მუდამ მარტო დონიერი, ძალუმი, ნაყოფიერი დედიანი სკის ყოლა.

6) ხელოვნური ფიქის და ციბრუტის აუცილებელი თავის დროზე წესიერი ხმარა.

7) ფუტკრის მთა-ბარობა.

8) ისეთივე ბეჯითობა და დამზოგველობა, (ყოველივე ფუტკრის ნაწარმოების) როგორც იციან თვით მუშა ფუტკრებმა.

9) მეზობელ მეფუტკრეებთან მჭიდრო ამხანაგური კავშირი.

10) სიფხიზლე, წინ—სვლა, სხვების მაგალითით სარგებლობა.

აი ჩემის აზრით მეფუტკრის უმთავრესი ათი მცნება თავისი ტოტებ-შტოებით, რომელზედაც უნდა დაამყაროს ფუტკრებრსა და თავისი კეთილდღეობა. ყველა მეფუტკრე ვალდებულია პირველათ ფუტკრები უზრუნველყოს, მათ სასარგებლოთ მოაწყოს საფუტკრე, შემდეგ კი თავის სარგებლობაზე იზრუნოს. საგანგებოთ მოწყობილი საფუტკრე მეფუტკრესაც უხვათ დააჯილდოებს.

მეფუტკრეობის ხელის მოკიდება არავისთვის არ არის უსარგებლო და დასაძრახისი ხელობა. მისი მოვლა შეუძლია, როგორც მამაკაცს, ისე დედაკაცს.

ფუტკრების მოვლას უმთავრესათ სამი სხვა და სხვა

რიკის ადამიანები მისდევნენ. ა: მრეწველები, ბ. კერძო მესაკუთრეები და გ. ფუტკრების მოყვარულები.

ყველა ზემოთ მოხსენებული პირები თავისებურად უყურებს ფუტკარს მავალითად:

ა. მრეწველი მეფუტკრე, რადგან დიდი ანგარიშის კაცია—მეფუტკრეობას ვაჭრული განძრახვით იწყებს. ის ფუტკრებისათვის არას დაზოგავს, ოღონდ კი ფუტკრებმა მაზედ გაწეული ხარჯი დაფაროს და გასავალს შემოსავალმა აჯობოს: მრეწველი მეფუტკრე საფუტკრე ადგილს დიდის სიფრთხილით არჩევს. მისთვის ერთი არ არის სად დადგამს თავის სკებს. მისი საფუტკრის მიდამო უხვ ღალიანი უნდა იყოს. მთელი მისი მეცადინეობა ღალაზე არის დამყარებული. ფუტკარი მისთვის შემოსავლის წყაროა. მისი ბაღ-იღბალი დამყარებულია მის ცოდნა-გამოცდილებაზე, მუყაით შრომაზე და საფუტკრე ადგილის ღალიანობის სიუხვეზე.

როცა ატყობს, რომ ღალა ერთ ადგილას შემცირდა ფუტკრები მას სხვა ადგილას გადაყავს-ამთაბარებს, სურს „ერთი ხარი რამდენჯერმე გაატყავოს“ ერთ ზაფხულზე რამოდენიმე ჯერ მიიღოს შემოსავალი. ცხადია მრეწველისათვის ყველა მცნება სავალდებულოა. მისთვის ყველაფერ მცირეს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბ. კერძო მესაკუთრე, მართალია ფუტკარს ისე არ უცქერის, როგორც მისი ცხოვრების ერთად ერთს შემოსავლის წყაროს, მაგრამ ფუტკრის შემოსავალი მისთვისაც სარძობელია. მრეწველ მეფუტკრესავით მუდამ ფუტკართან ფუსფუსი და ყველა მცნების შესრულება მას არ შეუძლია. ის მეოჯახზე, სოფლის მეურნეა, რომელსაც მეფუტკრეობის გარდა სხვა საქმეც ბევრი აქვს. მეფუტკრეობა მისთვის ისეთი საგანია, რომელსაც ის სხვათა შორის მისდევს, ფუტკრების მოვლას უფრო მოცლილ დროს შესწირავს. მესამე და მეშვიდე მცნების შესრულება არ შეუძლია—საფუტკრე ადგილს კბილს არ უსინჯავს, რაც აქვს მითია კმაყოფილი, სკები უდგას ბოსტანში, ბაღში, სახლს მახ-

ლობლად, სამთაბაროთ არ მიყავს. თუ ფუტკარმა საგოზინაყე თაფლი და ხატის შესაწირავი სანთელი მისცა მადლიერია, თუ ცოტაოდენი გაყიდა ბედნიერია.

8. ფუტკრის მოყვარული ეს სულ სხვა მიმართულების არის. ქონებრივად ფუტკრისაგან არაფერს არ მოეღის. ეს, ასე ვთქვათ, რეცნიერების მიმდევარია. უყვარს ბუნება და მისი შვილები. ფუტკარიც ამ აზრით ყავს. შეუძენია რამოდენიმე ძირი სკა—დაუბინავებია შიგ ფუტკარი. ფუტკრის ცხოვრებას გულ მოდგინეთ აკვირდება. ახდენს სხვა და სხვა ცდას და გამოკვლევას, სურს თავისი რაიმე ახალი აღმოაჩინოს ან სხვების აღმოჩენილი შეამოწმოს. ფუტკრისაგან ის შემოსავალს არ ითხოვს პირიქით ახარჯავს. ყველა მცნებას არ იცავს და მისთვის არც საჭიროა.

საზოგადოდ რომ მოვახსენოთ, ცოდნის შეძენა არავისთვის არ იქნება საზარალო; უცოდინარი მრწველი მეფუტკრე თუ ვერაფერს გახდება ცოდნა არც კერძო მესაკუთრეს აწყენს. მცირეოდენი ცოდნით მასაც შეუძლია თავის პატარა საფუტკრის შემოსავალს ბევრად მოუმატოს და მასთან ფუტკარიც მადლიერი—კარგი ღოვლილი დაურჩება.

ჩვენდა სასირცხოდ ჩვენს ზოგიერთ კუთხეში არიან ისეთი უღვთო კერძო მესაკუთრე მეფუტკრეები, რომელთაც სკის მუდამ ერთი და იგივე რიცხვი ყავს. რისთვის?.. მისთვის, რომ მათ თავიანთი უცოდინარობით ვერ გაუხერხებიათ ფუტკარს თაფლი ისე გამოართვან, რომ ფუტკრეები არ გაანელონ, არ დაავსონ. კეთილშობილი მშრომელები „ღვთის ანგელოზები“: „ცეცხლში არ ჩახრაკონ ან წყალს არ გაატანონ...“

უცოდინარობის მიზეზით მათ ვერ შეუუგნიათ ფუტკრის სარგებლობა—ვერ დაუფასებიათ ღირსეულათ.

გაგიგონიათ ბრძენის ნათქვამი „თუ კაცსა ცოდნა არ აქვს გასტანჯავს წუთი სოფელი“!

თუ მეფუტკრე უცოდინარია, მას „გასტანჯავს წუთი სოფელი“ სამაგიეროთ ის ფუტკრებს გასტანჯავს. ფუტკრებ-

საც დაღუპავს, ზარალსაც ნახავს და სხვის სასაცილოც შეიქნება მისი მარცხი ბევრ სხვას გულს გაუტენს.

ამისთვის საჭიროა ვინც მეფუტკრეობას იწყებს, ჯერ კარგათ შეისწავლოს ფუტკრის ცხოვრება, შეიძინოს შესაფერი ცოდნა და როცა მომზადილი იქნება, საქმეც მერმეთ დაიწყოს. ცოდნის შეძენა მარტო წიგნების კითხვითაც არ შეიძლება, თუ გინდ ეს წიგნები საუკეთესო სახელმძღვანელოებიც იყოს. ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს; „ქვეყანაზე ბევრი რამ არის უწიგნოთაც შესასწავლი, არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდგან გამოხედვა“.

ყველაზედ უმჯობესია, როცა მეფუტკრე წიგნების შემწეობით საკმაოდ მოემზადება მერმედ წავიდეს რომელიმე კარგ მოწყობილ საფუტკრეში და ყოველივე წიგნში ამოკითხული ცხოვრებაში შეამოწმოს. თუ რაიმე მიზეზით დაბრკოლება შეხვდა და ამას ვერ შესძლებს მაშინ ურჩევთ წიგნებით „კურს“ დასრულებულ მეფუტკრეს პირველათ არამც და არამც ბევრს ხელი არ მოჰკიდოს, არამედ დაიწყოს ძლიერ მცირე რიცხვით (2—3 სკით) და თანდათან ცოდნა—გამოცდილების შეძენასთან ერთად საფუტკრეც გააფართოვოს. ცხადია ცოდნის შეძენას ხელს უწყობს რჩეული წიგნების და პერიოდული (ჟურნალ-გაზეთების) გამოცემების კითხვა, მაგრამ არასოდეს იქ ამოკითხული რამ ახალი გამოგონება ერთბაშათ ყველა სკებზე არ უნდა სცადოთ. ჯერ ერთ ორზე შეამოწმეთ და როცა ღრმათ დარწმუნდებით ახალი გამოგონების სარგებლობაში, მერმე სხვებზედაც შეგიძლიათ იხმაროთ.

ფუტკარი თავის მომვლელს ყველგან ერთ ნაირად არ დააჯილდოებს, ცხადია ადგილობრივი პირობების მიხედვით ზოგან ნაკლებ თაფლს მოგვცემს, ზოგან მეტს. გამოერევა წელიწადი შეიძლება ძლიერ მცირე მოგვცეს და თუ სულ არ მოგვცა ეს მეფუტრის ბრალი იქნება, რადგან არცის არ უნდა დაივიწყოთ, რომ ყველა მეფუტკრეს ერთნაირი წარმატებით არ შეუძლია ფუტკრის მოვლა. შემოსავალი კი ბუნების გარდა მოვ-

ლაზიდაც არის დამოკიდებული. ყველა ეს სახეში უნდა მიიღოთ. რუსები იტყვიან. „შრომა და მოთმინება ყველაფერს დასძლევს!“ ჩვენ დაუმატოთ, სიყვარულიც და ეს წერილი ასე დავსრულოთ: ვისაც ფუტკარი უყვარს, შრომა არ ეზარება და მოთმინება აქვს გამარჯვებაც მას დარჩება. ყველა ამის მაგალითს კი თვით ფუტკარი იძლევა.

ვისაც თავისი იმედი აქვს და მეფუტკრეობის დაწყება გადასწყვიტა, ცხადია ის პირველად ადგილს აირჩევს

საფუტკრე ადგილის მიდამოს არჩევა.

როგორც წინა წერილში აღვნიშნე, მეფუტკრეობას მისდევს: კერძო მესაკუთრე, ფუტკრების მოყვარული და მრეწველი.

პირველი ორი საფუტკრე ადგილს არ არჩევს; კმაყოფილდება იმით, სადაც მისთვის მოხერხებულა.

მრეწველი მეფუტკრე კი ადგილის არჩევას უმთავრეს ყურადღებას აქცევს. მისთვის ისეთი საფუტკრეა საჭირო, რომელიც მისი სამრეწველო, ვაჭრული მეურნეობისათვის შესაფერი იქნება.

სამრეწველო მეფუტკრეობა შეიძლება ორგვარი იყოს. არის მრეწველი მეფუტკრე, რომელიც სულ იმის ცდაშია, რაკი სკების განსაზღვრული რიცხვი ყავს მერმე სულ თავლი აკე ებინოს; ის ნაყარს, ესე იგი ფუტკრის გამრავლებას აღარ მისდევს პირიქით იმის ცდაშია ფუტკარმა არ იყაროს და მით თავლის შემოსავალმა არ იკლოს. არის მეორე მრეწველი ეგრეთ წოდებული ნაყრობის მიმდევარი ისიც, როგორც პირველი იმის ცდაშია, სკა ძლიერი ყავდეს და კარგი გამოკვებილი, მხოლოდ ამისი ცდა ის არის, ფუტკარმა რაც შეიძლება მეტი ნაყარი მისცეს. პირველს თუ თავლის გაყიდვა დაუსახავს საფუტკრის შემოსავალის წყაროთ მეორე ყიდის ნაყარს და

განაცოფიერებული დედას და მისი შემოსავალიც ეგ არის. მას თაფლი ფუტკრების გამოსაკვებათ სჭირია და არა გასაყიდათ, მაშასადამე მდარე თაფლითაც ხელი არ ეშლება. უხვ ლალიანი საფუტკრე ადგილი ორივესთვის კარგია—უხვი და ხანგრძლივი ლალიანობა ორივე გვარ შემოსავალს აძლიერებს. პირველს მაინც განსაკუთრებით სჭირია საფუტკრის მიდამოს მთავარი ყურადღება მიაპყრას. ის უმთავრესად ისეთ ადგილს ეძებს, სადაც მიიღებს გასაყიდ თაფლს ესე იგი ისეთ თაფლს, რომელიც კარგს ფასში და ადრე გაიყიდება.

ასე თუ ისე ორივე უნდა ცდილობდეს ვიდრე რომელიმე ადგილას სკებს დადგამდეს იქაურობას, განძრახული საფუტკრის არე მარეს კარგად გაეცნოს. მიდამოს არჩევა მეფუტკრისათვის საფუტკრის საძირკველის ჩაყრაა და რამდენადაც ეს საძირკველი მტკიცე იქნება, ზედ შენობაც მაგარი და შენდება...

ზოგიერთს იმედი აქვს ხელოვნურად ყვავილების დათესვის, მაგრამ გამოცდილებამ დამტკიცა, რომ ეს შეუძლებელია და არავითარი სამრეწველო მნიშვნელობა არ აქვს. ხელოვნურად მოშენებული ყვავილების დანდობა არას შემთხვევაში არ შეიძლება; ყველას სჯობია ბუნებისა და მისი სიუხვის მინდობა. თუ ვინმე ყვავილს დათესს მას უნდა ჰქონდეს ორუ მაგი განძრახვა: უნდა მოაშენოს ისეთი ყვავილები, რომლებიც საქონლის საკვებადაც გამოდგება და ამ რიგად ორგვარ შემოსავალს მოგვცემს. (თაფლოვან მცენარეების შესახებ ჩვენ შემდეგში ვისაუბრებთ.)

საფუტკრის მიდამოთ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ საფუტკრის ირგვლივ 3—5 ვერსის მანძილი, რადგან ფუტკრებს ამ მანძილზე ფრენა და სკაში ლალის მოტანა თამამად შეუძლიათ. ცხადია რაც ახლო ექნება ლალა, მით უკეთესია, რადგან დღიურათ ფუტკარი ლალისთვის მეტი გზობა მივამოვა, ლალის მოტანის მეტ „ტალიას“ ჩაგდებს. როცა მეფუტკრე საფუტკრე ადგილს კარგად გაიცნობს, უნდა გაი-

გოს თაფლოვანი მცენარეები უხვათ არის თუ არა, როდის იწყებენ აყვავებას და როდის თავდება ღალიანობა, ჰავა როგორია, ხომ არ იცის ქარი, ხშირი წვიმები ან გვალვა. რამდენ ხანს გასტანს ზამთარი და ხომ არ იცის სასტიკი ყინვები. როდის იწყება გაზაფხული და სხვა. კარგათ უნდა გაიგოს ადგილობრივი თაფლოვანი მცენარეთა ყვავილი როგორი ღირსების არის, (ციბრუტაზე თუ შეიძლება დაცლა).

საქიროთ მიმაჩნია მოვიხსენო, რომ ჯერ ჯერობით კარგს ფასებში იყიდება ციბრუტაზე დაცლილი თაფლი, ფერად თეთრი, ან კარა, სასიამოვნო გემოსი და მასთან სურნელოვანი. ასეთი თაფლი პირველ ღირსებისათ ითვლება, მოთხოვნილებაც დიდი აქვს. მრეწველისთვის დიდი საქიროა გაიგოს ახლოს ყავს თუ არა ვინმეს ფუტკარი. რანაირ სკებში ყავს და შემოსავალს რამდენს აძლევს—უკეთუ მეზობელ მეფუტკრეს ფუტკარი ადამისეულ კოდებსა და როფებში ყავს და ერთი მეორეზე თითოეული სკა 8—10 გირ. თაფლს აძლევს ეს იმის თავდებია, რომ იმ ადგილას თამამად შეიძლება მეფუტკრეობის დაწყება. ცხადია გონივრული მოვლით, ჩარჩოიან სკებში შემოსავალი ერთი ოთხად იმატებს. ძლიერ კარგად უნდა გაიგოს რა მდგომარეობაშია მახლობელი საფუტკრე; მეზობლის ფუტკარს ხომ არ სჭირს საშიშარი სენი სიმყაყე? იყო, წინათ ამ ადგილას საფუტკრე თუ არა? თუ იყო რა მიზეზით გადაშენებულა და სხვა.

ვიმეორებ საფუტკრის არჩევის დროს ფუტკრების ავთამყოფობა სიმყაყეს მეფუტკრემ დიდი სიფრთხილით უნდა მოეპყრას, რადგან შეიძლება მახლობელი საფუტკრის ავთამყოფობამ (ან ძველმა ამ სენით გადაშენებულმა საფუტკრემ) მისი საფუტკრეც იმსხვერპლოს. საზოგადოთ საექვო ადგილას საფუტკრის გაშენებას ყოველთვის უნდა ერიდოთ.

ჩვენი ქვეყნის საუცხოვო სამხრეთას, ზომიერი ბუნება, თაფლოვანი ბალახების და მცენარეების სიუხვე, ფუტკრების მოხერხებული მთა—ბარობა და სხვა დიდათ უწყობს ხელს მეფუტკრეობას. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეფუტკრე-

ობა შეიძლება ყველგან და ყველასაგან. მართალია ყველგან ერთნაირი სიუხვით და ერთ ნაირი ღირსების თაფლით არ დააჯილდოებს მომვლელს ფუტკარი, მაგრამ ხეირიანი, გონივრული, ანგარიშიანი, მუყაითი მოვლით ზარალს არავის არ უჩვენებს.

ზოგჯერ ადამისეული სკების პატრონიც უხვად იწევს თაფლს, მაგრამ ეს შემთხვევითია; მით უფრო მართებს ასეთი მეფუტკრე ცოდნით შეიარაღდეს, საფუტკრე კარგად მოაწყოს, ფუტკარს ხელი არ მიაკლოს და მით მუდმივი შემოსავალი გაიჩინოს.

საფუტკრე ადგილის მიდამოთ ყველაზე უკეთესია მთის ხეობა სოფლის ახლოს. რადგან ფუტკრები იოლათ ისარგებლებენ სოფლის სათიბებით, მინდვრისა და ტყის თაფლოვანი ბალახებით, ბალნარ-ბოსტნეულის ყვავილებით. ასეთ მოხერხებულ ადგილას თუ საფუტკრე გვექნება წესიერის მოვლით ფუტკრებს გაზაფხულის ღალა დაეხარჯებათ ბარტყების აღზრდაზე; საშემოდგომოთ მომვლელის ჯილდოთ დარჩება მთის თაფლი, რომელიც კარგათ ჩაშაქრდება და კასფასში გაიყიდება. მთის ხეობაში საფუტკრის გამართვა კიდევ მითია სასარგებლო, რადგან ფუტკრები ერთი და იგივე ჯურის მცენარის ყვავილით ორსამჯერ ისარგებლებენ. სამზეურისა და ადგილმდებარეობის სიმაღლ—სიდაბლის მიხედვით ყველა ერთბაშად არ აყვავდება, რადგან ყველას მზე ერთბაშად არ გამოიტყოს მასასადამე ზოგი რომ მოიყვავილებს, ზოგი კი მისივე ჯურის, ყვავილში იქნება. ძლიერ სასურველი და სასარგებლოა თუ საფუტკრის დასამზარად არის ველიანი ტყე—მეტადრე თუ შიგ საქონლის საძოვარი არ არის. აქა იქ საყანეთ გაკაფულმა ველიანმა ტყემ უხვათ იცის მშვენიერი თაფლოვანი ყვავილები.

ბევრს შეცდომით გონია ვითომც უღრანი, უტეხი, დაბურული ტყე საფუტკრეთ კარგი იყოს, ურეკი ტყე არ ვარგა საფუტკრეთ, რადგან ასეთმა ტყემ თაფლოვანი ბალახები

არ იცის, და რაც შიგ ყვაილი არის, ისიც ნექტარს არ უშვებს, რადგან მზისაგან გაცხოველებული არ არის. ტყე თუ მარტო ცაცხვის ხისაგან შედგება მხოლოდ მაშინ ვარგა. საფუტკრეთ ყვლაზედ უკეთესია სათიბი და ზინდვრის ყვაილები. ასეთ ადგილას გამართული საფუტკრე შემოსავლის მზრით დაზღვეულათ ითქმის. ცხადია თუ სათიბი და ყვაილოვანი მინდორ—ველი საკმაო სივრცეზეა გადაქიმული და საქონლის საძოვრათ არ არის გამხდარი.

სად უნდა დაედგათ სკები და როგორ მოვაწყოთ საფუტკრე.

საფუტკრე ადგილის არჩევის შემდეგ უნდა ავარჩიოთ ის ადგილი, სადაც უნდა დაედგათ სკები. მოსავლის სიუხვისათვის ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. საფუტკრე ადგილი ისეთ ადგილას უნდა გამართოთ, საიდანაც ფუტკრებს ოთხკუთხივ ექნება საფრენი ანუ როგორც იტყვიან „სასროლი“; ის უნდა იყოს საფუტკრე არემარის საშვო ადგილას. დაბლობს ყოველთვის მომადლო სჯობია სამზრეთისაკენ დაქანებული. კარგი იქნება თუ შემოვავლებთ ცოცხალ ღობეს ტირიფისას ან ძეწნისას აქა იქ ჩავაყოლებთ ხეჭრელს (ლუკუმფხას) აკაკიას, ტყიურ თხილს და სხვა. საფუტკრე უნდა მოვარიდოთ ცივს და ნოტიო გამკრავ ქარს. ცოცხალი ღობე კი ქარიდანაც დაიფარავს და ადრე გაზაფხულზე ღალასაც მისცემს.

არჩეული ადგილი უნდა გასწმინდოთ ბალახებისაგან, გადაბაროთ და ველური ბალახის მაგიერ დათესოთ სამყური. მერმე უნდა გაიყვანოთ გზები—გზებზე თუ მოაყრიოთ ქვიშას ან დაფხვნილ აგურს კარგია, ბალახი აღარ ამოვა. ბალახი, გზებზე და მით უმეტეს სკის კართან არ უნდა იყოს, რადგან ტვირთ მძიზე ფუტკრები ბალახებში იხლართება ბევრი ცდება და კდება კიდევ. სკას უნდა გაუკეთოთ დასადგამი; ჩაასვეთ

მიწაში ოთხი სარი—ზევიდგან დააქედეთ ლარტყა— იმ სიმა-
ლღეზე, რომ სკას შეწვდეთ. ერთი სიტყვით სკების დასადგამი
რვა ვერშოკზე მაღალი არ არის საჭირო, მეტადრე თუ საფუ-
ტკრე ფერდობზეა და ნოტიოს შიში არ არის. მაშინ სკას
ქვეშ დასადებათ მარტო აგურიც ეყოფა. სკებს არავითარი გა-
დახურვა არ სჭირია, მას ეყოფა თავისი სახურავი.

სკებს ჩაამწკრივებთ გზის პირას, კარგია თუ ერთი მეო-
რეს 1 არშინით მაინც დააშორებთ ერთი რიგი სკების კი
მეორეს დააშორეთ ერთი საყენით. სკები უნდა დადგათ ჰაერა-
კულად ისე, რომ პირველი მზის სხივი ხვდებოდეს და-
ნარჩენ დროსკი სიცხე არ აწუხებდეს. შეგიძლიათ სკის მახლო-
ბლათ დათესოთ მზეს უქვირტა. (მზეუმზირა) სკის საფრენს საით
უქთ, ეგ დამოკიდებულია საფუტკრის ადგილ მდებარეობაზე და
ადგილობრივ ქარის მიმართულებაზე; — ქარს ყოველთვის უნდა
მოარიდოთ. ისე კი სჯობია სამხრეთ აღმოსავლეთისკენ. სა-
ფუტკრეში მაღალი ხე და მეტადრე ხიწვიანი სულ არ უნდა
იყოს. ახლო თუ გინდა წყალი იყოს მაინც საჭიროა წყლის
სასმელი ხელოვნურათ გააკეთოთ: ეს აი რისთვის არის აუ-
ცილებელი. ჩვენ ვიცით, რომ მუშა ფუტკრები წყლისთვის
შედარებით ძლიერ სიცივეში გამოდიან, წყალი მათ ექვირე-
ბათ ბარტყების აღზრდის დროს. ამ დროს მათ ჰიაქვთ ის
წყალი, რომელიც საქონლის ფეხის ნაკვალევშია ჩამდგარი. ეს
წყალი მართალია სუფთა არ არის, მაგრამ თფილია. მდინარის
წყალი კი ცოცია მეტადრე ადრე გაზაფხულზე, (ფუტკრებს
უწყლობაც, ამ დროს აწუხებს) როცა თოვლის წვენიდან შესდ-
გება და აღიდებულიც არის; მდინარეში ბევრი იხრჩვება,
მაშასადამე ხელოვნური წყლის სასმელის გაკეთებით ფუტკ-
რებს ახლოს ექნებათ სუფთა და თფილი წყალი და მდინარეში
არ დაიღუპებიან. საჭიროა საფუტკრეში სამზეურ ადგილას
ამოთხაროთ ორმო სიღრმით 4—5 ვერშოკი; ორმოს სიგრძე-
განი საკმარისი იქნება სამი ოთხ კლთხი არშ. ცარიელი ად-
გილი გაავსეთ ნახერხით. წყალი იმდენი დაასხით რომ, ნახერხი არ

ტივტივებდეს, მაგრამ მუდამ სველი იყოს. კარგია წყალს თუ ცოტა მარილს გაურევთ, ისე რომ ოდნავ მლაშე დარჩეს.

თუ ადგილი ნებას გაძლევთ, საფუტკრეში დარგეთ ჯუჯა ხეხილები, თუ ჯუჯას ვერ დარგავთ არა უშავს დარგეთ მსხალი, ვაშლი, ქლიავი, კომში, ალუჩა და სხვა, მაგრამ მაღალს ნუ გაზრდით.

საფუტკრეში შინაური საქონელი არამც და არამც არ უნდა შედიოდეს. შეიძლება საქონელი სკას მიეფხანოს და გადააბრუნოს, რის შემდეგ ფუტკრები დაეხვევიან და აუცილებლათ გაგუდვენ, თუ პატრონმა დროზე არ გაიგო და ტბაში არ ჩააგდო, ცხოველი ისე გაბრაზებულ ფუტკარს ვერ მოიშორებს.

შეიძლება ოფლიან საქონელს უმიზეზოთაც დაეხვიონ და მოჰკლან, ფუტკრებს ოფლის სუნი ძლიერ ეჯავრებათ.

საფუტკრის მოწყობა მარტო ზემოთ მოხსენებულით არ დასრულდება.

საფუტკრეში გვჭირია ერთი ფარდული ან ოთახი, სადაც შეგვეძლოს ზედ მეტი სათავდარიგო სკები შევიანახოთ. იქვე უნდა ინახებოდეს ხელსაწყო იარაღები და სასწორზე დადგმული სკა.—საფუტკრეს სჭირია ერთი სავაჭრო სასწორი, რომელზედაც უნდა იდგას ერთი ძლიერი ოჯახი, და ყოველ დღიურათ უნდა იწონებოდეს. აწონის შედეგს სისწორით უნდა ინიშნავდეს მეფუტკრე თავის დღიურში. ყოველ დღიური სკის აწონით მეფუტკრისთვის ნათელი იქნება ღალის მომატება და დაკლება, წრევახდელი გამოცდილება მეფუტკრეს სამერმისოდ გამოადგება, მეფუტკრისთვის დიდი საჭიროა იცოდეს, როდის იწყება უხვი ღალიანობა და როდის თავდება.

საფუტკრეშივე აუცილებლათ არის საჭირო ერთი ოთახი ძლიერ მჭიდროთ გაკეთებული, შიგ არ უნდა შეეძლოს ფუტკარს შეძრომა. ოთახის გათბობა უნდა შეგვეძლოს. ეს ოთახი გვჭირია თავლის მოწვევის და დაწურვის დროს, ჩარჩობებზე

ფიჭების მიწებების დროს, საზოგადოთ ყოველთვის, როცა მყუდროება და სითბო არის საჭირო.

ოთახის სიდიდე თქვენ საფუტკრეზე არის დამოკიდებული.

თუ რამდენი ძირი სკა იქნება ერთ საფუტკრეში დადგმული, ეს თქვენზე და ადგილის ლალიანობაზე არის დამოკიდებული. ზოგი მეფუტკრე ერთ ადგილას ასი ძირის მეტს არ სდგამს—მეორე ას ძირს 5—6 ვერსტის მოშორებით სდგამს, ზოგი კი 400—500 ძირს ერთად ათავსებს. თუ წესიერი მოვლა აქვს და უხვი ლალახელს უწყობს, ცხადია მეფუტკრე მოგებულა რამოდენიმე ასი ძირი ერთად დადგას, ვიდრე ცალცალკე მოაწყოს საფუტკრე—ცალკე მოწყობას და მოვლას მეტი დრო და ხარჯი სჭირია.

აუ მეფუტკრე ორი საფუტკრის გაძლოლას ახერხებს, ურჩევნია ერთი ბარად გამართოს მეორე უფრო მაღლოპში, მთის და ტყის დასამხარათ. ზოგჯერ ბარად რომ ლალა არ იშოვება, ან ნაკლებათ არის, მთა ადგილას დიდი სიუხვეა.

ფუტკრის შექმნა. †

საფუტკრე მიდამო არჩეული გვაქვს, სად დავდგათ სკები და როგორ მოვაწყოთ თვით საფუტკრევიცით. ეხლა მომავალი მეფუტკრის საზრუნავი არის ფუტკრის შექმნა. მეფუტკრე ფიქრობს: როგორი, როდის, ვისგან და რა ნაირად შევიძინო ფუტკარი. თითოეული კითხვა საგულისხმოა და ცალცალკე საჭიროებს გარკვევას.

როგორი ფუტკარი სჯობს შესაძენად? ფუტკრის შექმნის დროს მეფუტკრეს ფუტკრის ჯიშიც უნდა ჰქონდეს სახეში; ფუტკარი ბევრი სხვა და სხვა განსხვავებული ჯიშის არის, (რაზედაც შემდეგში გვექნება საუბარი), მათში კავა-

სიის ჯიშში განთქმულია თავისი სიმშვიდით და იშვიათი შრომის მოყვარეობით, ცნობილია როგორც ერთი საუკეთესო ჯიშში სამრეწველო საფუტკრისათვის. კავკასიის ჯიშის ფუტკარი თავისი იშვიათი ღირსებით ისე იპყრობს ყურადღებას, რომ განაყოფიერებულ დედებს სადგამურათ ამერიკაში, იაპონიაში და სხვაგან იწერენ. მაშასადამე ჩვენ, თუ არ საცდელათ, სხვა ჯიშების ძებნა არ გვჭირია—სასაცილო იქნება „თურაშაულის პატრონი ტყეში კუნელს ეძებდეს“.

ჯიშის არჩევის შემდეგ მეფუტკრემ შესაძენ სკას უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს ჯანმრთელობის მხრით.

ერიდეთ მის საშიშარ გადამდებ სენს სიმყაყეს; თუ ისეთი საფუტკრის სკა შეიძინეთ, სადაც ეს სენი მძვინვარებს, თქვენ ამით პირადათ რასაკვირველია ზარალს ნახავთ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ჩადიხართ მიუტყეველ ბოროტებას—ავრცელებთ საშიშარ—გადამდებ სენს. თქვენი საფუტკრიდან ის ადრე სხვებს გადაედება და ამ რიგათ თქვენის გაუფრთხილებლობით ან სიხარბით მთელი თქვენი კუთხის ფუტკრები შეიძლება ამოჟლიტოთ და ბევრს მშრომელს ლუკმა პური მოუსპოთ. ფუტკრის შეძენისდროს ნუ გაგიტაცებს ნურც სიიფე, თუ გინდ ვინმემ გაჩუქოს, მაინც დიდი სიფთხილეა საჭირო. მიეცი მეტი, შეიძინე სანდო, ამით შენც არხეინათ იქნები მეზობელსაც არ დასჩაგრავ.

კავკასიის მშვენიერი საფუტკრე ადგილი აღმოსავლეთ საქართველო, გუმბრის მხარე—ლორიის და ბორჩალოს მაზრა ასეთმა გაუფრთხილებობამ დაღუპა—დღეს იქ საშიშრათ მძვინვარებს სიმყაყე. მიზეზი სწორეთ ის იყო, რომ სკების ყიდვა-გაყიდვას ხელი მიყვეს ბინძურმა ფუტკრების ცხოვრების უვცმა ხარბმა ჩარჩებმა—რის წყალობითაც ავათ მყოფი ფუტკრები საღ ადგილას გაყიდეს და ეს საშიშარი სენი მთელ მხარეს მოჟინეს, რასაც შედეგათ ის მოყვა, რომ ლამის არის მეფუტკრეობის ეს მშვენიერი კუთხე, სადაც ბევრი მარტო ამით ინახავდა ცოლშვილს, მთლათ დაიღუპოს... ამისთვის

არის საჭირო დიდი სიფრთხილე ფუტკრის ყიდვის დროს. კარგათ უნდა გაიგოთ ან იმ საფუტკრეში, სადაც ყიდულობთ სკას ან მახლობელში ხომ არ იყო ავთანყოფი ფუტკარი.

ამ სენის და მისი წამლობის შესახებ ჩვენ თავის დროზე დაწვრილებით მოვილაპარაკებთ; ეხლა კი მოკლეთ ვიტყვით მის უტყუარ ნიშნებს, რომლებიც ფუტკრის შეძენის დროს დაგვჭირდება.

სიმყაყის გარეგნული ნიშნები. სიმყაყე თუ ახლად გაჩენილია, სკის გარეგნული დაკვირვებით გამოცნობა შეუძლებელია. სულ სხვაა, როცა ის გამძვინვარებულია, მაშინ სიმყაყეს ისეთი განსაკუთრებითი უსიამოვნო სუნი აქვს, რომ ნაზი ყნოსვის პატრონი, საფუტკრეში შესვლისათანავე გაარჩევს ჯანმრთელი საფუტკრის სასიამოვნო სუნისაგან. როცა სკის საფრენტან ცხვირს მიაღებ და იყნოსებ, მაშინ ხომ ადვილი გამოსაცნობია. სალი სკის სუნი მოგაგონებთ ახლად გამომცხვარ ცხელი პურის სუნს. სიმყაყით დაავადებულის სუნი კი ძლიერ უსიამოვნოა, სავსებით მოგაგონებს სადურგოო წებოს სუნს. სნეული სკიდან სამუშაოთ ფუტკრები უხალისოთ, ზანტათ მიდი-მოდინან, რამოდენიმე მუშა ფუტკარი საფრენტან მეცადინობს ფრთების ქნევით სკაში ჰაერის გაახლებას. საფრენტის წინ შეიძლება შენიშნო მოშავო მრგვალ მრგვალი წვრილი მარცვლები თავის განავალივით, სკის სადგამზედ მაგრათ მიკრული. ყველა ეს არის გარეგნული ნიშნები. შიგნით დათვალეირების დროს სუნს, რასაკვირველია, მეტათ იგრძნობთ. ხედავ, რომ დაბეჭდილი ბარტყის სახურავი ალაგ-ალაგ დახვრეტილია, თუ ჩხირს ჩაუყოფთ რალაც დაფივით გამოყვება მას ეს არის უტყუარი სიმყაყის ნიშანი. არა მარტო დაბეჭდილი ჭიები არამედ თავ ღიაც შეიძლება იყოს ავთ.— მაშინ უმეტესობას მოყვითანო ფერი აქვს, უჯრებში რკალის მსგავსათ არ არიან მოხრილნი, გარინდებულან და მიჰკვრიათ უჯრის დაბლა ფსკერს. ჩხირით რომ შეეხოთ, ესეც დაფივით სქლათ გამოგყვება. ეს არის **სიმყაყის** ნიშნების მოკლე აღწერა.

ყოველთვის ურჩევთ, ვინც გონივრულ მეფუტკრეობას იწყებს, ნუ დაიშურებს ნურაფერს და შესაძენი სკები გამოცდილ მეფუტკრეს აარჩევინოს. ყველა პატიოსანი, ქვეყნის გულშემატკივარი ადამიანი ვალდებულია, თუ რომელიმე საფუტკრეში სიმყაყე აღმოაჩინა, ფუტკრების პატრონიც გააფრთხილოს და სენის გაჩენა ახლო მახლო მეზობელ მეფუტკრეებსაც აცნობოს.

საჭიროდ მიმაჩნია დავძინო, რომ სიმყაყის გამოცნობა ადამისეულ სკებში ძლიერ ძნელია, თუ სუნით ვერ გამოიცანნი ხსენებული სკების ბუდის დაშლა და დათვალიერება დიდ სიძნელეს წარმოადგენს

რა ნაირი სკა და რა ნაირი ოჯახი სჯობს შევიძინოთ.
მეფუტკრეობის ახლად დამწყებს ყოველთვის ურჩევდი შევიძინოთ კარგად მოწყობილი საფუტკრიდან ჩარჩოიან სკაში დაბინავებული ფუტკარი. ეს იმისთვის არის კარგი, რომ ჩარჩოიან სკაში ფუტკრის ყველაფრით დათვალიერება შეიძლება: გაიგებს, როგორც ფუტკრის ჯან-მრთელობას ისე თავის თვალით ნახავს და შეამოწმებს დედის ნაყოფიერებას, დარწმუნდება ოჯახის მუშათა ძალის ღონეში. ეცოდინება სარჩო რამდენი აქვთ და სხვა. გარდა ამისა ახლად მეფუტკრეობის დამწყები თავისუფალი იქნება ადამისეული სკიდან ჩარჩოიან სკაში ფუტკრის გადასმის რთულსა და სადავიდარაბო საქმეს. მაგრამ ჩვენში ეს მოუხერხებელია და ძლიერ ძვირადაც დაჯდება, რადგან გონივრული მეფუტკრეობა ეხლა ვრცელდება და ჩარჩოიანი სკაში გასაყიდი ფუტკარი იშვიათი საშოვარია.

ჩარჩოიან სკის შემდეგ ყველას სჯობია შევიძინოთ ის ფუტკარი, რომელიც დაბინავებულია გეჯაში ანუ იმერულ ბუკში. ეს სკა ორ ერთი ერთმანეთზე დამხობილ ვარცლს წარმოადგენს. ფუტკარი შიგ, სხვა ადამისეულ სკებთან შედარებით, ადვილი დასათვალიერებელია, ჩარჩოიან სკაში გადასმაც შედარებით ადვილია.

რომელი სკაც უნდა შევიძინოთ აუცილებლათ, იყოს

ძლიერი ოჯახი. ძლიერ ოჯახს ვეძახით იმას, რომელსაც ყავს ნაყოფიერი, უხვად კვერცხის მადებარი დედა, სკაში მუშა ფუტკრები ბლომათ არის, ნაშენობა და სარჩო საკმარისი აქვთ.

როგორ გამოვიცნოთ სიძლიერე. სკის სიძლიერის გამოცნობა, როცა ფუტკარი შრომაშია ადვილია. თუ ფუტკრები ხალისით მიდი მოდიან, ფეხზე ქეო მრგვლად და ბლომათ აქვთ (არა ცოტა და გრძლათ). თფილ ამინდში შუადღის დროს მინუთში დაახლოვებით საფრენში თუ 60 ფუტკარი შედის ან გამოდის, ეს ყველა ერთი შეხედვით ოჯახის სიძლიერის და კეთილ დღეობის ნიშანია.

როცა სკას დაურაყუნებთ, თუ ფუტკრებმა მწყობრი ბზუილი დაიწყეს და უცბათ, ერთბაშად შესწყვიტეს ეგეც ოჯახის ბედნიერების ნიშანია. უკეთუ რაკუნის ხმაზე გულსაკლავად აბზუილდნენ, დიდხანს არ დაწყნარდნენ უდღეობისა ან უსარჩობის ნიშანია.

გარეგნული დაკვირვებით ოჯახის ძალა სკის სიმძიმითაც შეიძლება გაიგო, მაგრამ ეს ვარაუდით იქნება და არა ნამდვილი და სანდო.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები თხოულობს დიდ დაკვირვებას და გამოცდილებას, მაკრამ ზაინც შეიძლება მოტყუება.

მეფუტკრეს თუ სურს, გული საგულეს ჰქონდეს და გახერხდება სკის ბუდე ნახოს, თავის თვალით იხილოს ყოველივე, ბუდის ნახვით დარწმუნდება ოჯახს სისაღეში, დედის ნაყოფიერებაში, სარჩოსა და მუშათა ძალის რაოდენობაში. როცა ბუდეს ათვალეირებთ, ისარგებლეთ კარგი და ცუდი დედის ნიშნებით, რომელიც ჩვენ მოვიხსენეთ თეორიულ ნაწილში. (იხილე გვერდი 38, სურ. 16, 17 და 18).

საზოგადოთ ქუდოსანი პარკუჭებიან სულ არ უნდა იყოს ან ძლიერ ნაკლები იყოს. ყოველთვის სჯობია იყიდო ის სკა, რომელმაც შარშან იყარა. ასეთი სკის შთამომავლობა

(რომელსაც ყრა უყვარს) სადგამურათ კარგია, მეტი სიცოცხლის ხალისი ეტყობა, გარდა ამისა ახალგაზრდა ნაყოფიერი ერთი წლის დედა ეყოლება.

აღრე გაზაფხულზე მამლები სულ არ უნდა იყოს სკაში. შესაძენ სკაში კარგი დედის, გარდა საკმაო სარჩოსი და მუშათა ძალისა ძლიერ სასურველი იქნება ფიქები ფართო იყოს. ფართო ფიქები ჩარჩოიან სკაში გადასმის დროს, ჩარჩოში კარგათ ჩაშენდება, ნაკლები ფიქის ნაჭრები მოგვრჩება ყოველივე ამით გადასმა იოლი და სარგებლიანი იქნება.

რა დროს შეეიძინოთ ფუტკარი.

შეძენის საუკეთესო დრო გაზაფხულია. გაზაფხულზე ფუტკარი გაზამთრებულია, გამოკვებილია, სათუოდან გამოსულია. გაზაფხულის შეძენილ ფუტკარს საშრომი და ღალის შესაგროვებელი დრო წინ აქვს; იმავე წელიწადს მოასწრებ სასურველ ბინაში დააბინაო; გონივრული მოვლით ახლად შეძენილი ფუტკრის ოჯახიც მოეწყობა და შეიძლება თავისი ნაშრომის წილი მომვლელსაც უწილადოს. გაზაფხულზე შეძენა მითია კარგი, რადგან შემძენს შეძლება აქვს ოჯახი აარჩიოს, სკა გასინჯოს, მუშათა ძალა გაიგოს, დედის ნაყოფიერება გამოიცნოს. ის ვინც გაზაფხულზე იძენს ფუტკარს, თუ სკის ახდა შეიძლება, ცხადია ახდის და თავის თვალთ შეამოწმებს ყველაფერს. ამ დროს ოჯახს ბარტყები, რაც მეტი ეყოლებათ და უჯრებში წესიერათ იქნება, როგორც ვიცით კარგი დედის ნიშანია. თუ ბარტყები ბევრი ყავთ იმას ნიშნავს, რომ სკას არც მუშათა ძალა კლებია და საკვებიც ჰქონიათ და კარგადაც გაუზამთრიათ; კარგად გაზამთრებული გაზაფხულზე შრომას მამაცათ შეხვდება.

თუ სკის ახდა და ბუდის დათვალიერება არ ხერხდება, მაშინ მეფუტკარეს საშვალება აქვს ზემოთ აწერილი გარეგნუ-

ლი ნიშნებით იხელმძღვანელოს. ამისთვის გაზაფხულზე ფუტკარი იმ დროს უნდა შეიძინოთ, როცა ის უკვე გაზაფხულის შრომაშია გარჯული, გაზაფხულზე შეძენა კიდევ მითია კარგი, რომ სკის გადატანაც სწორეთ ამ დროს არის ყველაზე უკეთესი.

* * *

ფუტკრის შეძენა შეიძლება ნაყარითაც. (მხოლოდ ნუ დავიწყებთ სალი საფუტკრის იყოს—სიმყაყე ნაყარსაც გადმოყვება.) ნაყარს უნდა ყავდეს ერთი წლის დედა და წონით ნ—ნკირ. ნაკლები არ უნდა იყოს. რაც მეტი იქნება მით უკეთესია. ნაკვიანვე ნაყარის შეძენა არ ვარგა, რადგან ოჯახის მოწესრიგებას და სახამთრო სარჩოს შეგროვებას ვერ მოასწრებს. ნაყარს ვინც იძენს შეუძლია სანაყრე კალათით იმ დღესვე წამოიყვანოს—ან თავისი სკა მიუტანოს გამომყიდველს და დროებით იქვე დააბინავოს. ეს მისი საქმეა როგორც ეხერხება ისე მოიქცევა.

ნაყარის ყიდვა სჯობია სხვათა შორის იმითაც, რომ ის სკა, რომელიც ნაყარს იძლევა სიცოცხლისა და შრომის მოყვარე მოდგმის არის. გარდაამისა ნაყარის ჩარჩოიან სკაში დაბინავება ძლიერ ადვილია.

შესაძენად ყოველთვის იმ სკის ნაყარი სჯობია, რომელმაც შარშან იყარა. ასეთი ნაყარის დედა ახალგაზრდა, ერთი წლის იქნება. ნაყარის ყიდვა—გაყიდვა ყოველთვის სჯობია არა ნარდათ თვალის შეზომებით, არამედ წონით. ამით მყიდველს ყოველთვის ნათელი წარმოდგენა ექნება შეძენილი ნაყარის სიძლიერებზე. ყველა გონიერ მეფუტკრესაც ასე აქვს მიღებული.

ფასი გაზაფხულზე. ნაყარი რამდენადაც ნაადრევია იმდენათ მეტი ღირს, სიდიდე ღირსებას მატებს. 4 გირვანქა ნაყარი ყიდვათ არ ღირს.

5 გირ. ღირს 1 მან., 6 გირ. 1 მ. 30 კაპ., 7 გირ.—2 მან., 8, 9 გირვანქიანში სიამოვნებით მიიღება სამი მანეთიკ. უბრალო კოდებში, წნულეებში, გოდრებში და ბუკებში დაბინავებული ფუტკარი 2—3 მანეთამდე ღირს. დადანის სკაში კი 12—15. მან. სხვა დროს თუ თაფლი გამოროთმეული აქვს ნახევარი ფასი ღირს.

ნაყარის აწონა ადვილია —წინათ უნდა იცოდეს სანაყრე გოდლის ან კალათის წონა, ჭურჭელს ნაყრიანებ აწონი ხელის სასწორით, გამოხვალ ჭურჭლის წონას და ამით გაიგებ ნაყარის წონას. (ოახი ათასი ფუტკარი ერთ გირვანქას იწონის.)

ზოგიერთ ყრუ ადგილას დღესაც სწავთ, რომ თუ ვინმემ ფუტკარი გაჰყიდა, მყიდველს ხელი გადაჰყვება და გამყიდველს ფუტკრები გადაუშენდება, ეს აზრი შემცდარია და ნაყოფია მხოლოდ უვიცობის. ჩვენ ვიცით, რომ კარგათ გაწყობილ საფუტკრის პატრონები ფუტკრებს არამც თუ მეზობლებს აძლევს ფულით, არამედ ცხრა მთას იქით, საზღვარ — გარეთაც ყიდიან, მაგრამ ამით მათ ფუტკრები არ უქრება — ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეგ ცრუ მორწმუნეობაა და მაგის გამხელა უვიცობის მომასწავებელია. — ფუტკარიც ისე გაიყიდება, როგორც ყველაფერი შინაური საქონელი, ამით ფუტკრის პატრონი ფულს შეიძენს და არაფერის გაქრობა — დავსება, დანელება არ მოყვება, ფუტკარი გაქრება მხოლოდ და მხოლოდ უცოდინარობით და მოურებლობით.

ფუტკარი მხოლოდ იმ მეფუტკრეს უქრება, ვინც ახალს არაფერს იძენს, ყველაფერს მამაპაპურად უცქერს, განათლება არ სწამს არაფერს, არ აუმჯობესებს, მისდევს დრო დაკარგულ ანდაზას: „რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დახვე პარპაშებსაო!“ ამ ანდაზას რომ მივსდით, ის ყველაფერ განათლების ნაყოფზე აგვადებენებს ხელს.

ფუტკრის შეძენის დროს მცნებათ მიიღეთ:

1. შეიძინეთ სალი ოჯახი, ჯანსაღი საფუტკრიდან.
2. ოჯახი იყოს ძლიერი, ახალგაზრდა, უხვათ მადებარი დედის პატრონი.

3. ნაშენობა და სარჩო საკმაო ჰქონდეს.
4. შეიძინეთ გაზაფხულზე გამოკვებილი.
5. თუ ნაყარი შეიძინოთ იყოს ნაადრევი, ნამთავარა, წონით არა ნაკლები 5—6 გირ.
6. ფუტკრის შეძენის დროს სკა იქნება თუ ნაყარი, ეცადეთ შეიძინოთ შრომის მოყვარე ოჯახის მოდგმა.
7. შეძენის დროს მიიღეთ სახეში ფიჭები ფართო იყოს და სალი.—ზემო ჭერზე მაგრათ მიკრული.

შეძენილი სკების გადატანა.

როგორც ფუტკრის შეძენა გაზაფხულზე სჯობს, ისე ახალ ადგილას, გადატანაც ამავე დროს სჯობს. ადრე გაზაფხულზე სკა მსუბუქია, რადგან ბარტყები და თაფლი შიგ ნაკლებად იქნება. ფიჭების ჩამოვარდნის დიდათარ გვეშინია—ჯერ კიდევ იმდენი სიცხე არ არის, ფიჭები რომ მოღვენთოს და აზილოს. ფუტკრების რიცხვიც სკაში ზაფხულ შემოდგომასთან შედარებით ნაკლებია—ეგეც გადატანის ხელის შემწყობია, რადგან გადატანის დროს მყუდროება დარღვეული ფუტკრები, არა ზომიერი ჭამისგან, რამდენად ნაკლები იქნება სკაში, იმდენად ნაკლებ სიცხის ბულს დააყენებენ. საზოგადოთ გადატანა ისეთ დროს სჯობს, როცა ფუტკრებს და მეფუტკრეს შეეძლება დაზიანებულ რამის ახალ ადგილას გასწორება—შეღამაზება. ასეთი დრო გაზაფხულია. სხვა დროს კიდევ შეიძლება ფუტკრიანი სკის გადატანა, მაგრამ ზამთარში არამც და არამც ფუტკრისთვის ხელი არ იხლება. ზამთარში მყუდროების დარღვევა მომაკვდინებელი ცოდვია.

ჩვენ აქ ავწერთ უბრალო სკების გადატანას.

(ჩარჩოიანი სკების გადასატანათ მომზადება ჩვენ გვექნება შემდეგში, როცა ვილაპარაკებთ ფუტკრის მთა—ბარობაზე.)

გადასატანი სკები დღით გამზადდეს და ღამით უნდა წაიღოს. წასაღებათ დანიშნული სკა შიგნით გაიწმინდოს, კარგათ უნდა გაისინჯოს—სკაში ფიჭები დაზიანებული ხომ არ არის. (აღამისეულ სკებში ხშირად ნოტიოს მიზეზით ფიჭის ზემო ნაწილი მორყეულია და მაგრათ არ არის ქერზე მიკრული, ოღნავ შენძრევით საკმარისია ჩამოვარდეს). დაზიანებული ან მორყეული ფიჭები თუ არის ფსკერიდან შეყენებით უნდა გამაგრდეს. გამაგრება შეიძლება ყავრით, თხელი ფიცრით ან წვრილი ჯოხებით. ისე რომ ფიჭები ქვეით არ დაიწიოს. სკა ისე უნდა შეკრათ, რომ (თუ ერთიანი არ არის) ერთი ერთმანეთს არ მოშორდეს.

სკის შეკვრის შემდეგ თავი და თავი საზრუნავი ჰაერია—ჰაერი გადასატან სკაში აუცილებლად იმაზე მეტი უნდა იყოს, რაც ჩვეულებრივ არის. უმჯობესია, თუ სკას საჰაეროთ ახალ ნახვრეტებს გაუკეთებთ. საღამოს, როცა ფუტკარი დაზინავდება და სკა ყველაფრით მორთული გვაქვს, ყველა ნახვრეტებზე მავთულის წვრილი ბადე ან საცრის ნაჭერი გაუკეთეთ; თუ ვერც ერთს ვერ იშოვნით, აიღეთ უბრალო თუნუქის ნაჭერი, დახვრიტეთ ლურსმით იმ ზომაზე, რომ შიგ ფუტკარი ვერ გამოძვრეს და ყველა ნახვრეტებზე წვრილი ლურსმით მიამაგრეთ. ერთი სიტყვით სკა ისე მოამზადეთ, ფუტკარს არსად გამოსვლა არ შეეძლოს და სკაში ჰაერის დენა საკმაო და თავისუფალი იყოს. სიფრთხილისათვის სკის გახვევა საჭიროა თხელ ტილოში ან სუფთა ტომარში.

რომ შევამდებთ წასაღები სკები უნდა დაალაგოთ მომზადილ ურემზე. ურემი რბილად უნდა იყოს თივით ჩაგებული; ურემზე სკა ისე უნდა დადგათ, რომ ფიჭები მოდიოდეს გზის გარდიგარდმო ზოლზოლათ და არა სიბრტყით. სკები ზედ მაგრათ უნდა დაამაგროთ—ქანაობა არ დაიწყოს, და ერთი ერთმანეთს არ ეხრავუნებოდეს. ურემზე სკები, რაც წინ იქნება ჯდლისკენ, მით

უკეთესია—გზაში ნაკლებად დაინჯდლევია. მოგზაურობა სჯობია ღამით. გზაში სიჩქარე არ ვარგა, რაც შეიძლება სიწყნარე უნდა დაიცოთ. როცა ბინაზე მიიტანთ, ურმიდან ხარები უნდა გამოხსნათ. თითოეული სკა გაუხსნელად იქ უნდა დადგათ სადაც საბოლოოთ დადგმას აპირებთ. ბადის გარდა ყველაფერი მოაშორეთ. ბადის მოშორება და ფუტკრების განთავისუფლება სჯობია ღამით, ახალ ბინაზე, დაწყნარების შემდეგ.

მეორე დღეს, მეფუტკრემ თითოეული სკა დაათვალიეროს, გასწმინდოს და თუ რამ გზაში დაუშავდა, მიხედოს.

სკების გადატანა, თუ ახლოს მიგვაქვს და ბევრი არ გვაქვს ყველაზედ უკეთესია მხრით. თუ ურმით გადაგვაქვს ურემში კარგია კამეჩის ან ხარების შებმა, რადგან ეს ცხოველები ცხენზე უფრო წყნარად ივლიან, მასთან ფუტკრებს იმათი სუნი ისე არ სძლეს, როგორც ცხენის. ისე ყოველთვის მაინც დიდი სიფრთხილე გვმართებს: გზაში სკა არ გაიხსნას ან საღმე ნახვრეტიდან ფუტკარი არ გამოძვრეს და საქონელს არ დაერიოს. ურემს ვინც ახლავს სიფრთხილისათვის თან უნდა ჰქონდეს სკების დასაგლესი თიხა მიწა, ნაცარსა, და ძროხის ნებზეში არეული და პირ—ბადე.

ურმით გადატანას სჯობია ეტლით. სკები გადააქვთ აგრეთვე ცხენზე და ვირზე აკიდებულიც. საპალნეთ სკები ისე უნდა აჰკიდოთ, რომ ფიქები მოდიოდეს გზის გარდგარდმო ზოლ-ზოლათ და არა სიბრტყით.

სამახსოვრო.

1. სკა კარგად იყოს შეკრული, 2, ფუტკარს გამოძრომა არ შეეძლოს, 3, სკაში ჰაერის დენა თავისუფალი და საკმაო იყოს. 4, ფიქები არ ჩამოცვინდეს, 5, ურემზე სკები რბილად და თავისუფლად ეწყოს, ერთმანეთს არ ეხრაგუნებოდეს. 6, მოგზაურობა ღამით და წყნარათ. ფუტკარი ახალ ბინაზე უნდა განთავისუფლდეს ღამით.



ფუტკარის ბინა წინად და ესლა.

საფუტკარე ადგილიც არჩეული გვაქვს, საფუტკარეც მოვაწყვეთ, ფუტკარიც შევიძინეთ და ჩვენს საფუტკარეში დავაბინავეთ, მაგრამ ეგ არ კმარა, ფუტკარი უბრალო კოდშია და ბინავებული, კოდის მოხმარა, ფუტკარის ხილვა — დათვალიერება, თაფლის გამოღება და საჭიროების დროს მიხმარება — ხელის შეწყობა არ ეხერხება. მეფუტკარეს კისჯრს მისი ფუტკარი რაც შეიძლება საუკეთესო მოხერხებულ სკაში ყავდეს, ფუტკარიც ხეირობდეს და პატრონსაც სარგებლობას აძლევდეს. მას გაუგონია, რომ ნასწავლი კაცები ფუტკარს ესრეთ წოდებულ ჩარჩოიან სკაში აბინავებენ. მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს ჩარჩოიანი სკა ან ვისი გამოგონილია, ანუ ვისი ყაიდის არის საუკეთესო, ან როგორ გააკეთოს ეგ კი შეიძლება არ იცოდეს.

ეს კითხვა თავ — სამტკარევი კი ახვია. იშვიათად შეხვდები ათ გამოცდილ მეფუტკარეს, რომელთაც ამ კითხვაზე გადაჭრილი პასუხი მოგვცეს. შეუძლებელია ათში უმეტესობამ ერთ რომელიმე ყაიდის სკაზე მიკითხვოს და გადაწყვეტით გირჩიოს: „მეგობარო! ეს და ეს სკა შეიძინე უკეთესი აღარ შეიძლებაო.“ ყველა მეფუტკარეს თავისი ამოჩემებული სკა მიაჩნია უბადლოთ. ვიმეორებ ეს კითხვა მაგარი კითხვაა და საჭიროებს შორიდან გაშუქებას.

ვერავინ გეტყვის დაბეჯითებით თუ რომელ საუკუნეში გაიგო ადამიანმა თაფლის გემო. გეტყვიან მხოლოდ, რომ მას მერმე რამოდენიმე ათასი წელიწადი არისო. პირველად თაფლის გემოს გამღებს შეიძლება თაფლის გემო ნადირმა ასწავლა, ან შეიძლება ზეხისაგან გადამტკარეული ფულუროიანი ხე ნახა, საცა ფუტკარს „თაფლი დაეკრძალა“. რაკი ადამიანმა თაფლის გემო იხილა ცხადია, ძლიერ მოეწონა. მას-

მერმე ადამიანი შეიქნა ფუტკრის საშიშარი მტერი — ის ფუტკრებზე ისე ნადირობდა, როგორც გარეულ ნადირზე: საცა კი ნახავდა ფულუროიან ხეში დაბუდებულ ფუტკარს, ხეს მოსჭრიდა, ფუტკრებს ან კომლით გაგულავდა, ან წყლით დაახრჩობდა, ყველას უმოწყალოთ გაჟღეტდა, დაიმორჩილებდა და სავსებით გაცარცვავდა. ფუტკრის კეთილ დღეობისათვის ის თავს არ იტკივებდა, ოღონდ კი თავლით ესარგებლა — ფუტკრის არსებობა მისთვის საჭირო არ იყო.

ასეთი იყო ფუტკრისა და პირველ ყოფილი ადამიანის დამოკიდებულება ერთმანეთს შორის. სამწუხაროთ ამის ნიშანს აქა იქ დღესაც ვხედავთ, ფუტკრებზე ნადირობა ჯერაც არ მოსპობილა.

პირველი საწაღმართო ნაბიჯი, რომელიც ადამიანმა ფუტკრის შესახებ გადადგა, იყო, ასე ვთქვათ, ფუტკრის გაშინაურების სურვილი. ადამიანს სიხარბემ და თავლის სიყვარულმა აფიქრებინა ტყიდან ფუტკარი თავის ეზოში გადმოესახლებინა. ამისთვის საჭირო იყო ფუტკრისთვის განსაკუთრებითი ბინა. მაშინდელ ადამიანს, როგორც განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფს, აბა რა ბინა შეეძლო გაეკეთებინა სხვისთვის, მწერისთვის, როცა თავისთვისაც არ ჰქონდა შესაფერი ბინა. ფუტკრის პირველი ბინა, რომელსაც დღეს სკას ვეძახით, ადამიანმა ისევ ბუნებისაგან გადმოიღო: ველურათ ფუტკარი მან ნახა ფულუროიან ხეში, ადგა და ხე მოსჭრა. ხისაგან ცალკე გამოსჭრა ის მორი, სადაც ფუტკარს ბინა ჰქონდა — ფულუროიანი, თავები გაუკეთა, ფუტკარი შიგ მოამწყვდია და სახლში წამოიღო. თავის ეზოში ისე დადგა, როგორც ტყეში იდგა.

ასეთი სკები დღესაც ძლიერ გავრცელებულია და ქვიან კოდი... როცა ფუტკარმა იყარა, ადამიანმა ნაყარი პირველ კოდისავე მსგავს კოდში დააბინავა — როცა მას თავლი მოესურვებოდა წყლის დასხმით ან ცეცხლის შემწეობით ფუტკარს გაანელებდა, დაავსებდა და თავლით ისარგებლებდა. ადამიანის

ოსტატობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ფუტკარს სათესლეთი ტოვებდა ესე იგი, ყველა კოდს ერთბაშით არ ანადგურებდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი განადგურებით ფუტკარის ნაწარმოებით სარგებლობა, სხვათა შორის, დღესაც იციან სვანეთში. ამ საქართველოს ყრუ და ცივ კუთხეში ღვინო არ მოდის... ღვინის მაგიერ ხმარობენ ქერისა და თაფლის ლულს. როცა მიცვალებული ყავთ დასამარხი, ან ქორწილი აქვთ გადასახდელი ფუტკარს გაანელებენ; მთელი სკის შიგნით ნაშენობას, როგორც სარაქს ისე ბარტყებსაც, ქურქელში ჩაყრიან, აამჟავებენ ზე ლულს გამოხდიან.

აი თურმე რისთვის დასჭირდა ადამიანს ფუტკარის ტყიდან გადმოსახლება. ასეთი განადგურებითი წესი ძლიერ დიდხანს გაგრძელდა და, როგორც ვხედავთ სამწუხაროთ, ჯერაც არ აღმოფხვრილა.

მეფუტკრეობის განვითარების მეორე ხანათ შეიძლება მივიღოთ ის დრო, როცა ადამიანმა ფუტკარს უფრო ღმობიერათ და ვაქრულათ შეხედა. ზოგიერთ ქვეყნებში, ზოგიერთმა მეფუტკრემ გაახერხა და ფუტკარს თავლი ისე გამოართვა, რომ ფუტკარის ოჯახი სავსებით არ დაარბია. ზოგმა შენიშნა, რომ ფუტკარი თავლს კოდის ზემო ნაწილში ათავსებდა, ამისთვის ადგა და კოდს მარტო ზემო თავი მოახერხა და ნარჩენი კი ფუტკარს დაუტოვა. ზოგმა კოდს თავზე გადაადგა ზედ სართაუ წნული ან თიხის ჭურჭელი ზე თავისი წილი, თავლი იქ გააკეთებინა.

ზოგან კი კოდი გააუმჯობესეს; აიღეს ერთი ხას მორი, გააპეს ორ თანასწორ ნაწილათ, ორივესაგან გააკეთეს გეჯა (ვარცლი) ეს გეჯები გადაადგეს, ერთი მეორეს, გაუკეთეს საფრენი და შიგ ნაყარი დააბინავეს. ფუტკარი მუდამ ზემო გეჯაში იბუდებს, მისი ქვემო ნაწილზე მოშორება შეიძლება, მაშასადამე მეფუტკრეს საშვალება დაურჩა კომლის შემწეობით ფუტკარი ერთი მხრისკენ მიერეკა და თავლის

შემწეობით სკის თაფლ-სარაქი განესაზღვრა—ნაწილი თავისთვის გამოექრა, ნაწილი ფუტკრისთვის დაეტოვებინა.

ცხადია გეჯა, კოდ—წნულ—გოდორზე ბევრად მოსახმარია, მაგრამ გონიერი, მრეწველი მეფუტკრის მოთხოვნილებას მაინც ვერ აკმაყოფილებს.

მაგრამ ადამიანი ხომ განვითარების ერთ წერტილზე არ შეჩერებულა, ის მუდამ წინ მიისწრაფვის, ყველაფერს იკვლევს, ყველაფერს გამოსარჩენი თვალთ უყურებს. ფუტკარსაც ადამიანმა ამ მხრივ შეხედა და როცა ანგარიშიანი თვალთა ხედვის ისრით გასჭვრიტა, ფუტკრების განადგურებითი მოვლის წესი და უხეირო მოვლა არ ღარჩა გამოსადეგი. ან კირა სახეირო იქნება, რძე რომ გინდოდეთ ძროხას, ცურნე მიაკრათ, ან და მსხმოიარე ხეხილზე გასვლა და ნაყოფის დაკრეფა შეგეზაროთ, ან ვერ გაახერხოთ და ხე ძირში მოკრათ.

შორს გამტკრეტმა ადამიანმა ასე იფიქრა: თაფლი კარგია, სასარგებლოა, მისი გამკეთებელი რომ დავხოცო, ან კარგად არ მოუარო რა ხეირია! მოდი საქმეს ისე მოვაწყობ გამკეთებელიც ცოცხალი აყოს, მუდამ იზრომოს, მეტი თაფლი გამოიკეთოს, მე კი ამ მისი ნაშრომით ვისარგებლებო. ამ მიზნის მისაღწევათ საჭირო შეიქნა ფუტკრის ბინის გაუმჯობესება. ადამიანის სურვილი იყო ფუტკრისთვის მოუხერხებელი კოდის და გეჯის მაგიერ ისეთი ბინა გაეკეთებინა, შეძლებოდა თაფლის ისე ადვილათ გამოღება, რომ ფუტკარი არ გაენადგურებინა. თვით ფუტკრებისთვისაც საყოფი სარჩოს დატოვება და ამისი განსაზღვრა შესძლებოდა. ფუტკრებისთვის ბინა მოხერხებული ყოფილიყო საცხოვრებლათ, როგორც ზაფხულში ისე ზამთარში.

ყველა ეს რომ შესძლებოდა, ცხადია სკა დასაშლელი უნდა გაეკეთებინა; საშვალეება ჰქონოდა გაელო, დაეთვალიერებინა, ფუტკრები სკის ერთი მხრით მირეკა შესძლებოდა; ზედმეტი თაფლი რომ ამოელოდა საყოფი სარჩო განესაზღვრა, საჭირო იყო ისეთი სკის გაკეთება, რომელიც ნებას მისცემდა თითოეული სარაქ—ფიქის თითო თითოდ დათვალიერე-

ბის და შეზომის. მაშასადამე თითოეული ფიქვა ცალკე ამოსა-
ლები უნდა ყოფილიყო. ყველა ამასთან სკა იმ ზომის
უნდა გაეკეთებინა, ფუტკრებს შესძლებოდა მრავლობა და
სამრავლადაც ყოფნოდა. თან საჭირო იყო სკა ყოფილი-
ყო ისეთი მასალისაგან და იმ ანგარიშით გაკეთებული, რომ
ფუტკარს შესძლებოდა როგორც ზაფხულის სიცხის ატანა,
ისე ზამთრის სიცივის. ამავე დროს საჭირო იყო თაფლის მო-
ყვარე მტერს, გარდა ადამიანისა, ფუტკარი არ შეეწუხებინა.

დიდი ხნის მეცადინეობის შემდეგ ადამიანმა მიზანს მიაღ-
წია; გააკეთა ფუტკრის და თავის მიზნისთვის სასარგებ-
ლო ბინა. ასეთ ბინას ჩვენ ვეძახით **დასაშლელ ჩარჩოიან
სკას**.

ასეთი მოხერხებული სკის გამოგონების წელიწადი მე-
ფუტკრეობის ისტორიაში ოქროს ასოებით არის აღსანიშნავი.
ამით მეფუტკრეობამ უზარმაზარი დევის ნაბიჯი გადადგა
წინ. ჩარჩოიანი სკის მეოხებით მეფუტკრეობა შეიქნა ადვილი
და სარგებლიანი საქმე. გაადვილდა ფუტკრის მოვლა და ბევ-
რით იმატა შემოსავალმაც.

ჩარჩოიან სკაში ფუტკრის მოვლა შესაძლებელი გახდა
სიყვარულით და მზრნველობით; აღარავის უწევს უხვთობა
ჩაიდინოს ღ მშრომელი ზეცის მუშა თაფლის გულისთვის გაა-
ნადგუროს. დღეს ფუტკრის მოვლა ისე გაადვილებულია, რომ
უკეთუ შეგვხდება თაფლის გამოღების გულისთვის გამქრალი
სკა—გამქრობის შესარცხვენად ასეთ სკას თამამად შეგვიძლია
ერთ გერჰანულ წიგნში მოყვანილი ეპიტაფია *) წავაწეროთ:

აქ განისვენებს

მშრომელ ფუტკართა ოჯახი,

რომელსაც უმადურმა, უვიცმა ადამიანმა შეუბრა-
ლებლათ სიცოცხლე მიუსპო:

სასარგებლო, კეთილშობილურ, დაუღალავ შრომი-
სთვის.

*) ბერძნული სიტყვაა, საფლავის ქვაზე წარწერას ნიშნავს.

ვინ მოიგონა ჩარჩოიანი სკა.

ჩვენის მხრით დიდი უმადურობა იქნება, არ აღვნიშნოთ ის პირი ვინც პირველათ მოიგონა ჩარჩოიანი სკა და მით, როგორც ფუტყარს, ისე მის მომვლელს საუკუნო ღვაწლი დასდვა.

პირველი ცდა ისეთი სკის გაკეთების, რომლის ყველა ფიქა ცალცალკე გამოსაღები, თუ ამოსაღები ყოფილიყო, მოახდინეს ბერძნებმა. როგორც ისტორია გადმოგვცემს, პირველად ბერძნებმა სცადეს სკაში ჩაეწყათ სახაზავები, რომლის ქვეშა პირზე ფუტყარი ფიქას აკრავდა. ეს იყო მე-17 საუკუნეში.

1737 წელს გერმანელმა მღვდელმა **ღზერზონმა** სახაზავიანი სკა გააკეთა, ბერძნების სკასთან შედარებით გაუმჯობესებული. სახაზავები სკის ზემო ნაწილში იმ ზომაზე გაამწკრივა, რა ზომაზედაც ფუტყარი ფიქას ერთი მეორეზე აშორებს, სახაზავის ზომაც (სიბრტყეც) ფიქის ზომისა აიღო. მართალია იმ დროს ამ სკამ დიდი ყურადღება მიიპყრო, მაგრამ ნაკლი მაინც დიდი ჰქონდა: ფიქა ორივე მხრით სკის კედელზე იყო მიკრული, თუ გინდოდა ამოგელო უნდა გამოგეტრა, კედელზე უნდა მოგეშორებინა. რომელიც გინდოდა პირდაპირ იმას ვერ ამოიღებდი, როცა ამოიღებდი, სიძიმის მიზეზით, რაკი გვერდებიდან არაფერი იმაგრებდა, შეიძლებოდა კიდევ ჩამოვარდნილიყო. ყოველივე ეს პატ-ვცემული მღვდლის სახაზავიანი სკას მოუხმარებლათ ხდიდა, თუმცა მასში ფუტყარის ცხოვრების დაკვირვება უფრო შეიძლებოდა, ვიდრე კოდში. *

შემდეგი ცდა მოახდინა მეორე ფუტყარების ცხოვრების მკლევარმა **გუბერმა**. მან გააკეთა წიგნის ფურცლებით გადასაშლელი სკა. პრაქტიკული მნიშვნელობა არც ამ სკას დაურჩა, რადგან გადაშლის დროს ბუდე ერთბაშათ ცივდებოდა. ამის შემდეგ, როგორც ევროპაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ბევრი შეეცადა გამოეგონებინა ნამ-

დელი მოსახმარი სკა... საბოლოო გამარჯვება დარჩა მეფუტკრეთა მამათ მთავარს ამერიკელ მღვდელს **ლანგსტროტს**.

1851 წელს ლანგსტროტმა გააკეთა სკა და შიგ ჩააწყო მოძრავი მისაწევ—მოსაწევი, **ამოსაღებ**—ჩასადგმელი ჩარჩო. ღზერზონმა თუ მარტო ფიჭის თავის მისამაგრებელი სახაზავი მოიგონა, ლანგსტროტმა ამ სახაზავს გვერდები და ძირის ნაწილი გაუკეთა და ამ რიგად თითოეული ფიჭა ჩარჩოში დარჩა ჩაშენებული, თავისუფლად ამოიღებოდა ზევით.



სურ. 28.

ლ ა ნ გ ს ტ რ ო ტ ი


ლორენც ლორენი

(1810 წ. 25 დეკ.—1905 წ. 6 ოქტ.)

ასეთი მოხერხებული სკის გამოგონებამ მეფუტკრეობაში მთელი ცვლილება შეიტანა, და მას ყველა მეფუტკრე აღტაცებით მიეგება. ერთს ჟურნალში ბ-ნი კუკი სწერს:

„ეს სკა ჩაითვლება უდიდებულეს გამოგონებათ. მაგ სკის მეოხებით ამერიკა შეიქნა პირველი ქვეყანა დედა მიწის ზურგზე—მეფუტკრეობის მხრივ ყველა ერსათავეში მოექცა“.

თვით გამომგონს თავისი სკა უნაკლულთ მაინც არ მიაჩნდა; ის სწერს: „მე სრულებით არ ვფიქრობ, რომ მოვიგონე სრულიად უნაკლულო და ყოვლის მხრით სრული სკა; დასრულებული და უნაკლულო ქვეყნად არაფერია. ადამიანს თუ თავისი გამოგონება უნაკლულთ მიაჩნია, აქებს და ადიდებს მას, ამით ის ეჭკუობას და მარტო თავის თავის დანდობას ამტკიცებს“.



სურ. 29.

კარლ დადანი.

დიდებული გამომგონის აზრი მართალი დარჩა... რამოდენიმე წლის ცდისა და დაკვირვების შემდეგ, ლანგსტროტის მოწაფემ და მისი ნიჭის თაყვანის მცემელმა დადანმა თავის მოძღვრის გამოგონების ზოგიერთი ნაკლი შეავსო, რის წყალობითაც სკამ დაკარგა თავისი პირველი გამომგონის სახელი და დაერქვა დადანის სკა.

ლანგსტროტ-დადანის სკა ამერიკიდან მალე სხვა განათლებულ ქვეყნებშიაც გავრცელდა და მთელ შეგნებულ მეფუტკრეთა სრული ნდობა და ყურადღება დაიმსახურა. სხვათა შორის დადანის სკას დიდი ყურადღებით მოეპყრა გერმანელი მეფუტრკე **ბლატი**. ბლატმა, როგორც პირველმა გამომგონმა და გამაუმჯობესებელმაც, ფუტკრების ცხოვრებას და დედის კვერცხის დებას ანგარიში გაუწია, ყოველივე გამოიწვლილა და ამის მიხედვით ჩარჩოს ზომა შეცვალა. შესცვალა ისე მოხდენილათ, რომ დღესაც, 60 წლის შემდეგ, მრეწველ მეფუტკრეთა უმეტესობა დადან—ბლატის სკას აწარმოებს.

როგორც ხედავთ, ამ სკის გამოგონება — გაუმჯობესებაზე უშრომია სამს ფუტკრების მეგობარს და, საცა სამართალია, სკის სახელიც ასეთი უნდა იყოს: „**ლანგსტროტ — დადან — ბლატის**“, მაგრამ სიადვილისათვის ეძახიან **მარტო დადან — ბლატის** სკას.

სხვა და სხვა ყაიდის სკა.

მას შემდეგ, რაც ლანგსტროტმა მოძრავი ჩარჩო მოიგონა, მეფუტკრეებს გზა გაეხსნათ. რაკი უმთავრესი დაბრკოლების კვანძი — ჩარჩო გამოგონებული დარჩა, ბევრმა თავისებურად გამოიყენა. საერთოთ, რასაკვირველია, ჩარჩოიანი სკის ყაიდა მიიღეს, მაგრამ ზოგმა ჩარჩოს ზომა შეცვალა და მის შესაღარათ თვით სკაც. ზოგმა დაბალი ამჯობინა, ზოგმა მაღალი. ზოგმა კი თვით სკის სახეც შეცვალა: სკას არც მოძრავი ფსკერი გაუკეთა და არც სკა ზევიდან ასახდელი და ჩარჩოებ ამოსაღები დაიჭირა, არამედ ჩარჩოები გვერდიდან შესაწყობი გააკეთა; ზოგმაც ჩარჩოები ერთი ერთმანეთს დაკედელს კი არ დააშორა, არამედ ერთმანეთს მაიწყო და მით ფუტკრებს სასიარულო გზა დაუხშო. ზოგმა საკუქნაო ქვეიდან, ან გვერდიდან გაუკეთა, ზოგმა, სკა ორმაგი კედლისაგან შეკრა და სხვა...

ერთი სიტყვით, 50—60 წლის განმავლობაში სკების გამოგონება ზოგს პირდაპირ ავითმოფობათ გადაექცა. ჩვენ ვარს ვერ ვყოფთ, ზოგს კეთილშობილური სურვილი ამოქმედებდა, სურდა სკა თავის ქვეყნის ჰავის და ადგილობრივი პირობების მიხედვით გაეკეთებინა, მაგრამ უმეტესობას კი, ვერ მოვეფერებით, „ტვინის ხიციანი“ სკირს, განდიდების სურვილი არ ასვენებს, დაფნის გვირგვინისკენ აცეცებს ხელს.

ასეა თუ ისე, თვით ლანგსტროტის თქმისა არ იყოს, დასრულებული ამ ქვეყნად არაფერია და ვინც რაიმეს ქვეყნის სასარგებლოს დაასრულებს, ან ახალს შექმნის, შთამომავლობა მადლობით მოიგონებს.

მაგრამ ყველა სხვისა ნამოქმედარის მეწუნისა და თავისის დამძენს ან სრულიად ახლის გამომგონს, სახეში უნდა ჰქონდეს: რას აკეთებს, ვისთვის აკეთებს და რამდენად გამოსადეგი იქნება იმ მიზნისათვის, რისთვისაც ცოდვილობს. ჩინებულად უნდა ესმოდეს ფუტკრის ცხოვრება და მტკიცეთ იცოდეს, თუ როგორი ბინაა მისთვის საუკეთესო.

ყველა სკა შედარებული უნდა იყოს იმის ცხოვრებასთან, ვისაც შიგ ვაბინავებთ. პირველად სკის გამკეთებელი გულისხმობს სკაში ფუტკრების კარგ ცხოვრებას, მეორეთ მას სახეში აქვს იოლი მოვლა და მეტი შემოსავალი. ყველა სკაც ამ პირობების მიხედვით უნდა გაკეთდეს. ნეტარ ხსენებული ლანგსტროტიც ასე ფიქრობდა, მისი მოძღვრების მიმდევრებსაც ეგევე ჰქონდათ სახეში და მათვე დაგვიწერეს თუ,

როგორი უნდა იყოს კარგი სკა.

1. კარგი სკიდან მეფუტკრე ცალცალკე ყველა ფიქას ისე ამოიღებს, არც ფუტკარს მოკლავს და არც თაფლს დაღვრის.

2. კარგ სკაში ყველაფერი საქმე ისე უნდა გააკეთდეს, არამც თუ თაფლი დაიღვაროს, არამედ ერთი ფუტკარიც არ

უნდა მოკვდეს, არცუნდა დაზიანდეს. არის ისეთი სკები, რომლებშიაც ისე არ შეგიძლია რაიმე საქმე გააკეთო, ან თაფლი არ დაღვარო, ან ფუტკარი არ მოჰკლა; რაც უნდა ფუტკრის მცირე რიცხვი შემოგაკვდეს, ერთის სიკვდილი მეორეს აბრაზებს და გარდა ზარალისა საქმის გაკეთებას აფერხებს.

3. კარგი სკა ფუტკრებს უნდა იფარავდეს, როგორც ზამთრის სუსხისაგან, ისე ზაფხულის პაპანაქებისაგან; დაცული უნდა იყოს ნოტიოსა და ჰაერის ცვალებადობისაგან.

4. საჭიროა ფუტკრებს სკაში ფიქიდან ფიქაზე ზედმეტი გადასასვლელი არ ჰქონდეს: ყოველთვის უნდა ვეცადოთ და მეტადრე უხვი ლალიანობის დროს, ფუტკრებს შრომა არ გაუზვიადოთ, ამისათვის კარგი სკა ნებას უნდა აძლევდეს დატვირთულ ფუტკრებს სწორეთ იმ ფიქაზე მივიდნენ, საცა საქმე აქვთ.

5. კარგი სკისბუდე, საჭიროების დროს, ოჯახის სიძლიერის სისუსტის მიხედვით უნდა გაფართოვდეს და შევიწროვდეს.

6. კარგი სკა ისე უნდა იყოს გაკეთებული, რომ შეგვეძლოს ჩარჩოებში ჩავაწებოთ ხელოვნური ფიქა და ყველა მშრალი სამუშე ფიქის ნაქერიც.

7. სკის ფსკერი აუცილებლათ უნდა იყოს მოძრავი, უნდა შეგვეძლოს მისი სკაზე მოშორება ამის მეოხებით ჩვენ შეგვეძლება სკაში ჰაერი ხშირად გავასუფთაოთ, საჭიროების დროს სკაში მეტი ჰაერის დენა გამოვიწვიოთ. გარდა ამისა მოძრავი ფსკერი დიდათ ხელს უწყობს სკის სისუფთავეს. ზამთრის განმავლობაში დახოცილი ფუტკრები ფსკერზე ეცემა, იხრწნება და ჰაერს აფუქებს. ფრთხილი ფუტკრები მკვდრებს გარეთ ეზიდებიან, სკის მოშორებით ყრიან, მაგრამ ძლიერ ხშირად, პირველ ზაფხულის სიცივის მიზეზით თვითონაც იღუპებიან. (ამ დროს ერთი ფუტკარი კი 100 ზაფხულისას უდრის). როცა სკის ფსკერი მოძრავია, მეფუტკრეს ყოველთვის შეეძლება ფუტკრებს მიეშველოს და სკა გააუსუფთაოს.

8. ყველა კარგი სკის საფრენი პირდაპირ ზედ ფსკერის გასწვრივ უნდა მოდიოდეს და არა ზევით. როცა საფრენი ზე-

ვით აქვს, ფუტკრებს სკაში შესვლა გამოსვლაც გაუჭირდება, და სკიდან მკვდარი ფუტკრის, თუ რამ უსუფთაობის გამოტანა თითქმის სულ არ შეეძლება.

9. კარგი სკის საფრენი მოხერხებული უნდა იყოს, შეგვეძლოს მთლად დაკეტა, გაგანიერება და დავიწროება.

10. კარგი სკის საფრენი ამავე დროს სკის საჰაერეც არის. საფრენიდან სკაში ჰაერის დენა საკმაო უნდა იყოს, მისი მეოხებით ჰაერი არც სკის ზემო ნაწილს უნდა აკლდეს, უჰაერობით ფუტკრები არსად არ უნდა იტანჯებოდეს, შრომაზე ხელი არ ეშლებოდეს. საფრენიდან შესულმა ჰაერმა უნდა გააბედვინოს ადრე გაზაფხულზე ფუტკრებს კუჭის გასაწმენდათ გამოსვლა; მაშასადამე საფრენიდან შესული ჰაერი ოჯახისათვის საკმაო უნდა იყოს.

11. კარგ სკაში ფუტკრების შეუწუხებლად და ბუდის გაუცივებლად უნდა შეიძლებოდეს საკვების მიცემა, როგორც სიცივეში ისე სითბოში.

12. კარგი სკის ნაწილები ერთი ერთმანეთს სრულის სისწორით უნდა რგებდეს; ამის წყალობით, როცა საჭიროება მოითხოვს ძლიერი ოჯახიდან შეგვეძლება სუსტს მივცეთ თაფლიანი, ქეოიანი, ან ბარტყიანი ფიჭა.

13. კარგი სკიდან მეფუტკრემ თაფლი უნდა ამოიღოს სუფთად, ფაქიზათ; თაფლმა უნდა მოხიბლოს მყიდველი, როგორც გარეგნული შეხედულებით ისე ღირსებით.

14. სკა უნდა იყოს მოხერხებული როგორც ბუნებრივი ნაყარის მისაღებათ, ისე ნაყარის შესაწერებლათ.

15. კარგი სკის წყალობით უნდა შევიძლოთ ოჯახების ადრე და წარმატებით გამრავლება, რაიცა მოუხერხებელია მარტო ბუნებრივი ნაყარის დანდობით, მაშასადამე კარგი სკა ხელოვნური ნაყარის მისაღებათაც მოხერხებული უნდა იყოს.

16. იოლათ უნდა შეგვეძლოს დაობლებულ ოჯახის დროზე მიშველება და დედის მიცემა.

17. საჭიროების დროს უნდა ხერხდებოდეს უვარგისი

დედის გამოცვლა—ძველის წართმევა და ახლის მიცემა.

18. კარგი სკა უნდა იყოს ადვილი მოსახმარი—ერთ მეფუტკრეს უნდა შეეძლოს მოუაროს რამდენიმე ას ოჯახს.

19. კარგი სკა უნდა იყოს კარვად გაკეთებული, კარგი ხმელი მასალისაგან, არ იფრანგებოდეს, არ იბერებოდეს, რომელიმე სკის ნაწილი, ყველა ნაწილი ერთმანეთს სისწორით აღგებოდეს, არსად ჭურჭუტანა და ნახვრეტები არ ჰქონდეს, რომ თავის შეძრომა არ შეეძლოს.

20. კარგ სკაში ფუტკრებს უნდა შეეძლოს საზამთრო სარჩოს იქ მოუყარონ თავი, საცა მათთვის გაზამთრება ადვილი ასატანია.

21. სკის ზედ სართი, ანუ საკუქნაო უნდა იყოს ბუდეზე რაც შეიძლება ახლოს, ფუტკრებს ასვლა არ დაეზაროთ.

22 კარგი სკა უნდა იყოს ხელ მისაწვდენი ყველასათვის, ვინც მის შეძენას მოისურვებს, არ უნდა იყოს ძვირი და არც ძნელი გასაკეთებელი.

აი ის პირობები, რომელსაც მოითხოვს სარგებლობა კარგი სკისაგან. ეს პირობები დღეს მიღებული აქვთ ევროპიელ და ამერიკელ მეფუტკრეებს.

* * *

ევროპა—ამერიკაში კი, როგორც წინადაც მოვიხსენე, მეფუტკრეობის აყვავებას დიდათ მეცადინობდნენ და დღესაც განაგრძობენ, ეს მეურნეობის და ხელოვნების დარგი უფრო მეტ წარმატების გზაზე დააყენონ.

ჩვენ კი, როგორც ყველაფერში, ისე ამაშიაც ძლიერ ჩამოვრჩით, მაგრამ გული მაინც არ უნდა გავიტეხოთ; მით უმეტეს, რომ გზა—ეკლიანი უკვე გაგვიკაფეს. სხვა კუთხის მეფუტკრეებმა მეფუტკრეობის განვითარების ყველა საფეხურები გაიარეს, ველური დარბევითი ფუტკრის მოვლისაგან დაწყებული დადანის კულტურულ სკამდე მიახწიეს. ჩვენ კი, როგორც ცოდნა-გამოცდილება, ისე სკა და ყველა საფუტკრეში სახმარი იარაღ—მანქანები ნაცადი და შემოწმებული

გადმოგვცეს. ჩვენ დაგვრჩენია მათგან მხოლოდ ნაცადის გადმოღება. ამ რიგათ შექლება გვაქვს ველური, უსარგებლო ფუტკრის მოვლისაგან პირდაპირ სარგებლიანი მეფუტკრეობა დავიწყეთ: კოდ—გეჯა როფებ—ბუკების მაგიერ ფუტკარი დავაბინავთ დადანის სკაში, რომელიც გონივრული მოვლის საფუძვლათ ჩაითვლება.

ჩვენი წიგნიც ამ სკაში ფუტკრის მოვლაზე არის შეხამებული. შემდეგ თავში ჩვენ ავწერთ დადან—ბლატის სკას და ვეცდებით მისი გაკეთებაც, შექლებისა და გვაჯათ, მოვისხენოთ.

დადან—ბლატის სკა.

გარეგნული შეხედულებით დადან-ბლატის სკა ორკალთიან სახურავით გადახურულ ფიცრის ყუთს მოგაგონებს. ამ ყუთს სამი უმთავრესი ნაწილი აქვს: თვით ყუთი, ანუ სკის ტანი, ფსკერი და სახურავი.


ყუთი ფსკერზე ნარიმანდის შემწეობით ჩამოცმულია, (ანუ ფსკერი ყუთში მოძრავათ შედგმულია) შეიძლება ფსკერს სრულიადაც მოვაშოროთ. სახურავი ყუთს თავისუფლად ეხურება. როცა ყუთი ფსკერზე დგას და თავდ ხურულია, ფუტკარს ყუთში შესასვლელათ კარი, ანუ საფრენი, მხოლოდ ერთი აქვს. მაშასადამე ყუთი იმ რიგად არის მჭიდროთ გაკეთებული, რომ ერთი ადგილის გარდა არაფერს შიგ შესვლა არ შეუძლია.

საფრენი სწორეთ იქ არის გაკეთებული, სკის წინა მხარეს, საცა ფსკერი და სკის კედელი ერთი ერთმანეთს უერთდება და მოდის პირდაპირ ფსკერზე. ფსკერის წინა ნაწილი, რამოდენიმე გოჯი გამოწეულია, ყუთის კედლის წინა პირზე გადმორჩენილია; ამ რიგად ყუთს გარეთ, საფრენთან რჩება ფსკერის ნაწილი, რომელზედაც სკაში დაბრუნებული ტვირთიანი ფუტკარი ისვენებს; ეს ფიცარი ფუტკარს უადვილებს,

როგორც საფრენში შესვლას, ისე გამოსვლას. ერთი შეხედვით ეს ფიცარი დერეფნის მსგავსია და ჩვენც ამიერიდან დერეფანს ან **სახვენ** ფიცარს დაეუძახებთ.

როცა სკას თავს ავხდით, ყუთში ჩვენ ვნახავთ ნარიმანზე ჩაკიდებულ 11 ერთი ერთმანეთის უმეტნაკლებო სისწორის ზომის ჩარჩოს, ერთი ერთმანეთზე თანასწორად დაშორებულს და ერთს გადასამკედლავე მოძრავ ფიცარს. ეს არის დადანის სკის მოკლე აღწერა.

ზემოთ აწერილი სკა არის ფუტკრის ბუდე, რადგან მასში ფუტკარი მრავლობს და იუნჯებს თავის წლიურ სარჩოს. ეს მათი



სურ. 30.

დადან - ბლატის სკა.

ქვემოდან სურათზე მოსჩანს სკის ტანი—ბუდე, წინ წამორჩენილი ფახ დაკრული დერეფნით და საფრენით. დერეფანზე მარჯვნივ დევს საფრენის შესავიწროებელ-გასაგანეიერებელი თამასა, თამასას მარცხნივ შავი ხაზი სკის **საფრენია**. (ფუტკრის შესავალი კარი). შვა სურათი არის **საკუჭნაო**; ზემოდან კი ორკალთიანი სახურავი, რომლის შუბლზე შავი წერტილი აღნიშნავს შიგნიდან ბადე მიკრულს სკის **საჭაერეს**, ბუდეშიც და საკუჭნაოშიც მოჩანს ჩარჩოების ზედა პირი.

ოჯახია, რომლის ხელის ხლევა თავის სასარგებლოთ მეფუტკრეს აკრძალული აქვს. ბუდე თავისი 11 ჩარჩოთი ისეა გამოანგარიშებული, რომ ექვივრება თვით ფუტკრების ოჯახს, ხოლო რასაც ზედ მეტს გააკეთებს, ანუ რასაც ზედ მეტს თავის ხელის შეწყობით მეფუტკრე გააკეთებინებს, ეს მეფუტკრის ხელოვნებაა. როცა ფუტკარი ბუდეში მოძლიერდება, თავის ოჯახის არსებობას ყველაფრით უზრუნველ ყოფს, ფხიზელი, გამორჩენის მოყვარული, მეფუტკრე მაშინვე ბუდეს ზემოდან მეორე სართულს ადგამს. ეს მეორე სართული, ანუ სკისბუდის ზედ სართი, ბუდეს სწორეთ ტყუპის ცალივით უნდა ადგებოდეს, მისი ყველა გვერდები ტანს უნდა ეთანხმებოდეს. მხოლოდ სიმაღლით ნაკლები უნდა დარჩეს. ჩარჩოებიც ზემო სართულში ისეა ჩაკიდებული, როგორც ბუდეში და რაკა ზემო სართულს გადასამკედლაფი ფიცარი არ სჭირია, შიგ ჩადის 12 ჩარჩო. თითოეული ჩარჩო ბუდის ჩარჩოზე ნახევარი ზომის არის. მეფუტკრის ფხიზელი თვალ ყურის დევნის მეოხებით, ზემო სართულში დედა ფუტკარი კვერცხის სადებათ იშვიათად აიპარება, რის წყალობითაც იქ მუდამ მარტო წმინდა თაფლის საუნჯეა. ამ რიგათ თუ გავსინჯავთ, მეორე სართულში ფუტკრები ინახვენ ზედ მეტ თაფლს, ასე ვთქვათ ეს მათი **საკუჭნაოა**, ამისათვისაც ამიერიდან ჩვენც **საკუჭნაოს** ვუწოდებთ.

საკუჭნაო და მთავარი სკის სახურავი ერთია. როგორც აწერილობიდან მიხვდებოდით საკუჭნაო სკას ყოველთვის არ აქვს გადადგმული, იმას გადაადგმენ მხოლოდ თაფლის „რთვლის“ დროს, უხვ დალიანობაზე, სხვა დროს ის ზედმეტია. დალისა და ფუტკრების სიძლიერის მიხედვით საკუჭნაო შეიძლება ერთზე მეტიც გადაიდგას.

დადან ბლავის სკის გაკეთება.

მასალა. სკის მასალათ აუცილებლათ საქირთა მწიფე, ხმელი, რბილი ხის მასალა. მწიფე, რბილი ხე წესიერად დაი-

ცავს სითბოს და ჰაერის გამტარებელიც უკეთესია, ვიდრე მაგარი. ხიწვიან ხის მასალებში არ ვარგა ფიქვი, რადგან ფუტკრებისათვის უსიამოვნო სუნია აქვს. ნაძვი და სოჭი კარგია.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, ვითომც სკას რაც სქელი ფიცრი-საგან გააკეთებს უკეთესია—ეგ შემცდარი აზრია, როგორც მეტის მეტი თხელი არ ვარგა, ისე არც ზედმეტი სისქეა საჭირო—პირიქით, საზარალოც კია და აი რათ: სქელ ფიცარში მზის სი-ცხოველე და ჰაერი ვერ ატანს, მაშასადამე, ადრე გაზაფხულზე, როცა ბარტყებისათვის სითბო აუცილებელია, სქელი ფიც-რიდან გაკეთებული იქნება ცივი, ნოტიო. გარდა ამ თვალსაჩინო ნაკლისა, სკა იქნება ძნელათ მოსახმარი, გადასატან-გადმო-სატანათ მძიმე—დაიმტვრევა. მის გაკეთებაზე წავა ზედმეტი მასალა, დაჯდება ძვირათ და ადრე დაღვება.

სკის გასაკეთებელ ფიცრის სისქეთ სრული საკმარისია ვერშოკის სამი ჩარეკი რვა ვერშოკიანი სიფართის. ხსენებული სისქე სიცივე—სიცხისაგან საკმაოთ დაიფარავს.

ამ სისქის ფიცარი გამოდგება სკის ყუთის, ფსკერის და საკუქნაოს გასაკეთებლათ. სახურავის სისქეთ სასურველია ნახევარ ვერშოკიანი, არც უთხესი ვარგა და არც უსქესი. სქელი მძიმე იქნება. ჩარჩოებისთვის საჭიროა უფრო წმინდა მასალა, ნახევარ ვერშოკიანი.

გაკეთება. ერთი ყუთის შესაკრავათ საჭიროა ოთხი 8 ვერშ. ფიცარი, ვინც ერთიანს ვერ იშოვნის შეეკრვაც შეუძ-ლია ნარიმანდით. ორი იმათგანი ერთი ერთმანეთის სწორი გვერდებისათვის. ორიც სიგრძით ერთმანეთის სწორი წინა და უკანა კედლისათვის.

გვერდების ფიცარი გონიოში გამოყვანილი უნდა დარჩეს, სიგრძით თერთმეტი ვერ. წინა და უკანა კედლების ფიცრის სიგრძე, ისიც გონიოში თავ მოხერხილი, უნდა დარჩეს წმინდა 11 ვერშოკ ნახევარი.

გვერდების და უკანა კედლის ფიცრებს შ-გნითამხრიდან

ში ძლიერ სწორათ უნდა ჩაჯდეს. ერთი ერთმანეთში ჩამჯდარ მიწყობილ თავებს დაამაგრებთ ლურსმით ისე, როგორც არის ნაჩვენები (სურ. 31 პ, პ. და არა ნ. ნ., დააკვირდით ლურსმნებს!!)

ამ რიგათ შეკრული ყულის პირები გარდა წინა კედლის ქვედა ნაწილისა, ერთი ერთმანეთის უმეტე ნაკლებოთ სწორი უნდა დარჩეს.

ფსკერი. ფსკერის შესაკრავათ საჭიროა განით იმავე ზომის ორი ფიცარი, სიგრძით წმინდა $10\frac{1}{2}$ ვერ. ეს ფიცრები უნდა შეიკეროს, ერთმანეთზე გადადებული, ან დედალ მამალი ნარიმანდით. შეკერის შემდეგ ფიცრები დააქედეთ ლარტყახე — რომლის სიგრძეთ საჭიროა 15 ვერ. სიმაღლით კი ეყოფა $1\frac{1}{2}$ ვერ. (იხ. 37—ბ) (იმავე სამხარეჟიან ფიცარს ჩამოახერხთ).


ასეთ შეკრულ ფსკერს სკის ყუთი თავის ნარიმანდებით თავისუფლად ჩამოეცმება. ყუთს გადაარჩება ფსკერის ნაწილი სიგრძით ოთხ-ვერშოკამდე. გადარჩენილ ნაწილს უნდა დაჰკრათ ფახი. როგორც იცით ეს, გადარჩენილი ფსკერის ნაწილი არის სკის სასვენი, ფახი იმიტომ სჭირია, რომ ზედ წყალი არ გაჩერდეს.

საფრენი. როგორც ხედავთ, როცა ყუთი ფსკერს გადავადგით, ფუტკარს არსად შესავალი კარი ანუ საფრენი არ დაურჩა. საფრენი უნდა გამოვქრათ სკის წინა კედლის ქვედა პირზე სასვენთან. საფრენი ამოქერით შუა ადგილას ისე, რომ სიგრძით დარჩეს 8—9 ვერ. სიმაღლით საფრენი საჭიროა იმდენი, რომ ფუტკარის უმაღლესს შიგ შეხვლა არ შეეძლოს. ამისთვის სრული საკმარისია $\frac{3}{16}$ ვერ. არც მეტი არც ნაკლები: მეტიანში მტერი შეეპარება, ნაკლებში ფუტკარი ვერ შეძვრება.

სახურავი. სახურავი უნდა იყოს ორ კალთიანი. პირველათ უნდა შეკეროთ იმ ზომის ჩარჩო, რომელიც ყუთის კედლებს სისწორით ედგმებოდეს. ჩარჩოს შემოაყოლებთ თხელ არშიას სიფართით $\frac{3}{4}$ ვერ., რომლითაც უის ყუთს ჩამოეცმება.

წინა და უკანა მხრით სახურავის შუბლს $\frac{3}{4}$ ვერ. ბურლით გამობურღავთ და შიგნიდან მიაკრავთ მავთულის წმინდა ბადეს — ეგ იქნება სკის საპაერე. ამის შემდეგ სახურავის ჩარჩოზე გადააკარით სახურავი ფიცარი, ისეთი რომ $\frac{1}{4}$ ვერშოკი აქეთ იქით გადარჩეს (იხ. სურ. 30). სახურავი კედლებს სწორათ უნდა ედგმებოდეს, არ ტოკავდეს, ფუტკარს არსად შეეძლოს გამოძრომა. ცხადია წვიმას არსად შეეძლოს ჩაპარვა და ქარს გადაგდება. ყოველივე ამასთან ის მაინც იმდენზე თავისუფლად უნდა ედგმებოდეს სკას (თუ გინდ ნოტიომაც გაბეროს), რომ შეგვეძლოს ისე ავხადოთ, სკა არ გავანძრიოთ.

სახურავის გაკეთება შეიძლება უფრო უბრალოდაც: სახურავის შუბლად გამოკერით ორი სამკუთხიანი ფიცარი, სიგრძით $11 \frac{1}{2}$ ვერ. სიმაღლე $2 \frac{1}{2}$ ვერ. თითოეულს შიგნით სიგრძეზე ამოართვი ნარიმანდი სიფართით $\frac{3}{4}$ ვერ. სიღრმით $\frac{3}{16}$ ვერ. (ეს ნარიმანდი იქნება წინა და უკანა კედელზე ჩამოსადები.) შუბლებში საპაერე ისეთივე გაუკეთე, როგორც პირველათ ავწერეთ. ზევიდან დააქედეთ სახურავი ფიცარი. მხოლოდ დაიცავით ისეთი ზომა, რომ, სახურავის დაქედის შემდეგ, შუბლები კედელს სწორად ჩამოეცვას ნარიმანდით. როგორც ხედავთ. ასეთი სახურავი ადვილი გასაკეთებელია; ცალკე ჩარჩოს შეკვრას არ საჭიროებს, მასალა ნაკლები იხარჯება, სუბუქია, თავის დანიშნულებას კი მშვენიერად ასრულებს; როგორც შუბლი ნარიმანდით, ისე სახურავის ფიცარიც, სკის ზევითა პირს ისე მჭიდროთ ეხურება რომ შეძრომა არაფერს შეუძლია. (იხილეთ სურათი—32)




სურ. 32.

უბრალოთ შეკრული სახურავი.

ჩარჩო. ჩარჩოსთვის საჭიროა ძლიერ სუფთა და ხმელი ფიცარი იმ სისქე, რომ გარანდვის შემდეგ დაგირჩეს სწორეთ $7/16$ ვერ. რანდით გასწორებული ფიცარი გონიოში უნდა მოვებრხოთ ისე, რომ სიგრძე დარჩეს ნამდვილ $10^{10}/16$ ვერ. ასეთ ნაჭრებს ორივე თავებში უნდა ამოვართვათ ნარიმანდი სიფართით $5/16$ ვერ. სიღრმით კი $4/16$ ვერ. შემდეგ უნდა დახებრხოთ წმინდა ხერხით იმ ზომაზე, რომ თითოეული ნაწილი გაწმენდილი დაგვრჩეს $9/16$ ვერ. (თუ ძლიერ წმინდა ხერხით ჩამოხებრხოთ გვერდებს, გარანდვა აღარ ექვივრება). ეს იქნება ჩარჩოს ზედა პირი.

გვერდებისათვის გვეკირია უფრო თხელი თამასა, სისქით გაწმენდილი $3/16$ ვერ. სიგრძე ჰქონდეს $6^{12}/16$ ვერ. სიბრტყე კი რაც ზედა პირს (ესე იგი $9/16$ ვერ.) ჩარჩოს ძირისთვის უმჯობესია სწორ ოთხ კუთხიანი თამასა $5/16 \times 5/16$ ვერ. სიგრძით $9 \frac{1}{2}$ ვერ.




სურ. 33.

შეკრული ჩარჩოს ერთი გვერდი. ა—ზედა პირი—ბ—გვერდის თამასა.

ჩარჩოს შეკვრა. გვერდების თხელი თამასები ნარიმანდში უნდა ჩაეჭედოს ორ-ორი, წვრილი, 18 ნომრისანი ლურსმნით ერთიკ ზევიდან. ისე როგორც ხედავთ სურ. 33. ქვედა ოთხკუთხიკ ორ ორი ლურსმნით უნდა მიეჭედოს. (სურ. 34) ამ რიგათ მივიღებთ დადან—ბლატის სკის ბუდის ჩარჩოს, ისეთს, როგორიკ არის სურათზე 35 რომლის შიგნითა ზომა აუცილებლათ

უნდა იყოს: სიმაღლე $5^{13}/16$ სიგრძე $9^{1}/2$ ვერ. (სურ. 35) ასეთი ჩარჩო ბუდეში ჩაიდგმის საჭიროების დროს სწორეთ 12, მაგრამ როცა ოჯახი სრულიად არ არის მოძღვრებული და მხოლოდ რამოდენიმე ჩარჩო ყოფნის, მაშინ ერთი ჩარჩოს ადგილს იკერს ჩარჩოს მსგავსი


გადასამკედლავი მოძრავი ფიცარი, რომელიც კედელს ორივე მხრით მკიდროთ ედგმის, ჩარჩოებზე მალაით არის, კედლის ზედა პირს ეთანაბრება; ძირი კი იმდენათ დაშორებულია ფსკერზე, როგორც ჩარჩო— $3/16$ ვერ.



სურ. 34.

ა—გვერდის თამასას გარეთა პირი. ბ—ქვედა ოთხ-კუთხი თამასას თავი, რომელზედაც ატყვია ლურსმის თავები.

გ—იგივე ჩარჩოს ქვედა მხარე შეკრული.



სურ. 35.

ღდან-ბლატის სკის ბუდის ჩარჩო.

სურ. 36.

საკუქნაოს ჩარჩო.

ჩარჩოს და კედელ შუა აუცილებელათ უნდა დარჩეს ფუტკრ ს თავისუფალი გზა—საკმარისია $\frac{3}{16}$ ვერ. ერთი ჩარჩოც მეორეზე არის დაშორებული $\frac{1}{4}$ ვერმ.

რაც ზემოთ ავწერეთ ეს არის მთავარი სკა, ანუ ბუდე—როცა ეს გაივსება როგორც ფუტკრით, ისე ბარაქით, მაშინ აღდამენ საკუქნაოს.

საკუქნაოს კედლებიც ისევე კეთდება, როგორც სკის მთავარი ყუთიც, გარდა სიმაღლისა, სწორეთ იმავე ზომის არის, სიმაღლე საკირო არის $3 \frac{13}{16}$ ვერ. ჩარჩოს ჩამოსადები ნარიმანდი ამასაც სჭირია იმავე ზომის, როგორც ბუდეს. ქვევით კი არაფერი უნდა, რადგან ამას ფსკერი არ აქვს—ფსკერის მაგიერ მოდის ბუდის ჩარჩოების ზემო პირი, რომელიც დაშორებული იქნება საკუქნაოს ჩარჩოს ქვეშა პირზე $\frac{3}{16}$ ვერ. ამ რიგათ, საკუქნაო ისე ახლოს არის ბუდესზე, რომ მის გაგრძელებას წარმოადგენს.

საკუქნაოს ჩარჩოც სწორეთ იმ გვარივე ზომის მასალისაგან კეთდება, როგორც ბუდის. მხოლოდ განსხვავება სიმაღლეშია.

გვერდის თამასების სიმაღლე იქნება $3 \frac{7}{16}$ ვერ. ქვედა თამასა ოთხ-კუხი არ უნდა, არამედ ისეთივე როგორც გვერდების და სიგრძით $9 \frac{1}{2}$ ვერ.

საკუქნაოს ჩარჩოს შიგნითა ზომა:

სიმაღლე 3 ვერ. და განი $9 \frac{1}{2}$ ვერ. (იხ. სურ. 36)

როგორც ხედავთ, სკა და მისი ნაწილები უნდა გაკეთდეს ერთი ერთმანეთის უმეტ—ნაკლებლო. წესიერად გაწყობილ სამრეწველო საფუტკრეში ყველა სკა და მისი ნაწილები ისე არის ერთი ერთმანეთის ოდენა, რომ გეგონება ყველა ერთ კალაპოტში ამოუსხამთო. ამას წესიერი მეფუტკრეობისთვის, როგორც ფუტკრების მოვლის დროს გავიგებთ, დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორ გავაკეთოთ ერთნაირი ზომის. ყველა ჩარჩო რომ ერთი ზომის დარჩეს, აი როგორ უნდა მოიქცეთ: მაგალითად, ჩვენ გვინდა გავამზადოთ 30 სკის ჩარჩო.

30 სკას სქირია ბუდისთვის $30 \times 12 = 360$ ჩარჩო ამდენივე უნდა საკუქნაოსაც. ამ ორ-გვარ ჩარჩოს ერთი ზომის აქვთ ზედა პირი. მაშასადამე 30 სკის ჩარჩოების ზედა პირად დაგვირდებათ 720 თამასა. აიღებთ ფიცარს გარანდავთ და გამოიყვანთ სისქით სწორეთ $7/16$ ვერ. შემდეგ გონიოში ორივე თავებს იმ ზომაზე გადახერხთ, რომ დაგრჩეთ ოთხკუთხიანი ფიცარი: სიგრძით $10 \frac{10}{16}$ ვერ. ამ ფიცრის თავებს, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, ამოართმევთ ნარიმანდს სიფართეზე $9/16$, სიღრმეზე კი $4/16$ ვერ. ასეთ ნარიმანდ ამოართმეულ ფიცრებს ვარაუდით იმდენს გაიმზადებთ, რომ გეყოთ 720 ჩარჩოს ზედა პირათ.

შემდეგ გაიმზადებთ ბუდის ჩარჩოსთვის გვერდის თამასებს, თითოეულ ჩარჩოს სქირია ორ ორი, ამ ანგარიშით ეგეც 720 უნდა დაიმზადოთ. შემდეგ მოიმზადებთ, ჩარჩოს ძირის ოთხკუთხიან თამასებს; თითო ჩარჩოზე. თითო, მოგინდებათ სრულად 360.

ყველა ამას, გამზადების შემდეგ, ერთად შეკრავ. ამგვარადვე გაიმზადებ და შეკრავ საკუქნაოს ჩარჩოებს. ეს მუშაობასაც გადადილებს და თან ყველა ერთი ზომის გამოვა. გახსოვდეთ, აქედან რომ ამერიკაში დადან-ბლატის ჩარჩო გავაგზავნოთ, იქაურ სკას ისე უნდა მოადგეს, როგორც აქ. ერთი ზომის დაცვაა საჭირო სრულის სისწორით. ასე ვიქცევით სკებს-გაკეთების დროსაც; რამდენი სკაც გვინდა, იმის ანგარიშით მის ყველა ნაწილებს ერთნაირი სისწორით მოვამზადებთ და მერმე კი ერთი მეორეს შევეურთებთ—შევეკრავთ. ასეთი მოქცევა შრომასაც გადადილებს და აუცილებელი სისწორეც დაცული იქნება.

დადან-ბლატის ჩარჩოს უპირატესობა.

სკის გაკეთების დროს ქვაკუთხედი ჩარჩოს ზომაა. ჩარჩოს ზომის მიხედვით უნდა აშენდეს თვით სკაც. როგორც

წინადაც აღენიშნე, მეფუტკრობაში შესაძლებელია სხვა და სხვა ზომის ჩარჩო, მაგრამ თვით საქმისათვის ცხადია ის აჯობებს, რამდენადაც ჩარჩოს ზომა ფუტკრის ცხოვრებაზე იქნება დაპირდაპირებული. მეფუტკრეს მხოლოდ ის ჩარჩო უნდა მიაჩნდეს საუკეთესოდ, რომელიც ფუტკრებს და მეფუტკრეებს ნაკლებ დროს და ხარჯს დაუკარგავს და მეტ ნაყოფს მისცემს.

ჩვენ ვიცით, რომ ჩარჩოში ფუტკრები აშენებენ ფიქას, ფიქაში კი მათ აქვთ უჯრები, რომელსაც ხმარობენ შთაჰმავლობის აღსაზრდელად და თავიანთ საზრდოს ჭურჭელად. ჩარჩოც სწორეთ ამის მიხედვით იმ ზომის უნდა გაკეთდეს, რომ ორივე დანიშნულებისათვის საკმაო იყოს.

საუკეთესო დედა, თუ სკის კეთილდღეობა ხელს უწყობს, დღე და ღამეში სდებს სამი ათასამდე კვერცხს. მეფუტკრის ვალია ჩარჩოს მეოხებით დედას კვერცხს დასადები უჯრები ისე ჰქონდეს, რომ როცა ის ჩვეულებრივი ბეჯითობით კვერცხების ერთი ერთმანეთზე მიყოლებით დებას იწყებს, ადგილის ძებნაში არ მოცდეს, სხვა ფიქაზე გადასვლა არ ეჭივრებოდეს. ამის გათვალისწინებით საჭირო ყოფილა დედა ფუტკარს კვერცხის დების დროს ისეთი ჩარჩო მიეცეთ, რომ კვერცხის სადებათ ეყოს ორი დღე და ღამეს. (იხ. გვ. 42).

ერთ ოთხ-კუთხ ვერშოკზე ეტევა სამოცდა ოთხი სამუშე ფუტკრის უჯრა; ამ ანგარიშით სამიათას უჯრას მოუნდება ორმოცდა ექვსი ოთხ-კუთხი ვერშოკი; მაშასადამე, სამი ათასი კვერცხის ადგილი რომ დაურჩეს დედას და მუშა ფუტკრებს იქავე დაურჩეს ბარტყის საკვების შესანახი უჯრები მაშინ ჩარჩოს შიგნით პირი უნდა იყოს $9\frac{1}{2} \times 5\frac{3}{4}$ ვერშოკი. ესე იგი, ჩარჩოს შიგნით პირის განი უნდა იყოს $9\frac{1}{2}$ ვერშ., ხოლო სიმაღლე $5\frac{3}{4}$ ვერშ.

კეთილი და პატიოსანი. ჩარჩოს შიგნითა სივრცის ზომა ვიცით, მაგრამ ხომ შეიძლება ეს ჩარჩო შევაბრუნოთ, სიმაღლე განათ ვუყოთ, განი სიმაღლეთ და სკაში ისე ჩავ-

დგათ; რასაკვირველია, რომ შეიძლება, მაგრამ არ ივარგებს და აი რისთვის:

ა) მაღალი ჩარჩო საჭიროებს მაღალ სკას. მაღალი სკაკი დაბალთან შედარებით ცივია. გაზაფხულის ბარტყობის დროს, როცა ფუტკრებისთვის სითბო მეტი საჭიროა, მაღალი სკა ძნელი გასათბობი იქნება: დაგვიანდება ბარტყების აღზრდა მით უმეტეს, თუ უეცარმა სიცივემ მოუსწრო—მუშა ფუტკრები მეტ სითბოს ეძებენ—იგუნდებიან ჩარჩოს ზემო ნაწილში, ჭვემით ბარტყი რჩება უკრუხოთ—სითბოს მოკლებული ცივდება, კვდება, ამოსაყრელი რჩება, ამაგი იკარგება და თავის დროზე ოჯახი ძლიერი აღარ იქნება, ყველაფერი ეს ამცირებს თაფლის შემოსავალს.

ბ) მაღალ სკას ეჭივრება დიდის სისწორით თარაზოში დადგმა; თუ ერთი ბეწო გადაზნექილი დარჩა, ფუტკრები რომ შევეულივით ფიქას ჩამოუშვებენ, ფიქა ჩარჩოს მოცილდება, ერთმანეთში გადაბმული დარჩება და ამოდება გაძნელებდა.

გ) მაღალი ჩარჩო ძნელი მოსახმარია: ფიქა შიგ ადვილათ გამრუდდება, ამოდების დროს მოსალოდნელია კიდევ ჩამოვარდეს და გადასატან-გადმოსატანათ ხომ მოუხერხებელია.

დ) როცა ჩარჩო მაღალია, უხვ ლალიანობის დროს ფუტკრები თაფლს იუნჯებენ ფიქის თავში, ბარტყები რჩება დაბლა, თაფლზე მოშორებით. ამის მიზეზით ფუტკრების საკუქნაოში ატყოვა გაძნელებდა, რადგან ფუტკრებს არ უყვართ ბარტყებზე ნამეტარი მოშორებით თაფლის შენახვა.

სიგრძე ჩარჩოს სიმაღლეზე მეტი იმიტომ სჭირია, რომ ფუტკრებს სიგრძეზე მეტი სივრცე ეჭივრება, ვიდრე სიმაღლეზე. ზამთრის განსვენების დროს ფუტკრები ერთად იგუნდებიან საფრენის ახლო და გუნდათ მიყვებიან სარჩოს სიგრძეზე. ამის გათვალისწინებით ცხადია, ჩარჩოს სიგრძე იმდენი უნდა, რომ საკვების ერთ წყება ზამთრის გასვლამდე ეყოს; თუ არ ეყო, მერე კი სიცივის მიზეზით, თუ გინდ

სკაში თაფლიც ჰქონდეთ, მეორე წყებაზე ვერ გადავ-
ლენ და მოსალოდნელია შიმშილით ამოწყვეტა იმ დროს,
როცა სარჩო აქვთ, მაგრამ მათ მოსახმარ ადგილას არ არის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნაკლის მიზეზით გამოცდი-
ლებამ დაამტკიცა, რომ სჯობია დაბალი და განიერი ჩარჩო,
ვიდრე მაღალი და ვიწრო.

ასეთი ჩარჩო, ვარდა იმისა, რომ ფუტკრებისათვის შესა-
ფერია მეფუტკრისათვისაც ადვილი მოსახმარია, რადგან შე-
დარებით მსუბუქია და შიგ ფიქაც მაგრათ არის ჩაშენებული.

ებლა დარჩა გამოსაკვლევი, თუ რამდენი ასეთი ჩარჩო
ეყოფა, სამრავლად და ზამთრის საზრდოს შესანახათ.


გონიერ, მრეწველ მეფუტკრეს სახეში ყოველთვის უნდა
ყავდეს მიღებული საუკეთესო დედა ფუტკარი და წესიერი
მოვლა.

საუკეთესო დედა ფუტკარი დღეში შესძლებს სამი ათა-
სამდე კვერცხის დადებას. სამუშე კვერცხი რომ მუშა ფუტ-
კრათ იქცეს, 21 დღეა საჭირო. 21 დღის შემდეგ კი უჯრა
თავისუფლდება და მასასადამე დედას ცარიელი უჯრები რჩე-
ბა კვერცხის ჩასადებათ. ამ სახით 21 დღის განმავლობაში,
სანამ პირველი წყება გამოიჩეკებოდეს, საშვალო რიცხვით დედა
დასდებს 60000-მდე კვერცხს. ჩარჩოს ორივე მხრით დაეტევა 6000
ათასამდე. მასასადამე, 60 ათას დასჭირდება სრულად ათი ჩა-
რჩო, ორი ჩარჩოც საჭიროა საზრდოს ქურქლათ. ამ რიგათ
დედას „სადიასახლისოთ“ ეყოფა 11—12 ჩარჩო. ამ სივრცე-
ზე მეტს იგი კვერცხის სადებათ ვერ აუვა და ზედმეტი ჩარჩო
მეტ ალაგს დაიჭერს. ნაკლები რომ დაუზრჩეს, არ ეყოფა,
ნაკლებ კვერცხს დასდებს, ბევრს ტყულა დაკარგავს და მუშა
ძალაც ნაკლები იქნება.

ყოველივე ეს გამოიწველილეს, კარგათ იანგარიშეს და
სცადეს **დადანმა და ბლატმა**. მათი დასკვნა ასეთია: სკას ბუ-
დეში ეყოფა 12 ზემოთ მოყვანილი ზომის დაბალი და გრძელი
ჩარჩო, სკის ზომაც ამის შესადარი უნდა ვაკეთდეს.

მეფუტკრეების დიდმა უმეტესობამაც საერთოდ, როგორც ს უკეთესო, მიიღეს დადან-ბლატის ჩარჩო, მაგრამ დიდი კამათი აქვთ ბუდის სიდიდის შესახებ. ზოგი მეფუტკრე ფიქრობს: 12 ჩარჩოიანი სკა ძლიერ დიდია, მეტადრე იმ ადგილას, სადაც ლალიანობა ხანგრძლივი და უხვი არ იცის. ამ აზრს თავ-გამოდებით იცავენ ის მეფუტკრეები, რომლებიც სარაქით მეურნეობას მისდევენ. მათი აზრით, 12 ჩარჩოიან სკაში ფუტკარი ვერ ასწრებს გაძლიერებას და საკუქნაოში ასვლას, ამისთვის ამჯობინებენ პატარა, რვა ჩარჩოიან სკას, ფიქრობენ პატარა სჯობს იმით, რომ ფუტკარი უფრო თფილად იქნება, ადრე გაძლიერდება, ბუდეს ადრე გაავსებს და მაშასადამე, საკუქნაოშიც ადრე ავლენ. ნახევარი საუკუნის დაკვირვებამ და უტყუარმა ანგარიშიანმა ცდამ ამ აზრის უნიადაგობა დაამტკიცა და 8 ჩარჩოიან სკის მომხრეთა რიცხვი ძლიერ შეამცირა. მთელი ამერიკის მრეწველი მეფუტკრეები — ის მეფუტკრეები, რომლებიც პირველი მომხრე იყვნენ 8 ჩარჩოიანი სკის, ისევ მიუბრუნდნენ 12 ჩარჩოიან სკას, უარყვეს სარაქით მრეწველობა და ისევ დაიწყეს თაფლის ციბრუტაზე დაცლა, რადგან ისინი ამაში მეტ მოგებას ხედავენ. ამ ნახევარი საუკუნის მეცნიერულ-ვაქრულმა ცდამ და მისმა შედეგმა ჩვენც უნდა დავგარწუნოს, რომ ჯერჯერობით დადან-ბლატის სკას, თავისი ანგარიშიანი ზომით, შემცილვ — ბადალი არ მოეპოება. ჩვენც უნდა ვისარგებლოთ სხვისი გამოცდილებით და ჩვენი სამშობლოს მეფუტკრეობა ამ სკაზე დავაფუძნოთ — გავიჩინოთ მხოლოდ დადან-ბლატის სკა თავისი 12 ჩარჩოთი. ამავე დროს ხაზგასმით ვიმეორებ, რომ ჩარჩოს ზომის დაცვა პრაქტიკული მოსაზრებითაც აუცილებელია: მთელ დედამიწის ზურგზე მეფუტკრეობაში სახმარი იარაღ-მანქანები ამ ჩარჩოს ზომასეა ნაანგარიშევი და შედარებული, ყიდვა-გაყიდვაც სარგებლიანი და ადვილია — საერთოდ მიღებულს მუდამ მეტი მუშტარი ყავს.

გამკეთებლის საყურადღებოთ.



სურ. 37.

ეს სურათი წარმოადგენს დადან-ბლატის სკას შვა სიღრმეზე გაჭრილს. ა—ლარტყა, რომელზედაც არის მიჭედელი ფსკერი—ბ.—ლ—ფსკერზე ფახ-დაკრული სასვენნი. გ—წინა კედელი, ვ—უკანა კედელი ლ—ლ—საკუჭნაოს წინა და უკანა კედელი. ე—ზ—თ—უბრალო სახურავი (იხ. სურ 32.) ე—შუბლის ფიცარი, ზ.ზ—საპაერე, თ—სახურავის ფიცარი. ჩ,მ—ბუღდის ჩარჩო, ნ—ვ—საკუჭნაოს ჩარჩო. ყველა ნაწილებს თავ-თავისი ნამდვილი ზომა აწერია, რომლითაც გამკეთებელს შეუძლია ისარგებლოს.

*
* *

ზედ მეტი არ იქნება, მოკლეთ გავითვალისწინოთ, თუ მეფუტკრეობას და მის მიმდევარს რა სარგებლობა მოუტანა ჩარჩოიანი სკის გამოგონებამ.

ჩარჩოიანი სკის მოგონებამდე ფუტკარი თავის ნებაზე იყო მიშვებული, რაც ესურვებოდა იმას აკეთებდა, როგორც ენებებოდა ისე გარჯილობდა. ასე ვთქვათ, ის იყო ბატონი მანამდე, სანამ თაფლის გულისთვის უმოწყალო ადამიანი ცეცხლს ან წყალს არ მისცემდა, ან და ფუტკრის მთლათ გაუნადგურებლათ მისი ნაშრომით ტლანქათ არ ისარგებლებდა.

დასაშლელი ჩარჩოიანი სკის მოგონების შემდეგ ადამიანი ფუტკარს დაუმეგობრდა, ფუტკარი თავის ერთგულ მეგობრათ გაიხადა; ეხლა ადამიანი მბრძანებელია, ფუტკარი აღმასრულებელი. ადამიანმა ფუტკრის სარგებლობა შეიგნო, ამისათვის ფუტკარსაც უვლის და არც თავისთავს ივიწყებს. ზედ მეტ ნაშრომს ართმევს, ხოლო იმდენს უტოვებს, რომ მათაც სიცოცხლე საღათ შეიბრუნონ და მომავალში კიდევ მხნეთ შეიძლონ ბუნების ყვავილებისაგან ხარკის მიღება.

ამას გარდა ფუტკრის მოვლა იმდენზე ვაადვილდა, რომ ერთი მეფუტკრე თავის დამხმარე ხელ ქვეითებით რამოდენიმე ასს და ხშირად ათასს ძირსაც უვლის. ამერიკაში არის ერთი მსხვილი მრეწველი მეფუტკრე, **ალექსანდერი**, რომელსაც შვიდი ათასამდე ძირი სკა ყავს და 80 ათას მანეთამდე შემოსავალი აქვს. აი რა საგრძნობელი სარგებლობა მოყვა ჩარჩოიანი სკის მოგონებას.

მაგრამ ერთი რამ, ლანგსტროტის თქმისა არ იყოს, ყოველთვის უნდა გახსოვდეთ: „თილისმური ჯადოქრობა არც ერთ სკას არ შეუძლია, თუ გინდ ის ყოვლად უნაკლულო იყოს, სკას არ შეუძლია მინდორში ღალა გააჩინოს, ან მწირე ღალიანობა გააუხვოს, მას არ შეუძლია ერთ და იმავე

დროს ნაყარიც მოგცეს და ბლომათ თაფლიც. ეს იჩის მსგავსი იქნებოდა, ქათმისთვის მოგვთხოვა ერთ და იმავე დროს სატაბაქე წიწილებიც და თოხლო კვერცხებიც“. სკას არ შეუძლია თავისით სასწაული ჩაიდინოს; კარგი სკა კარგი იარაღია, კარგ იარაღს ხელოვანი მხმარებელი სჭირია. მეფუტკრეობის წარმატებისათვის ყველა მეფუტკრეს ღრმათ უნდა ახსოვდეს ვაგნერის სიტყვები:

„საჭიროა ვიცოდეთ, როდის, როგორ და რა გავაკეთოთ“.

ს კ ი ს შ ე ლ ე ბ ე ა .

მეფუტკრეობაში სკას დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი პირველი შეძენა მთელი საფუტკრის მოწყობის ნახევარზე მეტი ჯდება. ამისათვის ყველა ანგარიშიანი, წინ დახეილული მეფუტკრე ყოველთვის ცდილობს სკას მეტი გააძლებინოს. სკას გარდამიდან აძლებინებს შეღებვა—შიგნიდან თვით ფუტკრები. მაშასადამე ვინც სკას თავ-თავის დროზე ღებავს, მოგებულობა; შეუღებავი სკა თუ შეუკეთებლად 5—6 წლის მეტს არ სძლებს, შეღებული 30 წელიწადზე მეტსაც გაძლებს. ამისათვის ყველას ურჩევთ სკა აუცილებლად შეღებოს. სკის საღებავი წამლის შემზადება და მისი წასობა ყველას თავის ხელით შეუძლია და არც ძვირი ჯდება.

სანამ სკის კედლების ნარიჰანდებს ერთმანეთს მივაკედდეთ, ნარიჰანდებს უნდა წაუსვათ მოხარშული (ხელი ზეთი და, როცა ზეთი შეაშრება, მერე უნდა შეკრათ. შეკვრის შემდეგ ზეთი უნდა წაუსვათ აგრეთვე ყველა შესაღებავ სკის ნაწილებს: ესე იგი სკის ყველა გარეთა ნაწილებს და ფსკერს კი ორივე პირი. (შიგნით შეღებვა ფსკერს გარდა არაფერს უნდა, რადგან ჰაერს შეუღებავი უკეთესად გაატარებს და ნოტიოსაც ნაკლებ იშოვნის),

ზეთი როცა კარგათ გაუჯდება და შეაშრება, დაზიანებუ-

ლი ადგილები (ნანუტრალი და შენახეთქი) უნდა ამოივსოს და გასწორდეს საგოზველით. საგოზველი მზადდება ცარცის ფხვნილისაგან.

ცარცის ფხვნილი კარგათ გააშერთ ცეცხლზე, დაყარეთ სწორ გარანდულ ფიცარზე. დაასხით ზეთ ცოტ-ცოტა ზეთი და ძლიერ მაგრათ ზილეთ იმდენ ხანს, სანამ არ მიიღებთ ცომის მაგვარ ნივთიერებას. შემდეგ ცომი უნდა შეახვიო ტილოში და მაგრათ დაბეგვო... ხმარების წინ შეათხელებთ ზეთით და საცა საჭიროა, წაუსვამთ. როცა საგოზველი გახმება, გასწმინდეთ საფხეკელით. (შუშის ფხვნილი წებოში არეული, ქაღალდზე ან ტილოზე) შეუსწორეთ ზეთ წასობილ ადგილებს. შემდეგ შეგიძლიათ წაუსვათ საღებავის პირველი პირი. აიღეთ თეთრი საღებავი და ოხრა, გახსენით მოხარშულ ზეთში და თხლათ და მაგრათ წაუსვით. როცა პირველი პირი გაშრეს, მეორე პირიც წაუსვით. ოხრა იმდენი უყავით, რომ შეღებულის შემოსული პურის მოყვითანო ფერი დაუჩრჩეს. წასობა უნდა თხლათ და მაგრათ. სქლად წასობა ზედმეტი ხარჯია. ახლად შეღებილი სჯობია ჩრდილში გაშრეს. შეღებვა საჭიროა ხმარების რამოდენიმე დღის წინ, ისე რომ სკამ მოასწოროს გაშრობა და წამლის სუნის დაკარგვა.

ზოგიერთი სკას სხვა და სხვა ფერის საღებავით ღებავს, მაგრამ ეგ შესაწყნარებელი არ არის. ყველა სკის ერთ ნაირი ფერი და მსგავსება, როგორც შემდეგში გავიგებთ, ფუტკრის მოვლას აადვილებს.

თეთრი საღებავის შექმნა ყოველთვის სჯობია კარგის, უკვე შემზადლის, 5 გირ. თანაქის ქურქლებში—სამღებრო სავაქროში იყიდება გირვანქა 25 კაპეკათ ოხრა ღირს 5—8 კაპ. კარგ საუკეთესო **მოხარშულ** ზეთში გირვანქაში აბაზამდეც მიიციემა.

ამ რამდენიმე წლის წინათ სკების შეღებვა სცადეს ერთ-ნაირი წამლით „**კარბოლინეუმით**“, ფიქრობენ ვითომც ამ წამალს შეეძლოს სკას გააძლებინოს სხვა საღებავზე მეტი და

მასთან იფარავდეს შიგ მავნე მწერების დაბუღებისაგან. და ჯდებოდეს უიაფესად. ცდა ჯერ საბოლოოთ გათავებული არ არის. თუ თქვენც უღით, აუცილებლათ ხნარის 15 დღის წინ მაინც უნდა წაუსვათ, რადგან წამალს უსიამოვნო სუნი აქვს და საჭიროა დაკარგოს.

სკის კედლებზე მეტი მოსავლელია სახურავი. სახურავი იფარავს ყველა დანარჩენ ნაწილებს, როგორც ადრე დაღობისაგან, ისე შიგ წვეთის ჩასვლისაგან. სახურავი იფარავს სიციხე-სიცივისაგან. რადგან სახურავს სხვაზე მეტი ჯაფა ადგია, ნაკლებსაც სძლებს. ამისათვის უნდა ეცადოთ სახურავმა რაც შეიძლება მეტიც გასძლოს და თავის დაინუნებაც გაამართლოს. ზოგიერთი სახურავს თუნუქისას უკეთებს. მაგრამ თუნუქი, როგორც სიციხის გამტარებელი, სკაში სიციხის ბულს აყენებს, ძვირიც ღირს და მძიმეცაა. სეტყვისა და მაგარი წვიმის დროსაც მაზე უჩვეულო ბრახა-ბრუხი ფუტკრებს დიდათ აწუხებს. ფიცრით გადახურვა კარგია მაგრამ ხშირათ იფრანგება და გაძლებითაც ნაკლებს სძლებს. ყოველივე ამას თუ მივიღებთ სახეში, მაშინ ყველას სჯობია თხელი ფიცრის სახურავს ზემოდან წვრილ ქუდიანი ლურსმნით გადავაკრათ „**რუბეროიდი**“. ეს სახურავი ინგლისში მოიგონეს, ის არის სხვა და სხვა წამლებისაგან შემზადილი თხელი სუბუქი ნაბადი. არ საჭიროებს შეღებვას, ვერ ატანს შიგ ვერც სიციხე და ვერც სიცივე, არ არის ძვირი და არის საუკუნო. სკის სახურავათ გამოდგება თხელი „ნახევრანი“ სისქის. მისი შექმნა თფილისშიაც შეიძლება, მაგრამ მოსკოვიდან გამოწერილი (პირსტოვის ფირმა) უიაფესი დაჯდება — თოფი (31 არშ. განი 23 ვერშ.) 11 მ-დე ჯდება, ორი არშინი ყოფნის 3 სახურავს — თოფი ეყოფა 50. ამ რიგათ თითო სახურავი დაჯდება ერთ აბაზამდე.

ეს სახურავი იმდენზე იაფი და მკვიდრი არის, რომ ცნობილია სახლების სახურავათ, როგორც საუკეთესო, საზღვარ გარეთ ძლიერ გავრცელებულიც არის.

II.

ფუტკრის ბინის გამოცემა.

ვინც ჩვენი რჩევა დაიჯერა და ფუტკრის დასაბინავებლათ დადან-ბლატის სკა შეიძინა, მისი სურვილი იქნება ფუტკარი ამ სკაში დააბინავოს. ვიდრე საქმეს შევუდგებოდეთ, მეფუტკრისთვის სხვა და სხვა კითხვაა გადასაჭრელი. ახლად დამწყები მეფუტკრე ჯერ გამოუცდელია, ფუტკარს ეშინია, ვაი თუ ფუტკრებმა ცხვიპირი დამისიონო, მართალია, არც უპისობა იქნება თუ მეფუტკრეს არ ეცოდინება, როგორ ეჭიროს თავი ფუტკართან. ამ რიგათ პირველი კითხვა იქნება,

როგორ უნდა გვეჭიროს თავი ფუტკართან. ხალხური ანდაზა ამბობს: „კატას რომ ფეხის დასველებისა არ ეშინოდეს, ყველა თევზზე მონადირე იქნებოდაო“!

ადამიანს რომ ფუტკრის კბენის არ ეშინოდეს, ფუტკარს ყველა გაიჩენდა, ფუტკარი თავისა შხამიანი ისრით მართლა რომ საშიშარია, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, ვინც არ იცის ფუტკრის ხელის შეგუება, არ ესმის და ანგარიშს არ უწევს ფუტკრის მოთხოვნილებას. იმას კი, ვინც კარგად იცის ფუტკრის ცხოვრება, კიდევ უხარია, რომ ფუტკარი შხამიანი ისრით არის შეიარაღებული. ისარი ფუტკრის და მისი დოვლათის თავ-დასაცველი იარაღია. შხამიან ისარს მოკლებუთი ფუტკარი, როგორც ვიცით, კვდება, მაგრამ წარმოვიდგინოთ არ მომკვდარიყო, აბა რა იქნებოდა მისი სიცოცხლე? უიარაღო ფუტკარს ვინ გინდა, რომ არ დაიბეზავებდა, ყველა დაარბევდა და გაძარცვავდა. შენი მტერია, ბუნებას რომ მისთვის ეს პაწია, მაგ-

რამ „ძნაღ გესლიანი“ ისარი არ მიეცა, მისი ხსენება ჩვენა-
მდე გაქრებოდა.

ამ რიგათ, როცა გავსინჯავთ მოხარული, უნდა ვიყოთ, რომ ფუტკარი შეიარაღებულია და უსამართლოდ არავის გა-
ეჭვლინება — თავის სიცოცხლესა და საზრდოს იფარავს. ჩვენც
ყოველივე ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ფუტკარმა ისა-
რი შეირჩინოს, რადგან ისრის დაკარგვა მისი სიკვდილის წი-
ნამორბედი. ამისათვის მრავლელი სულ იმის ცდაში უნდა
იყოს, რომ არ უკბინოს და მით ფუტკარმა სიცოცხლე არ
დაკარგოს და მომვლელმაც კბენის სიმწვავე არ იგრძნოს.

ბევრს გაუკვირდება, როცა საფუტკრეში ნასწავლ მე-
ფუტკრეს მუშაობაზე დაუკვირდება: ნახავს, რომ მეფუტკრე
უშიშრად ხდის თავს სკას, იღებს ჩარჩოებს, აკლის თაფლს,
ეძებს დედას, ერთი სკის სავსე ჩარჩოს მეორეს აძლევს, ფუ-
ტკრები ხელზე აზის, პირის სახეზე დასეარნობს, შიგ ყურ-
თან უბზუვის, მაგრამ მეფუტკრე არხეინად არის, ფუტკარი
არ კბენს. ცრუ-მორწმუნე — გონება-გაუხსნელი ასე იტყვის,
ალბათ, აქ რაღაც ჯადოქრობაა, მეფუტკრეს თილისმიღური
შელოცვა სკოდნია, ფუტკრები მოუნუსხავსო; მაგრამ ეგ
ტყუილია, მართალი მხოლოდ ის არის, რომ მეფუტკრემ
იკის ფუტკრის ცხოვრება, იკის როდის და როგორ რა სა-
ქმე გააკეთოს, ყოველივე თავის მოქმედებას უპირდაპირებს
ფუტკრის ცხოვრებას, მეფუტკრე ფუტკრის მეგობარია. მო-
ვისმინოთ ერთი ძველი მწერლის რჩევა:

„თუ გსურს, რომ დაიმსახურო ფუტკრების სიყვარული და
გინდა, რომ ისინი არ გკბენდნენ, მაშინ მოერიდე ყველა იმას,
რაც მათ აბრაზებს: შენ არ უნდა იყო ბინძური, რადგან ფუტკრე-
ბი ძლიერ ფაქიზი, სუფთა მწერებია; არ ითმენენ სიბინძურეს
და მწვირეს. არ უნდა მიუახლოვდე სკას, თუ გდის ნიორის,
ხახვის, ან სხვა რამ მყრალის სუნი. არ უნდა იყო ლოთი
და ღორმუცელა, არ უნდა ასუნთქებდე ფუტკრებს.

არ უნდა გაურბოდე და თავს არ იცავდე, როცა გეჩვე-

ნება, რომ ისინი გდევნიან. თუ დაგაჯდა, ნაზათ და სიყვარულით უნდა მოიშორო, ისე უნდა მოეპყრა, არა როგორც მტერს, არამედ, როგორც გულითად მეგობარს. ერთი სიტყვით, შენ უნდა იყო სუფთა, უანგარო, ნაზი, თავდაპირველი, მშვიდი, ფუტკრებიც უნდა მიაჩვიო და აგრძნობინო, რომ შენში იცნონ მათი კეთილის მყოფელი და არა მცარეცელი ჯალათი. ყოველივე ამს თუ დაიცავ, დარწმუნდი, ფუტკრებიც არ გიკბენენ“.

როცა ფუტკართან მუშაობთ, ყველა საქმე უნდა გააკეთოთ დინჯათ, დაბეჯითებით, მტკიცეთ, აუჩქარებლივ. ხმაურობა, სირბილი, ფაცი-ფუცი,—ყველა ეს საქმის შესრულებას ართულებს, ფუტკრებს აბრაზებს. ვინც ფუტკართან მუშაობს, ყველაფერი წინდაწინ უნდა გაიზადოს.

ტანისამოსი. ფუტკართან მუშაობის დროს სასურველია მეფუტკრეს ტანზე ეცვას თეთრი, სარეცხი, სუფთა ტანისამოსი, შავი, მეტადრე შალის, ფუტკრებს არ უყვარს. სამაჯე ყოველთვის გადაკრული უნდა ჰქონდეს, შარვალი წინდაში ჩაკეცილი, ერთი სიტყვით, ფუტკარს ტანისამოსში არსად შეძრომა არ უნდა შეეძლოს. ზოგი ხელზე ხელთათმანსაც იკეთებს, მაგრამ ეგ მეტის მეტი სინაზეა, ხელთათმანით მუშაობა მოუხერხებელია. ხელი ისე ნაზიც არ არის, როგორც პირის სახე—ზოგჯერ თუ ფუტკარი ხელზე უკბენს, არც დიდი საზარალოა. სხეული შხამს ეჩვევა და რამოდენიმე წლის შემდეგ სრულიადაც აღარ გასივდება და კბენასაც იმდენზე მწვავეთ ვეღარ იგრძნობთ. *) პირის სახეზე კბენას კი, ყოველთვის უნდა ერიდოთ. ამისათვის საჭიროა, ფუტკართან მუშაობის დროს პირზე ყოველთვის გქონდეს **პირ-ბადე**.

უპირბადო მუშაობას, რა გინდ ის გამოცდილი მეფუტკრე იყოს, არავის არ ურჩევდით. ფუტკართან მუშაო-

*) როგორც ექიმები ამტკიცებენ, ფუტკრის კბენა ძლიერ რგებს კრუნჩხვის ქართ სნეულებს.

ბა უნდა გულ-დადებით, როცა პირბადეს არ იკეთებთ, რა გინდ კბენის არ გეშინოდეს, ფუტკარი პირის სახეზე რომ გრკბენს, ძალაუნებურათ შეშფოთდები, ხელით მოიშორებ—თქვენი ყურადღება საქმეს აცდება. გარდა ამისა, უნდა გახსოვდეთ და აფასებდეთ ფუტკრის სიციცხლეს. ზოგს კბენაც დიდათ სწყენს, გასივებული, სახით დამახინჯებული რამოდენიმე დღეს დადის. ალბათ, ეს არის თავი მიზეზი, ქალები რომ მამაკაცებზე მეტათ ერიდებიან ფუტკარს.

პირბადე ყველას შეუძლია თვითონ გაიკეთოს— იყიდეთ ერთი არშინი შავი ლეჩაქი (ტიული, არშინი 60 კ. ლირს) შეკერეთ მუთაქის მსგავსათ, გაუყარეთ ორივე თავებში ზონარი, როგორც სურათზე ხედავთ, იმგვარათ ნიკაბთან დააყოლეთ მოხრილი მავთულა (ან თხილის ტკეჩი) წამოაცვით უბრალო, განიერ ჩალის ქუდზე, ქუდი დაიხურეთ თავზე, ზონარის შემწეობით კისერში შეიკარით, ეგ არის და ევ.




სურ. 38. — პირბადიანი მეფუტკრე.

ფუტკარმა რომ არ გვიკბინოს და მასთან მუშაობა რომ მტრის წარმატებით შევძლოთ, საჭიროა ფუტკარს შევეუკო-ლოთ. კომლი ფუტკრებს არ უყვარს, შეკომლება მათ აგრძნობინებს მტრის მოახლოვებას, მტრის დროს კი ფუტკრე-ბი იჩქარიან ჩინჩახვი თაფლით გაივსონ, გვარწმუნებენ, რომ

ჩინჩხვ სავსე ფუტკარს კბენა უძნელდება, რადგან გამძლარს სხეულის მოხრა უჭირს. გარდა ამისა, კომლი გვშველის—ფუტკარი ფიქას მოვაშოროთ—ერთი მხრიდან მეორე მხრით მივრეკოთ. ვინც ყოველივე ამ მოსაზრებით ფუტკართან მუშაობს, მას სჭირია უბრალო შედგენილობის მანქანა საკომლე.

საკომლე შესდგება თუნუქის მილისაგან და გვერდიდან მიკეთებულის საბერველისაგან. თუნუქის მილში ჩავყრით ნაკვერცხალს, ზევიდან დავაყრით ასაკომლებელ ნივთს, თავს დავხურავთ, საბერველით დავუბერავთ, შიგ ცეცხლი გაღვივდება და კომლს კი სადაც გვინდა იქით დავუბირდაპირებთ.

დასაკომლებლათ კარგია ხმელი ხის ფუტურო, (ფოქო) ძროხის გამხმარი წივა, ცხენის ნეხვი, ხის სოკო, ძველი რამ ფალას-ფულუსი, ჩვრები, მხოლოდ შეუღებავი, მასთან, თუ ჩვრებს ხმარობთ, ნაცარში უნდა ამოსვაროთ—უცბათ არ დაიწვება, აღს არ იშოვნის. მშვენიერი კომლი იცის სიმინდის გულმა (ნაკურტალა, ნაგულა) წვრილათ დამტვრეულმა ცეცხლზე ან მზეზე გახურებულმა.



ხურ. 39. — ქორნელიას საკომლე.

მშვენიერი სასიამოვნო კომლი იცის და დიდხანსაც კომლავს უბრალო ძველ ტილოს ნაქრებს, ან ხის ფუტუროს,

ზევიდან თუ დაადებთ ცოტა ღინდგილს. (ბერძნული თხილის
ოღენას.)

საკომლე მანქანა გასაყიდათ სხვა და სხვა ნაირია, ყვე-
ლას სჯობია „კორნელიას“.

როგორ მოვერიდოთ ფუტკრის კბენას.

რაც უნდა გამოცდილი დახელოვნებული იყოს მეფუტ-
კრე, ზოგჯერ ფუტკრის კბენას ვერაფერი მორიდებით ვერ აი-
შორებს. ჯერ-ჯერობით არც არავითარი წამალი არის მოგო-
ნილი, რომელსაც შეეძლოს ფუტკრის შხამის მიერ გამოწვეუ-
ლი მწვავე ტკივილი ვინმეს არ იგრძნობინოს. ყველაფერს მოთ-
მინება სჯობია და ისევ თვით შხამი, რომელსაც ხშირი ბუნებ-
რივი აცრით ადამიანის სხეული ისე ეჩვევა, რომ აღარც სიმ-
სივნეს იწვევს და ტკივილიც შედარებით ნაკლებია. შხამისშეჩვე-
ვამდე კი ბევრი ძლიერ სივდება. საჭიროა დაუყოვნებლივ ისრის
იარისაგან ფრჩხილით ან დანის წვერით გვერდიდან ამოგდება.
ფრჩხილების მოჭერით ან გასრესით ისარი შხამისაგან უფრო
იწრიტება და სხეულში შხამიც მეტათ იქსაქსება, რაიცა იწვევს
მეტ სიმწვავეს და სიმსივნეს. კარგია დაგესლილ ალაგას რაიმე
ზეთის წასმაც. რადგან შხამის სუნით გაბრაზებული სხვა ფუტ-
კარიც იმავე ადგილას იწვევს საკბენად, ამისთვის უნდა წაისვათ
თაფლი, თაფლი შხამის სუნსაც სპობს, და ფუტკარი, იმის
მაგიერ რომ ისარი ჩაგარჭოს, თაფლს დაუწყებს ლოკვას.

ნამეტარ დაკბენილს, თავბრუ თუ ესხმის და გული უწუხ-
დება, ურჩევთ მიიღოს ნიშადურის სპირტი 3—6 წვეთი, რომ-
ლის მიერ გამოწვეული ოფლი შხამის სხეულში დაშლას და
დაქსაქსვას შეეღობის. უზომოთ გაბრაზებულ ფუტკრებს გაქცევით
და ხელის ფართხა-ფურთხით უარესათ გააბრაზებთ, ყოველთვის
სჯობია არ გაექცე, არ შეშინდე, ცოტა მოშორებით მიწაზე
პირ ჩამხობილი დაწვე ან უძრავათ ჩაიჩოქო. საზოგადოთ
კბენის აშორება შეიძლება იმითაც, თუ მეფუტკრემ იცის

რა დროს სჯობია ფუტკართან მუშაობა,

მაგრამ ეს ყოველთვის მეფუტკრის ნება—სურვილზე არ არის დამოკიდებული, ზოგჯერ არის ისეთი საქმე, რომელიც გადადებას და დროს შერჩევას არ ითმენს.

საზოგადოთ კი ფუტკართან მუშაობა უფრო ადვილია, შუადღის დროს, დათბობის შემდეგ, როცა თვით ფუტკრებიც მუშაობენ; როცა ღალიანობა არის, საშრომლათ როცა ხალისით მიდი-მოდიან. ასეთ დროს უმეტესათ სკაში რჩება ახალგაზრდა თვინიერი, მშვიდი ფუტკრები, რომლებიც იშვიათად იკბინებიან. საზოგადოთ ფუტკარი ბრაზიანია, როცა შიმშილი ან ქურდი ფუტკრები აწუხებს. რაც უნდა გაბრაზებულნი იყვნენ ფუტკრები, ბოლის შემწეობით და ხელის შეგუებით მეფუტკრეს რამოდენიმედ მაინც შეუძლია დააწყნაროს, მაგრამ არას დროს მეფუტკრე ფუტკრის საქმეში არ უნდა ჩაერიოს, თუ ისეთი დროა რომ თვით ფუტკარს არ შეეძლება მომვლელის ჩარევით ისარგებლოს და მის მიერ მინიშნული საქმე შეასრულოს.

როდის სჯობია ფუტკრის ჩარჩოიან სკაში გადასმა.

ანგარიშიანი მეფუტკრე ფუტკარს ყოველთვის გადასვამს ადრე გაზაფხულზე, პირველი ღალიანობის გაჩენისთანავე და აი რატომ:

ადრე გადასმული ადრე მოწესრიგდება, უხვ ღალიანობას მომზადილი შეხვდება, და შეიძლება იმავე წელს, თუ გამრავლებას ვცდილობთ ხელოვნურათ, ორ ოჯახათაც გავყოთ, თუ ეს არ გვინდა, ოჯახი ძლიერი იქნება და შეიძლება თაფლიც მოგვცეს.

ადრე გაზაფხულზე ჭიები და თაფლი სკაში ნაკლებია, არც იმდენი სიცხეა ფიქა აზილოს, ფუტკართა რიცხვიც სკაში ნაკლებია; ყველა ეს გადასმის საქმეს აადვილებს. მაგრამ შეიძლე-

ბა მეფუტკრეს ამ დროს არ სურდეს. ზოგიერთი მეფუტკრე ასე ფიქრობს: ფუტკარი კოდში მყავს, როგორც ვატყობ ძლიერი ოჯახია, ნაყარს უსათუოდ მომცემს—ნაყარს ცალკე დავაბინავებ, დედა სკას კი ყრის შემდეგ გადავასახლებ—ერთის მაგიერ ორი ძირი მეყოლება. ასე უმეტესად ის მეფუტკრე ფიქრობს, რომელიც ფუტკართა ოჯახის გამრავლებას ცდილობს, მაგრამ მტკიცეთ არ იცის როგორ მოიქცეს, გამოცდილება აკლია. გამოცდილი მეფუტკრე კი სხვა ნაირად სჯის, ის ასე ფიქრობს: ვაი თუ ფუტკარმა სულ არ იყარა, გადაყვანის საუკეთესო დრო კი დამეკარგოს, მერე იქნება წელსაც ვერ გადავსვა. არა, მე ასე არ მოვიქცევი: „ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცი მიჩვენია“, სჯობს ფუტკარი ეხლავე დავაბინავო ჩარჩოიან სკაში, უხვ ღალიანობამდე წელში გაიმართება—მაშინ კი თუ სახეიროთ დავატყვე და ეღირება გაყოფა, მე თვითონ გავყოფ ორ ოჯახათ. თუ ორ ოჯახათ გაყოფა არ ეღირა, ერთ ოჯახათ ხომ ძლიერი იქნება, შემოსავალსაც კი მომცემს.

ამ ორ მეფუტკრეში მოგებული მეორე იქნება, მისი მოსაზრება უფრო სასარგებლოა, ის უფრო ანგარიშის კაცია; ფუტკარს გადასვამს ადრე გაზაფხულზე, იმ დროს როცა ფუტკრები უკვე სარგებლობენ ღალით. ეს დრო ჩვენში ხეხილის აყვავების ხანაა. თავი და თავია ფუტკრებმა შესძლონ სითბოსა და ღალის წყალობით გადასმის შემდეგ აფორიაქებული ოჯახის მოწესრიგება: ფიჭის შესწორ-შელამაზება.

უბრალო სკიდან ჩარჩოიან სკაში ფუტკრის გადაყვანა.

(შემთხვევა პირველი, კოდის ჩარჩოიან სკაში).

გადასმის საერთო წესი: ვინც ძველი სკიდან ფუტკრის გადასმას გადასწყვეტს, ამის შესაფერ თადარიგს ის წინაღვე იჭერს. ვინც სკა ახლად შეიძინა, ის ცხადია თავის საფუტკრე-

ში სკებს ისე დადგამს, როგორც წესია, ესე იგი ერთი მეორეს ერთი არშინით მაინც დააშორებს. (იხ. გვ. 95)

ის მეფუტკრე კი, რომელმაც ფუტკრის მოვლის ძველი წესი ვარყო და ახალი წესით აპირებს მოვლას და გეჯები თუ როფები ერთი ერთმანეთზე აქვს მიწყობილი ან დაწყობილი, (რაიცა ჩვენში ძლიერ ხშირია), გაზამთრების შემდეგ, ფუტკრების პირველ გამოფრენამდე ისიც ერთი მეორეს აშორებს და ისე სდგამს, როგორც რიგია.

ვინც საფუტკრეში ცვლილებას არ ელოდა და სკების თავის დროზე წესიერი დადგმა ვერ მოასწორო, ის ასე უნდა მოიქცეს: ფუტკრიანი სკის რამოდენიმე საქენს იქით გადადგმა იმ დროს, როცა ფუტკარი მუშაობს არ ვარგა, რადგან მოლაღე ფუტკრები ჩვეულებრივად ისევ ძველ ალაგას მივლენ და იქვე დაიხოცებიან (ან მახლობელ სკაში შევლენ). ერთბაშად სკის აღება და ახალ ადგილას სიფრთხილით გადატანა, იმ დროს როცა ფუტკარი მუშაობს შეიძლება ღამით მხოლოდ მაშინ, თუ გადაგვაქვს 2—3 ვერსტის უშორესზე—ამაზე ახლოს რომ გადავდგათ, მოლაღე ფუტკრებს დაკარგავთ. ეს რომ ასე არ მოხდეს და სკას რომ ნამდვილი მშრომელი ძალა არ მოაკლდეს, სკა უნდა მივიტანოთ ახალ ადგილას ერთბაშად კი არა, არამედ თან თანობითი მიწევით. საღამოს, როცა სკაში ფუტკარმა უკვე დაიბუდა, აღნიშნულ სკას აღნიშნული ადგილისაკენ იმავე სახით, როგორც სდგას, გადაუცვლით ერთ არშინამდე; ამ რიგათ ყოველ დღიური ნაცვლებით მივიტანთ ჩვენთვის სასურველ ადგილას; მოლაღე ფუტკრები არ დაიკარგებიან, რადგან ახალ ადგილას ისინიც თან და თან მიტყვით ეჩვევიან. ყოველივე ეს საქმეს ახანგრძლივებს და ზედ მეტ შრომას ითხოვს, ამისათვის სასურველია თავის დროზე ზრუნვა.

დასკვნა ასეთია: გადასაყვანი სკა მოხერხებულ ადგილას ერთი ერთმანეთზე ერთი არშინით მოშორებული მაინც უნდა იდგას და, თუ გადაყვანის დროს მისივე მსგავსი სკიდან მეტით იქნება დაშორებული, კიდევ უკეთესია—გადაყვანის დროს ნა-

კლები ფუტკარი დაიფანტება და ქურდობის გაჩენისა ცნაკლები შიში გვექნება.

ფუტკრის გადასმა.

ეს საქმე მთლად ადვილი არ არის; თხოულობს გამოცდილებას და ფუტკართან მუშაობის ხელის შეჩოვას. ვინც გავარჯიშებული არ არის, ურჩევდით პირველად ასეთი საქმის შესრულების დროს, გამოცდილი მეფუტკრისთვის ეყურებიან ან მისი ხელმძღვანელობით გაეკეთებინა.


საქმის დაწყების წინ გვჭირია ხელ საწყო იარაღები: პირბადე, საკომლე, თხელი მახვილი დანა, რამოდენიმე ბატის ფრთა ერთად შეკრული, პირ კაუჭა იზმირი, სადღედე გალია და დასაკომლებელი მასალა იმაზე მეტი, რაც საკომლეში გვაქვს ჩაყრილი. ჩაქუჩი წვრილი ლუსმანი წყლით სავსე ქურჭელი ხელის ამოსაბანად და სხვა.



სურ. 40. — დანა.



სურ. 41. — პირ კაუჭა იზმირი.



სურ. 42.



სურ. 43.

ღედა ფუტკრის საპატიმრო—გალიები. (42 ტიტოვის, 43 ჟიროსი).

გადასაყვანი კოდი წინა დღით უნდა გასინჯო, ფსკერი უნდა გასწმინდო, ორივე თავი ადვილ მოსაცილებლათ უნდა


გაიმზადო. გარდა ამისა, რაც ქუტურუტანები აქვს, ყველა უნდა დაგლისო; ფუტკარს მხოლოდ ერთათ ერთი საფრენი უნდა დაუტოვო.

გადასმის დროს მეფუტკრის საზრუნავია, ახალ სკაში ძველი სკის ბუდე გადაიტანოს, ჩარჩოში რაც შეიძლება მეტი ფიჭა ჩააშენოს, ამისათვის საჭიროა ფიჭის ჩასაშენებლათ წინდაწინვე ჩარჩოების მომზადებაც: აიღებ წვრილ წკებლებს (თხილი, ტირიფი, ძეწნა ან სხვა). დაჭრილს ჩარჩოების სიგრძის ზომამზე—ერთის მხრით სამ ოთხ ადგილას—ერთი ერთმანეთის მოშორებით წვრილი ლურსმით დააკრავ. მეორე გვერდისთვისაც გაიმზადებ წკებლებს, ზომამზე გამოჭრილს და თავებში ლურსმან გაყრილს.

გადასმა როგორც წინეთ აღვნიშნე და ახლაც ვიმეორებ სჯობია გაზაფხულის თფილ, მზიან, უქრულ დღეში; კარგა დათბობის შემდეგ, როცა უკვე ფუტკრები ღალაზე ხალისით მიდი-მოდიან. საქმის დაწყება შეიძლება დილის 9—10 საათიდან. ამ დროს ჩრდილში 12⁰ სითბო უნდა იყოს (რემ.).

გადასყვანად დანიშნული კოდის საფრენის წინ უნდა ჩარქო ჯოხი სწორეთ იმ სიმაღლეზე რა სიმაღლეზეც კოდს აქვს საფრენი. ამის შემდეგ კოდი აიღე და ძველ ადგილს დააშორე რამოდენიმე ფეხის ნაბიჯით. (თუ ახლოს გვეშოვება შენობა და იმას მოვაფარეთ სჯობს). კოდის ადგილას დადგი ჩარჩოიანი სკა რომელშიაც იქნება ორი გადასამკედლაფი ფიცარი და ჩარჩოების გადასაფარებელი ტილო. ახლად დადგმული სკა სწორედ ისე დადგი რომ ძველი სკის საფრენი და ახლს ერთ სიმაღლეზე მოდიოდეს. (ამას ჩარქობილი ჯოხის სიმაღლე გიჩვენებს) მოლაღე ფუტკრებს ძველ ადგილას მართალია სხვა სახის სკა დახვდებათ, მაგრამ რაკი საფრენი იმავე ადგილს ექნება არ დაიფანტებიან და ახალში შევლენ. სკა აუცილებლათ უნდა გაასწოროთ თარაზოში—ერთხელ და სამუდამოთ დავიმახსოვნოთ რომ ჩარჩოიანი სკა საჭიროებს თარაზოში გასწორებას, რადგან ფუტკრები ფიჭებს ჩარჩოში ზევიდან ქვეით

შვეულივით სწორათ აშენებენ და თუ სკათარაზოში არ დგას, ფიქა გვერდის თამასებს აცდება. ჩარჩოიანი სკის თარაზოში გასწორება მეფუტკრისთვის ანბანია. ვისაც თარაზო არ აქვს შეუძლია წყლით სავსე ჭიქის შემწეობით ან შვეულით გაასწოროს. მეფუტკრე უნდა ცდილობდეს ამაზე დიდი ღრო არ დაკარგოს, აპისთვის სკის სიმაღლის ასაწევი თუ დასაწევი სოლები თუ აკურები წინათ უნდა ივარაუდოს და გაიმზადოს.



სურ. 44.

მრუდელ დადგმული სკის ჩარჩო ბ—გვერდის თამასა. ა—გამრუდებული, გვერდის თამასას მოშორებული ფიქა.

გადადგმული კოდი თავ-დაყირა დადგი იმის სიმაღლეზე რომ სამუშაოთ შეწვდეს, მასთან შეგედლოს ქვეიდან შეკომლებაც. ნუ დაივიწყებთ დადგით, მაგრათ ტოკვა არ დაიწყოს ან არ წაგეკცეს. თავ-დაყირა დადგმულ სკას თავს ახლი და აღმაცერათ მივუდგამ კალათს. (ან სანაყრეს) კალათს, გვერდებზე ორი მხრით მიამაგრებთ გრძელ ჯოხებს, გადარჩენილ ჯოხების თავით კალათს კოდეზე ან ლურსმით ან თოკით მიამაგრებთ ისე რომ ფუტკარს თავისუფლად შეეძლოს კოდიდგან შიგ გადასვლა. შემდეგ დაიწყებ კოდის ძირში (წინათ რომ თავი იყო). ჯოხით ან ჩაქუჩით რაკუნს. ათიოდე შემორაკუნების შემდეგ შესწყვეტ. რაკუნით დამფრთხალი ფუტკრები დაეწაფებიან თავლს გაივსებენ ჩინჩახვს და იმის ცდაში არიან უშიშარი

ადგილი მოძებნონ, ასეთი ადგილი მათთვის ახლა კოდის თავია (წინანდელი ფსკერი) სადაც რაკუნნი არ ისმის.



სურ. 45.

მეფუტკრეს კოლიდან ფუტკარი გადაყავს. ა—კოდის თავზე დადგმული კალათი.


რამოდენიმე წუთის შემდეგ ისევ ძირში (ძველ თავში) კოდის ირგვლივ განაგრძობ უფრო მძლავრად რაკუნს, მაგრამ არა იმდენზე მძლავრათ რომ ფიჭები ჩამოცვინდეს, ან დაზიანდეს. ფუტკრები უფრო დაფთხებიან და ჩინჩახვ გაესიღები ფაცა ფუციით იწყებენ ზევით გადასვლას. ქვეიდან დრო გამოშვებით ურაკუნეთ და ამავე დროს ფხიზლათ ადევნებთ თვალს, შეიძლება დედაც დაიჭირო, სხვებთან ერთად მუშა ფუტკრების ზურგზე ისიც მიეშურება უშიშარი ადგილისაკენ. მტკიცეთ გახსოვდეთ რომ ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინება დედა ფუტკრის მშვიდობიანათ გადარჩენაში გამოიხატება, აქედან ცხადია დედას რაც ადრე დაიჭერ მით იმედი გაქვს საქმის ადრე და უმარცხოთ გათავების. თუ დედას თვალი მოჰკრა ფრთებში ნაზათ ხელი წაავლე, დაიჭირე და გალიაში დაამწყვდიე—გალია კალათაში მოათავსე.

ურაკუნებთ მხოლოდ ძირში და არა ზევით შე-
ყოლებით ან სხვა და სხვა ადგილას; სხვა და სხვა ადგილას
რაკუნით, ფუტკრები იბნევა, რაკუნით მას ყველგან მტერი ეჩ-
ვენება, თუ ზევითაც დაურაკუნეთ ქვევით ჩამოდის, ქვეიდან
კი ზევით ამეორეთ ძნელი ასარკვი იქნება. რაკუნით ფუტკრებს
უნდა აგრძნობინო, რომ ქვეიდან მაზე ძლიერმა იერიში მიიტა-
ნა, მას დამორჩილებისა და უშიშარი ადგილის მოძებნის მეტი
არაფერი უშველის.

რამდენიც უნდა ვეცადოთ ყველა ფუტკარს ბუდეს მა-
ინც ვერ მოვაცილებთ. საქმის გაქიანურებაც არ ვარგა,
რადგან შიშია: ბარტყების გაცივების, ფუტკრების შე-
წუხების, არევ-დარევის და ყველაზე მეტად ქურდობის
გაჩენის. ამისათვის როცა უკვე დავატყობთ, რომ ფუტკ-
რების უმეტესობა უკვე კალათაშია, კალათს მოხსნით და
დადგამთ იქვე ახლოს. როგორც მოხერხდება უნდა დაიწყეთ
ფიქების ამოჭრა. ადვილათ შეიძლება ეს საქმეისე ვერ გაახერ-
ხოთ თუ კოდი არ გახეთქეთ. კოდი უნდა გახეთქოთ ფიქის
მიხედვით; როგორც ფიქა ნაშენი იმის ზოლების მიყოლებით.
თუ სხვა ნაირად გახეთქე ფიქას დააზიანებ, დამატრევე, ჩასა-
შენებლათ კარგი არ იქნება, ბარტყები გაიჟლიტება, თაფლიც
მეტი დაიღვრება, ფუტკრებსაც მეტად გააბრაზებ.

ფიქა უნდა გამოჭრათ დიდი სიფთხილით, თუ დედა და-
ქერილი არ გყავს მეტი სიფთხილე გმართებს შემთხვევით არ
შემოგაკვდეს ან არ დაასახიჩრო. სიფთხილით მოპყრობა უნდა
ბარტყიან ფიქასაც—ბარტყები არ გაქულიტოთ. გაფთხილება
უნდა სარაკის ამოჭრასაც, რომ თაფლი არ დაღვაროთ. თაფ-
ლიანი ფიქა ეცადეთ ძირში მიაჭრათ, მაშინ თაფლი ნაკლე-
ბათ დაიღვრება. ამოჭრილი ფიქები—სანამ ბარტყიანი არ შეგ-
ხვდეს დაწყვე ქურჭელზე ისე რომ არ დაიქულიტოს და რა-
მე სუფთა მიაფარე. ბარტყიანი კი ამოჭრისათნავე ჩარჩო-
ში ჩააშენე. ფიქა უნდა დასდვა სტოლზე რომელზედაც
გაქვს გადაფარებული რბილი რამ, მოკეცილი ტილო ან

მიტკალი—ბარტყები რომ არ დაიქვლიტოს ამ რბილზე დააქრი და ისე ჩააშენებ—თუ ერთი ფიქის ნაჭერი არ ეყოფა ორ-სამ ნაჭერს ჩააშენებ. ჩაშენების დროს აუცილებლათ დაიცივით ფიქის ის მდგომარეობა, როგორც კოდში იყო. თავ-დაყირა ფიქის ჩაშენება შეუწყნარებელია, უცოდინარობას ან დაუდევრობას მოასწავებს. ამოჭრილ ფიქას ჯერ ჩააშენებ ჩარჩოს იმ მხრიდან რა მხრიდანაც წკებლა გაუკრავია, როცა კარგათ გამოავსებთ მეორე მხრიდანაც მიამაგრებთ წკებლებს. მორჩებით თუ არა ერთი ჩარჩოს ჩაშენებას მაშინვე



სურ. 46.

ფიქის ნაჭრებით გავსებული, წკებლა გაკრული ჩარჩო. ა—ა წკებლა, 3. ფიქის ნაჭერი.

უნდა ჩადგათ წინათ გამზადებულ სკაში. თუ დედა დაჭერილი გყავთ გალიით სკაში ჩადგით. სკის წინ უნდა გაფინოთ ტილო ისე, რომ საფრენზე იყოს შეერთებული—ამ ტილოზე, როგორც ნაყარს, კალათის ფუტკარს ისე დაყრი. (იხ. სურათი 47). ფუტკრები სკაში შევლენ, თუ დედა დაჭერილი არ გყავს საფრენში შესვლის დროს ადევნებ თვალს; რწმუნდები შეჰყვება თუ არა. ამის შემდეგ გაბრუნდები და ყველა სავარგის ფიქებს ჩარჩოში ჩააშენებ—და თითო თითოთ სკაში ჩადგამ. ბარტყებიანი ფიქები შვა სკაში უნდა ჩადგა თაფლიანი და მშრალი ფიქები იქით აქეთ, ბარტყებიან ჩარჩოს გვერდებზე უნდა შეახვედრო. ჩარჩოები ყოველთვის ერთი მეორეს უნდა დაამორო ნახევარი ვერშოკით. ჩაშენების დროს

ჯერ ბარტყებიანს მორჩები, მერმეთ თაფლიანს ჩააშენებ.*)
თაფლიანს, როგორც მძიმეს ჩარჩოს ბოლოში შეახვედ-
რებ, ზემოდან მშრალ ფიქას. სამამლე ფიქები და ძველი სქე-
ლი შავი ფიქები სულ ნუ გინდა. როცა ყველაფერს მორჩები
კოდი სკის წინ ტილოზე მაგრათ დაბერტყე და კოდი იქაუ-



სურ. 47.

მეფუტკრე კალათიდან სკის წინ გაფენილ ტილოზე ფუტკრებს ყრის.

რობას მოაშორე. თუ დედა დაჭერილი არ გყავს ახლაც აკ-
ვირდები, უნდა დარწმუნდე სხვა ფუტკრებს ისიც შეყვა თუ
არა. კოდი თუ სხვა რამ თაფლიანი ფუტკრებს გასაწმენდათ
არას შემთხვევაში არ უნდა დაუტოვო, თორემ ქურდობას
გამოიწვევ. როცა ფუტკრები შეველენ, ტილოც მაშინვე უნდა
აიღო და სკის საფრენი იმდენზე შეავიწროვო რომ შიგ ერთად
2 ფუტკრის მეტს შესვლა არ შეეძლოს. ჩარჩოებს ზევიდან
ტილოს და ბალიშს დააფარებ.

მეორე დღეს სკას დაათვალიერებ, დედა თუ დაჭერილი
გყავს გაანთავისუფლებ, თუ დაჭერილი არ გყავს სკის გაჩხრე-
კით უნდა გაიგო სკაში არის თუ არა, თუ არის როგორია,

*) მუშაობის დროს თაფლიანი ხელი წყალში უნდა ამობანო,
იმავე წყალში ხშირად უნდა ამორეცხო თაფლიანი დანაც. ამ წყალს
ნუ გადაღერი, თუ რა მოსახმარია მოვიხსენებთ.

გადასმის დროს ხომ არ დასახიჩრებულა, უკეთეს სულ არ ყავთ, (შემთხვევით შენ შემოგაკვდა ან დაიკარგა) ასეთ სკას ისე უნდა მოექცე როგორც, სრულიად უდედოს. სკის გასინჯვის დროს თუ ატყობ, რომ გადასმის დროს თაფლი ბევრი მოგიკლია და საზრდო ნაკლებათ აქვთ უნდა მისცე, მეტადრე თუ მცირე ლალიანობაა. მესამე—მეოთხე დღეს სკა კიდევ უნდა ნახო, ეხლა ფიჭები უკვე მიმაგრებული ექნებათ და წყებლებს ააცლით. შემდეგ თუ რანაირი ყურადღება სჭირია თავის დროზე მოვიხსენებთ.

ფუტკრის გადასმა გეჯიდან ჩარჩოიან სკაში.

გადასმის უმთავრესი პირობები გეჯიდან ჩარჩოიან სკაში იგივეა, რაც კოდ-კასრის დროს ავწერეთ; აქ მხოლოდ ახალ პირობებს მოვიხსენებთ. გეჯა, როფი ანუ იმერული ბუკი, როგორც ვიცით, წარმოადგენს ორ ვარცლს ერთი ერთმანეთის თანატოლს, (ხის ერთი მორგვიდან გაკეთებულს) ერთი მეორეზე დამხობილს. გადასმის დროს გეჯას იმ მხრით, რა მხრითაც ფუტკარს ბუდე აქვს, ანუ, როგორც იტყვიან, „დედოს“ მხრით, რამოდენიმე ჯერ დაურაკუნებ, რის შემდეგ დიდის სიფრთხილით ერთი მეორეს მოაშორებ. და ზედა ნაწილს, რომელზედაც ფიჭებია მიშენებული პირ-აღმა დადებ. ცარიელი თავის მხრით მიუდგამ კალათს და ეცდები რაკუნისა და ბოლის შემწეობით ფუტკრები კალათისკენ მირეკო. პირ-აღმა დადგმულ გეჯაში ფიჭების თითო თითოდ გახილვაც ზოგჯერ შეიძლება, საზოგადოთ გეჯაში დედის თვალ-ყურის დევნა და მისი დაჭერა უფრო ადვილია, ვიდრე კოდში, ფიჭებიც უფრო იოლი ამოსატერია. თქვენც უნდა ეცადოთ, როგორც პირველად გირჩიეთ, დედაც სიფრთხილით დაიჭიროთ და ფიჭებიც დაზოგვით ჩარჩოში ჩააშენოთ, როცა ყოველივეს მორჩებით ფუტკრებს ისევე აბინავებთ, როგორც უკვე გვაქვს მოხსენებული.

ფუტკერის გადასმა სხვადა სხვა მეველებური სკებიდან ჩარჩოიან სკაში.

კოდ-გეგას გარდა ჩვენში ხშირია სხვანაირი უჩარჩო სკებიც მაგალითად წნული გოდორა, ხოკერი, უბრალო ყუთი და სხვა. გადასმის საერთო წესი ყოველთვის ერთია, მხოლოდ თითოეული შემთხვევის დროს სახეში უნდა მიიღოთ სკის მოყვანილობა და შიგ ფიქების ნაშენობა და თითოეული შემთხვევის დროს ისე უნდა მოიქცეთ, როგორც მოსახერხებელი იქნება. ფიქების ამოკრის დროს თქვენი ცდა უნდა იყოს ფიქები არ დაქუცმაცდეს, არ დაზიანდეს და რაც შეიძლება ჩასაშენებლათ მეტი გამოგადგეთ.

მაგალითისთვის ავიღოთ წნული გოდორა შაქრის თავის მსგავსი ან მუთაქის მაგვარი, ასეთი გოდორა ჩვენში ორ გვარია გავრცელებული: წაქცეული და აყუდებული. ორივე გვარი წვრილი წნელისაგან არის დაწნული და ძროხის ნეხვით შეღესილი მაშასადამე, რომ ავიღოთ და ისე დაუწყოთ რაკუნის როგორც კოდს, არ ივარგებს, რადგან ბუდეში მტვერი ჩაცვივა—საჭიროა სხვა საშუალება ვიხმაროთ. როცა წაქცეულ გოდორადან გვინდა ფუტკარი გადავსხათ მაშინ გოდორას განიერი თავის მხრიდან შეუკომლებთ, შეხედავთ და გაიგებთ შიგნით ფიქის მდგომარეობას, შემდეგ ბალის მაკრატლით დაიწყებთ, ფიქების ზოლების მიყოლებით, წნულის დაქრას, თან წნულს კრი, შლი, არღვევ თან ფიქებს ამოკრი, წნულს აშორებ და ჩარჩოში აშენებ. ამ რიგათ თან და თან წნულის დაქრა—დარღვევით ყველა ფიქას ანთავისუფლებ და ჩარჩოებში ჩააშენებთ.

მეორე შემთხვევის დროს, როცა გოდორა დაყუდებულია, დგას, კოდ მაგვარია, მაშინ ის ისე უნდა დააწვინო, რომ დაწვენის შემდეგ ფიქები ცერათ, გეზათ, მოდიოდეს, რის შემდეგ შეუკომლებ და ფიქის ზოლების შესადარათ მაკრატლით შვაზე გაკრი, მიიღებ ორ ნაქერს საზამთროსავით შვაზე გაკრილს, შვაზე ეყოლებათ ბარტყები და თქვენც ცხადია პირველათ ამ

ბარტყებიან ფიქებს ამოჭრით და ჩარჩოში ჩააშენებთ.

საზოგადოთ რომ მოგახსენოთ, თავის დროზე ფუტკრების ბინის გამოცვლა, ვინც საქმეს ხელოვნურად შეასრულებს საფრთხილო არ არის; გადასმის დროს ოჯახის აფორიაქება, ხმაურობა, ჩვეულებრივი ერთფეროვანი მყუდროების დარღვევა ფუტკრებს ნაყრობის ხანას აგონებს, ახალ ბინაზე გაორკეცებული მხნეობით იწყებენ ხალისიან მუშაობას და თუ პირობები ხელს უწყობს დანაკლისს ძლიერ მალე შეივსებენ.

გადასმის საეალღებულო წესი:

1. გადასმის დროს გახსოვდეთ საშიშარი სენი სიმყაყე, თუ ფუტკარი ავთმყოფია ეხლა ავთმყოფობის აღმოჩენის საუკეთესო დროა. უკეთუ ავთმყოფობის ნიშნებს ნახავთ გადასმა შეაჩერეთ და სხვა ზომას მიმართეთ.

2. გადასმა უნდა ადრე გაზაფხულზე, ღალის გაჩენისათანავე.

3. გადასმას შეუდექით, როცა ყველაფერი გაიმზადოთ.

4. საქმე დაიწყეთ დილის 9, 10 საათიდან განაგრძეთ შვადლის ორ საათამდე, დღე იყოს მზიანი, თბილი უქრული. (ჩრდილში უნდა იყოს არა ნაკლები 12⁰ რეომ.)

5. დედა ფუტკრის დაჭერა ეცადე, დაზოგვით და სიფრთხილით მოექეცი სამუშე ქიებს და ფიქებს, ერთიც და მეორეც რაც შეიძლება მეტი ჩააშენე—სამამლე და შავი, მძიმე ფიქები სულ ნუ გინდა.

6. ფიჭა უკულმა, თავ-დაყირა არ ჩააშენო.

7. თაფლი არ დაღვარო, გეჯა ან სხვა რამ თაფლიანი გააშენდად ფუტკრებს არ დაუტოვო და მით ქურდობის გაჩენას ხელი არ შეუწყო.

8. ახლად გადასმულს რამოდენიმე დღეს საფრენი ვიწროთ დაუტოვე

9. გადასმის მეორე დღეს დედა გაანთავისუფლე, თუ საზრდო აკლია მიეცი.

10. მესამე დღეს ჩარჩოებს წკებლა ააცალე.

ფუტკრის გადასმა ჩარჩოიან სკიდან ჩარჩოიანში.

როცა ჩარჩოიანი სკა სიძველის მიზეზით გამოსაცვლელია ან საფუტკრეში შემთხვევით სხვა და სხვა ყაიდის სკები გვაქვს და გვსურს რომ ყველა დადან-ბლატის სკაში დავაბინაოთ ფუტკრის გადასმა მაშინაც საჭირო იქნება.

პირველ შემთხვევაში, ესე იგი როცა სკა მხოლოდ სიძველის მიზეზით არის გამოსაცვლელი ყოველთვის შეიძლება, ადრე გაზაფხულიდან მოკიდებული ვიდრე ფუტკრის საზამთროთ დაბინავებამდე. გამოსაცვლელი სკის ადგილას, როგორც იცით დადგამთ ახალ სკას, ძველი სკიდან თითო თითოდ ამოიღებთ ჩარჩოებს და როგორც ძველში იყო გამწკრივებული ისევე ჩააწყობთ ახალში, რაც სკის კედლებზე ან ფსკერზე ფუტკარია ახალი სკის წინ დაფერთხავთ და საქმეც გათავებულია.

როცა ჩარჩოიანი სკა გვაქვს მაგრამ მისი ჩარჩო ჩვენ მიერ მოწონებულ სკაში სრულის სისწორით არ ჩადის ასეთი შემთხვევის დროს გადასმა იმავე წესით უნდა როგორც სრულიად უჩარჩო სკის დროს ავწერეთ. სიადვილისთვის რაკი მოსახერხებელი იქნება, ახალ დადგმულ სკაში როგორც მოხერხდება პირველათ, დროებით ძველი სკის იმ ჩარჩოს ჩავდგამთ რომელზედაც დედა არის. ჩარჩოებიდან ფიქებს გამოვჭრით და ახალში ჩავაშენებთ, ხანა ბოლოს დედას ახლათ ჩაშენებულ ჩარჩოზე გაუშვებთ და იმ ჩარჩოს ფიქსაც ახალში ჩავაშენებთ—დანარჩენი უკვე მოხსენებული გვაქვს.

შეიძლება ვინმეს შეხვდეს დადან-კვიმბის სკიდან დადან-ბლატის სკაში გადასმა. კვიმბის ჩარჩო ბლატისაგან მხოლოდ სიგრძით განსხვავდება, მაშასადამე მისგან ფიქის გამოჭრა და

ახალში ჩაშენება საჭირო არ არის, არამედ კვიმბის ჩარჩოს თითო თითოდ გაანთავისუფლებთ ფუტკრისაგან. სანიმუშოდ დაადებთ ზევიდან ბლატის ჩარჩოს და სიგრძის ერთ ერთ მხარეს მოახებრხთ, ამ რიგათ კვიმბის ჩარჩოს მოვაცილებთ ერთ ერთ გვერდის თამასას, რომლის მაგივრათ ან ახალს მივაჭედთ ან ისევ ძველს გავუკეთებთ. ესე იგი კვიმბის ყველა ჩარჩოებს გადავაკეთებთ ბლატის ჩარჩოთ და ჩავდგამთ სკაში.

ჩარჩოიანი სკების ხილვა.*)

ახლად გადასმული სკა, როგორც წინადღე მოგახსენეთ, გადასმის მეორე-მესამე დღეს საჭიროებს ხილვას—დათვალიერებას; ჩვენც ვსარგებლობთ შემთხვევით და აქვე ავწერთ, თუ როგორ უნდა საზოგადოდ ჩარჩოიანი სკების ხილვა. სკების ხილვა სხვა და სხვა დროს სხვა და მიზნით გვეჭირია: ხილვით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ოჯახის მდგომარეობა, სიძლიერ-სისუსტე, დედის ღირსება—ნაკლი, სრულიად ობლობა ან სუტ-დედიანობა, საზრდოს ნაკლებობა, ავამყოფობა, ბინის სიფიწროვე და ბევრი სხვა. ხილვის შემდეგ ჩვენთვის ნათელი იქნება, თუ სკას როგორ მივხედოთ. ერთი სიტყვით ხილვა არის სკის თვალყურის დევნა და თავის დროზე საჭირო საქმის გაკეთება.



თუ საქმე საშური არ არის და დროს შერჩევას მოითმენს, სკის ხილვა სჯობს ისეთ დროს, რომელიც ჩვენ გვაქვს მოხსენებული. (იხ. რა დროს სჯობია ფუტკართან მუშაობა, გვერ. 147).

სკის სახილაგათ უნდა მივიდეთ ფუტკართან სამუშაოთ

*) ხილვას იმერეთში სკიდან თაფლის გამოღებას ეძახიან, მაგრამ, როგორც სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობიდან სჩანს, ეს სახელი მშვენიერად გამოხატავს სკების რაიმე მიზეზით ხილვას—ნახვას, დათვალიერებას, ვასინჯვა—გაჩხრეკას; ამიერიდან ჩვენც ამ სიტყვას მოხსენებული საქმის აღსანიშნავად ვიხმართ.

მომზადილი: პირ-ბადე აფარებული, გაჩაღებული საკომლით და ხელსაწყო იარაღებით. პირველათ ნახათ და მსუბუქათ სახრავსკას სფერნიდან უნდა შეუკომლოთ, სკას თავს ავხდით, ზოუდგებით გვერდნი (საფრენის მხრით სკას არასოდეს არ უნდა გაუჩერდე). ავაცილით ბალიწს, ბალიშს ქვემოდან ჩარჩოებს რომ ტილო აფარია, იმდენზე ავწევთ, რომ გამოჩნდეს ერთი-ორი ჩარჩო, რის შემდეგ ზევიდან სუბუქათ ჩაუკომლებთ. თუ სკა ჩარჩოებით სავსეა, უნდა ამოაცალით გადასამკედლა-ვი ფიცარი, მერმეთ ამოიღებთ მის მეზობელ ჩარჩოს, გახილავთ და ჩადგამთ გადასამკედლავე ფიცრის ადგილას, მერმეთ ამოიღებთ მეორე ჩარჩოს, დათვალიერებისა თუ საჭირო საქმის გაკეთების შემდეგ მეორე ჩარჩოს ჩადგამთ პირველის ადგილას; ამ რიგათ ერთი მეორის მიყოლებით გახილავთ ყველა ჩარჩოებს. როცა ბუდის პირველ ნახევარს გახილავთ, ტილოს სულ აცლით და გასინჯულ ჩარჩოებს მიაფარებთ. ამ რიგად ჩარჩოებს თან სინჯავთ, უკან სდგამთ და ისევ ტილოს აფარებთ; ამით თქვენ ბუდეს იფარავთ გაციებისა და ქურდი ფუტკრების თავდასხმისაგან. მუშაობის დროს თუ ატყობთ ფუტკარი წყნარად არის, შეკომლებით არ აწუხებთ. თუ შემთხვევით (ან თქვენი ურიგო მოქცევით) ფუტკრები დიდათ გაბრაზდნენ, ძლიერ არ დაირიენ, სჯობს სკას თავი დახუროთ და საქმე ფუტკრების დაწყნარებამდე გადადვათ. როცა ხილვას მორჩებით, ჩარჩოებს თავ-თავის ადგილას ჩაალაგებთ, ზემოდან ტილოს გაუსწორებთ, ბალიშს მიაფარებთ და სკას თავს დახურავთ. ხილვის დროს ჩარჩოები ხელში სწორეთ ისე შევეულივით უნდა გეჭიროთ, როგორც სკაში იყო ჩაკიდული. ფიქას თუ გსურთ ფუტკარი მოაშოროთ, ამოღებულ ჩარჩოს ორი მხრით ცოტა უნდა შეუკომლოთ, მერმეთ ბატის ფრთით ან ჩოთქით სუბუქათ ზევიდან ქვეით ჩაყოლებით ფუტკარს მოაშორებთ. ვისაც ხელი შეჩვეული აქვს, ფუტკართან მუშაობაში გაწაფულია, შეუძლია ჩარჩოს ყურებში ორივე ხელეში მოჰკიდოს და ერთბაშით, მოწყვეტ, ზევიდან ქვეით ჩაიქნიოს; ფუტკარი ფიქას მოს-

ცილდება. თუ ჩარჩო მთლათ სავსეა ბარტყებით ან სარა-
ქით, ძლიერ მძიმეა ჩაქნევის დროს, საფრთხილოა არ მოიმ-
ზღვლას.




სურ. 47.

მეფუტკრეს ჩარჩო ხელში ისე უნდა ეჭიროს, როგორც ამ სურათზეა
ნაჩვენები.

ის ჩარჩო, რომელზედაც საღებვებია, დაბეჭდილი იქნება
თუ დაუბეჭდავი, არასოდეს არ უნდა ჩაიქნოს და არც
გადააბრუნო.

ამოღებული ან გამოჭრილი თაფლი საფუტკრეში არ უნ-
და დატოვო, არამედ ამოღებისთანავე უნდა ჩააწყო განსა-
კუთრებულ ყუთში, რომელშიაც ფუტკარი ვერ უნდა შედიო-
დეს. ხილვის დროს ყოველთვის უნდა ეცადოთ თაფლი არ

დაღვაროთ, ქურდობა არ გამოიწვიოთ, ბუდე არ გააციოთ.
ხილვის შედეგი უბის წიგნში უნდა აღინიშნოთ.



გ ა შ ა უ ხ უ ლ ი.

(ფუტკრის მოვლა გაზაფხულიდან უხვ ღალიანობამდე).

III.

ჩვენი შრომის პირველ ნაწილში ჩვენ ავწერეთ ფუტკრის ცხოვრება (თეორიული ნაწილი) და ხაზ-გასმით აღვნიშნეთ, რომ თეორია პრაქტიკას გზად და ხილად უნდა გაედვას, ერთმა მეორე უნდა დაამუშვენოს.

ამ ახალი თავიდან ჩვენ ვიწყებთ დროს მიხედვის და გვარად ფუტკრის მოვლის აღწერას, დავიწყებთ ადრე გაზაფხულიდან და, რამდენადაც მოსახერხებელი იქნება, მივდევთ თვით ფუტკრების ცხოვრების თანდათანობითი განვითარებას, მივიღებთ სახეში მათ მოთხოვნილებას. დროს შესაფერად აღვნიშნავთ საფუტკრეში როდის რა საქმე გავაკეთოთ, როდის როგორ და რა ნაირად დავეხმაროთ ფუტკრებს მათ და ჩვენს სასარგებლო შრომაში.

გონიერი, გამორჩენის მოყვარული მეფუტკრე ფუტკრის მოლონიერების საქმეს ადრე გაზაფხულიდანვე იწყებს და ძლიერ კარგათაყობს. თუ წინაკითხავს გავითვალწინებთ, მოვიგონებთ, რომ ზამთრის შემდეგ, ადრე გაზაფხულზე, სკაში მხოლოდ

„სათესლე“ ფუტკრებია, რომლებიც შეიძლებენ კვერცხიდან გამოჩეკილი კიების აღზრდას; ამ რიგად ძველი წლის ფუტკრები, ძველი თაობა, ახალ თაობას ცოცხალ ოჯახს გადასცემს, თვითონ ჯაფისაგან არაქათ-გამოცლილი იხოცება. შემდეგი ოჯახის ბარაქიანობა და წარმატება დედა ფუტკრის ნაყოფიერებაზე და მისი ასულების, ახალგაზრდა მუშების, რიცხვზეა დამოკიდებული. რამდენად დედა ნაყოფიერია და რამდენადც ოჯახი წესიერ პირობებშია, დედა იმდენად მეტ მშრომელს გააჩენს, მეტი მშრომელი კი მეტ ღალას შეაგროვებს. ბევრ ღალას კი მხოლოდ ის ოჯახი შეაგროვებს, რომელსაც ღალიანობაზე ბევრი მუშა ფუტკარი ყავს და სკაში ღალის შესანახი საშვალეა აქვს. შედარებით რომ ვთქვათ, ფუტკრებისთვის ღალიანობა ისეთი დროა, რაც მხენელ მთესველისათვის ჭირნახულის მოწვევა. თამამად შეგვიძლია შევადაროთ შემოსულ უპატრონო ყანას. „ყანა ფრიად სამკალი“ თავ-თავ ქვეშ იხნიქება, მაგრამ მომკალი პატრონი არა ყავს. ყვევილებით აქრელებული მინდორ-ველიც დაკარგულია თუ ფუტკრის ოჯახი სუსტია.

„კარგი მფუტკრისთვის უნაყოფო წელიწადი არ არსებობს!“ — ამბობენ. მართალიც არის. შეიძლება რომელიმე ადგილას ღალიანობამ დიდხანს არ გასტანოს, მაგრამ სულ რომ არ იყოს — შეუძლებელია, მაშინ ხომ იქ, სადაც უხვი ღალიანობა არ იცის, ფუტკარი შიმშილით გადაშენდებოდა. სადაც კი ფუტკარი ცოცხლობს, იმისი უტყუარი ნიშანია, რომ ღალიანობაც არის, მხოლოდ ღალიანობას მოხმარაუნდა. ვისაც ღალიანობაზე თავისი სკები ძლიერი და ყველაფრით გამართული არ ეყოლება, მას ბუნების უხვი ღალაც ვერას უშველის, ურიგოთ მოვლილი ფუტკარი შეიძლება გასაკვებიც დაუჩრჩეს.

ყველაფერი საქმე თხოულობს წეს-რიგს, საქირო საქმის თავის დროზე მოგვარებას, მაგრამ ყველაზე მეტად წესიერ-

ბა მეფუტკრეს მართებს. საქმის გადადება, სახვალიოდ შემონახვა, მეფუტკრობაში შეუწყნარებელია. მეფუტკრე ღალიანობას ისე უნდა უცქეროდეს, როგორც ცრუ მორწმუნე „ცის პირის გაღებას“. როგორც ვიცით, ღალიანობაზე ფუტკრები ხშირად 10 გირ. და მეტ თავლსაც აგროვებენ დღეში, მაგრამ ასეთი ბედნიერი დღე სულ რამოდენიმეა, და თავის დაუდევრობით მეფუტკრემ ეგეც რომ დაკარგოს, ფუტკარს ბრალს ნუ დასდებს. ფუტკარი ბეჯითი მუშა ძალაა, მხოლოდ მომვლელს ვერ მოუხერხებია ბუნების მუქითი ძალა მოიხმაროს. მოხდება ხშირად, რომ ერთ და იმავე ადგილას ერთი მეფუტკრე თავლს ყიდის, მისი მეზობელი მეფუტკრე—ფუტკრის გასაკვებათ თავლს ყიდულობს. რისთვის? მისთვის, რომ ერთმა თავის დროზე იზრუნა: ადრე გაზაფხულზე სკები დაასუფთავა, მშიერი გააძლო, სუსტი ძლიერს შეუერთა, უდედოს დედა მისცა, ცუდი დედა გამოცვალა და უხვ ღალიანობას ყველა ძირი ძალუმათ, მუშათა ძალით მწყობრათ მოკუგუნე მიაგება. ამ რიგად რომ გავსკრიტოთ, დასკნა ასეთი უნდა გამოვიტანოთ: ყველა მეფუტკრემ კარგათ უნდა იცოდეს, როდის იწყება ღალიანობა და ყოველივე მის მიერ გაკეთებული საქმე, იმ წინასწარ ანგარიშით უნდა იყოს გამოანგარიშებული და სისწორით თავის დროზე შესრულებული, რომ ფუტკრის ყველა ოჯახი ღალიანობას ძლიერი და ყველაფრით მოწესრიგებული შეახვედროს

სკების ხილვა გამაფხულმე.

გაზაფხულის შემდეგ სკების დაჩხრეკა—გასინჯვას დიდ-ყურადღებას არამც თუ ნასწავლი მეფუტკრეები აქცევენ, არამედ მის საქიროებას უბრალო სოფლელი მეფუტკრეებიც კი აღიარებენ. გურიაში ამისათვის განსაკუთრებით ბედობა დღეც კი აქვთ დანიშნული. ეს დღე ფუტკრების ღმერთის სალოცავი დღეა. წინად გურული მეფუტკრეები დღესას-

წაულობდნენ დიდი მარხვის შუა ოთხშაბათს და ეძახოდნენ „ფუკობას“^{*)}. ამ დღეს მეფუტკრის ოჯახში დააცხობდნენ იმდენ თაფლიან კვერებს (ქვავის ან სიმინდის ფქვილისას), რამდენი ძირი „ბუკიც“ ყავდათ. კვერებს ჩააწყობდნენ გიდელში, ან კალათში, და შუა საფუტკრეში დაჰკიდებდნენ. ფუტკრის მომეღელი მამაკაცი გააჩაღებდა „წივის“ (გამხმარი ძროხის ნეხვი) ცეცხლს, დაუვლიდა ყველა ბუკებს, შეუკომლებდა, დასწმენდდა, დაასუფთავებდა. გამქრალ ძირს საფუტკრეს მოაშორებდა, შეიძლება რომელიმე ძლიერი ძირიდან გადარჩენილი სარაქიც გამოეჭრა. როცა სკების მოწესრიგებას მორჩებოდა, ბუკებს თლიდა. ერთი-სიტყვით ის მთელ დღეს მხოლოდ ფუტკრის საქარო საქმეს აკეთებდა. ფუტკრის პატრონის ოჯახიდან არაფერს ნივთს არ გაანათხოვრებდნენ, ოჯახს არას მოაკლებდნენ, სტუმარს წასვლის დროს სულ რომ ტანისამოსის ერთი ძაფი ყოფილიყო—დაატოვებინებდნენ. საღამოს საფუტკრეში შინ ჩამოქნილ წმინდა სანთელს ანთებდნენ, ღმერთს ფუტკრების გამრავლებას შესთხოვდნენ, კვერებს სახლში წამოიღებდნენ და ბავშვებს გაახარებდნენ.

განათლების გავრცელების შემდეგ ცხადია ამ ჩვეულებას ცრუ მორწმუნება შორდება და, როგორც ძველად ისე დღეს აღარ ასრულებენ, მაგრამ გაზაფხულზე სკების გახილვა—შემოწმებას ყველა მისდევს და დიდი საქაროც არის.

სხვა დროს, როცა ფუტკარი ყოველ დღიურ შრომაშია, ძლიერია, სკას დასასუფთავებლად თვითონაც ერევა. სკის მდგომარეობაც ვიცით, მაგრამ გაზამთრების შემდეგ სკაში ბევრი უსუფთაობა არის მოგროვილი. ფუტკარიც სუსტია; მაშასადამე გაზაფხულზე ხილვით მეფუტკრემ სკაც უნდა გასწმინდოს და თითოეული ოჯახის მდგომარეობაც გაიგოს და საკი-

^{*)} ეს სახელი შეიძლება წარმოსდგას სამში ერთ-ერთი ძირისაგან: შეიძლება პირველად ეძახდნენ „ფუტკრობას“ ან „ბუკობას“ (ბუკი-სკა) ან და „ფუტობას“, (ფუტი—კომლი, ფუტობა—შეკომკლება).

როგების მიხედვის დაგვარად დაეხმაროს.

გაზამთრების შემდეგ, სანამ თბილი ამინდი არ დადგება და მინდორში ღალა არ გაჩნდება, მანამდე ყველა სკების ახლა, ბუდის დაშლა და თითოეული ოჯახის მდგომარეობის დაწვრილებით გაგება საფრთხილოა, რადგანაც ეხლა სკის ახლით შეიძლება ბუდე გაცივდეს ან სკაში ქურდები შეგვეპაროს და დედა მოგვიკლას. ამისათვის საერთოთ ყველა სკების ხილვა უნდა დაიცადოთ. ჩვენში, რაკი სკები ცის ქვეშ რჩება, ფუტკრებიც სარგებლობენ პირველი მზიანი, მოთბო ამინდით და სკიდან კუჭის გასასუფთავებლად გამოდიან. მე-ფუტკრესაც შეიძლება აქვს თითოეულ სკას კარგად დაუკვირდეს და თითოეული ოჯახის შესახებ გარეგანი დაკვირებით თავისი აზრი შეადგინოს. უკიდურესი შეძახვევის დროს საჭირო არ იქნება საერთო ხილვას დაუცადოთ; მშიერს, ობოლს ან ავამყოფს მისწრება ეჭირვება.

თუ როდის მოვახდინოთ ყველა სკების ხილვა, ამისი თქმა მოუხერხებელია: საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში გაზაფხული სხვა და სხვა დროს იწყება, ერთ ადგილას რომ ბუნება ყვავილებით არის სასიცოცხლოთ მოკაზმული, მეორე ადგილას მცენარეებს ჯერ კიდევ თოვლის თეთრი სუდარა ფარავს. გარდა ამისა, ერთ წელიწადს რომ გაზაფხული მარტის პირველი დღეებიდან დაიწყოს, მეორე წელიწადს იმავე დროს ჯერ კიდევ თოვლია. ამისათვის ჩვენ ვერც ეხლა და ვერც სხვა დროს, როცა დროს აღნიშვნა იქნება საჭირო, გადაჭრით ვერასოდეს ვერ ვიტყვით ესა და ეს საქმე ამა და ამ თვის რიცხვში შეასრულეთ თქო. ვიტყვით მხოლოდ, რომ ფუტკრის მოვლის დაწყება და შემდეგი მისი ყურის გდება შეუხამეთ ზუნების გაღვიძებას, თვით ფუტკრების მიერ მუშაობის დაწყებას და მათ განვითარებას.

ერთი სიტყვით—პირველი საერთო ხილვა მოახდინეთ როცა უკვე გაზაფხულის სითფო დაიჭირა, ფუტკრებმა მუშაობა დაიწყეს და ფეხით ჭეოს ეზიდებიან.

სკების გაწმენდა. ფუტკრების კუკის გასასუფთავებლად გამოსვლის ერთი კვირის მერმედ, თბილ ამინდში, შეგიძლიათ შეუდგეთ სკების გაწმენდას: სკას თავი ააცალეთ, ბალიში და ტილო მოაშორეთ, დაუბოლეთ და ამოაცალეთ გადასამკვლავი ფიცარი და მის მეზობლათ ორი სამი-ჩარჩო, ჩარჩოები კარგათ გაასუფთავეთ, გაფხიკეთ და დროებით ჩადგით ყუთში, ორი სამი ჩარჩოს ამოცლით თქვენ თავისუფალი დაგიჩვენებთ სკის გვერდი, რომელსაც ეხლავე გასწმენდთ და დაწმენდილი გვერდებისაკენ დაუწმენდელ ჩარჩოებს დასწმენდთ და თითო თითოთ გადმოალაგებთ. შემდეგ დასწმენდთ სკის სხვა გვერდებსაც, ბოლოს ჩარჩოებს წეს-რიგზე ჩაალაგებთ, ზევიდან ტილოს და ბალიშს მიაფარებთ და სკას თავს დახურავთ. სანამ თქვენ წმენდაში ხართ გართული, შეგიძლიათ ბალიში გაამზეუროთ, გაბერტყოთ და სკას ზევიდან მზისაგან გამთბარი და მშრალი მიაფაროთ. თუ ძლიერ ნოტიო ბალიში გამოგვრიათ, საჭიროა იქნება მთლად გამოცვლაც. ბუდის ჩხრეკის დროს გარდაგაწმენდისა ფხიზლათ ათვალეგრებთ ფიქებს, ობ-მოკიდებულს ან სხვა რამ სენით დაავადებულს სულ მოაშორებთ, კარგათ აკვირდებით ოჯახის მდგომარეობას და მის ვითარებას სისწორით ჩაიწერთ უბის წიგნში. (ამისათვის საჭიროა სკები წინადავე დანომრილი გქონდეთ.) მაგ. 10 მარტს ვიხილე № 3, ბარტყები ზომიერათ ყავს, საზრდო არ აკლია, რიგიანად გაუზამთრებიან და სხვა.

ფსკერის (ძირის) გაწმენდა. საფუტკრე თუ წესიერად არის გამართული, ერთი სკის ფსკერი მეორეს სისწორით ადგება, მაშინ ყველას სჯობია თანაშემწის დახმარებით სკა სიფრთხილით ასწიო, თავისი ფსკერი გამოაცალო და მის მაგიერათ გაწმენდილი და გამზეურებული სხვა ფსკერი შეუდგა.

გამოცვლილ ფსკერს, გასწმენდ, გაფხეკ, სველ ტილოს წაუსობ, გაამშრალე, გამზეურებ და მერე სკას შეუდგამ, ამ რიგათ ყველა სკის ფსკერებს დაასუფთავებ. უსუფთაობა

ავ-დაცულ ქურქელში უნდა აგროვო და მერე დაწვა*).

ხილვის შემდეგი საქმე.

პირველი ხილვის დროს ჩვენ სკები დავასუფთავეთ, ოჯახების მდგომარეობა გავიგეთ და უბის წიგნში აღვინიშნეთ. ეხლა საჭიროა თითოეული ოჯახის საჭიროების დაგვარად მიპატრონება. ეხლანდელი ოჯახის მიპატრონება არის: სრულიად უდედო ან სუტ-დელიანი ოჯახისთვის დედისა და საკმაო საზრდოს მიცემა, აუცილებელი საჭირო სითბოს დაცვა და სუსტი ოჯახის მოლონიერება. ყველა ამას მეფუტკრე ყურადღებას აქცევს, რადგან საფუტკრის ბედნიერებისათვის ყველას მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მათში უმთავრესი ყურადღების ღირსი მაინც დედა ფუტკარია. მეფუტკრეც ათვალისწინებს უბის წიგნს და მაგ. კითხულობს: „სკა № 4, დედა არა ყავს, № 7 სუტ-დელიანია, № 13-ს უვარგისი დედა ყავს, სამივე სკას მისწრება ეჭირვება, რადგანაც, ერთი გერმანელის თქმისა არ იყოს: „საფუტკრის კეთილდღეობა დედა ფუტკრის ღირსებაზედ არის დამოკიდებული“.

დედა ფუტკრის მნიშვნელობის შესახებ ჩვენ საკმაოდ ვისაუბრეთ თეორიულ ნაწილში, მაგრამ რაკი მისი მნიშვნელობა ოჯახის ბედნიერებისათვის ეგზომ დიადია, ამისათვის მეფუტკრეს კიდევ მოვავანებთ, რომ საფუტკრეში არამც და არამც არ იყოლიოს არამც თუსრულიად უდედო ოჯახი, არამედ უვარგის დელიანიც კი. ობოლ სკას ხომ აუცილებელი გადაშენება მოეღის, გარდა ამისა ობოლიც და ცუდ-დელიანი ოჯახიც დლით-დღე სუსტდება, სუსტი კი ძლიერი-საგან იჩაგრება, იცარცვება, სხვა ოჯახის ფუტკრები ირყვნებიან; ეჩვევიან ქურდობას და ძლიერ ხშირად

*) სკების დაწმენდის მერმე მათი თარაზოში გასწორება და ყველა სკის სწორედ დადგმა ყოველთვის უნდა გახსოვდეს.

ავათმყოფობის გავრცელებასაც ხელს უწყობენ. მაშასადამე უდედო სკის მიშველება — მისწრებაა.

ამისათვის ყველა სამრეწველო საფუტკრის გონიერ პატრონ მეფუტკრეს მუდამ ყავს ზედ მეტი განაყოფიერებული ეგრედ წოდებული სათადარიგო დედები — რომელთაც გაჭივრების დროს ობოლ ოჯახს აძლევს. თუ როგორ გავიჩინოთ სათადარიგო დედები, ამაზე ჩვენ შემდეგში ვისაუბრებთ და ვინც ჩვენი რჩევით ისარგებლებს, იმას თუ პირველ წელს არა მეორე წელიწადს ასეთი დედები მაინც ეყოლება.

ობოლი სკის მისწრება. ობოლი სკა შეიძლება შეგვხდეს: სრულიად უდედო და სუტ დედიანი. ორივე ოჯახი სრულ ობლათ ჩაითვლება. შეგვხდება აგრეთვე უვარგის დედიანიც. ყველა ოჯახი საქიროებს მიპატრონებას. სანამ რომელიმე ოჯახს მიეშველებოდეთ, სახეში უნდა მიიღოთ ოჯახის სიძლიერ-სისუსტე და გაქვთ საშვალეება მისცეთ დედა თუ არა. მაგალითად ოჯახი თუ უდედოც არის და ძლიერ სუსტიც, ასეთი ოჯახი ყველას სჯობია შეურთო მეორე სუსტ ოჯახს, მაგრამ დედიანს. უკეთუ გაზაფხულზე ზედ მეტი დედა არა გყავთ, მიშინ მეტი ჯანი არ არის, პირველათ შეაერთებთ დედიან სუსტ ოჯახებს; ამით თქვენ დაგირბებათ ზედ მეტი დედა, რომელსაც უდედოს მისცემთ, ამ შეერთებითვე თქვენ აღონიერებთ სუსტ ოჯახსაც.

სუტ-დედიანი ოჯახის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი ოჯახი ყველას სჯობია მოსპო და მისი ფუტკრები რომელიმე სუსტ ოჯახს შეურთო. ამას იმიტომ გირჩევთ, რომ როგორც უკვე ვიცით სუტ დედას, ამ ოჯახის გამანადგურებელს, ფუტკრები იმდენზე ეჩვევიან, რომ მის მაგიერ ნამდვილ დედას იშვიათად ითვისებენ. მაგრამ სუტ-დედიანი სკა თუ ღონიერია და მისი ცალკე ოჯახად დატოვება სასურველია, მაშინ ასე უნდა მოიქცეთ: აიღე სუტ დედიანი სკა და ძველ ადგილს დააშორე 50 ფეხის ნაბიჯით. ძველს ადგილას დადგი ახალი სკა, რომელსაც შუა ადგილას ჩაუდგი

სხვა სკიდან გადმოტანილი ერთი ჩარჩო ზედ მსხდომი ახალგაზრდა ფუტკრებით და ბარტყებით, ამავე ფიქაზე დააპატიმრეთ მისაცემი დედაც. სუტ-დედნიან სკას შეუბოლვე, ჩარჩოები თითო-თითოდ ამოალაგე და ფუტკრები იქვე მიწაზე დაბერტყე. ერთი სიტყვით თითოეულ ფიქას ფუტკარი მოაშორე და, თუ ფიქა სავარგისია, ახალ სკაში ისე ჩადგი, რომ შიგ ერთი ფუტკარიც არ შეყვეს. როცა ამ რიგათ ყველა საჭირო ჩარჩოს ახალში გადმოიტან, მერმეთ იქვე დაბერტყე სკა და ფსკერიც და ორივე იქაურობას მოაშორე. ფუტკრები დაბრუნდებიან და ძველ ადგილას ახალ სკაში შევლენ. მიწაზე დარჩება (ან დარჩებიან, თუ რამოდენიმეა) სუტ დედა, (რომელიც უკვე გადაწვეულია ფრენას და ბინის მიგნებას), თავის რამოდენიმე თაყვანის-მცემელი ფუტკრებით, რომელთაც, კარგი საქმე არ არის, მაგრამ იქვე გასრეს.

ახალ სკაში დაბრუნებული ფუტკრები, რაკი სუტ დედა არ ეყოლებათ, მიცემულ დედას მიიღებენ, მეტადრე თუ დედა კვერცხის მდებელია. დედის მიღებას შეატყობთ იმით, რომ გალიას ირგვლივ მწვიდათ ეხვევიან, ბოლო-აფხვერილები აღარ ებლაუქებიან, გალიის შიგნით დედის სასიკვდილოთ არ იწევენ, არამედ მის სააღერსოთ და საქმელის მისაწოდებლად.

რომ კარგათ დარწმუნდენ, დედა სავსებით შეითვისეს თუ არა, ამის გასაგებად აიღებ გალიას და ხელით შეანძრევ: თუ ფუტკრები გალიას აღარ ებლაუქებიან და ერთბაშით მოსცილდნენ, დედის მიღების იმედია, მაგრამ, მთლად რომ დარწმუნდენ, ყველას სჯობს, სკას ამოაცალო შუა გული ჩარჩო (რომელზედაც გალია იყო მოთავსებული) და დედა ფუტკარი ზედ გაუშვა და დაუკვირდენ, თუ ფუტკრები მაშინვე აღერსით შეხვდნენ, გზა დაუთმეს, აღარ შეუტიეს და სასიკვდილოთ მისკენ ბოლო აფხვერილები აღარ მიიწიეს, სრული იმედია იმისი, რომ დედას უკვე შეთვისებია.

წინააღმდეგში თუ დარწმუნდე, დედა, სანამ ფუტკრები რაიმეს აწებდნენ, ისევ დაიჭირე და გალიაში ჩასვი. ამ რიგათ 2—3 დღის შემდეგ, როცა სრულიად დარწმუნდები, რომ დედას უკვე შეეთვისენ, ტყვეობისაგან მხოლოდ მერე ანთავისუფლებ.

უკეთუ მისაცემათ არ გყავს განაყოფიერებული სათადარიგო დედა, მაშინ შეიძლება მისცე სამუშე კვერცხებიანი ფიჭაც. რაკი სუტ დედა არ ეყოლებათ, ფუტკრები აღზრდიან **გაჭივრების დედას**.

სამუშე კვერცხების მიცემას ყოველთვის სჯობს მივცეთ მწიფე სადედე. მართალია ამ დროს სადედის პოვნა ძნელია, მაგრამ შეიძლება რომელიმე ოჯახმა დედის სიკვდილის შემდეგ გაიკეთა რამოდენიმე სადედე, ან შეიძლება წინდახედულმა მეფუტკრემ რომელიმე ძლიერ ოჯახს, რაკი სათადარიგო დედა არ ყავდა, დედა წაართვა, რომელიმე ობოლს მისცა, და სკას სათადარიგო სადედეები გააკეთებინა. ასეთი შემთხვევის დროს სადედე სითბოში სიფრთხილით უნდა ამოქრა, ხელში არ შეატრიალ—შემოატრიალო და სწორეთ იმავე სახით, რა ნაირადაც დედა სკაში იყო, ობოლ სკას შუა ბუდის ფიჭაზე ჩაუყენა. (იხ. სურ. 65).

მაგრამ როცა ასე ვიქცევით, ესე იგი როცა იმედი გვაქვს, რომ ფუტკრები გაჭივრების დედას, ან ჩვენ მიერ ჩამყნილი სადედიდან დედას გამოიჩეკენ, მაშინ აუცილებლად სახეში უნდა გქონდეს, რომ ქალწული დედისთვის საჭირო იქნება მამლები. ისეთ დროს კი, როცა იმედი არ გვაქვს, რომ ობოლი ოჯახის მიერ გამოყვანილი დედა აუცილებელ საჭირო მამალს თავის დროზე ვერ იშოვნის, მაშინ იძულებული ვიქნებით ასეთი ოჯახი სხვას შეურთოთ, ან მისი ჩარჩოები და ფუტკრები სხვა და სხვა ოჯახებს გაუნაწილოთ.

ობოლი სკისთვის დედის მიცემა. ობოლი ოჯახი ყოველთვის ერთ ნაირი ხალისით არ ღებულობს ახალ დედას. დედის მიცემა უფრო ადვილია ადრე გაზაფხულიდან მოკიდე-

ბული ლალიანობის გათავებამდე, მერმეთ კი ისე რიგათ არ ითვისებენ. საზოგადოდ დედის მიცემას ყოველთვის სიფრთხილედ უნდა. სანამ დედას მისცემდე, წინდაწინ უნდა მოსპო ყოველივე მიზეზი, რომელიც ხელს უშლის დედის მიღებას: უდებობაში ფუტკრები დარწმუნებულნი და მით სასოწარკვეთილები უნდა იყვნენ, სკაში არ უნდა იყოს სუტ-დედა, არ უნდა ჰქონდეს დაწყებული სადედეები, (თუ აქვს, წინად უნდა ამოქრა) არ უნდა აწუხებდეს ქურდი ფუტკრები და შიმშილი. გარდა ამისა მისაცემ დედას უნდა მივალებინოთ იმ სკის სუნი, რომელსაც ვაძლევთ.

დედის უმარცხოთ მისაცემათ სხვა და სხვა საშვალცხას და სხვა და სხვა ნაირ გალიებს ხმარობენ. (სურათი 43) დედის მისაცემი გალია მასრის მაგვარია, წმინდა მავთულისაგან გაკეთებული; შიგ ფუტკარს შეძრომა არ შეუძლია. ასეთ მასრას ავიღებთ და წინ დლით ჩავდგამთ ობოლ სკაში; ამით მივალებინეთ ამ სკის განსხვავებულ სუნს, მეორედ დღეს ნაზათ, სუფთა ხელით დედას ვსვამთ ამ მასრა-გალიაში, თავებს დაუცობთ და ბუდის შუა ადგილას, ორს თაფლიან ფიქებს შორის მოვათავსებთ. ჩარჩოებს ერთი მეორეზე ისე მივწვეთ, რომ თაფლი გალიის გვერდებს ოდნავ მიეჭყლიტოს და შიგნიდან დედას საქმელით სარგებლობა შეეძლოს. ასე დაბატმრებული გკყავს ორ-სამ დღეს; ორი დღის მერმეთ ვნახავთ და, თუ შევატყვეთ-დედას ფუტკრები უკვე მეგობრულად ეპყრობიან, გალიას თავსაცობს გამოვადრობთ და მის მაგივრად მიაფარებთ თაფლიან ფიქას, რომელსაც ფუტკრები თვითონვე გამოსქამენ და დედას გაანთავისუფლებენ. თუ ვაატყობთ, რომ დედასთან ჯერ კიდევ კეთილ განწყობილებაში არ არიან, სჯობს მანამდე ვაცალოთ, სანამ კარგათ არ შეითვისონ.

სხვა ნაირად დედის მიცემა ასე შეიძლება: ობოლი სკის წინ უნდა გაფინო ზეწარი და ყველა ობოლი ფუტკრები ზედ დაფერთხო. დაფერთხილ ფუტკარს წმინდა საცრით უნდა მოაყარო ფქვილი; ასეთივე ფქვილი უნდა მოაყარო მისაცემ

დედასაც, და როცა ფუტკრები სკაში შესვლას დაიწყებენ, მათ შუა უნდა გაუშვა, სხვებს სკაში, დედაც შეყვება. ძლიერ ხშირად ამ ნაირად დედის მიცემა უმარცხოთ თავდება.

ბევრ სხვა და სხვა ნაირ ხრიკებსაც გვიჩვენებს, მაგრამ ყველას ზემოთ მოხსენებული საშვალეებანი სჯობია. ზოგჯერ გამოგერევა ისეთი ოჯახი, რომელიც, რამდენიც უნდა ვეცადოთ, დედას მაინც არ ითვისებს. ზოგჯერ კი დედის მიცემას არავითარი დავიდარაბა არა სჭირია. პირდაპირ საფრენიდან რომ შეუშვა და ცოტა ოდენი ბოლიც მიაყოლო, ობოლი ფუტკრები სიამოვნებით ითვისებენ. ბევრი არის დამოკიდებული თვით დედის სიყოფიერებაზე; ზოგი დედა უცხო სკაში ისე ამწყათ და უშიშრად შებრძანდება, თითქოს ამ ოჯახის ძლიერ-მოსილი მბრძანებელი იყოს. ზოგი კი ინაზება, შიშობს, თითქოს კანკალეგოს; ასეთი მოშიშარი დედა ფუტკრებსაც არ უყვარს და ძლიერ ხშირად მაშინვე შეუტყვენ.*)

დედის გამოცვლა. უვარგისი დედა უნდა დაიჭიროთ, ჩასვა გალიაში და ბუდის შვა ადგილას მოათავსოთ. ერთი დღე და ღამის შემდეგ გალიიდან უვარგის დედას გამოაგდებ და შიგ კარგ დედას ჩასვამ, გალიას სწორეთ იქვე მოათავსებ, სადაც წინათ იყო. დედების ასეთი შეცვლა უნდა მოხდეს სუფთა ხელით და სწრაფად, ისე რომ ფუტკრებს გალიაში ისევ თავისი დედა უნდა ეგონოთ. გამოცვლის მეორე დღეს, თუ დარწმუნდები, რომ თქვენს ეშმაკობას ფუტკრები ვერ მიმხვდარა და დედას შეთვისებთან, მასთან უკვე მეგობრულად არიან, დედას გაუშვებ.

ვისაც დედის ასე გამოცვლა რაიმე მიზეზით გაუძნელდება, იმან ჯერ აუცილებლათ სკას თავისი უვარგისი დედა წაართვას, აგრძნობინოს ობლობა და ერთი დღე-ღამის შემ-

*) იმ შემთხვევებს და იმ ზომებს ობოლი სკის გადედინებისას, რაც სუტ-დედიანობის დროს აღენიშნეთ, აქ აღარ ვიხსენიებთ, რადგან დარწმუნებული ვართ ერთხელ მოხსენებულით სხვა შესაფერ ადგილასაც ისარგებლებს მსურველი.

დეგ ახალი დედა ისე უნდა მისცეს, როგორც სრულიად უღედოს.

დედის მიცემის დროს დაიცავით:

ობოლ სკას დედა ერთბაშით არ მისცე, სკა შეაჩვიე ობლობას, დედას მასპინძელი სკის სუნნი მიაღებინე, ფუტკრებს გაანთავისუფლებინე, ქურდ ფუტკრებს ერიდე.

უძლური ოჯახების შეერთება.

ადრე გაზაფხულზე, ხილვის დროს, თუ ფუტკარი დადანიის სამ ჩარჩოს ორივე მხრივ მაინც არ ფარავს, სუსტად ჩაითვლება, მით უმეტეს, თუ ასეთ სკას დედაც უვარგისი ყავს. ასეთი ოჯახი ყოველთვის სჯობია მეორე მისებრ სუსტს შეუერთო და ორი უძლურის მაგიერ - ერთი ძლიერი ოჯახი დაგიჩქეს. გარდა ამისა შეერთება დაგვიპირდება იმ ოჯახისაც, რომელსაც დედა არ ყავს და, რომ მივცეთ, არც ჩვენ გვყავს სათადარიგო განაყოფიერებული დედა. სუსტი ობოლი ოჯახი რომ დაეტოვოთ, დედის გამოსაყვანი საშვალეა მივცეთ და იმას ველოდოთ, თუ როდის გამოიყვანს ის დედას, დედა განაყოფიერდება და კვერცხის დებას დაიწყებს, ეგ არ იქნება სსარგებლო, მაშასადამე ასეთი ოჯახის სხვასთან შეერთება სჯობს.

შეერთება ასე უნდა: ერთ ერთ შესაერთებელ სკას თანდათანობით, ყოველ ღლიური ადგილის გადმონაცვლებით დაუახლოვებ მეორე სკას. ერთ-ერთ სკას შეერთების წინა დღით დედას წაართმევ. (თუ ყავს, და თუ ობოლია, ობოლს, დედიანს დაუახლოვებ). ფუტკრების შეერთება სჯობს საღამო ეამს. შეერთების წინად მასპინძელ სკაში ჩარჩოებს ისე გასწევ, რომ ჩარჩოებს შუა თითო ჩარჩო კიდევ ჩაიმატოს; დედას დააპატიმრებ, მერმე ორივე ოჯახის ფუტკრებს აპკურებ ნელ-თფილთაფლ-წყალით, რომელშიაც თუ გაურევ რაიმე სურნელოვან

წვეთებს (პიტნის, ანისუნის ან სხ.) კარგია. ჰკურების შემდეგ ორივეს დაუბოლებ, ჰკურებიან და შეკომლებით ორივე ოჯახის ფუტკრებს ერთნაირი სუნი მიეცემათ. შემდეგ თითო-თითოდ ამოიღებ მისაცემათ საჭირო ჩარჩოებს და მასპინძელ სკაში თავის ადგილას ჩადგამ, ესე იგი ბარტყიანს-ბარტყიანის გვერდით, თაფლიანს — თაფლიანთან. რომელი ჩარჩოც მისაცემად არ გინდა, ფუტკარს მოაშორებ და შეინახავ. ამ რიგათ როცა ჩარჩოების ჩალაგებას მორჩები, ტილოს და ბალიშს მიაფარებ, სკას თავს დახურავ. რაც სკის კედელზე ან ფსკერზე ფუტკრები დარჩა იმათაც მასპინძელი სკის საფრენის წინ დაფერთხავ და სკას იქაურობას მოაშორებ, ერთს საფრენიდან შეუკომლებ და საქმეც მორჩენილია. მეორე დღეს დედას გაათავისუფლებ.

მეორე ნაირი საშვალეობა — ნაყრული.

შეერთება რომ არ დაგვიანდეს და შესაერთებელი სკების ერთი ერთმანეთის დაახლოვებაზე დრო არ დაკარგოთ. ასე მოქცევაც შეიძლება: დილით შესაერთებელი სკა ორივე უნდა გასინჯო, რომელსაც უკეთესი დედა ყავს დააპატიმრო, მეორეს კი სულ წაართვა. იმავე დღის საღამოს ორივე სკის ფუტკრებს შებოლებსა და ჰკურების შემდეგ ერთ სანაყრეში ერთად ჩაყრი, თავს მოუკრავ და ბნელსა და გრილ ალაგას ერთ დღე და ღამის განმავლობაში იყოლიებ. ორივე სკის სავარგისი ჩარჩოები ერთ ერთ სკაში უნდა ჩალაგო და საფრენი ისე დაუკეტო შიგ ფუტკარი არ შეგეპაროს.

მეორე დღის საღამო ეამს დაპატიმრებულ დედას გალიით ჩარჩოებ ჩაწყობილ სკაში ათავსებ და ფუტკრებს ნაყარივით სკის წინ გაფენილ ტილოზე ყრი. ასე ნაყრულად შეერთებულ ფუტკრებს თავისი ძველი ბინა ავიწყდებათ და ახალ ბინაზე ნაყრული გატაცებით იწყებენ შრომას. ფუტკრების დაწყნარებისა და გულის დადების შემდეგ დედას გაანთავისუფლებ.

სითბოს საჭიროება.

სუსხიანი ზამთრის სიცივის დროს ფუტკრებს სითბო ისე არ სჭირია, როგორც ეხლა; ოჯახს ეხლა უჩნდება უსუსური ბარტყები და სითბოც მეტი საჭირო ხდება, ვიდრე რომელიმე სხვა დროს. მეფუტკრემაც სკას ფხიზლად უნდა მიხედოს და სკაში საჭირო სითბოს დაცვას ხელი შეუწყოს. ეხლა სკის ხშირი ახდა, ბუდის ჩხრეკა, შეუწყნარებელია. მეფუტკრეც უნდა ეცადოს გაზაფხულზე სკა ერთ-ორჯერ გახილოს, ისიც სიფრთხილით და ისე გაამზადოს, რომ მისი ხშირი ახდა აღარ დასჭირდეს. სკების ხილვის დროს მეფუტკრემ ბუდე უნდა შეავიწროვოს, უნდა დაუტოვოს საღი სამუშე ფიჭები მხოლოდ იმდენი, რამდენსაც ფუტკარი აზის და, მაშასადამე, მათი სიცივისაგან დაფარვაც შეუძლია. დანარჩენი ჩარჩოები კი ბუდეს უნდა მოაშოროს. ბუდის კიდურ ჩარჩოებს ორივე მხრით გადასაკედლავი ფიცარი უნდა მიათაროს, ზემოდან ტილო და ბალიში აუცილებელია. ჩარჩოების მიმატება უნდა ოჯახის მოძლიერების შესადარათ; რამდენად ოჯახი ძლიერდება, შიგ ფუტკართა რიცხვი მატულობს, სიცივე კლებულობს, ბუდესაც იმის შესაფერად თან და თან აფართოებს.

საზრდო, მისი საჭიროება, მომზადება და მიცემა.

როცა მეფუტკრე სკების საერთო ხილვას მორჩება, ბუდეს შეავიწროებს, სუსტ ოჯახებს შეაერთებს, ობოლს დედას მისცემს, უვარგის გამოცვლის, ყოველივე ამის შემდეგ მეფუტკრისთვის ადვილი გადასაწყვეტი იქნება, თუ რომელ ოჯახს, რამდენი საზრდოს მიმატება ეჭირვება. (ცხადია, თუ რომელიმე ოჯახი აშკარა შიმშილობას განიცდის იმას სარჩოს დაუყონებლივ აძლევს).

ზამთრის განსვენების დროს, თუ ფუტკარს არაფერი აწუხებს და მყუდროთ არის სარჩოს ძლიერ ნაკლებათ ხარჯავს, სწო-

რეთ იმდენს, რომ სული შეირჩინოს, მაგრამ სულ სხვა საქმეა, როცა დედა კვერცხის დებას შეუდგება. ამ დროს ფუტკრებისთვის საზრდოს სიუხვე აუცილებელია, რადგანაც ეხლა უხვათ აქმევენ დედას, აქმევენ ბარტყებს, სკამენ თვითონაც, ერთი იმისთვის რომ მხნეთ იყვნენ და მეორეთ მადღრებს უფრო შეუძლიათ სკაში ბარტყებისთვის აუცილებელი სითბო დაიცვან. ამისათვის არც ერთი გონიერი მეფუტკრე ამ დროს ფუტკრებისათვის საქმელს არ დაზოგავს, რადგანაც ეს იქნება მხოლოდ მიბარება, რამდენ მეტს მივაბარებთ, იმდენ მეტს ჩაგვაბარებს. ამ დროს ფუტკრების უხვათ კვება გავს სახნავსათესი მიწის უხვათ და თავის დროზე გაპოხიერებას—ვინც მიწას თავის დროზე მეტ და პოხიერ სასუქს აყრის, ჭირნახულსაც მეტს მოიწვეს.

ის ვინც ხარბი არ არ არის, იცის თუ რა აუცილებელია ფუტკრისთვის საზრდო, მისი ფუტკარი გაზაფხულზე უზრუნველ-ყოფილია, რადგან მისმა მომვლელმა მას შემოდგომაზე იმდენი თაფლი დაუტოვა, რომ მათ, რაც უნდა უკმაკური ზამთარი და გაზაფხული დაუგეს, საზრდო უხვ ღალიანობამდე მაინც ეყოფა. ყოველ შემთხვევაში, თუ მეფუტკრე ატყობს, რომ პირველი ხილვის დროს (ე. ი. თაფლოვან ყვავილების აყვავებამდე) საშეალო სიძლიერის ოჯახს არ აქვს 15—20 გირ. თაფლი, ასეთ ოჯახს ეჭვირება საზრდოს მიმატება. ეს მით უმეტეს არის საჭირო, რადგან ჩვენში ძლიერ ხშირია, სწორეთ იმ ყვავილების დაზრობა (მოწვა) რომლის ღალიანობის იმედიც გვექონდა-

ფუტკრების ყველაზე უკეთესი სალი და შესარგისი საკვები არის ისევე თქვენივე საფუტკრის თაფლი*) ჩარჩოში სარაქათ, რომელსაც გახსნით, ესე იგი სარაქს გადააცლით დაბეჭდილ

*) თუ სხვისი საფუტკრის სარაქ თაფლს ხმარობთ ღრმათ უნდა იყო დარწმუნებული, რომ სარაქი ავათყოფი ფუტკრის არ არის—წინააღმდეგ შემთხვევაში, ავათყოფობის გაჩენას ფუტკრების შიმშილით სიკვდილი უნდა ამჯობინო.

სიფრიფანა თავს, ცეცხლზე მიცხუნებით ოდნავ შეათბობთ და საღამოს ჩაუდგამთ გასაკვებ ოჯახს. საზრდოთ მიცემული ჩარჩო უნდა ჩადგათ არა ბუდის შუაზე, არამედ უკანასკნელ ფუტკრიან გვერდის ჩარჩოს მეზობლად. უკეთუ სარაქი თაფლი არ გვაქვს მაშინ სხვას ისევ დაწურული თაფლი სჯობია, შემდეგ კი, ფუტკრების საუკეთესო საკვებათ, ითვლება წმინდა შაქარი.

აღრე გაზაფხულზე, სანამ ჯერ კიდევ ღალიანობა არ დაწყებულა და ნაკლები სითბოა, ფუტკრებს, უნდა ეძლიოს მხოლოდ და მხოლოდ სქელი საკვები და ერთბაშათ უხვი ჯერი უნდა მიეცეს. ცოტ-ცოტა ჯერობით კვება და თხელი საკვებით დედა ფუტკრის მიერ გამოიწვევს უხვ კვერცხის დებას, რომელთაც აღსაზრდელად და სიცივისაგან დასაფარავათ სათესლე ფუტკარი ვერ მოერევა და სარგებლობის მაგიერ ზარალი მოყვება.


საკვები თაფლის ფაფის მომზადება: აიღე ორი ჩაის ჭიქა წმინდა სალი თაფლი და ერთი ჭიქა წყალი. წყალი ჩაუშვი სუფთა ჭურჭელში და როცა გაცხელდეს, ცოტ-ცოტაობით უმატე თაფლი, ისე რომ წყალში სულ გაიხსნას. ცეცხლი იყოს ნელი, სითხეს ურიე, ეცადე ჭურჭელს ფსკერზე ან გვერდებზე არ მიეკრას და უმთავრესათ არ მოიხრაკოს. შეზავებულ სითხეს აცლი ორ სამ წამოდულებას, რის შემდეგ გადმოდგამ და როცა ფუტკრებისთვის მისაცემათ მზათ იქნება, ესე იგი, იქნება მხოლოდ ნელ-თბილი, მაშინ გაურევ შიგ ფორმალინის წვეთებს. ფორმალინი სიმყაყის წინააღმდეგი საშვალეა, იყიდება აფთეკებში 40⁰/₀. ერთ ჩაის ჭიქა საკვებათ მომზადილ ფაფას, ხსენებული სიძლიერის ეყოფა 5—6 წვეთი. ამის შემდეგ ფაფას ჩაასხამთ ჭურჭლებში და სანამ სითბოს დაკარგავდეს მისცემთ მშიერ ოჯახს.

შაქრის ფაფაც სწორედ იმ გვარადვე უნდა შეაზავოთ, (იმავე რწყით) ისეთივე სიფრთხილით უნდა წამოადულოთ და ფორმალინიც იმავე დროს და იმდენივე წვეთი უნდა უყოთ,

როგორც თაფლის ფაფას.

ფაფის მომზადება ყველას სჯობს თიხის ან თითბრის ქურჭელში, თუ სპილენძის ქურჭელს ხმარობთ აუცილებლად მოკალეული უნდა იყოს. (მომზადილი ფაფა შესანახად ლითონის ქურჭელში არ დაიტოვება).

ფაფის მისაცემი ქურჭელი. საკვების მისაცემათ ბევრ სხვა და სხვა ნაირ ქურჭლებს ხმარობენ. ჩვენთვის



სურ. 48.

საკვების მისაცემი შუშის ქილა. ა—ქილა, ბ—თავის მოსაკრავი წვრილი თოკი, გ—თავსაკრავი.

ყველაზე უფრო ხელ მისაწვდენია შუშის უბრალო დაბალი ქილები, რომელშიაც უნდა ჩადიოდეს მომზადილი ფაფა არა ნაკლები ორი ჩაის ჭიქისა. ასეთი ქილები კარგათ უნდა გარეცხო, შეამშრალო და შიგ უნდა ჩაუშვა ნელ-თბილი საკვები. თავი უნდა მოუკრა თხელი ამერიკით ან მინტკალით, რომელსაც ხმარის წინ გარეცხა უნდა.

საკვების მიცემა—ყოველთვის უნდა საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ. ახდი სკას თავს, ააცლი ბალიშს, ასწევ ტილოსი წინად გამოჭრილ ენას და ქილას თავსაკრავს დაუსვენლებთ და გადმოპირქვავებულს დაადგამთ ჩარჩოების ზედა პირზე. ტილოს და ბალიშს ისევ მიაფარებთ. (ერთი სიტყვით, ქილის ჩადგმის შემდეგ, ზემოდან სკას, არამც თუ უნდა მიაკლოთ სითბო, პირიქით, მომატებაა საჭირო). სკას თავს

დახურავთ. სითხე სველ თავსაკრავში გამოჟონვას იწყებს, და მშიერი ფუტკრებიც გამოოსუტავენ*).

დილით, მიუხედავთ იმისა, ფუტკრებმა დასცალეს თუ არა, ქურჭელი მაინც უნდა ააცალო და, თუ საჭიროა, საკვები სალამოს ისევ ზომაზე შეათბო და ისევ მისცე. ამ რიგად საკვები უნდა მისცე ზედიზედ იმდენი მაინც, რომ თითოეულ მშიერ ოჯახს 10 გირვანქამდე დაურჩეს მიღებული. ლალიანობის გაჩენამდე თითოეულ ოჯახს ყოველთვის ამდენი საზრდო ექვირება.

თაფლის ფაფის მიცემის დროს ქურდობის გაჩენის მეტი შიშია, ვიდრე შაქრით კვების დროს, რადგან თაფლის სუნი სხვა ოჯახის ფუტკრებსაც მსწრაფლ ეყნოსება. ამისათვის მშიერი ოჯახის კვების დროს დიდი სიფრთხილე და თვალყურის გდებაა საჭირო. ყველა სკის საფრენი უნდა შეავიწროვოთ და უნდა გახსოვდეთ, რომ საფუტკრეში ფაფა არ დაღვაროთ.

ასეთი კვება, საზოგადოთ, როგორც ტკბილი სითხით, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ვატყობთ რომ ხვალაც დარი იქნება და მაშასადამე კვების მიერ გამოწვეულ კუჭის გაწმენდას ფუტკრები გარეთ გამოსვლის მეოხებით შეიძლებენ.

კვების საერთო წესი:

1. საკვები ფაფა უნდა იყოს სქელი და სუფთად მომზადილი.
2. უნდა მიეცეს ნელ-თფილი და საკმაო ჯერი, ფორმალინ გარეული.
3. უნდა მიეცეს სალამოობით, კას ამინდში და დილას ისევ წაერთვას.
4. ერიდეთ ქურდებს და ბუდის გაცივებას.


*) საკვები ქილების გადადგმის შემდეგ, თუ სკას სახურავი არ დაედგას, ჯერ საკუჭნაოს ყუთი გადაადგით და მერმეთ საკვები მიეცით.

მშრალი და ხელოვნური ფიქვა.

ფუტკრების ოჯახების ადრე მოღონიერებას ხელს უწყობთ იმიტაც, თუ თავის დროზე მივაშველებთ მზა - მზარეულ მშრალს ან ხელოვნურ ფიქას.

ჩვენი შრომის თეორიულ ნაწილიდან ვიცით, თუ რამდენი შრომა, ხარჯი და ძვირფასი დრო ეკარგებათ ფუტკრებს მის გაკეთებაზე. მუდამ გამორჩენის მოყვარული, ანგარიშიანი ადამიანი ამას ღრმით დაუკვირდა და პირველად სცადა ფუტკრისთვის მიეცა ნახმარი უთაფლო, მშრალი ფიქა. ცდამ მშვენიერი ნაყოფი მოიტანა: ფუტკრებს მზა-მზარეულად მიცემული ბარტყების აღსაზრდელი აკვანი და საზრდოს შესანახი ჭურჭელი დიდათ იამათ, დიდის ხალისით შიილეს, აქა იქ ხმარის გამო დაჭმუჭნული ადგილები შეასწორეს და საჭიროების დავარად მოიხმარეს. მაგრამ, რადგან მშრალი ფიქის ყოველთვის და საჭიროების დასაკმაყოფილებელის შივნა ძნელია, ამისათვის ადამიანი მარტო ამით არ დაკმაყოფილდა, თვითონ მოისურვა ხელოვნურად ცვილისაგან ფიქის გაკეთება. მოისურვა და კიდევ აღასრულა. ამისი მაღლიერი უნდა ვიყოთ გერმანელი **მერინგის**, რომელმაც გააკეთა ხელოვნური ფიქის მოსამზადებელი მანქანა. ხელოვნური ფიქის თავის დროზე წესიერად ხმარას მეფუტკრეობის აღორძინება მოყვა—თაფლის შემოსავლის მატებას დიდათ შეუწყო ხელი. მართლაც და რა შეიძლება უკეთესი! ხელოვნურად ფიქას ვაკეთებთ, ფუტკრებს ვაძლევთ, 10—15 წელიწადს ვხმარობთ, მერმეთ მაინც ისევ სანთელია, — არაფერიც არ იკარგება. ხელოვნური ფიქა, ფუტკრებისთვის მიცემული, ვაჭრული ენით რომ გამოვხატოთ საწარმოო ძირითადი თანხაა, რომელსაც ყოველ წლიურად თავის ღირებულებაზე ბევრად მეტი სარგებელი მოაქვს. მართალია, ხელოვნური ფიქა ჯერჯერობით რომ ხმარებაშია, სრულად მოთავებული არ არის, არამედ დასრულებულია მისი უმთავრესი საფუძველი და ზედ დაწყე-

ბულია უჯრები, მაშასადამე ფუტკრისაგან კიდევ საჭიროებს უჯრების სიღრმის დასრულებას, მაგრამ ფუტკრებისათვის, როგორც ვთქვი, უმთავრესი საქმე მაინც დიდათ არის შემსუბუქებული.



სურ. 49.

ხელოვნური ფიჭის ფურცელი.

ადამიანი წინ მიისწრაფვის, ეხლა ცდილობენ გააკეთონ ისეთი მანქანა, რომელზედაც შეიძლებოდეს თითქმის სრულიად დასრულებილი ფიჭის გაკეთება. ცხადია, სრულად დასრულებული ფიჭა მეტ სარგებლობას მოიტანს, მაგრამ ეხლაც რომ ფიჭებს აკეთებენ, მისი წესიერი ხმარაც საფუტკრის შემოსავალს საგრძნობელად აღიდებს.

ხელოვნური ფიჭის შექმნა და მისი სინამდვილის გამოცნობა.

ხელოვნური ფიჭის საკეთებელი მანქანა იაფი არ არის, მაზედ მუშაობა თხოულობს გამოცდილებას, ამისთვის მისი შექმნა და მაზედ მუშაობა უმეტესობისათვის მიუწლომელია.

სჯობს ხელოვნური ფიჭა შეიძინოთ ნდობა—დამსახურებული ოსტატ მრეწველისაგან გაკეთებული,

ან და შეგიძლია ოსტატს მიუტანო შენი საფუტკრის
სალი ცვილი და გააკეთებინო. (გირვანქას აბაზათ აკეთებენ).

ხელოვნური ფიჭის შექმნის დროს დიდი სიფრთხილე და
გამოცდილება გმართებს... წმინდა ცვილს ხშირად სხვა და
სხვა ნივთიერებას ურევვენ და ისე ასაღებენ. გარდა ამისა
აკეთებენ თხელსაც და სქელსაც. წონით თხელი ცხადია მეტი
ფურცელი გამოვა, მაგრამ ყოველთვის სქელი სჯობს, რადგან
ჩარჩოში უფრო მკვიდრათ იქნება, არ ჩაიღვენთება და მეტ
ხანს გამოგვადგება. ბუღისთვის საუკეთესოა თუ გირვანქაში ნ
ფურცლის მეტი არ გამოვა. (დადან-ბლატის სკის ჩარჩოსთვის).

ცვილს თუ შიგ სხვა რამ აერია ხელოვნური
ფიჭა კარგი არ იქნება: სიმძიმეს და სიცხეს ვერ გაუძლებს,
ძირს ჩაიწვეს, უჯრები საჭირო მოყვანილობას და სიზრქეს
დაკარგავს.

თუ სიყალბე ურევია ამ რიგათ) გამოიცნობა: აიღე
ერთი ღვინის ჭიქის მესამედი სპირტი. მაგრათ დაა-
სორსოლე მუხუდოს ოდენა შენივე საფუტკრის წმინდა სან-
თელი და ჩააგდე სპირტიან ჭიქაში. ჭიქას უმატე ცოტ-ცოტა
წყალი მანამდე, სანამ დასორსოლებული მრგვალი სანთელი
ჩასხმული სითხის შუა სიმაღლეზე არ გაჩერდეს. მერმე აიღე ხელოვ-
ნური ფიჭა, დაასორსოლე მრგვლად სწორეთ იმ ზომის და სიმაგ-
რის რა ზომისაც თქვენი წმინდა ცვილი დაამრგვალეთ და ისიც
ჩააგდე თქვენი ჭიქაში, უკეთუ სტაქანში ხელოვნური ფიჭაც იმ სი-
მაღლეზე გაჩერდა, რა სიმაღლეზედაც ნამდვილი წმინდა სანთე-
ლი დგას, ეჭვი არ არის ხელოვნური ფიჭა, ნამდვილი ცვი-
ლისაგან ყოფილა გაკეთებული. უკეთუ ნამდვილ სანთლის
ქვემოთ ან ზემოთ გაჩერდა, სჩანს შიგ გაურევიათ სხვა ნივ-
თიერება, რომელიც ნამდვილ სანთელზე ან მძიმე ან
სუბუქია*).

*) ასეთი გამოცნობა არის დამოკიდებული წილად წონაზე.

ჩარჩოში ხელოვნური ფიქის ჩაწებება.

ყველა ჩარჩო სანამდე სკაში ჩავდგამდეთ საქიროებს სანიმუშოთ ფიქის მიწერებას. ამით ჩვენ ფუტკრებს ვაძლევთ მაგალითს თუ სად დაიწყონ ფიქების შენება. ჩემს მოსწრებაში ბევრი შემხვედრია ჩარჩოიანი სკა, რომლიდანაც ვერც ერთ ჩარჩოს ისე ვერ ამოიღებდი, რომ მეორე არ გაფუჭებულიყო. რისთვის? მისთვის რომ ჩარჩოებისთვის წინათ სანიმუშოთ ფიქა არ გაეკრათ—უნიმუშო ჩარჩოებზე ფუტკრებს ფიქები თავის სურვილისამებრ გაეშენებინა—ერთი მეორისათვის გადაება. უნიმუშო ჩარჩო ჩაიდგმის მხოლოდ ორს წესიერად ჩადგმულ და გაშენებულ ჩარჩოს შუა, რადგან მაშინ შუაზე სწორეთ ერთი ფიქის ადგილი დარჩება, ფუტკრებიც ძალა უნებურად ჩარჩოზე წესიერად დაიწყებენ მუშაობას. სხვა დროს კი ჩარჩოს ზედა თამასის ქვედა პირზე, სწორეთ სიფართის შუა ადგილზე, თუ არც ხელოვნური და არც მშრალი ფიქა არ გეშოვებათ, სანთლის ხაზი მაინც უნდა გაავლოთ, რომელიც ფუტკრებს ფიქის დაწყების დროს სანიმუშოდ და საძირკვლად გამოადგებათ.

სანიმუშოთ ფიქის მიწებება ასე უნდა: აიღეთ ცვილი, დადევით ტაფაზე და ნელ-ცეცხლზე გაადნეთ. ბატის ფრთით გამდნარი სანთელი წაუსვით ჩარჩოს ზედა თამასის ქვედა პირს და ზედ სწორათ (და არა თავ-დაყირად) დაადევით ნახევარი ვერშოკის სიმაღლის ფიქა. თუ მთელი ჩარჩოს სიგრძეზე იქთ კარგია — თუ პატარა ნაჭრები გაქვ, ორ სამ ადგილას დააწებებთ. ბუღისთვის სანიმუშოთ უნდა იხმაროთ სამუშე ფიქა.

ხელოვნური ფიქის ჩარჩოში ჩაწებება ასე უნდა: ფიქა რომ მკვიდრათ ჩაშენებული დარჩეს და სხვა და სხვა ხანგრძლივი ხმარის დროს, რომ არ ჩამოიშტერას, ამისათვის ვიდრე ფიქას ჩარჩოში ჩავაშენებდეთ, მანამდე ჩარჩო უნდა გაიბანდოს აშკით (მოკალეული რკინის წმინდა ძაფი).

ჩარჩოს ზედა თამასის ქვედა პირზე და ქვედა ოთხ-კუთხი თამასის ზედა პირზე, სადურგლო იარაღით (რეისმუსით) გაავლებ თამასის სიფართის შუა ხაზს. (ეს შეიძლება ჩარჩოს შეკვრამდეც) ამ შუა ხაზზე თვალის შეზომვით ისე როგორც სურათ ნა-ზეა, ერთი მეორის დაშორებით, ოთხ ადგილას, როგორც ზევით ისე ქვეათ, დანიშნავ წერტილებს. შერმეთ აიღებ ორკავა წმინდა ლურსმანს, ანუ როგორც უცხოეოები ეძახიან **აგრაფებს** და ჩაარკობ დანიშნულ წერტილებში. უბრალო მარწუხით იმდენზე ჩააქედ ხეში რომ დარჩეს აშკის გასაყარი ყუნწი*).



სურ. 50.

პაშუს ზუმბა.

აგრაფის ყუნწში, ჩარჩოს ერთ-ერთ დაბლა თავში, გაუყრი აშკს, გაიტან წვერით და ახლა მის გასწვრივ ზედა აგრაფის ყუნწში გაუყრი. ამ რიგად ოთხ ადგილას აშკით ჩარჩოს გაბანდავ, ბოლო წვერს აშკზე შემოახვევ და მიამაგრებ. ისევე მიამაგრებთ მეორე ბოლოსაც. აშკი უნდა დარჩეს იმდენზე გაჭიმული რომ, როცა ხელით შეეხები, სასიამოვნო სიმის წკრიალა ხმა დაუარჩეს.

ფიჭების ჩაწებებისათვის გვჭირია ორმაგი ჩაიდანი, რომლის შიგნით გვიდგას გამდნარი ცვილი, რომელსაც

*) მარწუხის მაგიერ ხმარობენ ეგრეთ წოდებულ „პაშუს ზუმბას“ რომელშიაც აგრაფი ყუნწით შეიწყობა, ტარს ხელს დააქერ და აგრაფი ხეში სწორეთ იმდენი ჩაიჭედება, რომ დარჩება აშკის გასაყარი ადგილი. პაშუს ზუმბა ადრე ფუჭდება—მარწუხით კი იგივე საქმე შეგვიძლია გავაკეთოთ, მასთან მარწუხი დაგვჭირდება აშკის მოსაჭერათაც.

გარედან ყოვლის მხრით, სანთელი რომ აღრე არ გა-
ცივდეს, უვლის ცხელი წყალი. გარდა ჩაიდანისა გვქი-



სურ. 51.

ორმაგი ჩაიდანი თავისი ტარით.

რია „ვუაბლეს დეზი“, მოგვინდება აგრეთვე თხელი სუფ-
თა ფიცარი იმ ზომაზე გაკეთებული, რომელიც ჩარჩოში თავ-
ვისუფლად ჩაიდგმის, მაგრამ წინაღვე დატანებული ყურების
წყალობით, ჩარჩოების გვერდის თამასებს ედგმის და, მაშასა-




სურ. 52.

ფიჭოს მიწებების დროს სახმარი ყურებიანა ფიცარი.

დამე, დანიშნულ ადგილს იქით აღარ იწევს. ამ სახით ფი-
ცარს უნდა უქნათ სისქე ჩარჩოს ზედა თამასის სიპრტყის ნა-
ხევარზე ოდნავ ნაკლები. (ხელოვნური ფიჭის სისქის ნახევარი
უნდა აკლდეს).

როცა ყველაფერს გავიმზადებთ, ჩაიდანში შუა ადგილს
სანთელს ჩავყრით, მეორე ნახევარს ცხელი წყლით გავავსებთ,
დავდგამთ მაყალზე და, როცა სანთელი გადნება, საქმესაც


შეუდგებით. დავდებთ უკვე მომზადილ ფიცარს, რომელზედაც დავადებთ ჩარჩოს ზომაზე, მახვილი დანით გამოჭრილ ხელოვნურ ფიქას; ზევიდან ფიცარზე და ფიქაზე, ასე ვთქვათ, ჩამოაცმევთ ჩარჩოს. ზომაზე გაკეთებული ფიცარი კალაპორტივით დარჩება, ფიქას გააჩერებს ჩარჩოს სწორეთ შუა ადგილას. გაკრული აშკი დარჩება ზემოდან, განგებ დატოვებული კბილიანი ღარით, აშკს დავადებთ ოდნავ ცხელ ვუაბლეს დეზს



სურ. 53.

ვუაბლეს დეზი.


და ქვეიდან ზევით ავაგორებთ. დეზი დააწვება აშკს და ჩამალავს ხელოვნურ ფიქაში. ამ გვარად ფიქაში ჩავმაღავთ ოთხივე აშკს. შემდეგ ჩარჩოს ავწვევთ ცალი ხელით ფიცრიანებ



სურ. 54.

მეფუტკრე ჩარჩოში ფიქას აწებებს—ჩაიდანით სანთელს ასხამს.

(იხ. სურ. 54) დავიქვრთ ცერათ და ჩაიდანით ჩარჩოს ზედა ყურში დავასხამთ გამდნარ სანთელს, რომელიც ჩამოსდევს ჩარჩოს და ფიქას შუა და ფიქას ჩარჩოზე მიამაგრებს. როცა სანთლის მისხმას ერთის მხრით მორჩებით, და მიხმული სანთელიც გაცივდება, ფიცარს მეორე მხრით დაუქვრთ და სანთელსაც მეორე მხრიდანაც მივასხამთ.



სურ. 55.

აშკით გაბანდული ჩარჩო ფიქა ჩაწებებული.

ასევე შეიძლება ხელოვნური ფიქა ჩავაწებოთ საკუქნაოს ჩარჩოშიაც. საკუქნაოს ჩარჩოს აშკით გაბანდვა არ სჭირია. ყველა ჩარჩოში შეიძლება ფიქის ნახევარი ან ნაკლებიც ჩავაწებოთ. ბუდის ჩარჩო ხელოვნური ფიქით ქვედა თამასამდე არ უნდა გაივსოს არამედ უნდა მიაკლდეს ნახევარი ვერშ. (იხ. სურ. 55).

ბუდის გაფართოება—გაგანიერება.

როცა უკვე ხეხილები ყვავის, ფუტკართა მუშაობასაც მეტი სიცხოველე და ხალისი ეტყობა, მაშასადამე დროც არის ბუდის გაგანიერებას შეუდგეთ.

ამისათვის სჭირია სკა დაათვალიერო, უკეთუ კიდურ

ჩარჩოებს ორივე მხრით ფუტკარი ფარავს, სჩანს, ჩარჩოების ჩამატება და მით ბუდის გაგანიერება საჭირო ყოფილა. ბუდის ერთბაშათ გაფართოება არ ვარგა, ამისათვის ჯერჯერობით მხოლოდ ორი ჩარჩო უნდა ჩაემატოს. გადასამკედლოვ ფიცარს ორივეს სკის კედლისაკენ მისწევ, ამ ფიცრისაკენ მისდგამ კიდურ ჩარჩოებს და მათ ადგილას ჩაუმატებ ახალ ჩარჩოებს. ამ დროს თუ გეჭნებათ და მისცემთ წარსული წლის ნახმარ, სრულიად მზა-მზარეულ მშრალ ფიქსს, ცხადია, ხელოვნურ ფიქსს აჯობებს და, მით უმეტეს, მარტო ნიმუშ მიკრულს.

როცა მიმატებული ჩარჩოებიც გაივსება, და ხედავთ, რომ ფუტკარი ეხლაც კიდურ ჩარჩოებს ფარავს, მაშინ ჩარჩოებს იმავე რიგად კიდევ მიუმატებთ. ხელოვნური ფიქა ბუდის შუაზე არ ჩადგათ, რადგან ამით შუა ბუდეში აღი მართება ყრუ კედელი და დედას ხელს შეუშლის კვერცხის სადებათ სხვა ჩარჩოზე გადასვლას. გარდა ამისა, ხელოვ. ფიქა ნახია, ბუდის შუაზე მეტი სითბოა და შესაძლებელია ფიქა ჩაიღვენთოს. ამისათვის ხელოვნური ფიქა ჯერ კიდურ ჩარჩოებს შუა ჩადგით, მერმედ, როცა ფუტკრები უჯრებს დაასრულებენ და, მაშასადამე, ფიქაც გამაგრებული იქნება, მაშინ, თუ საჭიროება მოითხოვს, ბუდის შუაზედაც შევიძლია ჩადგა — ის ეხლა დედისთვის ყრუ კედელი კი აღარ იქნება, არამედ სამსახურსაც გაუწევს, რადგან კვერცხის ჩასადებათ გამზადებულია.

ასეთი ფიზიკური თვალ-ყურის გდებით უნდა ვეცადოთ ფუტკრები არ მოცდნენ, და თან თანობითი, თავის დროზე ჩარჩოების ჩამატებით, უხვ-ღალიანობაზე დადან ბლატის სკის 11 ჩარჩო სრულიად სავსე უნდა იყოს. სრულიად სავსე დაერქმის, თუ ყველა ჩარჩოს ორი მხრით ფუტკარი ფარავს და გარდა ამისა ფიქების უმეტესობაში ბარტყებია, ხოლო ჩარჩოების თავზე ბარტყების საკმაო საზრდო. მხოლოდ ასე სრული სკა, თუ ნაყარი არ გვინდა მოგვეცეს, თამამად გადიდ-

გამს საკუქნაოს და შიგ ჩვენ სასარგებლო მუშაობასაც შეს-
ძლებს.

უხე-ღალიანობის შესახვედრი თაე და რიგი.

რამდენად ბუნებაში სითბო მატულობს, გაზაფხული თა-
ვის ძლიერებას იჩენს, სათაფლო მცენარენი აყვავებას იწყებენ,
იმდენად ღალიანობა მატულობს და სკაში ფუტკართა
გამრავლებაც ყოველ დღიურათ უნდა მატულობდეს.
თავის ნებაზე მიშვებული ფუტკარიც ასე იქცევა—ბუნების
საერთო გამოღვიძებას თავის ოჯახის აღორძინება—გამრავლე-
ბას უღარებს. მით უმეტეს მეფუტკრე ვალდებულია ფუტკარ-
თა თანდათანობითი გამრავლებას ყოველის ღონის ძიებით
შეუწყოს ხელი.

მან მტკიცეთ უნდა იცოდეს, თუ როდის იწყებენ ის
ყვავილები აყვავებას, რომლებსაგანაც ის მოელის, რომ ფუტ-
კრები მათგან შეკრებილი ღალით თავის თავს საზღოთი უზ-
რუნველ ყოფენ და მომვლელსაც საკუქნაოს თაფლით დააჯი-
დობენ. ასეთ დროს უმთავრესი ანუ **უხვი ღალიანობა** ეწო-
დება. იმ ყვავილების ღალას, რომლებიც უხვ ღალიანობამდე
კანტი-კუნტათ ყვაოდნენ ფუტკრებს ეხარჯებოდათ ბარ-
ტყებისა, დედისა, თავიანთ კვებაზე და ოჯახის მოწესრი-
გებაზე. უხვმა ღალიანობამ კი, თუ ბუნების მოულოდნელი
სიმკაცრის მიზეზით არ გვიღალატა, ერთბაშათ იმოდენა ნექ-
ტარი იცის, რომ, სკას თუ მოვლა არ აკლია, ყველაფრით
აღორძინებულია, საკუქნაოს გადაიდგამს და მომვლელის და-
საჯილდოებელ თაფლს შეინახავს.

როცა მეფუტკრეობას ასე ანგარიშის თვალით შევხედავთ,
ცხადი იქნება, რომ უხვ ღალიანობას მზადება უნდა დავასწროთ
და სწორეთ, იმ დროს როცა უხვი ღალის გაჩენას მოველით,
სკა უნდა გვყავდეს არამც თუ ისე ძლიერი, ბუდეს ავსებდეს,
არამედ ადგილის სივიწროე ოდნავ ემჩნეოდეს და ჩვენც იმე-

დი უნდა გვქონდეს, როცა ამ დროს საჭირო საკუქნაოს გადავადგამთ, მუშა ფუტკრები, იმდენზე რიცხვ მრავალნი იქნება, რომ მათთვის საკუქნაოში ასვლა და იქ შრომის გაჩაღება აუცილებელი იქნება.

ასე მსჯელობს და ამის თაღარიგს იქერს არამც თუ თაფლობის მიმდევარი მრეწველი მეფუტკრე, არამედ ნაყრობის მიმდევარიც კი, რადგან, რაც ადრე შეუწყობს ხელს ფუტკრის გაძლიერებას ისიც ნაყარს იმდენად ნაადრევს და ძლიერს მიიღებს, მაშასადამე, ნაყარიც უხვ ღალიანობას გამოყოფილი შეხვდება, საშემოდგომოთ დაოჯახებას და საზრდოს დაუნჯებას მოასწრებს.

ყოველივე თქმულის მიხედვით მეფუტკრე, თუ სრულის სისწორით არა, დაახლოვებით მაინც, ვარაუდობს, რომ ამა და ამ დროს დადგება უხვი ღალიანობა და ფუტკართა გამრავლების თაღარიგს იმის შესაღარად იწყებს. ჩვენ ვიცით, რომ სამუშე ფუტკრის კვერცხი რომ მოღალე ფუტკრათ იქცეს უნდება ხუთი კვირა (35 დღე), მაშასადამე ღალიანობას ჩვენ უნდა დავასწროთ 5—6 კვირა (40—45 დღე) და ამ დროით წინ უნდა დავიჭიროთ ფუტკრის გამრავლების თაღარიგი. ხსენებული დრო საკმარისი იქნება, რომ უხვ ღალიანობას საშრომლათ გამზადებული ახლად გამოჩეკილი ფუტკრების რამოდენიმე წყება მიეგებოს.

ექვი არ არის, რამდენადაც ოჯახს მშრომელთა რაზმი მეტი ეყოლება, იმდენად ღალით მეტად ისარგებლებს, იმდენად ოჯახს მეტ ბარაქას შესძენს. უხვი ღალიანობა მეფუტკრისთვის, როგორც ვიცით, მწიფე ყანის მოწვევის ხანაა, რომელსაც სამკალათ თუ რიცხვ მრავალი მამითადი (ნადი) არ მიუხიეთ, ყანა დაიკარგება. უხვ ღალიანობაზე მშრომელთა რიცხვი დიდათ და დიდათ საჭიროა: ღალიანობით გატაცებული ფუტკრები თავ-დავიწყებით შრომობენ, გამუდმებულ შრომას ბევრი უღროვოთ ეწირება, ძლიერ ბევრი კი სხვა და სხვა

მტერის მსხვერპლი ხდება*), მაშასადამე, რადგან ლალიანობა რამდენიმე დღე გასტანს ხოლმე, საჭიროა, დაკლებულ მუშათა რაზმის მაგიერ მაშინვე შრომის უღელში ახლად გამოჩეკილები ემბებოდნენ. ამ რიგად, ლალიანობის დროსთვის დედის მიერ უკვე უნდა იყოს დადებული კვერცხები, რომლებიდანაც გამოიჩეკება სათადარიგო მშრომელთა რაზმი.

ყოველივე თქმულის მიხედვით საჭირო ყოფილა თავის დროზე ბუდის გაგანიერება და დედისთვის საშვალების მიცემა, რომ მან მეტი კვერცხი დასდვას.

დედამ რომ მეტი კვერცხი დასდვას, ამისთვის საჭიროა მისი უხვი კვება, სითბო და ბარტყების აღმზრდელი გადია ფუტკრები. ყველაფერი ეს შეხამებული და თავის დროზე აღსრულებული სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

გამოსარჩენი კვება.

დედის მიერ რომ უხვად კვერცხის დება გამოიწვიოს, ამისათვის წინ დახედული მეფუტკრე ხელოვნურად უქმნის ისეთ პირობებს, რომლითაც ის სტყუვდება. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თხელი ფაფით კვება, რადგან თხელი ფაფა ბუნებრივ ნექტარს გავს, დედას მოაგონებს ბუნების გამოცოცხლებას. ბუნების გამოცოცხლება — სიუხვის დროს კი დედაც უმატებს კვერცხის დებას. მაშასადამე, ფუტკრების გამრავლებას, მეფუტკრე თხელი ფაფის მიცემით ღიდათ შეუწყობს ხელს.

პირველი კვება, რომელიც ჩვენ გაზაფხულის ხილის დროს მოვიხსენეთ, იყო გამოწვეული პირდაპირ სიმშლისაგან, გაკვირების მიზეზით. ეხლანდელი ფუტკრის კვება სულ სხვაა. აქ მეფუტკრე, ფუტკრებს, მიუხედავად იმისა, აქვთ, თუ არა, მაინც აძლევს იმათ საკვებს. აქ მეფუტკრე ხარჯს და ტანჯს

*) უხვ ლალიანობის დროს ძლიერ ოჯახს დღიურად 2 ათასამდე ფუტკარი აკლდება.

პირდაპირ გამოსარჩენის მიზეზით ეწევა: იმედობს, რომ დანახარჯს სარგებლით აინახლაურებს.

გამოსარჩენ კვებას იწყებენ უხვი ღალიანობის დაწყების 35—45 დღის წინ.

შემშვილობის დროს თუ ფუტკრებს საზრდოთ სქელ ფაფას აძლევენ და ერთბაშათ დიდრონ ჯერობით, ეხლა პირიქით, აძლევენ ძლიერ თხელ ფაფას, ბუნებრივი ნექტარის მზგავს, ცოტ-ცოტაობით, მაგრამ შეუწყვეტლათ. ერთი სიტყვით, თხელ საკვებს აძლევენ უხვი ღალის დაწყებამდე — ისე მოხერხებულად, თითქო ბუნებრივი ღალა იყოს.

გამოსარჩენი საკვებიც ისევე მზადდება, როგორც გვაქვს აწერილი (იხ. გვერ. 108) აქ განსხვავება მხოლოდ სითხეშია: მაშასადამე, ნაცვლად ორი წილი შაქრისა (ან ფაფლისა), უნდა აიღო ერთი წილი შაქარი და ორი წილი წყალი. სიფრთხილისათვის თითოეულ ჭიქა საკვებს ფორმალინის 5—6 წვეთს გაურევ.

საკვების მიცემის წესიც იმ გვარადვე უნდა მხოლოდ ცოტ-ცოტაობით: თითოეულ ჯერზე, თითო ოჯახს უნდა მიეცეს არა უმეტეს ნახევარი ჭიქისა. პირველად აძლევთ ან ყოველ დღე, ან დღე გამოშვებით. ერთი სიტყვით, თუ ატყობთ, რომ ბუნებრივი ღალიანობა ძუნწობს, საზრდოს ყოველდღიურათ და მეტს აძლევთ და წინააღმდეგ.

ერთი სიტყვით, აქ მეფუტკრე მოქმედობს დროს და გარემოების მიხედვის დაგვარად. საზოგადოთ კი გამოსარჩენი კვების აუცილებელი სარგებლობა მხოლოდ ვარაუდია, ოცნებაა, დაბეჯითებით ვერაფერ იტყვის, რომ მას უსათუოდ სარგებლობა მოყვება. ხშირად რაც უნდა ხელოვნურად და სისწორით ვკვებოთ, თუ ბუნებამ, (რომელიც არავის არ ემორჩილება) ხელი არ შეგვიწყუო სარგებლობის მაგიერ შეიძლება, ზარალიც მოყვეს. ეს შეიძლება მაშინ, თუ გამოსარჩენი კვების დროს სიცივე და დაჟინებული წმიმები დაიჭირა. რის მიზეზითაც იძულებული ვიქნებით კვება შევაჩეროთ.

ყოველივე თქმულის მიხედვით გამოსარჩენ კვებას თაყვანის მცემელი ნაკლებათ ყავს. ჩვენც პირადათ, ჩვენში მის აუცილებლობას ვერ ვხედავთ.

გამოსარჩენი კვების მაგიერობას ასრულებს ხეხილების ადრეული დაღა. მაგრამ, თუ გამოერევა ისეთი წელიწადი, რომელიც გამონაკლს შეადგენს, ადრეული ყვავილები დააზრო, (მოწვა), ან იშვიათი გვალვა დაიჭირა, აი ასეთ დროს, თუ ატყობთ რომ უხვ დალიანობაზე ოჯახები უძლეური გეყოლებათ, მაშინ კი საჭირო იქნება ხელოვნური მიშველება. ისე კი ვსარგებლობთ კიდევ შემთხვევით და ყველას დაჟინებით ურჩევთ: თუ სურს თავიდან აიცილოს ყოველგვარი ფუტკართა ცხოვრებაში ხელოვნური ჩარევა, წინაღვე ფუტკარი მოაძლიეროს, ბუდე ბარაქით გაავსებინოს და ზამთარში მისი ტახტი—ბუდე ხელ უხლებელი დაუტოვოს. როცა მეფუტკრე ასე მოიქცევა და ბუდე ყოველთვის სავსე ექნება, მაშინ იშვიათად მოხდება, რომ ბუდეში არ დარჩეს გადაბეჭდილი თაფლი; როცა გვსურს დედას მეტი კვერცი დავადებინოთ, ბუდისაგან დაბეჭდილს თაფლს ამოვიღებთ, ცეცხლზე ოდნავ შევებობთ, თავს გადავაცლით—გავხსნით და ისევ თავის ადგილას ჩავდგამთ. ამ დროს თაფლის გახსნა ფუტკრებისთვის იგივე ხელოვნური გამოსარჩენი კვებაა, მხოლოდ უკეთესი და უფრო მოხერხებული—მაშასადამე, ვისაც ბუდისათვის ხელი არ უხლია და ყოველივე ბარაქით სავსე ისევ ფუტკართათვის დაუტოვებია, რაც უნდა მწირე დალიანობა დარჩეს, ფუტკრები თავის თავს უზრუნველს მაინც ყოფენ და მომვლელსაც დააჯილდოვებენ.





ბუნებრივი ნაყარი (მართვი, მარცყი).

IV.

ერთი ოჯახიდან მეორე ოჯახის გამოყოფას ეძახიან **ნაყარს ანუ მართვს**.

ზოგიერთ ოჯახს ერთ ზაფხულზე, თუ ღალიანობა ზელს უწყობს, შეუძლია ერთი ან მეტი ოჯახი გამოიყოს, ერთჯერ ან ორ-სამჯერაც იყაროს.

ნაყარი ეძებს ახალ ბინას და იქ იწყებს ახალ დამოუკიდებელ მოსახლობას, გაყოფის დღიდანვე ძველი დედა ოჯახი და ახლად გამოყოფილი ერთი-ერთმანეთისთვის სრულიად უცხონი არიან. ნაყარი, რაც უნდა გაჰქივრება დაადგეს, თავის ძველ ბინას აღარ დაუბრუნდება.

რა აიძულებს ყველაფრით კმაყოფილ ოჯახს, გაიყოს და ნაყარმა მიატოვოს თავისი ნაშრომი სარჩო საბადებელი? რა გაჰქივრება ადგია, რომ ეძებს სრულიად მოუწყობელ ბინას? აქაც ერმანეთის გაუტანელი რძლები ხომ არ გაჩენილა? აქაც რძალ დედამთილი ხომ არ იქოჩრებიან? სრულებითაც არა! ბედნიერი ოჯახისთვის ყრის უმთავრესი მიზეზია: ბინის სივიწროე, საკმაო ღალიანობა და გამრავლების ალლო. ბუნების ყველა შვილი ცდილობს, არ გადაშენდეს, გამრავლდეს; ცდილობს, მისი გვარი, ძლიერი, მრავალ რიცხოვანი იყოს. ადამიანი, რაც უნდა ღარიბი იყოს, შვილი მაინც ახარებს, რადგანაც შვილი შეადგენს მისი სიცოცხლის განგრძობას.

მართალია, ფუტკრის ოჯახი მრავალი ჯარ-ჯამათისაგან შესდგება, მაგრამ ბუნების წიაღში ერთი ოჯახი მაინც განკერძოებული ერთეულია, ერთი სხეულია, ერთი განყენებული ორგანიზმია. ამისთვის არის რომ, თუ სხვა პირობებიც ხელს უწყობს, ფუტკრის ოჯახს ელვიძება ყრის, გაყოფის აღლო, იყოფიან და მით ფუტკართა გვარეულობას (კლასს) ემატება ახალი ოჯახი.

როგორც აღნიშნული გვაქვს, გაზაფხულის დაწყების შემდეგ, ფუტკრები იწყებენ ჩვეულებრივ შრომას. ბუნების საერთო გამოცოცხლება--აღდგინებას, სითბოს და ღალის სიუხვეს სკაში ოჯახის წევრთა გამრავლებაც მოყვება. ოჯახის ყველა მოქმედი წევრი თავ-თავიანთ შესაფერ საქმეს გატაცებით ასრულებს: დედა ფუტკარი კვერცხებს სდებს და სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება, მეტი დასდვას, ამისათვის მას სჭირია ნოყიერი კვება და ამოწმენდილი უჯრები; ამას ახალ გაზრდა ფუტკრები ასრულებენ; უფრო ხნიერები, — ეგრეთ წოდებული მოღალე ფუტკრები, გარეთ ფუსფუსებენ, ყველგან თავ-დავიწყებით ეძებენ სათაფლო ნექტარს, რათა შეაგროვონ და საზრდო დაიუნჯონ. აქ ყველა მშრომელი ოჯახის წევრი ბეჯითად შრომობს და ყველა იმას ცდილობს მათ-მათი საქმე მთელი ოჯახის საკეთილდღეოთ პირნათლად შეასრულონ: დედა ცდილობს, დაიცლება უჯრები თუ არა შიგ, კვერცხები ჩასდვას, მოღალე ფუტკრები ცდილობენ დედას დაასწრონ და უჯრები საზრდოთი გაავსონ. ამ გვარ შრომას მოყვება ის, რომ ოჯახს აღრე გაზაფხულიდანვე ემატება მუშა ფუტკართა ჯარ-ჯამათი, ემატება ბარაქის შემძენი ძალა. როცა ასე თანდათანობით ოჯახი ყველაფრით გაივსება, იგრძნობს ძალას და ბინის სივიწროეს, რომლის გაფართოება, თუ პატრონი არ მიეშველა, თვითონ მას არ შეუძლია, — ხდება იძულებული, გაიყოს და მით შექმნას მეორე მისივე მსგავსი ოჯახი — გამრავლდეს.

უმეტეს შემთხვევაში ფუტკრები იყრიან იმ დროს, როცა მათ შეუძლიათ ღალის გათავებამდე მოასწრონ

დასახლ-კარება და საზამთრო საზრდოს დაუნჯება. როცა ოჯახი მუშათა ძალით ბედნიერია, სკა ბარაქით სავსე აქვთ, ბუნებაში ლალიანობა არის, მაგრამ სკის სივიწროის გამო, არ იციან სად მოათავსონ თავიანთი მონაგარი; სწორეთ ამ დროს ისინი მოიფიქრებენ ყრას და შეუდგებიან სამისო აუცილებელ თადარიგს: გამოყავთ მამლები და ამავე დროს აშენებენ სადღე უჯრებს. თუ სკაში ნაყოფიერი დედაა, და შიგ შენიშნეთ ახლად აშენებული სადღეები, უტყუარი ნიშანია რომ ყრას ეპირებიან.

ნამთავარა ნაყარი.

(პირველი მართვი, პირველი ბარტყი).

ყრის მოთავე ფუტკრები, როგორც ვიციით, დედის უნებურად დაიწყებენ მომავალი დედების აღზრდას. დედა ფუტკარიც შენიშნავს თუ არა გადაბეჭდილ სადღეს, რომლიდანაც რამდენიმე დღის შემდეგ მისი მეტოქე გამოიჩეკება, უტოვებს მას თავის სადიასახლისოს და თვითონ პირველ ნაყარს გამოყვება. ამ რიგად ნამთავარა ნაყარს განაყოფიერებული ძველი დედა ყავს*).

სადღე უჯრის გადაბეჭდის შემდეგ, თუ ამინდმა ხელი არ შეუშალა, გამოდის ნამთავარა. ის დღე უნდა იყოს თბილი, მზიანი. გამოცდილი მეფუტკრე ნაყარ გამოსაშვებ სკას დაკვირვებით რამოდენიმე საათის წინ შეატყობს: მეზობელი

*) მოხდება შემთხვევა, რომ ქალწული დედაც ყავდეს და აი როდის; შეიძლება გაზაფხულზე დედა იმ დროს მოკვდეს, როცა ოჯახი ძლიერია; მაშინ ფუტკრები რამოდენიმე სადღეებს აკეთებენ და, თუ ოჯახმა ნაყარი გამოუშვა, ქალწული დედა გამოყვება. ამ შემთხვევის გარდა შეიძლება დედა, ნაყარის გამოსვლის დღეს, ან მიწაზე დაეცა და ბალახებში გაიხლართა, ან ჩიტმა შეჭამა, მაშინ უდღეო ნაყარი უკან ბრუნდება და თუ რამოდენიმე დღის შემდეგ იყარა, ესეც ქალწულ დედიანი იქნება. შეიძლება ქალწული დედა, რომელიც ნამთავარს ახლავს ყრის დროს ჰაერში კიდევ განაყოფიერდეს.

სკის ფუტკრები ღალაზე ხალისით მიდი-მოდიან, საყრელათ გამზადილიდან კი ზანტათ, მოღალე ფუტკრები, როცა ბრუნდებიან პირდაპირ საფრენში არ შედიან, იმის გარეშემო ფუს-ფუსებენ. მამლები საღლაბუცოთ ჩვეულებრივზე ადრე გამოდიან. სკის შიგნითაც მყუდროება არ არის, ისმის არეული გუგუნის. დედას მოუსვენრობა ეტყობა, ჩვეულებისამებრ კვერცხს აღარ სდებს*), ფიჭიდან ფიჭაზე გადადის. ბოლოს გარეთ მოფუსფუსე ფუტკრებიც შიგ შედიან. ყველა ყრის მომხრე, დედის ამქარი ფუტკარი დაეწაფება მის ნამაგვე თაფლს და ერთს უკანასკნელად მაგრათ მიაძღება, რამოდენიმე დღის საყოფ საგზალს ჩინჩახეში მოიმწყვდევს. რამოდენიმე მინუთით ყველაფერი წყნარდება, მაგრამ ეგ სიწყნარე არეულობის ნიშანია. და აჰა! თითქოს ფუტკრებს სკიდან რაიმე უხილავი ძალა ერეკებოდეს, თავპირ მტვრევით გამოსვლას ერთი მეორეს ასწრებენ, ხორხოშელასავით საფრენიდან გარეთ იყრიშით მოცვივან. ნაყარის წინ დედა იშვიათად გამოდის. ის პირველად ფუტკრების რამდენიმე ნაწილს გამოისტუმრებს და მერმეთ თვითონაც გამოყვება. რამდენად ის კვერცხებით მძიმეა, იმდენად ინაზება, ყოყმანობს, ვერ გადაუწყვეტია გამოფრინდეს. თუმცა იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ ისიც მოხდება, რომ ნაყარი გამოვიდა, დედა კი არ გამოყვა, უდედო ნაყარი კი ისევ უკან დაბრუნდება. უკან დაბრუნდება ნაყარი მაშინაც, თუ დედა გამოვიდა, მაგრამ შემთხვევით დაიკარგა.

ნაყარი ფუტკრები მხიარული მოგუგუნე ბზუილით სკის გარეშემო იწყებენ ტრიალს. რამოდენიმე წამის შემდეგ ნაყარი ირჩევს მოხერხებულ ადგილს და იქ მოიყრის თავს, ანუ, როგორც იტყვიან, მიაყრის, მიხვევა ხის შტოზე ან სხვა რამ საგანზე. მისაყარ ადგილს ან ფუტკრები ირჩევენ და ან დედა

*) ზოგის ფიქრით ის სამი დღით ადრე ნაკლებს სჭამს, რის გამო მის სხეულში ნაკლები კვერცხი მზადდება, ამ რიგათ მისი სხეული სუბუქდება და საფრენად ემზადება.

ასწრებს სადმე დაჯდომას და დანარჩენიც იქ მიეხვევა. ნამთავარა ნაყარი (მეტადრე ძველ დედიანი) ადრე და დაბლა მიყარის, იშვიათი სიწყნარით არის, ზოგჯერ შეიძლება, მეორე დღემდეც არ ადგეს და არ წავიდეს, მაგრამ მაინც დროზე უნდა მიპატრონება თორემ, თუ აიშალა და წაკიდა, მერმეთ ძლიერ ძნელი შესაჩერებია—ახალი ადგილისაკენ შურდულივით გაექანება*).

საზოგადოთ ნამთავარა დილის 9—12 საათამდე გამოდის, მაგრამ ყოველთვის ეს კანონათ არ მიიღება: წვიმის შემდეგ, თუ თფილი მზიანი დღე გათენდა, შვიდი საათიდანაც მოსალოდნელია გამოვიდეს. ან და დილით, თუ ამინდი ხელს არ უწყობს, ნაშუადღევს კი მშვენიერი სითბოა და მოწმენდილია, ხუთ საათამდეც შეიძლება იყაროს

ნამთავარა თუ მეტის მეტი პატარა სკის ნაყარი არ არის, ღონიერია, რაკი განაყოფიერებული დედაც ყავს, თან ნაადრევიც არის, ზაფხულის ღალით მეტად ისარგებლებს, ძლიერ ადრე დაოჯახდება. ხშირად თავის საზრდოზე მეტის შეგროვებასაც მოასწრებს. მომხდარა იმისი მაგალითიც რომ ნამთავარა ნაყარს იმავე წელს ნაყარიც გამოეშვას, ეს არის დამოკიდებული წესიერ მოვლაზე და ბუნების სიუხვეზე.

ნამეორედა ნაყარი.

ნამთავარა ნაყარის შემდეგ გამოიჩეკება ახალ გაზრდა დედა, პირველი გამოჩეკილი ყოველთვის ცდილობს პირველობა მას დარჩეს და სხვა მეტოქე თავიდგან მოიცილოს. ამ დროს სხვა საკვერცხეებში ღლაპი დედებია. კეკლუც

*) ზოგიერთების აზრით, საყრელათ გამზადილი ფუტკარი, წინაწინ აგზავნის მზვერავ ფუტკრებს ბინის მოსაძებნად და ნაყარს ისინი მიუძღვებიან წინ და აჩვენებენ ბინას. მაშასადამე ნაყარი იმათ დაბრუნებამდე არ აიშლება, მაგრამ, რაკი არ ვიცით, მზვერავი ფუტკრები როდის დაბრუნდებიან ამისათვის ნაყარის აკრეფა არ უნდა დაევაკიანოთ.

ქალწულს სურს სხვა სადღედეები დაანგრიოს და მისი მომავალი მეტოქეები დასწყვიტოს. ასეთია ინსტიქტი თავის დაცვის. ასეთ სურვილის პირველ გამოჩეკილ ახალ-გაზრდა დედისას მუშა ფუტკრები არ ეწინააღმდეგებიან თუ ისინი ყრას აღარ ეპირებიან*).

მაგრამ თუ კიდევ ყრას აპირებენ, მაშინ ვაკაპასებულ კეკლუცს ეწინააღმდეგებიან, ახალ გაზრდა დედების დახოცვას ან და მათი სადღედეების დაჩგრევის ნებას არ აძლევენ. თუ ნება არ მისცეს, უსუსურ დედებს მცველს მიუჩენენ და სადღედიდან ამოსვლის ნებას არ აძლევენ, რა არის—დიდების მაძიებელმა დედამ არ მოჰკლასო. დედა ბრაზიანდება და ცბიერ გამომტყოვ კილოზზე უშვებს ხმას: ტი, ტი! ტი, ტი! სადღედეებში მყოფი დედებიც უფრო მორცხვით და გაუბედავით უბასუბებენ: კვა, კვა! კვა, კვა! ასეთი დედების ხმა სხვებისაგან ძლიერ მკაფიოთ გასარჩევია მეტადრე ყრის წინა სალამოს. ახალ-გაზრდა დედების კამათის დროს ფუტკრებს მოუხვენრობა ეტყობათ—ბოლოს გადასწყვეტენ ყრას, გამოდიან და თან გამოყვებით დაუპებლავი ქალწული დედა. ასეთ ნაყარს **ნამეორედას** ეძახიან.

საზოგადოთ გაუნაყოფიერებელ დედიანი ნაყარი ცელქია, ჰაერში დიდ ხანს ტრიალებს, ადრე არ მიეხვევა, მისახვევად მაღალ ადგილს რჩეობს, როცა მიეხვევა ადრე უნდა მიპატრონება, თორემ ისეთი თავქარიანი დედა ყავს, მოსალოდნელია აიშალოს და წავიდეს.

ნამეორედა ნაყარი პირველთან შედარებით სუსტია, ნაგვიანებია, ძლიერ ხშირად ერთ დედაზე მეტიც ყავს და აი

*) ნამეორედას მოსალოდნელი მე 9 დღეზე გამოსვლის ხელის შემწეული უმთავრესათ ცული ამინდის დადგომაა, ზოგჯერ კი თუ ფუტკრებიც გრძნობენ, რომ მათი კიდევ გაყოფა არ ღირს. გარდა ამისა უცბათ უხვი ღალიანობა თუ დაიწყო ამას შეუძლია ხელი შეუშალოს, რადგან ზოგჯერ ამ დროს ფუტკრები, ღალის შეგროვებით გატაცებულნი, სხვა საქმეს ივიწყებენ.

რათ: როცა პირველი გამოსული დედა ნაყარს გამოყვება, არეულობით და ფაცა-ფუცით მცველს ქვეშ მყოფი მოწიფული დედებიც სარგებლობენ და ისინიც ანგარიშ მიუტყემლათ ნაყარს გამოსდევნენ. ნაყარი მათ შორის ერთ ერთ დედას თვითონ ირჩევს, დანარჩენს ჰკლავს. და თუ სკაში შემთხვევით რამოდენიმე დედა შეყვა, ზოგჯერ ფუტკრები ნებას აძლევენ ტახტი თავის ძალით მოიპოვონ. დედებიც დაერვეიან ერთი მეორეს, გაიმართება მათ შორის ბრძოლა, „დაშნაობას“ ფუტკრები გულ გრილად უცქერიან, თითქოს გუნებაში ამბობენ: „იბრძოლეთ, იბრძოლეთ, გამარჯვება ვისაც დარჩება, ჩვენც იმას მივიღებთ დედათ, რადგან ის იქნება სხვაზე ყოჩაღიო“. მართლაც გამარჯვებულ დედას კმაყოფილი მუშა ფუტკრები სასიამოვნო უღვაშების ქიციით შეხვდებიან. ნამეორედას თუ ამინდმა და ღალის შეწყვეტამ ხელი არ შეუშალა ნამთავარას გამოსვლის ცხრა დღის შემდეგ უნდა ველოდეთ.

ნამეორედა ნაყარი ყრის დღეს ამინდს და დროს დიდათ არ დაგიდევს, ზოგჯერ წვიმაშიაც კი იყრის ხოლმე.

ნაბოლარა (ნელი ბარტყი). ნამეორედას გამოსვლის მესამე დღეს შეიძლება სკამ კიდევ იყაროს მესამეთ და ზოგჯერ მეოთხეთაც. ნაბოლარა ნაყრები ძლიერ სუსტია, დედებიც ბევრი ყავს, ნამეორედას და ნაბოლარებს მამლებიც ბევრი ახლავს. ცხადია, ცალკე დასაბინავებლათ ზოგჯერ ნამეორედაც არ ღირს და, მით უმეტეს, ნაბოლარები რაღა სადგამური იქნება.

თავის ნებაზე მიშვებული ნაყარი ბინავდება ხის ფულროში, კლდის ნაპრალში, სახურავ ქვეშ, საწვიმარ მილებში, შავს და თეთრ იატაკს შუა, იშვიათ შემთხვევაში კი ხის შტოზე და მიწაზე. საცა დაბინავდება პირველად, ეცდება ადგილი გასწმინდოს და ისე მოერთოს, ბინა წვიმისა და

ქარისაგან დაფარული იყოს. ადრე ნაყარი ადრე დაოჯახდება, გვიან ნაყარი კი ხშირად იღუპება, ზოგიერთს პირველი შემოდგომის სიცივე ანდერძს უგებს.

სხვა და სხვა შემთხვევა ყრის დროს.

ყრის დროს, თუ რამოდენიმე დღეს, ზედი-ზედ ცუდი ამინდი დაიჭირა, ნამთავარას გამოსვლამდე გამოიჩეკება ახალ გაზრდა დედა; ძველსა და ახალ დედას შორის კინკლაობა აუცილებელია. ზოგჯერ, თუ ფუტკრებს უკვე ყრის სურვილი დაკარგული აქვთ, თვითონ მოჰკლავენ ახალ გაზრდა დედას და დანარჩენ სადედეებსაც დაანგრევენ. ზოგჯერ კი დედა და ასული ერთი მეორეს შეეშობის, შესაძლებელია გამარჯვება, როგორც მარდს და ღონიერს, ახალ გაზრდას დარჩენოდა, მაგრამ მუშა ფუტკრები ძველი დედის მხარეს იჭერენ და გამარჯვებაც მას რჩება. ნამთავარას თუ ნამეორედას გამოსვლაზე ასეთ შემთხვევას გავლენა აქვს და შეიძლება ნაყარი ან სულ არ გამოვიდეს ან და დაიგვიანოს.

მოხდება ისიც, რომ ძველს და ახალ დედებს შორის მუშა ფუტკრები ჩადგებიან და ერთი მეორის სიკვდილს არ ანებებენ; ასეთ შემთხვევას ის მოყვება, რომ შეიძლება ასეთმა სკამ ერთ დღეს ნამთავარაც მოგვცეს და ნამეორედაც.

როცა საფუტკრეში რამოდენიმე ძირი სკა დგას, ამინდი კარგია, ღალიანობა ხელს უწყობს, ყრა დაიწყოს, და ნაყარი გუნდის გუგუნის სხვა სკის ფუტკრებსაც შემოესმებათ თუ არა, საერთო საფუტკრის მხიარული მდგომარეობა მათაც ხიბლავს, ელვიძებათ ყრის სურვილი, მათაც ემართებათ ყრის ჟინი, შეხუსტურდებიან და, თუ გინდა ყრისთვის მთლად მზადაც არ იყვნენ, შაინც იყრიან. ზოგჯერ ასეთი ნაყარი არც ეხვევა, ისე გარბის, ზოგჯერ იერიშით პირდაპირ ფუტკრიან სკაში შედის. ზოგჯერ ასეთ შემთხვევას შედეგათ ის მოყვება რომ ნაყრით მოძლიერებული სკა, მეორე დღეს ღონიერ ნა-

ყარს გამოუშვებს, მაგრამ ზოგჯერ დედებს შორის ბრძოლა გაჩაღდება, მონაწილეობას სტუმარ-მასპინძლებიც მიიღებენ და შეიძლება ერთმანეთი ისე დაასუსტონ, არამც თუ ნაყარი არ მოგვცეს, სადგამურათაც არ ივარგოს. მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვიათია.

გახურებული ყრის დროს მოსალოდნელია რამოდენიმე სკის ნაყარი ერთად შეერთდეს და ერთად შეეხვიოს. ასეთი შემთხვევა საშიში არ არის, თუ ყველა ნაყარს განაყოფიერებული დედა ყავს, მაგრამ თუ მათში კეკლუცი ქალწულიც ურევია, მაშინ კინკლაობა აუცილებელია. რადგან ყველა დედას თავისი დამცველი რაზმი ყავს და ყველა რაზმი ცდილობს სხვა დედა მოჰკლას და მისი გაადედოფლოს. ასეთი შემთხვევაც იშვიათია და, რომ დედები არ მოჰკლან, დროზე უნდა განცალკევება.

იძულებითი ნაყარი (გაბარეა).

ზოგჯერ, როცა ფუტკარს ყურის გდება აკლია, მთლად სტოვებს თავის ბინას და ნაყარივით ისიც გარეთ გამოდის, იშვიათად საფუტკრეში აყრის, ხშირად კი სკიდან პირდაპირ მიდის, მიიპარება, როგორც ხედავთ, ერთი შეხედვით, ეგეც ნაყარს გაეს, მაგრამ ნაყართან მას საერთო არაფერი არ აქვს. ეს ხდება მაშინ, თუ ოჯახს უცაბედათ სიმშიმმა უსწრო, მაშინ სიცოცხლის განგრძობის ალღო ფუტკრებს აფიქრებინებს სხვა ადგილას ეძიონ საზრდო. მოხდება აგრეთვე იმისთვისაც, რომ ოჯახს რაიმე მისგან დაუძლეველი მტერი აწუხებს—უმეტესად ჩრჩილი.

ასეთი იძულებითი ბინის დატოვება უფრო ხშირია, არა ნაყრობის დროს, არამედ შემოდგომობით, ღალიანობის გათავების შემდეგ. აქ თუ აღვნიშნეთ მხოლოდ იმისთვის, რომ აღგვენიშნა ასეთი მოვლენა და გვეთქვა, რომ ფუტკრის ყრა და იძულებითი ბინის მიტოვება ერთმანეთში არაფერ არიოს: ყრა მომასწავებელია ფუტკართა ოჯახის აღორძინებისა და

ბედნიერების, ბინის მიტოვება კი უბედურების—ფუტკართა ჯადაშენების და მათი უპატრონობის.

წინასწარი მზადება ნაყრის დასაბინავებლად.

ნაყრობის მიმდევარი ფუტკარს აღრე აღონიერებს, ავსებინებს ბუდეს, რომ ძლიერისაგან ძლიერი ნაყარი მიიღოს, მერმედ კი სავუქნაოს არ ადგამს — პირ იქით ცდილობს ფუტკარებმა ბინის სივიწროე იგრძნონ და აღრე იყარონ. სადედეებს არამც, თუ არ უნგრევს, არამედ ხელოვნურადაც უქმნის ისეთ პირობებს, რომ ფუტკარმა სადედეები გაიჩინოს.

საზოგადოთ ნაყრობის გამომწვევი მიზეზებია: ბინის სივიწროე, ხანგრძლივი შეუწყვეტელი ზომიერი ღალიანობა, უზვად კვერცხის მდებელი ძველი დედა ფუტკარი, (2—3 წლის). ზოგჯერ კი თვით ფუტკარის ჯიში და მოდგმა. ნაყრობა იწყება უზვი ღალიანობის წინ, ხან კი ღალიანობის დროსვე.

ნაყრის მომლოდინე მეფუტკარე ნაყრობის დროს მზათ უნდა იყოს; გამოსული ნაყარი რომ არ აიშალოს და არ წავიდეს ამისათვის საფუტკარეს ფხიზელ დარაჯათ უნდა ედგეს. ნაყარის დასაბინავებელი სკებიც მზათ უნდა ჰქონდეს. ყველა სკა საჭიროებს, რომ იყოს სუფთა და მეტადრე ნაყარის დასაბინავებელი, რადგან საზოგადოთ ნაყარი მიზეზიანია, სკის მცირე რამ ნაკლი ეყოფა, სკა რომ დაიწუნოს და მიატოვოს. ზოგი, სკას ხმარამდე ჭურჭლათ ხმარობს, ზოგს კრუხის საბუდარათ აქვს, მაგრამ ცგ ორივე შეცდომაა. სკა, რა გინდ სუფთად იყოს შენახული, ხმარამდე 2—3 დღით წინ, მდულრით უნდა გაირეცხოს—ჭურჭუტანებში თუ რაიმე მწერების კვერცხებია დაიხოცება. სკა თუ ნახარია მაშინ ყველა მის ნაწილებს უნდა წაუსვათ 20⁰/10 ფორმალინი ან მდულარე ნაცარ-წმენდილი გამოვავლოთ. ნაყარის დასაბინავებელი სკა უნდა იყოს გრილი და უნდა იდგეს ჩრდილში, გრილ ადგილას. ნაყარი სკაში სიცხის ძლიერ ბულს აყენებს და თუ ამას ზედ დაერთო

შხისაგან გახურებული სკა და ზეიდან მზის პაპანაქება, მოსალოდნელია ნაყარმა სკა დაიწუნოს. მაშასადამე ნაყარის გამოსვლამდე გაწმენდილი სკები უნდა დავდგათ ჩრდილში, გავსწოროთ თარაზოში, შიგ ჩავაწყოთ ყველა ნიმუშ მიწებებული ჩარჩოები, ზემოდან მივაფაროთ ტილო და ასე მზათ გვქონდეს.


ნაყარს ხელოვნური ფიჭით სავსე ჩარჩოები არ მიეცემა, რადგანაც ის, როგორც მოუთავებელი სათუთია. უადგილობისა გამო ზედ ბევრი ფუტკარი ხარბათ დაეხვევა, მხურვალე ნაყარის სიციხეს ფიჭა ვერ გაუძლებს, ჩამოიღვენთება, გამრულდება, ხელ ახალათ მისაცემი დაგვირჩება, ხარჯს ტყუილათ ვნახავთ და ფუტკრებს კი მოვაცდენთ. ამისათვის ნაყარს, თუ გვეშოვება და ვაძლეეთ მზა მშრალ ფიჭას ხომ კარგი, თუ არა და პირველ დღეებში უნდა მივცეთ მარტო ნიმუშ მიწებებული ჩარჩოები. სანიმუშოთ ყველას სჯობს ისევ მშრალი ფიჭა, მაგრამ თუ არ გვეშოვება მაშინ ხელოვნურსაც ვაწებებთ მაგრამ ერთი ვერშოკის უფართესი არ ივარგებს.

ზოგი მეფუტკრე ნაყარს ნიმუშ მიწებებულ ჩარჩოს იმდენს აძლევს, რამდენის დაფარვას და გაშენებას ნაყარი შეიძლებს (მაგ. 6 გირ. ნაყარს 7—8 ჩარჩოს აძლევს) მერჰედ გადასამკედლაფი ფიცრების მიწყობით ბუდეს ვიწროდ სტოვებს. გამოანგარიშებით ჩარჩოების მიცემა შეცდომათ უნდა ჩაითვალოს და აი რატომ: ნიმუშ მიწებებული ჩარჩოები ფიჭის საშენად გამზადილ გამძლარ ფუტკრებს პირველად არ ყოფნით, რადგან მათ შეძლება არ აქვთ ყველა სამუშაოთ მოთავსდეს, ბევრი უსაქმოთ რჩება, მანამდე სანამ ფუტკრები ფიჭის რამოდენიმე ვერშოკს არ გააკეთებენ და, ამ რიგად არ გაუჩნდებათ ფიჭების სამუშაო მეტი არე. ამის მიხედვით ყოველთვის სჯობს ნაყარს ნიმუშ მიწებებული ჩარჩო მისცეთ ყველა თერთმეტივე—პირველ ხანებში მუშაობას ყველა ჩარჩოზე დაიწყებენ, მერჰედ კი კიდურ ჩარჩოებს თავისით დატოვებენ და თავის ძალ-ღონის შესაფერად მუშაობას შუაზე

გააჩაღებენ. მეფუტკრესაც შეძლება ექნება მათი ღონე კარგად ასწონოს და მის შესადარად შუა ჩარჩოები დაუტოვოს და ბუდე შეუფიწროვოს. გაშენებულ მეტ ჩარჩოებს, სხვების მისაცემათ გამოიყენებს.

ამის შემდეგ თამამად ვაძლევთ ხელოვნურ ფიქით სავსე ჩარჩოებს, რომელიც უნდა მიეცეს არა შუაზე, არამედ თითო თითო ჩაედგას იქით აქეთ გვერდებიდან, როცა მოთავებენ და ფიქაც გამაგრდება მერმედ ბუდის შუაზედაც მივწევთ.

გარდა სკისა უნდა გავიმზადოთ ნაყრის დროს სხვა საკირო ხელ-საწყოც: სანაყრე, დედის საპატიმრო გალია, ხერხი, ბალის მაკრატელი და დანა, ფრთა, ჩოთქი, ჩამჩა, (ხის ან სქელი ქალაღდის დიდი კოვზი), და სხვა.



სურ. 56. სანაყრე.

სანაყრე. სანაყრის მაგიერობა შეუძლია გასწიოს სუფთა კალათმა ან გიდელმა, ვინც განსაკუთრებით გაიმზადებს ასე უნდა: იყიდეთ თხელი ტილო მუსქერით 12—14 ვერ-სეკერეთ პარკივით (მუთაქასავით) ორივე თავში დაატანეთ მომსხო მავთულის ან თხილის ტყეჩის გორგალა, გაუკეთეთ ტილოსივე თავ-სახური, ისე როგორც სურათ 56-ზეა ნაჩვენები.

გვერდიდან მიუკეთეთ სახელორი, დააყოლეთ დასაკიდი თოკიც და მზათ იქნება. ერთი სიტყვით სანაყრის ტილო გორგალაზე მუდამ გაჭიმული, გაბერილი უნდა იყოს და როცა თავს დაფხურავთ ფუტკარს გარეთ გამოსვლა არ შეეძლოს, მაგრამ ჰაერი საკმაო ჰქონდეს და ხ. ლვათათაც იყოს.

ნაყრის გამოსვლა.

ნაყრის გამოსვლა სიყრმიდანვე ისე ღრმათ მაქვს გონებაში, აღბეჭდილი, რომ მისი მშრალად მოგონება დღესაც არ შემოიძლია, მართალია უკვე ჰალარა შემერია, ცხოვრების ქარტეხილმა, დამაქენო-დამაძაბუნა, ორმოცმა წელმა კისერშიც მაგრათ ჩამიკაკუნა, მაგრამ ნაყრის გამოსვლის მოგონება ისევ მაჭაბუკებს, მახალისებს, სიცოცხლეს მაყვარებს, ნაყარისაებრ ასაღორძინებლათ, ძველის ვიწრო ბინის ვარსაყოფათ და ახლის აღსადგენათ მომიწოდებს. ნაყრის მხიარული ბზუილი — მაგონებს ყმაწვილობის უმანკო ნეტარ დროს.

ოხ! რა სიამოვნებით ვიგონებ აპრილის მშვენიერ პატარძალივით მორცხვათ მორთულ-მოკაზმულ წყნარ დილას. ვიგონებ და ეხლაც ყურებში ტკბილათ მესმის და ჟრუანტელს მგერის მახარობლის გულის სიღრმიდან ამოტყორცნილი მაშინდელი მხიარული შემოძახება:

— სკამა ყარა! სკამა ყარა! ¹⁾

ნაყარი ფუტკარების მხიარულ ბზუილს მთელი ოჯახის სადღესასწაულო ჟრიაბული უერთდება. ცხონებული ბებია მზრუნველობით განკარგულებას იძლევა: არახუნდება, ტაშტი, ქვაბი, ქვას ქვაზე ურახუნებენ, ტაშს უკრავენ. მთელი ოჯახი ცდილობს ღვთის მოცემული, ნაყარი არ წავიდეს, ყველას თვალი ჰაერში მოთამაშე ფუტკარებისაკენ არის მიპყრობილი.

„ცხვარი, ცხვარი, გაიძახიან. (რწმენაა თუ ცხვარი დაუძახე ნაყარი არც დაგებენს და არც წავა). რახუნის ხმა მეზობ-

1) ფუტკარმა იყარას მაგიერ ამბობენ გურულები.

ლებსაც ესმით, მათაც გაიგეს, რომ დღეს ჩვენსას ფუტკარმა იყარა. ცნობის მოყვარე მახლობელი მეზობელი ქალი მოდის და ილოცება: „ჯვარი გიწერია ჩემი თვალისაგან, ჩემი ფეხისაგან, ათივე თითებისაგან, ჯვარი გწყალობდეს ჯვარცმული, ვერას გიწყენდეს მაცდური, გწყალობდეს წმინდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი!“ — არ გეწყინოს ანუსი, (ბებუის სახელია) მე კაი ფეხის ვარ, ჩემი ფეხი დაცდილია. — ცხვარი, ცხვარი — სტუმარიც მიმართავს ნაყარს.

— რეტუმ ამბობ შე ქალო, შენი ფეხი მეც მაქ დაცდილი, ბედნიერი ფეხის ბრძანდებით. ეუბნება ბებია, თუმც, მართალი გითხრა, ბევრათ ერჩია ამ დროს რომ უცხო ვინმე არ მოსულიყო.

— მიყარა, მიყარა! იძახის ის, ვინც პირველათ დაინახა. სიხარული ორკეცდება, ხუმრობა ხომ არ არის, მიყარა! მაშ აწი აღარ წავა. სამზარეულო სახლიდან ქოთნით, „სველი“ (შრატი) მოაქვთ და გიდეღს ასველებენ, მიყრილ ფუტკარს გიდეღში ყრიან, ხიდან ჩამოყავთ და გიდეღიდან ბუკში ყრიან. ბუკის თავზე ქინქარს ადებენ, ქინქარზე ქვას. ამის შემდეგ დარწმუნებული იყვნენ ნაყარი ბინას აღარ დატოვებდა. — ქინქარი და ქვა „ავი თვალისაგან“ დაიფარავდა. იმ დღეს ოჯახიდან არაფერს არც გაყიდდნენ და არც გაანათხოვრებდნენ. ასე წარმოიდგინეთ, სხვიდგან ნათხოვარ ნივთსაც ამ დღეს ოჯახს არ მოაკლებდნენ. მოსულ სტუმარს, ვინც უნდა ყოფილიყო წასვლის ხანს სულ, რომ ტანისამოსის ერთი ძაფი ყოფილიყო აუცილებლათ დაატოვებინებდნენ. ყოველივე ამის შესრულებით სწამდათ, რომ ნაყარი აღარ გაიქცეოდა. ამ დღეს ოჯახში საერთო მზიარულება სუფევდა. ყველა კარგ გუნებაზე იყო. მეც აღარ მეშინოდა ჩემი სასტიკი „სპარტანელი“ მამის, მზიარული ვიყავით ბავშვები შეგვეძლო დაუსჯელათ გვეთამაშავვეცელქა. დიან მახსოვს ეს ტკბილი ნეტარი უმანკო დრო, მახსოვს და მგონი ეს იყო მიზეზი, რომ თავდავიწყებით შემეყვარდა ფუტკარი. როგორც შემდეგში დავაკვირდი ფუტკრე-

ბის ყრის დღე მარტო ჩემთვის არ იყო „მზიანი, ნათელი“ დღე, ფუტკრის ყრა ყველა ოჯახისთვის სადღესასწაულო დღეა, დოვლათის და სიცოცხლის მომნიჭებელი.

ნაყარი ფუტკრის ბზუილში სულ სხვა რაღაც ტკბილი, სიცოცხლის გამამხნევებელი, აღორძინების გარმონიაა—შრომა ერთობის გუგუნია. ბედნიერია ის, ვისაც ეს წამი განუცდია.

ასეთი ამბავი ჰქონდათ ძველათ ფუტკრის ყრის დღეს. მშრომელ სოფლელების ერთფეროვან ცხოვრებაში მას შეჰქონდა მზიარულება; ამ მზიარულებას ისინი გამაყრუებელი რახუნით და ზოგჯერ თოფის სროლითაც კი ეგებებოდნენ, რადგან სწამდათ, რომ რახუნით შეჩერდებოდა ნაყარი. გარდა რახუნისა საფუტკრეში რბენა, ფუსფუსი და ორომ-ტრიალი შეიქნებოდა... ყველაფერი ზოგჯერ მაინც ფუჭათ ჩაივლიდა; ზოგჯერ ნაყარი არც კი მიაყრიდა ისე გარბოდა, ზოგჯერ დაბინავებული ნაყარი, მიუხედავად იმისა, რომ ზედ სკაზე ქინჯარი და ქვა ედო მაინც ტოვებდა სკას და „გაიპარებოდა“¹⁾ მაშინ ეძებდნენ სოფლელ მატყუარა დედაკაცს და დანარჩენ სკებს „ავი თვალისას“ შეალოცვინებდნენ...

დღეს კი შეგნებამ ყველაფერი ეს ვარყო, თვალი აგვიხილა და შეგვაგნებინა, რომ „ავი თვალი და ავი ფეხი“ მარტო მეფუტკრეს აქვს და ყველაფერი მაზედ, მის მუყაითობაზე და ცოდნაზედ არის დამოკიდებული. მას არ ეშინია არავისი ავი თვალის, თუ ნაყარი გამოვიდა რახუნით იქაურობას არ გადააყრუებს რადგან მან სხვა ნაირადაც იცის მისი მიპატრონება.



¹⁾ ბინის დამწუნებელი ნაყარი, იშვიათი გასაგებია, როდის გამოდის, მისი სკიდან გამოსვლა—ფრთხილია, იშვიათი შემთხვევაა, რომ ისევ საფუტკრეში მიაყაროს—პირდაპირ მისწრაფვის სხვა ადგილას, ამისათვის იტყვიან „გაიპარა“.




სურათი 57.

ხის ტოტზე მიხვეული ნაყარი.

ნაყრის აკრეფა და დაბინავება.

საზოგადოთ საფუტკრეში ხაურობა, ბრახა-ბრუხი და რახუნი არასოდეს არ არის შესაწყნარებელი და მით უმეტეს ნაყრის გამოსვლის დროს. ჩვენი ყურადღება უნდა მივაპყრათ ნაყრის გუნდს, თუ ვატყობთ, რომ ისეთ ადგილას აპირებს შეხვევას, საიდანაც მისი აკრეფა გაგვიძნელდება, იმ ადგილას, ხელით თუ ვერ მივწვდებით, ჯოხზე უნდა მივამაგროთ გიღლის მსგავსი სანაყრე (იხ. სურ 58) და უნდა ვეცადოთ სანაყრის მოხერხებულად დაკერით ნაყარი სანაყრეში შევიდეს.

ზოგჯერ შეიძლება ძირიდანაც გახერხდეს ნაყრის სანაყრეში მოთავსება, ზოგჯერ კი შეიძლება ისეთ ადგილას შეიხუნზლოს, რომ მის აკრეფის დროს ბოლის ხმარაც კი მოგვიხდეს. უმეტეს შემთხვევაში კი და მეტადრე ნამთავარა, საფუტკრეში, თუ კი იშოვნისხის შტოს ძლიერ დაბლა აყრის*), ისე დაბლა, რომ მოსახერხებელი იქნება, შეგუზდულ ნაყარს



სურ. 58.

გიდლის მსგავსი ჩვენებური სანაყრე

ქვეიდან სანაყრე მიუშვიროთ, ტოტი შევანძრიოთ და ამ რიგად ნაყარი სანაყრეში ჩავყაროთ. ზოგჯერ შეიძლება ნაყარი მიყრილი ტოტი მაკრატლით ფრთხილათ ან მიიჭრას, ან ხერხით მიიხერხოს.

ზოგჯერ მოხდება ნაყარი ისე დაბლა მიაყრის რომ ქვეშიდან სანაყრე არც კი შეედგმის, მაშინ ნაყრის ქვეშიდან საფენი (ზეწარი ან რამ მისი მსგავსი) გაფინოთ, სანაყრე დავდგათ, ფუტკრები ძირს ჩამოვფერთხოთ და სანაყრეში შევრეკოთ.

ერთი სიტყვით ნაყრის შეგუზდვის შემდეგ უასაწყნარებლად 10—15 მინუთი უნდა ვაცადოთ, მერმედ კი მისი აკრეფა და სანაყრეში მოთავსება ვეცადოთ. ერთხელ კიდევ მოვაგონებთ, რომ ნაყარი, თუ ძალათ არ გამოვიწვევთ, არ იკბინე-

*) იმ საფუტკრეში საცა ხეები არ არის, ყრის წინ აქა იქ მიწაში ფოთლიანი მოზრდილი ტოტები უნდა გაამაგრო.

ბა; თამამათ შეგიძლიათ სუფთა ხელით, ჩამჩით, ჩოთქით, ფრთით, ფოთლის მიდებით, თუ სხვა რამით აკრიფოთ. საზოგადოთ განსოვდეთ ნაყრის აკრეფის დროს ძლიერ კარგია, თუ ნაყრის პირდაპირ გაფენთ ზეწარს, (ან ქილობს) უკეთუ ტოტის შენძრევის, მიხერხის ან საზოგადოთ აკრეფის დროს, დედა ჩამოვარდა პირდაპირ მიწაზე არ დაეცემა, არ დასახიჩრდება



სურ. 59.

საფუტკრეში სახმარი ჩოთქი.

და არც დაიკარგება. აკრეფის დროს დედას თვალს ადევნებთ, მისი პოვნა ადვილია, ნაყრის გუნდს ის გარს უვლის, ფუტკრების ზურგზე მიდი-მოდის, ერთ ადგილას არ ჩერდება, თითქოს მის იქ ყოფნას ყველას ატყობინებს, ყველას თავს დასტრიალებს. — უკეთუ დედას ნახავთ გალიაში ამწყვდევთ და გალიას სანაყრეში ათავსებთ. ასეთი ბედნიერი შემთხვევა თუ დაგირჩა არხეინად ხარ, (მეტადრე, როცა იცი, რომ ნაყარი ნამთავარაა და ერთი დედის მეტო არ ყავს), სანაყრეს პატიმარი დედით იქვე ნაყარი ფუტკრის ახლოს სდგამ ან კიდებ—ისე, რომ ნაყარსაც შიგ შეეძლოს გადასვლა. გალიას ერთ მუჭა ფუტკრებს შიდაყრი, დანარჩენიც ფაცა-ფუცით დედის გარეშემო შეაფარებს თავს. ნაყრიანი სანაყრე უნდა გააჩერო მანამდე სანამ შიგ ნაყარი თითქმის სულ არ მოიყრის თავს, მერმედ კი შეკიძლია—

ნაყრის დაბინავება. ძლიერ კარგი იქნება, თუ გეშოვება და მომზადილ დასაბინავებელ სკაში, ჩადგამ ერთ ბარტყებიან ჩარჩოს და მის გარეშემო ჩაალავებ ნიმუშ მიწებებულ ჩარჩოებს. (ჩარჩოები ერთი მეორეს ნახევარი ვერშოკით დააშორე). ასე გამართული სკის წინ გაფინე ზეწარი

ისე რომ მისი ერთი კალთა სასვენ ფიცარზე იყოს მიმაგრებული, მეორე კი მიწაზე გაშლილი. შემდეგ სანაყრიდან აიღებ ერთ კოვზ ფუტკარს, ჩაყრი ჩარჩოებს ზემოდან, ტილოს მიაფარებ და სკას თავს დახურავ. მაშინვე მობრუნდები და სანაყრიდან ფუტკარს ნაზათ, ნაწილ ნაწილად დაყრი ზეწარზე. ნაყარს სკიდან შემოესმება თავიანთი ღობილების მზიარული ბზუილი (გამართული ბუდის პოვნის გამო) და ცხვრის ფარასავით ისინიც სკისაკენ გაეშურებიან. დედა, თუ დაპატიმრებული გყავს ანთავისუფლებ და ნაყარში ურევ, — ნებას აძლევ მომავალ ბინაში სხვებს ისიც თავისით შეყვეს, თუ დაჭერილი არ გყავთ ნაყრის სკაში შესვლის დროს ავირდები, რწმუნდები, სხვებს ისიც შეყვა თუ არა.



სურ. 60.

მეფუტკრე ნაყარს აბინავებს.

ნამეორედა ნაყარს დაბინავების დროს, თუ ერთ ბარტყიან ჩარჩოს არ აძლევთ, სიფრთხილისათვის დედას აპატიმრებ. შემდეგ, როცა დარწმუნდები, რომ ნაყარმა გული დადვა, მუშაობას შეუდგა, დედას ანთავისუფლებ. საზოგადოთ ნამეორედას დაბინავების დროს დედების რიცხვს ანგარიში უნდა გაუწიო, შეიძლება თქვენ ერთი დედა დაიჭირეთ, მაგრამ მეტი კიდევ ყავთ. თუ ერთის მეტი დედა ეყო-

ლათ, შეიძლება თქვენი პატიმარი დედა დატოვონ და თავისუფალთან ერთად სკაც მიატოვონ. ამისთვის დაბინავების დროს ნაყარს ერთის მეტი დედა უნდა მოაშორო.

ნაყრის აკრეფის დროს სხვა და სხვა შემთხვევა და საშეაღება.

5.

ნაყრის აკრეფა რომ არ გაგვიძნლდეს, თუ საშეაღებ-
ბა გვაქვს სკის გვერდიდან ნაყრის გამოსვლას ფხიზლათ ვაკ-
ვირდებით და როცა დედა გამოვა, სიფრთხილით ვიჭერთ და
გალიაში ვაპატიმრებთ. დედა სკას, როცა მისგან ნაყრის გა-
მოსვლა შეწყდება, მაშინვე ახალ ადგილას 10—20 საყენის
იქით ვდგამთ. მის ადგილას იმ გვარადვე ვდგამთ ნაყრისთვის
გამზადილ სკას, რომელშიაც მიცემულ ბარტყებიან ჩარჩოზე
დაპატიმრებულ დედას, გალიით ჩამოკიდებ. ნაყარი ან შეხუ-
ნხვლამდე ან შედეგ რა კი დედას თავიანთ შორის ვერ
ნახავს, აიშლება და ძველ ადგილას დაბრუნდება. ძველ
ადგილას მათი ბუდე აღარ დახვდებათ. მაგრამ ნახავენ დედას,
გამართულ ახალ ბუდეს, გულს დადებენ და შრომას შეუდგე-
ბიან.

ცხადია ასეთი ზომის მიღება გამოგვადგება ნამთავარა
ნაყრის აკრეფის დროს, ესე იგი მაშინ, როცა ვიცით, რომ
ნაყარს მხოლოდ ერთი დედა ყავს.

როგორც უკვე ვიცით ადგილის შეცვლით, დედა სკა და-
კარგავს მოლაღე ფუტკარს და ეს მას დაასუსტებს. ამისათვის
როცა გვსურს, რომ დედა სკამ ნამეორედა ნაყარი აღარ
მოგვეცეს, მაშინ მას ვტოვებთ ახალ ადგილას; ყველა მოლაღე
ფუტკარი შეეძინება ნაყარს და გააძლიერებს.

ბ.

თუ ორი ნაყარი ერთად შეერთდა წაგებული არ ვიქნებით ორივე რომ ერთად ჩაყაროთ და იმ დღესვე საკუქნაოც გადავადგათ. საკუქნაოში, შეიძლება საბოლოო მუშაობა კი არ განაგრძონ, მაგრამ პირველ დღეებში ნაყარი არ მოცდება, მეტი სამუშაო არე ექნება. (იხ. გვერ. 207) ერთ-ერთ დედას, ექვი არ არის, წაართმევ, უფრო ახალ გაზრდას და უკეთეს დაუტოვებ.

გ.

თუ რამოდენიმე ნაყარი ერთად შეერთდა, ნაყარი უნდა მოათავსო შესაფერ დიდ კალათში და უნდა გაიმზადო იმდენი სკა, რამდენი ნაყარიც არის. მაგ. ავიღოთ შეერთებულია სამი ნაყარი, მოხერხებულ ადგილას, ჩვენ ვდგამთ სამ სკას, სამ კუთხათ ერთი ერთმანეთის ახლო, მათ შორის გაფენო განიერ ზეწარს, ისე რომ თითოეულ სკის საფრენზე ზეწარის კალთები იყოს შეერთებული, ნაყარს დავყრით სკების შუა ადგილას. ფუტკრები სკებისაკენ გაეშურებიან, ფრთით ვმეცადინობთ ფუტკრები ისე მივწი-მოვწიოთ, რომ თითოეულ სკას, რამდენადაც შეიძლება თანასწორი ძალა შეხვდეს. ამ დროს დედებსაც ვაკვირდებით, ვკვილობთ უდევლოთ არც ერთი სკა არ დარჩეს.

შეიძლება ამ დროს ერთ სკაში ფუტკრები სულ არ შევიდნენ; მაშინ დაუყონებლივ ფუტკრები ისევ ზეწარზე უნდა გამოყარო და იგივე ხერხი გაიმეორო.

რამოდენიმე ნაყარის შეერთება ხშირი შემთხვევა არ არის და სულ რომ თავიდან ავიშოროთ ნაყარი, შეეხვევა თუ არა, უნდა აკრიფოთ და თუ აკრეფას ვერ ვასწრებთ, მაშინ-თეთრი სველი ტილო უნდა მივაფაროთ—ამის შემდეგ მეორე ნაყარი მას აღარ შეუერთდება.

ნაყარი უნდა იყოს წონით არა ნაკლები 5 გირვანქისა ამაზე ნაკლები ცალკე დასაბინავებლად არ ღირს. თუ ლალიანობა ხელს უწყობს და ნაყარი ნაადრევია, ხუთ გირვანქიანიც ადრე მოძლიერდება, ნაგვანევი ნაყარი, რომელსაც ლალიანობა წინ აღარ უდევს 10 გირვანქიანიც ვერ იხეირებს.

დაბინავებული ნაყრის ყურის გდება.

ახალ დაბინავებულ ნაყარს პირველ ხანებში ფხიზელი ყურის გდება ექვირება. თუ ხელი არ შეუშალებთ ფუტკრები ძლიერ ხშირად ამჯობინებენ მუშაობა სკის სახურავიდან დაიწყონ, ამისათვის ჩარჩოებზე ტილო და ბალიში ისე უნდა იყოს მიფარებული, რომ ზემოთ ფუტკარს ამოსვლა არ შეეძლოს. გარდა ამისა ეხლავ უნდა ეცადოთ ჩარჩოებზე მუშაობა წესიერად დაიწყონ, ერთი მეორეზე არ გადააბან. შეიძლება თქვენ მიერ მიცემული სანიმუშო ფიქა ჩამოვარდა, ან გაიღვენთა, ამას პოყვება უწყესრიგო მუშაობა, ამისათვის ნაყარი ფუტკარი, სანამ წესიერად ბუდეს არ გამართავს, თქვენი ყურის გდება არ უნდა აკლდეს.

ნაყარს არ უნდა აკლდეს სიგრილე და საკმაო ჰაერი. თუ ნაყარი სუსტია ბარტყების მიმატებით, ადგილის შეცვლით ან ნაბოლარა ნაყრის მიმატებით უნდა გააძლიეროთ. თავის დროზე ხელოვნური ფიქის მიცემაც მოძლიერებას ხელს შეუწყობს.

ნაყრის დაბინავების შემდეგ შეიძლება ზედი-ზედ ხშირი წვიმები დაიჭიროს, ამისათვის, თუ უხვი ლალიანობა არ არის გაჩენილი, ურიგო არ იქნება ნაყარს დაბინავების მეორე დღის, საღამოს თაფლიანი ფიქაც მისცეთ, მხოლოდ ფრთხილად—ქურდებმა ნაყარი არ შეაწუხოთ.

ნამეორედა ნაყარი, სანამ დედა არ განაყოფიერდება და კვერცხის დებას არ დაიწყებს მოსალოდნელია სკა დაიწუნოს ან სხვა რამ მოიმიზეზოს და გაიქცეს. ამისათვის მეფუტკრეს

ფხიზელი ყურის გდება მართებს. გამოსული ნაყარი, თუ არ გაიპარა, და ისევ საფრტკრეში მიეხვია, აკრფის შემდეგ ერთ დღე და ღამეს ბნელსა და გრილ ადგილას უნდა ყავდეს, სკაში საღამოს უნდა ჩაყაროს, ბარტყიანი ჩაჩჩო უნდა მისცეს, სკა და ადგილი აუცილებელათ გამოუცვალოს, (სკის სისუფავე ახსოვდეს!) დედა 2—3 დღის მერმედ გაანთავისუფლოს. დედა თუ დაიკარგა, მაგიერი დროზე მისცეს.

თუმც იშვიათად, მაგრამ შეიძლება ასეთი ზომის მიღება ნამთავარა ნაყარსაც დასჭირდეს.

როგორ შევაჩეროთ ნაყრობა.

რაც უნდა ბუნებრივი ნაყრობის მოტრფიალე ვიყოთ და რამდენიც უნდა ვცდილობდეთ ბუნებრივი ნაყრობით ოჯახების გამრავლებას, ხშირი უწესრიგი ნაყრობა, ნაგვიანევი, ნამეორედა—ნაბოლარა ნაყრები მაინც საზარალოა. ბუნებრივი ნაყრობა შესაწყნარებელია, მხოლოდ ნაადრევი და ნამთავარა დანარჩენი, როგორც ნაყრობითი მეურნისათვის ისე თაფლობის მიმდევარისთვისაც დიდი საზიანოა, ზოგჯერ პირდაპირ გამანადგურებელია. ამისათვის წინ დახედული მეფუტკრე ყოველთვის ცდილობს უსარგებლო ნაყრობას ხელი შეუშალოს.

ნამთავარას გამოშვების შემდეგ სკა უნდა გავჩხრიკოთ ორი საღი, სრული საღედის გარდა ყველა უნდა ამოიჭრას. მამლები, რაც ეხლა უკვე გამოსულია, საკმარისია მომავალი თაობის მამათ, ამისათვის რაც ეხლა სკის ხილვის დროს მამლების პარკუტები იქნება ყველა უნდა გამოვჭრათ (ან მარტო თავები გადავაჭრათ დანარჩენი საქმე ფუტკრებს მივანდოთ, თვითონ ისინი ამოსწმენდენ უჯრებს და თაფლისათვის გამოიყენებენ).

ასეთი ზომების შემდეგ ნამეორედას გამოშვებას თავს ანებებენ (შეიძლება გამონაკლიც მოხდეს). ძლიერ კარგი იქნება, თუ გყავს, ნაყარ გაშვებულ ოჯახს სათადარიგო განაყო-

ფიერებულ დედას მისცემ და სადედეებს ყველას გამო-
ქრი.

პირველ შემთხვევაში, როცა სკას ორის მეტი სადედე
ამოქერით, თვალ-ყური გექიროთ, მთლად უდედო არ და-
გირჩეთ. უნდა გაიგოთ გამოიყვანეს თუ არა? წესიერად კვერ-
ცხის დება დაიწყო თუ არა? თუ მთლად უდედო დაგირჩათ
ისე მოექცით, როგორც სრულიად უდედოს.

ზოგ შემთხვევაში ასეც მოვიქცევით: ნამთავარა ნაყრის
გამოშვებისათანავე დედა სკას გავხილავთ, ერთ-ორ სადედეს
გარდა ამოვქრით, და ახალ ადგილას გადავდგამთ, მის ადგი-
ლას იმ დღის ნაყარს ვსდგამთ^{*)}. ამით ნაყარიც ძლიერი იქ-
ნება და დედა სკაც ნამეორედას არ გამოუშვებს. (იხ. გვ. 216^{შემ. ა}).

შეიძლება ყოველივე ღონე იღონოთ, მაგრამ ნამეორე-
და მაინც გამოვიდეს, მაშინ ეცადეთ ყველა დედები წაართ-
ვათ და ნაყარი ისევ მშობელ დედას სკას დაუბრუნოთ.

ნაყრის შეჩერება (ნამთავარა იქნება ის თუ ნამეორედა
სულ ერთია) სკების ადგილების შეცვლითაც შეიძლება—სუს-
ტი ძლიერის ადგილას გადადგმით. ამ საშვალების ხმარის
დროს გახსოვდეთ ადგილების შეცვლის წესი, სკების ერთმა-
ნეთის მსგავსება და ორივე სკის საფრენის ერთ სიმაღლეზე
დაქერა.

ახალი საშვალება. რუსულ მეფუტკრეობის ჟურნალში
ერთი მღვდელი გვირჩევს ბუნებრივ ნაყრობას ხელს ნუ შეუ-
შლით, რადგან ნაყარი ფუტკარი ახალ ადგილს თავ დავიწყე-
ბული ხალისით მუშაობსო, ნუ მოუშლით მათ ბუნებრივ ზოთ-
ხოვნილებას მხოლოდ, როცა ნაყარი არ გვსურს და გინდა ნა-
ყრის გამოშვებამ სკა არ დაასუსტოს. ამისათვის დედა სკა

^{*)} სასურველია, თუ გეყოლებათ დედა სკის ადგილას, მისივე ნაყა-
რი კი არ დადგათ, არამედ შეცვლით იმავე დღის სხვა სკის ნაყარი.
ამით ნაყარი ფუტკრები ახალ ადგილას იქნებიან და როგორც გამოცდი-
ლები გვარწმუნებენ, ახალ ადგილას ნაყარი მეტი ხალისით მუშაობს.
(იხ. ქვემოთ ახალი საშვალება).

ისევ ნაყრით გავაძლიეროთ, მაგრამ არა მისივე ნაყრის მშობელ ოჯახში უკან დაბრუნებით, არამედ სხვა ოჯახის ნაყრის შემატებით. ამ რიგად ყველა ნაყარი ახალ ადგილას იქნება, ბუნებრივი ნაყრობის ჟინი შეუსრულდებათ და ახალ ადგილას ნაყრული გატაცებით იშრომებენო. ასეთ საშუალების სარგებლობას იზიარებს ჟურნალის რედაქტორი, ცნობილი მეფუტკრე **დერნოვიც**, ამისათვის ჩვენც მოგვყავს. აი ეს საშუალება: პირველ ნამთავარას მოვათავსებთ ცალკე ოჯახში. მერმინდელ ნაყარს, როგორც შეერთების საერთო წესია იმ გვარად შეუერთებთ იმ სკას, რომელმაც პირველი ნაყარი მოგვცა, მესამე ნაყარს ვაძლევთ მეორე დედა სკას და სხვ... ამ რიგად მართალია, რომელიმე სკამ ნაყარი გამოუშვა, მაგრამ სამაგიერო ძალა მეორე სკის ნაყრით შეივსო და ეს ნაყარი ახალ ბინაზე ნაყრის განსხვავებულ ცხოვრებას განიცდის.

ვისაც ნაყარი სულ არ უნდა მიიღოს იმან უნდა შესარულოს:

1. ბუდე თავის დროზე სადედების გაჩენამდე გააგანიეროს.
2. სადედები გაჩენისათანავე გამოქრას. (თუ მაინც გაჩნდა).
3. სამამლე უჯრები 400—500 მეტი არ დაუტოვოს.
4. სკას საკმაო სიგრილე და ჰაერი არ აკლდეს.
5. თავის დროზე საკუქნაო გადაადგას.

მაგრამ ზოგ წელიწადს ფუტკრებს მაინც იმდენზე გაიტაცებს „ნაყრობანა“, რომ მეფუტკრის მიერ მიღებული ვერავითარი ზომა მას ვერ შეაჩერებს:

ბუნებრივი ნაყრობის ნაკლი.

ვინც ნაყრობის შესახებ მოხსენებული გულის ყურით წაიკითხა, მისთვის უჩვენოდაც ადვილი წარმოსადგენია, თუ რაძდენი ნაკლი და დამაბრკოლებელი მიზეზები ახლავს ბუნებრივ ნაყრობას.

როდესაც ფუტკრები ხშირად იყრიან თაფლს ძლიერ ცოტას აგროვებენ, ზოგჯერ, უხვი ლალიანობის წელიწადსაც

კი მშვიერი რჩება, არამც თუ ნაყარი, მშობელი ოჯახიც კი. ზოგჯერ მეტი ნეტი ყრისაგან მშობელი ოჯახი სულაც გაქრება. სადედეების გაკეთების შემდეგ ყრის მომხრე ფუტკრები ღელაზე უხალისოთ მიდი-მოდიან, ამ რიგათ ოჯახს მუშათა ძალა აკლდება. თვით სადედების გაკეთება, დედებისა და მამლების აღზრდას, დიდ ქალი ხარჯი და შრომა ეწირება. ზოგჯერ ხომ ეს დალოცვილები პირდაპირ საზღაპრო სადედეებს აკეთებენ; ცნობილ მეფუტკრე პროფ. ბუტლეროვს ჩვენში, ჩვენებურ გოდორა სკაში, 126 სადედეზე მეტი შეხვედრია. ყრის მოახლოვების დროს დედა უკლებს ქამას და კვერცხის დებას, ეს გარემოება ფუტკრებს უკარგავს ისედაც შელახულ შრომის ხალისს. იკარგება ძვირფასი დრო, რადგან ნაყრობის დრო, ხომ იგივე ღალიანობაა და მასთანადე საზრდოს შეგროვების ხანაა. ხშირად მოხდება ისეთი შემთხვევა ოჯახს კიდევ შეუძლია და მზადაც არის მოგვეცეს ნაყარი, მაგრამ აპინდის შეცვლა საკმარისია ნაყარი არ მოგვეცეს. ამ რიგად ბუნებრივი ნაყრის შექყურე მეფუტკრეს თავისი მოლოდინი არ გაუმართლდება, ნაყარის დასაბინავებლათ მომზადილი სკები ისევ ცარიელი ურჩება.

ზოგჯერ ნაყარს დააბინავენს, საფუტკრის წიგნში ოჯახის მომატებას ჩასწერს, მეორე დღეს ხედავს, რომ ნაყარი გაპარულა.

გარდა ამისა ბუნებრივი ნაყრობა მეფუტკრისაგან ითხოვს თითქმის მთელი დღის დარაჯობას (და თუ ბევრი ყავს, დარაჯობაც ვერას უშველის—ბევრი ნაყარი მაინც დაეკარგება). და ისიც იმ დროს, როცა სოფელი მეურნეს სხვა საქმეც აუარება აქვს. (მაისი, თიბათვე, მკათათვე) ყოველივე ამის გათვლისწინების შემდეგ, მეფუტკრეების დიდმა უმეტესობამ ვარყო ბუნებრივი ნაყრით ფუტკრის გამრავლება და შეუდგნენ მათ ხელოვნურ გამრავლებას. მართალია ხელოვნური ნაყრის დროს ის პოეზია, აღტაცება და ეფექტი აღარ არის, რაც ბუნებრივი ნაყრობის დროს, მაგრამ სარგებლობის მიმ-

დევარ მეფუტკრეს ამეგებისთვის არ სცალია, ის ეძებს მეტ სარგებლობას და ამას კი ხედავს ხელოვნური ნაყრობიდან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნებრივი ნაყრობის დროს ბატონობა, განკარგულება და ყრის თაოსნობა უმთავრესად ეკუთვნის ფუტკარს. მეფუტკრე კი ზოგჯერ პირდაპირ მათ ჟინიანობა — ხუსტურს ემორჩილება, შემყურეა მისი „ნოწყალების“. ხელოვნური ნაყრობის დროს კი წინააღმდეგ, მეფუტკრე ძლევს მოსილი განმკარგულებელია, ფუტკარი კი მორჩილად აღმასრულებელი ძალა. მეფუტკრეს შეძლება აქვს ფუტკრის გამრავლება, ფუტკარსვე არ დაუმორჩილოს და მის ჟინიანობას არ მისდიოს, არამედ თვითონვე სწორი ანგარიშით გაამრავლოს, რამდენი ნაყარიც სასარგებლოა და სურს, მხოლოდ იმდენი მიიღოს.

ბუნებრივი ნაყრობის დამცველები ამბობენ, რომ ხელოვნური ნაყარი ფუტკრების ბუნების შესლუდვაო, მავრამ, თუ ცოდნას და გამოცდილებას წინ წავიმძღვარებთ, ფუტკრების ბუნებრივობას ხელოვნური ნაყრის მიღების დროსაც არ დავგმობთ, მაშინ მეფუტკრისათვის ბუნებრივ ნაყარზე მეტი ხელსაყრელი იქნება ხელოვნური ნაყარი.

ხელოვნური ნაყარი.

ხელოვნური ნაყრობის მიმდევარი მეფუტკრე, ფუტკრების ცხოვრებაში თვითონ ერევა, კისრულობს იმ ოჯახების შუა კაცობას (მედიატორობას), რომელთა გაყოფა ღირს და ერთის ან ორი ძლიერი ოჯახისაგან, თვითონვე ქმნის ახალ ოჯახს. ამ რიგით მეფუტკრის მიერ თავის მიხედვით, მის მიერ დანიშნულ დროზე ახალი ოჯახის შექმნას ეწოდება: ხელოვნური ნაყარი.

ხელოვნური ნაყრის მიღება, დამყარებულია იმაზე, რომ ობლობის დროს, ფუტკრებს შეუძლია **გაჭივრების დედის** აღზდა, ამისათვის ხელოვნური ნაყრის გაკეთების დროს

მეფუტკრე ანგარიშობს:

ხელოვნური ნაყარი გამოართვას ისეთ ოჯახს, რომელსაც დაობლების შემდეგ, საშვალემა ექნება აღზარდოს სახირო გაკვირების დედა (აქვს კვერცხი ან ყავს 2 დღის ქია).

ნაყარი გამოყოფს ისეთი ოჯახისაგან, რომლის ნაყოფიერებაში და შრომის სიყვარულში დარწმუნებულია, ამ რიგად ის საფუტკრეში ამრავლებს არა უნდილ მშრომელის მოდგმას, არამედ ბეჯითისას. მაშასადამე ხელოვნური ნაყრის შექმნით მეფუტკრე ფუტკრების მოდგმასაც აუშჯობსებს*).

დედა სკა, (თუ სკები) არ დაჩაგროს, არ დაასუსტოს, მშობელი და შობილი ორივე სასარგებლო სადგამური დარჩეს, ერთის ბედნიერება მეორეს არ შეეწიროს.

მაშასადამე ხელოვნური ნაყრობის დროს ის გარკვეულ მდგომარეობაშია: მან კარგად იცის რამდენი ნაყარის შექმნა შეუძლია და იმის შესაფერ თადარიგს იჭერს. მისი საქმე ეხლაც ისე სავარაუდო და საალაღბედო აღარ არის, როგორც ბუნებრივი ნაყრობის შემყურის.

ყოველივე ჩამოთვლილის მიზეზების გამო, ის ირჩევს ფუტკრების ხელოვნურად გამრავლებას და ამის თადარიგს ადრე გაზაფხულიდანვე იჭერს: აძლიერებს ოჯახებს, ავსებინებს ბუდეს, და რომ ფუტკრებმა არ მოასწრონ ბუნებრივი ნაყრობისთვის მზადება ასწრებს მათ და თვითონვე ყოფს.

ხელოვნური ნაყრის გამოყოფა შეიძლება დავიწყოთ ნაყრობის წინათ, უხვ ლალიანობის დაწყებას უნდა დავასწოროთ 15—20 დღით.

*) საზოგადოთ ფუტკრები მშრომელებია, მაგრამ გამონაკლი მათ ოჯახებშიაც ურევია, ზოგიერთი ოჯახი უნდილი, უხალისო მშრომელია, რა გინდ ხელი უწყო მათი ნაშრომი ზოგჯერ მათ საზრდოს არ აღემატება. ცხადია ასეთ ოჯახის მოდგმას მშობელის თვისება დაყვება. მეფუტკრე მათ გადაგვარებას ყოველთვის უნდა ცდილობდეს.

გარდა უნდილობისა ზოგიერთ ოჯახის მოდგმას მეტის-მეტე ბრანიანობა აქვს თვისებათ—არც ეს არის გასამრავლებელი.

ხელოვნური ნაყრის დროს ნუ ვაგიტაცებთ სკების რიცხვი — ბევრი სკა და არაუარის მომცემი რის მაქნისია!

მეფე ერეკლეს 11 ვაჟის დედამ მოწყალება სთხოვა, მეფემ უსაყვედურა: როგორ არა გრცხვენია 11 ვაჟის პატრონი მათხოვრობო!

— რა ვქნა გენაცვალე, თუ ყველა უხეიროაო, ნეტავი ერთი მყავდეს და შენისთანაო. მიუგო დედაკაცმა. იმისი არ იყოს, 11 უხეირო ოჯახს ერთი ხეირიანი სჯობია. მეფუტკრის ძირითადი მცნება: **„ხსნა და ბედნიერება მხოლოდ ძლიერი ოჯახების ყოლაშია!“** ყოველთვის მტკიცეთ უნდა გახსოვდეთ.




როგორ ვაეკეთოთ ხელოვნური ნაყარი.

ხელოვნური ნაყრის გასაკეთებლად ბევრი სხვა და სხვა ნაირი ზომებია ნაცადი. მათში ყველაზე უტყუარია ორი ძლიერი ოჯახიდან ერთი ძლიერი ნაყარის მიღება, ამ საშუალებას, რადგანაც ორისაგან ერთი ოჯახი გამოიყოფა, უწოდოთ გამოყოფა.

I. **გამოყოფა.** უნდა ავარჩიოთ ორი ყოველად ძლიერი ოჯახი, რომელსაც 7 — 8 ჩარჩო ყველა ასაკის ბარტყები ყავს, დანარჩენიც ბარაქით სავსეა. (სულ 11 ჩარჩო). ამ ორი ოჯახისაგან ხელოვნურად უნდა მივიღოთ ერთი ოჯა-

ხი. სკები მაგალითისთვის გვიდგას, ისე როგორც სურათ 61-ზეა ნაჩვენები, ესე იგი, ა და ბ ძლიერი ოჯახია, მათ მახლობლათ ვსდგამთ ცარიელ სკა გ-ს.



სურ. 61.

ა. და ბ. ძლიერი ოჯახები, გ. ცარიელი სკა, რომელშიაც არც ჩარჩოა და არც ფუტკარი.

დაუკომლეთ სკა ბ-ს, მისგანვე თითო თითოდ ამოვიღებთ ჩარჩოებს, მოვნახავთ დედას და დავაპატიმრებთ*). მოვაშორებთ ფუტკრებს, ესე იგი, ყველა ჩარჩოზე მსხდომ ფუტკარს ჩავტოვებთ თავისივე სკა ბ-ში. უფუტკრო ჩარჩოებს კი იმ გვარადვე, როგორც ელაგა სკა ბ-ში ჩავალაგებთ, ცარიელ სკა გ-ში. (სკა გ-ს საფრენი დაკეტილი გვაქვს, ჩარჩოები ტილო მიფარებული, ვიფარავთ ქურდი ფუტკრებისაგან).

*) დედის პოვნა რომ გაადვილდეს, ზოგი მეფუტკრე დედას უვნებელი საღებავით ზურგსაც კი უღებავს, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ეგ საფრთხილოა და მასთან არც საჭიროა — დედის პოვნა უმისოთაც არ არის ძნელი. სკა უნდა გახილო ისე, როგორც ჩვენ გვაქვს აწერილი 162 და 163 გვერდებზე. როგორც გვაქვს მოხსენებული ჩარჩოს ისე დაიჭერ და ორის მხრით ფიზლად გახილაუ. დედის ძებნის დროს თვალებს იქით აქეთ კი არ აცეცებ, არამედ უჯრების მიყოლებით—ან განზე ან სიგრძეზე, თუ თვალის ავლებ-ჩავლებით დედას ვერ იპოვნე და ზოგ ადგილას ამჩნევ, რომ ფუტკარი შეჯგუფულია, სულის შებერვით ან ფრთის ნაზი შეხებით, ჯგუფს დაქსაქსავ და აქაც აკვირდები, დედა ჯგუფში ხომ არ ურევია. ამ რიგად, ერთი მეორის მიყოლებით, ყველა ჩარჩოს ორის მხრით ათვალიერებ მანამდე, სანამ დედას იპოვნიდე. შეიძლება ყველა ჩარჩო გახილო, დედა მაინც ვერ იპოვნო, შეიძლება ან ჩარჩოზე ვერ შეინიშნე, ან სკის კედელზე გადასვლა მოგასწრო, მაშინ მის მოძებნას ხელახლა იმავე წესით შეუდგები, როგორც მოგახსენეთ.

სკა ბ-ში დავტოვებთ ერთ ჩარჩოს, რომელზედაც ყველა ასაკის ბარტყებია, ვანთავისუფლებთ დედას და, ნაცვლად წართმეული ჩარჩოებისა, მაშინვე ვაძლევთ მშრალი ან ხელოვნური ფიჭით სავსე ჩარჩოებს. (ან ნიმუშ მიწებებულებს).

ამ რიგათ ცარიელი სკა გ მიიღებს, გარდა ერთისა, ყველა ჩარჩოებს, რომელიც ჰქონდა სკა ბ-ს.

სკა ბ-ში კი დარჩება დედა, ერთი ჩარჩო და ყველა ფუტკარი. ეხლავე სკა გ უნდა ავწიოთ და დავდგათ ძლიერი სკის ა-ს ადგილას, ა კი ვადავდგათ ახალ ადგილას, ძველ ბინაზე 50 ფეხის ნაბიჯით დაშორებულზე მაინც. რა მოხდება?

სკა ა-ს მოღალე ფუტკრებს თავის სკის ადგილას დახედება სკა გ, რომელშიაც იხილვენ ბევრ ბარტყებს და ბარაქიან ფიჭებს. რამოდენიმე ხანს ისინი მაინც უკმაყოფილონი არიან, რადგან აღარ ყავთ თავიანთი საყვარელი დედა, მაგრამ, რაკი შეუძლიათ აღზარდონ გაჭირვების დედა, დამშვიდდებიან და შეუდგებიან სადედეების გაკეთებას.

გავიგოთ სკა ა-ს ამბავიც. ეს სკა იყო ძლიერი, მაგრამ, მოშორებულ ახალ ადგილზე გადატანით, მან დაკარგა მოღალე ფუტკრები, რომლებიც შევიდნენ სკა გ-ში; და მას კი დარჩა ხელ-უხლებლათ თავისი ბუდე, ბლარტი ფუტკრები და დედა. ცოტა ხანს ამ სკას უსიცოცხლობა ეტყობა, რადგან მოღალე ფუტკარი არ ყავს, მაგრამ ძლიერ ადრე გაიმართება წელში, რადგან ბლარტი ფუტკარი, წამოიჩიტება თუ არა, ლალაზე წავა. მანამდე კი ჩვენი ყურის გდება ეჭირვება, ხან და ხან წყლის მიცემა უნდა, საკმარისია საფრენიდან შეპკურება. საზოგადოთ ამ სკისაგან ნაყარს აღარ ველით.

რაიცა შეეხება სკა ბ-ს, ეხლა ის არის ხელოვნურად მიღებული ნაყარი; პირველად ფუტკრებს შეშფოთებას ვამჩნევთ, მაგრამ ადრე ჩვეულებრივ შრომას აჩაღებენ.

ამ რიგათ ორი სკის ნაცვლად გვყავს სამი ოჯახი და სამივე საიმედო:

1. **გ.** მდიდარია ბარტყებით, ფიჭვებით და ა-ს მოლალე ფუტკრებით, არა ყავს დედა, მაგრამ მალე ამოზრდიან.

2. სკა ა-ს აქვს თავისი ბუდე, უხვად ყავს ბარტყები და ყავს დედა. მართალია დაკარგა მოლალე ფუტკრები, მაგრამ მაინც ადრე მოლონიერდება.

3. სკა ბ-ს ყავს დედა და ბლომათ ფუტკარი, არ აქვს სრულიად გამართული ბუდე, მაგრამ ადრე გააშენებენ, და, თუ მეფუტკრემ მშრალი ან ხელოვნური ფიჭვის მიცემით ხელი შეუწყო, უფრო დაწინაურდება.


ამათში ყურის გდება ეჭირვება **გ**-ს, მას თუ განაყოფიერებული დედა მივეციტ, მოსვენებული ვართ, მაგრამ, თუ გაჭირვების დედის იმედული დავტოვეთ, ვიცით, რომ ერთის ამარა არ დადგებიან, რამოდენიმე სადედეს გააკეთებენ. გაყოფის ათი დღის შემდეგ დედები გამოიჩეკება და მე 13—14 დღეზე მოსალოდნელია ნამეორედას მსგავსი ნაყარიც გამოუშვას. ასე თუ მოხდა, კარგია, თუ ნაყარს მაშინვე დედა სკას არ დაუბრუნებ, არამედ მეორე დღის საღამომდე, უდედოთ, სანაყრეში ჩაყრილს იყოლიებ და მხოლოდ მერმედ უკანვე დაუბრუნებ. ცალკე ოჯახად კი არც ეს ნაყარი გამოდგება და დედა სკაც დაუძლურდება.

II. განაწილება. ავიღოთ ისეთივე ძლიერი სკა, როგორც პირველი საშვალეების დროს მოვიხსენეთ, მოვნახოთ დედა და რომელ ფიჭვზედაც ვნახეთ, იმაზედვე დავაპატიმროთ. (დაპატიმრება შეიძლება ან ხუფს ქვეშ, ან გალიაში, გალიას კი იმავე ჩარჩოზე გამოვკიდებთ). დედიანი ჩარჩო ფუტკრებიანებ გადავიტანოთ ახალ ცარიელ სკაში და ბუდის შუა ადგილას ჩავდგათ. ამ ჩარჩოს იქით-აქედან უნდა ჩავდგათ ან იმავე სკიდან წამოღებული ან სხვა სკიდან გადმოტანილი ორი ბარტყებიანი ჩარჩოები. მასვე (ახალს) უნდა მიუმატოთ ორი მშრალი ან ხელოვნური ფიჭა (უკიდურეს შემთხვევაში მარტო ნიმუშ მიწებებული ჩარჩოები). და სხვა სკიდან გადმოტანილი 1—2 თავლიანი ჩარჩო. ეს ახალი სკა უნდა დავდგათ ძველი სკის

ადგილას, ძველი კი გადავიტანოთ ახალ ბინაზე.

ახალ სკაში შევლენ ძველი სკის მოღალე ფუტკრები, მათვე ეყოლებათ თავიანთი ნაყოფიერი დედა, ბარტყები და ექნებათ ფიჭა და თაფლი დანაკლისს ადრე შეივსებენ.

ძველ სკაში დარჩება: ახალ გაზრდა ფუტკრები, ყველა ასაკის ბარტყები და ბუდის ბარაქის მეტი წილი. არ ეყოლებათ დედა, — ცხადია სათადარიგო დედას თუ მივცემთ, ოჯახი უფრო ადრე მოლონიერდება. მაგრამ თუ დედა არა გვყავს, სჯობს



სურ. 65.

ფიჭაში ჩამყნილი სადედე*).

*) სადედეს ჩამყნა ასე უნდა: უნდა აირჩიო საღი ოჯახის საღი მწიფე სადედე (აუცილებლათ გადაბეჭდილი), მაზეილი დანით ისე უნდა ბამოჭრა, რომ ყველა მზრათ თან მოყვეს რამოდენიმე უჯრის ნაწილი. სადედეს ნაზათ უნდა მოეპყრა, ხელში აო შეატრიალ-შემოატრიალო, ოღნავათაც არ გატყლიტო. რომელ სკასაც აძლევეთ იმის სამუშე ფიჭა-წიაც უნდა გამოჭრა სწორეთ იმდენი ადგილი, რომ შიგ იმ გვარადვე და იმ სახით, როვორც მშობელ ოჯახში იყო, თავისუფლად ჩაიმყნას. ჩამყნილ სადედის გვერდების ფიჭას ქინსძისთავივით წვერ-მაზეილი წმინდა ჩხირით ორ ადგილას გაამაგრებ—ორი დღის მერმედ ჩხირებს მოაშორებ;—სადედე ფუტკრების მიერ უკვე იქნება მამაგრებული. ჩამყნა უნდა კარგს, თფილ ამინდში, ამოჭრისათანავე, არ გაცივდეს.

ჩაუმყნათ შწიფე სადედე (იხ. სურ. 65). უკიდურეს შემთხვევაში დედას თვითონაც გამოიჩეკენ, მაგრამ ამით სკის მოლონიერება შეფერხდება.

III. შეკრება. ზოგჯერ მეფუტკრეს განგებ დასკირდება, ძლიერი ოჯახისთვის ცოტა ძალის მოკლება. ეს მოხდება მაშინ, როცა უხვ ლალიანობამ ჩვენს მოლოდინზე დაიგვიანა, ოჯახი კი იმდენზე ძლიერია, რომ, თუ ხელი არ შეუშალებთ, ნაყრის გამოშვების თადარიგს შეუდგება. ამ დროს მეფუტკრე ფუტკრებს ასწრებს და ორ საქმეს ერთად აკეთებს. საყრელად გამზადილ ძლიერ სკებს ართმევს თითო ბარტყიან ჩარჩოს ზედ მსხდომი ფუტკრებით, რომელთაც აერთებს ერთად, აძლევს დედას, ან ჩაუმყნის სადედეს და, როგორც ვიცით, ამ გვარი შეკრებით ღებულობს ხელოვნურ ნაყარს. იმ სკებს კი, რომელთაც ჩარჩო და ფუტკარი მოაკლო, დროებით ნაყრობის სურვილს უკარგავს. (მოკლებულ ჩარჩოს მაგივრად აძლევს ხელოვნურ ფიქას).

უჩარჩო სკიდან ხელოვნური ნაყრის მიღება.

იქნებ ვინმესთვის საჭირო დარჩეს, ძველებური სკებისაგან მიიღოს ხელოვნური ნაყარი. ეს იქნება საჭირო მაშინ, თუ მეფუტკრემ თავის დროზე ფუტკარი რაიმე მიზეზით ვერ გადასვა, ატყობს კი, რომ კოდს (ან სხვა მის მზგავსს) შეუძლია ნაყრის მოცემა, მაგრამ ბუნებრივ ნაყარს ან არ იძლევა, ან გვინდა დავასწროთ და ჯერ კოდისაგან მივიღოთ ხელოვნური ნაყარი, მერეთ კი ისიც გადავსხათ ჩარჩოიან სკაში.

როცა საქმე ამ გვარად არის, ასე ვიქცევით: ფუტკრების ღალაზე ხარბათ მიდენ-მოდენის დროს, ძლიერი კოდი უნდა ავიღოთ და მის ადგილას, სწორეთ ისე, რომ კოდის და ჩარჩოიანი სკის საფრენი ერთ და იმავე ადგილას დარჩეს, ვდგამთ გამართულ ჩარჩოიან სკას, რომელშიაც ერთი ჩარჩო აუცი-

ლებლათ არის სამუშე კვერცხებიანი, დანარჩენი ჩარჩოები, ცხადია, თუ მშრალი და ხელოვნური ფიჭიანი იქნება მით, უკეთესი. კოდს გადადგამთ ახალ ადგილას. მისი მოლალე ფუტკრები შეველენ ჩარჩოიან სკაში, მცირედი უკმაყოფილების შემდეგ, შეუდგებიან დედის გამოყვანას. და თუ განაყოფიერებულ დედას მისცემთ, ხომ კარგია და კარგი.

დედას თუ აძლევთ, უნდა მისცეთ გალიით, სანამ თვითონ არ შეითვისებენ არ უნდა გაუშვა. კოდი, თუ ძლიერი იყო, ასეთ საშვალეობით მივიღებთ მშვენიერ ნაყარს და კოდიც არ დასუსტდება, რადგან მისი ბუდისთვის ხელი არ გვიხლია და არც დედა წაგვირთმევია.

ეს საქმე რომ წარმატებით შევასრულოთ, საჭიროა კოდი თავისავე მსგავსი სკიდან დაშორებული იყოს, თორემ ზოგი მოლალე ფუტკრები სხვებში დაიქსაქსებიან. ამასთან უნდა ვეცადოთ და, ჩარჩოიანი სკა, რამდენადაც შეიძლება გარეგნულად კოდს მივამსგავსოთ, მოლალე ფუტკრებისაგან ხელოვნურად გაავითებულ ნაყარს, თუ ატყობთ, რომ სუსტია, ფუტკრების ან მწიფე პარკუჭების მიმატებით უნდა გააძლიეროთ.

როგორც ხედავთ, ხელოვნურად ფუტკრების გამრავლება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მხოლოდ უმთავრესად საჭიროა დედა სკები ძლიერი იყოს. გარდა ამისა, თუ ამ დროს გვეყოლება სათადარიგო დედა, და უდედო სკებს მივცემთ, ოჯახები ადრე და წარმატებით მოლონიერდება, რადგან დედინაობა მათ ახალისებს, მის აღზრდაზე დრო და ხარჯი არ ეკარგებათ. უმთავრესად კი მათი გამრავლება თითქმის ერთი თვე არ დაბრკოლდება. მაშასადამე გონიერ მრეწველ მეფუტკრეს ყოველთვის უნდა ყავდეს სათადარიგო დედა.



სათადარიგო დედა.

სათადარიგო დედა არის მეფუტკრის მიერ შავი ღლისთვის მარჯაოდ, სათადარიგოდ შემონახული ზედმეტი დედა. ასეთ დედას გაჭირვების დროს მეფუტკრე აძლევს ობოლ ოჯახს და მით ობლობის მიერ გამოწვეულ შედეგებს თავიდან აშორებს. სათადარიგო დედით უცვლის უვარგის დედასაც. როგორც ხედავთ, სათადარიგო დედა მისწრება ყოფილა და ყველა გონიერი მეფუტკრეც ვალდებულია ეს გაჭირვების ტალკვესი მუდამ ჟამს ყავდეს, როგორც ზაფხულობით, ისე ზამთარშიც, რადგანაც დედები ადრე გაზაფხულზე მეტი კვდება, ვიდრე სხვა დროს. გარდა ამისა ადრე გაზაფხულზე ფუტკრებს სკაში არ აქვთ საიმისო პირობა, რომ დაკლებული დედის მაგივრად საუკეთესო აღზარდონ. მაშასადამე, თუ მეფუტკრემ სათადარიგო დედა ზამთარშიაც არ იყოლია, გაზაფხულზე, ამ ყველაზე მეტად საჭირო დროს, არ ეყოლება.

სათადარიგო დედა, ერთი რომ ობოლი სკის ნუგეშია, უვარგისი დედის მაგიერია, მისი ყოლა სხვა მხრივაც საჭიროა: ქვეყანაზე არსებობს სხვა და სხვა ფუტკრის ჯიში (რომლის შესახებაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ბაასი). ბევრი მეფუტკრე ცდილობს შეიძინოს საუკეთესო ჯიშის ფუტკარი და თავის საფუტკრეში ის ყავდეს. მაგალითად ვთქვათ: ამერიკელმა მეფუტკრემ მოიწონა კავკასიის ფუტკრის ჯიში და მისი შეძენა გადასწყვიტა. ის რომ ადგეს და აქედან პირდაპირ მთელი ძირი სკა გამოიწეროს, გადატანა ძვირი დაჯდება, ძნელი გადასატანიც არის, ადგილობრივადაც მეტი უნდა მისცეს. ამისათვის საჯიშეთ ყოველთვის ამჯობინებენ გაიწერონ მარტო განაყოფიერებული დედა. მარტო ასეთი დედის გადაგზავნა-გადმოგზავნა ადვილია და იაფი. ობოლ სკას აქაურ განაყოფიერებულ დედას მისცემს და ამით ჯერ ერთ ძირ სკას გადააჯიშებს, მერმედ აქაური ჯიშის მოდგმა თვითონაც დაურჩება და, თუ სურს მთელი საფუტკრის გადაგვარებაც შეუძლია.

ერთი სიტყვით, სათადარიგო დედების ყოლა იმდენზე სავიწრო და ზოგისთვის სასარფო შეიქნა, რომ ბევრი შეუღლა მის ხელოვნურად გამოჩეკას. გამოიგონეს ხელოვნურად სადღე უჯრის დასაწყისი ჯამის საკეთებელი მანქანა. ასეთ ჯამს აკეთებენ რამოდენიმეს, სადღეში გადააქვთ დედის საკვები და თვით სამუშე ქია. ამ რიგად ერთ ოჯახში ერთბაშით გამოყავთ ასამდე დედა. გამოჩეკილ დედებს ათავსებენ პატარ-პატარა „სათესლე“ სკებში და როცა დედა განაყოფიერდება ან ყიდიან, ას საჭიროების დროს სხვა სკას აძლევენ.

ასე ხელოვნურად დედების გამოჩეკას მისდევს უმთავრესად იმ მეფუტკრე-ვაჭარი, რომელიც საჯიშე დედებს ყიდის, მისთვის დედის ღირსება იმდენზე საყურადღებო არ არის. გარდა ამისა დედების ამგვარი გამოჩეკა ითხოვს განსაკუთრებით ხელის წყობას, საჭიროა გამოცდილება და გავარჯიშებაც, მაშასადამე ჩვენთვის მართალია მიუწოდომელი არ არის, მაგრამ არც სახარბიელოა, რადგანაც უფრო უბრალო საშვალეებითაც შეგვიძლია ბევრათ უკეთესი დედები ვიყოლიოთ*).

სანამ მეფუტკრე სათადარიგო დედის აღზრდის თადარიგს შეუდგებოდეს, მანამდე ის უნდა ფიქრობდეს თუ

რომელ ოჯახს შეუძლია კარგი დედის აღზრდა?

კარგი დედის გამოჩეკა შეუძლია ძლიერ ოჯახს, კვერცხის უხვათ მდებელი დედის პატრონს, ბარაქიანი შრომის მოყვარულს, სრულიად სალსა და ბედნიერს. გარდა ამისა საუკეთესო დედა გამოიჩეკება უხე-ღალიანობაზე.

როგორც გამოკვლევამ დაამტკიცა, კარგი დედის აღსაზრდელათ დედის კარგი დედ-მამა მარტო არ კმარებულა, არამედ დიდი მნიშვნელობა ჰქონია აღმზრდელებს, ესე იგი გადია ფუტკრებს. ხალხურ ბრძნულ ანდაზას „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი მერე გამოანახეს“ უნდა დავსძინოთ „აღმზრდე-

*) ვისაც ხელოვნურად დედების გამოჩეკა სურს, ურჩევთ გაიცნოს პრატიკისა და რუტის სახელმძღვანელო წიგნაკები.

ლის“ ნახვაც და აღზრდილის შესახებ მხოლოდ მერმეთ გვე-
ქნება სრული წარმოდგენა. მოუსმინოთ ინგლისელ მკვლევარს
გრემსკაუსს, რომელმაც პირველმა აღნიშნა, რომ მარტო დედის
გამოცვლითაც არ შეიძლება ზარმაცი ოჯახის გაბეჯითება
და მისი სავსებით გადაჯიშება. „აქ დიდი მნიშვნელობა აქვს
გადია ფუტკრებს, რომლებიც თავიანთ ჩინჩახვში ამზადებენ
ჭიების საკვებს და მაშასადამე საჭმელთან ერთად შთამომავ-
ლობას გადასცემენ თავიანთ ღირსება ნაკლს“.

გერმანელი **შენფელდი** დასძენს: „დედა ფუტკარი უნდა
აღვაზრდევინოთ ბეჯით, ბარაქიან შრომის მოყვარე ოჯახის
ძიძა-გადიებს, რომლებიც თავიანთ ღირსებას გადასცემენ მო-
მავალი შთამომავლობის „დედათ-მთავარს“.

სათადარიგო დედის აღზრდის დროსაც ყველა ზემოთ
თქმული სახეში უნდა მივიღოთ და, თუ გვინდა სადგამური
დედა კარგი იყოს და მისი მოდგმაც უბადალო დარჩეს, უნდა
დავიცოთ კარგი დედის წარმოშობის ზემოთ მოხსენებული
პირობები.

როცა ამ პირობებს კარგად დაუკვირდებით, ყველაფერს
გავითვალისწინებთ, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ საუკე-
თესო სათადარიგო დედების მოცემა შეუძლია ნამეორედა ნაყარს:
ნამეორედა ნაყარს, უმეტეს შემთხვევაში გვაძლევს ძლიერი
ოჯახი, დედები არიან აღმოზრდილი უხვ ლალიანობაზე, ბუ-
ნებრივ პირობებში. მათში ჩვენც შეგვიძლია საუკეთესო ნაყ-
რიდან საუკეთესო დედები ავარჩიოთ.



როგორ მივიღოთ სათადარიგო დედა.

1. არჩეულ ოჯახს, უთუოდ ბარაქიან მშრომელს, ადრე გაზაფხულიდანვე ხელს უწყობთ, ნამთავარა ნაყარი გამოუშვას. ნამთავარას გამოშვების შემდეგ, ხელს არ უშლით, ნამეორედა ნაყარიც, რომ მოგვეცეს, პირიქით, თხიზლათ ვადევნებთ თვალს და, როცა მეორედაც იყრის, ყველა ახალგაზრდა დედებს ცალ-ცალკე ვაპატიმრებთ და ცალ-ცალკე ოჯახებში ვაბინავებთ.

სათადარიგო დედის დასაბინავებელ სკას ეწოდება **სათესლე** სკა. ზოგი მეფუტკრე ასეთ სკას პატარა ჩარჩოიანს აკეთებს, მაგრამ ასეთი სკით დედები ზამთარში არ გაიტანება. როგორც დედის შესანახად ისე ანგარიშის მხრითაც ყველაზე უკეთესია, სათადარიგო დედა დავაბინაოთ ჩვეულებრივ სკაში. ასეთ დაბინავებას ის უპირატესობა აქვს, რომ საჭიროების დროს შეგვეძლება, დედა ჩარჩოიანებ მივცეთ გაჭირვებულ ოჯახს, შეგვეძლება კიდევ გავაძლიეროთ და ცალკე ოჯახათაც ვაქციოთ. გარდა ამისა ზამთარში იქით აქეთ შემოუწყობთ გადასამკვდლავ ფიცრებს, ჩავათბუნებთ და თამამად შეგვიძლია სკაში, სამი ჩარჩოს მეტიც რომ არ გვედგას, ასე მკირე ძალით, მაინც გავაზამთრებინოთ. ამისთვის საჭირო იქნება მხოლოდ ზედ მეტი სკა.

დაბინავება ასე უნდა: როცა ნამეორედა ნაყარი გამოვიდა, წავართმევთ დედებს და მათი რიცხვის მიხედვით ფუტკრებსაც გავანაწილებთ. სათესლე სკაში ჩავდგამთ ნიმუშ მიწებებულ ჩარჩოს. მათ შუაში ერთს მთლად გაშენებულს ბარტყიანს თითოეულ სათესლე სკაში უნდა დარჩეს იმდენი ფუტკარი რომ მას ერთი დადან ბლატის ჩარჩოს ორივე მხრით დაფარვა მაინც შეეძლოს. ამ ფუტკრებს ვაძლევეთ ერთ დედას.

სათესლე სკა უნდა დავდგათ სხვა სკებზე მოშორებით, ერთი მეორეზედ განკერძოებულად, იმისთვის რომ დედას განაყოფიერების შემდეგ თავისი ბინის მიგნება ადვილად შეეძლოს.

ასეთი საქმის გაკეთების დროს ვხელმძღვანელობთ ჩვენს საქიროებისა დაგვარად: თუ ერთი სკის ნამეორედა ნაყრის დედები არ გვეყო, მეორე არჩეულ სკასაც ვაძლევთ ნებას მეორედ იყაროს. თამამად შეიძლება დედა სკას ხელი შეუწყოს, და მესამე ნაყრის ნებაც მიეცეთ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ რომ ამას შეეწირება დედა სკის კეთილ დღეობა. თორემ ისე ერთ სკას შეუძლია ერთგაზაფხულზე ოცამდე სათადარიგოთ გამოსადეგი სალი დედაც მოგვცეს.

II. დედის მისაღებათ, როგორც ვიცით, უნდა ავარჩიოთ ყველაფერი ღირსებით შემკული ძლიერი ოჯახი. მართალია ასეთ ოჯახს დედის წართმევა დროებით დაასუსტებს, მაგრამ იმ სარგებლობასთან შედარებით, რასაც მისგან მოველით ეგ საანგარიშო არ იქნება. ასეთ გამორჩეულ ოჯახს უნდ წართვათ თავისი დედა*). ობოლი ფუტკრები დაიწყებენ **გაჭირვების დედების** აღზრდას. უკეთესი და ზედმეტი სადედეები რომ გააკეთონ, ჩვენც შეგვიძლია ხელი შეუწყოთ: უნდა ავარჩიოთ ისეთი ფიჭა, რომელიც უხვათ არის ჩაკვერცხილი, ამ ფიჭას ბოლო უნდა წავაჭრათ, სწორეთ იქ, საცა კვერცხების დებაა შეწყვეტილი. ამის შემდეგ ფუტკრები სადედეებს წააკეთებენ ფიჭის ბოლოზე, გააკეთებენ უფრო მეტს და უფრო ადვილადაც. როცა სადედეებს გადაბეჭდავენ, მათში ავარჩევთ ერთ ორს ყველაზე საღს და დიდ სადედე უჯრას, და დაუტოვებთ მათ პატრონ ფუტკრებს. დანარჩენ სადედეებს, საღებს და არა ტყუებს, დედა ფუტკრის წართმევის მეთავე დღემდე, მათ ოჯახს ვართმევთ და გადაგვაქვს სათესლე სკაში.

უნდა ავიღოთ ის ჩარჩო, რომელზედაც მწიფე სადედეა და ზედ მსხდომი ფუტკრებიანებ გადავდგათ სათესლე სკაში.

*) ეს დედა კარგია და თქვენც სასარკებლოდ გამოგადგებათ.

მაგრამ, როგორც ვიცით, ამ ჩარჩოზე მყოფი მოლალე ფუტკარი ძველ ბინაზე დაბრუნდება, ამისათვის სხვა სკიდან მიცემული ახალ-გაზრდა ფუტკარის შეერთებით ვაძლიერებთ. სხვა სკაში უნდა ავირჩიოთ ორი ჩარჩო, მოვიტანოთ სათესლე სკასთან და ზედ რაც ფუტკარი აზის უნდა ჩავფერთხოთ სათესლე სკაში, ჩარჩოები კი ისევ ძველ სკას დაუბრუნოთ. მოლალე ფუტკრები თავიანთ სკებში დაბრუნდებიან. სათესლე სკაში დარჩება მხოლოდ ახალგაზრდები, რომლებიც განაგრძობენ სადღეე უჯრების მოვლას. სათესლე სკისთვის საჭირო იქნება მიცვთ 5—6 გირ. თაფლი. თუ ვატყობთ, რომ ფუტკრები ორ ჩარჩოზე ხალვათად არ არიან, უმატებთ მესამე ჩარჩოს, ისეთს როგორც მოგვეპოება. სანამ მასში მოლალე ფუტკარი გაჩნდებოდეს, დღეში ერთ ორჯერ საფრენიდან ცოტა წყალს შევავკურებთ. ორივე საშვალების დროს მტკიცეთ გვახსოვს სითბოს საჭიროება.

დღეა გამოვა, განაყოფიერდება (დაიპებლება) და შეუდგება დიასახლისობას. მის წესიერ ცხოვრებას ჩვენც ყურადღებებით ვეპყრობით და როცა გვჭირია სათესლე სკას ვართმევთ და საჭიროებისა დაგვარად გამოვიყენებთ და დაობლებულ სათესლე სკას ხელახლავ ჩაუმყნით მწიფე სადღედს.

ძლიერ ხშირად იმ სკაში, რომლიდანაც სათესლე სკისთვის მწიფე სადღეე უჯრა გადმოვიტანეთ, მეორე, მესამე ჩარჩოზე კიდევ იქნება ზედმეტი მწიფე სადღეეები; ჩვენც ვსარგებლობთ და სხვა სათესლე სკას ვადგენთ. მხოლოდ ეხლა დღეა სკას მეტ ჩარჩოს და ახალ გაზრდა ფუტკრებს ვეღარ წავართმევთ, არამედ ვარჩევთ სხვა ძლიერ ოჯახს, ვართმევთ ერთ ჩარჩოს ზედ მსხდომი ფუტკრებიანებ და ვდგამთ სათესლე სკაში. ამასვე შეუერთებთ კიდევ იმ გვარსავე ჩარჩოს სხვა სკიდან, ვაძლიევთ თაფლსაც. ამ გვარად გამართულ სათესლე სკას ვაცლით 2—3 საათს, დაე მოლალე ფუტკრები თავიანთ ბინაზე დაბრუნდნენ. მერმედ კი, როცა ახალგაზრდე-

ბი ობლობას იგრძნობენ, ერთ ერთ ჩარჩოში ჩავამყნით გად-
მოტანილ მწიფე სადედეს.

ამ გვარივე საშვალეებით, შემთხვევით ვსარგებლობთ მაში-
ნაც, თუ ჩვენდა უნებურად რომელიმე ოჯახი ყრას ეპირება,
ან უკვე იყარა, მაშინ, შემთხვევა გვაქვს, ზედ-მეტი სადედეები
ამოვჭრათ, მათი საშვალეებით სათესლე სკა გავაკეთოთ და
სათადარიგო დედა გავიჩინოთ.

100 ძირ სკაზე სრული საკმარისია სათადარიგო დედე-
ბისთვის გამოვიმეტოთ ორი ძირი ძლიერი ოჯახი. 100
ოჯახისთვის სათადარიგოთ ერთ წელიწადს მოგვინდება 10—
12 დედა.

სათესლე სკა ძლიერ ხშირად 4—5 ჩარჩოს გაავსებს და
ეს ბუდეთ სრული საკმარისი იქნება და მშვიდობითაც გაი-
ზამთრებს. ამისათვის კადევ ვიმეორებთ, რომ სათადარიგო
დედებისათვის ყოველთვის სჯობს ნამდვილი სკა, რადგან სა-
ჭიროების მიხედვით მისი შევიწროებ-გაფართოება შეგვეძლება.


სათადარიგო დედების აღზრდის დროს, სახეში მამლების
ყოლაც დიდათ საჭიროა. მაგრამ ვინც ფუტკარს წესიერად
უვლის, ამ დროს ყოველთვის საღი და ძლიერი ოჯახის შეი-
ლი მამლებიც უთუოდ ეყოლება.

ხელოვნურად დედების გამოჩეკა.

III. მოხელე-მეფუტკრემ, რომ ბევრი დედები იყოლიოს
და ადრე ამოზარდოს, ამისთვის ის ხელოვნურად გაკეთებულ
სადედე უჯრაში, ხელოვნურადვე გადატანილი სამუშე ქიები-
საგან ზრდის დედებს.

ამის შესახებ ბევრი სხვა და სხვა წყაროებია, მათში ყვე-
ლაზე ცნობილია **პრატის** დარიგება. ჩვენს მკითხველსაც რომ
წარმოდგენა დაურჩეს, თუ როგორ ახერხებენ ერთ ოჯახში
რამოდენიმე დედების ხელოვნურად აღზრდას, მოკლეთ
მოგვყავს პრატის დარიგება:

ხელოვნურად სადღეე უჯრის საკეთებლად მოხელე ხმარობს ერთგვარ ხელსაწყოს ან ამგვარ უბრალო შედგენილობის ხის ფილს, როგორც სურათ 62-ზეა. ამ ფილს შუაზე ამო-




სურ. 62

ღრუტნული ადგილი აქვს, ზეიდან მოხელე დაადებს თხელ სანთელს, დააწვება ჯოხის წვრილი თავით—(იხ. სურათი 63) და




სურ 63.

სანთელს ფილში ჩამალავს. ჯოხის ამოღების შემდეგ, ფილში დარჩება სანთლის სადღეე უჯრის დასაწყისი ჯამი. ბუდის ჩარჩოს მოძრავათ უკეთებს სამს სახაზავს და თითოეულ სახაზავზე ათავსებს 16—16 სადღეე ჯამს, რომელსაც თავის კალაპოტიან-ფილიანებ სახაზავზე ამაგრებს, ფილის გარეთა ფსკერზე დაყოლებული წმინდა ლურსმით, როგორც სურათ 64-ზე ხე-




სურ. 66.




სურ. 64.

დავთ მოხელე სახაზავზე გამწკრივებულ ჯამებში შესაფერი კოვზუკებით ათავსებს საკვებს და ჭიას. ამისათვის მან წინაღვე სკაში მონახა სადღეე უჯრები და იმ კოვზუკათი, რომელიც მარცხენა ხელში აქვს, (სურ. 64) უჯრიდან ამოიღო სადღეე ჭიის განსაკუთრებითი საკვები. ეს საკვები ცოტ-ცოტა გადაიტანა ჯამში.

(ერთი სადღე უჯრისაგან ამოღებული საკვები რამდენიმეს აყოფინა). შემდეგ სკაში აარჩია 1—2 დღისაზე არა უხნესი სალი სამუშე ქია და იმ უმცროსი კოვზით, მარცხენა ხელში რომ აქვს, სიფრთხილით გადაიტანა და თითო-თითოდ მოათავსა საკვებიან ჯამში. ქია რომ არ გაცივებულიყო, ეს საქმე მან გააკეთა 20⁰ სითბოში (რეომ.) რამოდენიმე მომავალი დედების აღსაზრდელად, მან აირჩია ძლიერი ოჯახი, ერთი ღლით წინ დედა და ჩაკვერცხილ ქიებიანი ფიჭები მოაშორა და ბუდის შუაზე ჩაუდგა ხელოვნურად მომზადებული ჩარჩო. (სურ. 66). ასე უიმედოთ დაობლებული, ფუტკრები შეუდგებიან სადღეების დანარჩენ მოვლას და დედების აღზრდას. როცა სადღეებს გადაბეჭდავენ, მაშინ თითოეულ მწიფე სადღეს მოხელე სახაზავს მოაცილებს და, როგორც იცის, იმ გვარად სათესლე სკაში ჩამყნის. (სურ. 67).



სურ. 67 სათესლე სკა.



სურ. 68.

როდესაც დედა განაყოფიერდება, სათესლე სკას ართმევს და როგორც ეჭირვება, ისე ხმარობს.

სათესლე სკა, რომ არ მოცდეს, განაყოფიერებული დედების შენახვა უმისოდაც შეიძლება. სათესლე სკიდან მეფუტკრეს დედა ამოყავს და აპატიმრებს „ტიტოვის“ გალიაში. ასეთ გალიებს ერთად, ერთ ჩარჩოზე რამდენიმეს ათავსებს და ერთ-ერთი სკის შუა ბუდეში სდგამს. დედებს ხან და ხან გალიაში საზრდოს უახლებს. (იხ. სურ. 68)

სხვა და სხვა ჯიშის ფუტკარი.

ფუტკრის სხვა და სხვა ჯიშის გაგონება, ბევრისთვის შეიძლება ახალი ამბავიც იყოს, მაგრამ აქ საკვირველი არაფერია: სხვა და სხვა ადგილას, სხვა და სხვა ქვეყნებში ფუტკრის ჯიშიც სხვა და სხვა ნაირია.

როგორც ისტორია გადმოგვცემს, პირველად მეთაფლია ფუტკარი ხმელთა შუა ზღვის ნაპირებში გაჩენილა, იქიდან კი მერმედ სხვა ქვეყნებშიაც გავრცელებულა. სხვა და სხვა ქვეყნის ერთი მეორეზე განსხვავებულმა ჰავამ, არსებობისთვის ბრძოლის სხვა და სხვა პირობებმა, ფუტკრის ჯიშიც გადააგვარა—ერთი მეორისაგან განასხვავა. ეს განსხვავება უმთავრესად მდგომარეობს: ხასიათში, ტანადობაში, ფერში, შრომის მოყვარეობაში, გაჭირების ატანაში, მრავლელებაში და სხვა. მაგალითად ცხელ ინდოეთში, ფუტკარიც ცხელი ქვეყნის შესაფერი ხეირობს; იქაური ფუტკარი არ საჭიროებს განსაკუთრებით ბინას, ხის ფულუროს ან სკას, არამედ პირდაპირ ხის შტოზე იწყებს გაუქივრებელ მოსახლობას.

ფუტკრების განსხვავებულ ჯიშებში ცნობილია: იტალიის, სირიის, (პალესტინის), ეგვიპტის, კიპრის, კრაინის, რუსეთის (შავი ფუტკარი) კავკასიის და სხვა.

მართალია კავკასიაში ფუტკრის ერთი ჯიშია ცნობილი, მაგრამ ადგილობრივ ცხოვრებასთან ბრძოლის პირობების მიხედვით, განსხვავება, ამ ერთ ჯიშშიაც არის. უმთავრესად კავკასიის ერთი კუთხის ფუტკარი მეორისაგან განირჩევა სიმშვიდით და ენის სიგრძით. კავკასიის ჯიშში, ჯერჯერობით ცნობილია სვანეთისა და აფხაზეთის ფუტკარი, როგორც ყველაზე უგრძეს ენიანი. რისთვის? ალბათ ადგილობრივი ყვავილები ღრმა კუქიანია და რომ ფუტკარს მათი ნექტარით სარგებლობა შესძლებოდა, ადგილობრივ პირობებთან საბრ-

ძოღველათ ბუნებამ გაავარჯიშა, გაავითარა — არსებობის ბრძოლისათვის შეაიარაღა.

საზოგადოთ ფუტკრის თითოეული ჯიშის დახასიათება შორს წაგვიყვანს. ვიტყვიტ მხოლოდ, რომ დღეს კავკასიის ფუტკრის ჯიში მსოფლიო ყურადღებას იპყრობს: გრძელი ენით, სიმშვიდით და შრომის მოყვარეობით განთქმულია. უმადურობა იქნება არ მოვიხსენოთ, თუ ვინ გააცნო მთელ ქვეყანას ჩვენებური ფუტკარი და ვინ გაუთქვა მის ჯიშს საერთაშორისო სახელი. ცხადია, არა კავკასიელებმა და მით უმეტეს ქართველებმა. ჩვენ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე სხვა რა შეგვისწავლია და მოგვიხმარია, „ბუზისთვის“ რომ მოგვეცალა!?! მაშ ვინ? ამისი ისტორია ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ.

ყველა გვარი იონჯა (სამყური) თაფლოვანია, მათში წითელი იონჯა თაფლითაც არის ქებული და საქონლის საკვებ ბალახათაც ჩინებულია. მისი თესლიც ძვირად იყიდება. წითელი იონჯის ყვავილი ღრმა კუჭიანია და, თუ გრძელ ენიანი ფუტკარი არა, ისე მისი უხვი ნექტარით სხვა ვერ სარგებლობს. წითელი იონჯის თესვა ამერიკაშიაც შემოიღეს, მაგრამ, რაკი მისი ყვავილით ფუტკარი ვერ სარგებლობდა — ერთი ყვავილის მტვერი (ფერფლი) მეორეზე არ გადაჰქონდა, იონჯის ყვავილიც ნაკლებათ ნაყოფიერდებოდა და ძლიერ ნაკლებ თესლს იძლეოდა. ამერიკელები ამ გარემოებამ დააფიქრა, და გაგზავნეს მკოდნე პირი მთელი ქვეყნის ფუტკრის ჯიშის შესასწავლად, ე. ი., გრძელ ენიანი ფუტკრის საძებნად. ეს პირი, პატივცემული **ბენტონი**, ჩვენშიაც იყო და მისი საბოლოო არჩევანი ჩვენებურ ფუტკარს ხედა წილად — მისი აზრით კავკასიის ფუტკარი, გარდა სხვა ღირსებისა ყველა სხვა ჯიშებზე უგრძეს ენიანია; რომელსაც შეუძლია ისარგებლოს წითელი იონჯის ყვავილით. (და მით იონჯაც განაყოფიერდეს).

ერთმა დიდმა მემამულემ, ორლოვის გუბერნიაში იონჯაში გამართა საფუტკრე. საფუტკრეში გაიჩინა მარტო კავკა-

სიის ფუტკრის ჯიში და, თუ წინაღ ორ დღიურზე (დესიატი-
ნაზე) 6 ფუთ იონჯის თესლს აგროვებდა, — ცდის შემდეგ 18
ფუთი შეაგროვა. მოხდა ის, რასაც ჩვენი ხალხი ანდაზით ხა-
ტავს: „მამიდასაც ვნახავ და კვიცსაც გაგზენდნო!“ თაფლიც
მეტი და კარგი მიიღო, იონჯის თესლიც ერთი სამათ მეტი
შეაგროვა.

ასეთი აშკარა ნაყოფის შემდეგ ჩვენებურ ფუტკარს სახე-
ლი გაუვარდა, რომელი ქვეყნიდან გინდა, რომ ჩვენებური
ჯიშის განაყოფიერებულ დედებს არ იწერდნენ. გაჩნდა მოთ-
ხოვნილება, გაჩნდა ვაქრებიც. კავკასიის ფუტკრის ჯიშით
ვაქრობენ არა თუ მარტო კავკასიელები, უცხო ქვეყნელებიც.

ჯერ მოაშენეს აქაური ჯიში, მის მოდგმას მერმედ სხვებზე
ასაღებენ. ეინ იცის აქაურ ჯიშში სხვა ჯიშის სისხლიც აერიო
და ნაცვლად ხალასი, კავკასიის ჯიშისა, ყიდიან შერეული
სისხლის ჯიშს და არა ნამდვილს.

ყველა ჩვენი ქვეყნის გულის შემატკივარი მეფუტკრე
ვალდებულია ხსენებულ მოვლენას ანგარიში გაუწიოს. ჩვენ
ვალდებული ვართ შეცდომაში არავინ შევიყვანოთ და უც-
ხოელ მსურველს მივაწოდოთ ნამდვილი კავკასიის ფუტკრის
ჯიშის დედა, საღსა და ძლიერ ოჯახში აღზრდილი. ამით
ჩვენს ალალ ლუკმას ვერავინ დაგვეცილება, ვაქრობა პირდა-
პირ ჩვენს ხელში გადმოვა, ჩვენც და მუშტარიც მოგებული
ვიქნებით.

მაგრამ მიზანს რომ მივახწიოთ, ამისათვის გვემართებს
კავკასიის სხვა და სხვა კუთხის ფუტკარი უფრო კარგად შე-
ვისწავლოთ, გამოვცადოთ და რომელიც უკეთესი გამოდგება
ჩვენთვისაც და საჯიშე გასაყიდათაც, ის მოვაშენოთ. კავკა-
სიის ფუტკრის ჯიშების შესწავლაში პირველი შრომა მიუძ-
ღვის ბ-ნ **კ. ა. გორბაჩევს**, მისი გამოკვლევის შედარება
ასეთია:

მოსკოვის გუბერნ. ფუტ. ენის სიგრძე 5,⁷¹ მილიმეტრი.
რიზანის 5,⁸¹ —

სპარსეთის	6, ³⁶	—
ერევნის	6, ³⁹	—
თფილისის არემარის	6, ⁴⁷	—
კრანის (ავსტ.—ვენ.)	6, ⁴⁹	—
ორღუბათის	6, ⁵⁹	—
აფხაზეთის	6, ⁶⁶	—
სვანეთის	7,†	—


მაგრამ, რადგან პატივცემულ მკვლევარს, სვანეთის ფუტკარი ცოტა ყოლია გამოსაკვლევად და ადგილობრივ არ გამოუკვლევია, ამისათვის თავის აზრს საბოლოოდ არ ადასტურებს.

როგორც ხედავთ, ჩვენებურ ჯიშებში ჯერჯერობით უპირატესობა აფხაზეთისას უნდა მიეცეს, მაგრამ რა ვიცით, რომ სხვა მთა ადგილებში გამოკვლევის შედეგი რას გვეტყვის. ამისათვის ყველა ჩვენი კუთხის მეფუტკრე ზნეობრივად ვალდებულია თავისი კუთხის ფუტკრის შესახები დაკვირვება თავის მოძმეებს საჯაროთ ამცნოს—გამოაქვეყნოს. საზოგადოთ გრძელ ენიანი ფუტკარი, თუ შრომის მოყვარე და მშვიდიც არის, ყველაზე უკეთესია. ამ რიგად ჩვენ ჯიშთ საძებარი არ გვეყოლია, ისევ ჩვენებური უნდა მოვაშენოთ, მხოლოდ უნდა ვეცადოთ მათში საუკეთესოს შერჩევა და მისი გაუმჯობესება. გაუმჯობესება გამოიხატება სისხლის განახლებაში. როგორც კარგი მეოჯახე დიასახლისი ერთი მამლის მოდგმა ფრინველს მუდამ არ გაიჩერებს, რამოდენიმე წლის მერმედ გადასცვლის; ისე ჩვენც ხან და ხან 6—10 წელიწადში ერთხელ შორეული საფუტკრის განაყოფიერებული საუკეთესო დედით ჩვენი ფუტკრის სისხლი უნდა გავაახლოთ. უმისოთ ახლო ნათესავთან სქესობრივი კავშირის შედეგი შთამომავლობა ადრე ბერდება, ღუნდება, სიცოცხლის ხალისი ეკარგება, ზარმაცდება, მახინჯდება, ავთამყოფდება და მოსალოდნელია სულაც გადაშენდეს—გაქრეს. მაგრამ ამ სისხლის განახლების დროს არ უნდა დავივიწყოთ საუკეთესო ჯიშისა და მოდგმის ძებნა: „დედა

ნახე, მამა ნახე, აღმზრდელებიც გაუკითხე“, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

დედა ფუტკრის ფოსტით გაგზავნა.

უტყუარი გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ დედა ფუტკარი ფოსტით ძლიერ შორს მანძილზე გაიგზავნება; ერთი თვისა და მეტის მგზავრობასაც საღათ და უვნებელათ გაუძლებს, მხოლოდ საჭიროა შესაფერი მზრუნველობით გაგზავნა და საქმის პათიოსნური აღსრულება. ჩარჩული ანგარიში ჩვენი ქვეყნისა და მეფუტკრეობის ღალატია. მუშტარს ყოველთვის უნდა გაეგზავნოს: აუცილებლად განაყოფიერებული, საღსა, ძლიერს, ბარაქიან მშრომელ საუკეთესო ოჯახში ამოზრდილი დედა არა უხნესი ერთი წლისა.



სურ. 69. ბენტონის ყუთი.

გასაგზავნად ყველაზე უმჯობესია **ბენტონის** ყუთი. ამ პატარა ყუთში, როგორც სურათზე სჩანს, (იხ. სურ. 69) ძირის ერთიან მოსკო ფიცარზე ამოხვრეტილი აქვს სამი ადგილი. ამოხვრეტილები ერთი ერთმანეთზე შეერთებულია ფუტკრის საძრომ გზით—მილით. მარჯვენა ამოხვრეტილი საგზლის ქურკლად არის დანიშნული, დანარჩენი ორი კი

დედისა და მისი მხლებელი ფუტკრების სამყოფი ბინაა. მარცხენა შუბლში ყუთს გამოხვრეტილი აქვს ფუტკრის შესაძრომი კარი. გვერდებზე ორივე მხრით ღარებში საპაერე წვრილი ნახვრეტები აქვს.

საგზალი ასე მზადდება: დაასხით ლამბაქზე სალი, წმინდა, ცხელი თაფლი, თაფლში ცოტ-ცოტაობით ჩაყარე წმინდა შაქრის თხენილი, (აფთეკაში ნაყიდი). ურიე კოვზით მანამდე, სანამ არ მიიღებ მაგარ სქელ ცომს. ამ ცომით ყუთის მარჯვენა ნახვრეტი მჭიდროთ გააფსე და ზეიდან, მტვერისაგან დასაფარავად, ნახვრეტის ზომაზე მრგვლად გამოჭრილი გასანთლული ქალაღი მიაფარე.

მერმედ აიღე წმინდა მავთულის ბადური, გამოჭერი იმ ზომაზე, რომ თავებისა და გვერდების წმინდათ შემოკეცის შემდეგ დასაფარავად ყოფნიდეს ყუთის ზედა პირს და ორივე შუბლებს. ბადურს ოთხი წმინდა ლურსმით მიაჭედ ყუთის მარჯვენა შუბლზე, გადმოკეც ყუთის ზედა პირზე და ახლა აქაც მჭიდროთ მიაჭედ. ეხლა ბადურს ზეიდან ყუთის ორივე თავებზე განზე უნდა მიაჭედო ორი თხელი წვრილი თამბა. (არა ნაკლები $\frac{1}{16} + \frac{1}{3}$ ვერ.).

გასაგზავნად არჩეული დედა, სიფრთხილით ფრთებში ხელის წავლებით უნდა დაიჭირო და ყუთის შესაძრომში შესვა. შესაძრომ ნახვრეტს მარცხენა ხელის ცერი უნდა დააჭირო, მარჯვენა ხელით კი, ორივე ფრთებში ხელის წავლებით, დაიჭირო იმავე სკის ძველი მუშა ფუტკრები და თითო-თითოდ 25-მდე დედა ფუტკართან უნდა შესვა. ესენი იქნებიან დედა ფუტკრის მხლებები „მდადე“ ფუტკრები. (მათში არ უნდა გაურიო ის, რომელმაც გიკბინა, რადგანაც უისროთ ის აღრე მოკვდება). საძრომი ხის თავსაცომით უნდა დაკეტო, მორჩენილი ბადური ამ შუბლზედაც მიაჭედო და შუბლებში ლაქზე (ლუქზე) შენი სახელობის ბეჭედი დაასვა. რადგანაც მოსალოდნელია, რომ გადაგზავნის დროს ბადურზე სხვა ამანათს დაწყობენ და ამით ყუთში ჰაერის დენა დაიწმობა, ამისათვის ბა-

დურს სკირია თავ-სახური. აიღე ყუთის ზედა პირის ზომაზე გამოჭრილი თხელი სუფთა ფიცარი სიფრთხილით, ისე რომ არ გახეთქო, ერთ თავში შუა ადგილას გაუყარე წმინდა ლურსმანი, მერმედ მარჯვენა შუბლის თამასაზე დააქედე. მარცხენა თავში შემოახვიე თოკი და მიამაგრე ყუთზე. თოკს დაუტოვე მარჯულში (ყულფი). ფოსტიდან ვილები დროს, მუშტარი მარჯულს გახსნის, თავსახურს შემოატრიალებს, ბადურიდან ყუთში ჩაიხედავს და, თუ დედა ცოცხალია, ამანათს დაიხსნის, თუ არა—უკანვე დაგიბრუნებს. გასაგზავნ ყუთს თავსახურზე ქიმიური კარანდაშით გარკვეული ხელით უნდა დააწერო: (რუსულად).

ცოცხალი ფუტკარი.

კ ი ე ვ შ ი, დადანის ქუჩა.

ნაუმ კუზმას-ძე მედკოვს.

მასწ. ბესო ნიკოლოზის-ძე წიკლაურისაგან.

თიანეთი, თფილისის გუბერნია.

ამ გვარივე მისამართი უნდა დაიწეროს იმ ბარათზედაც, რომელიც ამანათთან ერთად იგზავნება. კავკასიიდან რუსეთში გაგზავნა ჯდება 60 კაპ-მდე.

დედა ერთი თვის მგზავრობასაც ადვილად გადაიტანს თუ ექნება:

საზრდო საკმაოდ და ადვილ მოსანელებლად შეხვეებული, მხლებლები ფუტკრები ძველი და სალი, თვით დედაც უნდა იყოს სალი და ახალ გაზრდა.

დედა გაგზავნიანებ იყიდება სამ მანეთად, ადრე გაზაფხულზე კი ხუთ მანეთსაც იძლევიან.

გასაგზავნი ბენტონის ყუთი სჯობია გაკეთებული შეი-
ძინო.

ზაფხული.

უხვი ღალიანობა და თაფლიანობა.

V.

უხვი ღალიანობის დაწყება.

მისთვის დაეფრენ მოუსვენრად
რომ მოესწუნო ყვავილი,
გულის წვენი ამოვწუნო
სამკურნალო რამ ტკბილიო.
აკაკი.

„ღეთისაგან გაჩენილს თვისა ქმნილებას, სუსტსა, თუ ძლიერს“ ბუნებისაგან თავისი განსაკუთრებითი საზრდო აქვს მიჩენილი, ფუტკარსაც ყვავილი აქვს მინიშნული: „ნაბრძანები აქვს ყვავილის ტკბილი ნექტარის წოვა, რათა შემდეგში ამა ტკბილისა წვენისაგან შარბათი გამოხდეს“.

ფუტკრებიც ტკბილ წვენის მოძიებამ ყვავილებს ყველგან თავდავიწყებით ეძებენ, რამდენადაც მეტს პოულობენ, თაფლსაც იმდენად მეტს აგროვებენ. თაფლს ფუტკრები აგროვებენ გაზაფხულიდან მოკიდებული, ზოგჯერ შემოდგომის გასვლამდე, მაგრამ ყოველთვის უხვათ არც ყვავილები არის და უხვათ არც სათაფლო ნექტარს უშვებენ.

იმ დროს, როცა საფუტკრის მიდამოს გარეშემო თაფლოვან მცენარეთა ყვავილების უმეტესობა ყვავა და ნექტარსაც უხვათ იძლევა, როგორც ვიცით ეწოდება **უხვი ანუ უმთავრესი ღალიანობა**. ყველა მეფუტკრე უხვი ღალიანობის შემყურეა, საფუტკრის შემოსავლის იმედს მაზედ ამყარებს. მან რამოდენიმე წლის გამოცდილებით იცის, როდის დაიწყება ის, და მისი მიგებების შესაფერ თადარიგს წინააღვე იტკრს. უხვი ღალიანობის შესახვედრი უმთავრესი ზრუნვა მე-

ფუტკრის მიერ ის იქნება; რომ სკა ბედნიერად მოგუგუნე, მუშათა ძალით გაქიკნილი შეაგებოს—სამკალის დროს ბევრი მომკალი დაურჩეს. უზვი ღალით უზვათ მხოლოდ ის ოჯახი ისარგებლებს, რომელსაც ბევრი მუშა ყავს. მოვიყვანოთ (ღერნოვით) სულ უბრალო თვალსაჩინო მაგალითი: ვთქვათ უზვი ღალიანობის დროს სკაში 10 გირ. მუშა ფუტკარია, ამათგან მოღალე არის ნახევარი, დანარჩენი კა საოჯახო საქმეშია გართული. ეხლა წარმოვიდგინოთ სხვანაირად: ამავე სკას, ამავე დროს 10 გირ. მაგიერ 15 გირ. მუშა ფუტკარი რომ ყოლოდა, ოჯახურ საქმეებს მოუნდებოდა მხოლოდ იგივე ხუთი გირ., დანარჩენი 10 გირ. კი ღალაზე წავიდოდა და თაფლსაც ორჯერ მეტს შეავროვებდა. ფუტკრებს მოემატა ერთი მესამედი, სარგებლობა მივიღეთ ორჯერ მეტი.

თუ რა უწყობს ხელს ოჯახების მოღონიერებას, ეს ჩვენ თავის დროზე გვაქვს ნათქვამი. აქ ვიტყვით მოკლეთ, რომ ვისაც უნდა უზვი ღალით უზვათ ისარგებლოს, ის სულ იმის ცდაში უნდა იყოს: ფუტკარი დროზე მოაძლიეროს, ფუტკარებს ყრის სურვილი არ აღუძრას, უზვი ღალის გაჩენისათანავე ოჯახი საკუქნაოს მიმატებას საჭიროებდეს, და მით უზვი ღალიანობის დროინდელი თაფლი მომვლელის შრომის საფასურად პირდაპირ საკუქნაოში ინახებოდეს. ვინც ამის შესრულებას შესძლებს შესაფერად მხოლოდ მისი შრომა დაფასდება—რასაც დასთესს, იმას მომკის.

მაგრამ ზოგჯერ საფუტკრის შემოსავალი მარტო მეფუტკრის ხელოვნებაზე არ არის დამყარებული, დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნების მოვლენასაც. ყვავილების აღყვავებას და ნექტარის სიუზვეს ხელს უწყობს: გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმა, (აჩქარებს მცენარეთა წესიერ აღყვავებას, გარდა ამისა მასვე მოყვება ციური ტკბილი ცვარი, მანანა), ღლისით სიცხე და ღამით ნოტიო, ყვავილების ზრდასაც შველის და ნექტარის სიუზვესაც.

უზვი ღალიანობის ხელის შემშლელია: დაჭინებული წვიმა,

გვალვა, ადგილობრივი მძაფრი, ცივი ქარი, ამინდის უეცარი უკმაკური ცვალებადობა, როგორცაა, მაგალითად, სიცხის შემდეგ საგრძნობელი აცივება. ღამის ცივი ქარიც ღალიანობას აბრკოლებს. ერთი სიტყვით ღალიანობის დაწყება, მისი ხანგრძლივობა და სიუხვე ბუნების მოვლენაზე დიდათ არის დამოკიდებული.

როგორ გავიგოთ უხვი ღალიანობა? უხვი ღალის გაჩენა ფუტკრებსაც შეეტყობათ „მიდენ-მოდენით“, მაგრამ ზოგჯერ მოეტყუვდებით. ზოგჯერ ფუტკრებს გარეგნულად დიდი განურებული მუშაობა ეტყობათ, დაულაღავათ მიდი მოდიან, მაგრამ სკაში არაფერი ბარაქა მოაქვთ. ეს არის მშრომელებს ამინდი სწყალობს და სათაფლი ნექტარს თავდავიწყებით ეძებენ, მაგრამ რაკი ბუნებაში არაფერია, ოჯახში რა მოიტანონ. ღალის გაჩენას და მის სიუხვეს ყველაზე უკეთესად აღნიშნავს შესამოწმებელი სკის ყოველ დღიური სისწორით აწონვა— სკამ თუ წონაში მოიმატა, ბუნების სიუხვესაც უმატია. გარდა ამისა შეგვიძლია საფუტკრის მახლობლად ღამბაქით ცხელი თაფლი დავდგათ, თუ ფუტკრები თაჟლს ადრე დაეხვია და ისარგებლეს, სჩანს ბუნება ჯერ კიდევ ძუნწობს. თუ კი ზხლოს არ გაეკარნენ, მათი საყვარელი ნექტარი სჩანს ბუნებაშიც უხვათ არის. იცოდეთ, რომ ბუნების სიუხვის დროს ფუტკრები გარდა ბუნებრივი ნექტარისა სხვას, (თაფლს და შაქარს) სკის წინაც რომ დაუდვა არ ეკარებიან.

ასე იქნება, თუ ისე, როცა უკვე დავრწმუნდებით უხვი ღალის გაჩენას, ჩვენც უნდა ვეცადოთ, რომ ფუტკრებმა მისით უხვათ ისარგებლონ. იმან, ვინც რაიმე მიზეზით ამდენ ხანს ვერ მოასწრო ოჯახების მოლონიერება, ეხლა მაინც უნდა ისარგებლოს და მათ მოლონიერებას ყველაფრით ხელი შეუწყოს. ის მეფუტკრე, რომელიც ადრიდანვე ზრუნავდა ოჯახების მოძლიერებას და მიზანს მიახწია ეხლა, ღალის გაჩენისათანავე ბუდეს საკუქნაოს უმატებს.

ს ა კ უ ქ ნ ა ო ს გ ა დ ა დ გ მ ა .

ჩარჩოების მომზადება. უხვი ღალით და საკუქნაოს გადადგმით ყველაზე მეტად ის მეფუტკრე ისარგებლებს, ვისაც აქვს შენახული ციბრუტაზე დაკლილი შარშანდელი მზამზარეული ფიჭა. ასეთი ფიჭის მიცემა ყველას სჯობია, რადგან ფუტკრებს დრო და ხარჯი მარტო თაფლის შეგროვება— ჩასხმაზე დაეხარჯებათ. ძველი მეფუტკრეც საკუქნაოს ფიჭებს თვალის ჩინივით ინახავს და იმას აძლევს ის მეფუტკრე, რომელსაც შემონახული მზა ფიჭა არ აქვს, საკუქნაოს ჩარჩოს მთლად ავსებს ხელოვნური ფიჭით და იმას აძლევს^{*)}. მშრალი ფიჭის მიცემის შემდეგ ეგეც კარგია. ის მეფუტკრე, რომელიც საკუქნაოში ნიმუშ მიწებებულს ან ხელოვნური ფიჭით გაუქსებელ ჩარჩოებს აძლევს, თაფლის იმდენ შემოსავალს ნუ მოელის, რამდენსაც პირველი ორის მიცემი მიიღებს.

ვისაც ხელოვნური ფიჭა აქვს, მაგრამ ყველა ჩარჩოს გასავსებლად არ ყოფნის, მაშინ საკუქნაოში ის სდგამს ერთ ჩარჩოს მთლად სავსეს, მის გვერდით ნიმუშ მიკრულს. ამრიგათ ერთი ჩარჩო რომ ხელ. ფიჭ. სავსე იქნება, მეორე ნიმუშიანი. უკიდურეს შემთხვევაში კი, როცა ხელოვნური ფიჭის უქონლობის გამო, ასე მოქცევაც არ შეუძლია, მაშინ ჩარჩოებს ფიჭა სანიმუშოთ უნდა მიეწებოს, მხოლოდ საკუქნაოს შუა ადგილას ერთი მთლად სავსე ჩარჩოს ჩადგმა კარგია, რადგან ამით ფუტკრებს გაუადვილდებათ ბუდიდან საკუქნაოში ასვლა. ის იქნება ბუჯისა და ახლად გადადგმული საკუქნაოს შემაერთებელი გზა და ხიდი.

როდის გადავადგათ საკუქნაო. საკუქნაოს თავის დროზე გადადგმას დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგი მეფუტკრე

^{*)} საკუქნაოს ჩარჩოში შეიძლება ჩაწებდეს თხელი ხელოვნური ფიჭაც, გირვანქაში რვა ფურცელი რომ გამოვა ისეთიც.

ფუტკრების ცხოვრებას არ უკვირდება — სახეში არ ღებულაობს, რა მდგომარეობაშია ბუდე, და რა მავნებლობა მოყვება უდროოდ დროს საკუქნაოს გადადგმას. ის ფიქრობს, ფუტკარი ბუდეს რაკი გაავსებს, მაშინვე საკუქნაოში ევა, ამისათვის ის საკუქნაოს პირველი ღალის გაჩენისათანავე ადგამს. საკუქნაოს გადადგმით კი სკას ემატება სისრქე, ბუდე კვიდება, ოღნავ აცივების დროს ფუტკრები ბარტყების აცივების შიშით ბუდეს არ შორდებიან—მაშასადამე ბარტყების გათბობას მეტი ძიძა—გადიები სჭირდება, ამის მიზეზით საკუქნაოში სულ არ აღიან, ან ძლიერ გვიან.

არც გვიან გადადგმა კარგი, რადგანაც გვიან გადადგმით ღალით ფუტკრები ხანგრძლივით ველარ ისარგებლებენ, ვიწროთ იქნებიან, შეიძლება ნაყრისთვის მზადებაც იწყონ, ნაყრის გამოშვებაც მოასწორონ. მოსალოდნელია მუშა ფუტკრებმა ბუდე თაფლით გაავსონ, დედას კვერცხის სადები ადგილი აღარ დაურჩეს და გვიან გადადგმულ საკუქნაოში კვერცხის სადებათ აგვეპაროს. თუ ეს ასე მოხდა, საკუქნაო თავის პირდაპირ დანიშნულებას დაკარგავს; იქიდან ჩვენ წმინდა თაფლს ვერ მივიღებთ, რასაც მივიღებთ, ციბრუტაზე თავის დროზე ვერც იმას დაუცლით, უნდა ველოდოთ ბარტყების გამოჩეკას.

ყოველივე ამის მიხედვით საკუქნაო უნდა გადავადგათ მაშინ, როცა სკისთვის ის აუცილებელია: დადგა უხვი ღალიანობა, შესამოწმებელმა სკამ გვიჩვენა ყოველ დღიური თანდათანობითი მატება, საკუქნაოს გადადგმის დროც არის. მაგრამ ეს არ კმარა, ეს მხოლოდ გარეგნული ნიშნებია. ეხლა საჭიროა სკის შიგნითა ვითარება გავიგოთ: საკუქნაო მხოლოდ იმ სკისთვის არის აუცილებელი, რომელიც უხვი ღალიანობის დაწყების წინ მთლად სავსეა. ესე იგი, ამ დროს ბუდეში უნდა იყოს 8 — 9 ჩარჩო ყველა ასაკის ბარტყით სავსე, დანარჩენს კი (სრულიად 11 ჩარჩოს) ბარაქით სავსეს ფუტკარი ორივე მხრივ უნდა ფარავდეს.

ტილოს ახლის შემდეგ მეფუტკრე თუ ხედავს, რომ ყველა

ჩარჩოს შუა ადგილები ფუტკრებით სავსეა, ფიქის თავები თეთრი ფიქით გავრძელებულია, ეს ისეთი ნიშნებია, რომ საკუქნაოს გადადგმა საჭიროა.

ყოველ შემთხვევაში საკუქნაოს გადადგმა ნამდვილ მის აუცილებელ საჭიროებას 2 — 3 დღით დავასწროთ სჯობია, ვიდრე დავაგვიანოთ.

ამ რიგად, როცა ვრწმუნდებით, რომ საკუქნაოს გადადგმის დროა, სკა უნდა გავშინჯოთ, ბუდე გავჩხრიკოთ, სადედე, თუ გაუკეთებიათ ამოვკრათ და უბის წიგნში დავინიშნოთ, რომელ სკას სჭირია საკუქნაოს გადადგმა.

საკუქნაოს გადადგმა და მისი მოვლა.

საკუქნაოს გადადგმის წინ, ბუდის ჩარჩოების ზედა პირი უნდა გავწმინდოთ, გადავფხიკოთ და საკუქნაო მერმეთ უნდა გადავადგათ. საკუქნაოს ჩარჩოები ერთი მეორეს ჩვეულებრივი ნახევარი ვერშოკით კი არ დავაშოროთ, არამედ $\frac{3}{4}$ ვერშოკით, რადგან მაშინ ფუტკრები გააკეთებენ უფრო ღრმა უჯრებს. შემთხვევით, თუ დედა ზევით აიპარა, ღრმა უჯრა მას კვერცხის სადებათ არ გამოადგება. გარდა ამისა, ღრმა უჯრიანის თავილი მოსაგებია, რადგანაც უჯრების შენებაზე (თუ წაშენებაზე) ფუტკრებს ნაკლები დრო დაეხარჯებათ და შედარებით მეტი თავილის შეგროვებას მოასწრებენ.

საკუქნაო ჩარჩოებით უნდა გავავსოთ, ზეიდან ტილო და ბალიში აუცილებლათ უნდა მივაფაროთ, რადგან ბალიში სიცხე-სიცივისაგან დაიფარავს. საკუქნაო, როცა გადავადგით ბუდეც და საკუქნაოც, ისე უნდა გვკონდეს მოწესრიგებული, რომ სკის ხშირი ახდა-ჩხრეკა არ გვკიროდეს. უხლანდელი სკის ახდა დიდი ზარალია: ბუდეს ვაგრილებთ, ფუტკრებს ვაცდენტ. საკუქნაოს ხშირი ახდა არ მოგვინდება მაშინ, თუ მზამზარეული ნახმარი და

მშრალი ფიქტებით გვაქვს საესე, მაგრამ, თუ მასში ნიმუშ მიწვებულნი ჩარჩოები ჩავდგით ან ხელოვნური ფიქტა მივეციოთ, მაშინ საკუქნაოს ხშირად ვათვლიერებთ და ფხიზლად ვადვენებთ თვალყურს, ჩარჩოები წესიერი ფიქტით გააშენონ. თუ ოდნავ გამრუდებთ შევატყვეთ, ისევ ვასწორებინებთ, ვიქეროთ თადარიგს, რომ სამერძისოთ აუცილებლათ დაგვირჩეს წესიერად გაშენებული ფიქტები.

ფუტკრებს თუ ამინდი და ღალიანობა სწყალობს, საკუქნაოში ასვლისა და შიგ მუშაობის დაწყების რამოდენიმე დღის შემდეგ, მოსალოდნელია საკუქნაოს გავსება. ამისათვის ფუტკრები რომ არ მოაცდინოთ, მას ჩვენი ყურადღება არ უნდა აკლდეს.

ხილვით თუ დავრწმუნდით, რომ საკუქნაოს ორ კიდურ ჩარჩოებს გარდა ფუტკრებს უკვე გაუვსია, მაშინ პირველი საკუქნაო უნდა ავიღოთ და მის ადგილას, მეორე გამართული საკუქნაო დავადგათ. პირველი კი ხელუხლებლად მეორეს ზევიდან ვადავადგათ.

ზოგან არის ისეთი ბარაქიანი ადგილი და გამოერევა ისეთი ბედნიერი წელიწადი, საჭირო იქნება მესამე და მეოთხე საკუქნაოს ვადადგამაც. ასეთი შემთხვევის დროს ცარიელ საკუქნაოს მუდამ ვდგამთ ბუდის ზემოდან, გავსებულებს კი ზევიდან. შუაზე ცარიელი ადგილის გაჩენა ფუტკრებს შრომაზე ამამაცებს, ეცდებიან ეს ცარიელი ადგილიც გაავსონ.

მეორე საკუქნაოს მომატების დროს გავსებული საკუქნაო უნდა ვავხილოთ; უკეთუ საკუქნაოში დედა აგვბარვია და იქ ბარტყები გაუჩენია, დედას ბუდეში ვაბრუნებთ, საკუქნაოს კი თავის ძველ ადგილას ვტოვებთ ბუდესთან, ახალს კი ზემოდან უმატებთ.

როცა პირველი საკუქნაო გავსებულთა, მაგრამ ვატყობთ ღალიანობა ადრე შეწყდება, ამისათვის მეორე საკუქნაოს ვადადგამთ არ ღირს, მაშინ საკუქნაოდან ვაცლით რამოდენიმე შუა გულ ვადაბეჭდილ ჩარჩოებს, ვცლით ციბრუტაზე და ისევ საკუქნაოში ვდგამთ.


ასევე ვიქცევით, მაშინაც, როცა ან მეორე საკუქნაო არ გვაქვს, რომ გადავადგათ, ან მშრალი ფიქტები არ გვეშოვება, მაშინ საკუქნაოს დაბეჭდილ ჩარჩოებს ციბრუტაზე ვცლით და ისევ უკანვე ვაძლევთ, მაგრამ თავის ადგილას აღარ ვდგამთ: შუაზე მოვწევთ უფრო სავსეებს, ნახევარ დაბეჭდილებს, ახალ დაკლილს კი გვერდებისაკენ შემოაუწყობთ.

როცა ფუტკრები საკუქნაოში გაცხარებულ შრომას გააჩაღებენ, მაშინ სკა წინა მხრიდან, ერთი თითის გორებაზე უნდა ავსწიოთ, ამით სკაში მეტი ჰაერი იქნება, რაიცა ამ დროს დიდათ საჭიროა და ფუტკრებსაც საფრენი გაგანიერებული დაურჩებათ.

ღალიანობის გათავება და საკუქნაოს აღება. როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, ზოგიერთი მეფუტკრე საკუქნაოდან ჩარჩოებს დაბეჭდისთანავე ართმევს, კლის ციბრუტაზე და ისევ უკანვე უბრუნებს. ზოგი ასე მისთვის იქცევა, რადგან სხვა სახსარი არ აქვს, ზოგი კი ფიქრობს, ვითომც ამით, ესე იგი თანდათანობით თაფლის წართმევით ფუტკრებს მეტს ამუშავებს, მაგრამ ეგ ჯერ დამტკიცებული არ არის. ის კი ცხადია, რომ, როცა ასე ვიქცევით, წინ ბევრი დაბრკოლება და შრომის გაორკეცება გველოდება. თითველი ჩარჩოების ამოკლით, საკუქნაოს ხშირი ხილვით, ფუტკრებს ურღვევთ მყუდროების, ოჯახის წესრიგს, ბევრ მშრომელს ვაბრაზებთ და ვაცდენთ შრომაზე. გარდა ამისა, თაფლს ვღებულობთ დაუშუშებელს, დაუმწიფებელს, რომელსაც ურევია წყალი, თუ თავდია ჭურჭლით მზეზე არ დაედგით და წყალი ორთქლად არ წავიდა, თაფლი მდარე იქნება—აღრე დამჟავდება.

მაშასადამე საკუქნაოს აცლა, თუ გარემოება ხელს გვიწყობს, ყოველთვის სჯობია ღალის გათავებისთანავე. ღალის შეწყვეტას თვით ფუტკრებიც გვანიშნებს: აღარ აქვთ ჩვეულებრივი გატაცებული „მიდენ-მოდენა“ საფუტკრეში აღარ ისმის მწყობრი შრომის გუგუნე, იკლებს ბუნების სიუხვე—იკლებს ფუტკრების ხალისიც. შესამოწმებელი სკაც კლებულობს წო-

ნაში და მით აღნიშნავს ბუნების სიძუნწეს—თაფლის ნაკლებობას. საზოგადოთ ღალის შეწყვეტა მოყვება ამინდის შეცვლას, ავი ტაროსის დადგომას. მოხდება ზოგჯერ, რომ ავდარის მიზეზით ღალა იკლებს, გამოადარებს, ისევ მოიმატებს. ეს მოხდება მაშინ, თუ ამინდი შუა ღალიანობაზე შეიცვალა, დიდხანს არ დაიყინა. ამ დროს ღალის მომატებ ს გვიჩვენებს შეამოწმებელი სკა, მაგრამ მეფუტკრეც ვალდებულია იცოდეს, გათავდა, თუ არა, ღალის ჩვეულებრივი დრო და მის შეწყვეტისთანავე საკუქნაო უნდა აიღოს. თუ მაშინვე არ აიღო, ფუტკრები შეუდგებიან საკუქნაოდან თაფლის ბუდეში გადაზიდვას. მოსალოდნელია ქურდობის გაჩენაც. საკუქნაოს აცლა, თუ ის მთლად დაბეჭდილი ჩარჩოებით არის სავსე ძლიერ ადვილია, რადგან დაბეჭდილზე ძლიერ ნაკლები ფუტკარი იქნება. საკუქნაოს მოაცილებ სახურავს, ბალიშს და ტილოს. ასწევ, შეუკომლებ, ფუტკარს მოაშორებ და საკუქნაოს ჩარჩოებიანებ სათაფლო ოთახში წაიღებ.



სურ. 70. საფუტკრიდან თაფლის გასატანი ყუთი.

როცა საკუქნაოში ბევრი ფუტკარია, მაშინ, როცა, ტილოს ააცლი, ზვიდან ჩარჩოს და ჩარჩოს შუა ნაზათ ჩაუკომლებ, ბევრი ფუტკარი ბუდეში ჩავა, მერმედ საკუქნაოს ერთ მხარეს ასწევ და კიდევ შეუკომლებ, მაგრამ ისე, რომ კომლი ბუდეში ფუტკარს არ აწუხებდეს.

ზოგჯერ შეიძლება ფუტკარი ვერც ასე მოვაშოროთ, მაშინ საჭირო იქნება ჩარჩოების თითო-თითოდ ამოღება, ფუტკრის მოშორება, ყუთში ჩადგმა და სათაფლო ოთახში ისე წალება.

ზოგჯერ მოხდება რომ საკუქნაოს ჩარჩო და ბუდის ჩარჩო ფუტკრებს ერთი მეორისათვის გადაუბამს, მაშინ საკუქნაო იარაღით (პირთხელით ან სხვა რამით) ფრთხილად უნდა ასწიო, თუ ატყობთ, რომ საკუქნაო ჩარჩო ბუდის ჩარჩოს არ სცილდება, თან მოსდევს, მაშინ საკუქნაო ისევ თავის ადგილას უნდა დასწიო და ჩარჩოები თითო თითოდ თხელი დანით ბუდის ჩარჩოს მოაშორო.

ზოგი მეფუტკრე საკუქნაოდან ბუდეში ფუტკრის ჩასარეკათ განსაკუთრებით მანქანასაც კი ხმარობს, ზოგი აფთეკურა საშვალეებით ცლილობს, ზეიდან ქვეით ჩარეკოს, მაგრამ არც ერთი ეგ პრაქტიკი მეფუტკრისთვის არსებით საჭიროე-არ შეადგენს.

ს.ზოგადოთ საკუქნაოს აღების დროს გახსოვდეთ: საკუქნაო აიღეთ ღალის გათავებისათნავე; საკუქნაო ეცადეთ ააცალოთ აწრაფად, თაფლი არ დაღვაროთ, ქურდობა არ გამოიწვიოთ, სათაფლე ოთახში რაც შეიძლება ფუტკარი სულ ნუ შეგყვება.

სკას ტილო მიაფარეთ და საფრენი თავის დონეზე დაუტოვეთ.



ს ე ქ ც ი უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა*)


„კაცია და გუნებო!“ ამბობენ, იმისი არ იყოს, ზოგს ციბრუტით დაცლილი ან სხვა რამით დაწურული თაფლი არ უყვარს, რჩეობს სარაქი თაფლი იყიდოს და იმას შეექცეს. ზოგი სარაქს მისთვის რჩეობს, რადგან დარწმუნებულია, რომ ის ბუნებრივია; მასში, ისე როგორც დაწურულ თაფლში, ადამიანს არ შეუძლია სხვა რამ ნივთიერება გაურიოს და გააყალბოს. ზოგს კი პირდაპირ „ეგუნებება“. ასეა სარაქი თაფლის საქმე მუშტარის მხრით, მეფუტკრისათვის კი, როგორც შემდეგ გავიგებთ, სარაქით მეურნეობა მინც და მინც მოსაგები არ არის. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგ ადგილას ისე სქელი თაფლი იცის, რომ ციბრუტაზე არ იცლება, და მეფუტკრეც იძულებულია (თუ მეტ მოგებას ხედავს) ხელით დაწურულ თაფლის გაყიდვას სარაქათ გაყიდვა ამჯობინოს. ასე თუ ისე საზღვარ გარეთ (მეტადრე ამერიკაში) სარაქი თაფლის დიდი მოთხოვნილებათ, ჩვენში კი ჯერ ჯერობით სარაქათ ცოტა სალდება. მეფუტკრე თუ ხედავს, რომ მოთხოვნილებამ იმატა ან და თუ იძულებულია ზემოთ მოხსენებული მიზეზისა გამო სარაქათ ყიდოს, ის ვალდებულია იცოდეს, თუ როგორ მიაწოდოს სარაქი მუშტარს.

„ნაშთი ძველის ველურობის დღესაც ყველგან არ გამქრალა“, ბევრი დღესაც სარაქ თაფლს უბავებოლოთ ყრის რა ნაირი ყუთიც შეხვდება ისეთში, გამოაქვს ბაზარში და ყიდის. თაფლი ისეა ყუთში, სანთელსა და მკვდარ ფუტკრებში არეული, რომ მუშტარს პირდაპირ ეზიზღება. ამისათვის ამაზე სუფთა მეფუტკრემ მოიფიქრა აერჩია მიმზიდველი შეხედულობის სარაქი, თუნუქის კოხტა ყუთში ჩაეფინა გასანთლული ქა-

*) სექცია ლათინური სიტყვაა, ნიშნავს ერთი გვარი საგნის რამოდენიმედ დანაწილებას—დაყოფას, ანუ ერთი მიზნის საზოგადოების წევრების სამოქმედოთ რამოდენიმე ჯგუფებათ დაყოფას.

ხალდი და შიგ სარაქი გვერდებ ჩამომწდარი ჩაეწყო. მუშტ-
რის მოსახიბლადად ასეთ ყუთს ზემოდან შუშის თავი დააყო-
ლა. პირველთან შედარებით, ცხადია ასე კონტად და სუფ-
თად მიწოდებულ სარაქს მეტი მუშტარი ყავს, მაგრამ ამით
ნამდვილი ვაჭრული მეურნეობა მაინც არ შეიძლება. მაშ რო-
გორ მოვიქცეთ? ამისი მაგალითიც უცხოელებმა მოგვეცეს.
პირველად იმათ მოიფიქრეს **სექციის** თავლით ვაჭრობა.

სექცია პატარა ჩარჩოა, მხოლოდ მისი გვერდების თამა-
სები ჩვეულებრივ ჩარჩოს თამასებზე პრტყელია და შეკრული
უთაფ-უფსკერო პატარა ყუთს უფრო გავს, ვიდრე ჩარჩოს.
(იხ. სურ. 71). სექციების შესაკრავ თამასას აკეთებენ ცაცხვის



სურ. 71
სექცია.

და თხმელის (მურყანის) მასალისაგან განსაკუთრებით ქარხა-
ნაში. ქარხანა მსურველს მთლად შეკრულ სექციას არ აწო-
დებს, არამედ ყიდის თხელ თამასს იმ სახით, როგორც
სურათ 72-ზე ხედავთ. ამ თამასას სამს ადგილას მოსახარი
„სახსრები“ აქვს დაყოლებული. შეკვრის წინ ამ სახსრებზე ცხე-



სურ. 72
სექციის თამასა.

ლი წყალი უნდა წაესვას, მოიხაროს და თავებში გაკეთებუ-
ლი დედალ-მამალი კბილები ერთმანეთში შეიწყოს, რის შემ-
დეგ მივიღებთ სწორ ოთხკუთხიან სექციას. (სიმაგრისათვის

თავები შეიძლება ძლიერ წმინდა ლურსმით ერთმანეთში კიდევ ჩაიჭედოს, მაგრამ ეგ დიდი საჭირო არ არის — ფუტკრების მიერ ხმარის შემდეგ მაინც საკმაოდ გამაგრდება). სექციები უნდა მიეცეს **აუცილებლათ** ხელოვნური ფიქით მთლად სავსე, ეს კი აი როგორ უნდა: აიღე სუფთად გარანდული ფიცარი, ნახევარი ვერშოკი სისქის მაინც. სქელი ფიცრისაგან გამოკერი ოთხი ოთხკუთხიანი იმ ზომის, რომ სექციაში თავისუფლად ჩადიოდეს, სიმაღლე უნდა ჰქონდეს სექციის თამასის სიბრტყის ზომის ნახევარზე ოდნავ ნაკლები. (ხელოვნური ფიქის სისქის ნახევარი აკლდეს). როგორც სურათ 73-ზე ხედავთ იმ რიგათ, ეს ოთხკუთხეები ფიცრის ქვეშიდან მიაქედე ფიცარზე, ერთი მეორეს ისე უნდა დაამორო, რომ თითოეულს თავისუფლად ჩამოეცვას სექცია. ხელოვნური ფიქა დაქერი სექციის ნამდვილ




სურ. 73

სექციაში ფიქის ჩაწებების დროს სახმარი კალაპოტი.

ზომაზე. (ისე ზომაზე თითქო ეს ხელოვნური ფიქა კი არ არის, არამედ სექციაში ჩადგმული ფანჯრის მინაა). თითოეული ფიქა დააწყვე ოთხკუთხეებზე და ზეიდან, როგორც კალაპოტს ისე ჩამოააცი სექცია. ოთხკუთხის მეოხებით ფიქა დარჩება გაჩერებული სწორეთ სექციის შუაზე. ეხლა როგორც უკვე იცით (იხ. ხელ. ფიქ. ჩაწებება გვ. 187) ისე კალაპოტს ერთ მხრიდან ასწევ. დაიქერ ცერად და ოთხივე კუთხეში ჩაიდანით მიახამ სანთელს. სანთელი უნდა მიახმა სუფთად-ერთის მხრიდან თუ ატყობთ, რომ უკვე კარგათ არის ფიქა მიმაგრებული, მეორე მხრიდან აღარ სჭირია. ამ რიგად, ამ კალაპოტის შემწეობით ერთად შევიძლია ოთხი სექცია გაიშალო. მზა სექციები უნდა ჩააწყო წინად გამზადებულ ყუთში. ეს ყუთი სექციის სიმაღლის არის, სიზრქით კი იმოდენა, რომ საკუქ-


ნაოს ყუთში ჩაიდგმის, ისე რომ კედელი კედელს ეწყობა და რომ მისი ამოღება გაადვილდეს, წინად აქვს მავთულის ან თოკის ყური დატანებული. ამავე ყუთს აქვს მიკეთებული სექციის გასაჩერებელი თხელი გამირები; ორი იმათგანი თვით



სურ. 74

ყუთი, რომელშიაც სექციებია ჩადგმული.

ყუთის დაბლა ძირზეა მიჭედილი, სამი კი შუაზე. გამირები ერთი მეორეზე სექციის ზომაზედ არის დაშორებული. სურათ 74-ზე მოსჩანს ყუთი, რომელშიაც რამოდენიმე სექციებია ჩაწყობილი, იქვე სექციების ბოლოს მოსჩანს ორი გამირი. გამზადილ ყუთში უნდა ჩაიწყოს სექციები: დაიწყებ ყუთის იმ კედლიდან, სადაც ოთხი სექცია ეტევა და ჩააწყობ ოთხივეს, რომელსაც მაშინვე გვერდის სიმაღლეზე მიაფარებ თუნუქის ნახვრეტებიან ფურცელს (იხ. სურ. 75). ამ რიგათ რამდენ



სურ 75

სექციებს შუა დასატანებელი თუნუქის გამოჭრილი ფურცელი.

ოთხ სექციას ჩააწყობ, იმდენს თუნუქის ფურცელს მიაფარებ, გვერდიდან სიმაღლეზე, მთლად ექვს ადგილას (გარდა კედლისა). როგორც სურათი გვიჩვენებს ამ ფურცელს ფუტკრის საძრომი ადგილი აქვს გამოჭრილი, მისი მიფარებით სექ-

ციებში ნაშენიც სწორი და ერთი ზომის დარჩება, და სექციასაც დაიფარავს დინდგილას მიწებებისა და საზოგადოთ ფუტკრების მიერ გათხუპვნისაგან.

ყოვლად ძლიერ ოჯახს პირველად უნდა გადაადგა, (როგორც იცი ისე და იმ დროს) საკუქნაოს ყუთი, რომელშიაც უნდა ჩადგა სექციებით გამართული ყუთი. სექციებს ზეიდან უნდა მიაფარო ტილო და ტილოს ზემოდან დარჩენილ ცარიელ ადგილზე მიაფარო სათბუნებელი. (ნაბღის ნაქერი, ქეჩა, ბალიში და სხ.) სექციებიანი ყუთის აცლა იმ გვარადვე და იმ დროს უნდა, როგორც საკუქნაოს. შუა სექციები ყოველთვის მეტი სავსე და კახტა იქნება, ვიდრე კიდურები.

როგორც ხედავთ, სექციური შეურნეობა ადვილი საქმე არ არის; აღსანიშნავია ისიც, რომ სექციაში მუშაობა ფუტკრებს ისე არ ეხალისებათ, როგორც საკუქნაოში, ეს ალბათ იმისთვის, რომ თითველი სექცია ფუტკრისათვის ოთხი-ყუთხივ შემოზღუდულ ცალკე სამყოფივით არის, და ამისათვის მუშაობის დროს ფუტკრებსაც სექციური, დანაწილებული მუშაობა უწევთ, ერთი ერთმანეთს ვერ ეგუნდებიან და საკმაო სითბოს ვერ იქერენ. თუნუქას ფურცლის ნახვრეტებში ძრომა ფუტკრებს ფრთებს ადრე უზიანებს... მეტი ფუტკარი აკლდება. სექციას გადიდგამს მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებით ძლიერი ოჯახი, ისეთი, რომელმაც თუ 32 სექცია ე. ი. 32 გირ. თავლი გააკეთა, თამამად გავსებდა ორ საკუქნაოს და მასაშადამე ორჯელ მეტ თავლს, თუ მეტს არა, მაინც მოგვცემდა. გარდა ამისა, როცა შეფუტკრე სექციას ყიდის, მისთვის იკარგება სექციაც და სანთელიც, ყოველივე ეს სახეშია მისაღები და თითველი სექცია ათ შაღრაათაც რომ გაიყიდოს, მოსაგები არაფერი რჩება, ამისათვის შეფუტკრე ყოველთვის უნდა ცდილობდეს, სექცია სუფთა, ლამაზი, მთლად კახტად გადაბეჭდილი იყოს, მუშტარი დახარბდეს და მეტი ფასი გაიმეტოს.

ისე ყოველ შემთხვევაში ვიტყვით, რომ სექციური მეურნეობა ნამდვილი მრეწველი მეფუტკრის საქმე არ არის. მრეწველი ფუტკრებს არ აწვალებს, საჩხირკედელაოთ არც თვითონ მოიცილის. ის ცუდილობს მისი საფუტკრის თაფლი, ციბრუტაზე დაკლილი იყოს ნამდვილი ბუნებრივი (შიგ არათერს ურევს). ანკარა და როცა მხმარებელი მის პათიოსნებაში დარწმუნდება, ციბრუტას თაფლს ყოველთვის ამჯობინებს, რადგან ერთი გირვანქის ფასით ის ორ გირვანქას იყიდის.

განსაკუთრებით სექციური მეურნეობისათვის **ხ ე ნ დ ა ს** მიერ მოგონილია სკა, რომლის შესახებაც, ჯერ ვიდრე იგი საბოლოოდ არ არის ნაცადი, ვერც კარგს ვიტყვით და ვერც ცუდს.

სამეფო თაფლი კრიპუჭი.

ბუნებაში მოიპოვება ერთგვარი თაფლი **კრიპუჭი**, რომელსაც გასაღება და მოწონება მხოლოდ სარაქად აქვს. ამისათვის მის შესახებაც ორიოდ სიტყვას აქვე ვიტყვით. კრიპუჭი მხოლოდ გურიაშია ცნობილი. მეცნიერულად ჯერ ეს თაფლი არ არის გამოკვლეული. უფრო ხშირად შეხვდები დასავლეთ გურიაში, შავი ზღვის პირად. მისი ნიშნობრივი თვისება ღრმა და გრძელ უჯრებშია—ცალ-ცალკე უჯრა ცხენის კბილა (ადესა) სიმინდის მარცვლებს გავს, ყოველთვის სიმაგრეთ არის, პირში კარგი ღირსების მაგარი კონფექტივით იმტვრევა, გემო და სურნელება საუცხოვო აქვს. მისი იშვიათი ღირსების მიზეზით სამეფო, სადიდკაცო ძღვნად ირიცხება. პოულობენ ველურად, ხის ფულუროში, ფუტკრები ძლიერ ცოტა იცის, გეგონება გაქრობა დაუწყიათო. გურულები ფუტკარს ყოველთვის „სკას“ ეძახიან, იმ ფუტკარს კი, რომელსაც კრიპუჭს უპოვნიან „ხელა ფუტკარს ეძახიან“*). ბევრს ჩაშაქრებული თაფლი, ისეთი როგორსაც ვახუშტი სწერს სა-

*) ხელა—მარტო-ხელა იქნებ ფუტკრების მცირე-რიცხვიანობის მიზეზით ეძახიან.


ქართველოს გეოგ.: „**თაფლი ვითარცა შაქარი შეყინებული და სპეტაკი**“, კრიპტუკი გონია, მაგრამ სად კრიპტუკი და სად შეყინებული თაფლი. კრიპტუკი ბუნების საოცრებაა, მისი შემოქმედებითი ძალის სხვა-და-სხვაობაა, რომელიც საჭიროებს დაუყონებლად ყოვლის მხრით გამოკვლევას და შესწავლას. ეს მით უმეტეს საჩქაროა, რადგან ის ტყე (სალარიზო), სადაც კრიპტუკი იცის, იჭრება, ნადგურდება. არც ერთ ევროპიელ და ამერიკელ მეფუტკრეებს თავიანთ წიგნებში კრიპტუკი მოხსენებული არა აქვთ. ცხადია შესწავლის შემდეგ კრიპტუკი მსოფლიოს ყურადღებას მიიქცევს.

ზოგიერთები კრიპტუკის ვაჟინას აწერენ ბზის ყვავილს, ზოგი სუროს, ზოგი ფუტკრების მიერ ზღვის წყლის ხმარას, ზოგი ფუტკრის განსაკუთრებითი ჯიშს. შეიძლება რომელიმე მათგანი მართლაც ხელს უწყობდეს მის გაკეთებას, მაგრამ სავსებით რომ ერთ-ერთს არ მიეწერება და მეტადრე პირველ სამს—ეგ ცხადია.

ღალის შეწყვეტა და მისი შედეგი.

ღალის შეწყვეტისათანავე (ან მის საგრძნობლად შემცირების შემდეგ), ფუტკრები ოჯახურ ხარჯის შემცირებასაც შეუდგებიან. ამდენხანს თუ მამლებს ნებას აძლევდნენ, რამდენიც უნდოდათ სხვისი მონაგარი თაფლი მიერთმიათ, ეხლა მათთვის აღარაფერი ემეტებათ და უმოწყალოთ გარეთ ერეკებიან—ზოგს ჰკლავენ, ზოგს კი სკაში შესვლის ნებას არ აძლევენ. ფუფუნება-განცხრომის დაჩვეული მამლებიც სკის გარეთ იხოცებიან. ზოგი მამალი თავის დობილების რისხვას გაურბის და თავ-შესაფარს სხვა სკაში ეძებს, მაგრამ ბედის მამებარ სასიძოს მხოლოდ ის ოჯახი შეივროდომებს, რომელიც შემთხვევით ან უდღეოა ან სასიძო ქალწული დედა ყავს. ამ დროს საფუტკრეში ბედნიერი ოჯახები მამლების წინააღმდეგ ისე თავგანწირვით იბრძვიან, რომ ზოგიერთი მეფუტკრე საჭიროთ ხედავს მამლების თავიდან მოშორებაში კიდევ დაეხ-

მაროს, ამისათვის არის მოგონილი ისეთი უბრალო მანქანა, როგორც სურათ 76-ზე ხედავთ. როცა მამლების ხოცვას ფუტკრები შეუდგებიან, ამ მამლების საქერი მანქანას მეფუტკრე სკის საფრენზე მიაფარებს. მანქანა გაკეთებულია **ვანემა-**



სურ. 76

მამლების საქერი მანქანა.

ნის ცხრილისაგან და ისეა მოწყობილი, რომ იმისაგან მუშა ფუტკრები თავისუფლად გამოდიან, მამალი კი, რომელიც შიგ მოხვდება, ველარც წინ წავა და ველარც უკან. მეფუტკრეც თვალს ადევნებს და ხან-და-ხან მანქანას იღებს და მამლებს სრესს. ვისაც ეს მანქანა არა აქვს, ის გარეთ გამოყრილი მამლების დაქლევითაც ფუტკრებს საქმეს უადვილებს. საზოგადოთ, ღალის შეწყვეტის შემდეგ, მუშა ფუტკრების თაოსნობით დედაც ნაკლებ კვერცხებს დებს. მუშა ფუტკრებსაც საქმე ნაკლები აქვთ და ყოველივე ამის შემდეგ მცირე მიზეზი კმარა, რომ ფუტკრებმა უპატიოსნო საქმე—ქურდობა დაიწყონ.

ქურდობა, მისი გარენის მიმტეები და მისი მოსასბობი ზომები.

როცა ღალიანობა არის, ფუტკრებიც სასიამოვნო ბზულით თავიანთ საზრდოს ბუნებისაგან ეზიდებიან, ქურდობასა და „ავკაცობას“ არ კადრულობენ. მაგრამ თუ კიდევ სითბოა, ფუტკრებს შრომა შეუძლიათ, მაგრამ ბუნებაში თუ არაფერია, მაშინ ყვავილის ნექტარს გარდა არც სხვა სიტკბოს იწუნებენ. მუდამ შრომის მოყვარული ფუტკრები, თუ გინდ

საზამთრო საზრდო საკმაოთ ჰქონდეთ დაუნჯებული, მაინც არ ისვენებენ, მოუსვენრად დაძრწიან და ტკბილფელობას ყველგან თავ-დავიწყებით ეძებენ და უკადრის საქმეს კადრულობენ: ქურდობა-ცარცვას იწყებენ. ქურდი ფუტკარი გასაცარცვავად ირჩევს სუსტ ოჯახს, რომელსაც თავის დაცვის ხალისი რაიმე მიზეზით დაკარგული აქვს. ასეთია მაგ. უდედო სკა, ავადმყოფი, და ზოგჯერ კი ერთი და იგივე ნათესაური სისხლის მოდგმა ოჯახიც. ზოგჯერ არც დედიან სკას დაერიდებიან (მეტადრე თუ სუსტია) და, როცა ასეთ ოჯახში შეიპარებიან პირველი მათი ცდაა დედა მოჰკლან და მით მასპინძელ, ფუტკრებს თავის დაცვის ხალისი დაუკარგონ.

საფუტკრეში ქურდობის გაჩენას გამოცდილი დაკვირვებული მეფუტკრე ადრე შეატყობს. ქურდ ფუტკრებს თავიანთი ავკაცობა სკაში შეპარვის დროს აშკარად ემჩნევა. პატრონსად მშრომელი ფუტკარი თავის სკაში ლალ-მართლად, გაბედულად შედის, თავი ამაყად უქერია, ან კი რის უნდა ეშინოდეს თავის ოჯახში თავის ამხანაგებთან, შრომიდან ნაშრომით მიდის, ქურდი კი ნამდვილ ქურდულად, გაიძვერულად თავ-მოკატუნებული მოიპარება. პირდაპირ გულადად საფრენში არ შედის იქით-აქეთ უხვევს—საფრენთან დარაჯი ფუტკრები დგას და მათ შეხვედრას გაურბუს. გაფაციცებით ეძებს ნახვრეტს, იქნებ საფრენს გარდა სხვაგანაც შევიპაროვო. თუ მისმა გაიძვერობამ გასჭრა და სკაში შევიდა, შედის მშერი და გამოდის მაძლარი. ეს არის ახლად გაჩენილი ქურდობის ნიშანი. მერმედ კი, სასვენ ფიცარზე ერთი წეწვა-გლეჯა აქეთ. მასპინძელი სკისა და ქურდი ფუტკრები ერთი მეორეს ეკიდებიან, კბენენ. ქურდი ფუტკარი ერთი შეხედვით იცნობა: ის სხვებზე პატარა გეჩვენებათ, მობუზულია, ხშირად მოშაო ფერისაა, ქურდობის დროს სხვა-და-სხვა ვიწრო ნაჭრეტებში ძრომისაგან ტანზე ბუსუსი აღარ აქვს*),

*) მეფუტკრე, თუ კარგი დაკვირვებული არ არის და სხვა ნიშნებიც სახეში არ მიიღო, მარტო ამით შეიძლება შეცდეს, შეიძლება მშრომელი ძველი ფუტკარიც ქურდათ მოეჩვენოს.

ნელ-ნელა მოიპარება, ფაცა-ფუცით მიდის. ქურდობის გაჩენა ხამ მეფუტკრეს კიდევ გაუხარდება, ფუტკრები გახურებულ მუშაობაში ეგონება გართული. პირველად ქურდობას რამოდენიმე ფუტკარი იწყებს, მაგრამ ქურდების რაზმი, თუ მეფუტკრემ მათ წინააღმდეგ ადრე არაფერი იღონა, მრავლდება, მატულობს სხვისი ნაამაგარის მიმთვისებლების რიცხვი. ქურდები ერთი სკიდან მეორე სკაში მოუსვენრად დაძრწიან, ქურდობა ცარცვა-გლეჯათ გადაიქცევა. მოხდება ისიც, რომ ქურდების მიერ დედა მოკლული, გაცარცული ოჯახი ქურდებს შეუერთდება და ამდენ ხანს თუ ქურდების რაზმი მცირე რიცხოვანი იყო, ეხლა მთელი ნაყარია, ეხლა უფრო თამამად ცარცვენ დაბეჩავებულ ოჯახს. კი აღარ ქურდობენ, არამედ სკაში პირდაპირ იგრიშით მიდიან და ხოცვა-რბევას აჩაღებენ, მსხვერპლს ერთი შეტევით ანადგურებენ.

ქურდები გამოფრენას იწყებენ ჩვეულებრივზე ადრე და საღამოს გვიან იბუღებენ. ქურდობის გაჩენის დროს საზოგადოთ ფუტკარი ბრაზიანია. მთელ საფუტკრეში ფუტკრების არეული, არა-ჩვეულებრივი ბზუილი ისმის და მოუსვენარი ფაცა-ფუცია,

ქურდობის გაჩენისათანავე მეფუტკრემ მის სათავეშივე მოსასპობათ ყოველივე საშუალება უნდა იხმაროს, თორემ ფუტკრებიც გაირყვნებიან და საფუტკრეც განადგურდება. ზოგიერთი ქურდობის გამომწვევი მიზეზები ჩვენ უკვე ვიცით. ეხლა ვიტყვით, რომ ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლა ის იქნება, თუ მის გამომწვევ მიზეზებს სათავეშივე მოვსპობთ. ამისათვის საჭიროა: 1) ყველა სკა იყოს დედიანი, ძლიერი და თანასწორი ძალ-ღონის, 2) საფუტკრე არ იყოს სხვისი საფუტკრის ძლიერ ახლო, 3) სკებიც ერთი მეორეზე ძლიერ ახლო არ იდგეს, 4) თუ სუსტი ოჯახები გყავთ, საფრენი ისე შეუვიწროეთ შიგ 1—2 ფუტკარი შედიოდეს, 5) საფუტკრეში არ დაღვაროთ თაფლი, ამოდებისათანავე ან ყუთში ჩადევით ან ტილო მიაფარეთ და საფუტკრეს მოაშორეთ, 6) სარჩო დღისით არ მისცეთ, საერთო კვებას ერიდეთ, 7) როცა

ღალიანობა შეწყდა, ყველა სკის საფრენი შევიწროე, სკას არსად ფუტკრის შესაძრომი ნახვრეტი არ ჰქონდეს, 8) ოჯახი მშვიერი არ გყავდეს, 9) ყველაზე ფრთხილად იყავით უღალიანობის დროს: შემოდგომაზე და გაზაფხულზე, 10) საფუტკრეში გყავდეს მამაცი, ბეჯითი, ბარაქიანი მშრომელი ოჯახების მოდგმა (განახლებული სისხლის).

ყოველ შემთხვევაში, თუ მაინც გაჩნდა ქურდობა, მაშინვე უნდა შეიტყო მცარცველები შენი საფუტკრის არას, თუ მეზობელ საფუტკრიდან გეწვია. ყველა მეფუტკრემ კარგად უნდა იცოდეს, რომ ქურდობის გაჩენის მიზეზი და დანაკლისის ამანაზღაურებელი ის კი არ იქნება, ვისი ფუტკრებიც ქურდობენ, არამედ, წინააღმდეგ ის აგებს პაუზს ვისი სკაც იცარცვება. რისთვის? მისთვის, რადგან ქურდობის გაჩენას მან შეუწყო ხელი.

თუ მცარცველი ფუტკრები მეზობლისაა, დაუყოვნებლივ აცნობე და ისიც დაიხმარე—მასაც შეაგნებე, რომ ამით ისიც ზარალში იქნება, ფუტკრები გაერყვნება. თუ გინდა გაიგო, რომელი სკის ფუტკრები იცარცვება, საეჭვო სკის საფრენის წინ ფუტკრებს ფქვილი დააყარე და დააკვირდი: რომელ სკამაც დანიშნული ფუტკრები შევლენ, ქურდებიც იმ ოჯახის იქნებიან.

ყველაზე უტყუარი საშუალებაა დაბეჩავებული სკა დაკეტო და 1—2 დღით ბნელსა და გრილ ადგილას გადადგა და დაკეტილი გყავდეს. მის ადგილას დადგი ცარიელი სკა და შიგ რაიმე ცუდ-სუნიანი (ნაღთი, ქაფური, ნეფტალინი და სხვა) დადვა, როცა ქურდები ცარიელ სკას ჩამოეთხოვიან, მერმედ სკა ისევ თავის ადგილას დადგი და საფრენი გაუღე. შეგიძლია დაჩაგრულ სკაში ცოტა ქაფური ან ნავთით დასველებული მჩაგრელსა და დაჩაგრულს ერთი მეორეს შორის ადგილებიც შეუცვალო, მცარცველები თავის სკათ მიიღებენ და როგორც თავგანწირვითაც ცარცვავენ, ისეთივე თავგანწირვით თავს დაიცავენ. თუ რამოდენიმე ოჯახი ცარცვაში მონაწილეობას

იღებს, საღამოს ძლიერი სკების ადგილას, უძლური დადგი, რომელსაც გლეჯენ, იმ სკის საფრენთან ნავთში ამოვლებული მზვარი დადვეი, ისე რომ ქურდი ფუტკარი სკაში შეძრომის დროს შიგ გაისვაროს—უცხო სუნინანებს, როგორც ვიცით, არც თავისიანები მიიღებენ და მოჰკლავენ.


შეიძლება ყველაფერი სცადოთ, მაგრამ ქურდობა მაინც ვერ მოსპოთ, ამისათვის, ვიმეორებთ, ერიდეთ მის გამომწვევ მიზეზებს და შედეგი საბრძოლველი არ იქნება.

თაფლის დაქლა ციბრუტით.

ჩვენ ძლიერ ხშირად შეგვხდა გვეთქვა, რომ ფუტკრები-სათვის თავის დროზე მშრალი მზა-მზარეული ფიჭის მიცემა შეუდარებელი რამეაო, მაგრამ ამდენ ხანს არ გვითქვამს, თუ საიდან გავიჩინოთ მშრალი ფიჭა. კაპიტანმა გრუშკომ საფუძველი დაუდვა ერთ გვარ მანქანას, რომელსაც რაკი ციბრუტით ცქიტზე ტრიალებსდა მოქმედობს „ცქიტზე მორბენალი ძალის“ მეოხებით, დავარქვათ „ციბრუტა“; ამ მანქანის წყალობით ფიჭა თაფლისაგან ისე დაიცლება, რომ ფიჭა რჩება დაუზიანებელი. მაშასადამე ვინც ციბრუტით თაფლს სცლის, მას მუდამ ექნება ისევ ჩარჩოში ფუტკრების მიერ სრულიად ჩაშენებული დასრულებული მშრალი ფიჭა. ამ მანქანის მეოხებით მეფუტკრეს შეიძლება აქვს თაფლიც უკეთესი და მეტი მიიღოს და გარდა ამისა მზამზარეული თაფლის შესანახი ჭურჭელი თავის დროზე ისევ ფუტკრებსავე დაუბრუნოს. თუ რამდენად შეუწყობს ეს ხელს ფუტკრებს, მცირე ხნის განმავლობაში მეტი თაფლი შეაგროვოს, ეს ჩვენ უკვე ვიცით. მოსახსენებელია ის, რომ ამის ხმარით მეფუტკრესაცნაკლები ხარჯი, დრო და ჯაფა ეხარჯება.

დღეს ხპარებაში ბევრ გვარი ციბრუტაა. მათში საშვალო მრეწველისთვის საკმარისია ისეთი, რომელშიაც ერთ ჩადგმაზე ერთბაშად გაიცლება 8 საკუქნაოს ჩარჩო ან ოთხი ბუდის (დადან-ბლატის სკის), როგორც სურათ 77-ზე ხედავთ ციბ-

რუტა სამ ფეხზე მდგარი თეთრი თანაქის ჭურჭელია—ზეიდან მოსჩანს ხელი, რომელიც ატრიალებს ორს-კბილებიან ბორბალს—ბორბალს კი მოძრაობაში მოყავს ცქიტზე გაჩერებული ღერძი, ღერძზე მიმაგრებულია ოთხ-კუთხე ბადიანი კალათი, თითოეულ კალათში იდგმის ორ-ორი საკუქნაოს ჩარჩო. ასეთი ციბრუტა, სურათზე რომ არის ღირს, 25—35 მან. არის უიაფესიც, მაგრამ ყოველთვის სჯობს ამაზე ნაკლები ფასის არ შეიძინოთ. თუ ერთ მეფუტკრეს გაუძნელოდებთ, 2—3 შეუძლია საამხანაგოთ იყიდოს.



სურ. 77
ციბრუტა.

სარაქის დასაცლელად მომზადება. სარაქი სანამ ციბრუტაში ჩაიდგმებოდეს, მანამდე საჭიროამისი გადაბეჭდილი თავის გადაცლა-გახსნა. ამისათვის ყველაზე უკეთესია მეფუტკრეს ჰქონდეს თანაქისავე ჭურჭელი, ეს ჭურჭელი ისეა გაკეთებული, რომ ზედა-ქვედას გადაედგმება და ამრიგად თითქოს ერთია, მაგრამ ერთი მეორეს კი შორდება. ქვედა, პატარა წარმოადგენს ჩვეულებრივ თანაქის ჭურჭელს, ზედას კი ფსკერის მაგიერ გამოკრული აქვს წვრილი მავთულის ბადური. ზედა ჭურჭლის კარბაზე დაქდებული ადგილით გავემაგრებთ ხის სუფთა სახა-

ზავს. ამ სახაზავზე სარაჭით საესე ჩარჩოს ერთ თავს ჩამოვადებინებთ, რომელსაც სიმაღლეზე მარცხენა ხელით დავიჭერთ ცერათ, ავიღებთ მახვილ დანას (ყველას სჯობია აბატის) და ქვეიდან ზეთ შეყოლებით გადავაცლით სიფრიფანა თავს. ვცდილობთ რაც შეიძლება თავი სუფთად გადავაცალოთ მშრალად—თაფლს არ შევებოთ. ამრიგად არ დავტოვებთ გაუხსნელს არც ერთ უჯრას, თუ გინდ ზოგ-ზოგი უჯრა ცალცალკე გასახსნელიც შეგვექნეს, დანას ხან-და-ხან სახაზავზე დავაფხვებთ. ზედ-მიკრულ სიფრიფანა თავს მოვაშორებთ. ყველა ეს გადანაცალი სიმშრალე დარჩება ბადეზე და, თუ რამ თაფლის წვეთები გაყვა, მეორე ჭურჭელში სუფთად გაჩერდება (ვინც განსაკუთრებით ჭურჭელს ვერ შეიძენს, იმას იგივე საქმე შეუძლია გობზედაც (თაბახზე) შესრულოს).


სათაფლე ოთახი უნდა იყოს მჭიდროთ შეკრული, ფუტკარს შიგ შეძრომა არ უნდა შეეძლოს. მასთან უნდა შეგვეძლოს ოთახის გათბობა. რამდენადაც ამ საქმეს სითბოში ვაკეთებთ, იმდენად თაფლი სითბოსაგან თხელი იქნება და ფიჭა ადვილადაც დაიცილება. ერთი სიტყვით, დიდი სასურველია, თუ ოთახში 20 (რეომ.) გრადუსზე ნაკლები სითბო არ იქნება.

როგორ დავცალოთ სარაჭი. ციბრუტა უნდა დაიდგას სწორეთ ფეხებში დატანებული ნახვრეტების წყალობით იატაკზე (ან მაგარ მძიმე რამეზე) ლურსმით ან „ვინტით“ ისე გამაგრდეს, რომ ტოკვა და რყევა არ დაიწყოს. ციბრუტს სატრიალეებელ ადგილებში ხმარის წინ ზეთი უნდა მიეცეს. გახსნილი ჩარჩოები უნდა ვეცადოთ ისე შევარჩიოთ, რომ კალათში ჩაწყობის დროს ერთი-ერთმანეთის მოპირდაპირე ერთი სიმძიმის მოდიოდეს. ამით ჩვენ დავიცავთ ღერძის ფრთების სიმძიმის ერთი-ერთმანეთის თანასწორობას და, მაშასადამე, ღერძიც წესიერად იტრიალებს, ადვილად არ მოიშლება და არც ფიჭა დაიმტვრევა. ჩარჩო უნდა ჩაიდგას არა ისე, როგორც სკაში იყო, არამედ სიმაღლით (სკაში რომ განი იყო, ის ციბრუტაში სიმაღლით მოდიოდეს). როცა ჩარჩოებით კალათის ყვე-

ლა კუთხეებს გადავსებთ, უნდა შეუდგეთ ტრიალს. პირველად ვატრიალებთ ნელა-ნელა, ნაზათ. თაფლი დაიწყებს გამოღვრას სარაქის იმ მხრიდან, რომელიც ციბრუტას კედლისკენ არის მიქცეული. როცა ვარაუდით ვატყობთ, რომ ერთის მხრით თითქმის ნახევარი დაიცალა, სარაქი ეხლა უნდა წინააღმდეგი მხრიდან შევატრიალოთ და კიდევ ნაზად ვატრიალოთ. რამდენიმე ხნის შემდეგ, უფრო სწრაფად ვატრიალებთ. ამ მხრიდან, როცა სარაქი მთლად დაიცლება (თუ თაფლი კედელზე ტრიალის დროს აღარ ეწვეთება, სჩანს დაცლილია), მაშინ ჩარჩოებს ისევე შევატრიალებთ, როგორც პირველად იყო და ჩქარი ტრიალით ამ მხარესაც სულ დავცლით—ძველებს ამოვიღებთ და ახლებს ჩავაწყობთ. ერთი სიტყვით, ამას სჭირია ცოტაოდენი ხელის შეჩვევა და დაკვირვება. საზოგადოთ, ყოველთვის უნდა ცდილობდეთ სარაქი სულ დაცალოთ, შიგწვეთი თაფლი არ დარჩეს, ფიჭა არც დაიმტვრეს და არც დაზიანდეს. ამას კი მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ ჩარჩოებს ერთი სიმძიმისას ჩავაწყობთ, პირველად ნელა ვატრიალებთ და ჩარჩოს სამჯერ შევატრიალებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ფიჭა დაიმტვრევა. დაცლილი თაფლი ციბრუტას ფსკერში ჩადგება. როცა ვატყობთ, მეტი ჩარჩო, რომ დავსცალოთ თაფლი ციბრუტას შემოადგება და ტრიალს დავვიშლის, მაშინ ონკანს გავხსნით და თაფლს ჭურჭელში ჩავასხამთ.

ჭურჭელი. მრეწველი მეთუტკრისთვის ყოველთვის ხეირია თაფლის ჭურჭელი გააკეთებინოს თეთრი თანაქის ისეთი, რომელშიაც ჩავა 1—2 ფუთი. ჭურჭელი სიმაგრისათვის მრგვალი (ცილინდრის მაგვარი) სჯობია თავი მჭიდროთ უნდა ეხურებოდეს. ასეთ ჭურჭლებს პატარა ზომისაც აკეთებენ ზოგი 3—5—8—12 გირვანქა თაფლს იტევს. (იხ. სურათი 79) ზოგი თაფლის ჭურჭელს ხისას აკეთებს, ხის ჭურჭლებში ყველას სჯობია ცაცხვის ძლიერ ხმელი მასალისაგან მჭიდროთ გაკეთებული, მაგრამ რაც უნდა მჭიდროთ იყოს გაკეთებული ხის ჭურჭელს, ხმარის წინ გამოაორთქელა მაინც უნდა.

ჩასხმა. თაფლი, ჩასხმის წინ შეიძლება წმინდა საცერში გავატაროთ და ჭურჭელში მერმეთ ჩავასხათ, თუ ასე არ მოვიქცით, შეყოლილ ფიჭის ნაჭერს, მკედარ ფუტკარს, თუ სხვა რამეს, თაფლი ყოველთვის ზეიდან მოიყენებს და ხელით მოვართმევთ. ერთი სიტყვით, ჭურჭელი ჩასხმის წინ სუფთა და მშრალი უნდა იყოს და შიგ თაფლიც სუფთა უნდა ჩავასხათ.



სურ. 78

ციბრუტას ონკანი.¹⁾



სურ. 79.

თაფლის ჭურჭელი (თუნუქის)

შენახვა. თაფლი უნდა შევინახოთ გრილსა და მშრალ ადგილას, არამც და არამც არ უნდა წავეკაროთ იმ სარდაფს, სადაც ღვინო, ძმარი და ჩადებილი წნილი ინახება. ჭურჭლის თავი მაგრათ უნდა იყოს მოკრული (ქილებში თუ ვინახავთ) და თავ-სახურის წინ უნდა დავაყოლოთ გასანთლული ქალაღი. ეს ქალაღი ნოტიოსაგან დაიფარავს. თაფლმა თუ ნოტიო იშოვა, თავის ღირსებას დაკარგავს და კიდეც ამჟავდება.

სუფთა ბუნებრივი თაფლი თავის დროზე მოწეული კარგად შენახული (მშრალ, გრილ და მყუდრო ალაგას) მშვენიერად ჩაშაქრდება, სითხის სახეს დაკარგავს, გამაგრდება და დახვირიშდება. ზოგი თაფლი ისე ლამაზად ჩაშაქრდება, რომ მისთვის ჭურჭელიც აღარ იქნება საჭირო. თავის დროზე

*) ასეთი ონკანი დიდი მოხერხებულია თაფლის დიდი ჭურჭლისათვისაც.

განსაკუთრებით პირფართო ხისა ან თუნუქის კალაპოტებში წინდაწინ ჩაფენენ გასანთლულ ქალაღდს, მერმეთ კალაპოტს ავსებენ თაფლით, მორჩენილ გასანთლულ ქალაღდის ყურებს შემოაკეცენ და ინახავენ შესაფერ ადგილას, 1—2 თვის შემდეგ კალაპოტში თაფლი ჩაშაქრდება და ისე გამაგრდება, როგორც ყინვა, მერმედ ხვევენ ქალაღდში და ისე ყიღიან, როგორც სამტყრევ შაქარს ან შვეიცარულ ყველს. ასეთ თაფლს ერთი შეხედვით სანამ გემოს გაუღებდე, ლითონის ზოღი გეგონებათ, ამისათვის **ზოღი თაფლი** უწოდოთ.

ამჟავებული თაფლი უნდა ჩაისხას პატარა ჭურჭელში, ეს პატარა ჭურჭელი უნდა ჩაიდგას მეორე დიდ ჭურჭელში, რომელიც უნდა გაივსოს წყლით. ნელ ცეცხლზე უნდა შემოიდგას და ნახად წამოდუღდეს. თაფლს ქაფი უნდა მოერთვას. რამდენიმე ხნის ნელი დუღილისა და ქაფის ხღის შემდეგ, თაფლს გაგრილება უნდა ვაცალოთ და მერმედ ჭურჭელში ჩავსხათ. თაფლის ასადუღებლად გვარგია თიხის, მინის ან ლითონის ჭურჭელი, მაგრამ აუცილებლად „დედა-შვილ“ ჭურჭელში უნდა წამოვადუღოთ, თორემ თაფლი დაკარგავს ბუნებრივ სინაზეს, გემოვნებას და სურნელებას.

დაცლილი ფიჭების უკან დაბრუნება. იმავე საღამოს, რა დღესაც ჩარჩოები ციბრუტით დავცალეთ, ჩარჩოები ისევე უნდა ჩაიდგას საკუქნაო ყუთში და სკას საკუქნაო ისევე თითუღად გადაედგას. თაფლისაგან სველ ფიჭებს ფუტკრები გაამშრალებენ, შესწორებ-შეაღამაზებენ და ამრიგად თაფლით ფუტკრები ისარგებლებენ და სრულიად მშრალი ფიჭაც სამერმისო შესანახად უკეთესია.

დაცლილი ფიჭების უკან დაბრუნების დროს, ჭურღობის გაჩენა ადვილი მოსალოდნელია და მეფუტკრესაც ფხიზელი ყურის გღება მართებს, ამ დროს ყველა სკის საფრენი შვეიწროებუღი უნდა ჰქონდეს და მის გარეშე ფუტკრის საძრომი ადგილი არსად იყოს. საკუქნაო გადადგმული რჩება შემოდგომის სკების დათვალიერება-ხიღვამდე.

თაფლის გაყიდვა. ყველა მეფუტკრე უნდა ცდილობდეს თაფლს მოუპოვოს ბაზარი, შექმნას თაფლის მოთხოვნილება. ყოველი ღონის ძიებით უნდა ცდილობდეს მხმარებელს თაფლი პირდაპირ მეფუტკრემ მიაწოდოს და შუაზე, მრეწველსა და მხმარებელს შორის, მესამე პირი ჩარჩი არ ერეოდეს და თავის ჯიბის გულისთვის ორივეს არ ჩაგრაედეს. ერთი მეფუტკრისათვის ეს ძლიერ ძნელია მაგრამ აქ საჭიროა მეფუტკრეების მჭიდრო კავშირი და ამხანაგობა.

მეფუტკრე თაფლის ჭურჭელს წარწერას უკეთებს, ზედაწერს: ბუნებრივი თაფლი, ამა და ამ ყვავილის, (თუ დაბეჯითებით იცის, რომელი ყვავილის არის) ამა და ამ საფუტკრის და სხვა. ზოგი თაფლთან ერთად მუშტარს მუქთად აწოდებს დარიგებას, თუ რა სამკურნალო თვისება აქვს თაფლს და რა ავადმყოფობას კურნავს. რამდენად თაფლი ჭურჭელში ლამაზად, ანკარად იქნება, მით უფრო მეტ მუშტარს მიიზიდავს. ყველაზედ უკეთესი თაფლის ქება-დიდება (რეკლამა) თვით თაფლის ღირსება და მისი ბუნებრივობა არის. ვინც მუშტარს ყოველთვის ნამდვილ ბუნებრივ თაფლს აწოდებს, მუშტარი მას თვითონვე მოსძებნის.

ზოგი არა წმინდა თაფლის მაგიერ ისეთს რამეს ყიდის, რომელსაც თაფლთან საერთო არაფერი აქვს. ზოგი კი თაფლში სხვა იაფ ნივთიერებას ურევს და სიყალბით შეზავებულს ყიდის.

ყალბი თაფლის გამოცნობა. აიღეთ საეჭვო თაფლი, გახსენით წვიმის, თოვლის ან გაწმენდილ წყალში (აფთეკაში მოგცემენ) გაურიეთ შიგ ცოტაოდენი ღვინის 95%, სპირტი. ჩაასხით ძლიერ სუფთა გამჭვირვალე მინის ჭურჭელში და მაგრათ გაანძრიეთ. განძრევის შემდეგ აცალეთ თაფლს დაკრეფა, თუ თაფლმა დაკრეფის შემდეგაც თავისი პირველი სახე და ფერი არ დაკარგა, წყალსა და სპირტში არ აერია და არ აიმღვრა, სჩანს ბუნებრივი ყოფილა.

ბუნებრივი თაფლი ცხელ წყალში მთლად გაიხსნება,

წყალივით სითხეთ გადიქცევა, ყალბი კი სქელდება და ჭურჭლის ფსკერზე დაიკრებს იმ ყალბ ნივთიერებას, რაც შიგ ურევია, მაგალითად: ცარცი, კარტოფილის ფქვილი, ფხვნილი შაქარი და სხვა. ბუნებრივი თაფლი თავის გემოვნებას და სურნელებას იშვიათად კარგავს.

მაწყინარი, მათრობელა თაფლი (ბრუალა). უმეტესად დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილს და ზოგ წელიწადს შეხვდები მაწყინარ მათრობელა თაფლს. საკმარისია ადამიანმა რამოდენიმე კოვზი რომ შესჭამოს, მაშინვე იგრძნობს სიცხეს, გულის რევას და თავს ბრუ დაესხმის. დაბეჯითებით ჯერ არავინ იცის, თუ რისაგან ამზადებენ ფუტკრები ამ მაწყინარ თაფლს. ხალხისა და სწავლულების აზრითაც ხსენებულ თაფლს ფუტკრები უნდა აგროვებდნენ შქერისა და იელის ყვავილისაგან.

კავკასიელ მეფუტკრე ბ-ნ სოლოვიოვს, თუ ვერწმუნებით, (იხ. მისი წიგნი რუსულ ენაზე „კავკასიის მეფუტკრეობა“). იელი და შქერი აქ არაფერ შუაშია, ტყუილად ცილს სწამებენო. მისი დაკვირვებით თურმე, როგორც შქერის ისე იელის ყვავილი მშვენიერ შემრგო თაფლს იძლევა. ბ-ნი სოლოვიოვი ემხრობა იმ აზრს, ვითომც მაწყინარ თაფლს ფუტკრები აგროვებდნენ ხურმისა და ლელვის მწიფე ნაყოფის დახეთქილი ადგილიდან გამონაჟონი წვეწისაგან. ჩვენ არ შეგვიძლია შქერისა და იელის არც გამართლება და არც გამტყუნება, მაგრამ იმას კი დაბეჯითებით ვიტყვით, რომ ხურმა და ლელვი აქ არაფერ შუაშია. გურიაში თაფლის გამოღება (ხილვა) იციან ფერისცვალებამდე, ამ დროს არც ლელვი და არც ხურმა ჯერ არ არის შემოსული, მაწყინარი თაფლი კი იმ წლის ნაშენ ფიჭაში ხშირად შემხვედრია. საზოგადოთ, ვინც ფუტკარს გონიერულად უვლის, არ მგონი იმას ადამიანის სახმარად მაწყინარი თაფლი რომ დაურჩეს, რადგან ამ თაფლს, როგორც შენიშნულია, უმეტესად გაზაფხულზე აგროვებენ, მაშასადამე, ფუტკრებს ის ოჯახის საჭიროებაზე დაეხარჯებათ.

ძლიერ ბევრს სწამს, ვითომც მაწყინარი თაფლით „დათ-
რობა“ ჭაობის დამბალ ციების (მაღარიის) წამალიც იყოს.

მ თ ა-ბ ა რ ი ბ ა.

ფუტკრების მთა-ბარობა ზოგისთვის შეიძლება ახალი გა-
გონებაც იყოს; ჩვენში ამთაბარებენ შინაურ საქონელს, ფუტ-
კრების მთაბარობა კი, ახალი ხილია. სხვაგან, სადაც ფუტ-
კრის ძალას კარგად აფასებენ, ყოველი ღონისძიებით ცდი-
ლობენ ფუტკარი არ მოაცდინონ და ბუნების სიუხვით ბარ-
შიაც ასარგებლონ და მთაშიაც. ფუტკრების მთაბარობაც სწო-
რეთ რომ საქონლის მთაბარობას გავს—ბარად ღალიანობის
გათავების შემდეგ, მთაში იწყება მშვენიერი ღალიანობა და
მეფუტკრესაც ფუტკრები ეხლა მთაში მიყავს. ფუტკრების
მთა-ბარობა „არ ახალია, ძველია“. ძველ დროში ეგვიპტე-
ლებს, როცა ღალა ერთ ადგილას შეწყდებოდა, სკები ტივით,
მდინარენილოსზე, ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადა-
ყავდათ. ჩვენთვის მთა-ბარობას დიდი მნიშვნელობა აქვს და
მას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვებყრათ, ვერ
ნახავთ ჩვენი ქვეყნის ისეთ კუთხეს, რომ ის სამთა-ბაროთ შე-
ხამებული არ იყოს. მომთა-ბარე მეფუტკრის შემოსავალი უფ-
რო უეჭველია, გამოერევა ისეთი წელიწადი, თუ მას ბარის
ღალამ იმედი გაუცრუა, სამაგიეროთ მთა მაინც დააჯილდო-
ებს და თუ ორივემ ხელი შეუწყო, ხომ შემოსავალსაც ორ-
ჯერ მეტს მიიღებს. უკიდურეს, იშვიათ მწირე ღალიანობის
წელიწადს ფუტკარი გასაკვებად მაინც არ დაურჩება.

მომთა-ბარე მეფუტკრეს წინაღვე უნდა ჰქონდეს გამოკე-
ლეული და დანიშნული ადგილი, წინაღვე უნდა იცოდეს—
როდის უნდა სკებს გადატანა (ღალიანობის გაჩენის მიხედვით),
და სად უნდა დადგმა. სამთაბარო მზადებას მეფუტკრე საკუჭ-
ნაოს აცლის შემდეგ შეუდგება: ბუდეს ჩხრეკს, რაც ბუდეში
გადაბეჭდილი სარაჭებია ციბრუტაზე ცლის, რაც ახალ ჩას-

ხმული თაფლია ბარტყების დაუზიანებლად, თუ დაცლა შეიძლება, იმასაც კლის, რამდენადაც მოსახერხებელია ბუდეს თაფლსაც ამორებს, ამით ზედმეტ თაფლის მზამზარეულ ჭურჭელს ქმნის და სკას გადასატანადაც ამსუბუქებს. ეს კი კარგია, სხვათა შორის იმითაც, რომ გზაში ფიჭების ჩამომზღვლევის შიშიც ნაკლები იქნება.

სამთა-ბაროთ სკების გადატანის უმთავრესი პირობები იგივეა, რაც ჩვენ მოხსენებული გვაქვს (იხ. გვ. 105). აქ მხოლოდ განსხვავებულ პირობებს მივაქცევთ ყურადღებას. წასაყვანი სკები აუცილებლად დღისით უნდა გამზადდეს—ღამით კი ადგილიდან დაიძრას. ზამთარში ფუტკრის გადაყვანა ისე საფრთხილო და რთული არ არის, როგორც ეხლა. ეხლა ფიჭა ძიმევა, ბარტყებით სავსეა, სიცხის მიზებით რბილია, მაშასადამე ადვილი ჩამოსაფარდნია. ისედაც სიცხეში, დაკეტულ სკაში, ფუტკრები მეტ სიცხის ბუდს აყენებენ და მათთვის აუცილებელია საკმაო ჰაერი. ამების მიხედვით, ჩარჩოები ისე უნდა გამაგრდეს, რომ ადგილიდან არც ერთი მხრით გასაქანი არ ჰქონდეს და სკაში ბევრი ჰაერის დენა იყოს. ჩარჩოების გასამაგრებლად ჩარჩოების ჩამოსადებ ნარიმანდზე, აქედენ კბილებიან თუნუქის ნაჭერს ისეთს, როგორც სურ. 80-ზე ხედავთ. ეს თუნუქის ნაჭერი ისეა დაკბილული, რომ თითველ ამოჭრილში ზომამზე ჩაიდგმის ჩარჩო. ამით ჩარჩოები ერთი მეო-




სურ. 80.

ჩარჩოების ჩამოსადები თუნუქის კბილებიანი ნაჭერი.

რეზედაც წესიერად იქნება დაშორებული და კბილები არც ერთი ერთმანეთისაკენ მიწევის ნებას მისცემს. ჩარჩოებს ქვეშიდანაც ერთ ადგილას, შუაზე, არდიგარდმო, სკის კედლებში არკობენ იმგვარ კუთხედათ მოხრილ მომსხვილო მავთულს, როგორც სურათ 81-ზე ხედავთ. რასაც ზეით კბილებიანი თუნუქის ნაჭერი შვრება, იმის მაგიერობას ქვეით, ეს დაკლაკნილი მავ-

თული ეწევა. ამის მაგიერობა შეიძლება გასწიოს ზედა თუნუქის ნაჭერსავით დაკბილულმა ხის თამასამ. თამასა უნდა დაიკ-




სურ. 81.

ჩარჩოების ქვეშიდან გასამაგრებელი დაკლაკნილი მავთული.

ბილოს ჩარჩოს ქვედა თამასის ზომაზე, ქვეშიდან ჩარჩოებს შემოედგას ისე, რომ თითოეულ ამოკბილულში თითოეული ჩარჩოს თამასა ხვდებოდეს. ერთი სიტყვით, აქ სავალდებულოა ჩარჩო, როგორც ზეით, ისე ქვეით ისე გამაგრდეს, რომ სკაში წესიერად იდგეს და მგზავრობის დროს ერთმანეთს არ ეხახუნებოდეს, ეს კი თითოეულ გამოცდილ მეფუტკრეს ისე შეუძლია გააკეთოს, როგორც ეხერხება.

სკის ფსკერიც მოძრავათ, გამოსაძრობი ლურსმით (ან „ვინტის“ მოჭერით) კედელზე უნდა მიმაგრდეს. სკაში რომ მეტი ჰაერი დარჩეს, ამისათვის სკას ჩვეულებრივ სახურავის მაგიერ გზაში ზეიდან გადაედგას ხის ჩარჩოზე ვაკრული მავთულის ბადური. (იხ. სურ. 82). ბადური თავისი ჩარჩოთი, ჩარჩოებს ზემოდან სკაზე „ვინტებით“ უნდა გამაგრდეს და სკის წაღებამდე ზეიდან ტილო მიფაროს და დროებით სახურავიც გადაედგას. (მეტადრე, როცა გადასატანად ძლიერი ოჯახები გვყავს, ყოველთვის სჯობია ჯერ სკას მისივე ცარიელი საკუქნაო გადავადგათ, საკუქნაოზე კი, ჩარჩოში ვაკრული ტილო-გადაფარებული ბადური მივამაგროთ, ამით ფუტკრებს ბევრად მეტი ჰაერი და ჩარჩოს ზემოდან მოსასვენებელი მეტი არე ექნებათ. ესენი კი ორივე ამ სიტყვში მგზავრობის დროს აუცილებელია). საფრენისათვის უნდა გამზადდეს ბადურის პატარ-პატა-

რა ნაჭრები და თავის საჭირო მისაქედი ლურსმით თითოეულად სკის სასვენ უიკორზე გამზადილი დაიტოვოს. ერთი სიტ-



სურ. 82.

სამთაბარო სკა. (ჩარჩოებს ზეიდან მოსჩანს ზემოთ დასამაგრებელი ძა-
ღური, იგივე მოსჩანს ფსკერის მაგივრადაც. *)

ყვით, ასეთი თადარიგის შემდეგ, ღამით, როცა სკაში ფუტკარი დაბუდებულია, საფრენზე ჰაერის დენა რომ ოდნავადაც არ შეფერხდეს, ისე მივამაგრებთ ბაღურს, გადავაძრობთ სკას თავს და სკებს წინად მომზადილ ურემზე დავაწყობთ. (ურემის მომზადება და ზედ წესიერად დაწყობა იხ. 106 და 107 გვერდზე). სახურავის მაგიერ მიკეთებულ ბაღურზე ფუტკრები რომ უფრო მშვიდათ იყვნენ, თხელ ტილოს მივაფარებთ— ფუტკრები ბნელათ იქნებიან და გარეთ გამოსასვლელათ ბრძოლას არ დაიწყებენ. სკების ურემზე დაწყობის დროს, თუ ერთ წყებას ზეიდან მეორე წყებასაც ვადგამთ ისე გადავადგათ, რომ ქვედა სკას ჰაერი არ დაეხშოს.

ვინც უკვე წესიერ მთა-ბარობას მისდევს, სკების გადასაზიდათ განსაკუთრებით ეტლს ხმარობს, რომელიც ურემზე ნაკლებათ ჯაყჯაყობს და ზედაც მეტი სკა იდგმის. ერთი სკის

*) ფსკერის მაგივრად ბაღურის გაკეთება სავალდებულო არ არის.

წყებაც მეორეზე პირდაპირ არ ედგმის, არამედ პირველ სკების წყებას ზემოდან დატანებულ ფიცრის იატაკზე.



სურ. 83.

მომთაბარე მეფუტკრის მოგზაურობა.

გზაში სიფრთხილისათვის საჭიროა მზათ გვექონდეს: პირბადე, საკომლე, წყალი, ჭურჭუტანების დასაგლესი მოხვლილი მიწა და სხვა. მოგზაურობა უნდა სიგრილით, ფრთხილად. თავის ადგილზე მიტანის შემდეგ, სკები წესიერად უნდა დაიდგას და ყველას სჯობია, თუ საფრენს სალამოს გაუღებთ, ფუტკრების დაწყნარების შემდეგ. მეორე დღეს თითოეული სკა უნდა ვნახოთ, გზაში, თუ რამე ზიანი მოსვლია გავასწოროთ და გამართული საკუქნაო, როგორც ვიცით, გადავადგათ. ღალის გათავების შემდეგ, საკუქნაო მოშორებული სკები იმ გვარადვე მოწყობილი, როგორც წავიღეთ ისევ საფუტკრეში უნდა დავაბრუნოთ და თითოეული სკა ისევ თავის ძველ ადგილას დავდგათ.

იქნებ ვინმეს ან ისე ან სამთა-ბაროთ შეხვდეს სკების რკინის-გზით გაგზავნა. ვაგონში სკები უნდა დაიწყოს არა ისე, როგორც ურემზე, არამედ წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, ვაგონში სკები (დად.-ბლ-ის) ისე უნდა დაიწყოს, რომ რა მხრითაც მატარებელი მიდის, სკების საფრენი (ან უკანა მხარე) იმ მხრით უცქეროდეს. ვაგონის კარი ორივე ღია უნდა იყოს და შიგ გამკრავი ქარი ქროდეს. ფუტკრიანი სკების გადატანა რკინის გზაზე სხვა საქონელთან შედარებით იაფია (შელავათიანი ფასით), ერთი ფუთის ერთი ვერსის მანძილზე გადატანა $\frac{1}{25}$ კაბ. ღირს. (ე. ი. ერთი ფუთის გადატანა 25 ვერსზე ერთი კაპეიკი). ვისაც მთელი ვაგონი სჭირია, ის თავის ფუტკრებს აუცილებლად თან უნდა ეახლოს, მგზავრობის ფასს არას გადაახდევინებენ. ვინც ფუტკრიან სკას აგზავნის, გარდა მისამართისა სკებს უნდა დააწეროს (გარკვეული, მსხვილი ხელით): „**ცოცხალი ფუტკრები, ფრთხილად, ზემოდან და აწყვეთ, მზეში ნუ დასდგამთ** და სხვა.

შემოდგომამდე სკების ხილვა.

VI.

საზამთრო მზადება. წინდახედული მეფუტკრე, რაკი ხედავს, რომ აწი ღალის იმედი აღარ არის, სარჩოს ფუტკრები, თუ რამეს აკლებენ, თორემ არაფერს სძენენ, ოჯახების საზამთრო მოწესრიგებასაც შეუდგება... ამისათვის ის გულდადებით ჩხრეკს ყველა ოჯახს და თითოეულს სიჭიროებისა და გვარად აწესრიგებს. ეხლა მეფუტკრეს სწორედ იგივე კითხვები აქვს გადასატრეული, რაც გაზაფხულის პარველი ხილვის დროს, მხოლოდ ეხლანდელი და გაზაფხულის ერთი და იგივე საკითხი ოჯახების ყოფნა-არყოფნის შესახებ უფრო რთულია; გაზაფხულზე ფუტკრებს სითბო და ღალა წინ უდევს, ზოგჯერ მეფუტკრის მიუშველებლადაც არ გაქრება. მაგ. დღეს, თუ მშიერია, ხვალ ღალის წყალობით მაძლარია, დღეს უძლოურია—

რამდენიმე დღის შემდეგ ძლიერია, დღეს უდებოა, თუ კვერცხი ან ჭია ყავს დედას გაიჩენს. ერთი სიტყვით გაზაფხული ყველაფრისთვის სიცოცხლისა და საშრომლად აღდგინების ხანაა. ზამთარი კი ტყვეობაა. მეფუტკრემაც თავისი ფუტკარი ზამთრის განმავლობაში ცხრა კლიტულ ციხეში უნდა წარმოიდგინოს და ტყვეობის გადასატანი ნუზლ-სურსათი და სხვა საჭირო მოუშალოს. მან კარგად უნდა წარმოიდგინოს, თუ რომელი ტყვე ოჯახი გაუძღვებს სუსხიან ზამთრის ტყვეობას. ტყვეობის გადატანა შეუძლია: ძლიერს, დედიანს, სარჩოიანს და კარგად დაბინავებულ ოჯახს. ამისათვის ეხლანდელი, შემოდგომის ხილვით ის ინიშნავს: 1) რომელია უდებოა, 2) რომელია შესაერთებელი და რომელს სჭირია სარჩოს მიმატება.

1) უდებოა ოჯახის მიშველება ეხლა ძნელია, როგორც ვიცით, ეხლა დედის გამოჩეკა და მისი განაყოფიერება აღარ მოესწრება, თუ გვყავს განაყოფიერებული სათადარიგო დედა უნდა ვეცადოთ და დიდის სიფრთხილით მივცეთ, უნდა გვახსოვდეს ამ დროს ხალისით არ ღებულობენ. დედის მიცემა მაშინ უფრო საჭიროა, თუ სკა ძლიერია, თუ უძლურია, მაშინ კი ყველას სჯობია მისებრ უძლურს მაგრამ დედიანს შეუერთოთ.

2) ესევე ითქმის უძლური სკების შესახებაც, ეხლა მათი მოლონიერება ადგილის შეცვლით, ფუტკრისა ან ჰარკუტების მიმატებით დაგვიანებულად ჩაითვლება, ამისათვის უმეტეს შემთხვევაში შეერთება სჯობს.

3) რაიცა შეეხება სარჩოს, ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვაქვს მოხსენებული, თუ რომელ ოჯახს რამდენი საზამთრო სარჩო ეჭირვება. ყოველ შემთხვევაში ეხლა ხელოვნურად სიფრთხილით კვება მოესწრება და ჩვენც უნდა ვეცადოთ ოჯახი არამც და არამც მშვიერი არ დავტოვოთ. სარჩო-საკვების მიცემა ისე უნდა, როგორც გაზაფხულზე.

გარდა ამ სამის მთავარი კითხვისა ყურადღებას ვაქცევთ ბუდის გაახლებასაც: გვახსოვს ისიც, რომ საზამთროთ ფუტკ-

რებს ახალ ერთი წლის ფიქას ძველი ურჩევნიათ, მაგრამ მთლად ძველს, მძიმეს, უჯრა დაპატარავებულებს მთლად ვაშორებთ და სამაგიეროთ მეორე ძლიერი სკიდან ვაძლევთ—ერთი მეორეში ვათანასწორებთ.

ზამთრის მოლოდინი და სკების საზამთროთ გამზადება.

ზამთარი ფუტკრებისათვის უსიცოცხლობისა და უმოქმედობის დროა, ყველაზე ცუდი და აუტანელი. ბევრი იმასაც კი ფიქრობს, ვითომც ზამთრის განმავლობაში ფუტკრებს ისე ეძინოთ, როგორც ზოგიერთ მათ მონათესავე მწერს. მაგრამ ეს ასე არ არის, ფუტკარს მხოლოდ დაკარგული აქვს ჩვეულებრივი მხნეობა-მამაცობა, დაბაჩავებულია და ნახევრად ცოცხალ-მკვდარი, თავის დაცვის უნარსაც კი მოკლებულია. ფუტკრის ასეთი ბეჩავი მდგომარეობა კარგად იცის ზოგიერთმა ბარბაროსმა ადამიანმა და ფუტკარზე ეხლა ნადირობს—მის ოჯახს თაფლ-სანთლის გულისთვის ეხლა ანადგურებს. წრუწუნა, წვრილი „ბიგა“ თავიდან ფუტკარს ეხლა იბრძვის და სანთლის მოყვარული არამზადა ფუტკრებს ჩვეულებრივ ზამთრის მყუდროებას ურღვევს.

საზამთრო მზადებას თვით ფუტკრები ღალის გათავებისა და პირველი საგრძნობელი აცივების შემდეგ იწყებენ—ბუდის შუა გულისაკენ იგუნდებიან და ერთმანეთს უფრო ეკვრიან. როცა ექვს გრადუსზე სითბო დაიწვეს (იხ. 69 გვერ.) მაშინ კი ბუდის შუა გულში, ცარიელ მშრალ ფიქაზე, დედის გარეშემო, უფრო მჭიდროთ იგუნდებიან და თითქმის გაუნძრევლათ რჩებიან. ეხლანდელი მათი მიზანია დედიანებ როგორმე მშვიდობით გაიზამთრონ და გაზაფხულზე შრომა და ოჯახის აღდგინება შესძლონ. სიცოცხლის შესარჩენად საზრდოს გარდა მათ სჭირია ჰაერი და სითბო, შეგუნდებული კი იცავენ გუნდის 10⁰ (რომ.) აუცილებელ საჭირო სითბოს. გუნდის გარეშე სითბოს დაცვა, რაკი ეხლა მათ ბარტყები არა ყავთ,

არც საჭიროა და სკის საერთო სიტბოს დაცვას არც ცდილობენ და არც შეუძლიათ. ამ დროინდელი სკის სიტბო, სკის გარეთა სიტბოზეა დამოკიდებული, სკაში, რადგანაც მსუნთქავი არსებანი დახურულ შენობაში არიან, სიტბო მხოლოდ სამი გრადუსით მეტია, ვიდრე გარეთ. სიცივის მიზეზით, **გაუჭირვებლად** ფუტკრები გუნდს არ შლიან, ერთი მეორეს არ შორდებიან, არ იქსაქსებიან, რისთვისაც, გუნდის მოშლამდე, შედარებით ძლიერ ნაკლებს სჭამენ. სწორედ იმდენს, რომ სიმშლით არ დაიხოცონ და საჭმლის მეოხებით, საჭმლისაგან გამთბრებმა, გუნდის საჭირო სიტბო დაიცონ.

რამდენადაც სიცივე მკაცრი და სუსხიანია, იმდენად ფუტკრები გუნდში ერთი-მეორეს ეკვრის-ეხუტება. ამ დროს ისინი ერთი-მეორეზე ისე გადაებმის, როგორც სახურავზე კრამიტია— ქვედა ფუტკრის თავი ზედა ფუტკრის მუცელს ქვეშაა მოქცეული, ერთი მეორეს ფარავს, ერთი მეორეს ათბობს. ის ფუტკრები, რომლებიც სარჩოსთან ახლოს არიან, სარჩოს მიაწოდებენ ახლობელ მეზობლებს და ამრიგად, როგორც თამარ დედოფლის დროინდელი ქრისტიანები ტაძრის ასაგებ ქვებს რიგზე გამწკრივებულები ერთი მეორეს გადასცემდნენ, ისე ფუტკრებიც საჭმელს ერთი მეორეს აწვდის. როცა გუნდის გარეთა მყოფი ფუტკარი სიცივეს იგრძნობს, გასათბობათ გუნდში შეძვრება, სამაგიეროთ მის ადგილს გუნდის შუა გულიდან გამოსული დობილი იჭერს. თუ სიცივემ მეტის-მეტად მოუჭირა, მაშინ ფუტკრები სხეულის შესახურებლად და მით მეტი სიტბოს დასაცველად, მეტს სჭამენ, შეხურდებიან; წყურვილის მოსაწყვეტად თაფლს რაც სინესტე აქვს, სულ გამოსუტვენ, ასე რომ უჯრაში რჩება მარტო მაგარი ხვირიში, ჩაშაქრული თაფლი; კუჭის გასაწმენდათ გარეთ ვერ გამოდიან, უჩნდებათ ფალარათი (ჩიჩრახი), სვრიან სკას, ფიჭას, ერთიერთმანეთს და თუ ასეთმა მდგომარეობამ დიდხანს გასტანა, სკას გაჭრობაც მოელის.

8—9⁰ სიტბოში ფუტკარს გარეთ გამოსვლა შეუძლია და

მისი მოთხოვნილება უჩნდება, თუ გაახერხა ხომ კარგი და, თუ სკა საზამთროთ განსაკუთრებულ ბინაშია და დაკეტილია, შეხურებული ფუტკრები სკაში მოუსვენარ ფუსფუს იწყებენ, შფოთავენ და თუ მეფუტკრე არ მიეშველა, იმავე მდგომარეობაში ვარდებიან, როგორც სასტიკი ყინვის დროს. მიშველება კი შეიძლება სკის გაგრილებით, ბინაში ცივი, გარეთა ჰაერის შეშვებით. ჰაერის აგრილებასთან ერთად, ფუტკრები შეიგუნდებიან, ცხელ სკაში უეცარი ცივი ჰაერის შეშვებას სკაში სინესტეს გაჩენაც მოყვება, რომლითაც მოწყურებული ფუტკრები ისე ისარგებლებენ, როგორც წყლით. ყოველივე ამით მტკიცდება, რომ ფუტკრებს ზამთარში სიცივის ისე არ ეშინია, როგორც დახშული სითბოსი. ყველაზე მეტად საშიშარია ამინდის უკიდურესი ცვალებადობა-შეპრეკილობა.

გამოცდილება ამტკიცებს, რომ თავის ნებაზე მიშვებული ფუტკარი ხის ფულუროში თავისებურად დაბინავებული 30⁰ სიცივისაღ მშვენიერად უძლებს. მაშასადამე, ჩვენში, საცა ყინვა 15⁰ არ აღემატება, ბევრად აჯობებს სკები გასაზამთრებლად დავტოვოთ თავის გაზაფხულის ბინაზე, რადგანაც მოულოდნელი სიცივისაგან მას სკის თფილად მორთვა დაიფარავს, სითბოში კი შეეძლებათ კუჭის გასაწმენდათ გარეთ გამოვიდნენ. სადაც კი ამაზე სასტიკი ყინვები იცის (და იგიც ხანგრძლივით), მხოლოდ იქ საჭირო იქნება სკების განსაკუთრებულ საზამთრო ბინაში შეტანა ან საფუტკრეშივე უფრო თფილად მოწყობა.

ყველა ეს მისთვის აღენიშნეთ, რომ გვეთქვა—ფუტკრები ზამთარში, ამ მათთვის ყოვლად საშიშარ დროს, მეფუტკრისაგან ითხოვს შესაფერ მზრუნველობას. მეფუტკრეს სკები საზამთროდ ისე დაბინავებული უნდა ყავდეს, რომ, რაც უნდა უკმაკური ზამთარი დარჩეს, ფუტკრებს არაფერი აკლდეს და წესიერად გაიზამთრონ. წესიერად გაზამთრებული, გამოკვებული ფუტკარი გაზაფხულს მიეგებება ძლიერი, (ზამთრის გან-

მავლობაში ბევრი არ დაიხოცება) საღი, მხნე, დაუჩაგრავი ახალ-თაობის აღსაზრდელად—საშრომლად მოწადინებული.

საზამთროდ სკების მომზადება. ოჯახის ბედნიერად გაზამთრების პირობებია: 1) საკმაო ახალგაზრდა ფუტკრები, 2) საყოფი საღი საზრდო, 3) ბინის ჰიგიენურად მოწყობა და 4) სრული მყუდროება.

I. რამდენადაც ზამთარში სკაში შრომისაგან გაულახავი, შემოდგომაზე გამოჩეკილი ფუტკარი იქნება, იმდენად ბუნებრივი სიკვდილით ნაკლები დაიხოცება, მაშასადამე, იმდენად მეტი გაიზამთრებს და ადრე გაზაფხულზე მეტს ნაყოფიერსა და ხანგრძლივ შრომას შეიძლებს. მეტი ახალგაზრდა ფუტკრები კი იმ ოჯახს ეყოლება, რომელსაც ახალგაზრდა დედა ყავს, რადგანაც ასეთი დედა კვერცხის დებას ჩაზამთრებამდე განაგრძობს. ამრიგად, მოგებული ის მეფუტკრე იქნება, ვინც წინაღ იზრუნა და ოჯახებს მხოლოდ 1—2 წლის საუკეთესო დედა დაუტოვა.

II. შემოდგომაზე, საზამთრო საზრდოს დატოვებისა და მის განსაზღვრის დროს, მეფუტკრე მარტო იმას კი არ უნდა ანგარიშობდეს, თუ ეხლა რომ სკაში ფუტკრებს ზედავს იმათ გასაზამთრებლად რამდენი სარჩო მოუნდებათ, არამედ ის უნდა გულისხმობდეს გაზაფხულზე ღალის გაჩენამდე ბარტყების გაჩენას, მათ ამოზრდას, ფუტკრების გამრავლებას და საკვებიც ამის შესადარად საყოფი დაუტოვოს. ესენი რომ საანგარიშო არ იყოს, მარტო ზამთრის საზრდოთ, რაც უნდა ცუდი ზამთარი დარჩეს, ფუტკრებს ეყოფათ 7—12 გირ. თაფლი. ხალხური თქმისა არ იყოს: „ფრთხილთა დედები არ სტირიანო“, მეფუტკრეც სიფრთხილისათვის ყოველთვის უნდა მოელოდეს ყოველად ცუდ ზამთარს და გაზაფხულზე ღალის გვიან გაჩენას და რომ გაზაფხულზე ხელოვნური კვება თავიდან აიშოროს, საზრდოც საკმაო უნდა დაუტოვოს. გამოცდილებით შეზომილია, რომ ამგვარი წინდახედული ანგარიშით, საზამთრო საზრდოთ ძლიერ ოჯახს მოუნდება 40, საშუალოს 30, სუსტს კი



20—25 გირ. თავლი. ოჯახების სიძლიერ-სისუსტის გამოსაცნობ მავალითისთვის მოვიყვანოთ ახალ-გაზრდა დედიანი ოჯახი: წარმოვიდგინოთ, რომ ასეთ ოჯახს ენკენისთვეში 5—6 ჩარჩო ჭია-პარკუჭები ყავს, მოლაღვე ფუტკარი კი შედარებით ნაკლებია. ამავე დროს მეორე ოჯახს, ძველ დედიანს, მოლაღვე ფუტკარი ბევრი ყავს, მაგრამ ჭია-პარკუჭები კი ნაკლებად — ჩარჩოები სარაკით სავსეა. ამ ორ ოჯახში ზოგს პირველი ოჯახი სუსტად მოეჩვენება, მეორე კი ძლიერად, მაგრამ ეს ასე არ არის. პირველ სკას საზამთროთ ბევრად მეტი და შესაფერი ასაკის ფუტკარი ეყოლება და სარჩოს მიმატებით ბევრად უკეთესადაც გაიზამთრებს, ვიდრე მეორე. მეორე ოჯახს კი, რაკი ბარტყები ნაკლებად ყავს, ძველი მოლაღვე შრომისაგან დაქანცული ფუტკარი ბევრი დაეხოცება ამისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სარჩო აქვს, ის გაზაფხულის მისაგებებლად მაინც უძლური იქნება. მოხსენებულ მავალითით მკითხველმა ის დასკვნა უნდა გამოიყვანოს, რომ სარჩოს დატოვების დროს ოჯახების სიძლიერ-სისუსტის გამოსაცნობათ, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ბარტყებს და არა მართლ მოლაღვე ფუტკარებს. (ამის წინასწარ გათვალისწინებით ის მეფუტკრე, რომელიც ატყობს, რომ საზამთროთ ოჯახს ნაკლები ახალგაზრდა ფუტკარი ეყოლება, ფუტკარებს ხელოვნურად კვებას და მით მეტი ბარტყების გაჩენას ხელს უწყობს. ვისაც ეს დასჭირდება, იქცევა ისე, როგორც მოხსენებული გვაქვს 194 გვერდზე. კვება უნდა დაიწყოს ამდენით წინ, რომ საზამთროთ დაბინავებამდე ახალგაზრდა ფუტკარებმა გამოსვლა, წამოჩიტება და გამომღერა მოასწრონ).

სარჩოს დატოვების დროს მეფუტკრეს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, თუ როგორ იგუნდებს ზამთარში ფუტკარი და როგორ ხარჯავს საკმელს. ჩვენ ვიცით (იხ. გვერ. 133), რომ ზამთრის განსვენების დროს ფუტკარები იგუნდებს ბუდის შუაზე, საფრენტან ახლოს, ცარიელ ფიჭაზე, აქედან ნება-ნება სიგრძეზე მიყვება, საზრდოს ისე პირწმინდათ მისდევს, რო-


გორც აბრეშუმის ქია თუთის ფოთოლს. უკეთუ ზამთარი მოკლეა, შეიძლება საზრდოს ერთი წყებაც ეყოს და მეორე წყებაზე გუნდს საზრდოს გულისთვის გადასვლა არ დასჭირდეს. მაგრამ ამის დანდობა არ შეიძლება, ამისათვის საზრდო ფუტკრების გუნდს ორივე მხრით უნდა ჰქონდეს შემოწყობილი; სიცივის მიზეზით ახალ საზრდოზე გადასვლა არ უჭირდეს და რომელი მხრითაც გადავა დათბობამდე, საყოფი უნდა დაუჩრჩეს. თუ საზრდო ასე მოხერხებულად არ დაუჩრჩა მკაცრი სიცივის დროს, მოსალოდნელია ფუტკრები სიმშობლივით იმ დროს ამოწყდეს, როცა მათ სკაში საზრდო აქვთ, მაგრამ მათთვის მიუწოდებელ ადგილს არის.

თუ როგორ უნდა საზამთრო ბუდის განსაზღვრა და ჩარჩოების წესიერი ჩალაგება მოგვყავს სამი მაგალითი თვალსაჩინო სურათებით.

სურ. 84.



2 უძლური სკა, 3 საშუალო, 3 ძლიერი. უძლურს 4 ჩარჩო აქვს დატოვებული, საშუალოს 6, ძლიერს კი 8. (ორ-ორი აქეთ - იქით გადასამკედლავეი ფიცარია). თუ რომელ ოჯახს რამდენი ჩარჩო აქვს დატოვებული და რომელი ჩარჩო რამდენ თაფლიანი ბუდის




საზამთრო სარჩოთ დატოვებული აქვს 22 გირ. თაფლი.

რა ადგილას არის ჩადგმული, ამას გვიჩვენებს თითოეული ჩარჩოზე არაბული ციფრით წარწერა, მაგალითად: უძლურ ოჯახს 2-ს შუაზე აქვს ერთი ჩარჩო 4 გირ. თაფლით, მეორე—5 აქეთ-იქედან შემოწყობილია 8 და 7 გირ. ამრიგად, სრულიად


როგორც ხედავთ, ბუდის შედგენის დროს საჭირო ყოფი-
ლა ვიცოდეთ, რომელი ჩარჩო რამდენ თაფლიანი ბუდის რა
ადგილას შევახვედროთ, ამისთვის დიდათ სასურველია, თუ
მეფუტკრე თაფლიან ჩარჩოებს ერთი თვალის გადავლებით
შეზომავს და განსაზღვრავს, თუ რომელში რამდენი თაფლია,
ცხადია აწონაც შეიძლება, მაგრამ უხერხულია, ამისათვის,
მეფუტკრის შემდეგში სახელმძღვანელო სამაგალითოდ მოგვ-
ყავს თვალსაჩინო სურათები: სურ. 85.




1 = 2—3 გირ. თაფ.



2 = 3—4 გარ.




3 = 4—5 გირ.



4 = 6 გირ.



5 = 7 გირ.



6 = 8 გირ.

(თაფლი ჩარჩოების თავში თეთრად მოსჩანს).

როცა ამ რიგად ჩარჩოების შეზომვა შეგვიძლია ეხლა საჭიროა ვიცოდეთ, თუ რომელი რა ადგილას შევახვედროთ: შუა ბუდეში უნდა ჩავდგათ ისეთი ჩარჩო რომელზედაც 2—3 გირ. თავლია, დანარჩენი ბარტყებიანი ან ცარიელი (ისეთი როგორც სურათ 85 ა-ზეა ნაჩვენები) ეს ჩარჩო ისე უნდა ჩაუდგათ, რომ მეტ ბარტყიანი მხარე საფრენისაკენ დაურჩეს. ამ ჩარჩოს იქით აქედან უნდა მივადგათ 4—5 გირ. თავლიანი ჩარჩოები, დანარჩენი კი ამათ გვერდებზე თანდათან მეტ თავლიანები. ამ რიგად შევადგენთ საზამთრო ბუდეს და თავლსაც ოჯახის საყოფს მივცემთ.

სულ ადვილი მოსალოდნელია, რომელიმე სკას ზედმეტი თავლი აქვს ან ბუდე თითქმის სარაჭით სავსე აქვს, მეორეს კი ნახევრად სავსე ან სულ აკლია; ბუდის შედგენის დროს ასეთ ოჯახების ბარაქას ერთი მეორეს უნაწილებთ — ჩარჩოებს უცვლით. ზოგი ოჯახის ბუდე ისეთივე შეიძლება შეგვხვდეს, რომ მას ჩვენგან არაფერიც არ დასჭირდეს. როცა ვატყობთ, რომ ბუდის შუა ჩარჩოზე ნაკლები თავლია, მაგრამ იმავე დროს გვერდების ჩარჩო გადაბეჭდილია, მაშინ ძლიერ კარგია, კიდური სარაჭი გავხსნათ — თავგახსნილი სარაჭიდან თავლს ფუტკრები ბუდის შუაგულ ცარიელ უჯრებში გადმოზიდვენ. კიდურ ჩარჩოების გადაბეჭდილი თავლი, როგორც ზაფხულის შენაგროვები ყოველთვის უკეთესია, ამით ფუტკრებს თავლი დაურჩებათ მათთვის უფრო მოხერხებულ ადგილს და ეს თავლი საზამთრო საზრდოთ ბევრად უკეთესი იქნება.

როდის და როგორ გავამზადოთ სკები საზამთროთ.

ლალის გათავებისა და საგრძნობლად აცივებამდე თვით ფუტკრებიც შეუდგებიან საზამთრო თადარიგს: სარჩოს შუა ბუდეში გადმოზიდავენ, ქურჭუტანებს დინდგილით დაგლესენ და სხვა. რაკი მეფუტკრემ სკების საზამთროთ მოწყობის წინ სკები უნდა გასინჯოს, მათი ძალღონე შეზომოს, ჩარჩოები გადადგ-გადმოდგას, ამისათვის მან სკების საზამთრო მოწყობა არ უნდა დაავიანოს, იმ მოსაზრებით, რომ მეფუტკრის მიერ

მოწყობილის ფუტკრებმაც თავისებურად მოწესრიგება მოასწორონ. ერთი სიტყვით, ხილვის შემდეგ, როცა ვრწმუნდებით, რომ საერთოდ ოჯახებს ბარტყები მარტო 2—3 ჩარჩოს მეტზე აღარ ყავს, სკების საზამართოთ მოწყობის დროც არის. დროებით გადადგმული საკუქნაო უნდა ავაკალოთ *) და როგორც ჰუკვე ვიცით ოჯახების ძალ-ღონე ისე უნდა შეეზომოთ, თაფლიც მის შესადარად საკმაო მივცეთ და ჩარჩოებიც ისე თავ-თავის ადგილას გადავდგ-გადმოვდგათ. სიცივის დროს ფუტკრებს რომ საზრდოსთვის ჩარჩოიდან ჩარჩოზე გადასვლა მეტ სითბოში შეხვდეს (მეტი სითბო კი ჩარჩოს თავშია), ამისათვის უკანა კედლისაკენ, ჩარჩოებს ზემოდან ჯოხები უნდა დავაწყოთ და ზედ მერმედ თხელი ტილო მივაფაროთ, ჯოხების წყალობით ჩარჩოსა და ტილოს შუა ფუტკრებს დაურჩებათ საძრომი გზა, რომელიც ამ დროს და ამ ადგილას მათთვის აუცილებელია. ზოგი ამავე განძრახვით თაფლიან ფიქებს ჩარჩოს ზედა თამასის ქვეშ ფუტკრის საძრომ ადგილს ხვრეტს.

ასეთი აუცილებელი თადარიგის შემდეგ, მეფუტკრეს ყოველთვის უნდა ახსოვდეს და საზამართოთ სკის ფსკერი, ჩარჩოები და საზოგადოთ მთელი სკა სრულიად გაწმენდილ-გასუფთავებული უნდა დატოვოს.

ჰაერის საჭიროება. როგორც ყოველთვის, ეხლა მით უმეტეს, მეფუტკრეს მტკიცეთ უნდა ახსოვდეს, რომ ფუტკარი სულიერი არსებაა, და მისთვის აუცილებელია სუფთა საკმაო ჰაერი. ფუტკრის ამონასუნთქი მოწამლული ცხელი ჰაერი სკიდან გასავალ გზას ადვილად უნდა პოულობდეს, სამაგიეროთ სკაში ახალი, სალი ჰაერი შედიოდეს; ამრიგად სკაში მუდამ საკმაო სუფთა ჰაერის დენა შეუწყვეტლად უნდა სწარმოებდეს. თუ ეს ასე არ იქნა, ამონასუნთქი ჰაერი სკაში დადგება, სასუნთქად აუტანელი შეიქნება, ორთქლს გააჩენს, ორთქლი სინესტეს—სინესტე ბუდეს გააცივებს, თაფლს ააჩუ-

*) ფიქის შენახვა იხილე ქვემოთ.

ვებს, ჰეოსა და ფიჭას ობს გაუჩენს, ყოველივე ამის წინააღმდეგ ბრძოლა **დასუსტებულ** ფუტკარს არ შეუძლია—სინესტის მოსპობას და სკის ჩვეულებრივ სუფთად და საღად შენახვას ის ვერ შესძლებს. და ყველა ამას თუ რა დამლუბველი შედეგი მოყვება, ჩვენ უკვე ვიცით.

ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ და დაბრკოლება ფუტკრებს ავაშოროთ: საფრენი მუდამ ღია უნდა დაუტოვოთ და ზეიდან თუნუქის ნაჭერის მიქედით ისე დავიჭიროთ, შიგ ფუტკრის უფროს შეძრომა არ შეეძლოს. (თავი საფრენს ვერ გამოლრდნის და ფუტკრებს მყუდროებას ვერ დაურღვევს). სკაში რომ ჰაერს თავისუფალი სადინარი ადგილი დაურჩეს, ჩარჩოებს თხელი ტილო მივაფაროთ, ტილოზე კი ბალიში, მაგრამ ისეთი ნივთიერებით სუბუქათ გატენილი, რომელიც კარგი ჰაერის გამტარებია. ასეთია, მაგ. ხის მშრალი ხავსი და ძლიერ წმინდა ბურბუშელა (ხიწვიანი ხის). ბზე, თივა და სხვა ამგვარები არ ვარგა, თავს და მწერებს მიიზიდავს. სკას სახურავი მკიდროთ უნდა ედგმებოდეს, შიგ ვერაფერი ძვრებოდეს და არც წვიმა ჩადიოდეს. სკაში რომ ნოტიო არ დადგეს, ამისათვის სკა უკანა მხრიდან ნახევარი ვერშოკით აიწიოს—სინესტე საფრენიდან გადმოვა. სუსტ ოჯახს, რომელიც რამოდენიმე ჩარჩოს ფარავს, გადასამკვლავ ფიცარს და სკის კედელ შუა ბალიშები შემოეწყოს.

დაბინავებული სკის ყურის გდება. დაბინავებული სკა ზამთარში უნდა იყოს **სრულს მყუდროებაში**, მას არ უნდა აწუხებდეს არავითარი ხმაურობა. ნუ დაივიწყებთ, მყუდროების დარღვევა მათთვის ისეთია, როგორც საღი, მძინარე ადამიანის გულის ძილში გაღვიძება, ამას მოყვება შემფოთება, მეტი ჰაემა, გუნდიდან რამდენიმე ფუტკრის გამოშორება, დაზრობა, ფაღარათი და სხვა. ყურის-გდება უნდა თოვლმა არ გადააბრუნოს ან თოვლის აღნობისას სკას წყალი არ შემოადგეს.

შეიძლება შემთხვევით ვინმეს ზამთარში მშვიერი ოჯახი

დაურჩეს, მაშინ ზამთრის საკვებად ყველაზე უკეთესია მიეცეს დახერხილი წმინდა შაქრის კვებები, რომელიც ძლიერ კარგად ჩაბზუნებულ მშვიერ ოჯახს ბუდის შუა ჩარჩოზე, ტილოს ქვეშიდან უნდა დაედვას.

დაცლილი ფიჭის შენახვა.

დაცლილი ფიჭის შესანახად ყველაზე უკეთესია საკუქნაოს ყუთები. ერთ-ერთ საკუქნაოს ყუთს ქვეშიდან ფსკერის მაგივრად უნდა გაეკრას მავთულის წვრილ-თვალა ბადური და დაიდვას მომალლო ფეხებზე—აგურზე ან სხვა რამეზე, ისე კი, რომ ქვეშიდან შიგ ჰაერი თავისუფლათ შედიოდეს. ამ ყუთს გავავსებთ შესანახი ფიჭიანი ჩარჩოებით და ზეიდან მეორე საკუქნაოს გადავადვამთ, ამრიგად მთელი ოთახის სიმალლეზე ჩარჩოებით სავსე ყუთებს ერთი მეორეზე სწორათ გადავადვამთ. (ბუდის ჩარჩოები ორს საკუქნაოს ყუთში ჩაიდგმება). ზედა საკუქნაოს ყუთსაც თავის მაგიერ ბადურს გავაკრავთ, ამის შემდეგ ყუთებში თავი ვერ შეძვრება და შიგ გამკრავი ქარიც იჭიქინებს და ფიჭებს შესანახად მეტიც არ სჭირია. ზამთრობით ჩრჩილის შიშიც არ არის, მაგრამ გაზაფხულზე დათბობის შემდეგ, ჩრჩილი რომ არ გაუჩნდეს, კვირაში ერთხელ ყუთებს ქვეშიდან გოგირდს შეუბოლებთ. ერთი სიტყვით, ცარიელ ფიჭებს დიდი დაზოგვით მოექვეცით, დიდის რიდით შეინახეთ—გახსოვდეთ, რომ ეს საფუტკრის სიმდიდრეა.


ფიჭის სანთლად გადადნობა.

იმ დროს, როცა კაცობრიობას არ ჰქონდა მოგონილი სხვა-და-სხვა სიბნელის გასანათი საშუალება, მაშინ ცვილის სანთელს გასანათად პირველი საპატიო ადგილი ეჭირა. ქალაქისა და სტამბის მოგონებამდე უძვირფასესი სიგელ-გუჯრე-

ბიც ცვილის ფირფიტანაზე იწერებოდა, კლასიკური მწერლების უმეტესობა თავიანთ ლექსებს განსაკუთრებული ჯოხით („სტილით“) ასეთ ფირფიტანაზე სწერდნენ. წმინდა სანთელს ისეთი თვისება აქვს, რომ მას მარტო ცეცხლი მუსრავს და ჩრჩილი ანადგურებს, დანარჩენი კი ვერაფერი ვნებს და ალბათ ეგ იყო მიზეზი, რომ ძველი ეგვიპტელები თავიანთ საყვარელ მიცვალებულს სანთელში ახვევდნენ და „მუმიათ“ აკლდამაში ინახავდნენ. ცხადია სანთლის მუშია ძლიერ ძვირფასად ითვლებოდა და ამისათვის სანთელსაც დიდი ფასი ჰქონდა.

მართალია დღეს სანთელს თავისი პირველი მნიშვნელობა დაკარგული აქვს, მაგრამ რაკი უმთავრესად მართლმადიდებელი ეკლესია ტაძრის გასანათად და ხატის შესაწირავად ცვილის წმინდა სანთელს ხმარობს, ფასიც კარგი აქვს. თუმც მართალი რომ ვსთქვათ სამწუხაროთ, მას შემდეგ, რაც მართლმადიდებელ ეკლესიაში მართლ-მორწმუნეებს აუკრძალეს ხატის შესაწირად შინ ჩამოქნილი სანთელის მიტანა და ამისთვის გახსნეს სანთლის საკეთებელი ქარხნები, ამის შემდეგ სანთელიც გააყალბეს—სიიაფისთვის შიგ სხვა ნივთიერებაც აურიეს. მაგრამ მაინც ასეა თუ ისე, სანთელი მაინც ხალას ოქროთ ითვლება, მაინც საგრძნობელ ფასში იყიდება. ამისათვის ყველა მეფუტკრე უნდა ცდილობდეს ფიჭის ერთი ნამცეციც არ იზარალოს და ზედმეტი ფიჭა, თავის დროზე, სანამ ჩრჩილი ზიანს მიაყენებდეს, სანთლათ აქციოს. ამავე დროს ის უნდა ცდილობდეს სანთელი მიიღოს მეტი და კარგი ლირსების. ამ მიზნის მისაღწევად დღეს ყველა მეფუტკრე ხმარობს უბრალო მანქანას, რომელიც ცხოველი მზის სხივების მეოხებით აღნობს სანთელს, ამისთვისაც უწოდებიათ **მზით სანთლის სადნობი მანქანა**. ეს მანქანა სულ უბრალო შედგენილობის არის, მისი შინაურულად გაკეთება 2—4 მანეთის მეტი არ ჯდება და არც ძნელი გასაკეთებელია. როგორც სურათ 86-ზე ხედავთ, ის წარმოადგენს მჭიდროთ შეკრულ ხის უბრალო ყუთს, ყუთს თავზე ეხურება ჩარჩოში ჩასმული შუ-

შა, რომლის ქვემოდან ($1\frac{1}{2}$ ვერ. დაშორებული), ოდნავ დაქანებულ თხელი ფიცრის თაროზე დადებილია თეთრი თუნუ-



სურ. 86

მზით სანთლის სადნობი.

ქის ფურცელი. თუნუქის ფურცლის დაქანებული ბოლო ოდნავ მოხრილია და ზეიდან დადებული აქვს წვრილთვალა მეთულის ბადური. ფურცელი ბადურიანებ ყუთის მთელ სიგრძეს არ ფარავს, არამედ ყუთის სიგრძეზე ორიოდვე ვერშოკით მოკლეა. მორჩენილ ადგილზე ქვეშიდან ფურცელს შეუდგამენ თუნუქის ყუთს. როცა მზე საგრძნობლად აცხუნებს, ბადურზე დააწყობენ გადასადნობ ფიქის ნაჭრებს და შუშის თავს დახურავენ. შუშის მეოხებით მზის სხივები ფიქას მეტად დააცხუნებს და გაადნობს, სანთელი ბადურში გავა, თუნუქის ფურცელს ჩაყვება და თავს მოიყრის ყუთში. ყოველი ჯალა (მცუხი) ბადურზე დარჩება. მზის სხივი რომ მეტი გამოიწვიონ, ამისათვის ყუთს შუშის ზემოდან უკეთებენ თხელი ფიცრის სახურავს, რომელსაც შიგნიდან აკვრენ თეთრი თუნუქის ფურცელს. ამ სახურავს მანქანის მოქმედების დროს ცერათ აჩერებენ ისე, რომ მაზედ მოხვედრილი მზის სხივი შუშას მეტი სიციხოველით მიაღდგეს. ცხადია, მანქანას მზეს უპირდაპირებენ და შიგ ხანდახან ფიქას აბრუნებენ—ჯოხით ურევვენ. საღამოს ყუთში სანთელი გაცივდება და ოდნავ ძირის შეთბობით, ყუთიდან ადვილათ ამოიღება. ეს მანქანა მითია კარგი, რომ ის მუდამ მზათ არის—ყველა უბრალო, პაწაწა ფიქის ნაჭერი მაშინვე შეგვიძლია გადავადნობით. უმისოთ კი უნდა ვაგ-

დნება, გარდამიდან დიდ ქურჭელში კი ცხელი წყალი დგას, რომელიც პატარა ქურჭელს ირგვლივ უვლის. მანქანის ფსკერ ზ-ზე პატარა ქურჭლის ფსკერი დანდობილია თუნუქისავე ფეხებზე, ე-ზე. გადასადნობათ მომზადილი ფიჭები უნდა ჩაიყაროს ტომარში (გ), რომელიც თავის მოკვრის შემდეგ, ჩაიდება მანქანის პატარა შუა ქურჭელში. მიკეთებული ძაბრიდან (დ) ჩაისხმება (დიდში) მდულარე და გაივსება ზედა ონკანამდე (ბ), ტომარს ზეიდან დაეჭირება ხის მრგვალ ტარზე (ვ) მიმაგრებული თუჯის დახვრეტილი სატკეპნელი (ე) და დაეხურება თავი (ლ), რომელშიაც სატკეპნელის ტარია გაყრილი. ასე გამზადილი მანქანა უნდა დაიდგას აუცილებლად „პლიტაზე“, ქვეშიდან ცეცხლისა და გარეშემო მდულრის მეოხებით ფიჭა სანთლად გადნება და, როგორც წყალზე მსუბუქი, სანთლის გარაო ზეიდან მოექცევა, აღებენ ზედა ოკანს (ბ-ს) და იქიდან, ქვეშ მიკეთებულ სანთლის ქურჭელში, უშვებენ სანთელს. ხშირად სატკეპნს ტომარზე აჭირებენ. დაკლებული წყალის მაგიერ მდულარეს უმატებენ (ცივი წყალი ქვედა ონკანიდან (ა) გამოიღვრება). როცა ატყობენ, რომ სანთელი, რაც იყო გამოშორებულია, ტომარს იღებენ, ჯალისაგან ცლიან და შიგ ფიჭების მეორე წყებას ყრიან.

ტომარი თუ შინ ნაქსოვი იქნება ძლიერ კარგია; ერთი სიტყვით, ძლიერ მჭიდრო ნაქსოვი არ ვარგა. სანთელიც აუცილებლად სითბოში უნდა გაცივდეს. ზოგი სანთლის ქურჭელში წინეთ ცივ წყალს ასხამს, ეგ სანთელს ფერს და გამყოლობას უკარგავს, ამისათვის სანთელს ქურჭელში ცოტა ცხელი წყალი უნდა დახვდეს და მერმედაც ზეიდან ჩათბუნებული სითბოში გაცივდეს. საზოგადოთ, გადასადნობ ფიჭას თაფლი არ უნდა შეყვეს (ფერს დაუკარგავს), ამისათვის ყოველთვის სჯობია გადასადნობი ფიჭა ხარისხებათ დაიყოს, მოთბილო წყლით გაირეცხოს და მერმედ გადაიღოს. შინაურულად სანთლის გადადნობას ჩვენ აქ აღარ ავწერთ, რადგანაც ის ყველამ იცის. მაგრამ ყველას კარგად ახსოვდეს, რომ

მათ გადამდნარ სანთლის ჯალას კიდევ ბევრი სანთელი მიყვება და ამისთვის არის, რომ ამ ჯალას ვაჭრები ყიდულობენ, თორემ ისე ჯალა ოთახების ყვევილების სასუქის მეტად არაფერი მოსახმარია (ჯარა ექიმები წამლადაც ხმარობენ).

სანთლის გაწმენდა. ერთხელ გადამდნარი სანთელი საჭიროებს გაწმენდას—გადაცილვას. ჩაასხით პირ-ფართო ქვაბში სუფთა წყალი (ძლიერ კარგია, თუ წვიმის იქნება) იმდენი, რომ ქვაბის მესამედს ფარავდეს. ჩაყარეთ შიგ დატეხილი სანთელი და ძლიერ ნელ ცეცხლზე იყოს მანამდე, სანამ სანთელი სრულად არ დადნება. მერმედ ცეცხლი ოდნავ გაუნელეთ, ქვაბს თავი დახურეთ და ისე ცეცხლზე შემოდგმული დატოვეთ. ამრიგი მოპყრობით სანთელი ძლიერ ნელა გაცივდება, რაც ქუჭყი ახლავს ყველას ძირს დაიკრეთს. როცა სრულად გაცივდება სანთელი, ამოიღეთ და ძირი გაუფხიკეთ. თუ ერთმა გაწმენდამ ვერ დაგაკმაყოფილოს, მეორეთაც გაიქორეთ. (წმინდა სანთლის შემადგენელი ნაწილები იხ. გვ. 26, ყალბი სანთლის გამოცნობა იხ. გვ. 185).

ფუტკრების ავადმყოფობა.

VII.

სიმყაყე (სიდამბლე).

I.

ფუტკრებისა და მეფუტკრეობის ყველაზე საშიშარი სენი არის ფუტკრების ავადმყოფობა სიმყაყე. სიმყაყე ფუტკრებისათვის ისეთივე გადამდები და გამანადგურებელ-გამჩანაგებელი სენია, როგორც კაცობრიობისთვის არის: ხოლერა, შავი-ჭირი (ჟამი) ქლექი, საოფლე და სხვა. როგორც ჩამოთვლილ გადამდებ სენტან საჭიროა ადამიანის მიერ მათ წინააღმდეგ თავის ღროზე ზომების მიღება, ისევე ბრძოლა უნდა სიმყაყის წინააღმდეგაც, რადგანაც მისი აღმოფხვრა მხოლოდ ადამიანს შეუძლია, —თვით ფუტკარი კი მასთან საბრძოლველად უძლურია.

სიმყაყე შეუბრალებლად ერევა და მუსრს ავლებს ფუტკრების ახალ-თაობას, მხოლოდ ჭიებს (ფუმფულს) ამრიგად ის ფუტკრების გამრავლების საქმეს სათავეშივე სპობს. ეს სენი დიდიხანია ცნობილია და დღეს საკმაოდ გამოკვლეული და შესწავლილია. გონიერმა, ფუტკრების მოყვარულმა და მათგან სარგებლობის მომლოდინე მეფუტკრემ, ფუტკრებისა და თავისივე სასარგებლოდ, ვალდებულია იცოდეს:

- 1) რა არის და რას წარმოადგენს სიმყაყე,
 - 2) როგორ გამოიცნობა ის (მისი ნიშნები),
 - 3) მისი გაჩენის მიზეზი,
 - 4) მისი თავიდან აშორება
- და 5) მისი აქიზება.

რა არის სიმყაყე. სიმყაყე ფუტკრის სენია, ის ფუტკარს აჩანაგებს ჭიობის ხანაში, ე. ი. ჭიის გადაბეჭდვამდე. მაშასადამე, სენი ეყრება ჭიას თავ-ღია უჯრაში. სენის გაჩენის მიზეზათ აიხსნება სამყაყის თესლი—ბაცილები, რომელიც ჭიას შეყვება საკვებთან ერთად. ჭიის სხეულში შეპარული ბაცილა საოცარი სისწრაფით მრავლდება, რის მიზეზითაც ჭია იწამლება და კვდება. მკვდარი ჭია უჯრაში რჩება, იხრწნება-ირინდება. პირველ ხანებში მყაყ სითხეთ არის, მერმეთ ხმება და მაგრათ ეკვრის უჯრის დაბლა კედლებს. ჩვეულებისამებრ უჯრების გაწმენდა ფუტკრების ძალ-ღონეს აღამატება, მეტადრე პირველ ხანაში, რის მიზეზითაც ერთი ავადმყოფი ჭიის უჯრა, რომელშიაც სიმყაყის ბაცილები მილიონობით არის ავადმყოფობის გავრცელების კერად ხდება—მსწრაფლ გადამდებობას ხელს უწყობს.


როგორ გამოვიცნოთ სიმყაყე. ახლად გაჩენილი სიმყაყე ყველა ფიჭების ფხიზელი დათვალიერების შემდეგ გამოიცნობა. მაშასადამე, მისი შენიშვნა მხოლოდ ჩარჩოიან სკაში შეგვიძლია, ყველა ბარტყებიანი ფიჭის დათვალიერების შემდეგ, უჩარჩო სკაში კი შეუძლებელია. როგორც მოგეხსენებათ, სალ-სალამათი ჭია უჯრის ფსკერზე რკალივით მოხრი-

ლი განისვენებს (უცხო ასო C-ს მსგავსად). ჭია მსუქანია— ბუნჩულაა, მოთეთრო მარგალიტის ფერის არის, კანი დაპრანჭული არ აქვს. სულ სხვაა სენით დაავადებული: ის სენის შეყრისათანავე იცვლის პირველ სახეს, გაიმართება, გაიჭიმება, კარგავს სიმსუქნეს და ფერის სითეთრე ოდნავ მოყვითალო გამჟვირვალობს; სამაგიეროთ იღებს რუხვ ფერს (ოდნავ მოშაოს). დაავადებული პარკუჭების სიფრიფანა სახურავი საღისაგან იმით განსხვავდება, რომ ის შედარებით ოდნავ მოშაო ფერს გადიკრავს, შემდეგ აქა-იქ ჩაიზნიკება, აქა-იქ ნაქვრეტები გამოჩნდება, გვეგონებათ ვისმეს მსხვილი ქინძისთავით განგებ სასულე გაუკეთებიაო. მართლაც რომ ეს სასულეა— დამპალი ჭიის მიიზნით დაბეჭდილ უჯრაში გაზი ჩნდება და ეს სასულე გაზის ამონახეთქი ადგილებია. ხსენებული ნიშნები ახსიათებს სიმყაყის გაჩენის პირველ ხანას.

სულ სხვაა, როცა სიმყაყემ სკაში ნიადაგი გაიმაგრა, მაშინ მისი გაჩენა ბუდის გაუსინჯავადაც, სკის გარეგნული დაკვირვებითაც გამოიკნობა: ავადმყოფი სკის ფუტკრები სკიდან ზანტათ გამოდიან, უსიცოცხლობა, უხალისობა და მოშლილობა ეტყობათ. სწეული სკის საფრენტან რამოდენიმე ფუტკარი ფუსფუსებს და ცდილობს ფრთების ქნევით სკაში ჰაერი გაახლონ, სკაში უსიამოვნო, უჩვეულო სუნი გააქრონ. საფრენტის წინ, სასვენ ფიცარზე შენიშნავ მოშაო ღინდგილის პატარ-პატარა ნამტვრების მსგავსს.

ბუდის დათვლიერების დროს ხედავ, რომ ავთ გამხდარა არა მარტო დაბეჭდილი ჭიები, არამედ თავ-ლიაც, უმეტესობას მოყვითალო ფერი დასდებია, უჯრაში რკალივით აღარ არის, გარინდებულა და მიკვრია უჯრის დაბლა კედელს (და არა ფსკერს), ჭიას რომ ჩხირის წვერით შეეხოთ, თან გამოყვება ყაქის ძაფივით, მიხაკის ფერი, საღურგლო წებოს მსგავსი, გახწნილი სითხე. ამ სითხეს სუნი უსიამოვნო აქვს, საღურგლო წებოს სუნს მოგავგონებს. ასე გახწნილი ჭიის სითხის გამოყოლა არის სიმყაყის უტყუარი, ნიშნობლივი თვი-

სება. სხვა, ზემოთ ჩამოთვლილი ავადმყოფობის ნიშანი კი ზოგჯერ შეიძლება ფუტკრის სხვა ავადმყოფობასაც მოასწავებდეს, როგორც არის მაგალითად: მუავე ან დამზრალი ჭია. ეს ორი სენი ისე საშიშარი არის, როგორც სიმყაყე და თუ მეფუტკრე ფუტკრებს ბუდის გათბობით, საღი საზრდოს მიცემით და გაძლიერებით მიეხმარება—იმგვარივე ექიმობით, როგორც სიმყაყეს ვწამლობთ, ადრე მოისპობა.



სურ. 88

სიმყაყით დაავადებული ფიჭა.

სიმყაყის გაჩენისა და მისი გავრცელების წარმომშობი მიზეზია: სიმყაყის ბაცილა, რომელსაც უცხოელები **ალვეისა და ბრანდენბურგიენიზის** ბაცილას უწოდებენ. როგორც სხვა ყველა გადამდები სენის ბაცილა, ისე ისიც, სხვათა შორის, არის ჰაერში. ჰაერიდან შეიძლება ის მოხვდეს წყალში, ყვავილში, ყვავილიდან კი ნექტართან ან ჰეოსთან ერთად ფუტკრებს შეეყვას სკაში ან შეიძლება თავ-ღია უჯრაში თავისით ჩავარდეს. თვითონ ფუტკრებს სიმყაყე ვითომ არც კი ვნებს, მაგრამ ერთხელ გაჩენილი ბაცილა მის სხეულში ისადგურებს, თავს ინახავს: ენახე, სათაფლო ჩინჩახეში და ნაწლევებში. ბაცილა შეყრილი ფუტკრები კი ჭიებს კვების დროს, თავიანთ ჩინჩახეში მომზადილ საკვებთან ერთად, სიმყაყის ბაცილებს

შეყრიან. ფუტკრებივე ავრცელებენ აგრეთვე მაშინაც, როცა ისინი ცდილობენ დაავადებული უჯრების ენით გაწმენდას. როცა ქიები დასნეულდებიან, მერმედ მთელი ოჯახიც ისვრება, ბაცილები თავს აფარებენ: სკას, ჩარჩოს, თაფლს, ღინდგილს, ქეოს, სკის ნაგავს და სხვა. ამეების ერთი სკიდან მეორე სკაში გადატანით სენი ავადმყოფი ოჯახიდან კარგად მყოფს უჩნდება. გაუფრთხილებელი მეფუტკრეც იარაღით, ტანისამოსით, დაუბანელი ხელით სიმყაყის ბაცილებს ავრცელებს.

ყველაზე მეტად კი სიმყაყის ავრცელებენ ქურდი ფუტკრები, რადგანაც დაავადებული ოჯახი დღითი-დღე უძლოურდება, ხშირად დედაც უკვდება, ასეთი ოჯახი ძლიერისაგან იჩაგრება, იქურდება და ამრიგად ჯანმრთელ ქურდებს თავის ოჯახში ნაცარცვ თაფლთან ერთად, თავისი ოჯახის გასანადგურებლად სიმყაყის ბაცილებიც გადააქვთ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სიმყაყე უფრო ხშირად ძლიერ ოჯახებს უჩნდება. რადგანაც ავადმყოფი ოჯახის დედა ფუტკარი ბაცილებიან უჯრებში კვერცხებს სდებს, ამისათვის ამ სენის გავრცელებას ძალაუვნებურად ისიც ეხმარება.

მეფუტკრეების დაკვირვებით, ნოტიო წელიწადში შეგროვილი თხელი თაფლი, უმთავრესად კი მანანას, ადრე ფუჭდება, ამისათვის, როგორც ეს, ისე ყველა მდარე ღირსების თაფლი ადრე მჟავდება და საკვებათ მიღებული ქიებს ასუსტებს, ძალ-ღონეს არ მატებს. მწირე ღალიანობის წელიწადს, როცა ფუტკრები შიმშილობას განიცდიან და ქიებსაც წესიერი კვება აკლიათ, სწორეთ ამ დროს, ესე იგი იმ დროს, როცა ფუტკრები თხელი თაფლით იკვებებიან და სიმშილობას განიცდიან სიმყაყე ადვილად უჩნდება და უფრო ადრეც ანადგურებს.

ამრიგად სიმყაყის გაჩენას ხელს უწყობს: მჟავე თაფლი, მანანას თაფლი, საზოგადოთ ცუდი და მქლე კვება, ფიჭისა, ჩარჩოსი, თაფლისა თუ სხვა რამის ერთი სკიდან მეორე სკაში გადატანა, ბაცილებიანი თაფლით კვება, ნაყრის იმ სკაში დაბინა-

ვება, რომელშიაც ავადმყოფი ოჯახი იყო, სკების ერთი მეორეზე სიახლოვე, რის მიზეზითაც შეიძლება ავადმყოფი ოჯახის ფუტკარი შეცდომით საღში შევიდეს, გაპარული ავადმყოფი ოჯახი, ავადმყოფი ოჯახის სანთლისაგან გაკეთებული ხელოვნური ფიჭა, სიმშლისაგან დასუსტებული, გასაქრობათ გამზადილი ოჯახი.

კოდები, კასრები, გეჯები, გოდორა-ბოყვებ-ხოკრები და, საზოგადოთ, ყველა უჩარჩო სკა, რომელშიაც ავადმყოფობის გაჩენის გაგებაც ძნელია და ექიმობაც შეუძლებელი. ჭიების გაცივება-დაზრობა და განა ბოლოს ავადმყოფი დედაც სიმყაყის გაჩენას ხელს უმართავს, ქურდობის გაჩენა და ერთი სიტყვით **მეფუტკრის დაუდევრობა**.

სიმყაყის თავიდან აშორება. თითოეული სკის ხილვის დროს ფხიზელი ყურადღება უნდა მიექცეს ჭიების მდგომარეობას, საფუტკრეში არ უნდა იყოს სუსტი ოჯახი, გაზაფხულზე სკის ბუდე თფილად და ვიწროდ იყოს, საფრენიც შევიწროებული ჰქონდეს, საფუტკრეც და სკაც მუდამ სუფთად იყოს, ფუტკრები დაცული იყოს მეზობელი საფუტკრის ფუტკრების თავდასხმისაგან, გაცარცული ოჯახის ჭიებს ფხიზელი მიხედვა უნდა, საკვებში ფორმალინისა ან ჰიანჰველის სიმყავის გარევა აუცილებელია, ცუდ ამინდში ძლიერ თხელი საკვების ძლევა არ ვარგა, მდარე თხელი თაფლი (მანანის) ციბრუტით უნდა დაიცალოს და ფუტკრებს მის მაგიერ შაქრის საკვები მიეცეს. ყველა გონიერი მეფუტკრე ზნეობრივად ვალდებულია, მის საფუტკრეში სიმყაყის გაჩენა დაუყოვნებლივ აცნობოს მეზობელ მეფუტკრეებს, სიმყაყე ისეთი სენია, რომელსაც შეერთებული ძალ-ღონით უნდა ბრძოლა, შეგნებულმა მეფუტკრემ შეუგნებელს მისი საშიშროება და მასთან ბრძოლის საშუალება ყოველთვის უნდა აუხსნას.

ექიმობა. სიმყაყის წარმატებით ექიმობა და მისი აღრე მოსპობა უმთარესად დამოკიდებულია: სკის ყაიდაზე და წელიწადის დროზე. გარდა ამისა, რამდენად სიმყაყე აღრე გაჩენი-

ლია და ძირ-გამდგარი არ არის, იმდენად ექიმობით აღრე განიკურნება.

ადამისეულ სკებში, რომლებშიაც ფუტკარი თავის ნებაზეა მიშვებული, მეფუტკრე მხოლოდ სტუმარია, სკაში არ შეუძლია ბუდის უვნებლად დაშლა, დედის პოვნა, ფიჭების გამოცვლა და სხვა სიმყაყის ექიმობა თითქმის შეუძლებელია. დაბეჯითებით ვერაფერს ვერ იტყვის, რომ მის მიერ მიღებული ტანჯი და ხარჯი ნაყოფს გამოიღებს. ჩარჩოიან სკებში ექიმობა კი ძლიერ ადვილია. სიმყაყე უმთავრესად ბარტყობის ხანაში იჩენს თავს გაზაფხულიდან შემოდგომის დაწყებამდე. ცხადია, რაც აღრე შეუდგებით წამლობას, დასუსტებული ფუტკრებიც ლალიანობა-სითბოს წყალობით აღრე გამოჯობინდებიან.

ამრიგად სიმყაყე თუ შენიშნულია მარტში, აპრილში და მაისში, ოჯახების განკურნება ისე შეიძლება, რომ საზამთროთ ისინი ისევ მოღონიერებულნი იქნებიან, შემდეგ კი შეიძლება წელში გამართვა ვერც კი მოასწორონ და გაძლიერება ან საზამთროთ სხვასთან შეერთება დარჩეს საჭირო. ახლად გაჩენილი სიმყაყე სათავეშივე, როცა ის ორ-სამ სკაშია, ადვილი მოსასპობია, შემდეგ კი, როცა გამძვინვარდება, მობერდება, მისი ბაცილები დედა ფუტკრის საკვერცხე-სათესლეშიაც დაისადგურებს, რამოდენიმე ოჯახს გაუჩნდება, მასთან ბრძოლაც მედგარი და ხანგრძლივი უნდა. ისე კი სიმყაყე რა ადვილადაც უნდა იყოს, ფუტკრებს მეფუტკრე მაინც უნდა დაეხმაროს. დედას თუ სიმყაყის ბაცილები შეყრილი აქვს, (საკვერცხეში), მისი გამოცვლა და საღ-სალამათი დედის მიცემა აუცილებელია.

როგორ უწამლოთ. გაჩნდება თუ არა რომელიმე სკაში სიმყაყე, დედა ფუტკარს იმ დღიდანვე უნდა შევაწყვეტინოთ კვერცხის დება. მთლად რომ წავართვათ დედა, ეგ არ ვარგა, რადგან, როგორც ვიცით, უდედობა მათ თავის დაცვის ხალისს უკარგავს და სხვებისაგან ადვილად გაიცარცვება და მით სიმყაყის გავრცელებას ხელს შეუწყობთ. მაშასადამე ყვე-

ლას სჯობია დედა დავაპატიმროთ. გვირჩევენ დედა დაპატიმრებული გვყავდეს სრული 21 დღე, იმ განძრახვით, რომ 21 დღეს სკაში კვერცხები და ჭია მოისპობა— ფუტკრათ იქცევა. მაგრამ ასეთი დროს განსაზღვრა საჭირო არ არის. დედა პატიმრათ გვყავს მანამდე, სანამ ჭიების დიდი უმეტესობა ფუტკრათ არ იქცევა. რამოდენიმე ასეული პარკუჭების გულისთვის კი საქმეს არ დავაბრკოლებთ და მით ექიმობას დავაჩქარებთ. დედის საპატიმროთ საჭიროა ისეთი გალია, რომელიც გაკეთებული იქნება **განემანის** ცხრილისაგან. ეს ცხრილი იმ ზომაზედ არის გამოჭრილი, რომ შიგ დედის სასამსახუროთ და საზრდოს მისაწოდებლად მუშა ფუტკრები თამამად შევლენ, დედა კი ვერ გამოვა. თუ ასეთ გალიას ვერ ვიშოვით, ტიტოვის გალია აუცილებელია. ტიტოვის გალიაში საკვები შიგვე მიიცივმა, მხოლოდ დრო-გამოშვებით საკვების გაახლება საჭირო და ფხიზელი ყურის გდება უნდა, დედა სიმშლით არ მოგვიკვდეს. დედის დაპატიმრებისათანავე ექიმობასაც უნდა შეუდგეთ. სიმყაყის წამლად ხმარობენ ფორმალინსა და ჭიანჭველის სიმყავეს. ესენი ორივე აფთეჯაში იყიდება. სახეირო უფრო ფორმალინია. ის უფერული სითხეა და ძლიერ მაგარი მწვავე სუნი აქვს. იყიდება 40⁰/o საექიმოთ კი საჭიროა 20⁰/o სიმაგრის. ერთ ჭიქა 40⁰/o ფარმალინს გაურევ ერთ ჭიქა გადადუღებულ სუფთა წყალს და მიიღებ 20⁰-ს. ექიმობის დაწყება იქნება: დედის დაპატიმრება და მით კვერცხის დების შეწვევტა, ფორმალინ გარეული საკვების მიცივმა, სკაში ფორმალინში დასველებული მწვარის დადება და სკაში ყოველ-დღიურათ ფორმალინის შეორთქლება.


1) დედა უკვე დაპატიმრებული გვყავს. ეხლა აიღეთ საკვები შეამზადეთ ისე, როგორც იცით (გვერ. 180) ერთ ჭიქა საკვებს გაურიეთ 10—12 წვეთი 20⁰/o ფორმალინი და როგორც იცით, ისე აძლიეთ.

2) აიღეთ მწვარი, მაგრათ დასველეთ ფორმალინში, ჩადევით შევდურ ასანთის კოლოფში, კოლოფის ზედა მხარეს

გაუკეთეთ სასულე, ლურსმით იმ ზომაზე დახვრიტეთ, რომ შიგ ფუტკარი ვერ ჩაძვრეს და ეს კოლოფი ჩარჩოებს ქვეშიდან ბუდის შუაზე დადევით. მჭვარი გაშრება თუ არა, ისევ დასველება უნდა.

3) ფორმალინით შეორთქლება უნდა ყოველ საღამოს მანამდე, სანამ ფუტკრებს ახალ საღ სკაში არ გადავსხამთ. გადასხმით კი ფუტკრებს გადავსხამთ მაშინ, როცა შევატყობთ, რომ ბარტყების უმეტესობა უკვე ფუტკრათ იქცა და დანარჩენი გამოუსვლელის ცდა ექიმობას შეაფერხებს.

შესაორთქლებელი მანქანებში ყველაზედ უკეთესია არხიპენკოს ლამპარი.



სურ 89.

არხიპენკოს ლამპარი.

როგორც სურათ 89-ზე ხედავთ ეს ლამპარი შესდგება: ცილინდრისაგან, (A) სპილენძის პატარა ქვაბის ყურისაგან (B) და სპირტის ლამპისაგან (B) ქვაბის ყურაში ჩაიდგმის პატარა სპილენძის ჭიქა (Г), რომლის თავზე მოვებება ხრახნილიანი თავ საცობი (Д) თავსაცობში ჩაკავშირებულია ლითონის მილი (E) მილზე წამოცმულია რიზინის მილი (Ж), რომლის ბოლოზე მიმაგრდება პრტყელი წვრილი დახვრეტილი ქუდი (З).

სპირტის ლამპაში უნდა ჩაუშვა სპირტი, ქვაბის ყურაში 20% ფორმალინი და ზემოდან მოტრიალებით მოაბა თავსაცობი (Д) ფორმალინის სითხეს გარდა შესაორთქლებლად

ხმარობენ ფორმალინის კვერებსაც. ეს კვერები თეთრია და მთლად გავს ჭიის კონფეტებს, თუ ამ კვერებს ხმარობთ მაშინ ქვების ყურა უნდა ნახევრად გაავსოთ წყლით*) კვერი ჩადვა სპილენძის პატარა ჭიქაში—(I) და ჭიქა ჩადვა ქვების ყურაში...

შეორთქლება. საღამო ეამს, როცა ფუტკარი უკვე დაბინავებულია, მოვიტანთ გამართულ შესაორთქლებელ იარაღს, ლამპას გავაჩაღებთ. რამდენიმე წუთის შემდეგ როცა ფორმალინი მილიდან ორთქლის სახით დენას იწყებს, მილს შევყოფთ სკის საფრენში დავთვლოთ ერთი, ორი, სამი, და ამრიგად სანამ ოცს—ოცდახუთს არ დავთვლით, მანამდე მილს არ გამოვიღებთ. შეორთქლების დროს, რადგან ფორმალინი ადამიანის სხეულზე ცუდათ მოქმედებს—თვალსა, ცხვირსა და ყელს უნდა გაუფრთხილდეთ. ამრიგად ერთი სკიდან მეორე სკაზე გადავდივართ და სანამ ფორმალინს ძალა აქვს, მანამდე ვაორთქლებთ. ძალის გამოლევა ცხარე სუნის დაკარგვით შევტყობა. ამრიგად სწეულ სკას ყოველ საღამოს უორთქლებთ მანამ საჭიროთ მიგვაჩნია. როცა გადავწყვიტეთ სკის გამოცვლას, მაშინ ფუტკარს საღამოს გადავსხამთ დროებით ჭურჭელში (დროებით სკაში, სანაყრეში, ყუთში ან სხვა რამეში). ამ ჭურჭელში ფუტკარს პატიმარი დედიანებ ვამყოფებთ სამ დღე და ღამეს—დაე, ძველი სკის სენისაგან მთლად განიწმინდონ, ძველი სკიდან წამოღებული მასალით ფიქა გააშენონ. კვებას და შეორთქლებას აქაც განვაგრძობთ. მესამე დღეს კი ვაბინავებთ საბოლოო სკაში. თუ მოხერხება გვაქვს და მივცემთ მშრალსა ან ხელოვნურ ფიქას და მათ საეკო დედასაც ვამოუცვლით ხომ კარგია. თუ ისეთი დროა, რომ ბუდის გაშენებას მოასწრებენ მაშინ მარტო ნიმუშ მიწებებულ ჩარჩოებს ვაძლევთ. თუ სწეული ოჯახი უძღლურია მეორე მისებრ განკურნებულს შეუერთებთ. უმეტეს შემთხვევაში წესიერი ექიმობის შემდეგ სიმყაყე ისპობა მაგრამ სიფრთხილისათვის ნაე-

*) ადუღებული, ცხელი წყალის ჩასხმა საქმეს დაჩქარებს და სპირტიც დაიზოგება.

ქიმევ სკას ყურისგდება სჭირია, როცა ქიები გაჩნდება დაკვირება უნდა, თუ კიდევ სენის ნიშანს ნახავ ექიმობა თავიდან უნდა დაიწყოს და ექიმობის შემდეგ დედა ეხლა აუცილებლათ უნდა გამოუცვალოს, რადგან უმთავრესი ავადმყოფობის მიზეზი ეხლა შეიძლება მარტო ის იყოს.

სკების გაწმენდა (დეზინფექცია). სკა რომელშიაც სნეული ოჯახი იყო აუცილებლად უნდა გაიწმინდოს, მაგარი წამლობით მასში უნდა მოისპოს სენის ბაცილები. ეს ასე უნდა: პირველათ სკას უნდა მოათხიკო დინდგილო და შემდეგ, როგორც სკა ისე ყველა მისი ნაწილები უნდა დამდუღრო. შემდეგ უნდა აიღო მწვარი, დაასველო 20% ფორმალინში და სკას და ყველა მის ნაწილებს მწვარი მაგრათ უნდა წაუსვა— გახეხო. შემდეგ უნდა დაახურო თავზე და საფრენიდგან უნდა ფორმალინი შეუორთქლო. შეორთქლების შემდეგ საფრენი დაკეტო ისე, რომ ორთქლი არსაიდან გამოვიდეს. მეორე დღეს შეორთქლება და დაკეტილი დატოვება კიდევ უნდა გაიმეორო. მესამე დღეს სკას თავზე გადააძრობ და გაამზეურებ. სკის დეზინფექცია სჯობს ყოველთვის მზეში მოახდინოთ.

ბუკებისა და გეჯების დეზინფექცია მოუხერხებელია, მეტადრე თუ ოდნავ შეხავრებულია — დამპალია ყოველთვის სჯობია დაწვა. არც ტილო, ბალიში და ჩარჩოები უნდა დაზოგო, ისინიც უნდა დაწვა. ის ადგილი, სადაც სკა იდგა, უნდა გადაბარო-გადააბრუნო და მოასხა შავი კარბოლის სიმკვავე (გაუწმენდელი) ან დადაუშლელი კირის კირ-წყალი.

ფ ა ლ ა რ ა თ ი.

II.

ფაღარათი საშიშარი ავადმყოფობა არ არის, ადრე წარმავალია, მეტადრე ჩვენში, რაკი სკები საზამთროთ ცის ქვეშ არის. ზამთარიც დიდი მკაცრი არ იცის, ფუტკრებს ძლიერ ხშირათ სითბოს წყალობით, გარეთ გამოფრენა და განწმენდა შეუძლიათ, ზამთარიც ხანგრძლივი არ იცის, ყოველივე ამის

მიზეზით, ფალარათი ჩვენში იშვიათად უჩნდება ფუტკარს და თუ გაუჩნდა, ადრე გაივლის და ვერც საგრძნობელ ზიანს მისცემს. ფალარათის უმთავრესი მიზეზი ურიგო კვებაა— გაჩნდება ზედ-მეტე კვებისაგან, ხელს უწყობს აგრეთვე საკვების უვარგისობა, ამჟავებული და ნამის (მანანას) თაფლი. სითბოსიცივის შეპრეკილობა—ცვალებადობაც ფალარათს ნიადაგს უმზადებს. როგორც იცით, სკაში ფუტკრები არასოდეს არ იწმინდებიან, მაგრამ ზამთარში, თუ გარეშე პირობებმა იძულება დააყენეს, ფალარათი მოსდით და კედელს სვრიან, როგორც შიგნიდან, ისე გარედმიდანაც. იმ დროს გარეთ გამოტყავა, როცა სითბო ხელს არ უწყობს იმდენზე, რომ გარეთ გამოფრენილმა ფუტკრებმა ინავარდონ, ფრენით გული იჯერონ, ფალარათს კი არ სპობს აძლიერებს.

თუ ზამთარში სკას ხმაურობით აწუხებს თავი, კატა (სკის კედელზე ფხაქუნით) და სხ., უდებოა ან სკაში ჰაერის საკმაო დენა არ არის და სიცხე აწუხებს, ყველა ეს ხელს უწყობს უზომოთ გაძღნენ რის შემდეგ ფალარათი უჩნდებათ.

სრული მყუდროება, ზომიერი, საკმაო სუფთა ჰაერი, ხეირიანი საღი კვება და ფალარათიც არ გაუჩნდება და თუ შემთხვევით გაუჩნდა, ოჯახების წესიერ პირობებში ყოლით, ადრე თავისითაც გაივლის.


ფუტკრის მტრები.

ფუტკარს ადამიანზე საშიშარი, დაუნდობელი, გაუმაძღარი და ბოროტი მტერი სხვა არ ყავს. ზოგი ადამიანი პირდაპირ ფუტკარზე ისე ნადირობს, როგორც სხვა გარეულ მხეცზე—ცხადია, ის ფუტკრის ოჯახს ბარბაროსულად საესებით ანადგურებს. ამაზე ნაკლები ფუტკრის მტერი არც ის მეფუტკრეა, რომელიც ფუტკარს უვლის, მაგრამ თაფლ-სანთლის გულისთვის ზამთრობით ოჯახების ნაწილს აქრობს, ავსებს, ანელებს. ფუტკრის მტერია ის მეფუტკრეც, რომელ-

საც ფუტკრის ცხოვრება კარგად არა აქვს შესწავლილი და მისი გამოუცდელიობით, ბევრ ფუტკარსაც ხოცს და ზოგჯერ ოჯახებსაც ანადგურებს და გაუფრთხილებლობით ავამწყვავრცელებსაც ხელს უწყობს. ადამიანს გარდაც ბევრი მტერი ყავს ამ სასარგებლო მწერს, მაგრამ მტერებში ყველაზე საშიშარია

ჩრჩილი. ჩრჩილი, როგორც უკვე ვიცით, ფუტკრის მტერი კი არა, სანთლის მტერია, მაგრამ სანთლის განადგურებით, ფუტკრებსაც დიდ ზიანს აძლევს. თვითონ ჩრჩილის პატარა პეპელა ფუტკრისთვის არაფერი საშიშარია, მაგრამ მის მიერ დადებული აუარება კვერცხებიდან გამოჩეკილი გაუმძლარი მატლები კი, სკის გამანადგურებელია. ეს გაიძვერა პეპელა უფრო ხშირად სუსტ ოჯახს იბრიყვებს, დარაჯ ფუტკრებს სკაში შეეპარება და თავის კვერცხებს სკის ფსკერზე მოგროვილ ნაგავში, შიგ ფიქაში ან სკის ქურჭუტანაში სდებს თავის პაწია კვერცხებს, ზოგჯერ სკის საფრენთან მიიპარება და კვერცხებს იქ დაყრის, ლალიდან დაბრუნებული ფუტკრები უნებურად ამ კვერცხებს სკაში შეაგორებენ, მოხდება ისიც, რომ პეპელა კვერცხებს ჩასდებს თაფლოვან ყვავილის კუჭში და აქედან ჭეოსთან ერთად ფუტკარი კვერცხს სკაში გადაიტანს. კვერცხებიდან რამდენიმე დღის მერმედ გამოიჩეკებიან პაწია მატლები, რომლებიც უმოწყალოთ ესევიან უთაფლო ფიქას, ხვრენ და ანადგურებენ; ასე რომ, რამდენიმე დღის შემდეგ ფიქა სრულიად უვარგისი ხდება. ფუტკრები ჩრჩილს ვერას აკლებენ, რადგანაც ისინი ეხვევიან აბლაბუდის მავარ პერანგში. ამრიგად მთელ უთაფლო ფიქებს ერთი მეორეზე მიყოლებით ქსელავენ და ჭამისაგან შესუქებული მატლები შიგ დაფუაურობენ. ფუტკრებიც მატლების ვერაგულ იერიშს კერ უძლებენ ფიქას—ფიქაზე უტოვებენ და რამდენიმე კვირის შემდეგ, იძულებული ხდებიან სკა მთლად მიატოვონ და დასუსტებულებმა ახალი ბინა ეძიონ დასავლეთ საქართველოში, როგორც უფრო თფილსა და ნოტიო მხარეში ჩრჩილი ფუტკრებს მეტად აწუხებს, თამამად შეიძლება

ითქვას, რომ გაქრალი სკების ორი წილი მაგ წყეულის ოინია. გაზაფხულზე და შემოდგომაზე ღალის გათავების შემდეგ ჩრჩილ-ლაგან ფუტკრებს მოსვენება არ აქვს. შემოდგომაზე დადები-ლი კვერცხებისაგან გაზაფხულზე გამოიჩეკებიან. ხალხმაც კარგად იცის რა ზიანს აძლევს ჩრჩილი ფუტკარს, მაგრამ კოდებსა—და ბუკებ—გვეჯებში მათთან ბრძოლა ადვილი არ არის. გურიაში სწამდათ ვითომც, თუ მეფუტკრე სკას (ბუკს) ბუის ფრთით გასწმენდს ამის შემდეგ ჩარჩილი არ გაუჩნდება, მაგრამ ცხადია ეგ მხოლოდ ცრუ მორწმუნეობაა და მეტი არაფერი.



სურ. 90

ა, ბ. ჩრჩილის პებლები, ვ, ვ, კვერცხები, ზ, მატლები.

ჩრჩილის წამალი ღონიერი ოჯახია და მეფუტკრის მიერ სკების ფხიზელი ყურის გდება. მეფუტკრეს მუდამ უნდა ახსოვდეს და ბუდე ყოველთვის, ისე დაიჭიროს, რომ ცარიელი ფიჭა არ რჩებოდეს, ყველას ფუტკარი უნდა ფარავდეს. (ასეთი ზომა მეტადრე სჭირია სუსტ ოჯახს და ყველაზე მეტათ უღალიანობის დროს). სკის საფრენი მუდამ ოჯახის სიძლიერის კვალობაზე უნდა იყოს შევიწროებულ-გაგანიერებული, სკას არსად ჭუჭრუტანა არ ჰქონდეს. სკა ხშირად უნდა სწმინდოს, თუ მაინც ჩრჩილი გაჩნდა, სკა დაუყონებლივ უნდა მოაწესრიგოს, გულდადებით გაასუფთავოს, ჩრჩილისაგან დაზიანებული ფიჭები სულ მოაშოროს. სკის კედლებს „ნეტალინი“ უნდა წაუსვას. გადასამკვდლავ ფიცარს და სკის კედელს შუა თხილის ოდენა, ჩვარში შეხვეული, ქაფური დადვას. ამ ზომების შემდეგ ჩრჩილი მოისპობა, მხოლოდ ეგ ზომა საქარცობის მიხედვით გასაახ-

ლებელი იქნება. თუ ფიქა ჩრჩილისაგან დიდათ დაზიანებული არ არის და სანთლათ გადასადნობათ არ გამოიმეტება, მაშინ ფიქის გაწმენდის შემდეგ გოგირდი უნდა შეაბოლოს და ფუტკრებს მხოლოდ მერმედ მიეცეს. ჩრჩილი ძველ, ნაბარტყალ ფიქებს ეტანება.

მელედვია (კვირიონი, კვირკვილი, მწიფობელა) ფრინველებში ფუტკრის ყველაზე საშიშარი მტერია. მაშვის ოდენა ფრინველია გროვათ ცხოვრება უყვარს, ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში იცის გადაფრენა. ფუტკარს დედ ზიანს აძლევს—იჭერს ჰაერში ნამდვილ მშრომელს და ისიც შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე, როცა ერთი მუშა ფუტკარი ასათა ღირს. საფუტკრისარე მარეხენავარდი იცის წვიმის შემდეგ, ნოტიო ამინდში, როცა ფუტ. უფრო უხალისოთ დაფრინავს და მაშასადამე მისი დაჭერაც ადვილია, დიდი გაიძვერა, უტიფარი და გაუმაძღარი ფრინველია. ფუტკრის ისრის ეშინია, ამასათვის თავის გრძელი ნისკარტით დაიჭერს ფუტკარს, თუ არა, სანამ გადაყლაპავდეს ნისკარტით ფუტკრის ბოლოს ხის ტოტზე (ან სხვა რამეზე) სცემს და შხამისაგან სკლის და მერმედ სანსლავს. დღეში შეუძლია ოთხმოც ფუტკარს აუგოს ანდერძი. რუსები პირდაპირ „ფუტკრი ქამიას“ ეძახიან. ფრინველების მოყვარული გახლავარ, მაგრამ მელედვიას დანდობა არც მე შემიძლიან და არც არავის ურჩევ დაინდოს, შემოდგომობით მშვენიერი საქმეოიც გახლავს.

ლაჟო. დიდ ბელურა ჩიტსა ჰგავს, ჩვენი ბრწყინვალე წოდება მიმინოს „საფეთქებელ“ მოსატყუებლად იჭერს. ფუტკრის მოყვარული ბრძანდება, საზოგადოთ ლაჟო მწერებით იკვებება. მაგრამ ერთი გაძღომით არ კმაყოფილდება სახვალიოთაც ზრუნავს. როცა გაძღება ნანადირევ მწერებს მწვეტიან ხმელ ტოტზე ან ეკალზე, რა არის ადრე არ მოკვდეს და არ გაიხრწნასო, ცოცხლათ წამოაგებს და სამერმისოთ ინახავს.



სურ. 91

ლაქო და მისი ოინები.

მესკია (თავ-შავა), **ბოლო—ქანქალა** (მაბზაკუნა). **ხეაკუნა** (მეტადრე მწვანე), **ყანჩა**, **ბელურა**, **სკვინჩა**, **მეკირია**, გაჭივრების დროს მერცხალიც, შროშანი, ჩხართვი, შაშვი, ცულ-ქორა და სხვა ბევრი ფრინველებიც ფუტკრის წინაშე სკოდავენ.

ცხოველებში ფუტკრის ყველაზე საშიშარი მტერი **თაგვი** გახლავს, (მეტადრე ყოვლად მყრალი და წვრილი ბიგა თაგვი). მეფუტკრე ყოველი ღონისძიებით უნდა ცდილობდეს, რომ საფუტკრეში მათი სინსილა არ იყოს. დიდი ზიანი შეუძლია მეტადრე ზამთარში, გარდა იმისა რომ ფუტკრებს მყუდროებას ურღვევს, ბუდეს უნადგურებს, მისი სუნიც ფუტკრებისათვის აუტანელია.

თხუნელა. სხვა მხრივ დიდი სასარგებლო ცხოველია, ბევრ მათგან მწელებსა და მატლებს სანსლავს მაგრამ თავის მოქნილი ტანით თუ სკაში შეძვრა სულ მკირე ხანში გააქრობს.

დათვსაც გაგიყებით უყვარს თაფლით ყელის ჩაკოკლოზინება, წინად ფუტკრის ერთ ყოვლად ძლიერ მტრად ითვლებოდა. მაგრამ გონივრულ მეფუტკრეობასთან ეს ვაჟბატონი ველარას გახდება. ასე ითქმის მაჩვენებელიც, თორემ თაფლის სვლება და ფუტკრების სანსლა ამასაც უყვარს, ზოგჯერ სკასაც კი გადააბდრუნებს ხოლმე.

კვერნას კი შენახული თაფლის მოპარვა უყვარს,

ქიანქველებიც გვარიანად აწუხებენ ფუტკრებს, ასე რომ მის წინააღმდეგ მეფუტკრეს მართებს ზომების მიღება: სკა მუ-

დამ სუფთად ჰქონდეს, სკის ნაგავი სკის მახლობლათ არ დაყაროს, საფუტკრეში თაფლი არ დაღვაროს, სკის ფეხებზე კუპრი წასცხოს, ქიანჭველის ბუდე მიაგნოს და შიგ მდულარე ან კარბოლის სიმყავე ჩაახსას.

ფუტკრებსაც ჰყავთ საკუთარი **მკბენარი** (პარაზიტი) მაგრამ ეგ იშვიათია და არც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, დედას, თუ აზის ადვილად შეიძლება თვალითაც შეინიშნოს და მოშორებაც ადვილია.

ყოველ გვარი **კრაზანა**, როგორც დიდი ისე პატარა (ბზიკი და ბაზი) ფუტკრის საშიშარი მტერია—ერთი იმათგანი ძლიერ ღონიერ და მარდია, ფუტკრის შუაზე გაკვეთა და თავის შვილების საკვებათ წაღება უყვარს. კრაზანების გაწყვეტას მეფუტკრე ყოველთვის უნდა ცდილობდეს, ეს შეიძლება მათი ბუდის მიგნებით და ამოყლევით და ან შეიძლება ღალიანობის დროს საფუტკრეში პირდაღმა დაიკიდოს თეთრი ბოთლი თაფლ-წყალ შაქარ გამოვლებული—კრაზანები სიტკბოს მიეჭანებიან, ბოთლში შეძვრებიან მაგრამ გამოსვლას კი ადვილათ ვერ გაახერხებენ, მეფუტკრეც თვალს ადევნებს და ამნაირად ფუტკრებს ბევრ მტერს აშორებს.

ობობაც არ არის სკის სასურველი სტუმარი. მის ვერაგულ ქსელში ბევრი მშრომელი ფუტკარი ებძის, წვალობს, მუხანათი ობობაც შორიდან უთვალთვალებს და როცა ფუტკარი წვალებაში სულს დაღვეს მერმედ შეეჭკევა.

არის ერთგვარი მოშაო დიდი პეპელა, (რუსები „მკვდარ-თავას“ ეძახიან) გურიაში ეს პეპელა ძლიერ სძულთ ავათმყოფის ოთახში თუ დაინახეს სიკვდილის წინამორბედათ მიაჩნიათ, თაფლი ძლიერ უყვარს, ერთბაშად შეღძლია 13 მისხალი შეკამოს. ამ ღორმუცელა სტუმარს ფუტკრები კბენით ვერას აკლებენ, მაგრამ შეძვრება, თუ არა სკაში, ფუტკრები მაშინვე საფრენ შეავიწროებენ (ამოქოლვენ). ბოქაული სტუმარიც შიგ რჩება და კვდება, დარომ არ გაიხრწნას ფუტკრები, რაც ხორცი აქვს გამოსწიწნიან და გარეთ ვადაყრიან. სკაში მარტო გამონახორიკებული კანი რჩება.

„მაისა“ მეტის მეტათ პატარა და თვალთმაქც მწერია, უფრო ხშირათ მაისის თვეში მრავლობს. თაფლი ძლიერ უყვარს, მაგრამ რაკი სკაში თავისით ვერ მიბრძანდება ხ⁴-ის მიმართავს: უჩინრად დაჯდება თაფლიან ყვავილზე, როცა ფუტკარი ყვავილს დააჯდება ისიც მიეპარება, ფუტკარს სხეულზე შეაჯდებოდა და აებროწიალება, ამ ნაირათ ფუტკარის ეტლით სკაში მისიერნობს. სხეულზე მისი ჯდომით ფუტკარი განიცდის საშინელ ტანჯვას, ლაშობს მოიშოროს, წაღმა-უკუღმა ტრიალებს, ბევრი ტრიალით ღონე მიხდილი კიდეც კვდება. ვისაც ფუტკრების ამ დროინდელი ტანჯვა თავის თვალთ უნახავს, იმას კი არ იფიქრებს, რომ მათ წყვეული მწერი აწუხებს, არამედ ფუტკრებს რაღაც სენი სჭირთო. ამისათვის არის რომ ფუტკრების ასეთ მდგომარეობა! „მაისის“ ავთამყოფობასაც ეძახიან.

თ ა ფ ლ ო ე ა ნ ი მ ც ე ნ ა რ ე ნ ი.

ყველა მცენარის ყვავილი ერთ ნაირი სიუხვეით არ იძლევა სათაფლო სიტკბოს, ზოგი მეტს იძლევა ზოგი ნაკლებს. ზოგი ყვავილი გარეგნობით მომხიბვლელია, სურნელოვანიც არის, მაგრამ ფუტკრებისთვის გამოუსადეგარია, ასეთია სხვათა შორის, ყვავილთ მეფე ვარდი. ერთი იგივე მცენარის ყვავილი, ზოგ ადგილას მეტ სათაფლო ნექტარს იძლევა, იგივე მეორე ადგილას, სხვა ჰავასა და ზედაგზე აღმოცენებული ან სულ არაფერს იძლევა ან ძლიერ ცოტას. დადანის სიტყვით, ერთ კუნძულზე თურმე ხეირობს ერთ გვარი თაფლოვანი ყვავილი, რომელიც სათაფლო ნექტარს ჩაის კოვზობით იძლევა და თაფლიც მშვენიერი იცის. ექვი არ არის ამ ყვავილს მეტოქე არ მოეპოება, მაგრამ შეიძლება ჩვენებურ ზედაგზე და ჰავაში აღზრდილმა ისეთივე თაფლის სიუხვე ვერ გამოიჩინოს, როგორც მის სამშობლოში.

დამტკიცებულია ისიც რომ დაბალი ბალახების ყვავილი

ბევრად მეტ თაფლოვანია ვიდრე მაღალი ხეების ღრმა კუჭიანი ყვავილები. ერთი და იმავე მინდვრის სივრცეზე დათესილი მინდვრის ყვავილები (მაგ. თეთრი იონჯა ან სამყური) ბევრად მეტ სარგებლიანი იქნება, ვიდრე იმავე სივრცეზე გაშენებული მაღალი ხეები. (მაგ. ცაცხვი ან აკაცია).

როგორც წინადაც აღვნიშნეთ, ზოგი მეფუტკრე საფუტკრის მახლობლად თაფლოვან ყვავილებს ხელოვნურად აჩენს, მაგრამ მეფუტკრისაგან ამაზედ იმედის დამყარება ოცნებაა, ყველაფერს სჯობია ბუნების ბუნებრივ სიუხვის დანდობა და მისი გონივრული მოხმარა. ისე კი, თუ ვინმე თაფლოვან ყვავილების ხელოვნურად გაჩენას იფიქრებს, ის მარტო იმას კი არ უნდა ფიქრობდეს ყვავილით ფუტკარი ისარგებლებს და ის ხარჯს ამინაზღაურებსო, არამედ მას უნდა ჰქონდეს სახეში ორგვარი სარგებლობა და ყოველთვის უნდა მოაშენოს ისეთი ბალახები, თუ ხეები, რომელიც გარდა ყვავილისა ზმთავრესად სხვა საოჯახო სასარგებლო მნიშვნელობაც აქვს. ჩვენ ვეცდებით ამის შესადარად ჩამოვთვალოთ თაფლოვანი მცენარენი*).

ყველა გვარი **აკაცია** (ეკლის ხე) თეთრი და ყვითელი უხვ თაფლოვანია, მეტადრე თეთრი.

(სხვათა შორის აქებენ ერთგვარ აკაციას, რომელსაც ეძახიან „მუდამ ყვავილას“ ეს აკაცია თურმე 4—5 თვე დრო გამოშვებით ყვავის. მაგრამ ეს ჯერ ახალი ხილია და არც საბოლოო ნაცადია.) ნეკერჩხალი—უხვი ნექტარის მომცემია, მის თვალის წარმტაც ჩამოკონწილებულ ყვავილებზე ფუტკარი ნაყარივით ეხვევა. **ცაცხვი**, ლობიოს ხე, შინდი, თხილი, დიდგულა, **ხე-ჭრელი** (ლუკუმფხა), ვერხვი, ტყემალი, ხურმა, ძეძვი, კუნელი (სქელი თაფლი იცის—ციბრუტა ვერც ვრევა), ბზა, კოწახური, იფნი, სოჭი, მუხა, მურყანი (თხმელო), ალვის ხე, ქრისტეს გვირგვინა (გლედირჩია) მაყვალი (შავი და წითე-

*) ამათში ზოგი ისეთი ურევია, რომელიც მარტო ჭეოს იძლევა ან ზედ მანანა იცის.

ლი), თეთრ-ეკალა, სურო და სხვა თითქმის ყოველგვარი ხე-ხილები თაფლოვანია და მეტადრე სხვათა შორის ხეხილები მითია კარგი, რადგან ადრეულ დალას იძლევა. საქონლის საკვებ ბალახებში ყველაზე მშვენიერია ყველა გაარი **სამყური**, მეტადრე თეთრ ყვავილიანი, ნექტარს იძლევა ნამის აღების შემდეგ. მაშასადამე ამათ თაფლს წყალი არ შეყვება, ფუტკრებიც ადრე გადაბეჭდენ და ადრეც ჩაშაქრდება-ჩახვირიშდება. იონჯა, ალავერდა, ყვავის ქანგა*), ქვიშა, ცერცველა, ლაშქარა, ველური ქონდარი, ბარამბო, ომბალო და სხვ.

ბოსტნეულებში თითქმის უმეტესობა თაფლოვანია, მათში ყველაზე საყურადღებოა დოგვი.

საწალკოტე ყვავილებში: სუმბული ანუ ნარდი, სალაბი, იორდასალამი, შროშანა, ვარსკვლავა ანუ ქრისტესთვალა, კატა-ბალახა, მიხაკი, ჯორისტერფა, პირზე ბამბა და სხვა.

მოკლეთ ჩამოთვლილ თაფლოვან მცენარეებს გარდა საქართველოს თითოეულ კუთხეში არის განსაკუთრებით ადგილობრივი თაფლოვანი მცენარენი. მაგ. ზემო იმერეთში შემოდგომობით სწორეთ იმ დროს როცა სხვა ყვავილი თითქმის არ არის ყვავის ველური ქონდარი, თაფლი იცის უხვად და მოწითლო. სურნელება და გემო ნამდვილი საკმაში ქონდრის აქვს. გურიაში, შავს ყამირ, (უყ) ნოტიო მიწაზე, ხეირობს მრავალ წლოვანი ქურჩუმელა (ხე-ბალახა) ყვავილის კუჭი ღრმა აქვს მაგრამ განიერი, შიგ ფუტკარი თავისუფლად ძვრება, ნექტარი უხვად იცის, თაფლი თეთრია, ყვავის დიდხანს 15 აგვისტოდან ოქტომბრის გასვლამდე.

ექვს გარეშეა ჩვენ აქ ყველა თაფლოვან მცენარეებს ვერ ჩამოვთვლით, ამისი არც შეძლება გვაქვს და არც ადგილი, ისე ვიტყვი, რომ დიდათ სასურველი და სასარგებლო იქნება ადგილობრივმა მეფუტკრეებმა თავისი საფუტკრის არე მარის

*) საკვები ბალახების თესვა-მოშენება იხ. ი. პ. როსტომაშვილისა და „მოსავლის“ გამოცემა წიგნაკები.

თაფლოვანი ყვავილების სია გააკეთონ და აღნიშნონ მათი სახელები, რომელი რა დროს ყვავის და მათი ღირსება-ნაკულიც მოიხსენონ.



სურ. 92. იონჯა.

მეფუტკრის კალენდარი. *)

იანვარი. ფუტკრები განისვენებენ, ხელი არ ახლოთ, არ დაანძროთ, მყუდროება არაფრით არ დაურღვიოთ. მიაქციეთ

*) ლანგსტროტ-დადანის წიგნიდან. (ზოგს ჩვენც უმატებთ.)

ყურადღება საფრენს, მოაშორეთ თოვლი, ჰაერი არ დაეხშოს. ზოგ ადგილას დედა კვერცხის დებასაც იწყებს. ზოგიერთ კლთხეში (ზოგ წელიწადს) ფუტკრები კუჭის გასაწმენდათაც გამოდიან, ნუ მოუშლით,—სკის წინ მშრალი რამ (ჩალა, ფიცარი და სხ.) დაუწყვეთ, ფუტკრები თოვლზე არ გაიყინებინ.

თებერვალი. ზოგჯერ „თებერვალი ბერავს“ იანვარივით მკაცრია. ზოგჯერ კი რბილი ზამთარია, დედა კვერცხის დებას იწყებს, ფუტკრებიც კუჭის გასაწმენდათ გამოდიან. თუ ამინდი თფილია ზოგჯერ (და ზოდ ადგილას) ქეოსაც შოულობენ, შეიძლება თფილ ამინდში სიფრთხილით სკის ფსკერიც გაიწმინდოს. თუ ფუტკრებს შიმშილი აწუხებს აქამეთ მარტო „სულის შესარჩენი“ სქელი ან მაგარი საკვები (შაქარი მრგვლათ დახერხილი). ერიდეთ არ გამოიწვიოთ დედის მიერ უხვი, უდრო კვერცხის დება. შეძენილი სკების გადმოტანა შეიძლება.

მარტი. თუ მარტივით შებრეკილი არ არის 9 მარტიდან ფუტკრებს უკვე სრული გამოცოცხლება ეტყობათ. სუსტი ოჯახებიც იწყებენ ბარტყების გამოჩეკას, ძლიერები ხომ რა თქმა უნდა. საჭიროა გაზაფხულის მთავარი ხილვა. გაეცანიოთ ოჯახების მდკომარეობას, გასწმინდეთ სკა, გაასუფთავეთ, მშვიერს საკვები მიეცეთ. ეხლანდელ **სითბოს** დიდი მნიშვნელობა აქვს, სკები მოარიდეთ გამკრავ ქარს. საფრენი ოჯახის ძალღონის შესაფერად შეავიწროეთ, ქურდობისა და ავათყოფობის გაჩენას ღადათ ერიდეთ. წყალა, თუ შორს არის საფუტკრეში დაუდგით (სამზეურზე) მუდამ გახსოვდეთ რომ ეხლანდელი მცირე შეცდომა, დაგვიანება, მცირედი დაუდევრობა შეუწყნარებელია, —სირცხვილია გაზამთრებული, გამოკვებილი ფუტკარი თქვენის დაუდევრობით გაქრეს.

აპრილი. აპრილის ნასესხების გათავები შემდეგ ფუტკარი სათუოდან გამოსულად ჩაითვლება. აწი, თუ ყვავილები არ მოწვა, ფუტკრები სიმშილით არ დაიხოცება, სიცივეც დიდ

ზიანს ვერ მისცემს. (ბალიში მაინც უნდა). საუკეთესო დროა (მარტის 15-დანაც შეიძლება) ფუტკარი ჩარჩოიან სკაში გადასვათ. თუ სათადარიგო დედები არ გყავთ, კვერცხების მიცემით დედების გამოცვლაც (ან სრულიად ობლის მიშველება) შეიძლება. თუ ფუტკრების გამრავლებას მისდევთ ნაყრობის თადარიგს შეუდგეით, თუ თაფლობისა ბუდე გაუფართოეთ, მამლების გაჩენის ნებას ნუ მისცემთ. ვისაც ძლიერი ნაყარი უნდა, ფუტკრები თხელი ფაფით (გამოსარჩენი კვება.) კვებოს. ეცადეთ ოჯახები ძალ ღონით ერთი მეორეს გაუთანასწოროთ. გაასწოროთ ბუდე, მიუმატეთ მშრალი ან ხელოვნური ფიჭა. ერიდეთ ქურდობას. ზოგ ადგილას შეიძლება ბუნებრივი ნაყარიც გამოვიდეს. შეადგინეთ სათესლე სკები. ეცადეთ ჩრჩილის პეპლების გაწყვეტა, გახსოვდეთ, რომ ერთი ეხლა გადარჩენილი პეპელა შემოდგომაზე ათასობით ჩრჩილს გამრავლებს. *)

მაისი. ნაყრობის სრული თადარიგი დაიჭირეთ. აკაცია (ეკლის ხე) და მინდვრის ბევრი ყვავილი ღალას უხვათ იძლევა, ზოგან საკუქნაოს გადადგმის დროც არის. მაისში (და აპრილშიაც) დიდი ყურადღება მიაქციეთ ამინდის ცვალებადობის მიზეზით ღალის შეწყვეტას. — გახსოვდეთ, რომ ამ დროს ოჯახს ბევრი გამოსაკვები ყავს და ბევრი ხარჯი აქვს, თუ ღალა შეწყდა სარჩო მიეცით. მეფუტკრის მცნების ქვა-კუთხედი „გყავდეთ მხოლოდ ძლიერი ოჯახები“ მუდამ გახსოვდეთ. ეხლა ოჯახების მოლონიერება ადვილია. ხელოვნური ნაყარის დროც ეხლათ. ზოგ ადგილას, მაისში უხვი ღალიანობა თავდება — მეფუტკრეც სამთაბარო მზადებას უნდა შეუდგეს.

ივნისი. [თიბათვე] აღმოსავლეთ საქართველოში **) ნაყ-

*) პეპლების გასაწყვეტად კარგია ბნელ ღამეში საფუტკრის მახლობლათ, წალამის ან ფიჩხის ცეცხლი გაჩაღოთ, პეპლები სინათლეს მიეტანებიან და ძლიერ ბევრი ცეცხლში ჩაიხრუჭება.

**) როგორც ყველგან ხაზგასმით გვაქვს აღნიშნული, ისე ეხლაც ვიმეორებთ: საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხე სითბო-სიცივის დაწყების მზრით ერთი მეორისაგან ძლიერ განირჩევა — ეს ყოველთვის გახსოვდეთ და ეს კალენდარი თქვენი კუთხის შესაფერად გაიგეთ.

რობის დროა. (იმერეთში კი ეხლანდელი ნაყარი ნავგვიანვეია) ვინც ყრას არ ზისდევს, ბუდე უნდა გაათართოვოს, ან საკუჭნაო გადაადგას. უადგილობის გამო ფუტკრები არ მოაქვინოს, სამუშაო არეც მისცეს და მეტი ჰაერიც. ბუნებრივ ნაყრობის მიმდევრმა ეცადოს ფუტკრებს ნაყრობის ხუსტური არ აღუძრას, ნამეორედა ნაყრის ნება არ მისცეს, თუ მაინც იყარა, როგორც ვიცით ისე ერთი ნამეორედა [ან ნამთავარა] მეორეს მისცეს. ამოსჭერით ზედ მეტი სადედები. შეადგინეთ სათესლე სკები, ყურადღება მიაქციეთ დედების წესიერ განაყოფიერებას. ზოგან ამ თვეში საკუჭნაოს გადადგმა, თაფლის ციბრუტით დაცლა და მშრალი ფიჭის უკან დაბრუნება აუცილებელია. მთაბარობაც ეხლა იწყება—ისარგებლეთ ბუნების უხვი სიმდიდრით.

ივლისი [მკათათვე] ზოგან ამ თვეში ფუტკრები კიდეც „ყრილობენ“, მაგრამ ეგ არავითარ შემთხვევაში სასარგებლო არ არის. ნავგვიანვეი ნაყარი საფუტკრის კეთილ დღეობის ხელის შემწეელია. ციბრუტით თაფლი დასცალეთ, სადაც მეორე ლალიანობა იწყება იქ, შეიძლება დედას ნება და ადგილი მიეცეს სამუშე კვერცხი დასდვას: 15 მკათათვემდე შეგროვილი თაფლი სასურველია ცალკე შეინახოთ, როგორც საუკეთესო მეტ ფასში გაიყიდება. ამ თვის ბოლოს ფუტკრები მამლების ქლეტას შეუდგებიან—მიეშველეთ. ქურდობაც ეხლა იჩენს თავს—მიიღეთ შესაფერი ზომები. თიბათვე-მკათათვეში სკები სიცხე-პაპანაქებისაგან დაიფარეთ.

აგვისტო. ვისაც უდებო ოჯახი ყავს ზარალს ნახავს, აწი ახალი დედის გამოჩეკა, განაყოფიერება და ზისი მიცემა ძნელიც არის და უხალისოთაც ღებულობენ. შეუდგეით ზედმეტ თაფლის ამოღებას ან ციბრუტით დაცლას ან ისე დაწურვას. სკები ფრთხილად ახადეთ ქურდებს ფხიზლად ადვენეთ თვალი. დაკვირვებით თამამად ითქმის, რომ ჰთელ საქართველოში ივლისის 20-ან აგვისტოს 15-მდე თითქმის სრული უღალიანობაა, მაშასადამე შიმშილის დროა—ამისათვის ქურდობა ყველაზე მრისხანეთ ეხლა იცის. ჩრჩილიც ეხლა მძლავ-

რობს. გაუმადლარი მელელვიაც ეხლა მეორეთ გვესტუმრება, ერთი სიტყვით ეს დრო ფუტკრებისთვის მუდმივი ბრძოლაა - ოჯახების ყოფნა არ ყოფნის საკითხი ეხლა გადაწყდება. შუა აგვისტოდან შემოდგომის ღალა კანტი-კუნტათ ისევ იჩენს თავს, მანანაც ჩნდება, ოჯახებიც მოცოცხლდება, დედა ისევ უხვათ კვერცხის დებას იწყებს, ზოგან დატლილ და ხელმეორეთ გადადგმულ საკუქნაოში თაფლიც გაჩნდება.

სექტემბერი [ენკენისთვე]. ფიჭების შენება აღარ შეუძლიათ, მაგრამ, თუ ამინდი სწყალობს შემოდგომის ყვავილებით გაფაციცებით სარგებლობენ. თუ უხვი ღალიანობის ნიშნებს ხედავთ, ფუტკრები არ მოაცდინოთ. ზოგჯერ ამ თვემ გასაოცარი ღალა იცის, ზოგჯერ კი ოჯახების მიხედვა ეჭირვება; რომელსაც ვატყობთ, რომ საზამთრო სარჩო არ ეყოფა, ეხლა უნდა შეუვსოთ. დროებით გადადგმული საკუქნაო ამ თვეში უნდა აცალოთ, ზედ მეტი თაფლის ამოღება და სანთლის გადადნობაც ეხლა უნდა. ოჯახი მარტო ბუდეში უნდა დავტოვოთ. ჩრჩილი და ქურდობა ეხლაც გვახსოვს.

ოქტომბერი და ნოემბერი (მწიფობისთვე და ღვინობისთვე.) შემოდგომა უმთავრესი ხილვა-ჩხრეკის დროა, საზრდო ერთი მეორეს უნდა გაუნაწილოთ, საკმაო საზრდო ყველას მივცეთ, ჩარჩოები თავთავის ადგილას გადავდგ-გადმოვდგათ, ზედ მეტი ჩარჩო ამოვიღოთ, ერთი სიტყვით ბუდე საზამთრო წესრიგში მოყვანილი დავტოვოთ. ყველა ოჯახის მდგომარეობა კარგად ავწონ-დავწონოთ, უდედო არამც და არამც არც ერთი არ დავტოვოთ—სხვას შეუერთოთ, სუსტ ოჯახებსაც ასევე მოვექცეთ. ქურჭუტანები დავგლისოთ, სკა დავასუფთაოდ, ზეიდან ჯოხებზე თხელი ტილო და სათბუნებელი ბალიში მივაფაროთ, საფრენზე თუნუქის ფურცელი მივაქედოთ, ისე რომ შიგ ფუტკრის უფროსი ვერაფერი შექვრეს. სახურავში წყალი არ ჩადიოდეს, სკები მყუდროთ იდგეს.

გაყიდეთ თაფლი, ნუ მოუცდით შობა-ახალწლის დღესას-

წაულებს, რადგანაც მაშინ ყველა ვიგინდარა თაფლის მაგიერ რაღაც სიყალბეს ასალებს. ეცადეთ მუშტარმა შენი სიფუტკრის თაფლი თითონ მოიკითხოს, ასეთ ნდობას მხოლოდ მაშინ დაიმსახურებთ, თუ საფუტკრე კარგად გაქვთ დაყენებული და მხმარებელს კეთილ სინდისიერად მხოლოდ წმინდა ბუნებრივ თაფლსა და ნამდვილ ცვილს აწოდებ.

დეკემბერი (ქრისტეშობისთვე). მიხედვით გარდამიდან სკებს... იკითხეთ მეფუტკრეობის წიგნები, გადაათვალიერეთ საფუტკრის დღიური შეადგინეთ წლიური ანგარიში, მოიხსენეთ თქვენი დაკვირვება და სამეურნეო გაზეთის საშვალეებით მოძმეს გაუზიარეთ. იკითხეთ ახალი გამოცემა, შეიძინეთ ახალი რამ, ნუ ჩამორჩებით სხვებს. აკეთეთ სკები ეჩიჩინეთ მეზობელ მეფუტკრეებსაც და ცოცხალი მაგალითით დაუმტკიცეთ ჩარჩოიანი სკის უპირატესობა, დაეხმარეთ, რომ მანაც მოკიდოს ხელი ფუტკრის გონივრულ მოვლას. გახსოვდეთ, რომ შეგნებული მეზობელი შენთვისაც სასარგებლოა.

დასკენა.

(ლანგ.-დადანით)

გაზაფხულზე—იზრუნეთ დაიცოთ ოჯახების სიტბო, სისუფთავე, ყველა ოჯახს ჰქონდეს საკმაო საზრდო. მიუსწარით სუსტ ოჯახებს. ერიდეთ ქურდ-ბაცაცა ფუტკრებს. სამამულე ფიქების მაგიერ მიეცით საღი სამუშე მშრალი ფიქები. სკები მოამზადეთ გაზაფხულის ღალისათვის. ძველებური სკებიდან ფუტკარი გადასვით ჩარჩოიან სკაში. ხელი შეუწვეთ დედების გამოჩეკას. ერიდეთ სკების ხშირ ახდას.

ზაფხულში ნაყარზე თვალყური გეჭიროთ, თუ ოჯახების გამრავლება გწადიათ, ხელოვნური ნაყარით ეცადეთ. სკაში უადგილობის გამო ფუტკარი არ მოაცდინოთ, გაუგანირეთ ბუდე. გადაადგით საკუქნაო, სკებში საკმაო ჰაერისდენა და მისი გაახლება (ვენტილიაცია) სწარმოებდეს. ფუტკ

რები ამთაბარეთ. საკუქნაო ღალის გათავებისათანავე ააცალეთ, (ზედმეტი თაფლიც). ნუ მოაცდენთ ფუტკრებს ფიქების შენებაზე, აძლიეთ მშრალი ან ხელოვნური ფიქა.

შემოდგომაზე უფროთხილდით ქურდობის გაჩენას, ებრძოდეთ ჩრჩილს, ამოდებული მშრალი ფიქა ჩრჩილის პეპელამ არ ჩაკვერცხოს და ჩრჩილმა არ გაგიფუჭოს. კარგად შეზომეთ ოჯახების ძალ-ღონე, სუსტები ცალკე ოჯახათ არ დატოვოთ, საზრდო ყველას საკმაო დაურჩეს. დროებით გადადგმული საკუქნაო მოაშორეთ, ფიქები თვალის ჩინივით შეინახეთ გახსოვდეთ რომ **მშრალი ფიქა საფუტკრის სიმდიდრეა**. სკები საზამთროთ გამართეთ.

ზამთარში ეცადეთ სკები ჰრულს მყუდროებაში განისვენებდნენ, ჩრდილოეთის და საზოგადოთ ადგილობრივი მძაფრი ქარისაგან დაფარულნი იყვნენ. გასაწმენდათ გამოფრენა ფუტკარს შეეძლოს, მაგრამ საფრენში მაზედ პატარა არაფერი ძვრებოდეს. გაზაფხულის პირველ გამოფრენამდე თამამად ვერ ვიტყვი, რომელმა სკამ გაიზამთრა. პირველი გამოფრენის შემდეგ, საფრენი ოჯახის ძალ-ღონის შესადარად იყოს. ბუდეც მის შესაფერად შეუვიწროეთ. (ზამთრის გასულს ან გაზაფხულის დაწყებისას.)

მეფუტკრეობის ახლად დამწყებთა საგულისხმო.

1. მეფუტკრეობის ახლად დამწყები ნურასოდეს ნუ იფიქრებს იმას, რომ რაკი მეფუტკრეობის სახელმძღვანელო წიგნს წაიკითხავს, ვითომც მან უკვე ყველაფერი იცის და მეფუტკრეობის შესწავლა პრაქტიკულად არ იყოს საჭირო. თეორია და პრაქტიკა ერთი მეორისაგან გამომდინარეობს, უერთი-ერთმანეთოთ არც ერთი არ ვარგა.

2. ხშირად, ბევრი მათგანი ჩხირკედელაობს, მეტიჩრობს იგონებს საკუთარი ყაიდის სკებს, რომელსაც აკლია პირველი აუცილებელი ღირსებაც კი.

3. უყვართ ერთ და იმავე საფუტკრეში ერთ და იმავე დროს დასდგან სხვა და სხვა ყაიდის სკები. ავიწყდებათ თუ რამდენად მოხერხებული და სარგებლიანია ერთ ნაირ სკებში (რომელთა ყველა შემადგენელი ნაწილები ერთი მეორეს სისწორით მოადგება) ფუტკრის მოვლა.

4. უანგარიშოთ უყვართ ოჯახების გამრავლება, ავიწყდებათ ის, რომ ზოგჯერ უთავბოლო ფუტკრების გამრავლება მათი ვაქრობის წინამორბედია.

5. ხშირად ბუდეში საკმაო სარჩოს ფუტკრებს არ უტოვებენ.

6. ღირსეულად არ აფასებენ სამუშე ფუტკრის მშრალ ფიჭებს.

7. ხშირად უყვართ სკების ახდა, ბუდის დაშლა, დედა ფუტკრის უმიზნოთ ძებნა, ყველა ცნობის მოყვარის წინაშე კვეხნა-ტრაბახი. ავიწყდებათ, რომ ფუტკრები საჭიროებენ სრულს მყუდროებას, ავიწყდებათ ისიც, რომ თითოეულ გამცდარ მინუთში აცდენენ ათასობით მშრომელთა გუნდს.

8. ახალ მოსწავლე მეფუტკრე პირველ გამარჯვებას აღტაცებაში მოყავს, საფუტკრეს ერთბაშით აფართოებს — ბევრს კილებს ხელს, „დიდი ფაფის საბერავი სული“ — შესაფერი გამოცდილება კი აკლია. „ქვეყანაზე თუ რამე არის წარმოების დარგი, რომელიც მუდამ წარმატების გზას ადგია და რომელიც საჭიროებს ცოდნას, საქმიანობას, გამოცდილებას, გონივრულ გამოანგარიშებულ დაუხარებელ შრომას, ეს მეფუტკრეობაა“.

ის მეფუტკრე, რომელიც ფიქრობს, რომ ვითომც ყველაფერი მშვენივრად იცის და არ საჭიროებს იკითხოს მეფუტკრეობის წიგნები და ჟურნალები, არ სარგებლობს სხვისი გამოცდილებით და დაკვირვებით, ის ძლიერ ადრე ჩამორჩება და ვერც ხერხს ნახავს. ამასთანავე მას უნდა შეეძლოს წიგნებში თუ ჟურნალებში ამოკითხულის შემოწმება გამოცდა „იფქლის ღვარძლისაგან“ გარჩევა.

ყველა მეფუტკრეს გულის ფიცარზე ღრმათ უნდა ჰქონდეს დაქდებული გონივრული მეფუტკრეობის საფუძველი და ქვაკუთხედი, გერმანელ მეფუტკრე **ოტლიას** ოქროს ასოებით დასაწერი სიტყვები:

„საფუტკრეში გაყვდეთ მხოლოდ ძლიერი ოჯახი!“

ის, ვინც ამ ძირითად მცნებას დაიცავს, რამდენს მეტს დახარჯავს, იმდენად მეტს აინაზღაურებს, რამდენად ფუტკრის ოჯახები ძლიერი იქნება, იმდენად ის მის მეფუტკრეობას და ფუტკრის სიყვარულს ამტკიცებს—ფუტკარც მისი ქვეშევრდომი მონა იქნება და მის საყვარელ შრომას ღირსეულად დააჯილდოებს.



ხუთ ოჯახიანი საფუტკრის ხარჯთ-აღრიცხვა*).

5 ძირი ფუტკრიანი სკა (კოდებში ან გეჯებში)	15 მან.
5 დადან-ბლატის სკა საკუქნაოთი და ჩარჩოებით თითო 4 მ.—50 კ.	22—50 კ.
10 გირ. ხელოვ. ფიქა (გირ. 90 კაპ.)	9—
1 ჩაინიკი სპილენძის (იხ. სურ. 51)	2—80 „
2 სადღეე გალია (ტიტოვის)	—40 „
1 სანაყრე	1—
1 ვუაბლეს დეზი	—25 „
1 მარწუხი	60 „
1 დანა აბატის	—45 „
1 პირკაუჭა იზმირი	—30 „
1 პირბადე	—60 „
1 საკომლე (კორნელიას)	1—50 „
5 შუშის ქილა საკვების მისაცემი	—50 „
5 არშ. თხელი ტილო ჩარჩოების გადასაფარებლად	—75 „
8 არშ. იმნაირივე ტილო ბალიშებისთვის	1—20 „
აშკი და აგრაფი	—50 „

სრულიად 57—35 „

გარდა ამისა ანგარიშიან მეფუტკრეს გონივრული მეფუტკრეობისათვის სჭირია: მეფუტკრეობის სახელმძღვანელო წიგნები, მეფუტკრეობის სპეციალური ჟურნალი (ან სამეურნეო გაზეთი შინც), ვალდებულა და მისთვის სასარგებლო იქნება წევრი იყოს მეფუტკრეთა საზოგადოების და სამეურნეო საზოგადოებისაც.

მეორე წლიდან კი მოუნდება:

1 ციბრუტა	30—35 მან.
მზით სანთლის სადნობი	3— 5 „
კუნახოვიჩის სანთლის სადნობი	10—12

თავლის კურკელი, ხელოვნური ფიქა და ახალი სკები მისი საჭიროების დასაკმაყოფილებელი:

*) მსურველის საყურადღებოთ მოკლეთ მოგვყავს, თუ რამდენი დაჯდება დაახლოებით 5 ოჯახიანი საფუტკრის პირველი მოწყობა.

(Шестой годъ изданія)

„ПЧЕЛОВОДНАЯ ЖИЗНЬ“

Иллюстрированный журналъ прогрессивнаго пчеловодства

выходить два раза въ мѣсяць (24 №№ въ годъ)
книжками въ 3 листа.

Задача журнала—вѣрнѣе и полнѣе отражать современную пчеловодную жизнь и быть органомъ русскихъ пчеловодовъ.

Редакторъ-издатель М. А. Дерновъ.

Цѣна съ пересылкою:

1 годъ	3 руб.—коп.	☼	1/2 года	1 руб. 50 к.
1 мѣсяць	— „ 25 „		3 мѣсяца	— „ 75 „

ОТДѢЛЬНЫЙ № 15 КОП.

Допускается расрочка по 1 рублю въ теченіе первыхъ трехъ мѣсяцевъ года.

За наложенный платежъ 25 коп.

Подписку адресовать:

Вятка: журналъ „Пчеловодная Жизнь“.

Съ 1 Января 1911 г. выходитъ новый журналъ

„ПЧЕЛОВОДЪ“

Ежемѣсячный общедоступный иллюстрированный журналъ практическаго пчеловодства.

Цѣль изданія—создать такой органъ, который былъ бы доступенъ,— и по цѣнѣ, и по содержанію,—всѣмъ пчеловодамъ.

Редакторъ издатель М. А. Дерновъ

Цѣна съ пересылкою: 1 годъ 60 к. 1 мѣсяць 5 к. Отдѣльный № 7 к., за границу 80 коп. въ мѣсяць.

Подписку адресовать: Вятка: М. А. ДЕРНОВУ, журналъ „ПЧЕЛОВОДЪ“

მიიღება ხელის მოწერა საბჭოთაო ჟურნალ

„მოსაპალო“

წელიწადი მესამე.

1911 წლისათვის.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. ეღირება 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: ტფილისი ბარიატინსკის ქუჩა № 5
რედაქცია „მომავალი“

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე.

მიიღება ხელის მიწერა

1911 წლის იანვრიდან 1912 წლის იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

წელიწადი მეშვიდე.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთ.

12 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

ფასი ჟურნალის წლიურად 5 მან. ნახევარი წლით 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება: „ნაკადულის“ რედაქციაში
გოლ. პროსპ., ზუბალოვის სახ.

რედაქტორი ნინო კაკაშიძე


გამომცემელი თავ. პ. ი. თუმანიშვილი

ს კ ე გ ი,

სელოვნური

ფიჭა,

იან ხლე ბ ი,



ცირუტა, სანთლის

სადნობი, ფიჭის

საკეთებელი,

ფუტკარი, ღვინა

ფუტკარი.



საგვასიის პირველი მეფუტკარობა

ა დ რ ლ ფ დ ი უ მ ა ს ი

თფილისი, მიხილოვის პროც. № 140.

მრეცხლის დიდი მედალი



თფილისი 1909 წ.

ვკრავ მედალი



დონის რაიონი 1909 წ.



თაფლი,

თაფლის ძმარი,

თაფლის ღვინო.

ახალი გამოგონება!!!

ზორი თაფლი,

(შეყინებული)

ვეიდულობთ

წმინდა სანთელს

(ცვილს)



თუნუქისა და ძვეთულისაგან სხვა-და-სხვა სა-
ოჯახო ნივთების საკეთებელი სპეციალური
სახელოსნო


იოსებ ბელონის

ფირმა არსებობს 1875 წლიდან.

კეთილ სინდისიერ და სასარგებლო შრომისთვის დაჯილდო-
ებულია: ქების ფურცლით, ვერცხლის მედლით და საფუტ-
კრეში სახმარ იარაღ-ჭურჭლების მკვიდრად და მშვენივ-
რად გაკეთებისათვის ოქროს დიდი მედლით.

სახელოსნოში კეთდება:

ციბრუტა,
მზით სანთ-
ლის სად-
ნობი, კუ-
ნახვიჩის
სანთლის
სადნობი,
არხიპენკოს
ლამპარი.



ჩაიდანი,
საკომლე,
დედის საბა-
ტიმრო გა-
ლიები, თაფ-
ლის სხვა და-
სხვა ზომის
ჭურჭლები
და სხვა.

ყველაფერი ზომიერ ფასებში და მკვიდრად.

ვინც ბეთ ნივთის ღირებულობის მეოთხედს წარმოადგენს,
დანაკვეთი ფას-დადებითაც გაეგზავნება.

თფილისი, მუხრანის ქუჩა № 10.

იოსებ ბელონი.

აგარიკული ვაჯივის სანარკვე

„კლო-უგურული“

ქუთაისში



ჯილდოთ მიღებული აქვს დიდი ვერცხლის მედალი

მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო მამულების სამინისტროსაგან,

საგანგებო საუკეთესო ნაკეთები ვენახებისა და სანერგისათვის; ორი ვერცხლის მედლები, ერთი დიდი ვერცხლის მედალი, რვა ოქროს მედლები, რვა საპატიო-ცემლო ქება დიდების დიპლომები; სამი უმაღლესი ჯილდო და ექვსი სხვა და სხვა კონკურსების გარეშე ჯილდოები, საუკეთესო ნაკეთები ვენახებისთვის ამერიკულ ვაზებზედ და აგრეთვე სტოლისა და შუშუნა (шипучее вино) ღვინის კეთებისათვის.

უდიდესი ვენახების ვაზების ასარტიმენტია მთელ რუსეთში, იპყრობს 1200 ჯიშებს.

ყოველ წლიურად აწოდებს მსურველს ამერიკულ საძირებზე ნამყენ სხვა და სხვა ჯიშის ვაზებს და მევენახეთა საჭირო წამლებსა და იარაღებს.

ადრესი: ქუთაისი— „კლო-უგურული“

დამყნილ ამერიკულ ვაშისა და ხეხილების სანერგე

„ს ა ნ ლ ო“

გიორგი მიხეილის ძე ჩივაძისა

ყოველ წლიურად ამზადებს და ყიდის:

ამერიკულ ვაზზე ნამყენს: იმერულს, კახურს და
ვეროპიულ ჯიშებს.

ამერიკულ საძირე და დაფესვიანებულ ვაზებს.

ხეხილების ნერგს: ვაშლისას, მსხლისას, ატმი-
სას და სხვა.

თუთის ხის (ბეოლის) ნერგებს.

ცოცხალი ლობის ეკალს (გლედიჩიას).

ვარდებს სხვა და სხვა საუკეთესო ჯიშებისას.

დაწვრილებით ცნობებისა, პრეისკურანტის და დაბეჭ-
დილი დარიგების მოთხოვნა შეიძლება ამ მისამართით:

ქუთაისი: გიორგი მ—ძე ჩივაძეს



კავკასიის პირველი დეპო თესლეულობისა

ლ ა რ უ მ ს ი.



გვაქვს საიმედო ნაცადი ახალი მოსავლის საუკეთესო ღირებების

თესლეულობა:

ბოსტნეულის, საწალოტო ყვავილების, სხვა და სხვა ხეების, საკვები ბალახების და თაფლოვანი ყვავილების: თეთრი იონჯა, სხვა და სხვა ნაირი სამყური, ლაშქარა, ბორაგო, სალაბი, ბარამბო, ალავერდა, წითელი მდოგვი, მხესუტყვრიტა, მიხაკი, სუმბული, იორდასალამი და სხვა.

ფირმა არსებობს 1872 წლიდან.

პრეისკურანტი მოთხოვნისათანავე იგზავნება; ტფილსი მიხეილის პროსპექტი № 10.

საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
აღმართობის
საგარეო
სამართლო
სამსახური



აგერიკულვა



ნამყენი ვაზის სანერგე

„მოკეთა“

(წელიწადი მეცხრე).

გამოცდილებამ დაგვარწმუნა, თუ რომელი ვაზის ჯიში რა ადგილას ხეიროს, რა ნაირ ჰავასა და ნიადაგს იგუებს, სად რა ნაირ საძირე და სანაყოფო სჯობს.

სოფელ **ჭ ა ნ ჭ ა თ ს** (გურია)

გავაკეთეთ სანერგე სადაც გვაქვს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის შესაფერი საიმედოთ შეხორცებული ნამყენი ევროპიული და ჩვენებური, (ჩხავერი, მტევან-დიდი, ჯანი, ბადაგი და სხ.) შავი და თეთრი, საღვინე და საყურძნე ჯიშები.

მსურველთ უსთხოვთ ნერგები დაიკუთონ
1 დეკემბრიდან მარტის პირველამდე.

ვასო მახარაძე და ათინოგენი წულაძე.

ფოსტის ადრესი: ლანჩხუთი—აკეთი

ათინოგენი წულაძეს.

ქვემოთ ავსარქმისოვების

ბ ა ლ ი

უოველ წლიურად ეიდას სავდვარგარეთულ, რუსულ და ადგილობრივ

ხეხილების

საუკეთესო ნაცად ჯიშების ნერგებს

ზო მ ი ე რ თ ვ ა ს ე ბ შ ი

მსურველს კატალოგი მოთხოვნისათანავე უფასოთ
ეგზავნება.

ადრესი: სად. სკრა (კავ. სახ. რკ. ვზა) მ. პ. ავსარქმისოვი

გაღონობა და ხეხილების სანარგე

კ. თ. აფრიკიანისა

ქ. გო რ შ ი.

მსურველს ხეხილების კატალოგი დაუყოვნებ-
ლივ ეგზავნება უფასოთ.



კახელი

მევენახეთა ამხანაგობა

„კახეთი“

ამხანაგობის მიზანია კახეთში მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინებას ხელი შეუწყოს, დაეხმაროს თავის წევრებს ვენახის გაშენება-მოვლა-წამლობაში, ღვინის დაყენებაში და მის გასაღებაში. ამხანაგობა ყოველივე ღონისძიებით ცდილობს მოსპოს კახური ღვინის ყოველგვარი ფალსიფიკაცია—სიყალბე. ის ღვინის მხმარებელთ მუდამ აწოდებს **ნამდვილ ბუნებრივ კახურ ღვინოს** რომელსაც რუსულად აწერია „*Кახетия*“.

მთავარი სარდაფი ტფილისში, განყოფილებები რუსეთის ყველა მოზრდილ ქალაქებში.

ტფილისი ამხანაგობა „კახეთი“



ამხანაგობა „არბო“ იაპონური სოიდან

ამზადებს და ყიდის ადამიანისთვის დიდად მარგებელ

ყ ა ვ ა ს

ნებადართულია საექიმო საბჭოს მიერ № 2175.

სოიას ყავა შეუდარებელია სისხლნაკლებობის და ბავშვების საჯანსალოთ. გულსა და ნერვებზე მავნებლად არ მოქმედობს. ამხ. „არგო“ მეურნეთაგან ყიდულობს იაპონურ სოიას. (ძაძას ანუ ქვალობიოს).

დ. უვირიდა (ზესთაფონი) ქუთ. გუბ. აშხან. „არგო“

ქუთაისში

თესლეულოვის დეკორ

თედ. კიწმარიშვილისა

პატლოვი მოთხოვნისათანავე უფასოდ.



ქუთაისი—ბალახავნის ქუჩა, თედორე კიწმარიშვილს.

მუდამ მოგვეპოება ადგილობრივ ნაცადი, ჩენი ბუნებისა და ჰავის
შესაფერი, ახალი მოსავლის კარგი ღირსების

თესლეულოვა:

ბოსტნეულის, საქონლის საკვები ბალახების, ყვავილების და სხვა.
ყვიდით კარგი ჯიშის ხეხილების ნამყენ ნერგებს, ცოცხალი დო-
ბისთვის ეკლის ხეს და სხ. თავის დროზე დეკორში იყიდება
შემოწმებული აბრეშუმის ქაის თესლიც.

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა .

ყველა მევენახემ და მამულის პატრონმა კარგად იცის, რომ ნაცრის წინააღმდეგ გოგირდი იხმარება და თუ ამ სენს დროზედ არ ეწამლა, მოსავალი დაკარგულია.

ბაზარში ორნაირი გოგირდი სწოდება: **დანაყილი** და **გამოხდილი**. დანაყილ გოგირდში სხვა და სხვა გარეშე ნივთიერებაც ურევია და ვენახისათვის ნაკლებად გამოსადეგია, დანაყილი გოგირდის მყიდველი ზარალშია. სამაგიეროდ **გამოხდილი** გოგირდი (Сублимированная сера) წმინდაა, ნაცარს ადვილად სპობს და საზოგადოდ საუკეთესოა ღირსებისა.

დიდი ხანია **ჩვენ ვყიდით გამოხდილ გოგირდს**, —საკუთარი მარკისას, —ზოლიან „მეშოკებში“. ქიმიურმა გამოკვლევამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ჩვენი მარკის გოგირდი საუკეთესოა ნაცრის წინააღმდეგ. ამ ბოლო წლებში ზოგმა ფირმამ მოგვება და ზოლიან „მეშოკებში“ დაიწყო უვარგისი გოგირდის გაყიდვა. აი სწორედ ამ მიზეზით ვაფრთხილებ პატივცემულ მყიდველთ, გოგირდის ყიდვის დროს მიაქციონ ყურადღება, არ მოსტყუვდნენ. ჩვენს ზოლიან „მეშოკებს“ თან ახლავს მრგვალი —თხელი კარდონის წითელი „იარლიკი“, რომელსაც თეთრი ღრშია აქვს, შუაზედ სახელმწიფო გერბია გამოხატული და ჩვენი ფირმა და გვარი აწერია.

პატივისცემით **გ. ე. ფრიდონოვი**

ტფილისი—სერგეევის ქუჩა.

ქ უ თ ა ი ს უ ი

სავაჭრო სახლი

ს ტ ე ფ ა ნ ე ჰ ა გ ლ ე ს ძ ე

ფეიქრიშვილისა

ხალხში სამეურნეო იარაღების გავრცელებისათვის ფირმა დაჯილდოვებულია. ფირმის გულითადი წადილია ხალხში გაავრცელოს სამეურნეო იარაღები, რისთვისაც სოფლის მეურნეს ფირმა დიდის შეღავათიანი პირობებით აწოდებს: **სახნავს, სათესს, საცეხვს, (საფშვენს), ბამბის დასამუშავებელ იარაღ-მანქანებს** და სხვ.

საზოგადოთ სიმინდისთვის ამერიკულ სისტემაზე მიწის დასამუშავებელ იარაღებს. (ამერიკაში კარგი იარაღების და მათი ოსტატური ხმარის წყალობით დესიატინა იძლევა 200 ფუტს სიმინდს).

სავაჭრო სახლი ყიდის: ყურძნის საკყლეტსა და საქაჩავს, ვენახისა და ბალის ხელსაწყო იარაღებს. აქვს ყოველგვარი ტექნიკური ახალი გამოგონება. განსაკუთრებული შეღავათიანი პირობით იძლევა მიწის დასამუშავებელ იარაღებს. იარაღის მყიდველი მიიღებს იარაღის ხმარის შესაფერ რჩევა დარიგებას. ვინც იარაღს ფირმის რჩევით შეიძენს უკეთუ არ მოეწონება ფირმა უკანვე მიიღებს.

ქუთაისი: სტ. პ. ფეიქრიშვილის სავაჭრო სახლი.

(საკუთარ შენობაში)



ქუთაისში.

„ი. გოკიელოვის შვილები“ სავაჭრო სახლი

ქუთაისში.

მთელ ქუთაისის გუბერნიაში ჩვენი ფირმა ყოველ-
წლიურად ყიდის 60,000 მისხალ

აბრეშუბის ჭიის თესვს.

ფირმის მიზანი ის ვიან არის თქულში მთავოს, არა-
მედ ის ცდილობს მის შიურ გაყიდულმა თქულმა ვან-
გი საღი პარტი გააყოთოს, რთმულსაც ფირმა ყიდულთს
თავის ფარდელისათვის. ცსადია უკეთე ფირმა შიან-
რეშეშეშეს თქლის შიბენას არ გაუადვილეს და საღს
თქლს არ შიანთელეს. უმისთთ პარტით ვაქრთმა ში-
უბლუბული იქნეს და ფარდელუბიე ცარიული დავან-
ჩეს. ამისათვის ფირმა ყთვლის ღთნისბიშით ცდი-
ლობს ქუთაისის გუბერნიის შიანრეშეშეთ თავის
დრთბე შიანთელს ნაცადი. ჩუნი შიუნშისა და ჰავის
ამცანი, შასტრის საშეფალუბით მთმზადილი, დიდი
ხნიდან ცნობილი თქლი

ხრისტოდუღიდის ფირმისა

რთმულიე განგუბ ჩუნი შიკუთით, ქუთაისის გუბერ-
ნიისთვის ამზადებს და რთმლის ერთად-ერთი შარმო-
მადგენელი კავკასიაში ჩუნი სავაჭრო სასლია. თქ-
ლის შიადული უფასოდ შიილეს ჭიის შთვლის შიას-
სებ დაშეჭილ დარტივებს. ვინე ჭიას შისიორად არ
მთუვლის და სამისთ მთწყთშილობს არ აქვს თქლს
თომბ მოწედე შრალს ნუ დასდებს.

ქუთაისი: ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლი.

ქუთაისში ნიკიფორა ჯანალიძის მალაზია

როგორც წარსულ წლებში ისე მომავალშიაც ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეებს მიაწოდებს

➤ აბრეშუმის ჭიის თესლს ➤

პასტერის საშუალებით მომზადილს, საღსა და შემოწმებულს, სხვა და სხვა ცნობილი ფორმებისას, როგორც თეთრს ისე ყვითელი ჯიშისას.

ყ ი დ ი ს:

ვენახის საწამლებელ ვერმოლერის მანქანას, შაბიამანს, გოგირდს, რაფს და სხვა.

ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ქ უ თ ა ი ს ი: მალაზია

„ა ბ რ ე შ უ მ ი“

როგორც განვლილ 15 წლის განმავლობაში ისე მომავალშიაც ეცდება მსურველს თავის დროზე მიაწოდოს ცნობილი ფორმების მიერ მომზადებული ცელულიალური

ა ბ რ ე შ უ მ ი ს ჭ ი ი ს თ ე ს ღ ი


სალი და სანდო სხვა და სხვა ჯიშებისა.


მ. გ. მესროპოვი.

ქუთაისი, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

თავისდროზედ

მოითხოვეთ აბრეშუმის ჭიის თესლი

ბაღდადის თეთრი ჯიშისა. 

 ალ. ვარპეტინცის და ამხ.

ფირმისა [წინაღ ა. გ. არსენისა და ამხ. ფირმად ყოფილი) კავკ. სააბრეშუმო სადგურის თეთრი ბანდეროლით, საგანგებოთ დამზადებული.

ტიგრან ხაჩიანცის დაკვეთით, **საგანგებოდ ქუთაისის გუბერნიისთვის.** თითო კოლოფში სწორედ 6 მისხალი, [25 გრამი], კარგად შემოწმებული თესლია კისეის ტაბრაკებით ფირმის უტემპელითა და ლაქის ბეჭედ-დასმული „ა. ვარპეტინი“, კოლოფშივე არის 1 ცალი დარიგება ჭიის რიგიანი მოვლაზე. ქალაქ გარედ მყოფნი მყიდველნი მოიკითხავენ: კანტორა სიონის ქუჩ., ტაძრის 1 ჭიმში მოთავსებული, ბარუხდაროვის მემკვიდრეთა სახლში № 6, დილის 10 ს.—2 საათამდე.

მთელის რუსეთის იმპერატორისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელი **ტიგრან ხერგოას ძე ხაჩიანცი.** ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის:

Тифлисъ, Тигранъ Хачіанцъ.

.....
აბრეშუმის ჭიის შემოწმებული სალი


თ ე ს ლ ი

როგორც წარსულ წლებში, ისე მომავალშიაც მეაბრეშუმეებს მივაწოდებთ აბრეშუმის ჭიის შემოწმებულ სალს, სხვა და სხვა ცნობილი ფირმების მიერ პასტერის საშუალებით მომზადილ

თ ე ს ლ ს

მეაბრეშუმეებიდანვე ვყიდულობთ ჩვეულებრივ მაზანდაზე აბრეშუმის პარკს ჩვენივე ფარდულისათვის. თესლეულობის მთავარი საწყობი იქნება ბათუმში სასტუმრო „ორიანტში“. აგენტები გვეყოლება ყველა მოზრდილ ადგილებში.

ექვთიმე სიმონის ძე ბერძენიშვილ ..



ბათუმი

ნ. ა. საბაძე

საუკეთესო გემოსი და სურნელოვანი ჩაი, საკუთარი ბა-
ლისა. (ბათუმის მიდამოში მოწეული).

ყოველგვარი საოჯახო აუცილებელი საქირო ავეჯეუ-
ლობა, სხვა და სხვა სამეურნეო მანქანები, ტექნიკური
საქონელი და სამეურნეო სამუშაო იარაღები.

ვაჭრობა საკუთარ პასაჟში.

ფასები კონკურენციის გარეშე.

აღმასხან გიგოსძე კალანდაძე & აშხ.

←→ ქალ. ოზურგეთში. →←

გვაქვს რა ქ. ოზურგეთში საპარკე ფარდული, რომელიც
იტევს ორიათას ფუთ პარკს, ამისათვის ჩვენივე სარგებლობაა
ადგილობრივ მებაღეშუმეებს თავის დროზე მივაწოდოთ საიმე-
დო კარგი ჯიშის და კარგად შენახული საღი

აბრეშუმის ჭიის თესლი.

თავის დროზე ყოველთვის გვექნება ცნობილი ფირმების: პასხა-
ლიდის, ხრისტოდულიდის, ყვითელი ფრანგული ჯიშის და სხვ.

ქ. ოზურგეთი. ალ. გ. კალანდაძე და აშხ.

აბრეშუმის ჭიის თესლი

ხრისტოდულიდის პასხალიდის და პაპიდის ფირმის, რომელთა თესლები საუკეთესოდ ცნობილი არის გურიაში და მრავალი წლის გამოცდილებამ დაამტკიცა მათი მაღალი ხარისხი ჩვენს მხარეში. მსურველს თესლი შეუძლია შეიძინოს ქალაქ ოზურგეთში ეტლთა კანტორაში. ვინც 1 მარტამდე თესლს დაიკვეთავს იმას დაეთმობა თითო კოლოფი [6 მისხალი] „ხრისტოდულიდისა“ 2 მანეთად, „პასხალიდისა“ 2 მან. 20 კ. და „პაპიდისა“ 1 მანეთად და 60 კაპეიკათ; ბეთ საკმარისია კოლოფზე ერთი აბაზი, ამასთან ურჩევთ ყველა მეაბრეშუმეებს, რომ თესლი შეიძინონ თავის დროზედ, რასაც დიდი გავლენა აქვს აბრეშუმის მოსავალზედ, დაკვეთილი თესლი დარიგდება 25 მარტიდან და 10 აპრილამდე.

ქ. ოზურგეთი, დიმიტრი ზოსიმეს ძე ცეცხლაძე.



იონჯა

შეცდომის გასწორება.

გვერდზე	დაბეჭდილია.	უნდა იყოს.
6	რადგან საგანი	რადგან ის საგანი
7	ცხოვრებენ	ცხოვრობენ
13	უკანა ფეხები	უკანა ფრთები
23	სანთლის ქერტილი	სანთლის ქერტილი ა
42	თავს ჩაყოფს საკვერცხეში	თავს ჩაყოფს უჯრაში
45	ჭიათაც	ჭიათ
"	რჩებაც	რჩება
"	დღე ღამე	დღე და ღამე
54	გაჭირვების	გაჭირვების *)
72	წყლობით	წყლობით
88	დაურჩებს	დაურჩეს
89	შეიქნება მისი	შეიქნება და მისი
"	მეფურის	მეფუტკრის
91	განაყოფიერებული	განაყოფიერებულ
99	დაბლა ფსკერს	დაბლა კედელს
150	ლუსმანი	ლურსმანი
"	უნა	უნდა
151	ახლს	ახლის
161	სხვა და მიზნით	სხვა და სხვა მიზნით
171	მაშინ	მაშინ
179	დაუდგეს	დაუდგეს
190	მისმული	მისმული
191	გამადებულოა	გამზადებულოა
"	თვლ-ყურის	თვალ-ყურის
219	საფურტკეში	საფუტკრეში
"	სისუფთავე	სისუფთავე
233	იმ მეფუტკრე	ის მეფუტკრე
248	რომ მოვსწუწო	რომ მოვსძებნო
251	ამ რიგათ	ამ რიგათ
252	უდრო დროს	უდრო დროს
256	ავდარის	ავდრის

*) ეს სიტყვა ყველგან ასე უნდა შესწორდეს და იკითხებოდეს **გაჭირვების**.

257	საჭიროე	საჭიროებას
262	ვერ	ვერ
268	იცოდს	იცოდეს
269	ტრიალებსდა	ტრიალებს და
270	თანაქის	თუნუქის*)
"	ორს	ორ
271	რულოს	შეასრულოს.
174	ჩაფენენ	ჩააფენენ
"	შემოკეცენ	შემოაკეცენ
284	დაბაჩაფებულია	დაბეჩაფებულია
297	მშეენიერს	მშვენიერს
300	სამყაყის	სიმყაყის
"	ალამატება	ალემატება
306	ფარმალინს	ფორმალინს
"	20 ⁰	20 ⁰ / ₀
"	შეწვეტა	შეწყვეტა
307	არზიპენკოს	არხიპენკოს
308	ვაორთქლებთ	უორთქლებთ
309	კარბოლის	კარბოლის
310	ფრტკრის	ფუტკრის
317	ისარგებლებს	ისარგებლებს
318	გაარი	გვარი
319	იონჯა	წითელი სამყური
324	სიფუტკრის	საფუტკრის

P. S. ა) 52 გვერდზე, („კვერცხის დება“) დედა ფუტკრის შესახებ ნათქვამია „თუ როდის რომელი კვერცხი დასდვას (სამუშე თუ სამამლე) ეს თვით დედის საქმეა, მის ნება სურვილზე ჰკიდია“. დედის შესახებ ასეთი აზრი გადაჭარბებულია და რომ ეს დედის ნება-სურვილზე არ ჰკიდია, იქვეა განმარტებული. მართალია თვით მეფუტკრეთა დიდებული მოძღვარი ლანგსტროტიც იმ აზრის არის, თითქო დედას მისი

*) თანაქა, ყველგან **თუნუქად** უნდა შესწორდეს.

სურვილის და ოჯახის საჭიროების მიხედვით შეეძლოს, რომელი კვერცხიც სურს ის დასდვას, მაგრამ თანამედროვე მეცნიერები დედის ასეთ ნება-სურვილს ზღუდავენ და როგორც გვაქვს 52 და 53, გვერდზე იმ ნაირად ხსნიან. საზოგადოთ კი ეს საკითხი ჯერ საკამათოა და საბოლოო უტყუარი დასკვნა არ არსებობს.

ბ) 69 გვერ. (სითბო-სიცივის გამძლეობა ფუტკრის მიერ) ცხრილის პირველ ხაზში შეცდომით არის 10, უნდა იყოს არა პირველ ხაზში არამედ მეორეში.

ბ) ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ სასვენი ნიშანი, თუ ყოველ პწკარში არა ყოველ გვერდზე მაინც აკლია ან მეტია რისთვისაც ავტორ-კორექტორი მკითხველის წინაშე დიდ ბოდიშს იხდის.



შანი ოთხი აბაზი



წიგნის გამოწერა შეიძლება ტფილისში: ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების შალხაისკან, (სასახლას ქუჩა). კავკასიას საბრეშუმო სდგურისკან, (მუშტაიდი). ქართულ სამკურნეო საზოგადოებისკან, (ბარათიხისკან ქუჩა). თ. ზღ. შიხ. ღორუქიფანისკან (ბაქოს ქუჩა № 6). ქუთაისში: მხიდორე კვიტარაძისკან. ზროვინციებში კაიფი-აბა ვეველ: წიგნის გამეიდგელებთან. სარდათ შეიდეკლს ჩვეულებურიფი $\frac{0}{0}/\frac{0}{0}$ დეტემობა.